ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეხ

გელარიონ კათალიკოსის საფლავის ეპიტაფია



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბესარიონ კათალიკოსი
(ბარათაშვილ-ორბელიშვილი)
1724-1737

«გრდემლი»

სიტყვისგებაჲ ლათინთა მიმართ ჩვენ მართლმადიდებელთა
მიერ თუ რაჲ არს ჩუენგან მათი განყოფილება

ტექსტი ხელნაწერ S-3269 -ის მიხედვით გამოსაცემად
მოამზადა და შესავალი დაურთო ზაზა მამულაშვილმა

თბილისი 2013

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2ბ.2(979.22)+272
1. ბაგრატიონები, ს/-ბ.
2. ეკლესია.

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ზურაბ ჭუმბურიძე

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ელდარ ბუბულაშვილი

დამკაბადონებელი: რაფაელ გოგიტიძე

რეცენზირებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური
მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და
რეცენზირების დეპარტამენტის მიერ.

E102.763

	24 12 12	462

დეპარტამენტის თავმჯდომარე

ფოთისა და ხობის იეროსამღვლიტი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით, სვეტიცხოველის ტაძრის წინამძღვრის მოსაყდრის არქიმანდრიტ სერაფიმეს (ჭედია) და მონასტრის საძმოს ინიციატივით ხორციელდება უცნობი წმინდანების ღვაწლის შესწავლა.

© ზაზა მამულაშვილი

ISBN 978-9941-0-5145-6

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესავალი

წინამდებარე ნაშრომის ავტორია XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ცნობილი სასულიერო პირი, დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის ლიტერატურული სკოლის შესანიშნავი წარმომადგენელი ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი, რომელიც ავტორია ქრისტიანული მწერლობის (ჰაგიოგრაფია, ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია, პოლემიკა) მრავალი ნაწარმოებისა. თავისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში ივი (1724-1737) საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი იყო და აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში იყო ჩართული.

რთულ ვითარებაში მოუხდა მოღვაწეობა ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილს. XVI საუკუნიდან საქართველო ირან-ოსმალეთის სათარეშო ადგილად იქცა. მათი გამუდმებული შემოსევების შედეგად ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ამასიის საზავო ხელშეკრულებით (1555 წ.) აღმოსავლეთ საქართველოს ირანი დაეპატრონა. XVII საუკუნის დასაწყისიდან შაჰ-აბას I -ის (1587-1629) შემოსევების (1614-1617) შედეგად დაზარალდა კახეთი, განსაკუთრებით მძიმე იყო 1616 წლის შემოსევა. ამ შემოსევის დროს აღმოსავლეთ საქართველოში უდიდესი ტრაგედია დატრიალდა.

დავით გარეჯის უდაბნომ ქვეყნის ეს საშინელება საკუთარ მხრებზე გადაიტანა. ივი მიწასთან იქნა გასწორებული შემოსეული ურდოების მიერ. ბერებს მუსრი გაავლეს. ანტონ I კათალიკოსის (1744-1755; 1764-1788) ცნობით, რომელმაც სპეციალური საკითხავი: **„შესხმაჲ და მოთხრობაჲ ღვაწლთა და ვნებათა წმიდათა ღირსთა მოწამეთა გარეჯელთა“ უძღვნა 1616 წლის ტრაგედიას გარეჯაში: „მრავალი მათგანი მოჰწყჳდნეს შინაგან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმიდისა ეკლესიისა, რომელნიმე დაჰკლნეს თჳთ წმიდასა ზედა ტრაპეზსა უწყალოდ.“ [1]

ამავე ფაქტს ვრცლად გადმოდვცემს მეფე თეიმურაზ I-ის (1606-1663) ერთი მეტად დაზიანებული დოკუმენტი, რომელიც 1639 წელსაა გაცემული.[2] ამ დოკუმენტის მნიშვნელობა მარტო შაჰ-აბაზის შემოსევის აღწერით არ შემოიფარგლება. დოკუმენტის მეორე ნაწილის მნიშვნელობა უფრო დიდია, რადგან მასში დაცულია ცნობები გარეჯის უდაბნოს კვლავ აშენებისა და განახლების შესახებ: **„ხოლო მრავალმოწყალემან ღმერთმან არა უგულებელს-ყო და არცა სრულიად განგუწირნა მოწყალებითა მისითა და შემწეობითა თქუენითა. კუალად გვაგნა მეფობასა და პატრონობასა ჩუენსა ზედა და კუალად ჴელვყავთ აღშენებად უდაბნოთა თქუენთა. განვაგეთ და დავაყენეთ წინამძღურად კაცი ღირსი და ღმრთის მოშიში მარკოზ... აწე იპრიანოს ღმერთმან და ძალმწეობამან თქუენმა, როდესაც აშენდეს ჩუენი საჴელმწიფო და მანდ მდგომნი მონაზონნი განმრავლდენ, როგორცა ამას წინადთ ჴელმწიფეთ პაპათა და მამათა სიგელითა გაურიგებიათ“.**[3]

ციტირებული სტრიქონები მეტად მნიშვნელოვანია იმით, რომ მეფე თეიმურაზ I ჯერ კიდევ თავისი სამეფოდან ექსორიაქმნილი და იმერეთში გახიზნული ზრუნავს და გარკვეულ ნაბიჯებს დგამს დავით გარეჯის მონასტრის წესრიგში მოყვანისათვის. იგი რამდენადაც შეეძლო აწესრიგებს უდაბნოს ორგანიზაციას და

---

1. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ.VI. თბ., 1980, გვ.186.

2. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა), ფონდი 1448, №1037 არქივშიც გვხვდება ამ საბუთის პირი, ფონდი 230(5), დავთარი №1, განყოფილება №12, რიგის №14, გვ.138.

3. აღნიშნული დოკუმენტი გამოქვეყნებული აქვს ს. ცხვლოელ-კარბელაშვილს „ბუჯერები დავით გარეჯის უდაბნოსი“. „იბერია“, 1893, №88.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნავს წინამძღვარს.

მიუხედავად დიდი უბედურებისა, რაც გარეჯის უდაბნოში დატრიალდა, სამონასტრო ცხოვრება იქ არ მომსპარა.

მართალია სამონასტრო ცხოვრება გარეჯაში ფრიად შესუსტებული იყო, შემცირებული იყო ბერთა რაოდენობა, არ წარმოებდა შემოქმედებითი საქმიანობა, მაგრამ უდაბნო მთლიანად ხანგრძლივი დროით არასოდეს გაუქმებულა. არ შეიძლება აქ არ დავიმოწმოთ ტარასი ალექსი-მესხიშვილის შრომიდან რამდენიმე სტრიქონი, რომელშიც იგივე აზრია გამოთქმული. თხზულებას ეწოდება: **„მოკლე აღწერა საქართველოს მონასტერთა.“** დავით გარეჯა **„მდებარეობს ხევსა შინა საშვალ ხსენებულთა მათ კლდეთასა და ჰგიეს ვიდრე აქამომდე განგრძობასა შინა ათასორასის წლისასა და არაოდეს დაცხრომილ არს მას შინა დიდება ღვთისა, ღვაწლნი, შრომანი, ცრემლთაა თხევანი და ოფლთა დენანი წმიდათა მამათა...“.**[4]

XVII საუკუნის 60-იან წლებში დავით გარეჯისადმი დიდ ყურადღებას იჩენს არჩილ მეფე, როდესაც იგი კახეთის სამეფოს განაგებდა (1664-1675). არჩილ მეფემ უპირველეს ყოვლისა თავი მოუყარა გაბნეულ ბერებს, აღადგინა რამდენიმე დანგრეული ნაგებობა და ეკონომიკური საფუძვლების გამაგრება სცადა.

1672 წელს სპეციალური დოკუმენტით (Ad-61) არჩილმა მონასტერს ჯამაგირი გაუჩინა. მანვე სცადა მონასტრის საორგანიზაციო და სამეურნეო საკითხების მოგვარება. 1673 წელს მონასტერი იმდენად გამართული ყოფილა, რომ იქ მთელი დიდი მარხვა გაუტარებია ნინოწმინდელ ეპისკოპოს ნიკოლოზს.

---

4. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Q – 135, 65ტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან დავით გარეჯის ისტორიაში იწყება ახალი პერიოდი – **ოქროს ხანა.** დავით გარეჯაში მოღვაწეობას იწყებს წმინდა ონოფრე გარეჯელი (მაჭუტაძე). წმინდანმა თითქმის მიუსწრო არჩილ მეფის მიერ გარეჯაში დადგენილ ბერებს. **„იმათ მიცვალებას უკან ჩუენც ზედა მოვესწრენით მონასტერსაო“** – წერს წმინდა ონოფრე გარეჯელი (მაჭუტაძე) თავის გუჯარში.

წმინდა ონოფრე გარეჯელი (ერისკაცობაში ოთარ მაჭუტაძე) XVII-XVIII საუკუნეების მოღვაწეთა შორის ყველაზე დიდი ფიგურაა დავით გარეჯის ისტორიაში. (წმინდა ონოფრე მაჭუტაძე გურული აზნაური იყო. .XVII საუკუნის 70-იან წლებში თავის ძმასთან, მაქსიმესთან, ერთად გურიიდან ქართლში გადავიდა, სადაც 1683 წელს ლევან ბატონიშვილმა "სამწევრისის მესთულეობის" სახელო უბოძა. წმინდანი საოცარი სტუმართმოყვარეობით, მოწყალებითა და გაჭირვებულთა ნუგეშისცემით გამოირჩეოდა. ოთარს მონაზვნობა სურდა, აზნაურის შესამოსლის ქვეშ ძაძა ემოსა და გამუდმებით ევედრებოდა უფალს, მიემადლებინა მისთვის ბერული ცხოვრების ძალა.

ერთხელ თავის მეუღლეს უთხრა: **„აწ მნებავს მე უარისყოფა სოფლისა და შედგომა ქრისტესი. ამის პირისათვის ვითხოვ კეთილ მორწმუნეობისაგან შენისა, რათა შენდობა მივიღო თქუენ ყოველთა მიერ და მიტევება ბრალთა ჩემთა ნებსითთა და უნებლიეთთა“.** ქალმა არ დააბრკოლა მეუღლე და შენდობა მისცა. ოთარი ორ უფროს ვაჟიშვილთან ერთად ჩავიდა თბილისში, შვილები დალოცა, დაარიგა და გამოეთხოვა.

შვილებთან განშორების შემდეგ ოთარმა მიაშურა გარეჯის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონასტერს. იგი არქიმანდრიტმა გერმანემ მიიღო, შეიწყნარა მოსული და ძმათა კრებულს აუწყა: **„კაცი ესე დიდსა საზომსა მიწევნად არს, რამეთუ აწვე გამოსვლით სოფლით აღესრულებიეს სიტყვა წმიდისა სახარებისა, რომელსა ბრძანებს უფალი, „რომელმან დაუტეოს სახლი, ანუ ცოლი, ანუ შვილნი, ანუ აგარაკი სახელისათვის ჩემისა, ას წილად მიიღოს და ცხოვრება საუკუნო დაიმკვიდროს“ - ამას ესე ყოველი აღესრულებიეს.“** წმ. ონოფრე ბერად შედგა დაახლოებით 1683-1690 წლებში.

ერთ-ერთი ჰაგიოგრაფი მას გარეჯის მეორედ აღმშენებელს უწოდებს. მისი ძალისხმევით უდაბნოში კვლავ გამრავლდა ბერ-მონაზვნები; მან ცალკეულ სამონასტრო ერთეულებს – „ლავრას“, „ნათლისმცემელს“ და „დოდოს რქას“ უკვე დამოუკიდებელი ინტერესები გაუჩინა, რაც გახდა ძირითადი საფუძველი ერთი მონასტრის სამად განშტოებისათვის.

1702 წლის საეკლესიო კრებამ (Ad-340) გარკვეული ფარგლები დაუდო რა სამივე მონასტერს, მისცა მათ ცალ-ცალკე განვითარების შესაძლებლობა. ამ პერიოდიდან დავით გარეჯის უდაბნოს ისტორია უკვე სამი დამოუკიდებელი მონასტრის – დავით გარეჯის, ნათლისმცემლისა და დოდოს რქის მონასტერთა ისტორიაა. სამივე მონასტერი თავის საკუთარ ეროვნულ და სულიერ ინტერესებ ავითარებდა. დავით გარეჯა ძირითადად სამეურნეო-საორგანიზაციო საქმეში იყო ტონის მიმცემი, ნათლისმცემლის მონასტერში ჩამოყალიბდა ლიტერატურული სკოლა, ხოლო დოდორქის მონასტერი ძირითადად ხელნაწერთა გადაწერას აწარმოებდა.

წმინდა ონოფრე გარეჯელმა სწორედ ნათლისმცემლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონასტრის ლიტერატურული სკოლის ხელმძღვანელად დანიშნა ბერმონაზონი ბესარიონი (ბარათაშვილ-ორბელიშვილი).

ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მწირი ცნობებია შემორჩენილი. დღემდე არსებული წერილობით წყაროებზე დაყრდნობით მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა მეტ-ნაკლები სისრულით არის შესწავლილი. ბესარიონის ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული შემოქმედების შესწავლას შესანიშნავი ნაშრომები მიუძღვნა მკვლევარმა მ. ქავთარიამ. (იხ. ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. I, თბ., 1959, გვ. 75-113; მისივე: ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან XVII-XVIII), თბ., 1977, გვ.171-190); მისივე: დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბ., 1965, გვ.110-112.) კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.I, თბ., 1980, გვ.349-350) და სხვები.

თუ როდის მივიდა ბესარიონი დავით გარეჯის მონასტერში ჩვენთვის უცნობია. უცნობია მისი დაბადების თარიღიც. იგი კუთვნებია ბარათაშვილ – ორბელიშვილთა საკმაოდ გავლენიანსა და კულტურული ტრადიციების მქონე გვარს.

ბესარიონის მშობლებს რქმევიათ ბეჟანი და მარიამი. მის მიერ 1697 წელს გადაწერილი ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ: **„დიდება ღმერთსა დაუსაბამოსა, სამებასა წმიდასა, რამეთუ იგი არს მიზეზი ყოველთა კეთილთა, რომლისა ბრძანებითა და ძალითა და თანადგომითა წმიდისა დიდებულისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესითა ღირს ვიქმენ მე უღირსი და უცოდვილესი ყოველთა კაცთა ხუცესმონაზონი ნათესავით**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბარათაშვილი ტომით ორბელიშვილი ბესარიონ წმიდისა ამის წიგნისა კლემაქსისა, წმიდისა ტიმოთეს საკვირველთმოქმედისა და წმიდისა სვიმეონ საკვირველის ცხოვრებისა აღწერად უდაბნოსა გარესჯისასა, მონასტერსა წმიდისა იოანე ნათლისმცემელისასა. მეც ამ მონასტერში ვიყავ და ეს წიგნიც ამას მონასტერსა შევწირე. ვინც მიემთხვივნეთ ლოცვაი ყავთ სულიერისა მამისა და წინამძღვრისა ჩუენისა ონოფრესათვის და ჩემ, გლახაკისა მშრომელისა ბესარიონისათჳს, რათა უფალმან თქუენცა მოგცეს სასყიდელი სიყვარულისაი.

დაიწერა წმიდაი ესე წიგნი წელთა ქრისტეს აქეთ ათას ექუსას ოთხმეოცდაათჩვიდმეტსა.

ხოლო უწინარეს ამისსა აღვწერე წიგნი ეფრემ ასურისა, ორთავე სრულებით და ლავსაიკონი და კასიანეს თქმული რვათა გულისსიტყვათათვის და ეგვიპტისა და აღმოსავლეთის მონასტერთა განგებაჲ. ესეები კიდევ ერთად შეკრული ესეც ამავე ნათლისმცემლის მონასტერს დავდევ სულისა ჩემისა საოხად და მშობელთა ჩემთა ბეჟანისა და მარიამისა მოსახსენებლად.“ [5]

მშობელთა სახელის დადგენის გარდა ეს ანდერძი გვატყობინებს, რომ ბესარიონის მოძღვარი ყოფილა წმინდა ონოფრე გარეჯელი (მაჭუტაძე) და რომ მას გადაუწერია: იოანე სინელის „კლემაქსი,“ რომელსაც ამ შეგონებით იწყებს: „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რომელნი იკითხვიდეთ ანუ სწერდეთ წმიდასა ამას წიგნსა წმიდანო, ღირსნო; ვითარმედ ნეტარსა მას მამასა, რომელსა ესე სულთა განმანათლებელი წიგნი უთქუამს არა თუ „კლემაქსი“ ეწოდების — ნუ იყოფენ, არამედ იოანე არს სახელი მისი, ხოლო „კლემაქსი“

5. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-105.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნსა ეწოდების და არს „კლემაქსი“ ბერძულითა ენითა ვითარმედ „კიბე,“ „წმინდა ტიმოთე საკვირველის“ და „წმინდა სვიმეონ საკვირველის ცხოვრება“, ხოლო მანამდე „აღუწერია“ „წიგნი ეფრემ ასურისა“ (ორთავე სრულებით), „ლავსაიკონი“ და კასიანეს თქმული „რვათა გულისსიტყვათათჳს“ და „ეგვიპტისა და აღმოსავლეთისა მონასტერთა განგებაჲ“ და კიდევ „ესეები“ ერთად შეკრული.

მასვე დაუწყია გადაწერა წმინდა გრიგოლ საკვირველის ცხოვრებისა (A-121 ხელნაწერი) 1r-114r-მდე. სახელწოდებით: **„ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ჰრომთა პაპისაჲ“.** წიგნი ასე იწყება: **„გვაკურთხენ მამაო“.** შემდეგ: **„ქრისტე შეიწყალენ ბესარიონ“**. პირველი გვერდის ბოლოს აქვს მხედრული მინაწერი: **„მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის უდაბნო“.** 114r-დან 235v-მდე, ანუ ბოლომდე დაუსრულებია წინამძღვარ **იობს.** მას ბოლოში გაუკეთებია საინტერესო მინაწერი: **„წმინდანო ღმერთშემოსილნო მამანო და ძმანო, მკჳდრნო დავით გარეჯას უდაბნოჲსა ნათლისმცემელისანო, მომიხსენეთ ცოდვილი ულირსად წინამძღუარი გლახაკი იობ, რომელმან ბრძანებითა და მორჩილებითა მამისა ბესარიონისაჲთა აღვწერე ([ამ შემთხვევაში გავაგრძელე]) სულთა განმანათლებელი კერძო ([ნაწილი]) წიგნისა ამის შესანდობელად ცოდვათა ჩემთა, რათა დიაკონისა თქუენისა მიერ მოიხსენებოდეს ულვაწი სული ჩემი.“** სჩანს ბესარიონს ვერ მოუსწრია აღნიშნული ხელნაწერის დასრულება, (ალბათ იმიტომ, რომ მღვდელმთავარად გამოირჩიეს) და ეს საქმე დაუვალებია წინამძღვრად დანიშნული იობისათვის.

ამ სახის ხელნაწერთა მიმართ დაინტერესებით იკვეთება მისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინტერესის სფერო.

ბესარიონის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაძლევს ღირსი გაბრიელ მცირე წიგნში: **„ღვთივსულიერი თხრობანი“**, როდესაც ის პასუხობს იეროდიაკონ პროხორეს კითხვაზე: **- „ჩვენსაცა ამას მონასტერსა ყოფილა ვინმე ეგევითარი ნიშებშემოსილი მღვდელმთავარი და საღმრთო მოქალაქეობითა მცხოვრები?“** [6]

- გაბრიელ მცირემ (სტავროფორემ) სთქვა: „ესე მონასტერი განაახლა კაცმან ღმრთისაგან ბესარიონ, რომელი შემდგომად იქმნა მამამთავარ. იყო იგი ვითარცა ახალი ოქროპირი — მქადაგებელი მადლითა ღმრთივმოცემულითა და ჭეშმარიტებისა გამომეტყველ, რომელმან, ვიდრე-ღა მღვდელმონაზონ იყო, აღწერა (დაწერა) წიგნიცა მართლისა სარწმუნოებისა, სამხილებელად ლათინთა „გრდემლად სახელდებული“.

მის ნეტარისათვის მასმიეს, ვითარმედ მღვდელსა ვისმე პატიოსანსა ასმიოდა საღმრთო მოქალაქობა ღირსებისა მისისა და ღამესა ერთსა მის თანა სენაკსა შინა სავანეობად დაემთხვია. ხოლო მანცა სტუმართმოყვარებისათვის განუსვენა კეთილად. ხოლო მღვდელი იგი ვინაჲთგან სურვიელ იყო მოქალაქეობისა მისისა ხილვად, განამკაცრა და არა დაიძინა. ამან ნეტარნან პირველად წმინდანთა წიგნი იკითხა მრავალჟამ და მერმე დაავსო სანთელი და იწყო ლოცვად ზეპირით მრავლითა ლმობიერებითა და შემუსვრილის გულითა; და შემდგომად ინება სანთლისა აღნთება. არცა ცეცხლი აქვნდა, არცა დააკვესა, მეყსეულად სანთელი აღანთო.

---

6. გაბრიელ მცირე მანამდე იეროდიაკვან პროხორეს უყვებოდა პატერიკებს წმინდა მამათა მიერ აღსრულებული სასწაულების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესე რა იხილა მღვდელმან მან, განკვირვებულ იქნა. და ოდეს განთენა, იხილა მარტომან ნაცარი იგი, რომელ ცეცხლი ყოვლადვე არა იყო, არამედ სანთელი იგი ჯვრის სახედ განევლო ნაცარსა მას შინა და აღენთო.

ესე თვით მან პატიოსანმან მღვდელმან გამოაცხადა შემდგომად და ადიდებდა საკვირველებასა ღვთისასა.

პორფირი სთქუა: ნამდვილვე ჭეშმარიტ არს, მამაო, რომელსა იტყვის წერილი, ვითარმედ ამბავმან კეთილმან განაპოხნის ძვალნი კაცთანი. რამეთუ ღმრთივსულიერთა ამათ თხრობათა განანათლეს ძალი სულისა ჩემისა".

დავით გარეჯის სკოლას არც XVIII საუკუნის დასაწყისში ჰქონია ნორმალურად არსებობისათვის აუცილებელი პირობები. პირიქით, საქართველოს ისტორიის ეს მეტად რთული და დაძაბული პერიოდი თავისებურ დაღს ასვამდა სამონასტრო ცხოვრებასა და შემოქმედებით საქმიანობას. ქვეყანა ლეკთა თარეშის შედეგად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით გააქტიურდნენ ჭარელი ლეკები. მათი ხშირი თავდასხმების შედეგად ბევრი სოფელი გაპარტახდა და ნასოფლარად იქცა. ლეკიანობამ საგრძნობლად შეაფერხა სამონასტრო მოღვაწეობა.

1713 წელს ლეკთა თარეშის შესახებ გადმოგვცემს **A-100**[7] ხელნაწერი: „ამ ქორონიკონსა ოა [1713] ქართლმ[ა] და კახეთმა ოჭრებაჲ დაიწყო. უდაბნოც სუსტდებოდა, ხან ოსმალოს ეჭირა, ხან ყიზილბაშს ცოდვათა ჩემთა [გამო]. ამ წიგნის წერასა ავიყარენით ამ მონასტრიდამ და ჭლეკი[ს] შიში შეიქნა. გავიყავით,

7. იქვე. 33-300-301

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარი მამანი და ძმანი აქ დადგენ — <u>თჳთ დიდი ბესარიონ</u> და მისი კრებული. ზოგნი ქალაქსა, სასახლე გუქონდა — დიდი ილარიონი იქ იყოფებოდა, ზოგნი გრკონსა, ზოგნი ყინცვის წმიდისა ნიკოლოზის ტაძარში".

მიუხედავად ამისა ბესარიონი არ ეპუება ამ მძიმე გარემოებას და აგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას. ის ახლო ურთიერთობასა და შემოქმედებით კონტაქტშია ქართული კულტურის ბევრ მესვეურთან, იგი წარმოგვიდგება, როგორც დამკვეთი, მეცენატი, გადამწერი და შემკაზმველი. მას, სანამ იგი საკუთარი შემოქმედებით წარდგებოდა იმდროინდელი საზოგადოების წინაშე საინტერესო გზა გაუვლია მწიგნობრისა.

ბესარიონს დაუწერია **„კანონი სავედრებელი მღვდელმთავრისა" — ისე წილკნელისა, „კანონი საგალობელი საუფლოჲსა კუართისა" და „კანონი საგალობელი პირველმოწამისა რაჟდენისა".**

საყურადღებოა ბესარიონის მუშაობა ჰაგიოგრაფიის დარგში. მის დროს იწყება შედგენა ქართული ჰაგიოგრაფიული კორპუსისა, ესე იგი, ისეთი კრებულისა, რომელშიაც თავმოყრილი იქნებოდა ქართველ წმინდანთა ცხოვრება-მარტვილობანი და მისი შევსება იმ წმინდანთა ცხოვრებით, რომელთა ცხოვრება მანამდე დაწერილი არ ყოფილა. **მას დაუწერია მეტაფრასული მარტვილობანი რაჟდენ პირველმოწამისა, არჩილ მეფისა, ლუარსაბ მეფისა, ბიძინა ჩოლოყაშვილისა, შალვა და ელიზბარ ერისთავებისა და ცხოვრება ისე წილკნელისა. (S-3269)** კათალიკოსი ანტონ I მის ჰაგიოგრაფიულ შრომებს **„ქართველ წმინდანთა მოთხრობა-ისტორიას"** უწოდებს.[8]

---

8. ანტონ ბაგრატიონი, „წყობილსიტყვაობა", გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1980, გვ.255.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ბესარიონის პატრიარქობის დროს მოხდა წმინდანთა დასში კანონიზირება ეროვნულ მოღვაწეთა – სამშობლოსათვის თავგანწირულ გმირთა **შალვა, ბიძინა და ელიზბარისა, არჩილისა და ლუარსაბისა.** მოგეხსენებათ მაშინდელი საზოგადოებრივი და პილიტიკური მდგომარეობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა ბესარიონი ამბიონიდან არ ერიდება, არამედ ცდილობს ქართველთა ეროვნული სულისკვეთების გაღვიძებას და წმინდანად რაცხავს ზემოდხსენებულ სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილებს. მიხეილ საბინინი წიგნში **„საქართველოს სამოთხე“** აღნიშნავს: **„ღვაწლი მათი ავტორს აღუწერია, რათა ეს გმირები შემდგომთათვის სიმხნისა და ახოვანების ძეგლ იქმნეს და ჩუენ გვიტევეს ვითარცა ხატი და სახე აღუხოცელი სიქველისა მათისა“.**[9]

პირველი ქართველი მოღვაწე, რომელიც შეეცადა ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის ცხოვრება – შემოქმედებისა და საზოგადოებრივი პროფილის ჩვენებას, იყო კათალიკოსი ანტონ I. **„წყობილსიტყვაობაში“** იგი სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად ასახელებს ბესარიონს, რომლის შესახებაც წერს:

ბესარიონმან, კაცმან მაღალ გონებამ.
მონაზონებრთა, შრომათაგან ნეტარმან,
მმწყსა ეკლესია, ქრისტესი წესიერად,
სიტყვით მგელთაგან, სიტყვით სცვიდა სამწყსოსა,
ლათინთ მეხ-იქმნა, მზე სამწყსოსა თვისისა.

ქადაგებანი, შენნი ნეტარ მამაო,
წრფელნი ნაუბნი, გარნა მსგავსებნი პავლეს,
ქართუელთ წმიდათა, მოთხრობა ისტორია,

---

9. მ. საბინინი. საქართველოს სამოთხე. პეტერბურგი. 1882. გვ.332.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახსოვან რომელ, საწად-იყუნეს მჰსმენელთა,
თან-წესებულ-ხარ, გუნდთა მოციქულთასა.
ბესარიონის ქმნილილი, კანონი კუართის,
არის სულით თქმული, ღუთისმეყველ რიტორებრი,
ტიპიკონთ პოვნა, მკობა დღესასწაულთა,
ლათინთა მიმართ, გურდემლი განუჭედელი,
დამხობად მათდა, საქებელ-არს ბრძენთაგან.

მიუხედავად იმისა, რომ ციტირებულ სტრიქონებში ბესარიონის ბიოგრაფიიდან არცერთი ფაქტი არაა მინიშნებული იგი მაინც საყურადრებოა. მასში, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში დაფასებულია ღვაწლი ბესარიონისა, როგორც XVII-XVIII საუკუნის საზოგადო მოღვაწისა.

<u>ანტონ კათალიკოსის მითითებებით:</u>

1. ბესარიონი იყო ჯერ მონაზონი, შემდგომ კათალიკოსი - „კაცი მაღალი გონებით“.

2. როგორც კათალიკოსმა „მწყსა ეკლესია ქრისტესი წესიერად“.

3. იყო ნიჭიერი ორატორი და მქადაგებელი.

4. დაამუშავა „ქართველთ წმინდანთა მოთხრობა-ისტორია“.

5. ბესარიონს ეკუთვნის „კანონი კვართისა“.

6. მონაწილეობდა ტიპიკონის დადგენა-გამართვაში.

7. ბესარიონს ეკუთვნის „გრდემლი“ თხზულება მიმართული კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ.

ბესარიონ კათალიკოსს საპატრიარქო მოღვაწეობა მეტად რთულ პერიოდში მოუწია. ის საქართველოს ეკლესიას იბარებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ მაშინ, როდესაც მეფე ვახტანგ VI-ე (1716-1724) 1724 წელს რაჭიდან, გურძიევსკის უღელტეხილის გავლით ტოვებს საქართველოს და ემიგრაციაში მიდის რუსეთში. მეფის თანადროულად საქართველოს ტოვებს კათალიკოსი დომენტი, რომელმაც თავი ოსმალეთს შეაფარა. სულთნის განკარგულებით 1727 წლის დეკლემბერში დომენტი კათალიკოსი დააპატიმრეს და ექსორიად გაამწესეს სტამბულის მახლობლად მდებარე კუნძულ ტენედოზზე. ამ ტყვეობიდან იგი საქართველოში 1739 წელს ბრუნდება.

ზოგი მეცნიერი **ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის** პატრიარქად არჩევის თარიღად მიიჩნევს 1724 წელს, ზოგი კი 1727 წელს. სჩანს მეუფე ბესარიონი იყო დომენტი კათალიკოსის მოსაყდრე, დომენტის წასვლის შემდეგ ის ავტომატურად განაგებს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, მაგრამ თავისი თავმდაბლობით ის სამი წლის მანძილზე ელოდებოდა **„ექსორიაქმნილ“** კათალიკოსს, მაგრამ, უშედეგოდ. (რადგან დომენტი კათალიკოსი თურქეთში დააპატიმრეს) ხოლო რაც შეეხება პატრიარქის ტიტულს, ბესარიონმა ის მიიღო 1727 წელს. ქუთაისის მუზეუმში დაცულ №28 ხელნაწერს აქვს შემდეგი მინაწერი: **„ყველიერის შაბათს აკურთხეს ქართლისა და კახეთის მიტროპოლიტებმა და ეპისკოპოსებმა, თებერვლის 7-სა“-ო.**

ბესარიონის კათლიკოსის მიმართ არ ერიდებიან მკაცრ ბრალდებებს. პოლიევქტოს კარბელაშვილი (1855-1936) წერს: „ბესარიონი დიდი მეგობარი იყო იასე [(იესე ზ. მ.)] მეფისა და ვახტანგ VI-ეს მტრობდა. ამიტომ 1727 წელს იასეს დახმარებით ნელ-ნელა მოიმხრო ისაყ ფაშა, შეაპარა ქრთამი და მიიღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კათალიკოზობა. ასე 1728 წლის ნახევარში."

იესე მართლაც მტრობდა ვახტანგ VI-ეს, (ამიტომაც მიატოვა ქვეყანა ვახტანგ მეფემ) დომენტი კათალიკოსმა კი თავისი ნებით დატოვა საკათალოკოსო ტახტი.[10] იესეს ბესარიონი გამიზნულად არ დაუსახელებია პატრიარქად იმის გამო, რომ ის ხელს შეუწყობდა საქართველოს სულიერ დაცემას ან მისი მხარდამჭერი იქნებოდა, რადგან ბესარიონის ქველი საქმეები და ის დიდი მამულიშვილური ღვაწლი ამის გაფიქრების საშუალებას არ გვაძლევს. თანაც, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ ბესარიონი მოსაყდრე იყო დომენტი კათალიკოსისა და მას ავტომატურად ერგებოდა საპატრიარქო ტახტის განგება მანამდე მაინც, სანამ ახალ პატრიარქს არ აირჩევდნენ. პირადად მე არსად დოკუმენტებზე მუშაობისას არ შემხვედრია მასალა, რომ თითქოს ბესარიონს კათალიკოსობა ქრთამით მიეღოს. ალბათ პ. კარბელაშვილმა ქუთაისში დაცულ №28 ხელნაწერის საფუძველზე თქვა ყოველივე ეს, რადგან იქ მართლაც ჩანს იასე ფაშას როლი ბესარიონის კათალიკოსად არჩევაში, მაგრამ ქრთამის შესახებ არაფერია ნახსენები. შემდეგ იგივე პ.კარბელაშვილი ბესარიონს მოიხსენებს, ადამიანს, რომელმაც დიდი ამაგი დასდო დავით გარეჯის უდაბნოს ამაღლებას,[11] შემდეგ კი დასძენს: **„იყო კაცი ფრიად განათლებული, შეადგინა მშვენიერი „ქართველთა წმინდანთა ცხოვრება", სვეტიცხოვლის „სვინაქსარი", „გრდემლი" რომლის დაწერაში ეხმარებოდა ფრანგის ბერი ფრანჩესკო. ებრძოდა სომხებსაც".**

არსებობს დომენტი კათალიკოსის წერილი, რომელშიც ბრალს

10. ალბათ იმიტომ, რომ მას ეშინოდა მეფედ მოსული გამუსლიმანებული თავისი ძმის.
11. პ. კარბელაშვილი, „ეერარქია საქართველოს ეკლესიისა: კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი", თბ., 1900. გვ.139-140.

საქართველოს პარლამენტის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სდებს ბესარიონს ტყვეთა სყიდვის ხელის არ შეშლაში და ეკლესიის სუსტად მართვაში. დომენტი კათალიკოსის მიერ წამოყენებული ბრალდება უაღრესად მძიმეა და ამავე დროს სამარცხვინოც, მაგრამ, მკვლევარი მიხეილ ქავთარია მიიჩნევს, რომ დომენტი კათალიკოსის ამ ეპისტოლეში ჩანს **ფაქტის გაზვიადება და ტენდენციურობა.**

ბესარიონის საზოგადო მოღვაწეობის მანიშნებელი დოკუმენტები თითქმის არ შემონახულა, ერთი კია, რომ მას მეტად რთულ პერიოდში უხდება მოღვაწეობა. ოსმალობა საქართველოსთვის ძნელბედობის ხანა იყო. თქმა არ უნდა, ბესარიონი – საჭეთმოყრობელი ქართული ეკლესიისა – მეტისმეტად შეზღუდული და დაბორკილი უნდა ყოფილიყო. იმ ფრაგმენტებიდან, რასაც ჩვენამდე მოუღწევია, ჩანს, რომ ბესარიონი მთლად გულხელდაკრეფილი არ ყოფილა. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოქვეყნებულ აქტების პირველ ტომში დაცულია დოკუმენტი, რომელიც XVIII საუკუნის დასაწყისს ეხება და რომელშიც ვკითხულობთ:

„შუობითა და შუამდგომლობითა ესე ფიცი, პირი და წიგნი მოგეცი ჩუენ, გურიელმან პატრონმან მამია,[12] შენ–გარეჯისა ნათლისმცემლისა უდაბნოთაგან ბრძანებითა ღმრთისაჲთა მოსაქცეველად ჩუენთვის წარმოგზავნილსა, მამასა ჩუენსა წმინდასა ბესარიონს, ამა პირსა ზედან, რომე ჩუენს საბატონოშიდ მოხველით და ტყვის აღთქმისა დადება გვიქადაგეთ; ჩუენცა შევისწავეთ და ჩუენსა საბატონოსა კაცსა გასყიდველობისა აღთქმისა და

---

12. უეჭველია, დოკუმენტი მამია III, გიორგი მესამის ძეს ეკუთვნის. მამია მესამე გარდაიცვალა 1714 წელს, მამია IV გიორგი მეოთხის ძე 1747 წელს იქნა გაძევებული სამთავროდან. მის დროს ბესარიონი უკვე მიცვალებულია. შენიშვნა ამოღებულია აქტებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფიცარი გამოვართვით, რომ ჩემმა საბატონოს კაცმა ტყვე ველარ გასყიდოს, და ჩუენცა ესე აღთქმა დაგვიც: დღეს ამას იქეთ ჩვენთვის საქონლად და სასარგებლოდ რომ მოიხმარებოდეს და ან საჭმელ-სასმელში და ჩუენ ტყვე აღარ გავსყიდოთ.“ [13] თუ კი დავით გარეჯის მონასტრის ბერი ბესარიონი ასე აქტიურად მონაწილეობს ამ ეროვნულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი საკითხის მოგვარებაში, რაღა თქმა უნდა, იგი უფრო აქტიური და ფრთაგაშლილი უნდა ყოფილიყო, როდესაც საქართველოს ეკლესიის საჭე ეპყრა ხელთ, მაგრამ, ჩანს, ობიექტური პირობები არ აძლევდა ბესარიონს საშუალებას ფართო მაშტაბით ეწარმოებინა ბრძოლა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ. **„ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ დომენტი კათალიკოსის საყვედური და ბრალდება არის ტენდენციური და საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის გაუთვალისწინებლობის შედეგი.“** [14]

ბესარიონ კათალიკოსი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე

შემონახული მასალებით ბესარიონ კათალიკოსის პოლიტიკური მოღვაწეობა არ ჩანს, მაგრამ რამოდენიმე ფრაგმენტის გათვალისწინების შემდეგ მაინც შესაძლებელი ხდება ზოგიერთი მომენტის მინიშნება. შემონახულია ბესარიონ კათალიკოსის წერილი ასტრახანში მყოფ ვახტანგ VI-ისადმი. წერილი, რომელიც 1733 წელსაა დაწერილი, ბესარიონს ქართლის ბედზე მზრუნველ

---

13 АКТЫ. ტ.I.გვ. 52.

14. მ.ქავთარია, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ.I, თბ., 1959, გვ.83.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კათოლიკოსად წარმოგვიდგენს. ასევე გვიჩვენებს ბესარიონ კათალიკოსის პოლიტიკურ აზროვნებას და მის სტრატეგიულ გეგმას ქვეყნის გამთლიანებისათვის.

უმეფოდ დარჩენილი ქართველობა ბესარიონის უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოში იწვევდა ვახტანგ VI-სა და თავის ძე ბაქარს. ბესარიონის წერილში მთელი სერიოზულობით არის გათვალისწინებული იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაცია. აუღო რა შექმნილ ვითარებას სწორად ალღო, ბესარიონმა ვახტანგ VI-ეს მიწერა: **„ამ ქვეყანას ვის ამწყრალებთ, ამისთანა დრო ქვეყნის მოხმარებისა და დაჭერისა არ ყოფილა არას ხელმწიფის ჟამში. წინანდელ ხელმწიფეთა და თქვენს მამა-პაპათა სიზმარითაც ენატრებოდა, მაგრამ ვინ აღირსებდა, ახლა რომ თქვენ დრო და საქმე გაქუსთ. თუ მოინდომებთ მარტო ქართლს არა და ძველითგან სამზღვრებს სულ შემოიკრებთ. წინააღმდეგი არავინ სჩანს ასეთი, რომ შეეძლოს რამე. ღმერთმან იცის, ამათ, ვისაც ეს ქვეყანა დაუგდევით, თავი ხელთ აღარა აქვსთ. შენი მეზობელი რომ არის, არაფერი შეუძლიან, თუმცა შეუძლოს რამე, რადგან თქვენ ამ ქვეყანას ასე უინადეთ და აღარ ინაღვლეთ რა, ის დაიჭერდა; არცა რას ქართველნი ინაღვლიდნენ, ასე თავი მოსძულდათ. თუ ქართველთას ბრძანებ, ღმერთმან იცის, ყოველს კაცს უნდა მანდედამ შეწევნა. ერთმანერთი აღარაფერი სამდურავი არის, ყოველმა კაცმან თქვენს ერთგულობაზედ პირი შეკრვეს კიდეც. ვისმე არ უნდოდეს, არას კაცს თქვენი წინააღმდეგობა არ შეუძლია. თქვენგან ცდა და გაბედვა და ყოვლის კაცის დამონება სწორე იქნება. სამი-ოთხი პოლკიონი გამოითხოვეთ და სხვა არც კი გინდათ, ამათიც საჭმელიც და საქმეც ამათ დაადევით. თუ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინდათ, ეს არის. თუ არ გინდათ მანდ სხდომა,[15] და ბატონი ბრძანდებოდეთ, ბოლო რაც მოხდეს, ნურავის დააბრალებთ, არც ღმერთთან გეჭნებათ პასუხი, არც კაცთან. ამ ქვეყნის სისხლსა და წახდენას თქვენგან იძევს ღმერთი. და შვილისშვილიც ველარ იშოვნის ამ ადგილსა. ამას რატომ ვერ ხედავთ, თუ ყეენი გაძალიანდა, თქვენ ალარ შეგეხვეწებათ, არც არას მოგცემთ, თუ დიდის ხვეწნი(თ) და შუამავლობით მოგცესთ, რაც უწინ იყო, უარესობა იქმნება. და თუ მაგათ ეს მთის ადგილები უთქვენოდ დაიჭირეს, და რადგან ხელი მიყვეს, კიდეც დაიჭერენ, კიდევ უფრო გასუბუქდებით და მაგდენი ყურის მოგდებაც არა იქნება რა. ეს არის დრო თუ გინდათ, არას ხელმწიფეს ეს დრო არ ქონიათ. ადეგით, ადეგით, ნუ ჰყოვნით! თავად ორივ წამობრძანდით უმჯობესია, თუ არა, შვილი გამოგზავნე. წინაალმდეგი ალარავინ არის; ეგ მთის ადგილი დაიჭირეთ, იქიდამ მთა და ბარი ხელთ დაგრჩებათ, ვერცა რას ყეენი დაგაკლებთ, ვერცა რას ხვანთქარი და მაგათაც პირ-ნათლად დარჩებით, სამიდღემშიოდ ეგენი ზურგად გეყოლებიან. ეს არის დრო და ჟამი. ამილახორს კიდევ უფრო გუილთ უნდა, აქეთ რომ დიდი კაცი არის. თუ თავის მამულის ფიქრი გაუქარვეთ, ამათ უფრო გულით უნდათ ამა ადგილის თქვენგან დაჭერა, და ადვილიც არის ეს. ეს არის მოგვიხსენებია, თუ კიდევ არა ჰქენით, ჩვენმცა უბრალონი ვართ, და სინანული ნულარ იქნება. თუ საქმე არ წარგემართოსთ, მე თავი გამაგდებინეთ! ეს არის, მოგვიხსენებია დრო და ჟამი. ალდეგით, თუ არა ამის უკეთეს დროს ვერ იშოვნით".[16]

15. გულისხმობს სამეფო ტახტს.
16. Переписка груз. Царей с российск. Государями от 1659 г.по 1770 г, С-петербург,1861, გვ. 198-200. რამდენიმე სტრიქონი ამ წერილიდან დაბეჭდილი აქვს გ. ლეონიძეს (შდრ. „ლიტერატურული გაზეთი", 1955, 22 ივლისი, №29 (939).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბესარიონ კათალიკოსის გარდაცვალების შესახებ

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული H-2077 ხელნაწერი, რომელიც დაიწერა ქრისტეს აქეთ 1735 წელს, ეკლესიის მოქმედ მამამთავრად ასახელებს კათალიკოს ბესარიონს.[17] ცენტრალური არქივის 1448 ფონდის, საქმე №2771, რომელიც დაიწერა თვესა მარტსა, ქრისტეს აქეთ **ჩღლვ (1736)** ბესარიონს ასახელებს, როგორც მოქმედ კათალილოსს. დოკუმენტს აზის ბესარიონის ბეჭედი.

სავარაუდოდ ბესარიონ კათალიკოსი უნდა გარდაცვლილიყო 1737 წლის მიწურულისათვის, რადგან 1738 წლის 2 თებერვალს გაცემულ დოკუმენტს, (რომელიც გამოქვეყნებულია პროფ. ნ. ბერძენიშვილის მიერ: **„ჩვენ ყოვლისა საქართველოს კათალიკოზი კირილე ამ ნასყიდობას ვამტკიცებ...“**),[18] უკვე მისი მოსაყდრე კირილე აწერს ხელს, როგორც მოქმედი კათალიკოსი.

ვახუშტი ბატონიშვილი ბესარიონ კათალიკოსის გარდაცვალებას ურთავს იქ, სადაც საუბრობს ვახტანგ VI-ის გარდაცვალებაზე. დასახელებულია 1737 წელი, ქორონიკონი 425, როგორც ვახტანგ VI-ის გარდაცვალების აღმნიშვნელი თარიღი და აქვე ჩართულია **„ხოლო მოკუდა ბესარიონ კათალიკოსი“.**[19]

ბესარიონ კათალიკოსი დაკრძალულია სვეტიცხოველში, წმინდა ნიკოლოზის ეკვდერის შესასვლელთან სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში.

---

17. H ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა. თბ., ტ.V, გვ.47.
18. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, ტ.I, გვ.275.
19. „საქართველოს ცხოვრება“. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა. თბ., 1913. გვ.141.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც დიდი პიროვნება იყო კათოლიკოსი ბესარიონი, ლიტერატურის ისტორია და საერთოდ ისტორია გვერდს ვერ აუვლის ჩვეულებრივ მოღვაწეებს და არ შემოიფარგლება მხოლოდ ტალანტებით. წმ. ილია ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს „საზოგადოება მხოლოდ იმას უნდა ეძახოდეს „ჩვენგანს", ვისაც რაიმე ღვაწლი მიუძღვის სიტყვით თუ საქმით, და თუ ეს ღვაწლი გაბრწყინვებულია, შუქშემოსილია, აქ სულერთია თქმაა ეს ღვაწლი თუ ქმნა არის რა თქმა უნდა, ერთნაირის უხვებით არ არის ყველა ამ მადლით მიმადლებული, ამად არის დიდ-პატარაობა, მაგრამ დიდი თუ პატარაა, რაკი ცოტა თუ დიდად ამ მადლის მქონეა, იგი რჩეულია მრავალთა შორის და ეს რჩეულობა არის სამართლლიანი მიზეზი და საბუთი, რომლის ძალითაც ერს შეუძლია თავმომწონებით სთქვას – **ეს კაცი ჩვენგანიაო**".

წყაროებში ბესარიონი დავით გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის „მოძღვრისა და მასწავლებლის" სახელით არის ცნობილი. მან ხელი მოჰკიდა ჰაგიოგრაფიული ხასიათის სრული კრებულის შედგენას, რადგან მანამდე იქ შექმნილი კრებულები არ იყო სრული სახის. ბესარიონი ავტორია რამდენიმე ჰაგიოგრაფიული ლიტერატურული ნაწარმოებისა. წარმოგიდგენთ ზოგიერთი მათგანის მოკლე მიმოხილვას.

<u>რაჟდენ პირველმოწამის მარტვილობა:</u> წმინდა რაჟდენი წარმოშობით სპარსი, რომელიც მოვიდა ქართლში ვახტანგ გორგასლის დროს, აწამეს სპარსელებმა ქრისტიანობის მიღებისათვის. როგორც ამ მარტვილობიოდან ჩანს, წმ. რაჟდენის თავდადება და მოთმინება ძველად აღწერილი არ ყოფილა, ამიტომ ბესარიონს ძველი მასალა კი არ გადაუკეთებია, არამედ სულ ახალი შრომა დაუწერია. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

იპყრობს ანტონ კათალიკოსის სიტყვები „მარტირიკაში“: **„ღუაწლსა პირველმოთხრობილსა განგვიახლებს ნეტარი ბესარიონ მამამთავარი“**. რას ნისნავს განგვიახლებს? აქ იგულისხმება განახლება იმ მოთხრობისა წმინდა რაჟდენის შესახებ, რომელიც მოცემულია ვახტანგ გორგასლის ისტორიაში.[20] ვრცელი შესავალი, პათოსური ადგილები და მოთხრობების თემიდან გადახვევ-გადმოხვევა დამახასიათებელი თვისებაა მისი, როგორც ყველა მეტაფრასული ნაწარმოებისა. ავტორს ხელთ ჰქონია ცხოვრებანი ქართველთანი, რომელსაც ის აგრეთვე **„ძველს მატიანეს ეძახის“**. აქედან მას ამოუღია უმთავრესი ფაქტები წმინდა ვახტანგ გორგასლის და სპარელების ურთიერთშორის დამოკიდებულებისა. მას აგრეთვე ხელთ ჰქონია დავით და კონსტანტინეს მარტვილობა, ბასილი დიდის სიტყვა 40 სებასტიელი მოწამის შესახებ და ადრიანესა და ნატალიას ცხოვრება. ესენი ყველა დამოწმებულია თვით თხზულებაში. გამოცემულია თხზულება მ. საბინინის **„საქართველოს სამოთხეში“**.[21] და თარგმნილია ლათინურად ჰ. პეტერსის მიერ.[22]

<u>ისე წილკნელის ცხოვრება:</u> ისე წილკნელის შესახებ ბესარიონ კათალიკოსამდე ჩვენ ვიცოდით მხოლოდ ის, რაც გამოცემულია ასურელ მამათა ცხოვრებაში მ. საბინინის მიერ.[23] თავისებური აკროსტიკით შეუმკია ისე წილკნელი მეჩვიდმეტე საუკუნეში ქსნის ერისთავს იესეს.[24] ჩანს, ეს ცნობა არ აკმაყოფილებდა მკითხველ

---

20. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული, ე.თაყაიშვილის რედაქციით, თბ., 1906, გ. 197-180.
21.შემოკლებით გამოცემულია სოლ. ყუბანეისვილის მიერ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატია ტ.I. თბ., 1946, გვ.233-240.
22. Analecta Bollandiana, ტ. XXXIII, გვ.294-317.
23. საქართველოს სამოთხე. გვ. 209-211.
24. იქვე 211-212.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებას. ეს მოთხოვნა დაუკმაყოფილებია ბესარიონს, რომელმაც გამოიყენა ის მასალა, რაც მის დრომდე იყო ცნობილი და ზოგი რამ თვითონაც დაუმატა. პოლემიკა, რომელსაც წმინდა ისე წილკნელი აწარმოებს ცეცხლთაყვანისმცემლების წინააღმდეგ და მისიონერული საქმიანობა, რომელსაც ის მთებში ეწევა, ამ შრომას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწარმოებად ხდის ქართულ მწერლობაში. ბესარიონის ეს ცნობა აღნიშნული საკითხით დაინტერესებული მკვლევარებისათვის უცნობია.

<u>წმ. ლუარსაბ მეფის მარტვილობა:</u> ლუარსაბ მეფე, როგორც ცნობილია, გახდა მსხვერპლი შაჰ-აბაზ პირველის ცბიერების და ძალადობისა, რომელმაც ის შირაზის ციხეში 1622 წელს მშვილდის საბლით მოაშთო. ბესარიონამდე ჩვენში არსებობდა სვინაქსარული რედაქცია წმ. ლუარსაბის მარტვილობისა, რომელშიაც მოკლედ იყო აღწერილი ლუარსაბის ღვაწლი. (საქართველოს სამოთხე, გვ. 580-582). ეს ღვაწლი იმდენად დიდი, დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი იყო ქართველების ცხოვრებაში, რომ საჭირო გამხდარა მისი დაწვრილებითი გაშუქება, როგორც ფაქტიური ისე იდეური მხარით, და აი ბესარიონს უკისრია ამგვარი შრომის დაწერა.[25] ის შეიცავს მეტად საყურადღებო ცნობას შაჰ-აბაზის შემოსევის შესახებ აღმოსავლეთ საქართველოში. ამ ცნობათაგან ბევრი რამ უცნობია ისტორიისათვის, ზოგი რამ შესამჩნევად განსხვავდება არსებული ცნობებისაგან.[26] თხზულება იწყება საკმაოდ ვრცელი შესავლით, რომელიც აზრებითაც და ფრაზეოლოგიითაც <u>მოგვაგონებს ბესარიონის სხვა აგიოგრაფიულ თხზულებას –</u>

25. გამოცემულია სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. ტ.I, გვ.407-416.

26. შეადარეთ კ. კეკელიძე „ქართველი ქალები შაჰ-აბაზ პირველის კარზე. ეტიუდები, ტ. IV, თბ., 1957, გვ. 217-226.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჟდენ პირველმოწამის და არჩილ მეფის „მარტვილობას“.[27] ანტონ კათალიკოსამდე ლუარსაბის ხსენებას დღესასწაულობდნენ ან 1, ან 20 მარტს. ანტონს ის გადმოუტანია 21 ივნისს, რადგან დიდ მარხვაში, რომელიც მარტსა და აპრილში მოდის, ეკლესიის მამებს არ განუწესებიათ წმიდანთა და მარტვილთა ხსენება.[28]

ბიძინა, შალვა და ელიზბარის მარტვილობა: ამ თხზულებაში აღწერილია ის უბედურება, რაც თავს დაატყდა აღმოსავლეთ საქართველოს მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, შაჰ-აბაზ მეორეს შემოსევის გამო. აქ მრავალი საყურადღებო ცნობაა ამ უბედურების შესახებ, რაც ოფიციალურმა ისტორიამ არ იცის. დამშვიდებით არ შეიძლება დახედოს კაცმა იმ გულშემზარავ სურათს ქვეყნის გავერანებისა და ამ სამი თავდადებული პატრიოტის ტანჯვა-წამებისას, რომელიც აქაა მოცემული. ამ სამმა გმირმა თავი დასდო სამშობლოსათვის. ავტორს, მის დროს არსებული საისტორიო მასალების გარდა შედარების მიზნით გამოუყენებია, აგიოგრაფიული ლიტერატურის ფაქტები, მაგალითად, ბიძინას გვამის ასო-ასოდ დაჭრა მას აგონებს „იაკობ დაჭრილს“, რომელი „გამობრწყინდა მათვე სპარსთა შორის“,[29] შალვას შვილისშვილს იესეს[30] შეუდგენია მათი „აკოლოთია“ ეკლესიაში სახმარებელად.[31]

ჩამოთვლილი აგიოგრაფიული თხზულებანი ბესარიონისა დაწერილია ერთი და იმავე სტილით, რომელიც მიზნად ისახავს არა ენაწყლიანობას, არამედ ისეთი სურათების დახატვას,

---

27. საქართველოს საისტორიო, გვ. 169.

28. კ. კეკელიძე, ანტონ კათალიკოსის ლიტურგიკული მოღვაწეობიდან, ეტიუდები, ტ.IV, თბ., 1957, გვ. 181.

29. საქართველოს საისტორიო, გვ. 607-608.

30. გარდაიცვალა 1739წ.

31. თხზულება დაბეჭდილია ხელ. ყუბანეიშვილის ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია ტ.I, გვ.407-416.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ადამიანის სულსა და შეგნებას აღელვებს სამშობლო ქვეყნის უბედურების წარმოდგენით. ავტორს ეს ზედმიწევნით ეხერხება. მისი ენა არის ეპიური, დარბაისლური, რომელსაც ალაგ-ალაგ ელეგიური კოლორიტი დაჰკრავს, განსაკუთრებით ქვეყნის რბევა-აოხრების და ადამიანთა ტანჯვა-წამების აღწერისას. ავტორი დიდად ნაკითხი და მცოდნე ყოფილა აგიოგრაფიული ლიტერატურისა. მის მოთხრობა-მსჯელობაში ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით აგიოგრაფიული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელ ფრაზებს, აზრებს და წინადადებებს, აგრეთვე მხატვრული ენის აქსესუარებს და მხატვრულ სახეებს, უსაზღვრო პატრიოტიზმს. ავტორი ამ შრომების ფაქტიურ მხარეზე ამყარებს თავისი ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებების მონაცემებს, როგორც, რაჟდენ პირველმოწამისა და ისე წილკნელის სახელობის „კანონებში".

ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის კალამს ეკუთვნის შრომა „**შესხმაჲ და წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისა**", **რომელიც** VIII **საუკუნეში არაბთა წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა.**

ბესარიონის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პოლემიკური ხასიათის თხზულებას „გრდემლი", რომლის სრული სახელწოდებაა:

სიტყვისგებაჲ ლათინთა მიმართ ჩვენ მართლმადიდებელთა მიერ, თუ რაჲ არს ჩუენგან მათი განყოფილება, თქმული უნდოსა და გლახაკისა ხუცეს-მონაზონისა ბესარიონის მიერ, რომელი იყო უდაბნოჲთ გარესჯით მრავალმთისაჲთ, მონასტერსა წმიდისა იოანე ნათლისმცემელისა, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების „გურდემლი";

- **„გრდემლი"**, როგორც თვითონ ავტორი უწოდებს შემოკლებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარმოადგენს პოლემიკურ თხზულებას, რომელშიც დაწვრილებითაა განხილული განსხვავებები მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებს შორის. იგი არის (შეიძლება თამამად ითქვას) პირველი ოფიციალური, ორიგინალური, პოლემიკური თხზულება მიმართული კათოლიციზმის წინააღმდეგ.[32]

„გრდემლმა“ ჩვენამდე მრავალი ხელნაწერის სახით მოაღწია. ჩვენ ვისარგებლეთ მისი ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი რედაქციით. **S-3269.**

ნაწარმოები შედგება 38 თავისაგან და ფაქტიურად წარმოადგენს 38 ბრალდებას კათოლიციზმის მიმართ. თხზულება კომპოზიციურად კარგად არის მოფიქრებული. იგი იხსნება ვრცელი შესავლით, რომელშიც ზოგადად ლაპარაკია ყველა იმ მწვალებლობათა შესახებ, რომელიც ეცის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ. მწვალბლობების განხილვას ბესარიონი ანგელოზის დაცემიდან იწყებს. შესავალს ასრულებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების განსხვავებების აღნიშვნა, როგორც დოგმატურ, ისე საღვთისმსახურო საკითხებზე. შემდგომი და ძირითადი ნაწილი თხზულებისა წარმოადგენს რომის ეკლესიის მიერ აღიარებული დოგმატების გაბათილებასა და განქიქებას. ზუსტად ეს ნაწილი აძლევს **„გრდემლს“** დოგმატურ-პოლემიკური სახელმძღვანელოს ხასიათს. ამავე დროს, იგი უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის თხზულებაცაა,

32. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბ., 1980. გვ.456; შდრ. მ. ქავთარია. ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. ტ.I. თბ., 1959 გვ.95

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელმაც შეასრულა თვალსაჩინო ისტორიული მისია ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში და ეროვნული თვითშეგნების დაცვა - გაღვივების საქმეში.

ბესარიონი საცილობელი დებულების დასამტკიცებლად ჭარბად იყენებს როგორც „წმინდა მოციქულთა" ქადაგებებს, ისე „ღმერთშემოსილთა კაცთა" თხზულებებს. განსაკუთრებით იხსენიებს ბესარიონი გრიგოლ საკვირველთმოქმედს, ბასილი დიდს, ათანასე დიდს, „ყოვლისა მნათბს" იოანე ოქროპირს, იოანე დამასკელს, იგივე „ოქრონექტარს" და სხვათა, მაგრამ ის განსაკუთრებულად უხმობს მოციქულებს: პავლეს, პეტრეს, იუდას (არა იმას რომელმაც გასცა იესო), იაკობს და ა.შ. საგულისხმოა ასევე ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები, განსაკუთრებით კი დავით მეფსალმუნე. ბესარიონი გვაძლევს წმინდა წერილის ზოგიერთი მუხლის ისეთ განმარტებებს, რომლებიც სხვა განმმარტებლებთან არ გხვდება. საყურადღებოა, რომ ბესარიონი იჩენს ორიგინალობას და მისი შრომა არ არის დამყარებული ფოტი პატრიარქის ან სხვა მოკამათეების შრომებზე, ამ სიტყვის ძალზე ვიწრო გაგებით. ბესარიონის ნაშრომი არ წარმოადგენს გამეორებას, ან, უკეთეს შემთხვევაში, პერიფრაზს სხვა რომელიმე სპეციალური თხზულებისას.

იძლევა რა საღმრთო წერილის სხვადასხვა ადგილების საკუთარ განმარტებებს და იმოწმებს საეკლესიო ავტორიტეტებს, ბესარიონი კატეგორიულად აცხადებს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხოლო ძისაგან გამოსვლით არა თქმული არს, არცა ვის აღწერით დაუტევებიეს, არამედ მამისაგან, ვითარცა შობა ძისა, ეგრეთვე გამოსვლა სულისა მისგანვე მამისა, რამეთუ მამა არს მიზეზი შობისა და გამოსვლისა“-ო.

აღსანიშნავია, რომ თქმულის დასადასტურებლად ბესარიონი იმოწმებს და განმარტავს სახარების სწორედ იმ მუხლებს, რომლებსაც იმოწმებენ ლათინთა თეოლოგები, როგორც მათთვის საიმედო არგუმენტს.

ავტორი იყენებს აგიოგრაფიის ისტორიიდან ყოველგვარ ცნობას, რომელსაც გარკვეული წონა ენიჭება საკამათო თეზის დადებითად გადასაჭრელად. მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებით, ცხოვრებით გრიგოლ აკრაკანტელისა, გრიგოლ ღვთისმეტყველის შესხმით და სხვათა მოხმობით **„გრდემლში“** დარღვეულია რომის ეპისკოპოსის განდიდების სურვილი და მანია. ბესარიონი საფუძვლიანად და ამომწურავად განიხილავს საკითხს რომის პაპის პრიმატობის თაობაზე. მას მაგალითად, რამდენიმე სხვა მაგალითთა შორის, მოჰყავს **გიორგი მთაწმინდელის** დისპუტი ანტიოქიის პატრიარქთან. საერთოდ უნდა აღინიშნოს ავტორის ტენდენცია, - ყოველთვის სიამოვნებით გამოიყენოს და წინა პლანზე წამოწიოს ყოველივე, თუკი შესაძლებელია რაიმე დებულების გაკრიტიკება ან დადასტურება ქართული ეკლესიის ისტორიიდან და პრაქტიკიდან.

ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობასთან ერთად ბესარიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ღვთისმოსაობით გამოირჩეოდა. ქართულ წერილობით წყაროებში იგი „ნეტარად“ და „სანატრელად“ იხსენიება. ასეთი ეპითეტით მას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ პირველი საქართველოს ეკლესიის წმინდანებისადმი მიძღვნილ ნაშრომში („მარტირიკა“) მოიხსენებს.[33]

33. ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, გამოკვლევა, ლექსიკონი, და სახიერები დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ. თბ1980 წ. გვ. 34, 49, 54-59..

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჯულისდებად და ახალი სარწმუნოებად, რომელი არა მოცემულ არს ჩვენდა წმიდანთა მოციქულთა და წინადასწარმეტყველთა, მახარებელთა და ჭეშმარიტთა მოძღვართა, მას ქადაგებენ და მასვე ასწავებენ და თავნი თჳსნი უბრძენეს ბრძენთა მათ საკვირველთა და უწმინდეს წმიდათა მათ პირველთა და უღვთისმეტყველეს დიდთა მათ ღმრთისმეტყველთა შეურაცხიეს და მათითა მით სჯულის–დებითა ყოველთა დაჴსნიან და თანაწარჴდებიან, თჳთ თავით თჳსით. მოძღვრიან, ასწავებენ და გარდააქცევენ გონებასა მარტივთა და წრფელთა და შეიტყუებენ უმანკოთა და უსწავლელთა.

ამისათჳს დავკრძალე პირი ჩემი და დავიდევ საცოდ ბაგეთა ჩემთა სიტყვისაებრ დავითისა: **„დავყრუვდი და დავმდაბლდი და დავდუმენ მე კეთილთაგან და სალმობად ჩემი განმიახლდა. განხურდა გული ჩემი შორისჩემსა და ზრახვასა ჩემსა აღატყდა ცეცხლი“** (ფსალმუნი 38,2), რამეთუ სიტყვანი მათნი ვითარცა ისარნი განეწონნეს გულსა ჩემსა და არა მცირედ შესწევდა სულსა ჩემსა. ამისათჳს სულთვითქუმდ მარადის და ვიტყოდე: „ჰოი მე რამეთუ წარწყმდა ღვთისმოშიში ქუეყანით და განკრძალული კაცთა შორის არღარა არს“ (მიქეა 7,2), **„ყოველთავე მიაქციეს ერთბამად და უჴმარ იქმნეს, არავინ არს,რომელმანცა ქმნა სიტკბოება. არავინ არს მიერთამდე, არა გულისხმაყონ ყოველთა, რომელნი იქმან უსჯულოებასა“** (ფსალმუნი 13,3).

აწ ძნიად სამე და უკანასკნელ აღვაღე პირი და მოვიღე სული სიტყჳსაებრ წერილისა და ვიწყე კნინ ოდენ მეტყველებად. არა სიბრძნითა კაცობრივითა, არცა ფილოსოფოსებრ, **„რამეთუ სიბრძნე ამის სოფლისა სიცოფე არს წინაშე ღვთისა“** (I კორინთელთა 3.19)

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიბრძნესა ღმრთისასა არა უჴმს სიბრძნე კაცობრივი, რამეთუ ძალი მისი უსაზღ[ვ]რო სრულ იქმნების უძლურებასა შინა კაცთასა, ვითარცა ეტყოდა პავლეს და სიბრძნე იგი მისი მიუწდომელი სულელთა შორის ცხადად საცნაურ იქმნების, ვითარცა წერილ არს: **„წარვსწყმიდო სიბრძნჱ იგი ბრძენთაჲ და მეცნიერებაჲ იგი მეცნიერთაჲ შეურაცხ-ვყო. საჲა არს ბრძენი? საჲა არს მწიგნობარი? საჲა არს გამომეძიებელი იგი ამის სოფლისაჲ? ანუ არა განაცოფა ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისაჲ? რამეთუ ვინაჲთგან სიბრძნითა მით ღმრთისაჲთა ვერ იცნა სოფელმან სიბრძნითა თჳსითა ღმერთი, ჯერ-იჩინა ღმერთმან ქადაგებითა მით სისულელისაჲთა ცხოვრებაჲ მორწმუნეთა მათ“** (I კორინთელთ 1,19)

აწ მეცა, შედგომილი სწავლასა მას სულელთასა, ვიტყჳ მცირედსა რასმე და კნინ ოდენსა სულელისაგან და უსწავლელისა გონებისა ჩემისა,სიბრძნესა მას ღმრთისასა საიდუმლოდ დაფარულსა.

ხოლო არარასა ვიტყჳ თავით თჳსით და გულისჴმისყოფითა თჳსითა, არცა გარეშეთა რაჲთმე შემოღებითა, არამედ მათვე წმიდათა მოციქულთა და ყოვლად ბრძენთა წინაწარმეტყველთა და ღმერთშემოსილთა მამათა მიერ თქუმულსა შემოვიღებ, რათა არავინ ჰგონოს ჩემ მიერ - უცებისა და უსწავლელისა მიერ თქუმულად, არამედ მთელ წმიდათა და ნეტართა პირთაგან დაცვივნებულსა ნაბჭევსა შემოვკრებ და თჳთ თავადისა ქრისტეს მიერ უხუჱბით დამოდინებულსა ცუარსა მოძღურებისასა სახედ ღრუბლისა ზრქელისა გონებისა ჩემისა მიერ აღმოვიწრედ და ნაბჭევსა მას მათსა ცხოველსმყოფელსა შეჰვკრებ, მძიმედ სატჳრთველსა ამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუამსა შინა ჩემსა, ვითარცა იგი მაშინ წმიდანი მოციქულნი გოდრითა მტჯრთველ იქმნნეს ნამუსრევსა მას, რამეთუ ძალუც მას, რომელმან იგი მაშინ ხუთთა პურთა მიერ ხუთი ათასნი განაძღნა. და შემდგომად განძღომისა ესოდენისა ერისა ნამუსრევითა აღვსებად მრავალთა გოდორთა, ეგრეთვე ძალუც უჴმართა საჴმარყოფად და უსწავლელთა განბრძნობად, ვითარცა ძველ ოდესმე პირუტყჴცა მამხილებელ ყო უგუნურებასა მას მისანთასა.

ხოლო ესე ყოველთა მიერ საცნაურ არს, რამეთუ საღმრთოთა წერილთა მიერ ძუძლისა და ახლისა სჯულისა მოძღურებითა სავსე არს ყოვლისა სოფლისა ეკლესიანი, ვითარცა მზისა ბრწყინვალებისაგან და ვითარცა ჰაერისა ამის განფენილისა, რომლისა მიერ აქუს ყოველთა ცხოველობად და ვითარცა მდინარეთა ცხოველსმყოფელთა. ვითარცა წერილ არს: **„წყალთა მრავალთა დაფარნეს პირი ყოვლისა სოფლისა“**, ეგრეთ სავსე არს, ვითარცა ვთქუ ყოველი ეკლესია საღმრთოდთა მოძღურებათა მიერ და არღარა საჴმარ არს ახალთა რათმე აღწერად, გინა გამოთქმად: უკუთუ ოდენ კეთილად და გულისხმისყოფით და სარგებელად ვინმე იკითხვიდენ, გინა თუ ისმენდენ.

არამედ არიან კაცნი, რომელნი არა მიხედვენ საღმრთოთა წერილთა, არცა გულისჴმისყოფით და შიშით გამოეძიებენ, არამედ სრულიად დაბრმობილ არიან, ვითარცა თვალტკივნულნი ბრწყინვალებისა მიმართ მზისა.

ამისათჳს იტყჳს წინაწარმეტყველი: „უგუნური და უცნობად ერთბამად წარწყმდენ. და ვითარცა საცხოვარნი ჯოჯოხეთსა მიეახლნეს და სიკუდილი მწყსიდეს მათ ზედა“ (ფსალმუნი 48,14).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო არიან სხუანი, რომელნი იკითხვენ და არა გულისჴმისყოფით გამოიკულევენ, არცა ზედამიწევნით გამოეძიებენ და პირუტყვთაებრ არა წმიდათა მათდა მიცემულსა საზრდელსა მსგავსად აღმოცოხნით არა დააწულილებენ, არამედ განურჩევლად შთანთქმენ. მათთჳს იტყჳს საღმრთო წერილი: **„წყეულ იყავნ კაცი იგი, რომელმან უღებებით ყოს საქმე ღმრთისა“** და კუალად წერილ არს: **„ვიხილენ უგულისხმონი და დავდნებოდე“.**

კუალად არიან კაცნი, რომელნი სურვილით იკითხვენ და გულს-მოდგინედ ისმენენ, არამედ არა სარწმუნოებით, არცა კრძალულებით გამოეძიებენ, არამედ თავით თჳსით გარდააქცევენ და სხუად სახედ გარდაგულარძნიან და მსგავსად გონებაცდომილებისა მათისა, ვითარცა ენებოს ეგრეთ სთარგმნიან. ესე ვითართათჳს იტყჳს წინაწარმეტყუელი: **„წყეულ არიან, რომელთა გარდააქციეს მცნებათაგან შენთა“** (ფსალმუნი 118,21) და კუალად ესაიას მიერ იტყვის წინაწარმეტყუელისა: „ვაჲ მათდა, რომელთა მდინარე წმიდაჲ შემდგომად სუმისა მათისა ფერჴითა მათითა აღამრღვნიან და ნათრგუნევსა ფერჴთა მათთასა ცხოვართა ჩემთა ასუმდიან“.

ხ ოლო არიან სხვანი რომელნიმე კაცნი, უკეთუ აწ არიან სადმე, რომელნი გულისჴმისყოფით გამოეძიებენ და მრავლითა სურვილითა გამოიკულევენ და ზედამიწევნით ისმენენ და გულისჴმაყოფენ საღმრთოთა წერილთა და აღმოიცოხნიან და დააწულილებენ მსგავსად საცხოვართა წმიდათა და განიძღებენ სურვილსა თჳსსა.

ა მათ ნატრის სულიწმიდაჲ და იტყჳს: **„ნეტარ არიან, რომელნი გამოიკულევენ წამებათა მისთა, ყოვლითა გულითა გამოიძინენ იგი“** (ფსალმუნი 118,2) და თჳთ თავადი ქრისტე ბრძანებს: **„არამედ ნეტარ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან რომელთა ისმინონ სიტყუაჲ ღმრთისა და დაიმარხონ და ყონ იგი“, არამედ მტერი ბოროტი მარადის უმზირის თითუცულად კაცად-კაცადსა, და ზოგად ყოველთა დაბადებულთა, თუ ვითარ სადმე ჰპოვოს თესლთა კეთილთაგანი დათესული მუშაკისა მიერ კეთილისა და შეუთესოს ღუარძლი იფქლსა შორის, იგავისა მისებრ სამეუფოჲსა: „მსგავს არს სასუფეველი ღმრთისა კაცსა, რომელმან დასთესა თესლი კეთილი აგარაკსა თჳსსა და ვითარცა დაიძინეს კაცთა, მოვიდა მტერი მისი და დასთესა ღუარძლი შორის იფქლსა მას და წარვიდა. ხოლო ოდეს აღმოსცენდა ჯეჯილი იგი და ნაყოფი გამოიღო მაშინ გამოჩნდაღუარძლი იგი; მოვიდეს მონანი იგი და უთხრეს სახლისა უფალსა მას და ჰრქუეს: უფალო, ანუ არა თესლი კეთილი დასთესეა აგარაკსა შენსა, ვითარ აღმოსცენდა ღუარძლი?

ხოლო მან ჰრქუა: მტერმან კაცმან ყო იგი. ხოლო მონათა მათ ჰრქუეს მას: გნებავსა, რათა მივიდეთ და გამოვარჩიოთ იგი? ხოლო მან ჰრქუა მათ: არა, ნუუკუჱ შეკრებასა ღუარძლისასა აღმოვფხურათ იფქლიცა. აცადეთ იგი თანა — აღორძინებად ურთიერთას, ვიდრე ჟამადმდე მკისა და ჟამსა მკისასა უბრძანო მომკალთა მათ: შეჰკრიბეთ პირველად ღუარძლი იგი და შეჰკართ ძნეულად, რათა დაიწუას იგი, ხოლო იფქლი იგი შეჰკრიბეთ საუნჯესა ჩემსა“.

ხოლო თავიდანვე გამოგუცხადა იგავისა ამის განმარტებაჲ და თქუა: „რომელი სთესავს თესლსა კეთილსა, ძე კაცისა არს; ხოლო აგარაკი იგი ესე სოფელი არს: ხოლო თესლნი იგი კეთილნი — ესე არიან ძენი სასუფევლისანი და ღუარძლნი იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან ძენი უკეთურებისანი. ხოლო მტერი იგი, რომელმან დასთესა იგი, ეშმაკი არს და მკა იგი არის აღსასრული ამის სოფლისა და მომკალნი იგი არიან ანგელოზნი. ვითარცა-იგი შეკრიბიან ღვარძლი და ცეცხლითა დაწუვიან, ეგრეთ იყოს აღსასრული ამის სოფლისა, რამეთუ მოავლინნეს ძემან კაცისამან ანგელოზნი თვისნი და შეკრიბნეს სუფევისაგან მისისა ყოველნი საცთურნი და მოქმედნი უსჯულოებისانი და შესთხინეს იგინი საჴმილსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენა კბილთა.

მაშინ მართალნი გამობრწყინდნენ ვითარცა მზე სასუფეველსა მამისა მათისასა" (მათე 13,24).

ხოლო ესე ყოველი იგავი ვითარცა გესმა მწვალებელთა ზედა თქუმულ არს, რამეთუ დასაბამითგან მტერი იგი — ბოროტი ეშმაკი, არა დაცხრების ჟამად-ჟამად თესვად თესლისა ბოროტისა მორჩილთა მისთა შორის, რამეთუ არა ოდეს ყოფილ არს არცა ჟამი, არცა დროჲ დასაბამითგან ვიდრე აქამომდე, არცა ძუძლთა შინა სჯულთა, არცა-ახალთა, არცა პირველ ქრისტეს-მოსავთა, არცა შემდგომად ქრისტესა, რომელთამცა შორის არა დასთესნა საცთურისა თჳსისა და წვალებისა გესლნი.

რამეთუ ვინაჲთგან ერთგზის დაემჴუა მთავრობისაგან თჳსისა და პატივისა და მიეღო[34] პირველი იგი ბრწყინვალებაჲ გარდამოითხია რაჲ ქუაყანად და სამკჳდრებლად მიეცა ქუეშსკნელს, ცეცხლი ჯოჯოხეთისა.

მერმე მოიგონა სიბრძნით დამბადებელმან და განმგებელმან ყოვლისმან, მრავლითა მოწყალებითა და მიუწდომელითა

34. წაერთვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახიერებითა თჳსითა — კაცი მიწისგან და შთაბერა სული ცხოველი და შეაერთა უხილავი და ხილული და ესე დაამკჳდრა სამოთხესა მას საშუჱბელისასა და მისცა სჯული და მცნებაჲ, რათა იმარხვიდეს ბრძანებათა დამბადებელისა თჳსისათა და მიზეზითა ამით მცირედთა მცნებათა დამარხჳთა ენება მეუფჱსა კაცისა მის უხრწნელად და უკუდავად აღყვანებაჲ ზეცისა დიდებასა, ადგილსა მას ვინა-იგი გარდამოითხია პირველი მთიები.

ესე შეშურდა მტერსა ბოროტსა და შეუჴდა გულსა ევასა და ეზრახა გუჱლისა მიერ და რაჲთაცა თჳთ დაცემული იყო ამპარტავნებითა, იგიცა განმღრთობისა ქადებითა აცთუნა და გამოჴადა სამოთხისა მისგან საშუჱბელისა და დაემკჳდრა ადამ ჭირ-მრავალსა და საშრომელსა ამას სოფელსა და უკუდავებისა წილ მოკუდავ იქმნა და ზეცად აღსლვისა წილ მიწად მიიქცა.

მიერითგან დაიპყრა ნათესავი ადამისი მტერმან ბოროტმან და თითო-სახეთა საცთურთა და საფრჴეთა შთაყარნა ნათესავი მისი. მერმე აღადგინა კაენ აბელის ზედა და ძმა ძმისა მიერ მოაკუდინა და ასწავა კაცთა შური და მტერობაჲ, ზაკუა და ორგულებაჲ, კაცის კლვაჲ და მრუშებაჲ. და მერმე ბილწებით შეაგინა ყოველი ადამიანი თვინიერ მართლისა ნოესა და ძეთა მისთა, რომელნიცა დაიცუნა ღმერთმან კიდობნისა მის მიერ და სხუათა ყოველთა ზედა მოაწია წყლით რღუნაჲ და წარირღუნა ყოველი აღმდგომი. მერმე აღძრა ძე მისი ქამ სიცილად მამასა თჳსსა ზედა, რათა უჴმარად გამოაჩინოს სიმართლე ნოესი, რომლითაცა წყევისა ქუჱშე დაისაჯა ნათესავი ქამისი.

მერმე დიდი აბრაჰმ, ისააკ და იაკობ მრავალფერითა და თითო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახითა ჭირითა განსცადა და იობ მართალი ცხადად გამოითხოვა და მრავალი ბოროტი მოაწია მის ზედა, რაჲთამცა ღმრთისმსახურებაჲ მათი შეანანა და უჴმარ-ყო. ეგრეთვე შემდგომითი-შემდგომად ყოველნი წინაწარმეტყუელნი მრავალფერითა ჭირითა და ღვაწლითა გამოსცადნა მიშუᲫბითა ღმრთისათა, რათა ჩნდენ წმიდანი მისნი ვითარცა ოქრო რჩეულნი განსაცდლითა ბრძმედითა გამოდნობილნი და ცრუნი იგი დაისაჯნენ. ხოლო ცრუ წინაწარმეტყუელნი უმრავლესნი აღადგინნა მათ შორის, რათამცა მათი იგი ჭეშმარიტი წინაჲსწარმეტყუელებაჲ მტყუვრად გამოაჩინნა; ვითარცა მოსესთჳს წერილ არს, რამეთუ: რაჟამს ჰყოფდა ნიშებსა და სასწაულებსა საკჳრველსა ეგჳპტეს შინა, მაშინ მისანნი და ქურუმნი ეგვიპტისანი უმრავლესსა ჰყოფდეს მსგავსადვე მოსესა დადუმებად მოსეს მიერ ქმნილთა მათ საკვირველებათა. და სხუათა მათ შემდგომთა წინაწარმეტყუელთა და მართალთა აღუდგინნა შური და მტერობაჲ მტერთა მიერ ჭეშმარიტებისათა.

ხოლო ვინათგან არა იქმნა კურნებაჲ სენისა ამის ბოროტისა, არცა ჴსნაჲ კაცთა ნათესავისა, თჳთ, თავადი იგი სიბრძნე ღმრთისა, ხატი და ძლიერებაჲ მამისა, თანადაუსაბამო და თანაგანმგებელი, ბუნებით თანასწორი ძე და სიტყუა ღმრთისა, თჳთ ღმერთი ჭეშმარიტი მოვიდა ზეცით ქუეყანად მიღებად ბუნებისა ჩუენისა და ჴორცთა ამათ, მტერისა მიერ მოუძლურებულთა და დათრგუნვილთა შემოსად, რათა უძლურითა ამით ჴორცითა დასცეს ძლიერი იგი მოქადული. რამეთუ ყოვლითურთ გუᲫმსგავსა, რათა ადამიანად გამოჩინებითა განდგომილი იგი მტერი შეიტყუოს და დამცემელი ადამისი დასცეს და შემუსროს და ჩუენ მოგუცეს ძლევა, და ვითარცა იგი იქადოდა ჩუენ ზედა, ეგრეთვე ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქადოდეთ მას ზედა. ხოლო მოგუცნა სჯული და მცნებაჲ, რათა არღარა ვჰმონებდეთ მტერსა ბოროტსა, არამედ დამარხვითა მით სჯულისათა ვჰმონებდეთ უფალსა. ხოლო იგი (ეშმაკი) დაღაცათუ მოუძლურდა, დაეცა და შეიმუსრა, არამედ მცირედ ჟამ, კუალად ცხოველ არს გამოსაცდელად მონათა ღმრთისათა, რათა ბრძოლითა და მტერობითა მისითა გჳრგჳინოსან იქმნენ წმიდანი და რჩეულნი მისნი და დაისაჯნენ უღირსნი და თანაშემწენი უღმრთოებისანი და ამით გამოჩნდნენ მორჩილნი ღმრთისანი და ურჩნი და გარდამავალნი სჯულისანი სირცხჳლეულ იქმნენ.

Ამისათჳს არა დასცხრების მტერი იგი, ვითარცა ვთქუ თესვად ღვარძლისა იფქლსა მას შინა სარწმუნოებისასა პირველ ქრისტეს მოსლვისა და შემდგომად ქრისტეს განკაცებისა. ხოლო ოდეს მოვიდა ძე ღმრთისა, მოლოდებაჲ იგი წარმართთა. მაშინ უმრავლესნი ღონენი აღძრნა და ეკუჱთა კლდესა მას ცხოვრებისასა და შურად აღუდგინნა ჰურიანი და ეგრეთვე მტყუვარნი ქრისტენი აღადგინნა. ვითარცა ჰეროდე, რომელი იგი უჴმობდა თავსა თჳსსა ქრისტედ. მერმე სიმონ მოგჳ და იგიცა ძედ ღმრთისად იტყოდა თავსა თჳსსა და მრავალსა სასწაულსა ჰყოფდა შეწევნითა ეშმაკისათა და განაკჳრვებდა მრავალთა, რომელიცა დაიჴსნა და განქარდა წმიდისა მოციქულისა პეტრეს მიერ. და მერმე კჳნობ გ'ძნეული, მოციქულისა და მახარებელისა იოანეს მიერ დაინთქა. და წმიდისა პავლეს მიერ მრავალნი წინააღმდგომნი, ვითარცა ალექსანდრე მჭედელი და ელჳმას მოგჳ, და სხუათა მათ მოციქულთა თითუჱულად ცრუ მოციქულნი და წინააღმდგომნი, რომელნიცა წინა აღუდგეს და აბრკოლებდეს. და რაღა სხუაჲ, თჳთ ათორმეტთაგანი მოციქული ერთი განმცემელ-ყო და სამეოცდაათნი, რომელნი გამოირჩინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტემან, ორი მათგანნი კერპთმსახურებად მიაქცინა, და შუდთა დიაკონთაგანი მოციქულთაგან გამორჩეულნი, ერთი, რომელსა ეწოდა ნიკოლოზ, წვალებასა ბოროტსა შთააგდო. ამისათჳს იტყჳს წმინდა მახარებელი იოანე: **„ჩუენგან განვიდეს,არამედ არა იყვნეს ჩუენგანნი, რამეთუ, უკეთუმცა ჩუენგანი იყვნეს, და-მცა-დგრომილ იყვნეს ჩუენ თანა, არამედ, რაჲთა ცხად იყვნენ, რამეთუ არა არიან ყოველნი ჩუენგანნი“** (I კათოლიკე იოანესი 2,19). და წმიდაჲ მოციქული პავლე იტყჳს: **„რამეთუ წვალებაცა ყოფად არიან თქუენ შორის, რაჲთა რჩეულნი იგი თქუენ შორის გამოჩნდნენ“** (I კორინთელთა 11,19) და კუალად ოდეს წამებად ეგულვებოდა ნერონის მიერ, შემოკრიბნა ხუცესნი ეკლესიისანი და შემდგომად მრავლისა სასწაულისა ეტყოდა: **„აჰა მე უწყი ესე, რამეთუ შემოვიდენ თქუენდა შემდგომად განსლვისა ჩემისა მგელნი მძიმენი, რომელნი არა ერიდებოდიან სამწყსოსა. და თჳთ თქუენგანნი აღდგნენ კაცნი, რომელნი იტყოდიან გულარძნილსა, რაჲთა განადგინნენ მოწაფენნი შედგომად მათდა.“** (საქმე 20,29) და ესრეთ ყოველსა ჟამსა არა დასცხრა მთესვარი იგი ღუარძლისა შერყევად ეკლესიისა და განრყუნად სამწყსოთა ქრისტესათა. და კუალად აღადგინა ეშმაკმან მრავალნი მწვალებელნი, ვითარცა კორინთოს ვინმე და ნიკოლოზ და მარკიონ მიმსგავსებულნი სიმონ მოგჳსანი, და იგინიცა განაქარვნა ძალმან ქრისტეჲსამან და არავე დაიდუმა ეშმაკმან მან ბოროტმან, არამედ კუალადცა აღადგინნა მეფენი მეკერპენი და დევნულებაჲ დიდი ქმნა ქრისტეანეთა ზედა და იგიცა დევნულებაჲ ძალმან ქრისტეჲსამან განაქარვნა და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან ეკლესიათა, სიტყჳსაებრ უფლისა.

მაშინ კუალად სხუანი მწვალებელნი აღადგინა ეშმაკმან: მანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მუნტანიოს, რომელნი იტყოდეს თავთა თჳსთა, ვითარმედ: ჩუენ ვართო ნუგეშინისმცემელნი იგი, რომელი თქუა ქრისტემან მოვლინებად თჳსთა მოწაფეთა. და სხუანი მრავალნი გმობანი თქუნეს, რომელი დაიჴსნა და განქარდა, იგიცა ძალითა ქრისტესაჲთა და წარვიდა სპარსეთს და მრავალნი გმობანი დასთესა მათ შორის. და მიერითგან, ოდეს სრულიად განქარვებაჲ ვერ უძლო ქრისტეანობისა ბოროტმან ეშმაკმან ესე მოიპოვა ღონე დათესვად ღუარძლისა თჳთო სახისა წვალებისასა, რათა ბრძოლანი იგი, რომელნი იყუნეს კერპთმსახურებასა შინა შემოიღოს ღვთისმსახურებასაცა შინა, რამეთუ მარადის მთესველი არს ღუარძლისა უკეთური იგი.

ამისთჳსცა განქარდა რაჲ წვალებაჲ იგი მანისი და მუნტანიოსი და ნავატისი, გამოაჩინა წვალება იგი არიანოზთა ბოროტი და სულთა წარმწყმედელი, რომლისა წინამძღვარი იყო არიოზ, ევნომიოზ და აეტი, ევსევი, ევდუქსი და სხვანი მრავალნი მგმობნი ძისა ღმრთისანი, რომელნი განყოფდეს არსებასა და ბუნებასა ღვთაებისასა მამასა და ძესა და სულსა წმიდასა სხუად და სხუად არსებად იტყოდეს. რამეთუ ამან ბოროტმან არიოზ წიგნისაგან ორიგენესა მიიღო წვალებაჲ ესე: რამეთუ ორიგენე[მ] დაწერა: მამა უფროჲს არს ძისაო, ძე-სულისა წმიდისა, ვითარცა სული-წმიდა-ანგელოზთა. და ანგელოზნი—ჩუენ კაცთაო. ესრეთ აღმართა კიბე გმობისა. არა თუ ცად აღმყვანებელი, არამედ ჯოჯოხეთად შთამყვანებელი. ამის ბოროტისა გმობისაგან შეშინებულმან საბელიოზ შერევნით თქუა გუამოვნებაჲ წმიდისა სამებისა, და შერწყმით და შერევნით აღიარა.

და მათ თანა გამოჩნდა აპოლინარიცა, რომელი ჰგმობდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტყოდა ვითარმედ: არა მიიღო ქრისტემან სრულებით ბუნებაჲ კაცთაო, არამედ უსულოდ და უგუნებოდ იტყოდა ჴორცთა ქრისტესათა.

ამას ზედა აღადგინა მაკედონიოსცა, მგმობარე სულისა წმიდისა და თანასწორად მამისა და ძისა არა აღიარებდა სულსა წმიდასა, არამედ უძლეველმან მან ძალმან ქრისტეჲსამან ყოველნი იგი მგმობარენი უჩინო ყვნა და არა სადა იპოების დღეს საჴსენებელი მათი არიანოზთა და მაკედონიანოზთა, მბრძოლთა მათ ღმრთეებისათა. მათ თანა განქარვებულ არს საბელიოზცა, შერევნისა მეტყუელი და ყოველნი მსგავსნი მათნი.

ესრეთ რაჲ მოუძლურდა უძლური და მყრალი ვეშაპი, კუალად მოიპოვა სხუათა წვალებათა ღვარძლი, რათა განკაცებაჲ ქრისტესი არამართლმადიდებლობით იქადაგებოდეს და ჴელყო განყოფად ჴორცთა ქრისტესთა ღმრთეებისაგან და ერთსა მას ქრისტესა ორად განჰკუეთდა. ამის განკუეთილებისა და განყოფისა მიზეზ და წინამძღუარ იქმნნეს თევდორე ვინმე ანტიოქიელი და დიოდოროს ტარსუსელი, რომლითგან, ვითარცა ძირი სიმწარისა და ნერგი საეშმაკო აღმოსცენდა ნესტორი და იქმნა ეპისკოპოზ კოსტანტინეპოლისა. და განიდევნა რაჲ კრებისა მიერ თჳსისა საყდრისაგან ბოროტისა მისთჳს წვალებისა შუამდინარისა კერძოთა წარვიდა და მუნ დასთესნა გესლნი თჳსისა გმობისანი და ყოველივე აღმოსავლეთისა კერძო შეაგინა.

ამას ბოროტსა წვალებასა ზედა სხვაჲცა აღადგინა ეშმაკმან, მსგავსი მისი სიბოროტისა. დაღაცათუ სიტყჳთა წინააღმდგომად ჩანს, რამეთუ ვითარცა პირველთა მწვალებელთა ზე არიოზ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბელიოზ წინა აღმდგომ იყუნეს ურთიერთას, რამეთუ არიოზ ერთსა მას ბუნებასა და არსებასა ღმრთეებისასა განყოფდა და განჰკუეთდა, ხოლო საბელიოზ სამთა მათ გუამთა წმიდისა სამებისასა ერთად შეჰრევდა, შერწყუმიდა და ორნივე შეიჩუეწნეს და საუკუნოდ დაისაჯნეს.

Ეგრეთვე უკუე აქაცა იქმნნა, რამეთუ უღმრთომან ნესტორ ორად განყო ქადაგებაჲ ქრისტეს განკაცებისა და ორად გუამად იკადრა თქმად: —განყოფილად ღმრთეებაჲ და განყოფილად კაცებაჲ ქრისტესი. ამისთჳსცა ღმრთისმშობელსა უარჰყოფდა და ქრისტეს მშობლად იტყოდა წმიდასა მას ქალწულსა, ვითარცა განყოფილად იყო ღმერთი და განყოფილად ქრისტე. ხოლო ვინაჲთგან მადლითა ღმრთისაჲთა ნეტარისა კჳრილეს მიერ და სხუათა წმიდათა მამათა შეიჩუეწნა და განვარდა ბილწი იგი.

Შემდგომად რავდენთამე ჟამთა გამოჩნდა კოსტანტინეპოლს მონაზონი ვინმე უღმრთოჲ არქიმანდრიტი მონასტრისა სახელით ევტიქი. ამან უკეთურმან აღმოიკითხნა წიგნნი მანიქეველთანი, უვალენტიანთანი და მარკიანელთანი და არიანოზთანი და მათგან ისწავნა ყოველივე ბოროტი. ამისთჳსცა აღმოსთხია მწარისა მისგან გულისა თჳსისა სიმყრალე ბოროტი. და იტყოდა, ვითარმედ: საოცარ იყო განკაცებაჲ ქრისტესი ამისთჳსცა არა აღიარებდა, არცა შეიწყნარებდა ორთა ბუნებათა ქრისტეჲსასა, არამედ ერთსა ბუნებასა და ერთსა საქმესა და ნებასა იტყოდა ღმრთეებისა და კაცებისა მისისასა და წმიდასა მას ქალწულსა არცა იგი აღიარებდა ღმრთის მშობლად, არამედ საოცრად იტყოდა მისგან შობილსა მას ქრისტეს ღმერთსა ჩუენსა. ესმა მისი დიოსკოროს —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრიის პატრიარქსა და ისწავა მისგან წვალებაჲ იგი მისი ბოროტი და მანცა უვარ ყო ორი ბუნებაჲ ქრისტესი.

ამას ზედა შეკრბეს ქალკედონს ექუსას ოცდაათნი მამანი და შეაჩუენნეს ევტიქი და დიოსკოროს და განდევნეს იგინი წმიდისა კათოლიკე ეკლესიისგან.

რამეთუ ვითარცა ვთქუ, ბოროტნი იგი მწვალებელნი, არიოზ და საბელიოზ, წმიდისა და ერთარსისა სამებისა მგმობელნი, ურთიერთას წინა-აღმდგომსა იტყოდეს, არამედ ორნივე მთხრებლსა წარწყმედისასა შთაჴდნენ. რამეთუ არიოზ, ბილწმან ბუნებათა და არსებათა განყოფილებაჲ თქუა წმიდისა სამებისა. ხოლო საბელიოზ გუამთა და თჳთებათა შერევნა და შერწყმა თქუა. ეგრეთვე ნესტორ და მიმდგომთა მისთა, და დიოსკორე და ევტუქი და მიმდგომთა მისთა — ურთიერთას წინააღმდგომნი თქუნეს. არამედ ორნივე წარწყმდეს და შეიჩუცნნეს: რამეთუ ნესტორ ურჯულომან განჴორციელებული ძე ღმრთისა გმო და ორ ძედ და ორ გუამად აღიარა. განყო და განაშორა ბუნება ღმრთეებისა და კაცებისა გუამითა და პირებითა ხოლო დიოსკორე ერთად შერია და შეარწყა ბუნებაჲ ღმრთეებისა და კაცებისა და ერთი ბუნებაჲ თქუა.

ესრეთ ორნივე მწვალებელნი მიმდგომთა მათთა თანა შეიჩუცნნეს და განიჴადნეს წმიდისა კათოლიკე ეკლესიისგან. და განიწმიდა ეკლესია ქრისტესი ღვარძლისგან და მთესველი ღვარძლისა ყოვლად ბოროტი ეშმაკი სირცხვილეულ იქმნა და იყო დიდსა მშჯდობასა და ერთობასა შინა ეკლესია ქრისტესი მრავალ ჟამ.

არამედ არა დასცხრა მთესველი იგი ღუარძლისა, დასაბამი ბოროტთა ეშმაკი. ვერცა თავს იდვა ესოდენი მშჯდობაჲ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობაჲ.

Კუალად აღადგინნა სხუანი მწვალებელნი მღვდელთმოძღუარნი და მეფენი ურწმუნონი და შემოიღეს გმობაჲ პატიოსანთა ხატთა და კერპთმსახურებად შეჰრაცხეს თაყვანისცემა და პატივი ხატისა და მრავალნი ძჳრნი შეამთხჳნეს თაყუანისმცემელთა წმიდათა ხატთასა: და დიდი დევნულებაჲ აღდგა ეკლესიათა ზედა და მრავალნი წმიდანი მოისრნეს და დიდი ბოროტი გარდაეფინა ყოველსა სოფელსა და მრავალ ჟამ იღელვებოდა ეკლესია ქრისტესი.

Კუალად შეკრბეს წმიდანი მღვდელთმოძღვარნი და ქმნეს კრებაჲ მეშვიდე ბრძანებითა ღმრთისმსახურთა მეფეთა მიხაილ და თეოდორასითა და დაამტკიცეს კუალად თაყუანისცემა პატიოსანთა და წმიდათა ხატთა და ყოველნი მწვალებელნი შეაჩუᲫნნეს და განწმიდეს ეკლესია ქრისტესი ყოვლისა ღვარძლისაგან და იქმნა მშვიდობაჲ და ერთობაჲ ეკლესიათა მრავალ ჟამ.

Რამეთუ ვიდრემდის მეფენი ბერძენთანი სიმტკიცესა ზედა იყუნეს და მშჳდობასა ვერცაღა უსჯულონი მტერნი ერეოდეს, არცაღა ეკლესიანი და საპატრიარქონი მოუძლურებით იყუნეს. მაშინ იყო დიდი მშვიდობაჲ და ერთობაჲ ხუთთავე საპატრიარქოთა და ყოველთა ეკლესიათა აღმოსავლეთისა და დასავლეთისათა და ყოვლითურთ ბრწყინვიდა მართლმადიდებლობაჲ და თუ სადმე აღმოეცენის ცილობა რაᲛე ანუ წვალება, კუალად ქმნიან ადგილ-ადგილ კრებაჲ და პირველსავე ერთობასა და მოციქულთა და მამათა მიერ მოცემულსა წესსა და კანონსა ზედა დაამტკიციან ეკლესია ქრისტესი და მაცილობელნი და წინააღმდგომნი შეაჩუᲫნიან და განᲬადიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ოდეს მიშუბბითა ღმრთისადთა აღდგეს ყოვლით კერძო მტერნი უსჯულონი და ცოდვათათჳს კაცთასა დაიპყრნეს მრავალნი სოფელნი და ქალაქნი და მცირედ-მცირედ განირყუნეს ეკლესიანი და დამდაბლდეს სამწყსონი ქრისტესნი და საპატრიარქონი ეკლესიანი მოუძლურდეს. მერმე მოადგეს სამეუფეოსა ქალაქსა კოსტანტინეპოლს – ახალსა ჰრომსა და შეაიწროეს ყოვლით კერძო მეფენი ბერძენთა ხოლო დასავლეთისა იგი კერძონი: პაპა ჰრომისა და მეფენი დასავლეთისანი მშჯდობასა შინა იყუნეს და თავისუფლებასა მტერთაგან.

მაშინ იხილნეს რად მეფენი ბერძენთა მტერთა მიერ ძლიერად ბრძოლილი და საპატრიარქონი და ყოველნი ეკლესიანი აღმოსავლეთისანი დამდაბლებულნი, აღიმაღლნეს წარბნი და აღიღეს თავი სამწყსოსა ზედა ქრისტესათა პაპამან და მეფეთა დასავლეთისათა და არა თანაშემწე ექმნეს, არცა თანამზრუნველ და ჴელის ამპყრობელ, ვითარცა ფსალმუნი იტყჳს: **„რომელი ღმერთმან დაამდაბლა და დასცა, მათ დევნნეს იგინი და სალმობასა წყლულთა მათთასა შესძინეს უსჯულოებად“** (ფსალმუნი 68,27), რამეთუ მოიხსენეს ძუძლთა მტერობად და განაახლეს შური პირველი, რომელ აქუნდა.

რამეთუ დასაბამსა ქრისტიანეთა მეფობისასა, ოდეს მოხედნა ღმერთმან და აღამაღლა რქად ქრისტეანეთა და დიდი კოსტანტინე მორწმუნე იქმნა, წარმოემართა აღმოსავლეთს და მოსცვალა ძუძლი ჰრომი ახლად ჰრომად და აღაშენა და განავრცელა ბიზანტია და უწოდა კოსტანტინოპოლი საშუალსა ადგილსა აღმოსავლისა და დასავლისასა, რომელ არს ახალი ჰრომი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღამაღლა პატრიარქი ახლისა ჰრომისა, ვინაცა ძუელისაცა ჰრომისა ეპისკოპოზი მასვე კოსტანტინეს განედიდა და ზელთ ედვა მისთჳს განგებაჲ და მწყემსობაჲ დასავლეთისა. ეგრეთვე სხუანიცა ეკლესიანი და საპატრიარქონი მასვე განედიდა და აღემაღლა, რამეთუ ვიდრე დიდისა კოსტანტინესამდე ფრიად დაგლახაკებულ და დამდაბლებულ იყჳნეს კერპთმსახურთა მეფეთა მიერ და სამარადისოსა ჯირსა და დევნულებასა შინა იყჳნეს ყოველნი ეკლესიანი და მეფემან კოსტანტინე, ვითარცა ვთქუ: ადიდნა და აღამაღლნა უმეტეს ეპისკოპოზი კოსტანტინეპოლისა და ეკლესია მისი განადიდა, ვინაჲთგან სამეუფეო ყო ქალაქიცა მისი.

ესე ძუელი შური და მტერობაჲ მოიჳსენეს პაპამან ჰრომისამან და მიმდგომთა მისთა დასავლეთისა კერძოთა და განადიდეს და აღიმაღლნეს თავნი და თქუეს გულითა მათითა და ნათესავთა მათთა ერთად: **„მოვედით დავადუმნეთ ყოველნი დღესასწაულნი ღმრთისანი ქუეყანით, რამეთუ სასწაულნი მათნი ჩუენ არა ვიხილეთ, რამეთუ არღარავინ არს წინაწარმეტყველ და ჩუენ არავინ გჳცჳნიეს მერმეცა“** (ფსალმუნი 73,9) და შედგომი. და სხუაჲ რაოდენნი წერილ არს მოსახსენებელთა შინა მაშინდელისა მის საქმისა. ოდეს მეფე იგი ბერძენთა და პატრიარქი კოსტანტინეპოლისა წარვიდეს იტალიას და ევედრნეს დასავლეთისა მყოფთა და პაპასა, რათა თანაშემწე ეყჳნეს მტერთა ზედა. ხოლო მათ ჰრქუეს: რათა სარწმუნოება პირველი უვარ-ყონ და აღიარონ სარწმუნოებაჲ მათი და მაშინღა შეეწინენ მტერთა ზედა.

ხოლო ბერძენთა არა თავს იდვეს ესე, არამედ აღირჩიეს სიკუდილი, ვიდრეღა იოტაჲ ერთი, გინა რქაჲ ერთი სარწმუნოებისგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამათა მიერ მოცემულისა შეცვალებად და დაკლებად ანუ შემატებად და ესრეთ განიყარნეს და განეშორნეს ურთიერთას ბერძენნი და [ჰ] რომნი, ვითარცა წერილ არს მაშინდელთა მოსაჴსენებელთა შინა ვრცელად და უნაკლოდ, ხოლო ჩუენ ნეფსით არა აღვწერეთ, რათა არა სიმრავლე წერილთა იქმნას.

მაშინ შეკრბეს ერთად დასავლეთისა იგი კერძონი და ქმნეს კრებაჲ ფლორე[ნ]ციას და უწოდეს მერვედ კრებად და დაჴსნეს ყოველი წესნი და კანონნი მოციქულთანი და მამათა მიერ მოცემულნი საზღუარნი და ყოველივე წინააღმდგომნი თქუტს და ქმნნეს და ვითარცა ენება, ეგრეთ დაამტკიცეს:

ა (1) – რამეთუ პაპა ჰრომისა ნებითა მათითა თჳნიერ კანონისა აღამაღლნეს უმეტეს ყოველთა პატრიარქთა და ღვთის მაგიერად და მეორედ ქრისტედ აღიარეს ქუეყანასა ზედა.

ბ (2) – მერმე წმიდისა და თაყუანის საცემელისა სამებისა შორის თქუტს შერევნა და სულიწმიდაჲ მამისა და ძისაგან გამოსლვითა აღიარეს, რომელი-ესე უცხო არს ქადაგებისაგან წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასა, რამეთუ არაოდეს თქმულ არს ესე სარწმუნოება, არცა ერთსა კრებასა შინა, არცა ვის ერთსა წმიდათაგანს უკადრებიეს ესრეთ თქმად, ვითარცა იგინი აღიარებენ.

გ (3) – მერმე წმიდა ნათლისღება, რომელი წმიდათა მოციქულთა და წმიდათა კრებათა განგჳწესეს სამგზის წყალთა შინა დაფლვითა და მიერ აღმოშობითა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა, ესე აღიღეს და მცირედისა წყლისა შეხებითა განაწესეს ნათლისცემა მღვდელთა მიერ, გინა თუ ერის კაცთა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანუ დედაკაცთა მიერ.

დ (4) – მერმე წმიდისა ჟამისწირვისა საიდუმლო, უფუვარითა სეფითა შეწირვა, დღესა შინა ერთსა ერთისა მღვდელისა მიერ მრავალგზის წირვა და საეროთა სახლთა შინა უეკლესიოდ განაწესეს.

ე (5) – მერმე ზიარებაჲ ერისკაცთა სხჳთა სეფის კუერითა, რომლითა მღვდელნი ყოვლადვე არა ეზიარებიან და სხჳთა ლიტონითა ღვინითა, რომელი არა მიახლებულ არს ტრაპეზსა, მით ზიარებაჲ განუწესნეს და ჩჩჳლთა ყრმათა ვიდრე ათხუთმეტ წლადმდე ყოვლადვე არა აზიარებენ.

ვ (6) – მერმე განყუტს ჯოჯოხეთი და სხუად და სხვად რიგად თქუტს. ერთსა მას საუკუნო უწოდეს, რომელსა შინა შთასრულნი ვერა რომლითა ღონითა, ვერცა ხუაიშნითა წმიდათაჲთა, ვერცა აქეთგან მოჴმარებითა ვერარას ლხინებას ჰპოებენ. და ერთი სხუაჲ არსო ცეცხლისა სატანჯველიო, რომელსა შინა მოსავნი პაპისანი შევლენ მცირედ ჟამ და ადრე გაწმედილნი გამოვლენო.

ზ (7) – ხოლო ლოცვაჲ და საეკლესიო განწესებული ფსალმუნებაჲ სრულიად აღჴოცეს ეკლესიით და წმიდათა მამათა მიერ განწესებული აღიღეს და თჳნიერ წირვისა არღარა არს ეკლესიათა მათთა შინა არცა ფსალმუნებაჲ, არცა საგალობელი, არცა ღამისთევა.

ჱ (8) – დაა ვითარცა ენებოს და ვითარცა დახუდეს, ეგრეთ აღმართებენ საკურთხეველთა არა აღმოსავლეთით განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთასა, არამედ გინა თუ დასავალით კერძო, ანუ სამხრეთით ანუ ჩრდილოეთით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ (9) – ხოლო მარხვა სრულიად დაჰვსნეს და მოსპეს და არღარა არს მათშორის მარხვა არცა ერისკაცთა, არცაღა სამღვდელოთა კაცთა შორის თჳნიერ მცირედთა მონაზონთა გარეშე და მათცა უკეთუ იმარხონ, თვინიერ ჴორცისა არა რასა სხუასა იმარხვენ, არამედ უკრძალველად ყოველთავე იჴუმევენ და ურიდად ჭამენ.

ი (10) – ხოლო ოთხშაბათსა ყოვლადვე არა იმარხვენ, რომელი განგვიწესეს წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა და მისდა ნაცვლად შაბათსა იმარხვენ, რომელი არა ოდეს მოცემულ არს ესე ჩუენდა თჳნიერ ერთისა მის დღისა.

ია (11) – ხოლო დედათა მათთა ჟამსა წიდოვნებისასა და ოდესცა საწოლითა ქმართა მათთა თანა შეყოფილ იყვნენ, საკურთხეველთა აღიყვანენ და ზიარებასა მისცემენ.

იბ (12) – და ყოველი ერი ოდეს შევიდეს ეკლესიად დიდი გინა თუ მცირე, მამანი გინა თუ დედანი, თანა შეიყვანენ ძაღლთა და ეკლესიათა არა ჰრიდებენ.

იგ (13) – და ყოველი ცოდვა მაკვდინებელი ადვილად შეჰრაცხეს და მას ღამესა, რომლითაცა ვინ ბოროტითა ცოდვითა დაეცეს და შეიგინოს მას დღესა, აზიარებენ.

ესე და ესევითარნი წესნი და კანონნი დასხნეს ეკლესიასა შინა და ყოველი საზღუარი და განწესებაჲ წმიდათა მოციქულთა და შჳდთა მსოფლიოთა კრებათა დაჴსნეს და გარდასცვითეს.

რამეთუ შჳდთა მსოფლიოთა კრებათა მიერ შვიდგზის გამოდნობილნი სიტყუანი ღმრთისანი, ვითარცა ფსალმუნთა შინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილ არს: „სიტყუანი უფლისანი არიან სიტყუა წმინდა, ვერცხლ გამოჴურვებულ და გამოცდილ მიწით და განწმენდილ შჳდ წილად“ (ფსალმუნი 11,7), რამეთუ სიტყვანი უფლისანი წმიდა შჳდგზის მიწიერთა კაცთაგან გამოიცადა და გამოიჴურვა და უბრწყინვალეს იქმნა. ესე ყოველი, ვითარცა ვთქუ დაჰჴსნეს და გარდასცვალეს და სხუაჲ რაჲმე წესი შემოიღეს გარეშე საზღვარსა მამათასა და ვიდრე დღეინდელად დღედმდე უახლესთა და უახლესთა წესთაშემოიღებენ წინააღმდგომსა შჳდთა კრებათასა.

ხოლო ამათ ყოველთათჳს სიტყჳსგებაჲ თითოეულად ქუჱმორე უვრცელესად აღგჳწერიეს, რომელი ცხადად საცნაურ ჰყოფს ყოველსავე.

ხოლო აღმოსავლეთისა ეკლესიანი და ოთხნივე საპატრიარქონი, დიდი რუსეთი და ჩუენ ქართველნი მასვე და ერთსა სარწმუნოებასა ზედა ვჰგიეთ შეურყეველსა და შეუცვალებელსა მოციქულთა მიერ მოცემულსა და შჳდთა მსოფლიო კრებათა მიერ დამტკიცებულსა.

და უმეტეს ჩუენ, ქართველთა, ოდეს მოგუჱცნეს სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი და ნათელი ღვთის მეცნიერებისა შევიწყნარეთ წმიდისა მოციქულისა ანდრიას მიერ და მერმე შემდგომად წმინდისა ნინოს მიერ. და მიერ დღითგან არღარა ოდეს მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი ურწმუნოებად, არცაღა შეუწყნარებიეს ოდესცა წვალებაჲ იგი ბოროტი მთესველისა მიერ ღვარ.ალისა, ვითარცა იგი სხუანიცა მოსახსენებელნი გვაუწყებენ, რამეთუ დასაბამითგან ვცანით რაჲ ჭეშმარიტებაჲ, მტკიცეთ ვჰგიეთ მასვე საფუძველსა ზედა, რომელი გვასწავეს წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა. არა რაჲ დაგჳკლიეს, არცა რაჲ შეგჳმატებიეს: ესრეთ გურწამს, ესრეთ აღვიარებთ და ესრეთ ვქადაგებთ, ვითარცა ესერა წერილ არს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II თავი

სარწმუნოებისათჳს წმიდისა და ერთარსისა სამებისა

ᲒᲣᲠᲬᲐᲛᲡ ერთი ღმერთი, ყოვლისა მპყრობელი. შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა და არახილულთა: მიუწდომელი, გამოუთქუმელი, უხილავი, გარეშეუწერელი, უსაზღვრო, მარტივი, შეურევნელი, დაუსაბამო და დაუსრულებელი. ერთი ღმერთი, სამებით სამთჳთებით, სამგუამოვნებით და სამპირებით ცნობილი და ერთარსებით, ერთბუნებით და ერთჴელმწიფებით აღსარებული: მამა და ძე და სულიწმიდა: არა განყოფილნი ნათელნი, არამედ ერთი ნათელი. არა განკუᲗთილი ბუნება, არამედ ერთი ბუნება. არა განთჴსებული არსება, არამედ ერთი არსება; ერთი ჴელმწიფება, ერთი მეუფება, ერთი უფლება.

ᲮᲝᲚᲝ ესენი რაᲲ ვთქუ, ნუ ჰგონებ, თუმცა არსებაᲲ ანუ ბუნებაᲲ რაᲲმე ღმრთისა ვთქუ, რამეთუ არსება და ბუნება მისი მიუწდომელ არს, გამოუთქმელ, უცნაურ და მოუგონებელ, მარტივ და შეუზავებელ, ვითარცა მოსეს ეჩუᲗნა და გამოეცხადა მთასა ზედა სინასა უხილავი იგი რაოდენ დაიტევდა ხილვასა მისსა მოსე. ჰკითხა რა სახელი მისი, ჰრქუა მას ღმერთმან: **„მე ვარ, რომელი ვარო“**. ესე აუწყა და სხვაᲲ არა რაᲲ. ამით უწყით ვითარმედ არს ღმერთი, ვინაᲲცა არს ჭეშმარიტად ყოვლისა არსებისა უზეშთაესი, რომელსა ყოველი არსება თავსა შორის თჳსსა შემოუკრებიეს და გარეშემცველი არს ყოვლისა არსებისა, არამედ რაᲲ არს არსებაᲲ და ბუნებაᲲ მისი მან მხოლომან უწყის და სხუამან არავინ, რამეთუ ღმრთეება სახელი არს ერთი რაᲲმე კაცთაგან მოპოვნებული სახელად ღმერთი, თითოეულთა ენათა მიერ სხუად და სხუად სახელად, რაᲲთა იცნობოდეს სახელით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლო ღმერთი.

ხ ოლო დაუსაბამოდ ამისათჳს სახელ-ვსდებთ, რამეთუ გონებამან რაჲ მიხედნის აღმართ წულილადითა რაჲთამე მოგონებითა და ვერ ჰპოვის ადგილი დასაბამობისა და ვერცა იოცნის მცირედცა რაიმე, არამედ ივლტოდის ყოვლითურთ მოგონებისგან რავდენგზისცა დაშურის გონებაჲ, **ამას დაუსაბამოდ სახელ ედვის.**

ე გრეთვე დაუსრულებლად ამისათჳს, რამეთუ ქუეშმო რაჲ დახედნის გონებამან და ვერცა მით იქმნის კნინ ოდენცა ოცნებით მიმწდომ, **ამას დაუსრულებელად სახელ ედვის.**

პ უალად მიმოავლის რაჲ მოგონებამან სახედველნი თჳსნი, რავდენცა დაშურის, ვერცა მით იქმნის მიმწდომ. **ამას გარეშეუწერელად და უსაზღვროდ სახელ ედვის.**

რ ამეთუ რომელსა არცა ჟამი, არცა წელნი, არცა რიცხჳ, არცაღათუ ნაწილი ჟამისა შუამდგომელ ექმნა, ვითარმე დაიტიოს გონებამან, ანუ იოცნოს მოგონებამან, ანუ თუ გამოთქუას ენამან. **ამას უჟამოდ და მიუწდომელად სახელ ედვის.**

რ ამეთუ საშინელისა და დიდებულისა ერთღმრთაებისა არსებაჲ და ბუნებაჲ მარტივ არს და შეურევნელ, მიუწდომელ და უცნაურ.

ხ ოლო არცა დაუსაბამოება არს მისი ბუნება, არცა დაუსრულებლობა, არცა გარე შემოუწერელობა, არცა უსაზღვრობა, რამეთუ არცა მამისა არს ბუნება მამობა, არცა ძისა არს ბუნება ძეობა, არცა სულისა არს ბუნება სულობა, რამეთუ ესე თჳთებათა და გუამოვნებათა სახელნი არიან და არა ბუნებათა და არსებათა. რამეთუ არცა ღმრთაებაჲ არს ბუნება ღმრთისა, რამეთუ ესე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველნი სახელნი არიან საქმეთანი და არა ბუნებათა და არსებათა საცნაურ-მყოფნი.

Xრამედ ესენი რადთა ვთქუჳნ, არა თუ სრულიად მიუწდომელ არს ღმერთი და უცნაურ, რადთამცა არა რად იყო, რამეთუ არს ჭეშმარიტად — ვითარცა ჭეშმარიტად არს, ვითარცა იგი მოსეს ეტყოდა: **„მე ვარ რომელი ვარო“**. არამედ მიუწდომელ ამისათჳს არს, რადთა ვერ მისაწდომელობითა უზეშთაეს იყოს ყოვლისა ბუნებისა და არსებისა. საშინელ და ძრწოლით თაყუანისსაცემელ ყოველთა დაბადებულთა მიერ, რამეთუ ყოველი გონებით მისაწდომელი და სიტყჳთ გამოთქმად შესაძლებელი არცაღა საკჳრველ არს, არცა დაბადებულთა უზეშთაეს, დაღაცათუ მცირედ რამე უზეშთაეს იყოს.

Xოლო არცა სრულიად მიუწდომელ და უცნაურ, რათა არა სრულიად უცნაურობითა სრულიადცა უღმრთო ვიქმნენეთ. ამისთჳსცა მცირედ რადმე ელვის სახედ გამოუბრწყინდის გონებასა ჩუენსა, რადთა გამობრწყინვებითა მით განგვანათლნეს და მისა მიგვიზიდნეს და მერმე მყის მიგვეფარვის, რათა სურვილით ვეძიებდეთ და მივსდევდეთ გონებისა ხედვითა და მისა მიმართ გვსუროდის და მას ვჰმონებდეთ და შიშით და ძრწოლით თაყუანის-ვსცემდეთ ერთსა ღმერთსა სამებით და ერთმეუფჳბით და ერთუფლებით თაყვანისცემულსა. მამასა უშობელსა, უმიზეზოსა, დაუსაბამოსა, უხილავსა, უსაზღვროსა; ძესა თანასწორსა, დაუსაბამოსა თანამეუფჳბითა და ჴელმწიფებითა, ძლიერებითა და უფლებითა და სულსა წმიდასა მისვე არსებისა და მისვე ბუნებისგან გამოსრულსა. თანასწორსა მეუფებითა, ჴელმწიფებითა, დაუსაბამოებითა და გარეშეუწერელობითა; ერთსა ძალსა, ერთსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველმწიფებასა და მეუფებასა, ერთსა უფლებასა სამითა თუთებითა და გუამოვნებითა და ერთითა არსებითა და ბუნებითა; რამეთუ არა რაჲ არს განყოფილ მათ შორის არცა განთუსებულ, არცა განკერძოებულ, არცა ადგილითა, არცა ჟამითა, არცა ნებითა, არცა საქმითა, არცა უმეტესობითა, არცა უდარესობითა; თუნიერ უშობელობითა, შობითა და გამოსლვითა, რამეთუ მამა უშობელ არს და უმიზეზო, ხოლო ძე შობილი მამისაგან და არა უმიზეზო, რამეთუ მამისგან აქუს მიზეზობაჲ და შობაჲ. ეგრეთვე სულიწმიდა, გამოსრული მამისგან და არა უმიზეზო, რამეთუ მასაცა მამისგან აქუს მიზეზი გამოსლვისა და თუნიერ ამისა არა რაჲ არს მათ შორის განყოფილ, არცა განთუსებულ, არცა განკერძოებულ, არცა რომელიმე პირველ და რომელიმე უკუანასკნელ; არცა უდარეს არცა უაღრეს, არცა ჟამითა, არცა წამითა, არცა მოგონებითა, არცა ნებითა, არცა განზრახვითა, არცა საქმითა, არამედ ყოვლითურთ სწორი ერთობითა, არსებითა და ბუნებითა. განყოფილნი და შეურევნელნი, ვითარცა მზისაგან შარავანდედი და ნათელი და ცეცხლისაგან სიტფო და ნათელი, ეგრეთვე მამისგან ძე და სულიწმიდა.

რამეთუ ვითარცა არა განიყოფებიან არსებითა და ბუნებითა, ეგრეთვე არცა შეირწყმიან და შეირევიან პირებითა და გუამოვნებითა, არამედ ერთ არიან და განუყოფელ თუნიერ უშობელობისა, შობისა და გამოსლვისა. ხოლო უშობელობა მამისა, შობა ძისა და გამოსლვა სულისა არავინ უწყის, გარნა მან მხოლომან საშინელმან და მიუწდომელმან და გამოუთქუმელმან ღმერთმან სამებამან ერთარსებამან და სხუამან არავინ, არამედ ესოდენ უწყებულ არს ჩუენდა, რაოდენნი ვთქუენ წმიდათა წინაწარმეტყველთაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავებით და მოციქულთაგან ქადაგებით და თჳთ ქრისტესგან ჭეშმარიტისა ღმრთისა ჩუენისა გამოცხადებით და სხუად არარად უწყებულ არს ჩუენდა და ვერცა რას შემძლებელ ვართ ცნობად და ნუმცა ვინ იკადრებს უმეტეს ამისა გამოძიებად.

ხოლო არა იცვლების მამა ძედ, არცა სულად, არცა ძე მამად გინა სულად, არცა სულიწმიდა მამად ანუ ძედ, არამედ თჳთება ესე სამგუამოვნისა ერთ-ღმრთეებისა შეუცვალებელ არს და უქცეველ, შეურევნელ და განუყოფელ; არა განიყოფებიან არსებითა და ბუნებითა, მეუფებითა და ჴელმწიფებითა, არცა შეირევიან და შეირწყმიან თჳთებითა და გუამოვნებითა, პირებითა და სახელის დებითა. ესრეთ: წმიდა [და] დიდებული სამება ერთღმრთეებით იცნობების — მეუფე და დამბადებელი ყოველთა, მამა ძე და სული ყოვლად წმიდა. ერთი ღმრთეება და ერთი მეუფება, რომელსა შუენის ყოველი დიდებად და პატივი და თაყუანისცემა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III თავი

წმიდისა და თაყუანისსაცემელისა ცხოველსმყოფელისა სულისა წმიდისათჳს

ხოლო წმიდისა და განუყოფელისა ერთღმრთეებისა სამებისა საიდუმლო რაჲ აღვწერეთ, აწ კუალად ცხოველსმყოფელისა სულისა წმიდისათჳს ვიტყოდით თუ რაჲ არს მიზეზი მათისა ესრეთ უწესოდ აღსარებისა, ვითარმედ სულიწმიდა მამისა და ძისაგან გამოვალსო, რომელი ესე უცხო არს ქადაგებისაგან წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა კაცთასა. ხოლო ჩუენ არა ვიტყჳთ სულსა წმიდასა ძისაგან გამოსლვით, არამედ მამისაგან, მოძღვრებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და ღმერთშემოსილთა მამათასა. რამეთუ, ვითარცა ძე იშვა მამისაგან პირველ ყოველთა საუკუნეთა და უწინარეს ჟამთა, ეგრეთვე სულიწმიდა გამოვიდა მისვე მამისაგან უწინარეს ჟამთა და პირველ ყოველთა საუკუნეთა. რამეთუ ერთი არს არსება და ბუნება მამისა და ძისა და სულისა წმიდისა სიტყჳსაებრ საღმრთოთა წერილთასა, მოციქულთა და წინაწარმეტყუელთა და მოძღვრებისაებრ წმიდათა ღმრთისმეტყუელთასა. რამეთუ არცა ერთსა ვის წმიდათაგანსა უთქუამს სულიწმიდა ძისაგან გამოსლვით, ვითარცა ძე არა თქმულ არს სულისაგან შობილად, არამედ მხოლოდ მამისაგან. ეგრეთვე არცა ითქუმის სულიწმიდა ძისაგან გამოსლვით, არამედ მამისაგან, რამეთუ რაოდენნი ღმრთისმეტყუელებანი არიან წმიდათა მამათა მიერ აღწერილნი და უმეტეს დიდისა ღმრთისმეტყუელისა გრიგოლისნი, რომელმან ერგასისნი თავნი ღმრთისმეტყუელებანი აღწერნა ვრცელად და უნაკლოდ. რამეთუ შემდგომად ღმრთისმეტყუელისა და მახარებელისა იოანესა ამას მიხუდა სახელი ღმრთისმეტყუელისა და ყოველივე თქმული მისი ღმრთისმეტყუელებითა აღსავსე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არს და არცა ერთსა თქმულთა მისთა შინა იპოების თუმცა ეთქუა ძისაგან გამოსლვით, არამედ მხოლოდ მამისაგან. არცაღა დიდსა და ზეცით გამობრწყინვებულსა ბასილის, არცა წმიდასა და ყოვლისა სოფლისა მნათობსა ოქროპირსა, არცა დიდსა ათანასეს, არცა გრიგოლი საკჳრველთმოქმედსა, რომელსა ცხადად წარმოუდგა წმიდა ღმრთისმშობელი და ღმრთისმეტყუელი იოანე და გამოუცხადეს წმიდისა სამებისა საიდუმლო და მყის აღწერა მათსავე მუნ ყოფასა შინა მათივე ბრძანებითა მოკლითა სიტყჳთა და დიდითა სიბრძნითა და აღწერილი იგი ჰგიეს ვიდრე დღეინდელად დღედმდე, ხოლო მე განვრცელებისათჳს არა აღვწერე აქა, და ვისაცა ენებოს იგი წარიკითხოს და ყოველივე ცხადად ეუწყოს. და არცა სხუასა სადა ვის ღმრთისმეტყუელთაგანსა უთქუამს ესე, არცა უკადრებიეს, თუ მამისაგან და ძისა გამოვალს, და თუმცა ყოფილიყო ესე ცილობაჲ და ამისი თქმა, მრავალნიმცა აღეწერნეს ამის პირისათჳს ნეტართა მათ წინააღსადგომელი უთქუმელისა ამის სიტყჳსა, არამედ ნეტარსა იოანე დამასკელსა, რომელსა ეწოდა ოქრონეკტარი თჳთ დედუფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა მიერ; ამასა წინათვე ეუწყა სულისაგან წმიდისა წვალებაჲ ესე და მან აღწერა ცხადად და ჭეშმარიტად თქმულთა შინა თჳსთა ღმრთისმეტყუელებათა და იტყჳს ესრეთ:

„Არა ვიტყჳთო სულსა წმიდასა ძისაგან გამოსლვით, რომელი არასადა გჳპოვნიეს საღმრთოთა წერილთა შინაო; არამედ მამისაგან. და სულად ძისა და სულად ქრისტესაო ვითარცა წერილ არს! **„გამოავლინა ღმერთმან სული ძისა თჳსისა გულთა შინა ჩუენთა“.** და კუალად იტყჳს: **„რომელსა სული ქრისტესი არა აქუნდეს, იგი არა არს ქრისტესიო“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ძისაგან გამოსლვით არა თქმულ არს, არცა ვის აღწერით დაუტევებიეს, არამედ მამისაგან ვითარცა შობაჲ ძისა, ეგრეთვე გამოსლვა სულისა მისგანვე მამისა, რამეთუ მამა არს მიზეზი შობისა და გამოსლვისა, ვითარცა თავადი ჭეშმარიტება და ცხოვრება. ჩუენი ქრისტე ბრძანებს: **„სული იგი ჭეშმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს, მან წამოს ჩემთჳს და თქუენცა მოწამე ხართ“** (იოანე 15,26). რაჲსათვის არა თქუა სული იგი ჭეშმარიტებისა, რომელი მამისაგან და ჩემგან გამოვალს? ანუ ვითარ დაიდუმეს დიდი ესე საიდუმლო წმიდათა მოციქულთა და შემდგომთა მათთა ღმრთისმეტყუელთა?!

ხოლო იტყჳან ლათინნი, კაცობრივ იტყჳსო და არა ღმრთაებრო. ქრისტემან მეუფემან ჩუენმან ვიდრეცა ჴორცითა ქუეყანასა ზედა იქცეოდა, თავისა თჳსისა ღმრთეება ცხადად და გამოჭეშმარიტებით არასადა გამოაცხადა, არამედ იგავით და მიფარულადრე. და ოდეს ამაღლდა მამისა, მერმე უკანაჲსკნელ მოწაფემან მისმან და მოციქულმან იოანე ღმრთისმეტყუელმან ცხადად და მზისა უბრწყინვალესად და ყოვლისა საყჳრისა უმაღლესად ღაღადყო ღმრთეებაჲ მისი და იტყჳს: **„პირველითგან იყო სიტყუაჲ, და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი. ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა...“** (იოანე 1,1). ესრეთ გამოაცხადა ღმრთაებაჲ ძისა და თანასწორება მამისა. ეგრეთვე სხუანი მოციქულნი იტყჳან ღმრთეებასა მისსა და არღარა დაფარვენ, ვითარცა პავლე მიუწერს ტიმოთეს: **„ღმერთი გამოჩნდა ჴორცითა და განმართლდა სულითა, ეჩუენა ანგელოზთა, იქადაგა წარმართთა შორის, ჰრწმენა სოფელსა და ამაღლდა დიდებითა“** (I ტიმოთეს 3,16). და კუალად ტიტეს მიუწერს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„და რაჲ მოველოდით ნეტარსა მას სასოებასა და გამოჩინებასა დიდებასა დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესა, რომელმან-იგი მისცა თავი თჳსი ჩუენთჳს“ (ტიტეს მიმართ 2,13). ვინაჲთგან ესრეთ ღმრთაებაჲ ქრისტესი ცხადად თქუჱს და არღარა დაჰფარნეს, ვითარ დიდი ესე საიდუმლო, სულისა წმიდისა ძისაგან გამოსლვა – რაჲსათვის დაიდუმეს? და უკუეთუ ქრისტემან ესე არა დაფარა, რაჟამს ეტყოდა მოწაფეთა: **„რაჟამს მოვიდეს ნუგეშინისმცემელი იგი, რომელი მე მოვავლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ“** (იოანე 15,26) და კუალად: **„ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ“** (იოანე 16,14). ესენი არა დაფარნა და არცა დაერიდა კაცობრიობასა, ვითარმედ: **„მე მოვავლინო და ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ“.** [და] ამისა უმეტესი სიტყვა რაჲღა იყო და საიდუმლოჲსა გამოცხადება. უკუეთუ ესე არა დაეფარა, მას რაჲღა დაუტევებდა – მამისაგან და ჩემგან გამოვალსო? ანუ წმიდანი მისნი მოციქულნი ვითარ არღა გამოაცხადებდეს? ანუ წმიდანი ღმრთისმეტყველნი ვითარღა დაჰფარვიდენ? ესრეთ არასადა თქმულ არს მათისაებრ სიცბილისა, არამედ ყოველნივე ესრეთ აღიარებდეს, ვითარცა ჩუენ გურწამს და აღვიარებთ, ვითარცა მჴსნელისა ჩუენისა ქრისტესაგან გჳსწავიეს, და ვითარცა ესერა გვესმის.

რამეთუ პირველად თქუა: **„მე ვჰკითხო მამასა ჩემსა, და სხუაჲ ნუგეშინის-მცემელი მოგივლინოთ“** (იოანე 14,16). აჰა თანასწორება და ერთპატიობა მამისა და ძისა და არა წინააღდგომა ძისაგან მამისა. მერმე იტყჳს: **„უკუეთუ მე არა წარვიდე, იგი არა მოვიდეს“** (იოანე 16,7) და **„მე მოვავლინო იგი თქუენდა“**, და **„ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ“.** აჰა ჴელმწიფებაჲ ძისა და თანასწორებაჲ

უფრთხილდი ბიბლიოთეკა

სულისა, და ერთპატიობაჲ. და მერმე იტყჳს: **„ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისა, გიძღოდეს თქუენ ჭეშმარიტებასა შინა“** (იოანე 16,13). აჰა ჴელმწიფებაჲ და უფლებაჲ სულისა და არა უდარესობაჲ მამისაგან არცა ძისა.

რამეთუ პირველად იტყჳს: **„მე ვჰკითხო მამასა ჩემსა თქუენთვის და სხუაჲ ნუგეშინისმცემელი მოგივლინო თქუენ“**. მერმე იტყჳს: **„უკეთუ მე არა წარვიდე, იგი არა მოვიდეს“** და **„ჩემგან მიიღოს და გითხრასა თქუენ“**. და მერმე თქუა: „ოდეს მოვიდეს, სული იგი ჭეშმარიტებისა, გიძღოდეს თქუენ ჭეშმარიტებასა შინა“.

აჰა ერთობაჲ და ერთი პატივი და ერთი ჴელმწიფებაჲ და ერთი ღმრთეებაჲ და სწორი მეუფებაჲ და სწორი უფლებაჲ და სწორი განზრახვა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა — განუყოფელობაჲ და შეურევნელი ერთობაჲ.

ხოლო უკუეთუ ვთქუათ მამისა და ძისაგან გამოსლვა სულისა, ორნივე იქმნებიან მიზეზნი სულისა წმიდისა გამოსვლისანი ვითარცა მამა, ეგრეთვე ძეცა და სულიწმიდა დაკლებულ იქმნეს ერთპატიობისაგან, რამეთუ მამა და ძე გამოავლენს სულსა, ხოლო სულიწმიდა ვერღარას მოქმედებს. უმჯობეს არს, რათა ესეცა თქუან, ვითარმედ: მამისაგან და სულისა იშუა ძე, და იქმნნეს თჳთებათა და გუამთა შერეულება მსგავსად საბელიოზის გმობისა, ანუ განყონ არიოზისებრ უსჯულოსა, ანუ შერევნა და შერწყმა თქუან, ვითარცა ვთქუ გუამთა და თჳთებათა, რაჟამს ითქუას მამისა და ძისაგან გამოსლვა სულისა, ანუ განყოფა ითქუას არსებათა და ბუნებათა, რაჟამს ძესა მისცენ მიზეზობაჲ სულისა წმიდისა გამოსვლისა, და სულსა წმიდასა არარაჲ მიზეზობა და დაკლებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყონ მისვე არსებისა და ბუნებისაგან. იხილეთ სადა მიიწევის გმობაჲ ესე: ანუ არიოზ იქმნენ, ანუ საბელიოზ. ანუ შეარწყუან და შერიონ, ანუ განყონ და განაშორონ ურთიერთას, და დაკლებულ ყონ სულიწმიდა სწორ პატივისაგან მამისა და ძისა. გულისჴმაყავთ ძმანო, თუ ვითარ საკრძალველ არს სარწმუნოებაჲ ჩუენი, რომელი მოციქულთა დაჰბეჭდეს და წმიდათა კრებათა დაამტკიცეს, და ვერვის ჴელეწიფების იოტა ერთი, გინა რქა ერთი შემატებად ანუ დაკლებად. და უკუეთუ იქმნეს მცირედცა რაჲმე ანუ დაკლებაჲ, ანუ შემატებაჲ, მერმე კუალად სხუაჲ იქმნების, კუალად სხუაჲ, და ესრეთ მცირედ-მცირედ დაიჴსნას და განირყვნას ყოველივე, ვითარცა ქმნულ არს მათ შორის და არღარა არს საზღვარი დადებული მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა მათ შორის, არამედ ყოველივე განრყუნილ არს და შეცვალებულ. ხოლო ჩუენ დაგჴცვნეს უფალმან ყოვლისაგან წვალებისა და საცთურისა, მთესველისა მისგან ღუარძლისა და ღირსმყუნეს სასუფეველსა თჳსსა ყოველთა წმიდათა მისთა თანა. ამინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV თავი

სიყვარულისათჳს, თუ ვითარ მოსავნი პაპისანი სულსა წმიდასა სიყვარულად უჴმობენ

ხოლო აწ სიყუარულისათჳს ვიტყოდით, თუ ვითარ სულსა წმიდასა სიყუარულად უჴმობენ იგინი, ვითარმედ: „მამა და ძეო, და მათგან სიყუარული გამოვალსო“ — ესე არს სული წმიდაო. რაჲ არს ესოდენი წინააღდგომაჲ და ცილებაჲ სჯულისა? - ვჰკითხოთ მათ: სიყვარული არსებაჲ არს ანუ გუამი? უკეთუ სიყვარული გუამი არს, ოთხება იქმნების გუამთა და არა სამგუამოვნება, რამეთუ სულისა გუამოვნებაჲ და თჳთებაჲ, ვითარცა მამისა უშობელობაჲ ითქუმის და ძისა შობაჲ, ეგრეთვე სულისა გამოსლვა. ხოლო სიყვარული არცა უშობელი არს, არცა შობილი, არცა გამოსრული. ხოლო უკუეთუ არსებაჲ თქუან სიყუარულისა, ესე ორი არსებაჲ იქმნების ღმრთეებისა და სიყუარულისა, რამეთუ სიყუარული ერთი სათნოებათაგანი არს, და არა ითქმის არსებად ანუ გუამად ვითარცა იგი სხუანი სათნოებანიცა: მოწყალება, სახიერება, სიმართლე და ჭეშმარიტება, სიწმინდე, სიმდაბლე, სიმშვიდე და სიხარული, და არა აქვს სიყვარულსა ვითარცა ვთქუ: არცა სხუასა სათნოებასა არსებაჲ, არცა გუამი, რამეთუ მოწყალებასა წინა აღუდგების უწყალობა, სახიერებასა — სიბოროტე, სიმართლესა — სიცრუჱ და ჭეშმარიტებასა — ტყუილი, სიმდაბლესა — სიმაღლე და სიმშჯდესა — გულისწყრომა და სიყვარულსა — მტრობაჲ და შური, და ესრეთ თითუჱული სათნოებაჲ თჳსისა წინააღმდგომისაგან დაიჴსნების.

ესრეთ არა აქუს სათნოებასა არსება და ბუნება, არცა გუამი. დაღაცათუ არსებათა უზეშთაესსა მას და გამოუთქუმელსა ღმერთსა ესე ყოველი ბუნებითად აქუს და არა მოპოვნებით, რამეთუ მარტივ არს და შეუზავებელ ბუნებაჲ ღმრთეებისა. და არცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ამათგანი ითქმის არსებად და ბუნებად მისა. და უკუეთუ ითქუას, მრავალნი ვიდრემე ბუნებაჲ და არსებაჲ ითქუას არსებათა უზეშთაესისა ღმრთისათჳს, და გუამად თუ ითქუას, ეგრეთცა მრავალნი გუამნი იქმნენ.

Არცა მხოლოდ სიყუარული ითქმის მარტოდ სულისათჳს, რამეთუ რავდენიცა სახელიდებიან სათნოებანი, ყოველივე ზოგად აქუს და სწორებით მამასა და ძესა და სულსა წმიდასა, ერთღმრთეებასა განუყოფელსა, ვითარცა წერილ არს: **„ღმერთი სიყუარული არს, და რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა, იგი ღმრთისა თანა ჰგიეს და ღმერთი მის თანა“**, ესე ზოგად ერთღმრთეებისა სახელ არს, ვითარცა ვთქუ, და არა მხოლოდ სულისათჳს. ეგრეთვე სხუანიცა სათნოებანი, ვითარცა მოსეს ეტყოდა ღმერთი: **„წმიდა იყვენით, რამეთუ მე წმიდა ვარ“.**

Და მეუფე ქრისტე ბრძანებს: **„იყვენით მოწყალენი, ვითარცა მამაჲ თქუენი მოწყალე არს“**, და კუალად იტყჳს: „არავინ არს სეხიერ, გარნა მხოლო ღმერთი.“ და კუალად ბრძანებს: **„ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშჳდ ვარ და მდაბალ გულითა“**, და კუალად წერილ არს: **„ღმერთი ჭეშმარიტ არს, და არა არს სიცრუე მის თანა“.** ესე ყოველნი სახელნი არიან ღმრთისანი და არა ბუნება და არსება, არცა გუამოვნებისა შემსრულებელი, არცა ბუნებისა თანა შეზავებული.

Არამედ ბუნებით კეთილთა სრულებისათჳს, ბუნებათა უზეშთაესისა ღმრთისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა სახელიდებიან ესე სახელნი და არა მარტოდ სულისათჳს, რამეთუ მამისა და ძისა და სულისა წმიდისა ერთ არს პატივი და დიდება და სათნოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანი, გინათუ მოწყალებანი, გინათუ სახიერებაჲ, გინათუ სიმშჳდე და სიმართლე და ჭეშმარიტება, გინათუ სიწმინდე და სიყუარული. ესე ყოველნი ზოგადნი სახელნი არიან ერთღმრთეებისანი, ვითარცა შემოქმედება და დამბადებლობა, უფლება და მეუფება. და არა ითქმის ერთსა ოდენ გვამოვნებასა ზედა, არამედ ზოგად ერთობასა ზედა და არა რაჲ არს მათ შორის განყოფილი, თჳნიერ გუამოვნებისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა ერთღმრთეებისა და ერთუფლებისა; ხოლო უკუეთუ მარტოდ სულსა წმიდასა განუკუთნოთ სახელი ესე სიყუარულისა, მერმე სხუაჲ სათნოებაჲ – სხუასა, და ესრეთ, უმსგავსო იქმნას და უპირულ ესევითარნი სახელნი, და არღარა ერთობა იყოს, არამედ განწვალება და განყოფა.

ᲛᲔᲣᲐᲚᲐᲓ მოციქულისა სიტყუაჲ მოვიჴსენოთ, ვითარ იტყჳს: **„რამეთუ სიყუარული ღმრთისაჲ განფენილ არს გულთა შინა ჩუენთა სულითა წმიდითა“** (ᲰᲠᲝᲛᲐᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ 5,5). აწ იხილეთ, ვითარ ეგების სულიწმიდა სიყუარულად თქუმად, რამეთუ სიტყჳთა ამით [თქვენითა] ორი იქმნების სულიწმიდა და არა ერთი: **„სიყუარული ღმრთისაჲ განფენილ არს გულთა შინა ჩუენთა სულითა წმიდითა“**. აჰა უპირული სიტყუაჲ [მათი] და გმობაჲ, რამეთუ სიყუარული ერთი სათნოებათაგანი არს და არცა სულიწმიდაჲ, არცა ღმრთეებისა ბუნებაჲ, არცა არსებაჲ, არცა გუამოვნებაჲ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V თავი

ქრისტეს მიერ შებერვისათჳს, რაჟამს იგი შეჰბერა მოციქულთა

ერთად ესე აქუსთ ჩუენდა მომართ სიტყჳსგებად პაპის მოსავთა, ვითარმედ ქრისტემან რაჲ შეჰბერა მოწაფეთა და ჰრქუა: **„მიიღეთ სული წმიდაჲ“**, ესე არს მიზეზი ძისაგან სულისა წმიდისა გამოსლვისაო. ამის სიტყჳსა განმარტება ჩუენგან არღარა საჭირო არს, რამეთუ დიდთა მათ ღმრთისმეტყველთაგან არს განმარტებული ვრცელად და უნაკლულოდ წმიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყველისა და იოანე ოქროპირისა მიერ, რამეთუ იგინი ესრეთ იტყჳან, ვითარმედ: **„მომზადებაჲ იყო შებერვა იგი და არა მიცემაო“**. უკუეთუ მაშინ მიეცა, რადღა ეტყოდა მოწაფეთა: **„უკუეთუ მე არა წარვიდე, იგი არა მოვიდეს. მე წარვიდე და სხუაჲ ნუგეშინისმცემელი მოგივლინო, რაჲთა თქუენთანა დაადგრეს უკუნისამდე“**. რამეთუ ჯერეთ არა ამაღლებულ იყო ჴორცთა ბუნებითა, არცა წარსრულ ჴორცითა კაცობრივითა უხილავისა და დაუსაბამოჲსა მამისა წიაღთა, დაღაცათუ ღმრთეებით განშორებულ იყო მამისა და სულისაგან. ამისთჳს იქმნა კართა ჴშულთა შესლვა ქრისტესი და ჴორცთა წყლულებისა ჩუენებაჲ და საზრდელისაცა მიღება, რომელი არღარა ეჴმარებოდა, არამედ განგებულებით ქმნა; ეგრეთვე შეჰბერვა ესე ქმნა, რათა დაარწმუნოს მოწაფეთა, ვითარმედ სრული ღმერთი არს და სრული კაცი. და შემდგომად აღდგომისა იგივე სრული კაცობრივი ბუნებანი მოსიან – სულნი და ჴორცნი, რამეთუ კართა ჴშულთა შესლვა და კლიტეთა და ბეჭედთა არა შეძვრა ღმრთეებისა საქმე იყო, ვითარცა იგი ქალწულებისა კლიტეთაცა და საფლავისა ბეჭედთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა შეძვრა და ეგრეთ გამოსვლა. ხოლო ჴორცთა წყლულებისა ჩუᲗნება და საზრდელისა მიღება ჴორცთა ბუნებისა საქმე იყო; რამეთუ გამოჩინებად იყვნეს უკანასკნელ მწვალებელნი, რომელნი იტყოდეს: ქრისტესა შემდგომად აღდგომისა ჴორცნი კაცობრივნი არღარა ჰმოსიანო. და კუალად იყვნეს მწვალებელნი მანის და მუნტანი, რომელნი იტყოდეს: რაჟამს ქრისტე ამაღლდებოდა, ჴორცნი კაცობრივნი მზესა თანა დაუტევნაო. ამისათჳს იქმნა, ვითარცა ვთქუ, ჴორცთა წყლულებისა ჩუᲗნებაᲲ და საზრდელისა მიღება დაყოფად პირთა მათ ურცხუენელთა და მგმობარეთა, რომელნი ამას იტყოდეს და ანგელოზნიცა ამასვე დაუმტკიცებდეს მოციქულთა რაჟამს ამაღლდებოდა ზეცად, ვითარმედ ჴორცნი იგი, რომელ მიიხუნა ჩუენგან ქრისტემან შემდგომად ვნებისა და აღდგომისა, იგინივე მოსიან და მით ამაღლდა ზეცად და მითვე მოსლვად არს განსჯად დაბადებულთა. ამისთჳს ეტყოდეს: **„კაცნო გალილეველნო, რაᲲსა სდგათ და ხედავთ ზეცად? ესე იესო, რომელი ამაღლდა თქუენგან ზეცად; ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად“** (საქმე 1,11).

ეგრეთვე სხუანი მწვალებელნი გამოჩინებად იყვნეს უკუანაᲲსკ-ნელ, რომელთა თქუეს, ვითარმედ: „ქრისტემან ჴორცნი შეიმოსა კაცობრივნი და სული და გონებაᲲ არა მიიღო, არამედ სულისა და გონებისა წილ სიტყუაᲲ ღმრთისა ექმნა სულ და გონებაᲲ ჴორცთა მისთაო“. ამის გმობისა თავი იყო აპოლინარიოს მწვალებელი და შემდგომნი მსგავსნი მისნი ბოროტნი, რამეთუ, ვითარცა ვთქუ, პირველთა მათ მწვალებელთა, რომელნი ჴორცთა ქონებასა არღარა იტყოდეს ქრისტესა შემდგომად მკუდრეთით აღდგომისა, მათდა პირის დასაყოფელად იქმნა საზრდელისა მიღება და წყლულებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუტნება. ეგრეთვე შეჰბერვა ესე იქმნა, რომელნი უსულოდ და უგუნებოდ იტყოდეს ქრისტესა მათდა პირის დასაყოფელად.

რამეთუ, ვინადთგან სიტყუამან ღმრთისამან ბუნებაჲ კაცთა სრულებით მიიღო – სული, ჴორცნი და გონებაჲ, თჳნიერ ცოდვისა, ამისდა დასამტკიცებლად შეჰბერა კაცობრივითა სულითა და სამშჳნველითა. ხოლო ვთქუ, რაჲ კაცობრივი სული და სამშჳნველი, ნურღარა კაცობრივად ჰგონებ, რამეთუ აწ ყოველივე ღმრთისად ითქმის: ჴორცნი, სული და გონებაჲ, რამეთუ კაცობრივი რაჲცა მიიღო, არსებასა თჳსსა შეუერთა შეურევნელად და ერთგუამად იქმნა, ვითარცა ცეცხლმან რკინა რაჲ შეიწყნარის მის შორის და ყოვლითურთ ცეცხლი იქმნეს, ეგრეთვე ღმრთისა სიტყუამან ღმერთყო ჩვენი ყოველივე. ვითარცა სისხლი მისი ითქუმის ღმრთისა სისხლად, ეგრეთვე ღმრთისა ჴორცი, ღმრთისა სული და ღმრთისა სამშჳნველი და ღმრთისა გონებაჲ, რამეთუ თჳნიერ ცოდვისა ჩუენისა ყოველივე მიიღო და განაღმრთო და მით შეჰბერა; და უკუეთუ კაცობრივი რაჲმე დაშთა მიუღებელად, იგი ყოველივე ეგო უკურნებელად ღმრთისმეტყუელთა სიტყჳსაებრ. იგი სული შეჰბერა ქრისტემან, რომელი ჯუარსა ზედა შეჰვედრა ღმერთსა და მამასა; იგი სული მოიღო კუალად განღმრთობილი შემდგომად მკუდრეთით აღდგომისა, ვითარცა ბრძანებს: **„ჴელმეწიფების სულისა ჩემისა დადებად და ჴელმეწიფების კუალად მოღებად“**. იგი სული შეჰბერა მოციქულთა, და ვითარცა კაცობრივთა ჴორცთა ქონებაჲ შემდგომად აღდგომისა წყლულებისა ჩუტნებითა და საზრდელისა მიღებითა დაამტკიცა, ეგრეთვე სარწმუნო ყო კაცობრივისა სულისა ქონებაჲ რაჟამს იგი შეჰბერა მოციქულთა და მომზადა შეწყნარებად სულისა წმიდისა და ჰრქუა: **„მიიღეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სული წმიდაჲ". არა ჰრქუა: მიგიღებიეს, არამედ: **„მიიღეთ სული წმიდაჲ**". უკუანასკნელ მიღებისათჳს ეტყოდა, რომელსა შინა აღუთქუა მოვლინებაჲ, [და] არა თუ მაშინვე მიცემისათჳს.

ამით დაჰჴსნა მწვალებელთა გესლოვანი ენა ვითარმედ: ქრისტე არცა უსულო არს, არცა უბუნებო, არამედ სრულებით მიიღო ქრისტემან ბუნება კაცობრივი, ჴორცნი სულიერნი და სული სიტყჴერი და გონიერი, და შეიერთა თავსა შორის თჳსსა და შემდგომად მკუდრეთით აღდგომისა ეგრეთვე მოსია და არს სრული ღმერთი და სრული კაცი ორითა ბუნებითა და ერთითა გუამითა შეურევნელად და განუყოფელად. ამისათჳს იქმნა განგებულებაჲ იგი კართა ჴშულთა შესლვა, წყლულებისაცა ჩუჱნება და საზრდელისაცა მიღება. მაშა რადღა ეჴმარებოდა საზრდელისა მიღებაჲ, ეგრეცა შეჰბერვა. ესე იქმნა შეჰბერვა და მოჰმზადა მოვლინებად სულისა წმიდისა.

ვითარცა ეტყოდა პირველვე: **„უკუეთუ მე არა წარვიდე, იგი არა მოვიდეს, და ოდეს წარვიდე, სხუაჲ ნუგეშინისმცემელი მოგივლინო, რათა თქუენ თანა დაადგრეს უკუნისამდე**". და უკეთუ მაშინ მისცა შეჰბერვითა მით, რაჲსათჳსღა ეტყოდა სიტყუათა ამათ: **„უკუეთუ მე არა წარვიდე, იგი არა მოვიდეს**".

არამედ, ვითარცა ვთქუ, ამის მიზეზისათჳს იქმნა შეჰბერვა იგი, რათა დაემტკიცოს შემდგომად ვნებისა და აღდგომისა, კაცობრივისა ბუნებისა — ჴორცთა და სულისა სრულებით ქონებაჲ; ამისათვის შეჰბერა კაცობრივითა სულითა და სამშჳნველითა ყოვლითურთ განღმრთობილითა და დაამტკიცა ჭაშმარიტად ქონებაჲ, ვითარცა ჴორცთა, ეგრეთცა სულისა სამშჳნელითურთ, და მოჰმზადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეწყნარებად სულისა წმიდისა.

ნუ ჰგონებ, თუმცა სული წმიდაჲ ორთქლი რაჲმე იყოს და შეჰბერვით მიედინებოდეს, ანუ ქართაებრ გამოვიდოდეს, ანუ კაცობრივ რაჲმე გულისჴმაყო; რამეთუ ვითარცა მეუფჱ ჩუენი ქრისტე მამისა სიტყუად ითქმის და არა არს მსგავს ჩუენდა სიტყუათა, რომელი პირით ჩუენით რაჲ გამოვიდის სიტყუაჲ, ჰაერად განიბნევის და განილევის; არამედ ძე ღმრთისა უვნებელად შობისა მისისათჳს ითქუმის სიტყუად, ვითარცა ჩუენისა გონებისაგან უვნებელად იშუჱბის სიტყუაჲ და ვნებაჲ არა იქმნების, ეგრეთვე დიდისა მის გონებისაგან, მამისა იშვა ძე და სიტყუა ღმრთისა უვნებელად და არს სრული გუამოვნებაჲ.

ეგრეთვე სული წმიდაჲ გამოვალს მისვე მამისაგან და ძისა თანა განისუჱნებს და არს სრული გუამოვნებაჲ ვითარცა მამისა და ძისა, ეგრეთვე სულისა წმიდისა, განუყოფელისა და შეურევნელისა, ერთღმრთეებისა და ერთუფლებისა.

არამედ სული წმიდაჲ ვითარცა ვთქუ, არცა ორთქლი არს პირისა, არცა ქარი არს ჰაერისა მიმართ განბნევადი, არცა გუამი გუამსა შორის შერწყმული და შერეული, რაჲთამცა მით რაჲმე იქმნებოდა შეჰბერვა. არამედ გუამოვნებაჲ მტკიცე ვითარცა მამისა, ეგრეთცა ძისა და სულისა წმიდისა, განუყოფელნი და შეურევნელნი. არა თუ შერწყმული და შერეული, არცა განბნევადი და განქარვებადი, არამედ სრული ღმერთი არს მამისა და ძისა თანასწორი, მისვე მამისგან გამოსრული და მამისა და ძისაგან განუშორებელი.

და ვითარცა შობაჲ ძისა მამისაგან პირველ ყოველთა საუკუნეთა, ეგრეთვე გამოსლვაჲ სულისა მამისაგანვე, რათა არა ორნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზეზნი ითქუნენ და დაკლებულ იქმნეს სულიწმიდა თანასწორისა პატივისაგან.

ა რამედ შეჰბერვაჲ ესე სულითა კაცობრივითა, მომზადებაჲ იყო მოსალოდებელისა, და არა სრულებით მინიჭებაჲ სულისა წმიდისა. და უკუეთუმცა არა პირველივე მოემზადნეს მოწაფენი, ვითარ უძლებდეს მოსლვასა სულისა წმიდისასა?!

რ ამეთუ წინათვე მოასწავებდეს წინაწარმეტყველნი მოსლვასა სიტყჳსა ღმრთისა და ჯუარცმასა და სიკუდილსა მისსა ცხადად და ჭეშმარიტად იტყოდეს და მერმე მოციქულთა თვალითა იხილეს და ჴელითა მსახურეს. ეგრეთვე ქრისტე მცირედ-მცირედ იტყოდა და მოიყვანებდა გულისჴმისყოფად ვნებისა და აღდგომისა თჳსისა. და კუალად დაბრკოლდებოდეს და აცილობდეს ქრისტესა, ვითარცა პეტრე ეტყოდა უფალსა ჯუარცმისათჳს: **„შენდობაჲ იყოს შენდა. არა იყოს ეგრეთ“**. და უკუეთუმცა წინათვე არა დაჩუჱულ იყვნეს, ვითარ თავს იდებდეს ხილვად ვნებასა მისსა. რავდენ უმეტეს უხილავისა და უსაზღვროჲსა და გარეშეუწერელისა სულისა წმიდისა გარდამოსლვასა შეშინებულ და შეძრწუნებულ ქმნილ იყვნეს. და ვერ თავსმდებელ ძალსა მისსა უსაზღვროსა: უკუეთუ წინათვე არა განემზადნეს ვითარცა ვთქუ შებერვითა მით.

დ ა უკუეთუ მაშინვე სრულებით მიენიჭა, რადღა ელოდეს პაემანსა და აღსრულებასა მეერგასისა დღისასა, რომელსა შინა ცხადად მოიღეს მადლი სულისა წმიდისა ცეცხლისა ენათა განყოფითა.

ა ნუ რად ეტყოდა ქრისტე მოწაფეთა: **„უკუეთუ მე არა წარვიდე, იგი არა მოვიდეს“** დ. კუალად ეტყოდა: **„მე წარვიდე და სხუაჲ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგეშინისმცემელი მოგივლინო" და კუალად შემდგომად შებერვისა მის, მეორმოცესა დღესა ეგულებოდა რაჲ ამაღლებაჲ, აღიყვანნა მთასა ზეთისხილთასა და ეტყოდა: **„ხოლო თქუენ დასხედით ქალაქსა ამას იერუსალიმსა, ვიდრემდის შეიმოსოთ ძალი მაღლით, და მე მოგივლინო აღთქმა იგი მამისა ჩემისა".**

უკუეთუ მაშინ მიენიჭა სული წმიდაჲ, ამას რაჲსათჳს ეტყოდა? ანუ იგი სული წმიდაჲ რომელი იყო და ესე დაპირებული ნუგ-ეშინისმცემელი რომელი?

რამეთუ ვინაჲთგან სრულმან ბუნებამან ღმრთისამან ბუნებაჲ კაცთა სრულებით მიიღო; ჴორცნი და გონებაჲ, სული სიტყჳერი სამშჳნველითურთ და შეიერთა თავსა შორის თჳსსა და ყოვლითურთ განაღმრთო და ყოველივე ღმრთისად გამოაჩინა: ხორცნი და სისხლი, გონებაჲ და სიტყუაჲ, სული და სამშჳნელი, და ერთგუამ იქმნა ორი ბუნება. ამისათჳს კაცობრივითა სულითა და სამშჳნველითა შეჰბერა, რათა გურწმენეს შემდგომად აღდგომისაცა სრულისა კაცობრივისა ბუნებისა ქონებაჲ ქრისტესი; და მომზადებაცა იყო მოღებად სულისა წმიდისა; ვითარცა აწცა მღვდელნი სახედ იქმან, რაჟამს ნათელს სცემენ ყრმათა, შეჰბერვენ და მასვე სიტყუასა იტყჳან, რომელნი მაშინ ჰრქუა უფალმან მოწაფეთა, ვითარმედ: **„მიიღეთ სული წმიდაჲ"** და მოჰმზადებენ მიღებად სულისა წმიდისა. ესრეთ მომზადება იყო და არა სრულიად მინიჭება.

ხოლო ღმრთაებისა ბუნებითა მეერგასესა დღესა, დროსა მას და პაემანსა, რომელსა მოელოდეს მოციქულნი სათნოყოფითა მამისაჲთა მოვლინებითა ძისაჲთა და თჳთ ჴელმწიფებითა სულისაჲთა თავით თჳსით მოვიდა სული წმიდაჲ, ვითარცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილ არს, ვითარმედ: **„მე ვკითხო მამასა ჩემსა და სხუაჲ ნუგეშინისმცემელი მოგივლინო“** და მერმე იტყჳს: **„უკუეთუ მე არა წარვიდე, იგი არა მოვიდეს, და მე მოვავლინო იგი თქუენდა“**. და კუალად იტყჳს: **„ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისაჲ, გიძღოდის თქჳენ ჭეშმარიტებასა შინა“**. ესე სიტყუანი თჳთებათა და გუამოვნებათა შეურევნელობისანი არიან.

ხოლო სიტყუაჲ იგი, ვითარმედ: **„სული ჭეშმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს, მან წამოს ჩემთჳს“**, ესე არსებათა და ბუნებათა ერთობისა საქმე არს; ვითარმედ მამისაგან გამოვალს და მამა არს მიზეზი ძისა შობისა და სულისა გამოსლვისა, და ერთი პატივი და სწორი ჴელმწიფება და უფლება აქუს და, არა არს მათ შორის განწვალებაჲ, არცა შერწყუმა და შერეულება, არამედ ერთობაჲ აქუს უცვალებელი და მეუფჱბაჲ აქუსთ დაუსრულებელი, და მისი არს დიდებაჲ და პატივი და თაყუანისცემა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

VI თავი

სიტყვსა მისთვს, ვითარმედ: „მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშ-მარიტება“

ბვალად იტყჳან, ქრისტე ბრძანებსო: **„მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება“**, მერმე იტყჳსო: **„სული ივი ჭეშმარიტებისაჲ, რომელი მამისაგან გამოვალს“** – ივი ჭეშმარიტება ძე არსო და მისგან გამოვალს სული წმიდაო. უკუეთუ გამოსლვასა ზედა მოიღებენ ამას სიტყუასა, მაშა **„გზისაგანცა გამოვალს და კრავისაგან“**[35] (გამოცხადება 22,1) და რაოდენნი ჴორციელისა განგებულებისა სახელნი ეწოდებიან ქრისტესა, რამეთუ თქუა: **„მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება“** და კვალად: **„მე ვარ კარი, თუ ვინმე შევიდეს ჩემ მიერ, ცხონდეს“**. და ესე არს უმსგავსო სიტყუაჲ მათი: ხოლო არა იტყჳს ჭეშმარიტებისაგან გამოსლვასა, არამედ **სული ჭეშმარიტებისაო**, და მეცა ეგრეთვე მრწამს და აღვიარებ სულად ძისა და სულად ქრისტესა და სულად ჭეშმარიტებისა და რაოდენნი სახელნი იწოდებიან ქრისტესთვის, ყოველთა ზედა ითქმის სულად ძისა და სულად ქრისტესა და სულად ჭეშმარიტებისა მოძღვრებისაებრ საღმრთოთა წერილთასა ვითარმედ: **„გამოავლინა ღმერთმან სული ძისა თჳსისაჲ გულთა შინა ჩუენთა“** (გალატელთა 4,6). და კუალად იტყჳს: **„რომელსა სული ქრისტესი არა აქუნდეს, ივი არა არს ქრისტესი“**, და კუალად: **„მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება“**.

ხოლო გამოსვლით ძისაგან არავის უთქუამს, არცა თჳთ ჭეშ-მარიტსა ძესა ღმრთისასა, არცა მოციქულთა, არცა ღმრთისმ-

---

35 აქ წმინდა წერილში წერია: „საყდრისაგან ღმრთისა და კრავისა“. ტექსტის ან გადაწერაშია შეცდომა ან სიჩქარის გამო. ზ.ძ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტყუელთაგანსა ვისმე, არამედ ესრეთ ყოველთავე საღმრთოთა წერილთა შინა და თჳთ წმიდასა სახარებასა შინა წერილ არს, ვითარმედ: „მამისაგან გამოვალს და ძისა მიერ მოივლინების და მოგუჱცემის და მოგუჱნიჭების, და მამა არს მიზეზი ძისა შობისა და სულისა გამოსლვისა და ერთობაჲ აქუს უცვალებელი და ჴელმწიფებაჲ და̀ უფლებაჲ მოუკლებელი უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII თავი

სიტყუსა მისთუს, ვითარმედ: „მდინარე ერთი გამოვალს საყდრისაგან ღმრთისა და კრავისა“

ხოლო ერთი სიტყუაჲ ესე აქუსთ პაპის მოსავთა მიზეზად ცუდად მეტყუელებისა მათისა, რომელი წერილ არს გამოცხადებასა შინა იოანე ღმრთისმეტყუელისასა, ვითარმედ: **„მიჩუენა მდინარეჲ წმიდა წყლისა ცხოველისაჲ ბრწყინვალეჲ, ვითარცა ბროლი, გამომავალი საყდრისაგან ღმრთისა და კრავისა, შორის სივრცესა მის ქალაქისასა“** (გამოცხადება 22,1). ესე არს თავი და პირველი სიტყუსგებაჲ მათი ჩუენდა მომართ, და სიტყუთა ამით აცთუნებენ მრავალთა წრფელთა და მარტივთა სულთა. და ჩანს ვითარმედ: ძნელ არს სიტყუსგებაჲ მათი, არამედ მცირედ მელოდეთ და ადულად დაიჴსნას სიტყუამრავლობაჲ მათი და ცუდისმეტყუელებაჲ მადლითავე და შეწევნითა სულისა წმიდისათა.

რამეთუ იტყუს, ვითარმედ: **„მდინარე ერთი გამოვალს საყდრისაგან ღმრთისა და კრავისა, შორის სივრცესა მის ქალაქისასა“**. ვინათგან საყდარი თქუა და სივრცე ქალაქისა, ჩუენ მიერ არღარა საჭირო არს ამისი განმარტებაჲ, რამეთუ რომელთა შორის არს მეცნიერებაჲ საღმრთოთა წერილთა, მათ მიერცა ადულ არს ამისი უწყება და ძალი, ვითარმედ საყდარნი ღმრთისანი ზეცისა წესთაგანნი არიან ერთი დასი ცხრათა მათ დასთაგანნი უმაზლობელესნი ღმრთისანი და უპირველესნი სხუათა მათ ზეცისა განწყობილთანი სერაბინთა და ქერუბინთა თანა გარემოჲს ღმრთისა მყოფნი, რომელთა ზედა განისუენებს მეუფეჲ მეუფეჲთა, ვითარცა დასწერს ბრძენთმთავარი დიდი დიონისე ზეცისა განწესებათათუს და იტყუს: „სერაბიმნი და ქერუბიმნი და საყდარნი, უფლებანი, ძალნი და ჴელმწიფებანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობანი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი". ვითარცა ვთქუ უპირველესნი და უმახლობელესნი ზეცისა განწესებათა შორის სერაბინნი და ქერუბინნი და საყდარნი არიან, რომელთა ზედა განისუჩნებს ნეტარი იგი და მიუწვდომელი ბუნებაჲ წმიდისა სამებისა მიუწდომელად და გამოუთქმელად ზეშთა ბუნებისა, და ზეშთა სიტყჳსა და მოგონებისა; და უკუეთუ საყდრისაგანცა გამოვალს სულიწმინდა, ვითარღა ითქვას ძისაგანცა გამოსლვა ანუ რაჲღა იყოს უმეტესი პატივი მამისა ანუ ძისა; და კუალად ესაჲსიცა იგი ხილვაჲ მოიჴსენე, ვითარ იხილა მეუფჩ საყდართა ზედა მჯდომარე ჟამსა მას, რომელსა მოკუდა ოზია მეფე და იტყჳს, ვითარმედ: **„ვიხილე ღმერთი მჯდომარე საყდართა ზედა მაღალთა და აღმატებულთა, და სავსე იყო ტაძარი იგი დიდებითა მისითა და სერაბინნი დგეს გარემოჲს მისა"**, და შემდგომი; და კუალად წმიდანი სამნი ყრმანი, იყვნეს რა შეთხეულ საჴმილსა მას ცეცხლისასა, ილოცვიდეს და იტყოდეს: **„კურთხეულ ხარ შენ საყდართა ზედა დიდებისა შენისათა"** და დავით იტყჳს: **„უფალმან ზეცას განჰმზადა საყდარი თჳსი და სუფევა მისი ყოველთა ზედა ეუფლებინ"**; და კუალად გამოცხადებასა შინა წერილ არს: **„მეყსეულად ვიქმენ სულითა და აჰა, დგა საყდარი ცათა შინა და საყდართა ზედა და მჯდომარე მსგავს იყო ქვასა მას იასპსა და სარდიონსა და ირისე იყო გარემოჲს საყდრისა მის"**. ესე არს საყდარი იგი, რომლისაგან გამოვალს მდინარე იგი წყალისა ცხოველისა, და საყდრად ღმრთისა, რომელსა ზედა განისუჩნებს ღმერთი. პირველნი ბრწყინვალებანი არიან ზეცისა განწყობილთა შორის ვითარცა პირველვე ვთქუ, და მერმე შორის სივრცესა მის ქალაქისასა, რამეთუ ესენი წმიდანი ანგელოზნი არიან და სულნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმიდათა კაცთანი, რომელნი იშუებენ ზეცასა იჩრუსალიმსა შინა ვითარცა სხუანიცა ღმრთისმეტყუელნი ესრეთვე იტყჳან და ამათ შორისცა გამოვალს, ვითარცა წერილ არს: **„მდინარე ერთი გამოვალს წმიდა, ბრწყინვალე წყლისა ცხოველისა საყდრისაგან ღმრთისა და კრავისა შორის სივრცესა მის ქალაქისასა“**. და ვითარ ეგების ესე, ანუ ვითარ მოეზავების ესრეთ, რაჲთამცა სულიწმიდაჲ საყდრისაგან ღმრთისა და კრავისა გამოვიდა სიტყჳსაებრ მათისა, შორის სივრცესა მის ქალაქისასა.

ხოლო მდინარე იგი წმიდაჲ, რომელი იხილა ღმრთისა მეტყუჳლმან წყლისა ცხოველისა ჭეშმარიტად მადლი სულისა წმიდისა არს და გამოვალს საყდრისაგან ღმრთისა და კრავისა, რომელ არნ საყდარნი ღმრთისანი წმიდანი ანგელოზნი, ნებითა კრავისა მის ჩუენთჳს დაკლულისათა და გარდაეცემის უხუად შორის სივრცესა მის ქალაქისასა ანგელოზთა და წმიდანთა სულთა ზედა. და არა ბუნებით და პირველითგან მიზეზობისათჳს არს ხილვა ესე გამოსლვისა, არამედ მადლთა მათ მრავალსახეთა სულისა წმიდისათა გამოსლვათათჳს იტყჳს, ვითარცა ბრძანებს ქრისტე, ვითარმედ: **„რომელსა ჰრწმენეს ჩემი“**, ვითარცა თქუა წიგნმან: **„მდინარენი მუცლისა მისისაგან დიოდიან წყლისა ცხოველისანი“**. ესე თქუა სულისა მისთჳს, რომელი მიღებად იყო მორწმუნეთა მათ მისა მიმართ.

ესე მდინარე იხილა იოანე ღმრთისმეტყველმან გამომავალი საყდრისაგან ღმრთისა და კრავისა, რამეთუ მადლი იყო სულისა წმიდისაჲ უხუებით მომდინარე სახედ მდინარისა შორის ანგელოზთა და წმიდათა სულთა ზედა კაცთასა გარდაცემული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჭეშმარიტად, რომელსა ჰრწმენეს ქრისტე ძედ ღმრთისად და თანასწორად მამისა და სულისა წმიდისა, უკუანაჲსკნელ ჩუენთჳს განკაცებული ორითა ბუნებითა და ერთითა გუამითა, ღმერთი სრული და კაცი სრული, და მცნებათა და ბრძანებათა მისთა იმარხვიდეს, მისგანცა გარდამოეცემის მდინარე იგი ცხოველსმყოფელი წყლისა ცხოველისა უხუჴბით მომდინარე, რომელ არს მადლი სულისა წმიდისა ბრძანებისაებრ ღმრთისა, ვითარმედ: **„რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მდინარენი მუცლისა მისისაგან დიოდიან წყლისა ცხოველისანი“** და შემდგომი. და თუმცა სულისა წმიდისა გამოსლვისათჳს იტყოდეს მდინარესა მას ღმრთისმეტყუჴლისა მიერ ხილულსა და მის მიერვე სახარებასა შინა წერილსა, მაშა ესეცა იქმნების, რომელ ყოვლისა მორწმუნისა და წმიდისა კაცისაგანცა გამოვალს სული წმიდაჲ და ვითარ იყოს ესე, ანუ ვითარ ეგების, რამეთუ სული წმიდაჲ ბუნებით არცა მდინარე არს, არცა ქარი, არცა დის, არცა ქრის, არცა ორთქლი რაჲმე არს განქარვებადი და ვითარცა იგი ძე და სიტყუაჲ ღმრთისა, არა თუ სიტყვათაებრ ჩუენთა ჰაერად განბნევადი არს, არამედ სრული გუამოვნებაჲ არს ვითარცა მამისა და ძისა ეგრეთვე სულისა წმიდისა, უცვალებელი და მოუკლებელნი, შეურევნელი და განუყოფელნი, და არა რაჲ არს მათ შორის განყოფილი თჳნიერ უშობელობისა, შობისა და გამოსლვისა და არცა ვინ ესე უწყის და ვერცა ვინ შემძლებელ არს ცნობად, თუ რაჲ არს უშობელობაჲ მამისა, შობაჲ ძისა და გამოსლვა სულისა; ვერცა კაცნი და ვერცაღა თჳთ უჴორცონი ბუნებანი, არამედ ესე ოდენ უწყებულ არს ჩუენდა და მოცემულ საღმრთოთა წერილთა მიერ და მეტი არარაჲ; და ნუცა ვინ გამოეძიებს ამისა უმეტესსა, რათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა დაინთქას და მიეცეს წარსაწყმედელსა სიტყჳსაებრ დიდისა ღმრთისმეტყუელისა გრიგოლისა.

რად ვიტყჳ სხუასა, თჳთ ჭეშმარიტი სიბრძნე და ძალი ღმრთისა ძე და სიტყუაჲ მამისა ბრძანებს: **„სული იგი ჭეშმარიტებისაჲ რომელი მამისაგან გამოვალს“** და წმიდანი მისნი მოციქულნი მართლისა სარწმუნოებისა აღსარებასა ესრეთ დასწერენ, ვითარმედ: **„სული წმიდაჲ, რომელი მამისაგან გამოვალს“**. და სამას ათრვამეტთა ღმრთის მეტყუელთა მამათა ნიკიას ესრეთვე თქუეს და დაამტკიცეს: **„სული წმიდაჲ, რომელი მამისაგან გამოვალს“;** ეგრეთვე შემდგომთა დიდთა კრებათა და სხუათა ყოველთა ღმრთისმეტყუელთა ესრეთ დაწერეს და დაამტკიცეს, ვითარმედ: **„მამისაგან გამოვალს“**, და არა სადა თქუმულ არს, თუ სული წმიდა მამისა და ძისაგან გამოვალს და ვერცა ვის უკადრებიეს, არამედ მხოლოდ მამისაგან გამოვალს და ძისა მიერ მოივლინების და მოგუჱცემის და მოგუჱნიჭების, და ერთი არს პატივი და დიდებაჲ მამისა და ძისა და სულისა წმიდისა.

ხ ოლო იგინი გმობენ წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა და თჳთ თავადისა ქრისტეს ბრძანებასა და მოძღვრებასა გარდააქცევენ და იტყჳან ვითარმედ: მათგან დაკლებული და ვერ გულის ჴმის საყოფელი ჩუენ გამოგუჱცხადა და გულისჴმავყოფთო [და] ამისათჳს ესრეთ ვიტყჳვითო; და კოსტანტინეპოლისა კრებამან „სული წმიდაჲ ღმერთი და ცხოველსმყოფელი“ შემატესო, რამეთუ მუნამდე ესრეთ იტყოდესო: „სულიწმიდა, რომელი მამისაგან გამოვალს“, და აწ ჩუენცა ესრეთ შევმატეთო: „სული წმიდა რომელი მამისა და ძისაგან გამოვალს“; და ესრეთ ცუდითა სიტყჳთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიმართლებენ თავთა თჳსთა. აღივსნედ სირცხვილითა და კდემითა პირნი მათნი, რომელნი ესრეთ ზრახვენ. რომელი არს იგი კრება ერთი მეორისა წინააღმდგომი? ანუ პირველისა განმასაზღვრებელისა მეორე დამჴსნელი და არა უფროსად დამამტკიცებელნი თჳნიერ ფლორე[ნ]ციისა კრებისა?, რომელსა იგინი მერვედ კრებად უწოდნენ. რამეთუ იგინი არიან დამჴსნელნი და განმაქარვებელნი ყოვლისა საღმრთოდ სჯულისდებისანი და მოციქულთა განწესებისანი. ესე სიტყუაჲ არა თუ კო[ნ]სტანტინეპოლისა კრებამან შემატა **„ღმერთი და ცხოველსმყოფელი“**, არამედ წმიდამან იაკობ მოციქულმან და მარკოზ მახარებელმან განწესებასა შინა საღმრთოჲსა წირვისასა ესრეთ დააწესეს შემდგომად საუფლოჲსა მის სიტყჳსა, რომელ არს: **„მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჴორცი ჩემი“**, და შემდგომი. მერმე ესრეთ იტყჳან წმიდანი მოციქულნი: **„შეგვიწყალენ ჩუენ ღმერთო ყოვლისა მპყრობელო, შეგვიწყალენ ჩუენ ღმერთო მაცხოვარო ჩვენო, შეგვიწყალენ ჩუენ დიდითა წყალობითა შენითა და გარდამოავლინე ჩუენ ზედა და წინა მდებარესა ამას ძღუნსა ზედა სული შენი ყოვლად წმიდაჲ, ღმერთი და ცხოველსმყოფელი თანა არსი შენ ღმრთისა მამისა და მხოლოდშობილისა ძისა შენისა ერთმეუფებით თანასწორი“**. ესრეთ ხადიან წმიდანი მოციქულნი სულსა წმიდასა უფლად და ცხოველსმყოფელად, და არა თუ უკანასკნელ უწოდეს ესე სახელნი.

რამეთუ სახელნი სულისა წმიდისანი მრავალნი არიან წმიდათა წერილთა მიერ მოსწავებულნი. გინა თუ ღმერთი, გინა თუ ცხოველმყოფელი, გინა თუ რავდენიცა სახელნი იწოდებიან: სული ნუგეშინისმცემელი, სული სახიერი, სული წრფელი, სული მთავრობისა, სული გულისჴმისყოფისა, სული სიბრძნისა, სული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთმყოფელი.

ესე და ესე ვითარნი და უმრავლესნი სახელნი წერილ არიან საღმრთოთა წერილთა შინა სულისა წმიდისათჳს, და რავდენიცა უწოდოს კაცმან სულსა წმიდასა, კეთილ არს ფრიად და ჯერო-ვან, და შეეტყუბიან ყოვლად ბრძენსა მას და ყოვლად სახიერსა ღმერთმთავარსა სულსა. ვითარცა არს ჭეშმარიტად ღმერთი და უფალი და ცხოველსმყოფელი და სხუანი, რავდენნიცა ვთქუენ.

ხოლო გუამოვნებისა და თჳთებისა შერევნა და შერწყმაჲ და ძისაგან გამოსლვა უჯერო არს და უპირულ, რომელი არცაღა სხუასა ვის უთქუამს და არცა სადა წერილ არს და გარეშე არს საზღუარსა წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასა და რომელნიცა ამათ საზღუართა გარდაუქცევენ, მათ ზედა აღესრულების სიტყუაჲ იგი მოციქულისა: **„გინა თუ ჩუენ, გინა თუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ, გარეშე მისა, რომელი იგი გახარე თქუენ, შეჩუცნებულ იყავნ“**, ვითარცა წინასწარ ვთქუ და აწ კვალად ვიტყჳ: **„უკეთუ ვინმე გახარებდეს თქუენ მისა გარეშე, რომელი იგი მიიღეთ, შეჩუენებულ იყავნ“**!

ხოლო ჩუენ ღმრთის მოყვარენო, ნუ გარდავჴდებით საზღუარსა მამათასა, ნუცა შევცვალებთ კანონსა წმიდათა მოციქულთა და წმი-დათა ღმრთისმეტყველთასა ვითარცა არცარა შეგჳცვალებიეს და არცარა შემოგვიღიეს უბიწოსა ამას შინა სარწმუნოებასა ჩუენსა, არამედ ვეგნეთ მასვე ზედა საფუძველსა მოციქულთა და წინაწარმ-ეტყუელთასა და ვიქმოდეთ კეთილთა საქმეთა, რათა კურთხევა და მადლი მათი მოვიდეს ჩუენ ზედა და გჳცვნეს წმიდამან სამებამან ერთ ღმრთაებით თაყვანისცემულმან და დიდებულმან, რამეთუ მისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუშნის ყოველი დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII თავი

სიტყუსგებაჲ მათდა მიმართ, რომელნი პაპასა ჰრომისასა უფროსად და უაღრესად ჴადიან სხუათა პატრიარქთა ზედა და ქუეყანასა ზედა მეორედ ქრისტედ აღიარებენ და თავად ყოველთა ეკლესიათა იტყვიან პეტრე მოციქულისა თანამოსაყდრეობითა. სწორადვე მისსა და ვიკადრო ვითარმედ: უაღრეს მისსა აღიარებენ, კეთილის მოქმედი იყოს კაცი იგი ანუ თუ სიტყუსა წინა აღმდგომისა და საქმისა

Ესმინეთ ჩემი, რომელთა გნებავს კეთილად გულისჴმის-ყოფაჲ [და] ამის მიზეზისათვის სიტყუსგებაჲ და თქუენ იხილეთ და საჯეთ სამართალი, ვინ არს უმეტესი ანუ უადრესი, ანუ თუ სწორნი, ანუ დაკლებულნი. მოდით ძმანო და ამის პირისათჳს უპირატესად სიტყუაჲ ღმრთისა შემოვიღოთ, რამეთუ ესრეთცა ჯერ-არს [და] რამეთუ „**იგი არს დასაბამი და სრულმყოფელი ყოვლისა კეთილისა და მისგან არს ყოველი მოცემად კეთილი და ყოველი ნიჭი სრული ზეგარდამო მოცემულ მამისაგან ნათლისა**“.

Ვითარცა წერილ არს: „**ჰრქუა იესუ მოწაფეთა თვისთა: ხოლო თქუენ ნუ იწოდებით რაბბი, რამეთუ ერთი არს მოძღვარი თქუენი — ქრისტე, ხოლო თქუენ ყოველნი ძმანი ხართ და მამით ნუვის ხადით ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთი არს მამაჲ თქუენი, რომელი არს ცათა შინა. ნუცა გერქუმინ თქუენ წინამძღვარ, რამეთუ ერთი არს წინამძღვარი თქუენი — ქრისტე, ხოლო უდიდესი თქვენი იყავნ თქვენდა მსახურ, რამეთუ რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, იგი დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს**“ (მათე 23,8). აწ იხილეთ ბრძანებაჲ ესე სამეუფეო! სადა ჩანს აქა უდარეს-უაღრესობაჲ წმიდათა მოციქულთა, რომელნი-იგი პაპასა ჰრომისასა უაღრესად ხადიან წმიდისა პეტრე მოციქულისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამოსაყდრეობითა და განიდიდებენ თავთა თვისთა და მიზეზად ამპარტავნებისა მოიღებენ პეტრეს. ესე უწყოდა ვითარცა წინაჲსწარ მცნობელმან ყოვლისამან უფალმან და ამისათჳს შემოიღო სიტყუაჲ ესე და წინასწარ განაკრძალებს მოწაფეთა თვისთა და ასწავებს, რათა არა განლაღნენ ერთი მეორესა ზედა; ვითარცა კუალადცა ეტყოდა მოწაფეთა: **„ისწავეთ ჩემგან რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა და ჰპოოთ განსუენებაჲ სულთა თქუენთა“.** ისწავეთო ჩემგან სიმდაბლე არა თუ სილაღე და ამპარტავნება.

და კუალად წერილ არს მასვე წმიდასა სახარებასა შინა: ოდეს მოციქულნი ჯერეთ საზომსა სისრულისასა არა მიწევნულ იყუნეს, ბრძანებდა რაჲ ქრისტე ვითარმედ: **„აღვალ იერუსალემად“,** იგინი ჰგონებდეს ქრისტესთჳს, ვითარმედ საყდართა დიდებისათა დაჯდებისო და მეუფებათა ქუეყანისათა დაიპყრობსო.

მაშინ მოუჴდა იესოს დედა ძეთა ზებედესთა ძეთა მისთა თანა, თაყვანისცემდა და ითხოვდა რასამე მისგან, ხოლო თავადმან ჰრქუა მას: **„რაჲ გნებავს? - ჰრქუა მას: თქუ, რათა დასხდენ ორნი ესე ძენი ჩემნი ერთი მარჯუენით შენსა და ერთი მარცხენით შენსა სასუფეველსა შენსა. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: არა იცი, რასა ითხოვ! ძალ გიცა სასუმელისა ჩემისა შესუმად რომელი მე მეგულების შესუმად ანუ ნათლისღებაჲ რომელი მე ნათელ ვიღო, - ნათლისღებად? ხოლო მათ ჰრქუეს მას: ძალგვიც“** (მათე 20,20). ხედავა? რამეთუ ქრისტემან სასუმელი სიკუდილისა წინა უყო შესუმად და ჭირი და სასჯელი სოფლისა ამის და ეგრეთღა დასხდომა სუფევათა შინა. დაღაცათუ ამათ ქუეყანისაჲ ითხოეს, არამედ ქრისტემან საუკუნო იგი დიდებაჲ აღუთქუა და იგიცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭირითა და შრომითა და სიკუდილითა და არა თუ განსუენებითა და დიდებისა მსოფლიოსა ძიებითა. და ეტყჳს: **„სასუმელი სამე ჩემი შესუათ და ნათლისღებაჲ, რომელი მე ნათელ ვიღო, ნათელ იღოთ, ხოლო დაჯდომა მარჯჳენით ჩემსა და მარცხენით არა არს ჩემი მიცემად, არამედ ვიეთდა გამზადებულ არს მამისა მიერ ჩემისა“.**

ვითარცა ესმა ესე ათთა მათ განრისხნეს ორთა მათ ძმათათჳს.

ხოლო იესუ მოუწოდა მათ და ჰრქუა: **„უწყითა, რამეთუ მთავარნი წარმართთანი უფლებენ მათ ზედა და დიდ-დიდნი ჴელმწიფებენ მათ ზედა, ხოლო თქუენ შორის არა ეგრეთ იყოს, არამედ რომელსა უნებს თქუენ შორის დიდ ყოფაჲ იყავნ თქუენდა მსახურ, და რომელსა უნებს თქუენ შორის წინა ყოფაჲ, იყოს იგი თქუენდა მონა“** (მათე 20,25). იხილე! აქაცა მონებაჲ და ურთიერთას მსახურებაჲ უბრძანა და არა მთავრობაჲ და ერთი-მეორესა ზედა უფლებაჲ და ჴელმწიფებაჲ წარმართთაებრ; ვითარცა აწინდელი პაპები ჰრომისანი ჴელმწიფებენ და მძლავრობენ ყოველთა ზედა. ესე უწყოდა უფალმან ვითარცა წინასწარ მეცნიერმან სილაღისა მათისამან. [და] ამისათჳს ეტყჳის მოწაფეთა და ასწავებს სიმდაბლესა, რათა სწორ იყვნენ და ერთი მეორესა ზედა არა განლაღნეს, დაღაცათუ პეტრე მოციქული ჩუენ კაცთა მიერ თავად მოციქულად სახელიდების, არამედ ზოგად ყოველნი მოციქულნი თავად სახელიდებიან და არიანცა თავნი ათორმეტნივე ყოველნი სხუათა მათ სამეოცდაათთა ზედა, რომელნი ქრისტემან უკანაჲსკნელ გამოირჩინა. ხოლო ესე ათორმეტნი პირველ წოდებისათჳისცა ითქუმიან თავად, არამედ ზოგად ძმანი არიან საზომისაებრ და ნიჭისა მადლთასა და არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ჴორციელითა დიდებითა აწინდელთა პაპებთაებრ, რომელნი არა პეტრესებრ იქცევიან, არცა სხუათა მოციქულთაებრ უპყრიესთ ეკლესია, არამედ ამპარტავნებით და მძლავრობით მპყრობელთა მეფეთაებრ, რომელნი ბრძანებათა განავლენენ და ზოგთა ნებსით და ზოგთა იძულებით და მძლავრებით დაიმორჩილებენ და წინა აღუდგებიან ბრძანებათა სამეუფოთა და იტყჳან თავად ეკლესიათა პაპსა ჰრომისასა და უფროსად ყოველთა პატრიარქთა.

Ხოლო ესევითარისა ზუაობისა და ღმრთის საძულველისა ამპარტავნებისა სიტყვა და საქმე ახლად არს მათ მიერ მოპოვნებული და თავით თჳსით მოგონებული, გარეშე წმიდათა წერილთა და თჳნიერ მსოფლიოთა კრებათა, რამეთუ არასადა წერილ არს წმიდათა მოსახსენებელთა შინა, არცა სჯულისა კანონთა შინა უფროსობა სხუათა ზედა პაპისა და ვერცა გამოაჩინებენ ამას თუმცა ძუᲩლითგან უფროსი ყოფილიყო სხუათა პატრიარქთა ზედა ეპისკოპოზი ჰრომისა; არამედ განწესებისაებრ პირველისა მსოფლიოსა კრებისა სამასათთვრამეტთა მამათასა ნიკეას შეკრებილთა კოსტანტინეს ზე დიდისა, ერთობა და სწორებაᲲ აქუს ხუთთავე პატრიარქთა, (და) რათა ერთი მეორისა სამწყსოსა ვერ ეცილებოდის, რამეთუ მუნამდე არცა ერთი ეკლესია — საპატრიარქო აღმოსავლეთისა არცა დასავლეთისა იყო წარჩინებულ არცა გამოჩინებულ მის ჟამისა კერპთმსახურთა მძლავრებისაგან, რამეთუ დიდი იყო შიში და მძლავრება მათი ყოველთა ქვეყანათა ზედა და ყოველთავე აიძულებდენ უარისყოფად ქრისტესა და იყვნეს დამალულ მთათა შინა და ქუაბთა და ჴურელთა ქუეყანისათა, შიშითა სატანჯველთათა, ვითარცა ცხორებასა შინა წმიდისა სილიბისტროსა წერილ არს, რომელი იყო პაპა ჰრომისა და იგიცა დამალული, მეფემან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოსტანტინე გამოიყვანა ოდეს იქმნა ქრისტიანე გამოჩინებითა წმიდათა მოციქულთა პეტრე და პავლესითა და მათ აუწყეს მოძიება სილიბისტროსი. და ვითარცა იქმნა ესე ქრისტიანე და მიიღო შარავანდედი მეფობისა და ველთ უდვა უფალმან ყოველი ქუეყნიერებაჲ აღმოსავლეთისა და დასავლეთისა.

მაშინ ქმნა კრებაჲ დიდი ნიკეას, ვითარცა ვთქუ და შეკრიბნა ყოველთა კიდეთგან სამასათთვრამეტნი წმიდანი ეპისკოპოზნი და დაამტკიცეს მართალი სარწმუნოებაჲ წმიდათა მოციქულთა მიერ ქადაგებული და დაუსხნეს ეკლესიათა წესნი და კანონნი. მუნ იყვნეს კრებისა მის თავად ხუთნივე პატრიარქნი სწორად: სილიბისტრ — პაპა ჰრომისა, მიტროფანე — პატრიარქი კონსტანტინეპოლისა არამედ მიტროფანე, ვერ მიწევნულმან უძლურებისაგან, სხვაჲ წარავლინა ნაცვლად თვისა, იობენალ — იერუსალიმისა, ალექსანდრე — ალექსანდრიისა და ევ[ს]ტათი — ანტიოქიისა და მათ თანა სფირიდონ საკვირველთმოქმედი, ნიკოლოზ მირონ ქალაქისა ეპისკოპოზი - საკვირველთმოქმედი, გრიგოლი პართეელი მღვდელმოწამე, განმანათლებელი სომხითისა, ბასილი მღვდელმოწამე ეპისკოპოზი ამასიისა, დიდი ათანასე და სხუანი მსგავსნი ამათი სამას ათრვამეტი წმიდანი მამანი და მათ დაამტკიცეს მართალი სარწმუნოებაჲ. მაშინ მეფემან კონსტანტინე დიდად პატივსცა და აღამაღლნა ყოველნი ეკლესიანი და საეპისკოპოზონი. პირველად ჰრომისა ეკლესია ადიდა და აღამაღლა ეპისკოპოზი მისი, რამეთუ ნათელიცა მისგან მოეღო და ველთ უდვა დასავლეთისა ეკლესიანი. არათუ ყოვლისა სოფლისა მთავრად დაადგინა, არამედ დასავლეთისა ოდენ ეპისკოპოზად განაჩინა და თჳთ მეფე დაემკჳდრა ბიზანტიას და მოსცვალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძუელი ჰრომი ახლად ჰრომად და სახელსდვა კოსტანტინოპოლი და უფროსად აღამაღლა ეპისკოპოზი ახლისა ჰრომისა და ველთ უდვა თაობა ყოველთა ეკლესიათა. ეგრეთვე ანტიოქიისა და ალექსანდრიისა და იერუსალიმისა, ვითარცა განწესებასა შინა ნიკეისა კრებისა. და მერმე, მეექუსისა კრებისასა წერილ არს: თანასწორობა და ერთი პატივი ძუელისა ჰრომისა ეპისკოპოზი[სა] და ახლისა ჰრომისა ეპისკოპოზის, რათა სწორნი იყვნენ და ერთი პატივი აქუნდეს და სხუათა მრავალთა საღმრთოთა და ღმრთივსულიერთა წიგნთა შინა წერილ არს, რათა სწორნი იყვნენ და ერთი პატივი, ეკლესია ძუელისა ჰრომისა და ახლისა ჰრომისა და პატრიარქნიცა ხუთნივე სწორნი იყვნენ და ერთი მეორისა სამწყსოსა არა უჴდებოდის, არცა მძლავრობით ეცილებოდის, რათა აღმოსავლეთისა პატრიარქი აღმოსავლეთსა მწყსიდეს და დასავლეთისა — დასავლეთსა, ეგრეთვე სხუანი პატრიარქნი თჳს-თჳსსა ხუცდრებულსა ადგილსა განწესებისაებრ ნიკეისა კრებისა და სხუათა შემდგომთა მსოფლიოთა კრებათა.

ხოლო წმინდა გრიგოლი ღმრთისმეტყველი დასწერს შესხმასა შინა ირონ ფილოსოფოსისასა დიდისა ათანასისთჳს, რაჲ იგი შეემთხჳა ბოროტთა არიანოზთაგან. ესრეთ მიუწერს: რათა ვითარმედ ლტოლვილი მწვალებელთაგან და მრავალფერად გუცმული და წყლული მიიწია ჰრომად და ეპისკოპოზისა მის მათისა წინაშე განაცხადა უსამართლობაჲ იგი მისი, რომელი შეემთხჳა არიანოზთაგან და უჩუცნა სისხლითა შეღებილი სამოსელი თჳსი. სადა ჩანს აქა უფროსობაჲ პაპისა ანუ თაობა ყოველთა ზედა. რაჲსათვის არა თქუა: თუ მიიწია იგი წინაშე თავისა მის ჩუენ ყოველთასა - ჰრომაელთა ეპისკოპოზისასა და ყოვლისა სოფლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსისა?! არამედ, ესრეთ, ვითარცა ვთქუ ვითარმედ წინაშე ეპისკოპოზისა მის მათისა და არა ჩვენ ყოველთასა.

ეგრეთვე ცხოვრებასა შინა მაქსიმე აღმსარებლისასა წერილ არს: ოდეს ერთისა ნებისა და საქმისა მეტყველნი — მეფე და პატრიარქი კონსტანტინეპოლისა, მწვალებელნი გმობდეს კრებასა ქალკედონისასა, წმიდა მაქსიმე აღმსარებელი ჰრომს იქცეოდა ლტოლვილი მწვალებელთაგან, რამეთუ ძლიერად წინააღუდგებოდა და ამხილებდა მეტყველთა ერთისა ნებისა და ერთისა საქმისა. მაშინ იძულებით წარმოიყუანეს ჰრომით კო[ნ]სტანტინეპოლედ და აიძულებდეს რათა უარყოს კრებაჲ ქალკედონისა და ერთი ნება და ერთი საქმე ჴორცშესხმულისა ქრისტე ღმრთისა ჩუენისა აღიაროს. ამას მრავალგზის ეტყოდეს და იგი არა ერჩდა. მერმე მიგზავნნეს კაცნი საჩინონი და შერაცხულნი ეპისკოპოზნი და მთავარნი და მიუმცნეს ესრეთ ვითარმედ: ეკლესია კო[ნ]სტანტინეპოლისა თავი არს ყოველთა ეკლესიათა, რაჲსათჳს არა დაემორჩილები ამას ეკლესიასაო. ესე გუაუწყე, რომლისა ეკლესიისა მორჩილი ხარო: ამის ჩუენისა ეკლესიისა ანუ ჰრომისა, ანუ ალექსანდრიისა, ანუ იერუსალემისა, ანუ ანტიოქიისა, რამეთუ ხუთნივე ესე საპატრიარქონი ერთ ჴმა არიან და ამა ჩუენსა ეკლესიასა ეზიარებიანო. შენცა მოვედ და გუეზიარე და შემოგუერთე ამას ჩუენსა ეკლესიასაო.

ხოლო რაჲ მიუგო წმიდამან მაქსიმე? — არამედ ესე ვითარმედ: **„ეკლესია ქრისტესი არა თუ ქვათა მიერ ჴელითა კაცთათა აღშენებული არსო, არამედ მართლმადიდებლობაჲ და სარწმუნოებაჲ ქრისტესი. ესე არს კლდე და მას ზედა აღშენებულ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არს ეკლესია. რაჟამს იგი პეტრეს ეტყოდა ოდეს ძედ ღმრთისად აღიარა: „შენ ხარ კლდე და მას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემიო“. რომელსაცა ღმერთი ჩუენი იესუ ქრისტე ძედ ღმრთისად რწამს შემდგომად განკაცებისა ორითა ბუნებითა, ორითა ნებითა და საქმითა და ერთითა გუამითა, ესე კლდე თვით ქრისტე არსო. არცა პეტრეს ზედა არს აშენებული, არცა პავლესა ზედა, არცა სხუათა მათ მოციქულთა ზედა, არამედ მართალსა აღსარებასა ზედაო. აწ მე მას დავემორჩილები, რომელიცა ეკლესია და პატრიარქი მართლისა სარწმუნოებისა კლდესა ზედა დაფუძნებულ არსო. თქუენ, რომელნიცა ეკლესია გნებავს შემოგერთნენო. გინა თუ ჰრომისა ანუ ალექსანდრიისა ანუ სხვა, რიმელიცა გენებოს, მე რომელიცა წმიდათა მოციქულთა, წინაწარმეტყველთა და წმიდათა კრებათა დაამტკიცეს და ჭეშმარიტთა მოძღუართა გუასწავეს მას არა გარდაუქცევ და სხუასა არა რას შევიწყნარებ“. აქაცა იხილეთ, ვინ არს უფროსი ანუ უმცირესი? არავინ, არამედ რომელი ეგოს სარწმუნოებასა ზედა მართალსა იგი არს მტკიცესა და უძრავსა კლდესა ზედა დაფუძნებული და იგიცა საზომისაებრ და განწესებისა წმიდათა კრებათასა და არა თუ ვორციელითა დიდებითა და საჴმართა და საფასეთა სიმრავლითა.

ჴუალად ცხოვრებასა შინა გრიგოლი აკრაკანტელისა წერილ არს: ოდეს მიიწია ჰრომედ თაყუანისცემად სამარხოსა წმიდათა მოციქულთასა, რამეთუ დიდ იყო სათნოებითა კაცი იგი ღმრთისა და მრავალთა სასწაულთა იქმოდა, ამისთჳს ყოველნი პატივ-სცემდნენ და იდიდებოდა ყოველთა მიერ. მაშინ მახლობელნი მისნი მღუდელნი შურითა საეშმაკოჲთა დაბნელდეს და იწყეს მტერობად მისა. დღესა ერთსა დედაკაცი ვინმე მეძავი ქრთამითა მოიბირეს რათა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაკვით საფრვე დაუგონ. მაშინ დედაკაცი იგი ჟამსა ცისკრისასა შევიდა სენაკსა მისსა, რაჟამს ყოველნი ეკლესიად წარვიდეს. თჳთ წმიდა იგი და სხვანი ყოველნივე. ხოლო ოდეს სრულ იქმნა ჟამი ლოცვისა, მიჰყვეს წმიდასა მას ვიდრე სენაკადმდე და მეძავი იგი დედაკაცი იხილვა მწოლარედ სარეცელსა ზედა მისსა. მაშინ შეიპყრეს წმიდა იგი და წინაშე პაპისა მიიყვანეს, ხოლო პაპა ვინათგან უმეცარ იყო სიწმიდესა მისსა, საპყრობილესა შეაყენეს და ორი წელი დაყო საპყრობილესა მას შინა და ვიდრემდის არა წარმოგზავნეს კაცნი და არა აუწყეს პატრიარქსა კო[ნ]სტანტინეპოლისასა ვერ განსაჯა საქმე მისი პაპამან ჰრომისამან. მაშინ წარმოგზავნა კაცნი პატრიარქმან და წარიყვანა წმინდა გრიგოლი და მან განსაჯა იგი და ცნეს ყოველთა ღირსება და უბიწოება მისი და ესრეთ განუტევეს. **აწ სადა ჩანს თაობა და უფროსობა პაპისა სხვათა პატრიარქთა ზედა, რომელმან ერთისა კაცისა საქმე, ვინათგან სხჳსა სამწყსო იყო, ვერ განსაჯა?**

Ეგრეთვე სანატრელი მამაჲ ჩუენი გიორგი მთაწმინდელი: მთარგმანებელი, ახალი ღმრთისმეტყველი, ოდეს მოიწია ქუეყანასა ჩვენსა მთაწმინდით და განანათლა ქუეყანა ჩუენი სწავლითა თჳსითა, მიიქცა მუნვე მთაწმინდას და ვითარცა მივიდოდა მგზავრ, მიიწია ანტიოქიას და შევიდა წინაშე პატრიარქისა.[36] ხოლო პატრიარქმა ანტიოქიისამან დიდად პატივ-სცა და მოწლედ შეიტკბო, რამეთუ პირველცა ეხილვა და ფრიადი სიყუარული აქუნდა მისა მიმართ

36. აქ მცირე უზუსტობაა: გიორგი მთაწმინდელი, გიორგი მცირეს თხზულების მიხედვით, ანტიოქიას ეწვია და იქაურ პატრიარქს შეხვდა არა სამშობლოში (საქართველოში) ჩამოსვლის შემდეგ, არამედ მანამდე, ვიდრე ის მეფე ბაგრატ მეოთხის (1027-1072) მოწვევით საქართველოსაკენ გამოეგზავრებოდა (ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი მეორე, თბ., 1967, გვ. 158-161).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჯეროვნად ისმენდის მისსა და ჰკითხვიდის და გამოეძიებდის მისგან სჯულიერთა და საეკლესიოთა საქმეთა და დღესა ერთსა მოუწოდა პატრიარქმან წმინდასა მას და ჰრქუა: წმიდაო მამაო, ვიცი, რამეთუ კაცი ღმრთისა ხარ და ღმერთი იტყჳს პირით შენით; და ესეცა უწყი, ვითარმედ სიტყუათა შენთა მორჩილობენ მეფე და ერი ქართველთა. აწ მიუწერე მეფესა და ქართველთა, რათა დაემორჩილნენ ეკლესიასა ჩუენსა, რამეთუ ჩემნი სამწყსონი არიან: ვინათგან მე პეტრესი, თავისა მის მოციქულთასა, საყდარი მიპყრიეს და შეკრვისა და განჳსნისა ჴელმწიფებაჲ მე მაქუსო: არქუ მათ, რაჲთა დაემორჩილნენ ჩემსა ეკლესიასა და კათალიკოზი და ეპისკოპოზი ჩემგან იკურთხეოდენო. ესე აუწყე, უკეთუ არა ისმინონ, მიუწერო ოთხთავე პატრიარქთა და მათი განზრახვითა წყევათა ქუეშე შეჩვენებისასა შევთხინე იგინი.

მუგო წმინდამან გიორგი და ჰრქუა: წმიდაო მეუფეო, რად იტყჳ ესე-ვითართა სიტყუათა, რამეთუ ქართველთა ნათესავი დაღაცათუ წრფელ არს და უმეცრად შერაცხილ თქუენ მიერ, არამედ მართლითა სარწმუნოებითა და ღმრთის მეცნიერებითა განათლებულ არიან, რამეთუ ვინაჲთგან ნათელი ღმრთის მეცნიერებისა შეიწყნარეს, მიერითგან არღარა მიდრეკილ არიან წვალებად მადლითა ქრისტესითა და არცაღა მიდრკენ ვიდრე აღსასრულადმდე. ხოლო საბერძნეთი მრავალგზის მიდრეკილ არს წვალებად, ვითარცა დიდსა სჯნაქსარსა შინა წერილ არს, რამეთუ ოდესმე მწვალებელ იქმნეს ესე ოდენ საბერძნეთისა ეკლესიანი ხატთა ბრძოლისა წვალებითა, რომელ არა რომელსა ეკლესიასა ზედა იყო მართლმადიდებელი ეპისკოპოზი მას ჟამსა. იოანე გუთელი ეპისკოპოზი ჩუენისა კათალიკოზისა მოავლინეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აკურთხეს იგი მცხეთას.

ხოლო უკეთუ შენ, პეტრე მოციქულითა იქადი, ჩუენი კათალიკოზი და ეპისკოპოზნი და ქართველნი ანდრია მოციქულითა იქადიანო, რამეთუ პირველ წოდებული ანდრია არს და მისნი მოქცეულნი ჩვენ ვართ. იგი იქმნა პირველ მოწაფე და ამან მოჰგვარა იგი [(პეტრე)] ქრისტესა, ვითარცა წმინდასა სახარებასა შინა იოანეს თავისასა წერილ არს (იოანე 1,43). უკეთუ სამართალსა შევუდგთ, ჯერარს რადთა უკანასკნელ წოდებული მწოდებელსა დაემორჩილოს. შენდა ჯერ არს რადთა ჩუენსა კათალიკოზსა დაემორჩილო. ესევითარნი სიტყუანი რქუნა წმიდამან მამამან გიორგიმ პატრიარქსა ანტიოქიისასა და უმრავლესი ამისა. და ესრეთ ყოვლითურთ უსიტყუჱლ ყო, რომელი იქადოდა წმიდისა პეტრეს თანამოსაყდრებითა, რამეთუ უკეთუ სიქადული შეჰგავს, ამის მიერ უმეტესად ჯერ არს სიქადული, რამეთუ პირველი მოსაყდრე ესე არს და უკანადსკნელ რომი.

აწ სადა ჩანს უმეტესობა და უფროსობა პაპისა, რომელი დიდად იქადის პეტრე მოციქულისა თანამოსაყდრეობითა. რადსათჳს არა თქუა პატრიარქმან ანტიოქიისამან პეტრე მოციქულისა საყდარი მე მიპყრიესო, შეკრვისა და განხსნისა ჴელმწიფებად მე მაქუსო და უდიდესი და უაღრესი ჩუენი ყოველთა თავი პაპა არსო, რომელსა აქუს საყდარი და სასუფეველი პეტრესიო, დაღაცათუ პირველი მოსაყდრე მე ვარო, არამედ იგი არს თავი და უფროსი ჩუენიო. ანუ რადსათჳს თქუა ოთხთავე პატრიარქთა ვაუწყო და არა მხოლოდ პაპასა, რათა დაგვამორჩილოს ჩუენცა ეკლესიასა. გინა თუ რადსათჳს წინა უყო ანდრია მოციქულისა პირველი წოდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდამან მამამან ჩუენმან გიორგი და ჩუენისა კათალიკოზისა თანამოსაყდრეობაჲ: და არა მიუგო ამანცა ვითარმედ: მარტო შენ რასა იქადი პეტრეს მოსაყდრეობითა და უფროსად თავი პირველი და უფროსი პაპა ჰრომისა არს ყოველთა ეკლესიათაო. ამით ჩანს და სიტყვითაცა მრავლითა მიზეზითა, რამეთუ არა არს უფროსი სიხუათა პატრიარქთა ზედა და არცა ყოფილ არს ოდესცა და სხუაჲცა მრავალი იპოების საღმრთოთა წერილთა შინა ამის პირისათჳს, რომელ არა აღვწერეთ, რათა არა სიმრავლე წერილთა იქმნას და თუ ვისმე ენებოს და არა სცონოდეს წიგნი იგი დოღმატიკოსი, რომელ არს მწვალებელთა მიმართ სიტყჳსგება, ჴელად მიიღოს და მით ეუწყოს ყოველი ჭეშმარიტი თუ ვითარ აქუსთ თანასწორება ხუთთავე პატრიარქთა.

მოკლედ გაუწყებ, თუ ვითარ წერილ არს მას შინა: ვითარმედ ეკლესია ქრისტესი გუამი არს ქრისტესი. ხოლო ქრისტე, თავი არს ეკლესიისაო, და ვითარცა თავსა შორის ხუთნი საგრძნობელნი არიან და ყოველსა გუამსა იგი მართებსო[37], ეგრეთვე ეკლესიასა, რომელ არს გუამი ქრისტესი ხუთნი პატრიარქნი განეწესაო და სხვანი ყოველნი ეპისკოპოზნი ყოვლისა სოფლისანი ასონი არიან ქრისტეს გუამისანი, ხოლო ქრისტე არს თავი ეკლესიათაო: ვითარცა პავლე მოციქულიცა მრავალსა ადგილსა იტყჳს ესრეთ ვითარმედ: **„ქრისტე თავი არს ეკლესიისა“** და არა პაპა ჰრომისა, რომელი იგი სხუასა ჟამსა უვრცელესად აღვწეროთ. ამით ჩანს, რამეთუ არცა ერთსა ჰქონებია უაღრეს-უდარესობაჲ: არცა ესევითარი უფროსობა და თაობა ჰქონებია, რაჲთამცა ერთი მეორისაგან იმწყსებოდა. გინა ეპისტოლეჲ იგი წარიკითხეთ ფოკა

37. *მართაჳს.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინეპოლელ პატრიარქისა მიერ მიწერილი სომეხთა კათალიკოზისა ზაქარიას მიმართ და ყოველივე ცხადად გეუწყოს თუ ვითარ სწორებაჲ და ერთობაჲ აქუსთ ხუთთავე პატრიარქთა. ოდეს ერთსა სარწმუნოებასა და ერთსა მართალსა აღსარებასა ზედა იყვნეს.

ხოლო რომელთაცა დაჰხსნეს საზღუარნი მამათანი და არა დაადგრნენ ჭეშმარიტებასა ზედა რომელი წმიდათა მოციქულთა და წინაწარმეტყველთა და ჭეშმარიტთა მოძღვართა საზღუარნი დაგჳსხნეს და კრებითა დაამტკიცნეს ესევითართა სჯულისა გარდამაქცეველთა, არღარა ერთ ნებაჲ არიან სხუანი მიმდგომნი და თანაზიარნი ძმანი და არცაღა მათნი სამწყსონი დაემორჩილებიან, არამედ შორს განუდგებიან მართლმადიდებელნი.

რამეთუ მაკედონიოს სულისა წმიდისა მგმობარი და ნესტორ — ორ ძედ და ორ გუამად ქრისტეს მეუფებისა მქადაგებელი და წმიდისა ღმრთისმშობელისა უარისმყოფელი. და სერგის და პიროს ერთისა ნებისა და ერთისა საქმისა Წორცშესხმულისა ქრისტეს ღმრთისა მეტყველი. ესე ოთხნივე კოსტანტინეპოლისა პატრიარქნი იყუნეს და ონორი ჰრომისა პაპა იყო. იგიცა ერთის ნებისა და ერთისა საქმისა მეტყველი და მწვალებელი, ქრისტეს განკაცებისა უარისმყოფელი, და დიოსკორე ბილწი — ერთისა ბუნებისა მეტყუელი — ალექსანდრიისა პატრიარქი, და პეტრე ანტიოქიისა პატრიარქი მკაწრველი, რომელმან სამწმიდაობისა გალობისა შორის ჯვარი დააწესა. ესე ყოველნი შეიჩჳენნეს და განიდევნნეს საყდრით და არა ვინ შეუდგა მათსა მას წვალებასა მართლმადიდებელთაგანი. არცა ვინ დაემორჩილა ონორიოსს — პაპასა ჰრომისასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არცა ვინ შეუდგა მაკედონიოსს და ნესტერს, მწვალებელთა კონ-სტანტინეპოლელ პატრიარქთა, არცა დიოსკორე ალექსანდრელსა და პეტროს ანტიოქიელსა, რამეთუ არა თანამოსაყდრეობითა და შემდგომობითა იქმნების მსგავსებაჲ პირველმოსაყდრისა თჳსისა, არამედ ჭეშმარიტისა აღსარებითა და უბიწოჲსა მოქალაქებითა ვითარცა წმიდანი მოციქულნი და შემდგომნი და მობაძავნი მათნი წმიდანი მღვდელთმოძღვარნი.

ანუ რად იჳსენებიან უმეტესად და უდიდებულესად ყოველსა შინა სოფელსა წმინდა ნიკოლოზ მირონქალაქელი და პაპა ჰრომისა ანუ ამბროსი მედიოლანელი, სპირიდონ ტრიმიფუნტელი, ეპიფანე კვიპრელი, ამბერკი იერაპოლელი, ბასილი ამასიელი, დიდი ბასილი კესარიელი, გრიგოლი ანძიანძორელი ღმრთისმეტყველებისა თავად ჩინებული და შემდგომად იქმნა კონსტანტინეპოლის პატრიარქი და გრიგოლი ნოსელი და წმიდა პართენი ჰამფსაკელი ეპისკოპოზი და სხუანი მრავალნი წმიდანი მღვდელთმოძღვრები მცირისა ქალაქისა და სოფლებისანი და არა ყოველნი პაპები ჰრომისანი ანუ პატრიარქნი კონსტანტინეპოლისანი და გინა სხუანი პატრიარქნი. ჩანს, რამეთუ არა თუ საყდრითა და დიდობითა მიეცემის ღირსება და ჭეშმარიტება, არამედ სათნოებითა და ერთითა და სწორითა სარწმუნოებითა, ვითარცა ბრძანებს ღმერთი: **„საყდართა მოსესთა დასხდენ მწიგნობარნი და ფარისეველნი, ხოლო საქმეთა მათთაებრ ნუ იქმთ“ და შემდგომი** (მათე 23,2).

ხოლო პაპასა ჰრომისასა ვინ მისცა ესეოდენი ჴელმწიფებაჲ და დიდებაჲ, რაჲთამცა სხუანი პატრიარქნი არა ესწორებოდეს. უკეთუ პეტრე მოციქულისა გამო იქადიან თავი არს მოციქულთაო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრე ჭეშმარიტად თავი არს მოციქულთა. არა თუ მარტო იგი, არამედ ათორმეტნივე თავნი არიან სხუათა მათ მოციქულთა, რომელნი გამოირჩივნა ქრისტემან სამეოცდაათნი და სხუანი მრავალნი შემდგომნი მათნი, რამეთუ იუდაცა განმცემელი თავი იყო მოციქულთა და ათორმეტთა თანა აღრაცხული: არამედ ვინაჲთგან არა დაადგრა მცნებათა ქრისტესათა, განმცემელ იქმნა. რაჲ არგო მოციქულთა თაობამან? რამეთუ პეტრეს არა თუ ჴორციელითა პატივითა და დიდებითა აქუს თაობაჲ და უფროსობა, არამედ საღმრთოჲთა მჴურვალებითა და სიყუარულითა ქრისტესითა და სრულითა სათნოებითა ითქმის თავად მოციქულთა. ეგრეთვე სხუანი ათორმეტნივე იყვნეს თავ მოციქულთა და სახელ იდებიან ყოვლისა სოფლისაგან თავად მოციქულთა. სულიერითა საზომითა და არა ჴორციელითა პატივითა იყვნეს დიდ წინაშე ღმრთისა და თავ მოციქულთა.

უკეთუ ესრეთ არა იყო, ოდეს პეტრე აცილობდა ქრისტესა და წინა აღუდგა ჯვარცუმისა და სიკუდილისათჳს და ეტყოდა: **„უფალო, შენდობა იყავნ შენდა, არა იყოს ეგრეთ“. რაჲ მიუგო ქრისტემან? „წარვედ ჩემგან მართლუკუნ სატანა! რამეთუ საცთურ ჩემდა ხარ, არა ჰზრახავ შენ ღმრთისასა, არამედ კაცთასა“** (მათე 16,23). რაჲ არგო მაშინ მოციქულთა თაობამან. უკეთუმცა არა შეენანა აღუხოცელმცა იყო მას ზედა სიტყუაჲ იგი ქრისტესი.

რამეთუ პირველი იგი აღსარებაჲ პეტრესი და სიტყუაჲ იგი ზეცისა საიდუმლოთა გამომაცხადებელი **რაჟამს იგი ძედ ღმრთისად აღიარა ქრისტე** ჭეშმარიტად წმიდისა პეტრესი იყო და სხუათა მათ წმიდათა მოციქულთა და შემდგომთა და მობაძავთა მათთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპებთა. ხოლო სიტყუა იგი: **„წარვედ ჩემგან სატანა, რამეთუ საცთურ ჩემდა ხარ. არა ზრახავ შენ ღმრთისა, არამედ კაცთასა“** — ჭეშმარიტად ესე ბრძანებაჲ არა პეტრეს ზედა არს, არცა მისთა მობაძავთა და შემდგომთა მისთა პაპებთა, არამედ უკანასკნელ და აწინდელთა პაპებთა ზედა არს სიტყუაჲ იგი თუ: **„წარვედ ჩემგან სატანა, რამეთუ საცთურ ჩემდა ხარ. არა ზრახავ შენ ღმრთისა, არამედ კაცთასა“**, რამეთუ სატანა წინა აღმდგომად გამოითარგმანების და იგინი არიან წინა აღმდგომნი საღმრთოჲსა სჯულისანი და დამწსნელნი სამეუფოთა ბრძანებათანი, რომელნი არა ზრახვენ სჯულსა ღმრთისასა, არამედ კაცთასა.

ვითარცა ყოვლისა წინასწარ მეცნიერმან უფალმან უწყოდა წმიდისა პეტრე მოციქულისა შემდგომად უკანაჲსკნელ გამოჩინებად პაპები არა პეტრეს სათნოებისა მობაძავნი, არამედ წინა აღმდგომნი და სჯულისა შეურაცხისმყოფელნი, არა მზრახველნი მოციქულებრ, არამედ კაცობრივ და ჴორცთაებრ, და რომელთა იგი შეუდგეს ნებასა ჴორცთასა ამისთვის ჰრქუა პეტრეს სიტყუაი იგი, რომელი ზემო ვთქუ.

ეგრეთვე რაჟამს სამგზის უარყო პეტრემ, რაჲ არგო უფროსობამან და მოციქულთა თაობამან უკეთუ არა შეენანა და ცრემლითა განეწმიდა ბრალი იგი უარისყოფისა?

ეგრეთვე საიდუმლოსა მას ფერჴთბანისასა, რაჟამს ურჩ ექმნა დაბანად ფერჴისა, რაჲ მიუგო ქრისტემან: **„არა გაქუნდესო ნაწილი ჩემ თანა“** (იოანე 13,8). უკეთუ იგიცა სინანულითა არა განემართა და თავიცა და ჴელი ფერჴთა თანა განბანად არა მიეპყრა რაჲ სარგებელ ექმნებოდა მოციქულთა თაობაჲ ვითარცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუდა გამცემელსა, რამეთუ იგიცა მოციქულთა თავი იყო [და] არა შეინანა, არამედ იქმნა გამცემელ და მერმე შიშთვილიბა.

ამისთჳს ვიტყჳ ვითარმედ: **უკეთუ სათნოებაჲ პეტრესი ანუ პავლესი ანუ იოანესი ანუ სხუათა მათ მოციქულთა[ებრ] არა აქუნდეს, ცუდ არს ყოველი ღონე კაცობრივი და დიდებაჲ ყოვლისა სოფლისა.** ესევითარი სიქადული შორს არს მსგავსებისაგან პეტრესა და სხუათა მათ წმიდათა მოციქულთასა.

და უკეთუ ესრეთ არა იყოს, მაშა ყოველი ეპისკოპოზნი და პატრიარქნი თჳსთა პირველთა მოსაყდრეთა ეპისკოპოზთა მსგავსნი იქმნებიან არა სათნოებითა, არამედ შედგომილი შემდგომად თანამოსაყდრეობითა. პატრიარქნი იერუსალემისნი თჳთ ქრისტესა და წმიდისა იაკობ ძმისა უფლისა, ალექსანდრიისა ეპისკოპოზნი მარკოზ მახარებლისა, კოსტანტინეპოლისა სტაქოს მოციქულისა და უფროსად ლუკა მახარებლისა, და ანტიოქიისა თჳთ პეტრ მოციქულისა, რამეთუ პირველი საყდარი ესე არს წმიდისა პეტრესი და სხუანი სხუათა ეპისკოპოზთა სწორნი და მსგავსნი იქმნებ თანამოსაყდრეობითა და არა სათნოებითა, ვითარცა პირველ გვითქუამს და აწცა ვიტყჳთ. მაშა რად იჴსენების ყოველსა ს სოფელსა თავად მღვდელთმოძღვართა დიდი ბასილი კესარ ეპისკოპოზი, ანუ გრიგოლი ღმრთისმეტყველებისა თავად წოდებ ლი ანუ გრიგოლი ნოსელი ანუ სფირიდონ ტრიმიფუნტელი, ანუ ნიკოლოზ მირონქალაქელი, ანუ ეპიფანე კუპრელი, ანუ პართენ ჰამსკელი, გინა ტიხონ ამათუნტელი და სხუანი მრავალნი ადგილ-ადგილ გამოჩინებულნი დიდებულნი მღვდელთმოძღურები მცირისა ქალაქისა და დაბნებისანი. რად იხსენებიან ესენი დიდებულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველსა შინა სოფელსა და არა ყოველნი ეპისკოპოზნი ჰრომისანი, რომელნიცა არა გამოჩენილ არიან სათნოებითა სრულნი და მობაძავნი წმიდისა პეტრესნი, ვითარცა წმიდა კლემენტოს, ანუ წმიდა სილიბისტრო, ანუ წმიდა ლეონტი, დამასუ და კელისტინე, ანუ წმიდა გრიგოლი დიოლოღო და მსგავსნი და მობაძავნი მათნი, რომელნი მნათობნი არიან ეკლესიათანი და იხსენებიან ყოველსა შინა სოფელსა და არა ყოველნი პაპები ვითარცა ვთქუ, რომელნიცა არა იყუნენ მსგავსნი და მობაძავნი წმიდისა პეტრესნი და სხუათა მათ სახელოვანთა წმიდათა მღვდელთ მოძღუართანი.

მრავალნი სხუანი სახენი და წერილნი გუჩუენებენ ამას ვითარმედ: არა ყოფილ არს უფროსი არცა თავი სხუათა პატრიარქთა ზედა, არცა უბრძანებია ქრისტესა, არცა მიუცია კრებასა და უკეთუ თავი და უფროსი ყოფილ არს სხუათა ყოველთა ზედა, ისმინეთ პაპასა მიუწერს წმიდა კლემენტოს პაპა ჰრომისა, რომელი იყო შემგდომი წმიდისა პეტრესი, იაკობს ძმასა ღმრთისა, ეპისკოპოზსა იერუსალემისასა რაჟამს ცხორებაჲ თჳსი აუწყა. ესრეთ მიუწერს: **„წმიდასა და სანატრელსა მწყემსსა მწყემსთასა და ეპისკოპოზსა ეპისკოპოზთასა, ძმასა ღმრთისა იაკობს, კლემენტოს ეპისკოპოზი ჰრომისა გიკითხავთ. გვაკურთხენ!“** რაჲსათვის არა მიუწერს ესრეთ: **„თავი და უფროსი ყოველთა ეკლესიათა და ეპისკოპოზთა კლემენტოს მოგიწერ შენ იაკობს, ძმასა ღმრთისა, ეპისკოპოზსა იერუსალემისასა“** ამით ჩანს, რამეთუ არა არს უაღრეს-უდარესობაჲ პატრიარქთა შორის, არამედ თანასწორებაჲ და ერთპატიობაჲ.

ეგრეთვე სხუანი პატრიარქნი ალექსანდრიისანი და ანტიოქიისანი; და რად ვიტყჳ პატრიარქთა, არამედ თჳთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტროპოლიტნიცა ხალკედონისა, აფრიკელისანი და ეფესოდსნი და სხუანი მღვდელთმოძღვრები მისწერენ პაპასა ჰრომისასა ესრეთ: **„ძმასა და თანამღვდელსა და თანამწირველსა ეპისკოპოზსა ჰრომისასა ლეონს“** გინა კელისტინეს ანუ დამასუს. იხილეთ, რამეთუ თანამწირველობით და ძმობით მისწერენ. ეგრეთვე იგი მისწერს თანაძმობით და ერთპატიობით და თანა-მღვდლობით და სხუანიცა პაპები ჰრომისანი მისწერენ ეპისკოპოზთა და პატრიარქთა აღმოსავლეთისათა ძმობით და თანა-მღვდლობით, ვითარცა ესენი, ეგრეთვე იგინიცა და არა სადა ჩანს მათ შორის უდარეს-უაღრესობაჲ. და მრავალთა წიგნთა შინა წერილ არს ესრეთ და კრებისა ებისტოლეთა შინა, და არა სადა წერილ არს ესრეთ, თუ: **„მწყემსო ჩუენო და მპყრობელო ყოველთა ქრისტეანეთაო და ყოველთა ეკლესიათა თავო“**, დაღაცათუ პაპასა ჰრომისასა პირველად უფროსისა ძმობისა პატივი და კრებათა შინა მარჯუენით მეფისა ჯდომისა [პატივი] ჰქონებიეს და არა თუ თაობისა, არცა ყოველთა ზედა კურთხევისა, გინა ბრძანებისა, — ნუ იყოფინ! — არამედ ერთობისა და სწორისა მწყემსობისა, ვითარცა მათ, ეგრეთვე ამათ და ერთი მეორისა სამწყსოსა შინა ვერარას შემძლებელ არიან და ვერცა ერთი მეორესა აცილობს.

რამეთუ ძუელითგანვე წმიდათა მოციქულთა მიერ ესრეთ არს განწესებული, რამეთუ მათ განიყვეს რაჲ ყოველი ქუეყანა ათორმეტ ნაწილად, წარვიდეს და უქადაგეს თჳთჳულმან თჳს-თჳსსა წილხდომილსა ქუეყანასა და ერთი მეორესა არა უჴდებოდა, არცა აცილობდა ვითარცა მოგვითხრობს საქმე მოციქულთა და ცხოვრებაჲ მათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჟამს ამაღლდა უფალი ზეცად და მოუვლინა სული წმიდა, მაშინ შეკრბეს მოციქულნი წინაშე იაკობ ძმისა ღმრთისა და განვიდეს გარემოთა სოფლებთა ჰურიასტანისათა და ქადაგეს სახარებაჲ ქრისტესი ზოგად ყოველთა. და კუალად შეკრბიან წინაშე იაკობისა და მიუთხრობდეს მოქცევასა ჰურიათა და წარმართთასა, და კუალად განვიდიან და ქადაგებდიან და მერმე შორთა ქუჱყანათა და ადგილთა განიბნინეს თითუჱული თვისსა ნაწილსა და კუალად შემოკრიბნა იჱრუსალემდ და აუწყებდეს იაკობს მოქცევას ჰურიათა და წარმართთასა, ვითარცა საქმესა მოციქულთასა წერილ არს: **„მი-რაჲ-ვედით ჩუენ იჱრუსალემდ, მხიარულად შემიწყნარნეს ჩუენ ძმათა, ხოლო ხვალისაგან შევიდა პავლე ჩუენ თანა იაკობისა, რამეთუ ყოველნი ხუცესნი მოვიდოდეს და მოიკითხვიდეს მას. და მიუთხრობდა კაცად-კაცადსა, რომელი-იგი ქმნა ღმერთმან წარმართთა შორის მსახურებითა მისითა. ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე, ადიდებდეს ღმერთსა და ჰრქუეს მას: ხედავა, ძმაო, რაოდენნი ბევრნი არიან ჰურიათა შორის მორწმუნენი? და ესრეთ აუწყებდეს და მიუთხრობდეს მოქცევასა ჰურიათა და წარმართთასა, და კუალად წარვიდოდეს თჳთუჱული თჳსსა ადგილსა“** (საქმე 21,17).

და კუალად იტყჳს მოციქული პავლე: **„რამეთუ რომელი შეეწია პეტრეს მოციქულობად წინადაცუეთილებისა, შემეწია მეცა წარმართთა მიმართ. და ვითარცა ცნეს მადლი იგი, რომელ მოცემულ იყო ჩემდა, იაკობ და კეფა და იოანე, რომელნი-იგი ჰგონებდეს სუეტად თავთა თჳსთა, მარჯუენე მოგუცეს მე და ბარნაბას ზიარებისაჲ, რაჲთა ჩუენ წარმართთა მიმართ, ხოლო იგინი წინადაცუჱთილებისა მიმართ“** და შემდგომი (გალატელთა 2,8).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ესრეთ, ვითარცა ვთქუ, თითუჱულსა მოციქულსა თჳს-თჳსი ხუჱდრებული ადგილი აქუნდა და ერთი მეორესა არა აცილობდა: არცა პეტრე აცილობდა პავლეს, არცა პავლე – იაკობს და იოანეს, არცა იოანე და იაკობ – ანდრიას და პეტრეს. არცა უბრძანებია ქრისტესა ერთი მეორესა ზედა მთავრობაჲ და ზედამდგომელობა.

Არამედ ესრეთ ჰრქუა, ვითარმედ: **„თქვენ ყოველნი ძმანი ხართ. და მამით ნუვის ხადით ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთი არს მამაჲ თქუენი, რომელ არს ცათა შინა. ნუცა გერქუმინ თქუენ წინამძღუარ, რამეთუ ერთი არს წინამძღუარი თქუენი-ქრისტე, ხოლო თქუენ ყოველნი ძმანი ხართ“** (მათე 23,8). ესრეთ ურთიერთარს სწორებაჲ და ძმობაჲ უბრძანა და რაოდენნიცა ნიჭნი და პატივნი უბრძანნა, ყოველნივე სწორად უბრძანა და მისცა ვითარცა პეტრეს, ეგრეთვე სხუათა. ვითარცა ბრძანებს ოდეს იგი ანდერძსა ეტყოდა – ილოცვიდა მამისა მიმართ და იტყოდა: **„არა ხოლო ამათთჳს გკითხავ, არამედ ყოველთათჳს, რომელთა ჰრწმენეს სიტყჳთა მათითა ჩემდა მომართ; რაჲთა ყოველნი ერთ იყუნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამო და მე შენდამი“** (იოანე 17,20). ესრეთ ერთნი არიან და სწორნი ძმანი წმიდანი მოციქულნი და არა არს მათ შორის განყოფა და ურთიერთას მთავრობაჲ. და ეგრეთვე შემდგომნი მათნი წმიდანი პატრიარქნი. ხოლო სხუაჲ ყოველი ქუჱმო აღვწეროთ მოციქულთათჳს, თუ ვითარ სწორნი ნიჭნი და პატივნი მისცემიან ქრისტესაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IX თავი

სიტყჳსა მისთჳს უფლისა, რომელი ჰრქუა პეტრეს: „სიმონ, სიმონ, აჰა ესერა ეშმაკმან გამოგითხოვნა თქჳენ აღცრად ვითარცა იფქლი, არამედ მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთჳს, რაჲთა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი

ამისი განმარტებაჲ არა ძნელ არს, არამედ ადვილ მადლითა ქრისტესითა და კეთილად გულისჴმისმყოფელთაგან ცხადად საცნაურ. რამეთუ წმიდა პეტრე - თავი იგი მოციქულთა, არა თუ სხჳსა რაჲსათჳისმე იჩინა თავად, არამედ იმისათჳის, [რომ] ითქმის თავად ჩვენ მიერ; არა თუ ქრისტესგან აქუს თაობა. არცა ათორმეტთა მოციქულთაგანსა ვისმე უთქუამს თავად, არცა სადა წერილ არს სახარებათა და სამოციქულოთა შინა, არამედ უფროჲსღა წინააღმდგომი, რამეთუ ქრისტემან უბრძანა: **„ნუ წარმართთთაებრ მსთავრობთ ერთიმეორესა; ნუცა გერქუმინ წინამძღვარ, რამეთუ ყოველნი სწორნი ძმანი ხართ“**, ვითარცა ზემორე აღვწერე უვრცელესად. არამედ ჩუენ მორწმუნეთა მიერ ითქმის თავად მოციქულთა. ეგრეთვე ათორმეტნი ყოველნივე ითქუმიან თავად და არა მარტო პეტრე, ვითარცა წერილ არს: **„მამათა შენთა წილ იქმნნეს შვილნი შენნი და დაადგინნენ იგინი მთავრად ყოველსა ქვეყანასა ზედა“** (ფსალმუნი 44,16). არამედ პეტრე ჩუენ მიერ ითქმის თავად ვითარცა ვთქუ; - ერთად[38] ამისათჳს, რამეთუ სხუათა ზედა უმოხუცებულესი იყო, ვითარცა ხატიცა მისი საცნაურ ჰყოფს, მეორედ ამისთჳის, რამეთუ პირველად ესე და ანდრია დაემოწაფნეს ქრისტესა უწინარეს სხვათა მოციქულთასა, ვითარცა წერილ არს იოანეს სახარებათა შინა, ვითარმედ უპირატეს

---

38 ერთ-ერთ მიზეზად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრია დაემოწაფა და მერმე ამან მოჰგუარა იგი ქრისტესა. მერმე შემდგომითი შემდგომად სხუანი მოციქულნი დაემოწაფნეს, მესამედ ამისთვის ითქუმის თავად არათუ სხუაცბრ რადმე, არამედ საღმრთოდსა მჴურვალებისათვის, რამეთუ ყოველსა საქმესა და სიტყუასა ამან მიუსწრის სხუათა და პირ ექმნის ყოველთა მოციქულთა და ყოველთა მაგიერ ამან თქჳის რაჲცა იგი თქჳს და სხუათა არა აცალის საღმრთოჲთა მჴურვალებითა ვიდრემდის ორგზის და სამგზის ურჩებისა და უარისყოფისა ბრალსა შთავარდა და ქრისტეს მიერ იმხილა და მერმეცა განისწავლა სიმდაბლედ და მორჩილებად, რამეთუ ესრეთცა იქმნების და ესრედცა ჯერარს, რამეთუ უმეტესისა მჴურვალებისა და საღმრთოჲსა შურისა მქონებელსა უმეტესიცა განკრძალვაჲ უჴმს, რათა არა უბრკმეს. რამეთუ ესევითართა ეშმაკნიცა უფიცხესად ებრძვიან და ახლოს არს დაცემა. მძლელთათჳს გჳრგვინი უბრწყინვალესი, ხოლო დაცემულთათჳს ტანჯვა უსასტიკესი.

ვითარცა ვთქუ შემდგომად დაცემისა განისწავლა პეტრე როდეს ჯვარცმისა და სიკვდილისა თჳსისათჳს მიუთხრობდა [იესუ] მოწაფეთა თჳსთა, რომლითა ეგულვებოდა ჴსნაჲ დაბადებულთა თჳსთა და ეტყოდა ვითარმედ: **„აღვალ იერუსალემდ და ძე კაცისა მიეცემის ჯუარცუმად. მაშინ პეტრე წინა აღუდგა და ეტყოდა: შენდობაჲ იყოს შენდა, არა იყოს ეგრეთ. შეჰრისხნა მას უფალმან და ჰრქუა: წარვედ ჩემგან სატანა, რამეთუ საცთურ ჩემდა ხარ და შემდგომი“** (მათე 16,21). შემდგომად ამისა ესმა რაჲ შერისხვა ესე, მერმე რაოდენიცა უბრძანის ქრისტემან მცირედრე განისწავლა სიმდაბლედ და ეგრეთ კადნიერად არღარა აცილობდა. მერმე სერობასა მას იტყოდა რაჲ ღმერთი: **„ერთმან თქუენგანმან მიმცეს**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე“, ვერღარა იკადრა კითხვად, არამედ იოანეს აწყა რაჲთა მან ჰკითხოს და ეუწყა რაჲ იუდას მიერ განცემა, მერმე გული განუმაგრდა თჳსსა დაცემულობასა ზედა და სილაღით თქუა: **„არა სადა უარგყო შენ“**; და კუალად ურჩ ექმნა რაჲ დაბანად ფერჴთა, ესმა რაჲ ქრისტესაგან: **„არა გაქუნდეს ნაწილი ჩემთანაო“,** მერმე თავიცა და ჴელნი ფერჴთა თანა მიუპყრა და კუალად შთავარდა რაჲ უარისყოფისა ბრალსა მერმე ძალითა ღმრთისათა განისწავლა სიმდაბლედ და მორჩილობად. ისმინეთ თუ ვითარ განისწავლა, რამეთუ შემდგომად მკუდრეთით აღგომისა ახარებდა რაჲ მარიამ მაგდალინელი მოწაფეთა, პეტრე და ოივანე წარვიდეს საფლავად. ორნივე ზოგად რბიოდეს, ხოლო იოვანე უმოსწრაფეს რბიოდა და პეტრე უგჳანესად (იოანე 20,4). აქაცა რაჲმე იჭვი შეუჴდა პეტრეს: **ნუ უკუჱ ნაცილ იყოს აღდგომა**. ვითარცა წერილ არს: **„იხილეს და ჰრწმენა, რამეთუ არღა იცოდეს წერილისა, ვითარმედ: ჴერ არს მისი მკუდრეთით აღდგომა“**. უფროსღა ამისათჳს უგვიანეს მივიდოდა, რამეთუ ჰრცხუჱნოდა უარისყოფისა მისთვის: ნუ უკუჱ ჭეშმარიტად იყოს აღდგომა და ვერ მკადრე იყოს ხილვად ღმრთისა. და მერმე კუალად შემდგომად მკუდრეთით აღდგომისა, წარვიდეს რაჲ ნადირობად პეტრე და ძენი ზებედესნი თომა და ნათანაელ, გამოუჩნდა იესო კიდესა ზედა. სხუანი კადნიერად დგეს დაუცემელობისათვის, ნავითა მივიდეს და მოეახლნეს. ხოლო პეტრეს ესმა რაჲ იოვანესაგან, ვითარმედ ღმერთი არს, მოირტყა შესამოსელი თჳსი, რამეთუ შიშუჱლ იყო და შთაიგდო თავი თჳსი ზღუად. სირცხვილითა ვერღარა იკადრა მიახლებად, არამედ შთაიგდო ზღუად. და ოდეს ისადილნეს, სამ გზის ჰკითხა რაჲ უფალმან პეტრეს: **„გიყვარ მე უფროჲს ამათსა?“** ვერღარა მიუგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველისა მისებრ კადნიერად, არამედ ესრეთ ჰრქუა: **„უფალო შენ ყოველი იცი და ყოველი უწყი, რამეთუ მიყვარ შენ“.**

ესრეთ დაამდაბლებს კაცსა განსაცდელი და ასწავებს მორჩილებასა.

ხოლო პირველსავე სიტყვასა აღვიდეთ: **„ჰრქუა უფალმან: სიმონ, სიმონ, [აჰა] ეშმაკმან გამოგითხოვნა თქუენ აღცრად ვითარცა იფქლი“** (ლუკა 22,31). ჭეშმარიტად ყოველნი მოციქულნი გამოითხოვნა ეშმაკმან აღცრად. არა თუ მარტო პეტრე, არამედ ყოველნი, ვითარცა დიდი იობ გამოითხოვა, ეგრეთვე ესენი, რამეთუ ეშმაკსა ყოველთა წარწყმენდა ჰნებავს, ვითარცა ღმერთსა ცხოვნებაჲ ყოველთა. არამედ ღმერთი ეტყჳს მხოლოდ პეტრეს და არღარა ყოველთა, არამედ პეტრეს ოდენ, ვითარმედ: **„მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთჳს, რაჲთა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი“** (ლუკა 22,32). არა ჰრქუა, თუ **„ყოველთათვის ვევედრე“**, რამეთუ ყოველნი გამოითხოვნა ეშმაკმან. არამედ ესრეთ იტყვის: **„შენთვისო“**. ესე ამისათჳს უბრძანა, რამეთუ უწყოდა სხუათა დაუცემელობაჲ ხოლო პეტრესი მრავალგზის შერყევა და უარისყოფისა ბრალსა შთავრდომა. ამისათჳს ჰრქუა მას ვითარმედ: **„შენთჳს ვევედრე რაჲთა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი“** რაჟამს იგი უწინარეს ამისაცა ეტყოდა ოდეს იგი უბრძანა წყალთა ზედა სლვა და ვიდოდა რაჲ პეტრე წყალთა ზედა მერმე მოაკლდა მცირედღა სარწმუნოებაჲ და იწყო დანთქმად. მაშინ ჰრქუა მას იესო: **„მცირედ მორწმუნეო, რაჲსათჳს შეორგულდი?“**, ხოლო სხუათა მოციქულთა არა სადა ჩანს მცირედცა მიდრეკა გინა ურჩებაჲ თჳნიერ იუდა გამცემლისა, რამეთუ სიმდაბლისა მუშაკნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნეს და ვერა სადა მძლე ექმნა ეშმაკი. ვერ შეაბრკოლნა, ვერცა შეარყინა. ხოლო იუდა[მ] თჳთ მისცა თავი თჳსი მტერსა ბოროტსა და არღარა შეიგონა. არცაღა შემდგომად დაცემისა ინება მოქცევა და სინანული ვითარცა წმიდამან პეტრე. არამედ წარვიდა და შიშთვილიბა, რამეთუ იძულებით არავისი ნებავს ღმერთსა სინანულად მოსლვა, არამედ თჳსითა წინააღრჩევითა ნებავს ყოველთა კაცთა მოქცევა და სინანული, რათა უმრავლესი სასყიდელი აქუნდეს.

ამერმე ჰრქუა: **„შენ რაჟამს მოიქცე, განამტკიცენ ძმანი შენნიო“**. ესე იგი არს: რაჟამს მოიქცე უარისყოფისაგან, ასწავე და განკრძალე, რათა არა შთავარდნენ იგინიცა შენებრ უარისყოფასა, გინა ურჩებასა. ასწავე და განამტკიცენ. არა თუ უდარესნი და უმრწმესნი შენსა, არამედ თანასწორნი და თანაზიარნი ძმანი შენნი და სახე-ექმენ შენ მათ. უკეთუ ვისმე უბრკმეს, ნუ წარიკუფთნენ სასოებასა იუდასებრ, არამედ შენებრ ისწაონ სიმდაბლეჲ და სინანული.

ხოლო არა უბრძანა, თუ: დამწყსენ და ზედამდგომელ და მთავარ ექმენო, არამედ განამტკიცე და სახე ექმენო, რამეთუ დაცემულნი და შებრკოლებულნი სხუათა მტკიცეთა და დაუცემელთა უმტკიცესისა კრძალულებისა მომტყუებელ ექმნების, ხოლო რომელნი უძლურ არიან და შერყეულ გონებითა, იგინი უმეტეს შებრკოლდებიან და ადრე დაეცემიან, ვითარცა იუდას შეემთხვია, რამეთუ შებრკოლდა და დაეცა და არღარა ინება გულისჴმისყოფაჲ, არცა სინანული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

X თავი

სიტყუაჲ სამგზის კითხუსათვის ღმრთისა მიერ პეტრესა: და მერმე დამწყსენ ცხოვარნი ჩემნიო

ᲙᲣალად ერთი ესე აქუსთ ცუდი მიზეზი პაპის მოსავთა: სამგზის ჰკითხა რაჲ უფალმან: **„პეტრე, გიყუარ მე?“** და სამგზის მიუგო პასუხი კითხვასა; მერმე სამგზის ჰრქუა უფალმან: **„დამწყსენ ცხოვარნი ჩემნიო და აძოვენ კრავნი ჩემნიო“.** ამისათჳს არს მწყემსი ყოველთა ზედა და ყოველთა მთავარიო.

ᲠᲐᲐᲓ არს ესოდენი გმობაჲ და უპირული სიტყუა, რაჲსათჳს კადნიერ იქმნებიან პეტრეს მიმართ გმობად და შეურაცხებად. ჭეშმარიტად გმობაჲ არს წმიდისა პეტრესი და არა ქებაჲ და ესევითარი დიდებაჲ არა დიდებაჲ არს პეტრესი, არამედ შეურაცხებაჲ, რათა სხუათა მოციქულთა უაღრეს და უდიდებულეს იყოს და სხუანი მოციქულნი ვერ ესწორონენ პეტრეს და იყვნენ უდარეს და უმრწემეს მისა. ვერცა იოანე ესწოროს მკერდსა სიტყჳსასა მიყრდნობილი, ძედ ქალწულისა და ძმად ქრისტესა წოდებული და სიტყჳსა ღმრთისა, მამისა სწორად და ღმერთად პირველ საუკუნეთა გამომცხადებელი; არცა იაკობ ყოველთა საიდუმლთა პეტრეს და იოანეს თანა თანაზიარი საღმრთოსა ფერისცუალებასა და სხუათაცა დიდებულთა საქმეთა და მერმე პირველ ყოველთასა სიკუდილისა სასუმელისა მსმელი; არცაღა ანდრია, ძმა მისი პირველწოდებული და მერმე პეტრესიცა ქრისტეს მიმართ მომყვანი და დამმოწაფებელი; არცა ფილიპე, დაუსაბამოჲსა და უხილავისა მამისა გამომეძიებელი, ქრისტეს მიმართ მეტყველი: **„უფალო, გვიჩუენე ჩუენ მამაჲ შენი. ხოლო ქრისტემან ჰრქუა: „ფილიპე, რომელმან მე მიხილა, იხილა მამაჲ ჩემი და ვითარმედ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მამისა თანა და მამაჲ ჩემ თანა“ (იოანე 14,9); არცა თომა, ველითა განმხილველი წყლულებათა ქრისტესათა და ღმერთად და უფლად აღმსარებელი მისი; არცაღა პავლე, ჭური იგი რჩეული, სამ ცამდე აღწევნილი და გამოუთქმელთა საიდუმლოთა მსმენელი. **ესენი ვერცა ერთი ესწოროს და იყუნენ უმრწმეს პეტრესა და იგი იყოს ყოველთა ზედა მთავარ, ვითარ ეგების ესე და ვითარ იყოს?** [ესე] ჭეშმარიტად გმობაჲ არს პეტრესი და არა დიდებაჲ, ვითარცა ვთქუ: ვითარცა-იგი რომელნი მამასა უფროსად აღიარებენ და ძესა და სულსა წმიდასა უდარეს, არა არს დიდებაჲ მამისა, არამედ სამთავე გმობაჲ და შეურაცხებაჲ. ეგრეთვე, რომელნი წმიდასა პეტრეს სხუათა მოციქულთა უაღრესად და უდიდებულესად იტყჳან, ათორმეტთავე გმობაჲ არს, და პეტრესიცა შეურაცხებაჲ, რაჲთამცა ათორმეტთაგან განათლებულნი კიდენი ყოვლისა სოფლისანი მხოლოდ პეტრეს და მისსა ეკლესიასა მორჩილებდენ და სხვანი მოციქულნი შეურაცხ იქმნენ.

(ო)დეს უბრძანა ქრისტემან პეტრეს, — **დამწყსენ მწყემსნი და ჩემნი მოციქულნიო,** არამედ ცხოვარნი და კრავნი ჩემნი დამწყსენო, რომელ არნ ესენი წარმართთაგან მოქცეულნი. დაღაცათუ მოციქულნიცა ქრისტეს ცხოვარნი არიან, არამედ ყოვლისა სოფლისა მწყემსნი არიან.

(რ)ამეთუ ოდეს წარავლენდა ღმერთი წმიდათა მოციქულთა ქადაგებად, თჳთ პეტრესა და სხუათა ყოველთავე ზოგადად უბრძანა: **„აჰა მე წარგავლინებ თქუენ ვითარცა ცხოვართა** შორის მგელთა“ (მათე 10,16). და უკუეთუ სხუანი მოციქულნი ცხოვარნი არიან პეტრეცა მათ თანა ცხოვარი არს, რამეთუ ზოგადად უბრძანა ესე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უკეთუ პეტრე მწყემსი არს ყოველთა, სხვანიცა მოციქულნი მწყემსნი არიან და მოძღუარნი ყოვლისა სოფლისანი, რამეთუ ოდეს გამოუჩნდა იესო მთასა გალილეველსასა ზოგადად უბრძანა ყოველთა: **„წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი“** და შემდგომნი. არა მარტო პეტრეს, არამედ ზოგად ყოველთა უბრძანა; ვითარცა პეტრეს ეგრეთვე იაკობს და იოვანეს და ანდრიას და სხუათა ყოველთავე და ეგრეთცა იქმნა, რამეთუ უმეტესი კერძი ქუეყანისა სხუათა დამწყსეს და არა მხოლო პეტრე, ვითარცა იტყჳს მოციქული პავლე: **„რამეთუ რწმუნებულ არს ჩემდა სახარებაჲ იგი წინადაცუეთილებისაჲ, ვითარცა-იგი პეტრეს წინადაცუეთილებისაჲ, რამეთუ რომელი შეეწია პეტრეს მოციქულობად წინადაცუეთილებისა, შემეწია მეცა წარმართთა მიმართ“** (გალატელთა 2,7). ამისთჳს ვიტყჳ ვითარმედ: დაღაცათუ ქრისტეს ცხოვარნი არიან, არამედ ყოვლისა სოფლისა მწყემსნი[ც] არიან და უმეტესობაჲ პეტრესთჳს არა რაჲ მიუნიჭებია. დაღაცათუ კლდესა და კლიტეს იქადიან მისთჳს და შეკრვისა და განჳსნისა ჴელმწიფებასა; არამედ მცირედ მელოდეთ და ყოველივე გაუწყოთ თჳს-თჳსსა ადგილსა, თუ ვითარ ზოგად მიანიჭა ყოველთავე რაჲცა პეტრეს უბრძანა და თუ ვინ არს კლდე იგი და ვის ზედა არს აღშენებულ ეკლესია. ხოლო აწ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ.

უ კეთუ სიტყუაჲ იგი, რომელი ჰრქუა პეტრეს, ვითარმედ: **„დამწყსენ ცხოვარნი ჩემნიო“** მოციქულების დამწყსისა და ზრუნვისა იყო, რათა პეტრეს დაემწყსო იგინი და ეზრუნა, რაჟამს ესე სიტყუაჲ უბრძანა, **„დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი და აძოვენ კრავნი ჩემნიო“** მყის მოიქცა პეტრე და იხილა მოწაფე იგი რომელი უყუარდა იესოს, მისდევდა რაჲ, რომელი იგი მიეყრდნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერობასა მას მკერდსა მისსა. ესე ვითარცა იხილა პეტრე, ჰრქუა იესოს: -**უფალო! ხოლო ესე „რაჲ“** რაისათვის ჰრქუა მას იესუ: **„უკეთუ მინდეს ყოფაჲ მაგისი, ვიდრემდე მოვიდე, შენდა რაჲ? შენ მე შემომიდეგ“** (იოანე 21,22).

Oხილეთ აწ, რამეთუ რაჟამს-იგი ჰკითხა პეტრე[მ] იოანესთჳს: „უფალო, ამისათჳს რასა ბრძანებო“, ხოლო ქრისტემან რაჲ მიუგო: **„უკეთუ მინდეს მაგისი ყოფა, ვიდრე მოვიდე შენდა რაჲ?.“** ესე იგი არს: შენ რას კითხულობო მაგისასა, ანუ სხვისასა: შენ შენთვის იზრუნე და შენ შემომიდეგ, თუ მინდეს ყოფაჲ მაგისი ვიდრე მოსვლად ჩემდამდე ეგოსო.

Uკეთუ ერთისა მოწაფისათჳს ერთისა სიტყჳსა პასუხი არა რაჲ უბრძანა სხვათა მოციქულთა თაობასა და ზედამდგომელობასა და გამგეობასა ვითარღა მისცემდა. ანუ თუ უფლებასა და ჴელმწიფებასა — ნუ იყოფინ! არამედ ძმანი არიან და თანასწორნი წმიდანი მოციქულნი სიტყჳსაებრ ქრისტესა: **„თქუენ ყოველნი, ძმანი ხართ“** და შემდგომი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XI თავი

სიტყჳსა მისთჳის, რაჟამს ჰკითხა მოწაფეთა: „თქუჱნ ვინ გგონიე მე ყოფად, ხოლო პეტრე მიუგო: შენ ხარ ქრისტე ძე ღმრთისა ცხოველისა“

რაჟამს იგი ჰკითხა მოწაფეთა უფალმან: თქუჱნ რაჲ სთქუათ ჩემთჳის. ვინ ვარ მე. ესე სიტყვა ყოველთა ზოგადად ჰკითხა ათორმეტთავე: არამედ მხოლოდ პეტრე პირ ექმნა ყოველთა და ყოველთა მიერ თქუა: **„შენ ხარ ქრისტე ძე ღმრთისა ცხოველისა, მიუგო იესო და ჰრქუა მას: ნეტარ ხარ შენ სიმონ ბარ იონა, რამეთუ ხორცთა და სისხლთა არა გამოგიცხადეს შენ, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან“** (მათე 16,15), რამეთუ ვინათგან პირ ექმნა ყოველთავე პეტრე და ძედ ღმრთისად აღიარა ქრისტე, ქრისტემანცა ზოგადად ყოველთა მისცა ნეტარებაჲ ესე. არა თუ მარტო პეტრე აღიარებდა ძედ ღმრთისად და სხვანი მოციქულნი უარყოფდეს ნუ იყოფინ ესე, არამედ ზოგად ყოველნი აღიარებდეს ქრისტესა ძედ ღმრთისად. და არა თუ მარტო ესე ნეტარებაჲ მისცა, არამედ რავდენნიცა ნეტარებანი და აღთქუმანი არიან, ყოველთა ზოგადად უბრძანა და რად ვიტყჳ სანატრელთა და ყოვლისა ნეტარებისა ღირსთა წმიდათა მოციქულთა, რომელთა თვალითა იხილეს და ჴელითა მსახურეს; თუმცა ესენი ნეტარ ექმნეს, არამედ ყოველნი მორწმუნენი მისნი, რომელნი ძედ ღმრთისად აღიარებენ და მცნებათა მისთა იმარხვენ, იგინიცა ნეტარ არიან, ვითარცა იგი თომას ეტყოდა ღმერთი რაჟამს იგი ჴელთა და ფერჴთა და გუჱრდისა წყლულებაჲ უჩუენა და მან ღმერთად და უფლად აღიარა. არამედ რასა ეტყჳს ღმერთი: **„რამეთუ მიხილე და გრწამს; ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვჰრწმენე“** (იოანე 20,29).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ თომას მიერ ხილვითა და ღმერთად და უფლად აღსარებითა[39] ყოველთა, რომელთა არა ეხილვა, ვიდრე აღსასრულადმდე ნეტარებაჲ მისცა, რაჲ საკჳრველ იყო თუმცა თჳსთა მოწაფეთა ზოგად ჰკითხა, და ყოველთა მიერ პეტრე[მ] მიუგო, რათა ყოველთათჳს ზოგად მიეცა ნეტარებაჲ. არამედ არა არს ესე სათქუმელ, არცა დასარწმუნებელ თუმცა მხოლოდ პეტრე ერთითა მით სიტყჳთა ნეტარ ექმნა და ზოგად სიმრავლე იგი მოწაფეთა ნეტარებისაგან ცალიერ ექმნა, ნუ იყოფინ ესე, არამედ ვითარცა ვთქუ რაოდენნი ჰრქუნა პეტრეს, ზოგად ყოველთა ჰრქუა, ვითარცა წერილ არს სახარებასა შინა; რაოდენსაცა ითხოვდა, ესრეთ იტყოდა მამისა მიმართ: **„არა ამათთჳს ხოლო გკითხავ, არამედ ყოველთათჳს, რომელთა ჰრწმენეს სიტყჳთა მათითა ჩემდა მომართ; და რათა იგინიცა ერთ იყვნენ ვითარცა შენ მამაო ჩემდამო და მე შენდამო“** (იოანე 17,20). და კუალად წერილ არს წმინდასა სახარებასა შინა რაოდენსაცა უბრძანებდის თჳს თჳსად, მერმე ზოგად ყოველთა ეტყოდა: **„ამას რაჲ გეტყჳთ თქუენ, ყოველთა ზოგად გეტყჳ“** (მარკოზი 13,37). ჩანს, რამეთუ არა მარტო პეტრესთჳს არს ნეტარებაჲ ესე, არამედ ზოგადად ყოველთათჳს, მოციქულთა და არა თუ მხოლოდ მოციქულთა, არამედ რომელთა მათითა ქადაგებითა ირწმუნეს ძედ ღმრთისად იესო ქრისტე და მცნებათა და ბრძანებათა მისთა იმარხვენ, იგინიცა ნეტარ არიან.

მოდით ღმრთის მოყვარენო და გულსმოდგინედ გამოვიძიოთ და ვსცნათ თუ რაჲ მისცა უმეტესი მოციქულსა პეტრეს, ანუ ვითარ სხუანი მოციქულნი დააკლო მისი აღთქუმისა და ნეტარებისაგან,

39. აღიარებითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადთა არა ჩუენცა მათებრვე შეგუშმთხვიოს და მოციქულთა შორის აღვძრათ მტერობად და შური და ერთი მეორისა ზედა უფალ და ველმწიფე ვყოთ.

რად მისცა პეტრეს უმეტესი სხუათა მოციქულთა? პირველად გამოირჩინა რად ქრისტემან, ყოველნი ზოგადად გამოირჩივნა და შეიწყნარა ჰრქუა რად: „მოდით და შემომიდეგით და გყუნე თქუენ მესათხევლე კაცთა“ (მარკოზი 1,17). ესე სიტყუად ზოგადად უბრძანა ყოველთა, ხოლო რამეთუ წარავლინნა რად ქადაგებად ათორმეტნივე ზოგადად წარავლინნა და უბრძანა რად იგი უბრძანა. ვითარცა წერილ არს: ესე ათორმეტნი წარავლინნა იესო. ეგრეთვე უბრძანა რად: **„თქუენ ხართ ნათელნი სოფლისანი და თქუენ ხართ მარილნი ქუეყანისანი“**. ზოგადად ყოველთა უბრძანა. კუალად ჰრქუა რად აღთქუმად იგი საკკრველი და ბუნებისა უაღრესი: **„რაჟამს დაჯდეს ძე კაცისად საყდართა ზედა, დასხდეთ თქუენცა ათორმეტთა საყდართა განსჯად ათორმეტთა ტომთა ისრაჸლისათა“** (მათე19,28). არა მარტოდ ერთი და ორი, არამედ ათორმეტნივე ზოგადად. არა უმცირეს უაღრესთა საყდართა, არამედ სწორად ათორმეტნივე ათორმეტთა საყდართა ზედა და კუალად თუ სადამე თჳს თჳსად უბრძანის. მერმე ჰრქჳს: **„ამას რად გეტყჳ თქუენ, ყოველთა ზოგად გეტყჳ“**.

კუალად რაჟამს ძმად უწოდა და მეგობრად, ყოველთავე სწორად უბრძანა ვითარცა წერილ არს: **„თქუენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკეთუ ჰყოთ, რომელსა ესე გამცნებ თქუენ, არღარა გეტყჳ თქუენ მონად, რამეთუ მონამან არა იცინ, რასა იქმნ უფალი მისი. ხოლო თქუენ გარქუ მეგობრად, რამეთუ ყოველი, რაოდენი მესმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამისაგან, გარეჩუ თქუენ“ (იოანე 15,14). და კუალად იტყჷს: **„ვითარცა მომავლინე მე სოფლად მამაო, მეცა წარვავლინებ მათ სოფლად და მათთჷს წმინდა ვყოფ თავსა ჩემსა, რაჲთა იგინიცა იყჷნენ წმიდა ჭეშმარიტებით. [და] არა ამათთჷს ხოლო გკითხავ, არამედ ყოველთათჷს, რომელთა ჰრწმენეს სიტყჷთა მათითა ჩემდა მომართ; რაჲთა ყოველნი ერთ იყჷნენ, ვითარცა შენ მამაო, ჩემდამო და მე შენდამი, რათჲა იგინიცა ჩუენ შორის ერთ იყჷნენ“.** და კუალად: **„რათა იყჷნენ ერთ ვითარცა ჩუენ ერთ ვართ“.** და კვალად მამაო: **„რომელნი-ესე მომცენ მე, მნებავს, რაჲთა, სადაცა მე ვიყო, იგინიცა ჩემ თანა იყჷნენ, რაჲთა ხედვიდენ დიდებასა ჩემსა“** (იოანე 17,17). ესე და უმრავლესი ამისა, რავდენი იგი წერილ არს წმინდასა სახარებასა შინა აღთქუმანი და ნეტარებანი, რომელნი აღუთქუნა ქრისტემან, ზოგადად ყოველთა მოციქულთა და არა მარტოდ პეტრეს; ხოლოდ ჩუენ თითოეულად არა აღვწერეთ უმეტესისა განვრცელებისათჷს და რომელნი გულისჷმისყოფით იკითხვიდენ, ყოველნივე ცხადად ეუწყოს, თუ ვითარ სწორებით მისცა ჷელმწიფებაჲ შეკრვისა და განჷსნისა. პირველად პეტრეს უბრძანა ესე და მერმე ზოგად ყოველთავე უბრძანა. **„ამენ გეტყჷ თქუენ: რაოდენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რაოდენნი განჰჷსნათ ქუეყანასა ზედა, ჷსნილ იყოს იგი ცათა შინა“** (მათე 18,18). და კუალად ზოგადად უბრძანა: **„წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი“** (მათე 28,19), და მერმე სულისა წმიდისა მადლი და ნიჭი ზოგადად მისცა და სწორად განუყო და რაჲ საკჷრველ არს ზოგადად ყოვლისავე აღთქმისა და ნეტარებისა მიცემაჲ, ვინათგან განსჯასა მას საშინელსა ათორმეტთა საყდართა უბრძანა დასხდომა. მაშა ამიერ გეუწყოს ვითარმედ: არა რაჲ მეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუცია სხუათა მოციქულთა ზედა პეტრესთჳს და უკეთუ მას ცალკე უბრძანა შეკრჳსა და განჴსნისა ჴელმწიფებაჲ და სხუასა რაოდენსაცა იგინი იქადიან პეტრესათჳს, არცა ერთი არს სხუა მოციქულთაგანი, რომელსაცა თითუჱულად სხუაჲ და სხუაჲ მადლი არა მისცა უფალმან. იხილე იოვანე, თუ ვითარ საყვარელი იყო ქრისტესი, ვითარ სხუათაგან შეუკადრებელსა და მიუახლებელსა საქმესა ამან ჴელ-ყო მიახლებად და მკერდსა ღმრთისა სიტყჳსასა მიეყრდნა და ისწავლნა საიდუმლონი დაფარულნი. მერმე ძედ დედისა თჳსისა უწოდა უფალმან და მშობელი თჳსი მას შეჰვედრა. თუმცაღა პეტრე მოციქულმან ძედ ღმრთისად აღიარა ქრისტე, ამან ძედ ღმრთისად და თანასწორად მამისა და პირველ საუკუნეთა მამისა თანა ღმერთად აღიარა და სულისა წმიდისა ღმრთაებაჲ და მამისაგან გამოსლვაჲ ამან გამოგვიცხადა და აღგვიწერა და სხუა რაოდენნი ღმრთისმეტყუელებანი წერილ არიან. იხილე კუალად იაკობ, ძმაჲ იოვანესი, ვითარ იგიცა საყვარელი იყო ქრისტესი; ვითარ ყოველსავე დაფარულსა საიდუმლოსა პეტრეს თანა და იოვანესა ამასცა გამოუცხადებდა ღმერთი. ვითარ იგი მთასაცა ზედა თაბორსა დიდებულსა ფერიცვალებასა ესმა უსმენელი ჴმაჲ მამისა და იხილა უხილავი ღმრთაებაჲ ძისა და სხუაჲ მრავალი დაფარული საიდუმლოჲ გამოეცხადა ჴორცთა ამით განხრწნადთა შინა[40] და მერმე პირველ ყოველთასა ამან შესვა სასუმელი იგი სიკუდილისა ქრისტესთჳს ჰეროდეს მიერ.

იხილე ანდრიასიცა სიყვარული ქრისტეს მიმართ, ვითარ პირველ ყოველთასა ესე დაემოწაფა ერთისა სიტყვისა სმენითა რაჟამს იოვანე ნათლისმცემელი იტყოდა: **„აჰა ტარიგი ღმრთისა,**

40. იგულისხმება, რომ მან იხილა ანგელოზთა სახელველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელმან აღიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“ (იოანე 1,29). მყის შეუდგა ქრისტესა და მერმე ძმა თვიჯსი პეტრე ამან მოჰგუარა ქრისტესა და ესე იქმნა მიზეზ მისისა მის მოწაფობისა, ვითარცა სახარებაჲ იოვანესი გუაუწყებს. და უკანაჲსკნელ ესეცა მსგავსად მჴსნელისა ჯჳვარს ეცვა.

ᲝᲮᲘᲚᲔ ფილიპესიცა იგი სრული საზომი, თუ ვითარი კადნიერებაჲ აქუნდა ქრისტეს მიმართ და სიყვარული, რომელ იესე ვერვინ იკადრა სხუამან მოციქულთაგანმან კითხვად, ხოლო ესე კადნიერ იქმნა და ჰკითხვის: **„უფალო, მიჩუენე ჩუენ მამაჲ შენი. მიუგო უფალმან: ფილიპე, რომელმან მე მიხილა, იხილა მამაჲ ჩემი და არა უწყია, რამეთუ მე მამისა თანა და მამაჲ ჩემ თანა?“** (იოანე 14,8). და უკანაჲსკნელ ესეცა მსგავსად მჴსნელისა ჯჳარითა დაისაჯა.

ᲮᲝᲚᲝ მათესი გესმისთ დღითი-დღედ, თუ ვითარ ღირს იქმნა აღწერად სახარებისა და ყოველსავე განგებულებასა ქრისტეს ბუნებასა და ქუეყანასა ზედა ქცევასა და მერმე საშინელსა მეორედ მოსლვასა აღგჯწერს და ყოველსა დაფარულსა საიდუმლოსა გამოგჯცხადებს. ეგრეთვე მარკოზ და ლუკა დაღაცათუ არა არიან თავთა მათ ათორმეტთაგანი, არამედ იგინიცა არავე[41] დაკლებულ საზომსა მათსა.

ᲮᲝᲚᲝ თომასი რაღაჲ ვთქუა, რამეთუ ყოველთა უწყით ვითარი სრული სიყვარული და ღირსი ყოვლისა ქებისა კადნიერებაჲ აქუნდა ქრისტეს მიმართ, რამეთუ ოდეს ლაზარეს სნეულებაჲ ეუწყა ქრისტესა, ენება წარსლვად ჰურიასტანედ, რამეთუ მაშინ

41. არაფრით იყო დაკლებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიაღ იორდანესა იქცეოდა გალილეისასა. მაშინ მოწაფენი ყოველნი შეორგულდეს შიშისათვის ჰურიათასა და ეტყოდეს ქრისტესა: **„უფალო, აწღა გეძიებდეს შენ ჰურიანი ქვისა დაკრებად, და კუალად მუნვე მიხვალ?“** (იოანე 11,8). მაშინ თომა კადნიერ იქმნა და უშიშ უფროჲს ყოველთა მათ მოწაფეთასა და ეტყოდა მოციქულთა: **„მოგუალეთ, მივიდეთ, რაჲთა მოვსწყდეთ ჩუენცა მის თანა“** (**იოანე** 11,16). ესე არს თომასი იგი უშიშებაჲ და სხუათა მოციქულთა ზედა უმხნესი და უაღრესი სიყვარული ქრისტესი. მერმე შემდგომად მკუდრეთით აღდგომისა კეთილი ურწმუნოებაჲ — ველით განხილვა წყლულებათა ქრისტესთა და საღმრთოჲსა გუჱრდისა და ღმერთად და უფლად აღსარებაჲ მისი. და მერმე უკანაჲსკნელ ესეცა ღირს იქმნა ლაზვრისა მიერ მოწყვლითა სიკუდილისა. ეგრეთვე პავლესი რაჲღა ვინ თქუს, რომელი ყოველთა უკანაჲსკნელ გამორჩეულ იქმნა და ყოველთა წინა წარუსწრო საღმრთოჲთა მჴურვალებისა სიყვარულითა და უფროჲს ყოველთასა დაშურა, ვითარცა თჳთ აღწერს: იჱრუსალემით ვიდრე ილორიკიადმდე ქადაგა სახარებაჲ ქრისტესი და უზეშთაესსაცა მადლსა და უმეტესსა გამოცხადებასა ესე ღირს იქმნა. ხოლო ესრეთ რაჲ განვრცელდა თხრობაჲ მოციქულთა და უმეტესი დაუტევე რაჲთა არა საწყინო თქუენდა იყოს, ხოლო ესეცა ამისათჳს აღვწერე რათა არა უკნინეს და უდარეს ჰგონებდეთ ერთსა ერთისა მიმართ და ერთისა ამაღლებითა სხუანი ყოველნი დაამდაბლოთ ანუ ერთისა უზეშთაესისა პატივითა ათორმეტნივე უპატიო ჰქმნეთ და მერმე იგინიცა შეურაცხ იქმნეს, რამეთუ ერთისა უმეტესი დიდებაჲ, სახჱ ყოვლისა უდიდებულობისა არს, ხოლო ჩუენ საზომისაებრ და ნიჭისა ქრისტესისა ზოგადად ყოველთავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადიდებთ და განმაძლიერებელსა მათასა და ღმერთად და უფლად მათ მიერ ქადაგებულსა ქრისტესა უფროსად აღვამაღლებთ თანა მამით და სულითურთ.

ხოლო უკუეთუ გნებავსთ საღმრთოთა წერილთაგანცა ძუძლისა სჯულისათა მოვიღოთ უმტკიცესი წამებაჲ, რათა უცხადესად გეუწყნენ თანასწორებაჲ და ერთობაჲ მათი და არა სილაღე და დიდობაჲ ურთიერთასი მათ შორის.

იტყჳს წინასწარმეტყველი დავით: **„ყოველსა ქუეყანასა განჴდა ჴმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყუანი მათნი“.** ესე ზოგად ყოველთათჳსვე თქუა და არა სადა გამოაჩინა უმცირეს უდიდესობაჲ მათ შორის და კუალად იტყჳს: **„მამათა შენთა წილ იქმნნეს შვილნი შენნი და დაადგინენ იგინი მთავრად ყოველსა ქუეყანასა ზედა.“**

ანუ აქა სადაღა ჩანს უდარეს უაღრესობაჲ, არამედ ყოველნი სწორად მამათა წილ თქუნა, რომელ არიან ათორმეტნი მამათმთავარნი და მათ წილ მთავრად დადგინებად მოასწავა ყოველსა ქუეყანასა ზედა წმიდანი მოციქულნი, რათა ათორმეტთა მამათმთავართა შვილნი ესენი არიან; [და] რამეთუ ყოველნი სწორად თქუნა და არა თუ ერთი სხუათა ზედა მთავრად.

კუალად იტყჳს იგივე: **„განძლეს ჭამადითა და დაუტევეს ნეშტი ყრმათა მათთა“.** ამას მათ ზედა იტყჳს, ოდეს ქრისტემან მეუფემან ხუთნი ათასნი მამაკაცნი ხუთითა პურითა განაძღნა და ნეშტი იგი დაუტევეს ყრმათა მათთა, რომელ არს ნამუსრევი მათგან დანეშტებული ათორმეტი გოდორი და აღიკიდეს ათორმეტთავე მოციქულთა, რომელ არიან ყრმანი მათნი, რამეთუ შვილნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰურიათანი არიან წმიდანი მოციქულნი და არა ვინ დაშთა ათორმეტთა მათგანი, რომელმანცა არა იტჯართა სავსე გოდორი: არცა პეტრე და ანდრია, არცა იაკობ და იოვანე; ეგრეთვე მთავრად დადგინებაცა ყოვლისა სოფლისა ზოგადად განიყვეს და არასადა მოესწავა წინაწარმეტყველთაგან თუმცა ანუ მთავრობაჲ ერთმან სხუათა ზედა მეტი მიიღო ანუ ნამუსრევითა გოდორი ერთმან ნაკლები იტვირთა.

Ეგრეთვე მოსეს მიერ მოესწავნეს ათორმეტთა მათ მოციქულთათჳს და სხუათა მათ სამეოცდაათთათჳს, რაჟამს იგი წარმოიყუანნა ზღვით მეწამულით ძენი ისრაჱლისანი და მოიყვანა სელიმად, და მუნ იყო ათორმეტი წყარო წყლისა და სამეოცდაათი ხე დანაკის კუდისა, რომელნი იყუნეს ჭეშმარიტნი სახენი წმიდათა მოციქულთანი და არა სადა ითქუა მათ შორის უდიდეს უმცირესობაჲ.

Ეგრეთვე ელიას მიერ მოესწავა, რაჟამს იგი დარღუჱული საკურთხეველი განკურნა ათორმეტთა ლოდთა მიერ: შესაწირავად მსხუჱრპლისა. ესეცა ჭეშმარიტი მოსწავებაჲ იყო ათორმეტთა მოციქულთა და არცა აქა სჩანს ლოდნი იგი ერთი რომელიმე მეტყოფილი მეორესა ზედა. კუალად მოსეს მიერი იგი ათორმეტი წყაროჲ ერთისა კლდისაგან გამოსრული: რამეთუ კლდე იგი იყო ქრისტე ვითარცა სთარგმნის მოციქული პავლე, ხოლო ათორმეტნი იგი წყარონი მისგან გამოსრულნი წმიდანი მოციქულნი იყვნეს და არასადა წერილ არს თუმცა ერთი წყარო მეორესა ზედა უდიდესი იყო, არამედ ათორმეტნივე სწორად გამოეცნეს კლდისა მისგან. ეგრეთვე ქრისტესაგან ათორმეტნი მოციქულნი.

Ეგრეთვე ახალსა ამას აღთქუმასა შინა ხილვა იგი იოვანე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმრთისმეტყველისა მოიხსენე, რაჟამს იხილა ზეცისა იგი იერუსალიმი და ზღუდეთა მისთათჳს იტყჳის: **„და ზღუდესა მის ქალაქისასა აქუნდეს ათორმეტნი საფუძველნი და მათ ზედა ათორმეტნი სახელნი ათორმეტთა მათ მოციქულთა კრავისათანი“** (გამოცხადება 21,14). და არცა აქა იპოების უდიდეს-უმცირესობაჲ, არცა უაღრეს-უდარესობაჲ, რათა საფუძველნი იგი ერთი მეორესა არა მეტობდა. რომელთა სახელნი ეწერა ათორმეტთა მოციქულთანი, არამედ სწორ იყვნეს საზომითა.

პუალად წერილ არს მის მიერვე: **„და მდინარისა მის ამიერ და წიაღსავალ ხე ცხორებისაჲ გამომღებელი ათორმეტთა ნაყოფთა, ყოველთა თუეთა მომცემელი თჳსისა მის ნაყოფისა და ფურცელნი იგი მის ხისანი საკურნებელად წარმართთა“** (გამოცხადება 22,2). ესეცა იხილე თუ სადა სჩანს დიდებულებაჲ ერთი მეორესა ზედა, რამეთუ სწორის ნაყოფის მომცემი იყო ხე იგი ცხორებისა ათორმეტთა თუჱთა შინა თითოჲსა ნაყოფისა, რამეთუ ესენი ყოველნი ჭეშმარიტნი და ცხადნი მოსწავებანი ათორმეტთა მოციქულთანი არიან და ყოველთა სწორებასა და ერთობასა ესე ყოველნი გამოაჩინებენ.

და კუალად იხილე ცხადიცა ესე და ხილული მზე ვითარ ვალს მარადის ათორმეტთა ეტლთა ზედა, რათა წელიწადსა შინა თითუჱულსა თუჱთა შინა თითოსა ეტლსა ზედა აღვალს და ეგრეთ მოვლის სიმრგულესა ცისასა. ეგრეთვე საცნაური იგი მზე უხილავთა მათთჳს გულისჴმაყავ და უკეთუ გამოეძიებდე მრავალი ესევითარი სახე გეპოოს საღმრთოთა წერილთა შინა წმიდათა ათორმეტთა მოციქულთათჳს, ვითარმედ სწორ არიან და ერთ პატივნი და არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არს ერთი მეორესა ზედა მთავარ და არცა მისცემიეს ქრისტეს მიერ ველმწიფებად ერთი ერთისა ზედა და მთავრობად, არამედ ძმობად და ერთობად, ვითარცა იტყჳს ვითარმედ: **„თქუენ ყოველნი ძმანი ხართ“** და კუალად იტყჳს ვითარმედ: **„რადთა ყოველნი ერთ იყჳნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამო, და მე შენდამი.“** და სხუად ყოველი, რაოცა იგი წერილ არს წმიდასა სახარებასა შინა მათისა ერთობისათჳს ეგრეთ გვრწმენეს და ვადიდებთ განმაძლიერებელსა მათსა, მეუფჱსა ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა თანა მამით და სულით წმიდითურთ. ამინ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XII თავი

სიტყჳსა მისთჳს რაჟამს უბრძანა პეტრეს: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი“

მერმე ეტყჳს უფალი პეტრეს ვითარმედ: **„შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან ̆მას“** (მათე 16,18). კუალად ამას უმეტესად მიიღებენ მიზეზად ცუდის მეტყველებისა მათისა. წინა აღგვიდგებიან და იტყვიან პეტრე მოციქული არს იგი კლდე და ეკლესია მას ზედა აღშენებულ არსო: ხოლო ესე არა არს საკჳველ, რათა ჩვენ წინააღგვიდგენ, რამეთუ თჳთ ქრისტეს მიმართ წინააღმდგომ არიან — კლდისა მის ცხოვრებისა და ლოდისა რჩეულისა, რომელი იქმნა თავსაკიდარ, [და] რომელი მოასწავა დავით ღმერთად. და აწ ქრისტე სახარებისა იგავისა მიერ განაცხადებს და იტყვის: **„ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა მისთა, ესე იქმნა თავ საკიდურ. და რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაეცეს, განანქრიოს იგი“** (ლუკა 20,17). სიტყუასა ამასცა ქრისტე ბრძანებს: **„ცანი და ქუეყანაჲ წარვდეს, ხოლო სიტყუანი ჩემნი არასადა წარვდენ“.** (ლუკა 21,33). და ჭეშმარიტად: **უადვილეს არს ცისა და ქუჱყანისა წარვდომა, ვიდრეცა იოტა ერთი გინა ბეწვი ერთი სჯულისაგან გინა წინაწარმეტყველთა წარჰვდომად და უმეტესცა სიტყუაჲ სახარებისა** სიტყვისაებრ მოციქულისა: **„ძმანო არა ეგებოდა, ვითარმცა დავარდა სიტყვაჲ ღმრთისა“** (რომაელთა 9,6), რამეთუ ჰურიანი ეკუჱთნეს რაჲ კლდესა მას ცხოვრებისასა და შეიმუსრნეს და მოისპნეს, ვითარცა ბრძანა ვითარმედ: **„რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა შეიმუსროს“**, ხოლო აწ ლათინნი წინა აღუდგებიან ბრძანებათა მისთა და თჳთ პეტრეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უწმობენ კლდედ და მის გამო ყოველთა პაპათა და არა დასცხრებიან წინააღდგომად ვიდრემდის დაეცეს მათ ზედა ლოდი იგი რჩეული და მით განანქრიოს იგინი, რომელი ქუჱმორე სიტყუამან განაცხადოს; რომელსა იგი მათთვის მოასწავებს ღმრთისმეტყუელი იოვანე გამოცხადებასა შინა. ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ: **„რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა შეიმუსროს“**, ესე ჰურიათათვის თქმულ არს: **„ხოლო რომელსა ზედა დაეცეს იგი განანქრიოს“** — ესე ყოველთა პაპის მოსავთა ზედა თქმულ არს, რამეთუ პეტრეს უბრძანა რაჲ ქრისტემან: **„შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი“:** არა ხოლო თუ პეტრესა ზედა აღაშენა ეკლესია თჳსი ქრისტემან, არცა პავლესა ზედა, არცა იაკობსა და იოანესა ზედა, არამედ თჳთ თავსა ზედა თჳსსა აღაშენა ეკლესია თჳსი ქრისტემან და იგი თავადი არს კლდე ცხოვრებისა და ლოდი რჩეული, და იგი თავ ექმნა ეკლესიასა თჳსსა, რამეთუ სიტყუაჲ იგი რომელ თქუა პეტრე: **„შენ ხარ ქრისტე ძე ღმრთისა ცხოველისა“** (მათე 16,16), ამას ზედა არს აღშენებული ეკლესია, რამეთუ ქრისტემან არა ჰრქუა პეტრეს თუ: შენ ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, არამედ: **„ამას ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი“.** ამას, აღსარებისა კლდესა ზედა, რომელ არს იესო ქრისტე ძე ღმრთისა ცხოველისა, ამას ზედა არს აღშენებული ვითარცა ვთქუ და სხვანიცა ღმრთისმეტყუელნი ესრეთვე იტყჳან. და იგი თავადი არს კლდე ცხოვრებისა ვითარცა ითქუა და აწ კუალად ვიტყჳ: იგი არს კლდე ცხოვრებისა და ლოდი პატიოსანი და თავსაკიდარი და არათუ სხუაჲ ვინმე და არცა პეტრე. ისმინეთ ჩემი და თჳთ მის წმიდისა პეტრეს მიერ დაუყო პირი მათი ამაოჲსა მეტყუელი, რომელსა იგი კლდედ უწმობენ. ვითარმედ ქრისტე არს კლდე იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არა პეტრე, და უკეთუ მისგანცა არა შეიკდიმონ მერმე ჭური იგი რჩეული წარმოუყენო, ნუთუ მისგან ოდენ შეიკდიმონ და ჩუენთანა აღიარონ ჭეშმარიტებაჲ.

Ისმინეთ პეტრესი რასა ეტყვის ჰურიათა: **„ვითარმედ ესე არს ლოდი იგი, რომელ შეურაცხ იქმნა თქუენ მიერ, მაშენებელთა, რომელი იქმნა თავსაკიდურ და არავინაჲ არს სხჳთ ცხორებაჲ და არცაღა არს სხუაჲ სახელი ცასა ქუეშე მოცემული კაცთა, რომლითამცა ჴერ იყო ცხორებაჲ ჩუენდა“** (საქმე 4,11). აწ სადა ჩანს პეტრეს კლდეობაჲ; რაისათჳს არა თქუა ესრეთ, ვითარმედ: მე მიბრძანა ქრისტემან კლდეობაჲ და მე ვარ ლოდიო? ანუ რაჲსათჳს იტყჳან აწინდელნი პაპები ზეცას ღმერთი არს და ქუეყანასა ზედა ჩვენ ვართ ეკლესიის თავნიო.

Ჰვალად მისვე პეტრესი ისმინეთ რასა დასწერს კათოლიკეთა შინა და იტყჳს: **„უკეთუ გემოჲ გიხილავს, რამეთუ ტკბილ არს უფალი, რომელსა-იგი მოუჴდით ლოდსა ცხოველსა, რომელი-იგი კაცთაგან შეურაცხ იქმნა, ხოლო ღმრთისაგან რჩეულ და პატიოსან. და თქუენცა, ვითარცა ლოდნი რჩეულნი აღეშენებოდეთ სახლად სულიერად, სამღდელოდ წმიდად, შესაწირავად მსხუერპლთა სულიერთა, სათნოთა ღმრთისათა იესო ქრისტეს მიერ; რამეთუ წერილ არს წიგნსა შინა: აჰა ესერა დავსდებ სიონს შინა ლოდსა საკიდურსა, რჩეულსა, პატიოსანსა და რომელსა ჰრწმენეს მისა მიმართ, არასადა ჰრცხუენეს. თქუენდა უკუე არს პატივ. მორწმუნეთა მაგათ, ხოლო ურჩთათჳს – ლოდი, რომელ შეურაცხყვეს მაშენებელთა, იგი იქმნა თავსაკიდურთა და ლოდ შებრკოლების და კლდე საცთურების, რომელნი შებრკოლდებიან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყუისასა მას ურჩებითა რომელსაცა ზედა დაესხნეს“ (I კათოლიკე პეტრესი 2,3).

ჩანს აქა რამეთუ ქრისტე არს ლოდი რჩეული და კლდე ცხოვრებისა სიტყვისა მისებრ წმიდისა პეტრესა და არა სხვაჲ ვინმე და არცა პეტრე არს, არამედ სიტყუაჲ იგი პეტრესი რომელმან აღიარა ძედ ღმრთისა ცხოველისად.

და ლოდ შებრკოლების და კლდე საცთურების აწინდელნი პაპები ჰრომისანი არიან, რომელნი, პეტრეს გამო იქადიან და აცთუნებენ მრავალთა და შეაბრკოლებენ და თავსა თჳსსა მეორედ ქრისტედ ქადაგებენ ყოველთა შორის და წინააღუდგებიან კლდესა მას ცხოვრებისასა და ეკუჭთებიან ლოდსა რჩეულსა, რომელი დადებულ იქმნა სიონს შინა, რომელ არს იჱრუსალიმი და არა ჰრომს შინა; რომელი წინაწარმეტყველმან მოასწავა და თჳთ წმინდამან პეტრე ესრეთ ქადაგა ვითარმედ: თჳთ კლდე იგი არს ქრისტე და არა თუ პეტრე და აწ უკეთუ პეტრესი არა გესმით მოვედით და წმიდისა მოციქულისა პავლესი ვისმინოთ ნუ უკუჱ პეტრე სათნოებისათჳს ქრისტესა თავისა თჳსისა კლდეობაჲ ვერ აღიარა. ვჰკითხოთ უკუჱ ჭურსა მას რჩეულსა პავლეს, თუ ვინ არს კლდე ანუ ვინ არს ლოდი იგი. ხოლო იგი მოგვიგებს ჴმამაღლად და არა დაჰფარავს და ესრეთ გუჱტყჳს: **„უკეთუ კაცთა სათნო ვეყოფოდი ქრისტეს მონამცა არა ვიყავო: ამისათჳს ვიტყჳ ჴმამაღლად და არა დავიდუმებ, რამეთუ: არა მნებავს უმეცრებაჲ თქუენი, ძმანო, რამეთუ მამანი ჩუენნი ყოველნი ღრუბელსა ქუეშე იყვნეს და ყოველნი ზღუასა განვდეს და ყოველთა მოსეს მიერ ნათელ-იღეს ღრუბლითა მით და ზღჳთა; და ყოველთა იგივე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზრდელი სულიერი ჭამეს; და ყოველთა იგივე სასუმელი სულიერი სუეს; რამეთუ სუმიდეს იგინი სულიერისა მისგან კლდისა, რომელიცა შეუდგა; ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე" (I კორინთელთა 10,1). დადუმდინ ყოველი პირი მდიდრად მეტყუჩლი და დაიდევინ ველი პირსა ზედა, რამეთუ პავლე ქრისტესა უწოდს კლდედ და არა პეტრეს.

ვითარცა იგი სხვასაცა ადგილსა იტყვის იგივე მოციქული ვითარმედ: **„ისრაჩლი სდევდა სჯულსა მას სიმართლისასა და სჯულსა მას სიმართლისასა ვერ მისწუდა. რაჲსათჳს-მე? რამეთუ არა სარწმუნოებისაგან, არამედ ვითარცა საქმეთაგან სჯულისათა, რამეთუ შეჰბრკოლდეს ლოდსა მას შებრკოლებისასა. ვითარცა წერილ არს: აჰა ესერა დავსდებ სიონს შინა ლოდსა შებრკოლებისასა და კლდესა საცთურებისასა; და ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არასადა ჰრცხუენეს"** (ჰრომაელთა 9,31). ამით ჩანს რამეთუ ქრისტე არს კლდე იგი და არა პეტრე, რომელსა ეკუჩთნეს ჰურიანი და შეიმუსრნეს. რომლისა მოასწავა ესაია წინაწარმეტყუჩლმან დადებაჲ სიონს შინა და არა დადებაჲ ჰრომს შინა.

უალად იტყჳს იგივე პავლე: **„ამიერითგან უკუე არღარა ხართ თქუენ უცხო და მწირ, არამედ თანამოქალაქე წმიდათა და სახლეულ ღმრთისა, აღშენებულ საფუძველსა ზედა მოციქულთა და წინაჲსწარმეტყუელთასა, რომლისა თავ საკიდურთა მისთა არს ქრისტე იესო, რომლითა ყოველი შენებული და შენაწევრებული, ორძის ტაძრად წმიდად უფლისა მიერ, რომელსა ზედა თქუენცა აღშენებულ ხართ სამკჳდრებელად ღმრთისა სულთა"** (ეფესელთა 2,19).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუალად იგივე მოციქული მიუწერს კორინთელთა, ვითარმედ: **„ღმრთისა თანაშემწენი ვართ; ღმრთისა ნამუშაკევნი, ღმრთისა აღშენებულნი ხართ. მადლითა მით ღმრთისადთა, მოცემულითა ჩემდა, ვითარცა ბრძენმან ხუროთმოძღუარმან, საფუძველი დავდევ, ხოლო სხუაჲ იგი აშენებდინ. ხოლო კაცად-კაცადი ეკრძალენ, ვითარ-ძი აშენებდეს. რამეთუ საფუძველი სხუაჲ ვერვის ძალუც დადებად გარეშე მისსა, რომელი-იგი დადებულ არს, რომელ არს იესო ქრისტე“** (I კორინთელთა 3,9).

ჯეშმარიტ არს და უცილებელ, რამეთუ ქრისტე არს კლდე ცხოვრებისა და ლოდი რჩეული, საფუძველი და საკიდარი. დასაბამი და აღსასრული და არა სხუაჲ ვინმე; არა ანგელოზი არცა მამშვიდებელი, არცაღა კაცი, არამედ თავადი უფალი ვითარცა იტყჳს ესაია. წინაწარმეტყველთაგან მრავალ სახედ მოსწავებული და მოციქულთაგან ძედ ღმრთისად და თანასწორად მამისა აღსარებული და ყოველთა მართლმადიდებელთა ეკლესიათა თავსაკიდურად ჩინებული. და არა არს პაპა ჰრომისა „მხოლოდ“ თავი ეკლესიისა, არცა საფუძველ, არამედ ქრისტე, ძე ღმრთისა. და იგი არს თავი ეკლესიისა, ვითარცა წერილ არს: **„რამეთუ აღადგინა იგი მკუდრეთით და დასვა იგი მარჯუენით მისა ზეცათა შინა, უზეშთაეს ყოველთა მთავრობათა და ჴელმწიფებათა და ძალთა და უფლებათა და ყოველისავე სახელისა, რომელ სახელდებულ არს არა ხოლო თუ ამას სოფელსა, არამედ მერმესაცა მას. და ყოველივე დაამორჩილა ქუეშე ფერჴთა მისთა და იგი მოსცა მთავრობად ზეშთა ყოველთა ეკლესიათა, რომელ-იგი არს გუამი მისი, აღსავსებაჲ იგი, რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო“** (ეფესელთა 1,20). და კუალად იტყჳს: **„რამეთუ ქმარი არს თავ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლისა, ვითარცა ქრისტე თავ არს ეკლესიისა, და იგი თავადი არს მაცხოვარი გუამისაჲ“ (ეფესელთა 5,23).

ამით უწყით ვითარმედ იგი თავადი არს თავ ეკლესიისა სიტყჳსაებრ საღმრთოჲსა წერილთასა და ეკლესია არს გუამი მისი და ამის ეკლესიჲისა ასოდ განეწესნეს ხუთნივე საპატრიარქონი და სხვანი ყოველნი ეპისკოპოზნი: ვითარცა დასწერს მოციქული პავლე: **„რამეთუ გუამი იგი არა არს ერთ ასო, არამედ მრავალ“** (Iკორინთელთა 12,14); ვითარცა იგი გუამსა შინა შეწყობილებაჲ და შენაწევრებაჲ ასოთა: - რომელიმე თვალ არს, რომელიმე ყურ, რომელიმე ჴელ, რომელიმე პირ და რომელიმე საყნოსელ. ხუთთა ამათ საგრძნობელთაებრ, ხუთნი პატრიარქნი განეწესნეს და სხუანი საეპისკოპოსონი სხვათა ასოთაებრ, რომლისა თავ არს ქრისტე იესო სიტყვისაებრ მოციქულისა. აწ ესერა დასხნა უფალმან ასონი იგი თითოეულად გუამსა მას შინა ვითარცა ინება: **„ხოლო უკეთუმცა იყო ყოველი ერთ ასო, სადამცა იყო გუამი იგი? ხოლო აწ მრავალ არს ასოები და ერთი გუამი“** (I კორინთელთა 12,19), რომელ არს ეკლესია მართლმადიდებელთა და თავ მისა არს ქრისტე და არა პაპა, ვითარცა ვიტყოდეთ. ხოლო პაპა იტყჳს მე ვარ თავი ყოვლისა ეკლესიისაო. ესე იქნებისა ღმრთისმოყვარენო, რაჲთამცა ერთსა გუამსა ორი თავი აქუნდა ვითარმცა ხილულისა ეკლესიისა თავი პაპა იყოს და უხილავისა ქრისტე. ზეცასა ქრისტე იყოს ღმერთად და ქუეყანასა ზედა პაპა და არა უფროჲსღა ქრისტე; **„რამეთუ ქრისტე არს მშვიდობაჲ ჩუენი, რომელმან შექმნა ორივე იგი ერთად სიტყვისაებრ პავლესა: და შუაკედელი ზღუდისაჲ მის დაჰჴსნა, მტერობაჲ იგი ჴორცთა მისითა, სჯული იგი მცნებათაჲ მით ბრძანებითა განაქარვა, რაჲთა ორივე იგი დაჰბადოს მას შინა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთად, ახლად კაცად ყოფად მშჳდობისა და დააგნეს ორნივე იგი ერთითა მით ჯორცითა ღმერთსა“ (ეფესელთა 2,14).

და თჳთ თავადისა იგი ბრძანებაჲ გესმისთ ვითარმედ: **„მომეცა მე ყოველი ჴელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“** (მათე 28,18). ჩანს უეჭველად, რამეთუ არს ჴელმწიფე ცათა და ქუეყანისა და არა პაპა ჰრომისა და არცა არს ესე სჯულისდებაჲ პეტრესი არცა პავლესი არცა სხვათა მათ მოციქულთა, რაჲთამცა თავთა თჳსთა ქადაგებდეს და არა ქრისტესა: ჩვენ ვართო საფუძველნი და თავნი ეკლესიათანი და არა იესო ქრისტე ძე ღვთისა[ო].

ვითარცა იტყჳს პავლე და ერთ ჴმა არიან სიტყვანიცა მოციქულთანი მისთანა და ესრეთ ჴმობენ. **„რამეთუ არა თუ თავთა თჳსთა ვქადაგებთ, არამედ უფალსა იესოს; ხოლო თავთა ჩუენთა — მონად თქუენდა იესო ქრისტესთჳს“** (II კორინთელთა 4,5). ხოლო პაპა ჰრომისა ყოველსა შინა სოფელსა ქადაგებს თავსა თჳსსა მეორედ ქრისტედ და თავად ეკლესიისა და მოწაფენი მისნი და ყოველნი მოსავნი მისნი ამისვე მქადაგებელ არიან, რაჲთა ყოველსა სოფელსა არწმუნონ პაპისა ღმერთად აღსარებაჲ და შეაცთუნონ ყოველი კაცი, რამეთუ თჳთ თვალით მხილველნი მოციქულნი არარად იტყჳან თავთა თჳსთა, არამედ მონად ქრისტეჲსა და მსახურად.

ვითარცა კუალად იტყჳს პავლე კორინთელთა მიმართ: **„რამეთუ რაჟამს ვინმე იტყოდის, ვითარმედ: მე პავლესი ვარ, და სხუაჲ იტყოდის: მე აპოლოსი ვარ, არა ჯორციელველა ხართა? რამეთუ რაჲ არს პავლე? ანუ რაჲ არს აპოლო? არამედ მსახურნი, რომელთაგან თქუენ გრწმენა, და კაცად-კაცადსა ვითარცა უფალმან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისცა. მე დავასხ, აპოლო მორწყო, ხოლო ღმერთმან აღაორძინა. აწ უკუე არცა დამსხმელი რაჲ არს, არცა მომრწყველი, არამედ აღმაორძინებელი ღმერთი. ხოლო დამსხმელი იგი და მომრწყუჱლი ერთ არიან; და კაცად-კაცადმან თჳსი სასყიდელი მიიღოს თჳსისაებრ შრომისა" (I კორინთელთა 3,4).

აქა სადღა ჩანს უაღრეს უდარესობაჲ ანუ პავლესი ანუ პეტრესი გინა სხვათა მათ მოციქულთა. აწ რომელნი პეტრეს გამო იქადიან და ღმერთ ყოფენ პაპასა ჰრომისასა პეტრე მოციქულისა შეურაცხისმყოფელ არიან და სხუათა მათცა მოციქულთა მაგინებელ ექმნებიან და ღმრთისა წინააღმდგომ არიან.

რამეთუ იტყვის ღმერთი მოსე წინაწარმეტყველისა მიერ: **„იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ და არავინ არს სხუა ღმერთი ჩემსა გარეშე, მე მოვაკუდინო და ვაცხოვნო, დავცი და მე განვკურნი"** (II რჯული 32,39). და აწ ვითარ არა წინააღმდგომ არიან ღმრთისა აწინდელნი პაპები. ღმერთი ბრძანებს: „მე ვარ და სხუაჲ არავინ არს ღმერთი ჩემსა გარეშეო". პაპა ბრძანებს: ქვეყნიერი ღმერთი მე ვარო. ქრისტე ბრძანებს სახარებისა იგავისა მიერ: **„მე ვარ ლოდი თავსაკიდურთაო"**. ხოლო პეტრე ქადაგებს ქრისტესა ლოდად ცხოველად და პავლე იტყვის ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე და დავით მოასწავებს: „ლოდი რომელ შეურაცხყვეს მაშენებელთა მისთა ესე იქმნა თავსაკიდურ". და დანიელ იხილა მთისგან უხელოდ გამოკუჴთილი ლოდი, რომელმან შეჰმუსრნა ყოველნი ამაღლებულნი მეცნიერებასა ზედა ღმრთისასა და ესაია მოასწავებს სიონს შინა დადებასა ლოდსა პატიოსანსა და კლდესა ცხოვრებისასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო პაპა ჰრომისა იტყჳს: პეტრეს გამო **„მე ვარ კლდე და მე ვარ ლოდი თავსაკიდურთაო“**. იხილეთ ღვთის მოყვარენო ესე-ვითარი წინააღდგომა ღმრთისა და მოციქულთა შეურაცხებაჲ და წინაწარმეტყველთა სჯულისდებისა დაჴსნა და ესრეთ სთქუთ: **„ღმერთი ამპარტავანთა შეჰმუსრავს, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი“** (I კათოლიკე 5,5).

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIII თავი

სიტყჳსა მისთჳს რაჟამს ჰრქუა პეტრეს: „მიგცნე შენ კლიტენი სასუფევლისანი და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა და რომელი განჰჳსნა ქუეყანასა ზედა ჳსნილ იყოს იგი ცათა შინა“

(მათე 16,19)

ჭ ეშმარიტ ̄ არს ბრძანებაჲ იგი ღმრთისა და უცვალებელ. და რაოდენნი ბრძანა და რაოდენნი აღთქუმანი და ნეტარებანი აღუთქუნა მოწაფეთა თჳსთა და მათ მიერ ყოველთა მორწმუნეთა, არა იცვალების, არამედ უტყუჳლ არს აღთქუმათა შინა მისთა. არა მხოლო პეტრეს ზედა, არცა მხოლო სხუათა მათ მოციქულთა ზედა, არამედ ყოველთა მოშიშთა მისთა ზედა და მოყუარეთა სახელისა მისისათა: - ხოლო სიტყუაჲ იგი თუ: **„მიგცნე შენ კლიტენი სასუფევლისანი“** - ესე ყოველთა უწყით და არა ვინ არს ამისი მაცილობელი ვითარმედ: სასუფეველსა ცათასა არცა კლიტე აქუს, არცა მოქლონნი, არცაღა რაიმცა კლიტენი მისნი მიეთვალნა ვისთჳსმე, არამედ კლიტენი და მოქლონნი და კარნი სასუფევლისანი იესო ქრისტეს ღმერთად აღსარებაჲ არს ვითარცა თავადი ქრისტე ბრძანებს: **“მე ვარ კარი: ჩემ მიერ თუ ვინმე შემოვიდეს, ცხონდეს“** (იოანე 10,9); ჭეშმარიტად იგი არს გზაჲ და იგი არს ჭეშმარიტება და იგი არს კარი და კლიტე სასუფევლისა, რომელი გუჱქმნა გზაჲ ცხოვრებისა და კარ სასუფეველისა. რაჟამს გამოგჳცხადა ღმრთეებაჲ თჳსი და გუაცნობა დაუსაბამო მამა თჳსი და თანასწორებაჲ თჳსი მამისა და სულისა წმიდისა თანა. ესე არს კლიტე იგი სასუფევლისა, რომელი პეტრეს არწმუნა, რაჟამს იგი ჰრქუა პეტრე: **„შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა“** (მათე 16,15). არა ხოლო თუ მარტო პეტრეს ჰკითხა უფალმან: თქუენ ვინ გგონიე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე ყოფად, ვინ ვარ მე; არამედ ათორმეტთავე ზოგადად ჰკითხა ვითარცა წერილ არს: **„ჰრქუა იესო მოწაფეთა თჳსთა: თქუენ ვინ გგონიე მე ყოფად, ვინ ვარ მე“** (მათე 16,15). ხოლო პეტრე ყოველთა მიერ მიუგო და ყოველთა იგი ექმნა პირ და ენა და თქუა: **„შენ ხარ ქრისტე ძე ღმრთისა ცხოველისა“** (მათე 16,16). მაშინ უბრძანა: **„შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი“** და **„მიგცნე შენ კლიტენი სასუფevlისანი“** (მათე 16,18). და შემდგომი. ვითარცა იგი ზოგადად ჰკითხა, ეგრეთვე ზოგადად მისცნა ესე ველმწიფებაჲ. არა თუ ესე, არამედ ყოველნი აღთქუმანი და ნეტარებანი ზოგად უბრძანა ყოველთა, ვითარცა ზემოცა უვრცელესად ვიტყოდეთ და უკეთუ მეორედ მოსლვასა მას დიდებულსა, რაჟამს დაჯდეს ძე კაცისა საყდართა ზედა დიდებისათა, ათორმეტთავე ზოგადად უბრძანა დასხდომა განსჯად ათორმეტთა ტომთა ძეთა ისრაჱლისათა. სხვათა ნეტარებათა და აღთუქმათათჳს არღა საჭირო არს თქუმა, თუ ვითარ სწორედ მისცა ყოველივე, რაჲცა იგი მისცა. ხოლო მიცემა იგი კლიტეთა სასუფevlისათა მისისა ღმრთეებისა ცნობა და აღსარებაჲ იყო, რაჟამს ძედ ღმრთისად აღიარა, და ჭეშმარიტად იგი არს კლიტე და კარი სასუფevlისა, ვითარცა იგი ეტყოდა ღმერთი ჰურიათა და მწიგნობართა და აყუჱდრებდა ესრეთ: **„ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ დაჰჴშავთ სასუფevlსა ცათასა წინაშე კაცთა; თქუენ შე-არა-ხუალთ და შემავალთა უტევებთ არა შესლვად“** (მათე 23,14). ხოლო კვალად ლუკა ესრეთვე იტყვის: **„ვაჲ თქუენდა, სჯულისმოძღვარნო, რამეთუ დაჰმალენით კლიტენი მეცნიერებისანი; თქუენ შეარახუალთ და შემავალთა აყენებთ“** (ლუკა 11,52). იხილეთ, რამეთუ კლიტე და კარი სასუფevlისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტეს ღმრთეებაჲ არს პირველად წინაწარმეტყველთაგან მოსწავებული და მოციქულთაგან ქადაგებული. ესე კლიტე იყო, რომელი დამალნეს მწიგნობართა და სჯულის მოძღუართა. ხოლო მოუხუნა იგინი ქრისტემან და მისცნა იგინი უწიგნოთა მოციქულთა. ისმინეთ თუ ვითარ დამალნეს მწიგნობართა და თუ ვითარ გამოაცხადეს უწიგნოთა მოციქულთა და ყოველივე გაუწყო. რამეთუ წინაწარმეტყველნი მრავალ სახედ და მრავალ გვარად მოასწავებდეს ღმრთისა გარდამოსლვასა და ჴორცთა შესხმასა, ხოლო მწიგნობარნი და ფარისეველნი სამარადისოდ აღმოიკითხვიდეს და არა გულისჴმაჰყოფდეს და სხვათაცა უმალავდეს: ვითარცა იგი ჰეროდესთჳს წერილ არს, რაჟამს იგი მოვიდეს მოგუნი ვარსკვლავისა წინამძღოლობითა იჱრუსალიმად და ეძიებდეს შობილსა მას მეუფჱსა: **„ხოლო ჰეროდე შეკრიბნა მღვდელთმოძღვარნი და მწიგნობარნი ერისანი და იკითხვიდა მათგან: სადა უკუე შობად არს ქრისტე? ხოლო მათ ჰრქუეს მას: ბეთლეემს ჰურიასტანისასა, რამეთუ ესრეთ წერილ არს წინაწარმეტყველისა მიერ: და შენ, ქუეყანაჲ ეგე იუდაჲსი, არა სადა უმრწმეს ხარ მთავართა შორის იუდაჲსთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღვარი, რომელმან დამწყსოს ერი ჩემი ისრაჱლი“** (მათე 2,4). ესე წინაწარმეტყველებაჲ მიქიას მიერ ითქუა; რამეთუ ესე ოდენ აუწყეს ჰეროდეს და სხუაჲ იგი დაიდუმეს: ხოლო რაჲ იყო დადუმებული იგი, რომელი არა აუწყეს ჰეროდეს[?] არამედ ესე ვითარმედ: **„ხოლო გამოსავალნი მისნი დღეთაგან საუკუნეთა“** (მიქია 5,2). ესე ხოლო დამალნეს და ესე იყო კლიტე სასუფევლისა, რომელსა შინა არცა თჳთ შევიდეს და სხვათაცა აყენებდეს. ეგრეთვე იერემიაცა მოასწავებდა და იტყოდა: **„ესე არს ღმერთი ჩუენი და**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ესწოროს მას სხუაჲ ღმერთი“. ამისა შემდგომად ქუეყანასა ზედა გამოჩნდეს და კაცთა შორის იქცეოდის: და ესაია იტყჳს **„აჰა ესერა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე და უწოდიან სახელი მისი ევმანუელ: რომელ არს ჩუენ თანა ღმერთი“.** ესე და უმრავლესი ამისა მრავალ სახედ მოსწავებულ არს წინაწარმეტყველთაგან. ესე იყო კლიტე სასუფევლისა და ამას უმალევდეს ერთა: ვითარცა იგი პავლეცა აყუჱდრებს ჰურიათა და ეტყჳს ვითარმედ: **„რამეთუ რომელნი-იგი მკჳდრ არიან იჱრუსალემს შინა და მთავარნი იგი მათნი ამას უმეცარ იქმნეს და ჴმათა მათ წინაჲწარმეტყველთასა, რომელნი-იგი ყოველთა შაბათთა აღმოიკითხვიდეს, საჯეს და აღასრულეს და არცა ერთი ბრალი სიკუდილისაჲ უპოეს“** (საქმე 13,27), რამეთუ ყოველთა შაბათთა სჯულსა და წინაწარმეტყველთა აღმოიკითხვიდეს, რომელნი ცხადად მოასწავებდეს ქრისტეს გამოჩინებასა და ღმრთეებასა: ხოლო იგინი არა გულისჴმაჰყოფდეს და სხვათაცა უმალავდეს. ამისათჳს აყუჱდრებს ღმერთი და ეტყჳს: **„ვაჲ თქუენდა, სჯულისმოძღუარნო, რამეთუ დაჰმალენით კლიტენი მეცნიერებისანი; თქუენ შეარახუალთ და შემავალთა აყენებთ“** (ლუკა 11,52).

რამეთუ იგი არს კლიტე სასუფევლისა, ვითარცა ვთქუ: რომელთა ძედ ღმრთისად და ღმერთად ჭეშმარიტად ჰრწამს იესო ქრისტე და მცნებათა მისთა იმარხავს, სიტყვისაებრ საუფლოსა, რომელ ჰრქუა უფალმან: **„ესე არს ცხორებაჲ საუკუნოჲ, რაჲთა გიცოდიან შენ მხოლოჲ ჭეშმარიტი ღმერთი და რომელ მოავლინე იესო ქრისტე“** (იოანე 17,3). და კუალად ბრძანებს: **„რომელსა ჰრწმენეს ძე, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, ხოლო რომელი ურჩ იყოს ძისა, არა იხილოს ცხორებაჲ, არამედ რისხვა ღმრთისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგრომილ არს მის ზედა“ (იოანე 3,36). ამისი მეცნიერება და ამისი ჭეშმარიტი ზედამიწევნით ცნობაჲ მისცა უფალმან ჰურიათა და ამისი კლიტე არწმუნა რათა მომავალი იგი ჰრწმენეს ძედ ღმრთისად და ღმერთად ჭეშმარიტად. ხოლო მათ დამალნეს კლიტენი იგი მეცნიერებისანი. არცა თჳთ შევიდეს და არცა სხუანი უტევეს შესლვად.

ხოლო მოუხუნა უფალმან კლიტენი იგი მწიგნობართა და სჯულის მოძღუართა და მისცნა იგინი უწიგნოთა და უმეცართა მოციქულთა: ხოლო მათ არღარა დამალნეს, არცა დაიდუმეს, არამედ ჴმამაღლად ქადაგნეს და ყოველსა სოფელსა არწმუნეს ღმრთაებაჲ მისი.

პეტრე ხმობს: **„შენ ხარ ქრისტე ძე ღმრთისა ცხოველისა“** (მათე 16,16).

პავლე ღაღადებს: **„ღმერთი გამოჩნდა ჴორცითა და განმართლდა სულითა, ეჩუენა ანგელოზთა, იქადაგა წარმართთა შორის“** (I ტიმოთე 3,16). მერმე იტყჳს რაჲ: **„მოველოდით გამოჩინებასა დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესა“** (ტიტე 2,13).

იოანე ღაღადებს: **„პირველითგან იყო სიტყვაჲ, და სიტყვაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“** (იოანე 1,1).

ხოლო თომა, რაჟამს იხილა წყლულებაჲ იგი საუფლო ჴმაჰყო: **„შენ ხარ უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“** (იოანე 20,28).

ეგრეთვე, წმინდა სტეფანე, იქოლებოდა რაჲ ბილწთა ჰურიათაგან, ახედნა ცად და იხილნა ცანი განხმულნი და თქუა: **„აჰა-ესერა ვხედავ ცათა განხმულთა და ძესა კაცისასა მარჯჳენით**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმრთისა მდგომარესა“ (საქმე 7,56).

პუალად, იაკობ, ძმა უფლისა, აღიყვანეს სიმაღლესა ტაძრისასა მწიგნობართა და სჯულის მოძღვართა და ეტყოდეს: თქუ რათა ყოველთა ესმეს შენგან ვითარმედ რაჲ არს კარი და ვითარ ჯერ არს აღსარებაი იესოჲსი. ეგონა ჰურიათა ვითარმედ ნებისაებრ მათისა იტყოდის: ხოლო მან არა დამალა მსგავსად მათისა კლიტენი მეცნიერებისანი, არამედ ჴმამაღლად ღაღადყო: **„იესო ქრისტე არს ძე ღმრთისა, რომელი ზის მარჯჳენით მამისა და ეგულების განკითხვა სოფლისა სიმართლით“**. მაშინ გარდამოაგდეს სიმაღლისა მისგან და მოკლეს. ესე იყო კლიტე და ესე იყო კარი სასუფევლისა და არა თუ სხუაჲ რაიმე და ამით განახუნეს კარნი სასუფევლისანი. ესე ვითარი კლიტე მისცა პეტრეს და სხვათა მათ მოციქულთა, რამეთუ არა ხოლო თუ მარტო პეტრე აღიარებდა ძედ ღმრთისად იესო ქრისტესა და სხუანი უარჰყოფდეს, არამედ ზოგადად ყოველნი აღიარებდეს ძედ ღმრთისად და თანასწორად მამისა. ამისთჳსცა ზოგადად მიიღეს ესე ჴელმწიფებაჲ, რათა, რომელთა შეკრვიდენ ქუეყანასა ზედა კრულ იყოს იგი ცათა შინა და რომელთა განჰჴსნიდენ ქუეყანასა ზედა ხსნილ იყოს იგი ცათა შინა.

ეგრეთვე კლიტენი იგი სასუფევლისანი, რომელ არს მეცნიერებაჲ ქრისტეს ღმრთაებისა, ვითარცა პეტრეს არწმუნა, ეგრეთვე სხუათა მათცა მოციქულთა ჴელთ უდვა.

ამისი უეჭველობაჲ სტეფანემ გარწმუნოს და იაკობ, ძმამან უფლისამან; ვითარ ამათ ღმერთად აღსარებითა იესო ქრისტესითა განახუნეს ცანი და იხილნეს მარჯულ მამისა იესო ქრისტე. და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხუათა მოციქულთათჳს ნულარას იჭუჭულ ხართ; ვითარმედ მათაცა ჴელთა აქუს კლიტენი სასუფევლისანი და ვისაცა არწმუნეს იესო ქრისტეს ღმერთად აღსარებაჲ და მცნებათა მისთა დამარხვა, მათ ყოველთათვის განახუნეს შესავალნი ცათანი და მუნ აღიყუანნეს მორწმუნენი ქრისტესნი.

ესე არს კლიტე სასუფევლისა და ესე არს კარი ცხოვრებისა და სხუაჲ არა არს და არცა მისცემიეს ჴელმწიფებაჲ ესე მარტო პეტრეს, არამედ სხუათა მოციქულთაცა; არცა მარტო ჰრომის პაპებსა, არამედ ყოველთა მართლმადიდებლობით ცხოვრებულთა პატრიარქთა და ეპისკოპოზთა ზედა არს ბრძანებაჲ ესე შეკრვისა და განჰჴსნისა; რამეთუ არა არს თვალღებაჲ ღმრთისა თანა, არცა არს ბრძანებაჲ მისი და აღთქმა მისი ერთსა და ორსა ზედა, არცა ათსა და ასსა ზედა გინა თუ ათასსა, არამედ ყოველთა მორწმუნეთა და მოშიშთა სახელისა მისისათა მიიწევის ბრძანებაჲ ესე და მტკიცე არს და უცვალებელ აღთქუმანი და ნეტარებანი მისნი: ვითარცა იგი თომას ეტყოდა: **„რამეთუ მიხილე და გრწამს; არამედ ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ჰრწმენე“** (იოანე 20,29). და კუალად ბრძანებს: **„არა ხოლო ამათთჳს გკითხავ, არამედ ყოველთათჳს, რომელთა ჰრწმენეს სიტყჳთა მათითა ჩემდა მომართ; რაჲთა ყოველნი ერთ იყჳნენ“** (იოანე 17,20). და ესრეთ ყოველნი აღთქუმანი და ბრძანებანი მისნი უტყუჭლ არიან და ჭეშმარიტებაჲ მისი ჰგიეს უკუნისამდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XIV თავი
განსაწმედელისათჳს თქმული, რომელსა იტყჳან მოსავნი პაპისანი

ერთი ესე არს მათ შორის წვალება შემოღებული მსგავსად წვალებისა მის ორიგენესა, რომელი იტყოდა ამასცა სხვათა მრავალთა წვალებათა თანა და გმობათა, ვითარმედ დასასრული იქმნების სატანჯველისაო და ეშმაკნიცა აღვლენ პირველსა პატივსა[ო]. ეგრეთვე ცოდვილნი შევლენ და რავდენსაცა ჟამსა აქა უცოდავთ ეგოდენსა ჟამსა მუნ იტანჯებიან და მერმე იგინიცა გამოვლენო.

ეგრეთვე ესენი აღიარებენ და იტყჳან, ვითარმედ საუკუნო ჯოჯოხეთი სხუაჲ არსო, რომელსა შინა შევლენ უნათლავნი და ურწმუნონი და ეგრეთვე ქრისტეანენი უაღსარებონი და ცოდვათაგან მოუქცეველნი მუნ შევლენ და არღარა იქმნების გამოჴსნა მათიო. ხოლო ერთი სხუაჲ ადგილი არსო სატანჯველისა, ცეცხლსა მას შინა ჯოჯოხეთისასა, რომელსა შინა ქრისტეანენი, რომელთაცა აღსარებაჲ უთქუამს და სინანული არა აღუსრულებიეს, იგინი შევლენ მას შინა, ჟამ რავდენმე იტანჯებიან და მერმე განწმედილნი გამოვლენო; და უფროჲსღა ჯერ არს ჭეშმარიტისა თქმა, ვითარ იტყჳან იგინი, უკეთუ არა იყვნენ მოწამენი და სრულნი წმიდანიო, იგინიცა მუნ შევლენ და სრულად განწმედილნი გამოვლენო; ხოლო აქეთგან არარაჲ იქმნების მათთვის სარგებელი, არცა წირვითა, არცა ლოცვითა, არცაღა სხვითა ქველის საქმითა, ვიდრემდის მათთვის განჩინებული ჟამი მუნ არა აღასრულონ და მერმე განწმედილნი გამოვლენო.

აწ ისმინეთ ქრისტიანენო და გულისჴმაყავთ, თუ რასა ზრახვენ მეტყველნი იგი ამაოებისანი. ვკითხოთ მათ: თუ ვისგან მოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღიეს ესე სჯულისდებაჲ ანუ ვისგან ისწავეს, მოციქულთაგან ანუ წინაწარმეტყველთაგან, გინათუ კრებათაგან, ანუთუ ღმრთისმეტყველთაგან და წმიდათა კაცთაგან. ნუ იყოფინ ესე. არა რომლისა სჯულისდებისაგან მოსცემიეს ესე, არამედ თჳთ თქუეს ესე და თჳთ განაწესეს თვინიერ საღმრთოთა წერილთა და გარეშე მოძღვრებისაგან წმიდათასა, რამეთუ ორიგენე მწვალებელისაგან და პლატონ კერპთმსახურის წიგნისაგან მოიღეს წვალება ესე და ბრძანებითა პაპისათა დაამტკიცეს.

ხოლო ჩუენ წინააღუდგებით სიცბილთა მათთა და არა შევიწყნარებთ ორიგენე მწვალებლისა მოძღვრებასა, არცა კერპთმსახურისა პლატონის ელინურსა სჯულისდებასა, არამედ მეთევზურთა და მეპრატაკეთა სჯულისდებასა შეუდგთ და მასვე წმიდისა პავლე ტარსელისა **„სულელმეტყველებასა“ მოვიხსენებთ: „გინათუ ჩუენ, გინა თუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისა, რომელი-იგი გახარე თქუენ, შეჩუენებულ იყავნ! ვითარცა წინაჲსწარ ვთქუ და აწცა ვიტყჳ: უკეთუ ვინმე გახარებდეს თქუენ მისა გარეშე, რაჲ იგი მიიღეთ თქუენ, შეჩუენებულ იყავნ!“** (გალატელთა 1.8)

ვკითხოთ მათ: ვისგან მოეცა ესე წესი ანუ ვისგან ისწავეს, რაჲთამცა არღარა ელხინა ამიერ წარსრულთა სულთა ჯოჯოხეთს შინა წირვითა და ლოცვითა და გლახაკთა მიცემითა? ანუ, რომელი არს სხუაჲ ჯოჯოხეთი, რომელსა შინა შევლენ პაპის მოსავნი და თჳნიერ აქეთგან მოხმარებისა ადრე განწმედილნი გამოვლენ?!

ისმინეთ ამის ცუდმეტყველებისათჳს, თუ რავდენნი მქონან სიტყვისგებანი დასაყოფელად ამაოებისა მზრახველთა პირთა მათთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღმრთოთა წერილთაგან წამებანი: უკეთუ ისმინონ და შეიკდიმონ, კეთილ და ფრიადცა კეთილ, ხოლო უკეთუ არა ისმინონ, არცა გულისსმაყონ, ჩუენ ოდენ განვეკრძალნეთ და ნუ მიუპყრობთ ყურთა ჩუენთა ამაოებისა მზრახველთა მათ.

პირველად ესე ვთქუათ აწ, რომელი მეგულვების თქუმად და მერმე შემდგომითი-შემდგომად სიტყუამან ყოველი დაფარული საძიებელი განაცხადოს.

პუალად ვჰკითხოთ მათ: უკეთუ არა იქმნების ჯოჯოხეთით გამოჴსნა, რომელ თქუჱნ საუკუნოდ ჯოჯოხეთად უჴმობთ, ვითარ გამოიხსნა წმიდამან თეკლა ფალკონილა, ასული იგი ქურივისა მის კერპთმსახურისა, და თჳთ ქალიცა იგი კერპთმსახური, რომელმან შეიწყნარა კეთილად წმინდა თეკლა, რაჟამს-იგი აწამებდეს იკონია ქალაქსა შინა, რამეთუ მას ოდენ ჟამსა აღსრულებულ იყო ქალი იგი კერპთმსახურებასა შინა და ამან ლოცვითა გამოიყვანა ჯოჯოხეთით?

ეგრეთვე წმინდამან მოწამემან გიორგი[მ], მღვდელი იგი კერპთა, ჯოჯოხეთით ლოცვით ვითარ გამოიყვანა?

ეგრეთვე წმინდამან დიდმან მაკარი[მ], ლოცვით ვითარ აღმოიყვანა მღვდელი კერპთა ჯოჯოხეთით და წარმოუდგინა მათ ცოცხალი ჴორცითა, რომელთა არა ჰრწმენა აღდგომა მკუდართა?

მასვე მამასა მაკარის, რაჟამს იგი სული შიშისა ებრძოდა, შევიდა ძუჱლთა მეკერპეთა საფლავთა შინა და სამი წელი დაყო მას შინა. მერმე ოდეს განთავისუფლდა შიშისაგან, ენება რად გამოსლვა, აღდგა ერთი მკუდართა მათგანი, უპყრა სამოსელსა მისსა და არა უტევებდა გამოსლვად და ეტყოდა: ნუ განხვალ წმიდაო მამაო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამეთუ ოდეს შემოხვედ აქა, მიერითგან დიდი ლხინება მოგუტცა ჯოჯოხეთს შინა ლოცვითა შენითა და არა განუტევა იგი ვიდრე ზეგარდამოჲსა ჴმისა მიერ დაიხსნა მკუდარი იგი და მუნვე მიიძინა სადა იგი იყო მდებარე.

ეგრეთვე დიდმან გრიგოლი[მ], პაპამან ჰრომისამან, რომელსა ეწოდა დიოლოღონი, დღესა ერთსა მირაჲვიდოდა გზასა ზედა, მიიწია ადგილსა მას, რომელი შეემზადა უსჯულოსა მეფესა ტრაიანეს განსასუტნებელად მაშვრალთათჳს. განისუენა რაჲ მუნ წმინდამან გრიგოლი და ილოცა ტრაიანესათჳს, დაიხსნა სული მისი ჯოჯოხეთით, რამეთუ იყო იგი კერპთმსახური და მრავალთა ქრისტიანეთა მომწყუედელი.

უკეთუ არა იქმნების ლხინებაჲ და გამოხსნა ჯოჯოხეთით აქეთგან ლოცვითა და მოხმარებით, ვითარ იხსნნეს ესენი ჯოჯოხეთით, ანუ ვინ იყვნეს ამათსა უმძვინვარესსა და უსასტიკესსა სატანჯველსა შინა, რამეთუ ზოგნი ქრისტიანეთა მტანჯველნი მეფენი იყვნეს და ზოგნი მღვდელნი კერპთანი და სხუანი კერპთმსახურნი და ზოგად ყოველნი მეკერპენი და ულმრთონი? უკეთუ ესენი ლოცვითა წმიდანთათა გამოიჴსნნეს, რაჲ დიდ არს ანუ რაჲ საკჳრველ, თუმცა აქეთგან ლოცვითა და მოხმარებითა ქრისტიანეთა სულნი იხსნნეს ჯოჯოხეთით?

და უკეთუ გრქუან, ვითარმედ: ზემოხსენებულნი დიდნი წმიდანი იყვნეს და საკვირველნი, მათგან არარაჲ საკვირველ არსო, ჩუენ მიუგოთ: უკეთუ იგინი დიდნი წმიდანი იყვნეს, არამედ მათ მიერ გამოხსნილნი ჯოჯოხეთით დიდნი ცოდვილნი, უნათლავნი და კერპთმსახურნი იყვნეს. რაჲ დიდ არს ანუ რაჲ საკჳრველ, რათა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცოდვილისა ქრისტიანისათჳს, რომელნი მართლმადიდებლობითა აღესრულნენ მართლმადიდებელმან მღვდელმან შეწიროს მსხუჱრპლი, ანუ თჳსთა მიცვალებულთათჳს ქველისსაქმითა გლახაკთათა და ლოცვითა ევედრნენ ღმერთსა და მრავლითა მით მოწყალებითა მისითა იხსნნეს სულნი მათნი ჯოჯოხეთით, განწესებისაებრ წმიდათა მამათასა?

რამეთუ ძუჱლთაგან არს ესე წესი მოცემულ ეკლესიათა და წმიდათა მოციქულთა მიერ და ღმერთშემოსილთა მამათა ჩვენთაგან, რათა სახსენებელსა ჩუენგან მიცვალებულთასა აღვასრულებდეთ, ვითარცა დასწერენ წმიდანი ღმრთისმეტყველნი: დიდი ბასილი, დიდი ათანასი, წმინდა იოანე ოქროპირი და წმინდა იოანე დამასკელი მიცვალებულთა საკითხავთა შინა, რათა მართლმადიდებლობით მიცვალებულთათვიჳს, ცოდვილნი იყვნენ გინათუ მართალნი, სარწმუნოებით აღასრულებდენ ლოცვასა და ჟამისწირვასა და ძალისაებრ ქუელისსაქმისა და სახიერებითა მრავალმოწყალისა ღმრთისათა იქმნების ლხინებაჲ ცოდვილისა ჯოჯოხეთს შინა და გამოხსნა სატანჯველთაგან.

დაღაცათუ დიდი დიონისე არიოპაგელი იტყჳს, ვითარმედ: უღმრთოთათჳს არა ჯერ-არსო მსხუერპლისა შეწირვა, ესე არათუ ქრისტიანისა ცოდვილისათვის უთქუამს წმინდასა მას, არამედ უნათლავთა და ურწმუნოთათჳს და ჩვენცა ეგრეთვე ვიტყჳთ, ვითარმედ: ულმრთოთა და უნათლავთათვის არა იქმნების მსხუჱრპლისა შეწირვა, არამედ ჩუენ, ქრისტეანისა ნათელღებულისათვის ვიტყჳთ, ვინაჲთგან უძლურებაჲ კაცობრივი ზედა-აც და არავინ არს ბრალთაგან თავისუფალი. მათგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკლებული მათვე ჴორციელთა კაცთა მიერ ჯერ-არს აღვსებად, რათა მლხინებელ ექმნეს უფალი ღმერთი სულთა მათთა.

ხოლო აწ კადნიერ ვიქმნები თქმად: უკეთუ ვინმე იყოს მათ ზე-მოხსენებულთა წმიდათა მსგავსნი და აღიძრნენ ვედრებად მრავალ-მოწყალებისა მიმართ ღმრთისა, უღმრთოთა და უსჯულოთათჳს და ილოცონ მათთვის, აწცა იქმნების ლხინებაჲ და გამოჴსნა მათი ჯოჯოხეთით.

მაშა, ქრისტეანე მართლმადიდებელი რაბამცა ცოდვილი იყოს, თუ ვინმე აღდგეს მისთვის მეხუაიშნედ[42] წირვითა და ქუელის საქმითა, ვითარ არა იქმნეს ლხინებაჲ და გამოჴსნა მათი მიუწდომელითა მოწყალებითა ღმრთისაჲთა?

ხოლო ლათინნი არა ესრეთ იტყჳან, არამედ საუკუნოსა ჯოჯოხეთსა იტყჳან ერთსა, რომელსა შინა შევლენო უნათლავნი, პაპის ურჩნი და ურწმუნონი და ვერა-რომლითა მოხმარებითა, ვერცა წირვითა და ლოცვითა არღარა იქმნების გამოხსნაო. ხოლო ერთსა ჯოჯოხეთსა იტყჳან, ვითარცა პირველვე ვიტყოდი, რომელსა შინა შთავლენ პაპის მოსავნი და ადრე გამოვლენ სრულიად განწმენდილნი და სასუფევლად აღვლენო და ორთავე მიეგების, მართალთა და ცოდვილთა, მისაგებელი მათი პირველ მეორედ მოსლვისა. ამისათჳს უჴმობენ საუკუნოსა ჯოჯოხეთსა.

ხოლო ჩუენ ამის პირისა და მიზეზისათვის ქუემორე ვიტყოდით სხვასა თავსა შინა, რომელსა იგინი აწვე იტყჳიან მისაგებელსა მართალთა და ცოდვილთასა პირველ მეორედ მოსლვისა, და აწ განსაწმედელისა და საუკუნოჲსა ჯოჯოხეთისათჳს ვიტყოდით,

42. *მავედრებელად, მეოხად უფლის წინაშე.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსა იგინი ბოროტად მადიდებლობენ.

ჰოი შვილნო ეკლესიისანო - მართლმადიდებელნო, არა ითქმის, არცა სახელ-იდების პირველ აღსასრულისა და საშინელისა მეორედ მოსლვისა საუკუნო ჯოჯოხეთი, არამედ ოდეს იქმნეს აღდგომა მკუდართა და დაჯდეს მეუფჱ საყდართა ზედა დიდებისათა და განეხუნენ წიგნი გულთანი და განცხადნენ დაფარულნი კაცად კაცადისანი და მაშინ ჰრქუას მეუფემან მარცხენით მდგომარეთა მათ: **„წარვედით ჩემგან, დაწყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათჳს და მსახურთა მისთათვის“** (მათე 25.41), ეგრეთვე მარჯვენით მდგომარეთა ეტყოდის და წარგზავნიდეს სიხარულსა საუკუნოსა. მაშინ ითქმის საუკუნო, რამეთუ ჯერეთ ესე ხმაჲ არა სმენილ არს, თუ: **„წარვედით ჩემგან ცეცხლსა მას საუკუნესა“**, არცა თუ: **„განმეშორენით ჩემგან, არა გიცნი, ვინანი ხართ“**, და სხუანი იგი მისაგებელნი ცოდვილთანი ფერად-ფერადნი, რავდენნი-იგი წერილ არიან წმიდასა შინა სახარებასა და საუკუნოდ სახელიდებიან, დღისა მისთვის და ჟამისა.

ამისათვის არა ითქმის ჯერეთ საუკუნო, ვითარცა ვთქუ, რამეთუ ვიდრე მეორედ მოსლვადმდე მოწყალებისა და ლხინებისა მომლოდნე არიან სულნი ამიერ წარსრულნი, დაღაცათუ იტანჯებიან მწარედ, არამედ მხოლოდ სულნი ოდენ და არა ჴორცნიცა.

ხოლო ოდეს იქმნეს აღდგომა მკუდართა და შეემოსნენ ჴორცნი ესე, რომლითაცა ქმნეს ცოდვა, რამეთუ თჳნიერ ჴორცთასა სულსა ვერარაჲ ძალ-უც; ეგრეთვე ჴორცთა თვინიერ სულისა. მაშინ იქმნების მწარედ და უსასტიკესად დასჯა სულით და ჴორცით

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნოდ, ცეცხლსა მას შინა გეჰენიისასა და სხვათა მათ მწარეთა სატანჯველთა, რავდენ-იგი წერილ არიან საღმრთოთა წერილთა შინა, რამეთუ მუნამდე არა იწოდების საუკუნოდ.

ხოლო თჳნიერ აქეთგან მოხმარებისა, ქველისსაქმისა და წირვისა, სულსა ვერ ჴელ-ეწიფების გამოხსნა სატანჯველთაგან და უკეთუ სიტყჳსაებრ მათისა იქმნების სულისა ლხინებაჲ და გამოხსნა თვინიერ აქეთგან მოხმარებისა, მაშა ეშმაკთაცა იქმნების გამოხსნა წვალებისაებრ ორიგენესა, რამეთუ იგინიცა სულნი არიან და უკეთუ სულნი კაცთანი, რომელნი შეუდგენ ნებასა ჴორცთასა და დაემორჩილნენ ეშმაკთა და თვინიერ აქეთგან მოხმარებისა იხსნენ ჯოჯოხეთით და ეშმაკნი არა იხსნენ?, რამეთუ იგინიცა სულნი არიან, ვითარცა ვთქუ [და] უსამართლო იქმნების. იხილეთ ღმრთისმოყუარენო სადა მიიწევის გმობაჲ ესე. ხოლო ეშმაკნი ამისთჳს არა იხსნებიან, რამეთუ უჴორცო არიან და ერთგზის რაჲ ცოდეს და განდგომილ იქმნნეს, მყის დაისაჯნეს უჴორცოებისათჳს, რამეთუ უძლურებაჲ ჴორცთაჲ არა თავს-ედვა მათ და არცა ვინ აქუს მეხუაიშნედ უძლურთა ჴორცთა მქონებელი, ამისთჳს არცა იხსნებიან სასჯელისაგან.

ხოლო კაცთა ამისთჳს აქუს მრავალთა ცოდვათა მიტევებაჲ ამას სოფელსა სინანულისა მიერ, რამეთუ ჴორციელ არიან და უძლურებაჲ ზედა-აც, და გან-რაჲ ვიდენ რაჲ ჴორცთაგან, ჴორციელნი შემწე - მეხუაიშნენი ჰყვანან და უკეთუ ჴორციელნი შემწენი არა აქუნდენ მარტო სულისა ხსნა არღარა იქმნების, ვითარცა იგი არცაღა ეშმაკთა.

და უკეთუ სულნი კაცთანი, სიტყჳსაებრ მათისა, ჟამ რავდენმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტანჯებიან ცეცხლსა შინა და მერმე განწმედილნი გამოვლენ და შევლენ სიხარულსა შინა, სწორნი ვიდრემე იქმნებიან და ერთ-პატივნი სულნი ცოდვილთა კაცთანი და სულნი დიდთა მათ და სახელოვანთა წმიდათანი, მოციქულთა და წინაწარმეტყველთანი, მოწამეთა და ნეტართა მამათანი და აწინდელთა ცოდვილთა კაცთანი, რამეთუ ცეცხლისაგან განწმედილთა და გამოჭურვებულთა არღარა გამოჰყვების ბიწი რაჲ[მე] ანუთუ მწიკული და ბრძვილი ცოდვისა.

ვითარცა იქმან ხელოვანნი ოქროსა-მქანდაკებელნი, რაჟამს იხილონ ოქრო დაკლებული ბუნებითისა სიკეთისაგან, ბრძმედსა შინა გამოხურვებითა ცეცხლისათა მსგავს-ჰყოფენ და შეასწორებენ ფრიად-რჩეულთა ოქროთა; ეგრეთვე იქმნების, სიტყჳსაებრ მათისა, რამეთუ რაჟამს სულნი ცოდვილთანი წარვიდენ უნანელად და ცეცხლსა შინა იტანჯნენ და გამოიჭურნენ და სწორ იქმნენ წმიდისა ნათლისმცემლისა, უზეშთაესისა მის ნაშობთა შორის დედათასა, და სხვათა მათ დიდთა წმიდანთასა და არღარა იყოს მათ შორის უდარეს-უაღრესობაჲ, რამეთუ რავდენ უმეტესი ხელოვანებაჲ აქუს მოკუდავთა კაცთასა უზეშთაესსა მას არსებათასა ღმერთსა და წამისყოფასა მისსა მორჩილობს ყოველი, ეგოდენ უმოსწრაფეს სცვალებს და შეასწორებს ბოროტთა და კეთილთა და მართალთა და ცრუთა და ვითარ იგინი ოქროჲთა, ეგრეთვე ღმერთი - სულითა, და რაჲ სამართალი ესე ღმრთისა წმიდანთა ზედა და მისთვის დამაშვრალთა; ანუ მოწყალებაჲ უსაზღვრო ცოდვათა ზედა.

არამედ ესე არს სჯული ღმრთისა, რომელსა მე ვიტყვი, არა ხოლო თუ მე, არამედ დიდნი ღმრთისმეტყუელნი, რამეთუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალთა თანამდებობით მიანიჭებს სასყიდელსა შრომისა მათისასა, ხოლო ცოდვილთა სინანულისა მაგიერ მიჰმადლებს მიტევებასა და ამიერ წარსრულთა სულთა აქეთგან მოხმარებითა მიჰმადლებს ლხინებასა, ვითარცა წერილ არს: **„წყალობასა და სამართალსა გაქებდე შენ, უფალო“ (ფსალმუნი 100,1),** და კუალად იტყჳს ვითარმედ: **„წყალობაჲ და მსჯავრი უყუარს უფალსა“ (ფსალმუნი 32,5),** რამეთუ ვითარცა მოწყალებაჲ აქუს მიუწდომელი, ეგრეთვე სამართალი აქუს შეუცვალებელი.

და უკეთუ ესრეთ არა იყოს, ცუდ იქმნების შრომა წმიდათა და ღვაწლნი და ფერად-ფერადნი სატანჯველნი მოწამეთანი და კეთილ იქმნენ გემოთმოყვარენი და მრავალფერნი განსუᲗნებანი ცოდვის მოყვარეთანი, ვინაჲთგან მერმესა მას ცეცხლსა შინა გამოჴურვებითა სწორ იქმნებიან ცოდვილნი და წმიდანნი.

და ვინაჲთგან ცეცხლსა შინა გამოჴურვებითა და გამოდნობითა განიწმიდებიან სულნი, მაშა, არღარავინ დაშთების ცეცხლსა შინა და ნეტარ თუმცა ესე ესრეთ იქმნას, არამედ არა ჯერ არს ამისი რწმუნებაჲ, რათა არა უსამართლობაჲ ითქვას ღმრთისათჳს, რაჲთამცა პაპის მოსავნი გამოვიდნენ განწმედილნი, ხოლო ქრისტეს მოსავნი მუნ შინა დაშთენ შემწვარნი ცეცხლითა. და უკეთუ ცეცხლსა შინა გამოჴურვებულ იქმნების და შესწორებაჲ მართალთა და ცოდვილთა, რაჲსათვის ბრძანებს ღმერთი: **„სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიან?“** (იოანე 14,2), რამეთუ **„სავანე მრავალი“** ესე არს საზომისაებრ მოღვაწეთასა აქეთა ამათ შრომათაებრ, რომელსა იმოქმედებენ კაცნი, რომელნიმე მცირედ და, რომელნიმე დიდად. ეგრეთვე საზომისაებრ განეყოფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუბელნი იგი და კეთილნი საუკუნენი, რომელსამე დიდად, რომელსამე უდარესად.

ხოლო ესე მწვალებელთა ზედა არა იქმნების, თარგმანებისაებრ წმიდისა მაქსიმე აღმსარებლისა და სხვათა მათ ღმრთისმეტყველთასა, არამედ მართლმადიდებელთა მოღვაწეთა ზედა, რამეთუ რომელნი წმიდათა მოციქულთა და შემდგომთა მათთა ღმერთშემოსილთა მამათა და შვიდთა კრებათა მიერ დამტკიცებულსა და განსაზღვრებულსა ანუ შემატებს, გინათუ მოაკლებს არა ექმნების მას სავანესა მიწევნა, არცა სახლსა მას უხილავისა მის მამისასა დამკჯდრებაჲ.

რამეთუ შეკვრისა და განჰვსნისა ველმწიფებაჲ მათ აქუს, რომელნი მოციქულთა და წმიდათა ღმრთისმეტყველთა მამათა მოძღვრებასა არა გარდაჴდებიან სიტყჳსაებრ მოციქულისა: „გინათუ ჩუენ, გინათუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისა, რომელი იგი მიიღედ, შეჩუბნებულ იყავნ“, ხოლო რომელი-იგი მათ შეაჩუბნეს და შეკრეს, ვინ არს, რომელმანცა განჰვსნეს იგი? მაშა, რომელი მათ მიერ დადებულსა სარწმუნოებასა გარდაუქცევს და სხუბრ რასმე მოძღვრის, ვითარ შევლენ იგინი მას სავანესა, რავდენიცა იღვაწონ? არამედ, ვითარცა ვთქუ, მართლმადიდებელნი კეთილისა საქმითა დაიმკვიდრებენ მას სავანესა მართალთასა, ხოლო ცოდვილნი, რომელთა მართალი სარწმუნოებაჲ არა შეეცვალოს, გან-რაჲ-ვიდენ ჴორცთაგან და მივიდნენ სატანჯველთა, აქეთგან მოხმარებითა და კაცთაგან ხუაიშნითა ჰპოვებენ ლხინებასა ცეცხლისაგან და სხვათა მათ მწარეთა სატანჯველთაგან და მრავალმოწყალისა ღმრთისაგან ღირს იქმნებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთავისუფლებასა.

ხოლო უკეთუ გუჱტყოდიან: ეგე ეგრეთ იყოს, სიტყჳსაებრ თქუენისა, აქეთგან წირვითა და მოჴმარებითა იქმნების ლხინებაჲ და თჳნიერ ამისა ვერა-რომლითა სხვითა საქმითა იქმნებისო ლხინებაჲ. მაშა მდიდარნი და მრავლის საჴმარისა მქონებელნი აცხონებენ მათსა მიცვალებულთაო, და გლახაკნი და უპოვარნი დაშთებიან ცეცხლსა შინა, რომელთა არღარა აქუს, რაიმცა მისცეს.

ხოლო ჩუენ ესრეთ მიუგებთ, სიტყვისაებრ ღმრთისა, ვითარმედ: **„კაცთაგან შეუძლებელი ღმრთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს“** (მთ.19.26); არათუ სიმდიდრესა და საფასეთა სიმრავლესა ზედა არს უსაზღვრო მოწყალებაჲ ზეშთასახიერისა ღმრთისა, არამედ სარწმუნოებასა და გულისმოდგინებასა ზედა მორწმუნეთასა იქმნების თვალუხუობათა მისთა მსჯავრი. და განყოფაჲ და მიფენა ღმრთისა აურაცხელთა მოწყალებათა, ვითარცა წერილ არს წმიდასა სახარებასა შინა, რამეთუ მრავალთა მდიდართა მოიღეს შესაწირავი ფასისსაცავსა მას მრავალნი საჴმარნი და შანთნი ოქროჲსა და ვეცხლისა, ხოლო ქურივმან ვინმე გლახაკმან მოიღო ორი მწულილი და შეწირა, რომელ არს მწულილი ვეცხლი, ფულისაგან უმცირესი. მიხედა იესო და თქვა: „ამენ, გეტყჳ თქუენ, ქურივმან ამან გლახაკმან უმეტეს ყოველთასა შესწირა, რამეთუ ამათ ნამეტნავისაგან მათისა შესწირეს, ხოლო ამან ნაკლულევანებისაგან მისისა, რაჲცა აქუნდა, ყოველი საცხოვრებელი თვისი შესწირა“ (მარკოზი 12,42).

ესრეთ იქმნების საზომისაებრ სარწმუნოებისა და გულსმოდგინებისა და არა სიმრავლისა და სიმდიდრისაებრ სახმართასა. ვინ იყოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქურივისა მის უგლახაკესი, რომელსა არარად ეპოებოდა არცათუ დღიური საზრდელი თვინიერ ორისა მის მწულილისა, ვითარცა ბრძანა უფალმან, ვითარმედ ყოველი საცხოვრებელი შეწირა და სხუად არარად დაუტევა თავისა თვისისა თანა, ხოლო მდიდართა ნამეტნავისაგან მათისა შეწირეს და უმრავლესი თავისა თვისისათვის დაუტევეს.

Oხილეთ მოწყალებად ღმრთისა და თვალუხუაობად მსჯავრთა მისთა, თუ ვითარ შეასწორა და უმეტესადცა შეჰრაცხა კნინი იგი და უნდო შესაწირავი მრავალთა მათ და დიდ-დიდთა შესაწირავთა მდიდართასა.

Rამეთუ მდიდართა და პოვნიერთაგან[43] დიდნი შესაწირავნი ჯერ არს შეწირვად ღმრთისა, ხოლო გლახაკთა უპოვართაგან - მცირედნი და კნინნი, ძალისაებრ სარწმუნოებით შეწირულნი, და დიდად შეიწირვიან და უმეტეს მიითუალვის მრავლითა მით წყალობითა და მსჯავრითა მით სიმართლისა ღმრთისათა, ვითარცა-იგი ავაზაკისაცა ერთი იგი მცირე სიტყუად ჯუარსა ზედა შეიწირა უფროს და უმეტეს მრავალთა ბრძენთა და რიტორთა მეტყველებისა, რამეთუ რომელსა აც ერთისა მცირისა სიტყვისა უკნინესი და უუნდოესი? რამეთუ მას ჟამსა სხუად არარად აქუნდა, ვერცა რას შემძლებელ იყო თვინიერ სიტყვისა. მაშინ აღმოთქუა სიტყუად ერთი მცირე სარწმუნოებით და დიდად შეეწირა და პირველ ყოველთასა სამოთხე დაიმკვიდრა და ქანანელისა იგი მცირე სიტყუად მიითუალა და მეზვერისა სულთქმათა და სიმდაბლესა მიხედა და ცოდვათა მიტევებად მიჰმადლა; ეგრეთვე გლახაკნი, რომელთა არარად ეპოებოდის საჴმარი და საფასე და

43 „პოვნიერთაგან“ - ე. ი. „დიდი ქონების მქონეთაგან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიწროებულ იყვნენ სიგლახაკითა და მიმძლავრებულ მოხარკეთა მიერ, რაოდენსაცა შესწირვიდენ სარწმუნოებითა ძალისაებრ გინათუ მსხუჩრპლისა შეწირვითა, გინათუ სანთელ-საკმეველი შეწირონ, ანუ მშიერი განაძღონ, ანუთუ სასუმელი გრილი მიუპყრან მწყურვალეთა და სხჳსაგან კიდე უღონო იყვნენ, დიდად შეიწირავს ღმერთი და მრავლითა კაცთმოყვარებითა თჳსითა მისცემს ლხინებასა მიცვალებულსა მას [მისსა].

და უკეთუ ესრეთ აქეთგან არა იქმნეს შეწევნა და ჴელის აპყრობაჲ, არღარა იქმნების ლხინებაჲ ამიერ წარსრულისა. არცა გამოხსნა ჯოჯოხეთით, არცა მუნით გამოსლვა.

ამის პირისათვის დასწერს წმინდა გრიგოლი პაპა ჰრომისაჲ მისმიერსა თხრობასა შინა, წიგნსა მას, რომელსა „დიალოღო" ეწოდების, რამეთუ მას შინა იპოების ყოველთა დაფარულთა და ძნიად მისაწდომელთა საიდუმლოთა განმარტებაჲ, რომელსა ჰკითხავს პეტრე მთავარდიაკონი, საყვარელი მოწაფე მისი, და იგი განუმარტებს ყოველსავე ზედამიწევნით. მეოთხესა თავსა შინა წერილ არს ესრეთ:

ჰკითხა პეტრე: მეუფეო წმინდაო, მაუწყე ამიერ წარსრულთა სულთა იქმნების პირველ აღსასრულისა ჯოჯოხეთს შინა წარსვლა, ანუ არსა ჯოჯოხეთს შინა სხვა და სხვა რიგი სატანჯველი ანუ დიდთა და მცირედთა ცოდვათა მოქმედნი სწორედ იტანჯებიან ანუთუ ერთსახე არს ცეცხლი იგი გეჰენიისა ანუ მრავალსახე და სხვაჲ და სხვაჲ?

მიუგო წმიდამან გრიგოლი: შვილო პეტრე, ჯოჯოხეთი ქუესკნელთა ქუჩშე ქუეყანისათა არს, ვითარცა უწყი, არამედ არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთსახე არს სატანჯველნი იგი ჯოჯოხეთისანი, არამედ სხუად არს ცეცხლი იგი გეჰენიისა დაუშრეტელი, სხუად ტარტაროზი სიცივისა განუტფობელი, სხუად ბნელი გარესკნელი და სიმყრალე და მატლი დაუძინებელი და საკრველნი განუხსნელნი და ღრჭენა კბილთა დაუსრულებელი, ვითარცა მოგვითხრობენ საღმრთონი წერილნი. ესე ყოველნი ცოდვილთათვის არს განმზადებული, ხოლო ცეცხლი იგი გეჰენიისა ერთი არს, რომელსა შინა შეითხევიან ცოდვილნი რომელთა არა შეენანოს, არამედ საზომისაებრ ცოდვათასა კაცად-კაცადი მიიღებს სასჯელსა. დიდად მცოდველნი დიდად იტანჯებიან და მცირეთა ცოდვათა მოქმედნი უსუბუქესადო, ვითარცა იქმნების ხილულსა ამას შინა სოფელსა, ოდეს შემოჰხდეს სენი რადმე სასიკუდინე; არა ყოველთა სწორედ შეეხების სენი იგი, არამედ რომელთამე მსწრაფლ მოაკვდინებს, რომელთამე უგვიანესად და სხუათა უსუბუქესად და სხუათა მცირედ და უადვილესად; ერთი და იგივე სენი ზოგად ყოველთა ბუნებასა კაცთასა ამასვე აერსა შორის და ამავე ერთსა სოფელსა შინა. ეგრეთვე იქმნების მასვე და ერთსა ჯოჯოხეთს შინა ზოგად ყოველთა კაცთათჳს, რამეთუ საზომისაებრ ცოდვათასა მიიღებენ სატანჯველსა მას ჯოჯოხეთისასა.

Oხილეთ, მორწმუნენო, უკეთუმცა იყო სადმე სხუად რადმე ჯოჯოხეთი, რომელსა იგინი „განსაწმედელად“ უხმობენ. რადსათვის არა თქუა წმინდამან გრიგოლი და არა აუწყა პეტრეს, საყვარელსა თჳსსა, და უკეთუმცა ყოფილიყო, რადსათვის დაჰფარვიდა და არა გამოაცხადებდა, და უკეთუ არა არს განსაწმენდელი და ჭეშმარიტად არცა არს და არცა სადა წერილ არს და არცა ვის წმიდათაგანსა უთქვამს, რადსათვის მოიგონეს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარ იტყვიან ესეოდენთა ამაოებისა სიტყუათა? იგი სანატრელი გრიგოლი პაპაცა იყო ჰრომისა და ცხადად სული წმიდაჲ ზრახვიდა პირით მისით, რამეთუ მრავალგზის იხილიან სული წმიდა სახედ ტრედისა სპეტაკისა პირსა მისსა ზედა მფრინველი, რაჟამს სწერნ იგი წიგნთა საღმრთოთა, და ვინათგან მან სანატრელმან ვერ გულისსმა-ყო და ვერცა აღწერა, და აწინდელნი პაპები და კარდინალები, რომელნი ჰგმობენ სულსა წმიდასა, ურცხვინოდ იტყვიან და ჰჴსნიან ყოველსა წესსა და საზღუარსა მამათასა. იგი სანატრელი გრიგოლი ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა, ვითარცა ცხოვრებასა მისსა წერილ არს, არარასა სჭამდა თჳნიერ დამბლისა ოსპნისა და ოდესმე მცირედი პური იხმიის. ხოლო ესენი ბუნებითსა საჭმელსა არა კმა-იყოფენ, არამედ მრავალსა არაწმიდასა და დაყენებულსა ჭამადსა იხმევენ და იგინი ზრახვენ წმიდათა მოციქულთა და ჭეშმარიტთა მოძღვართაგან: ჩუენ უმჯობესად გულისხმავჰყოფთო და ეკლესიასა შინა მარადის უახლესსა და უახლესსა სჯულსა და წესსა შემოიღებენ და სხუასა და სხუასა სარწმუნოებასა გარდასცვლიან.

მრავალგზის საჴმარ არს მათთვის სიტყუაჲ იგი მოციქულისა: „გინათუ ჩუენ, გინათუ ზეცით ანგელოზი გახარებდეს თქუენ გარეშე მისა, რომელი-იგი გახარე თქუენ, შეჩუენებულ იყავნ, ვითარცა წინასწარ ვთქუ და აწცა კუალად ვიტყვი: უკეთუ ვინმე გახარებდეს თქუენ მისა გარეშე, რომელი-იგი მიიღეთ, შეჩუენებულ იყავნ“ (გალატელთა 1.8).

აწ შეჩუენებაჲ ესე და წყევა, რომელი აღმოთქუჳს წმიდათა მოციქულთა, არათუ მათ ზედა არს, რომელნი არა გარდაჴდებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათსა განწესებულსა საზღვარსა, არამედ მათ ზედა აღესრულების, რომელნი ანუ შემატებს ანუ მოაკლებს, ანუ დაჰვსნის ანუ სხვებრ რასმე გარდაუქცევს, სიტყვისაებრ საუფლოჲსა: **„რომელმან დაჰვსნეს ერთი მცირეთა ამათ მცნებათაგანი და ასწაოს ესრეთ კაცთა“** და შემდგომი (მათე 5,19). ისმინეთ პავლე მოციქულისა, რომელსა მიუწერს ჰრომაელთა და ეტყვის: **„გლოცავ თქუენ, ძმანო, ეკრძალებოდეთ მათგან, რომელნი-იგი წვალებასა და საცთურსა იქმან გარეშე მის მოძღურებისა, რომელი თქუენ გისწავიეს, და განეშორენით მათგან, რამეთუ ეგევითარნი იგი უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა არა ჰმონებენ, არამედ თჳსსა მუცელსა და ტკბილადმეტყველებითა მით და კურთხევითა აცდუნნიან გულნი უმანკოთანი“** (რომაელთა 16,17). იხილეთ ძმანო ცხადი წინასწარმეტყველებაჲ და მოსწავებაჲ წმიდისა მოციქულისა პავლესი, რასა მიუწერს თჳთ ჰრომსა და მას შინა დამკვიდრებულთა, თუ ვითარ სულითა წმიდითა ხედვიდა ადრევე წვალებასა მათსა და აკრძალებდა ყოველთა, რათა არავინ ერჩდეს წვალებასა და საცდურსა მათსა, არამედ მოძღვრებასა მას მოციქულთასა შეუდგენ, რამეთუ იგინი არიან და არა სხუაჲ ვინმე, რამეთუ სახელდებით მათ მისწერს და არა სხვათა ვიეთმე, არამედ ჰრომაელთა, რომელნი ტკბილადმეტყველებითა და მუცლისა-მონებითა და გემოვნებითა აცდუნებენ გულსა უმანკოთა და წრფელთასა, და ასწავებენ გარეშე მის მოძღვრებისა, რომელი ანუ პავლესაგან მიიღეს გინა პეტრესაგან გინა სხვათა მათ მოციქულთაგან. ვჰკითხოთ უკუმ მათ ვისთვის იტყჳს მოციქული ამას: არა სახელდებით თქუენთვის ჴმობსა? ჰრომნი არა თქუენ ხართა? ტკბილადმეტყველებითა არა თქუმნ აცთუნებთა ყოველთა? რამეთუ არარასა საჭიროსა, არცა იწროსა გზისასა უმოძღვრით

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცთა, რომელი ქრისტემან ბრძანა: **„იწრო არს და საჭირველ გზა იგი, რომელი მიიყვანებს ცხოვრებასა. ვითარ იგი ვრცელ არს და ფართო, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად“** (მათე 7.13). არცა მოციქულისა სიტყვითა ასწავებთ კაცთა, რომელი ვმობს ვითარმედ: **„ჭირითა გვიღირს შესლვად სასუფეველსა ცათასა“** (საქმე 14,22), არამედ ყოველსავე ვორცთა საშუბელსა და მუცლისა გემოვნებათა ასწავებთა ყოველთა კაცთა, რათა ძილითა და მრავალმჭამელობითა აჰვლონ ვრცელი იგი და ფართო გზა მიმყვანებელი ჯოჯოხეთად.

პუალად ესეცა ვჰკითხოთ: ესევითარნი მწვალებელნი, რომელნი საცდურს იქმენ და ტკბილადმეტყველებითა და მუცლისა მონებითა აცდუნებენ მრავალთა, ვინაჲთგან მოციქული ჰრომაელთა მისწერს: ვინ არიან იგინი, პირველად იყვნენ, თუ აწ არიან, ანუთუ ამისა შემდგომად გამოჩინებად არიან იგი მწვალებელნი, რომელნი ჰრომს შინა გამოჩინებად მოასწავა მოციქულმან, ტკბილადმეტყველნი და მუცლისა მონანი და არა ქრისტეს-მონანი.

უკეთუ გრქუან, ვითარმედ: ჰრომს შინა წვალებაჲ არა შესრულ არსო, არცაღა შევალსო, მაშა მოციქული ვის ეტყვის ამას, არა ჰრომაელთა მისწერსა ამას და მათ ეტყჳს? ვითარმედ იგინი არიან ტკბილად მეტყველნი და მუცელღმერთნი, რომელთა ბუნებითი ჭამადი, ღმრთისა მიერ მოცემული მადლობით მისაღებელად, არა კმა-ეყოფის, არამედ ყოველთავე არაწმიდათა ქუჱწარმავალსა, სისხლსა და დამშთვარსა ურიდად ჭამენ და არა ეკრძალებიან? ხოლო ჩუენცა ეგრეთ ვიტყჳთ, ვითარმედ გარეთით სხუაჲ არავინ შესრულ არს, არამედ მუნით აღმოეცენნეს და მათგან გამოვიდეს და განეფინნეს ყოველსა ქუეყანასა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვითარცა იგივე მოციქული აუწყებს, რაჟამს მიიწია მელიტონს, რომელ არს მალთა. მოუწოდა ხუცესთა და ეტყოდა: **„აჰა მე უწყი ესე, რამეთუ შემოვიდენ თქუენდა შემდგომად განსლვისა ჩემისა მგელნი მძიმენი, რომელნი არა ერიდებოდიან სამწყსოსა, და თჳთ თქუენგანნი აღდგენ კაცნი, რომელნი იტყოდიან გულარძნილსა, რაჲთა განადგინნენ მოწაფენი შემდგომად მათდა“** (საქმე 20,29), და რამეთუ მოციქულიცა ეგრეთვე ჴმობს: **„თჳთ თქუენგანნი კაცნი აღდგენ, რომელნი არა ერიდებოდიან სამწყსოსა ქრისტესაო“. „თჳთ თქუენგანნი“** თქუა და არა გარეთ შემოსრულნი, რამეთუ მათგან და მათ მიერ და მათ შორის აღმოეცენა ესე საცთური და წვალებაჲ და არა სხუათა მიერ ისწავეს, რომელნი ტკბილადმეტყველებითა და კურთხევითა აცთუნებენ მრავალთა და მუცლისა-მონებითა და ყოვლითა გემოვნებითა ჰმოძღურიან ყოველთა და დაუტევებიესთ იწროჲსა მის გზისა სტადიონი, რომელსა შინა ვიდოდეს ყოველნი ღირსნი და მართალნი, და ვლენან იგინი ვრცელსა მას გზასა ცეცხლად მიმყვანებელსა, და ვერღარა ძალუც შრომითა და ჭირითა მღუძარებითა და მარხვითა და სხჳთა მოღვაწებითა ამასვე სოფელსა განწმედა თავთა თჳსთა და მოელიან ცეცხლსა მას შინა გეჰენიისასა განწმედასა და ესრეთ აცდუნებენ თავთა თჳსთა და მორჩილთაცა თჳსთა.

ხოლო ჩუენ, ძმანო, არა მოგვიღიეს და არცა გჳსწავიეს ესე წესი მოციქულთაგან, არცა ნეტართა მამათაგან, რაჲთამცა აქა მივცენით თავნი ჩუენნი შუჱბასა და განცხრომასა და ვნებათა და გემოვნებათა, და მუნ ცეცხლსა შინა ველოდეთ განწმედასა, რამეთუ ამიერ წარსრულნი სულნი ვერღარას შემძლებელ არს, ვერცა თავით თჳსით სინანულსა, ვერცა ცეცხლისა მიერ განწმედასა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამეთუ თქმულ არს: **„ვინ სიკუდილსა შინა მოგიხსენოს, ანუ ჯოჯოხეთს შინა ვინ აღგიაროს შენ“** (ფსალმუნი 6,6). თვინიერ აქეთგან მოხმარებისა და ჴორციელთა კაცთა მიერ შეწევნისა, რათა ღმრთის აურაცხელითა მოწყალებითა იქმნეს ლხინებაჲ და მიტევებაჲ სულთათჳს ამიერ წარსრულთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XV თავი

სიტყუსა მისთჳს ესაია წინასწარმეტყველისა, რომელსა ლათინნი განსაწმედელსა ზედა იმოწმებენ, ვითარმედ: „სისხლი იჱრუსალიმისა განწმიდოს შორის მისა სულითა სასჯელისათა და სულითა შემწველითა“ (ესაია 4,4)

ᲐᲣᲐᲚᲐᲓ სიტყუასა მას ესაია წინაწარმეტყველისასა წინაგჳყოფენ და საცთურისა თჳსისა მოწამედ მოიღებენ, რომელსა იტყჳს: „და იყოს ნეშტი იგი ისრაჱლისა სიონს შინა და ნეშტი იჱრუსალიმსა შინა და ეწოდოს წმინდა, რომელნი დაწერილ არიან ცხოვრებად იჱრუსალიმს შინა, რამეთუ გამორცხას უფალმან მწიკული იგი ძეთა და ასულთა სიონისათა და სისხლი იჱრუსალემისა განწმინდოს შორის მისა სულითა სასჯელისათა და სულითა შემწველითა“. (ესაია 4.3)

ᲐᲛᲐᲡ ყოველსა განსაწმედელსა ზედა იმოწმებენ, ვითარმცა წინაწარმეტყველსა სიტყუანი ესე ჯოჯოხეთისა ცეცხლსა შინა განწმენდისათჳს ეთქჳნეს სულთა მუნ შთასრულთათჳს. ხოლო ჩუენ განმარტებაჲ ამის სიტყჳსა ვთქუათ მადლითა ღმრთისაჲთა, ვითარცა მოგუცეს ჩუენ უფალმან სიტყუაჲ, ვითარცა იტყჳს წინაწარმეტყველი: **„და იყოს ნეშტი იგი ისრაჱლისა სიონს შინა და ნეშტი იჱრუსალიმს შინა და ეწოდოს წმიდა, რომელნი დაწერილ არიან ცხოვრებად იჱრუსალიმს“.**

თარგმანი: - ᲐᲛᲐᲡ მათთჳს იტყჳს, რომელნი ჰურიათაგან მოიქცეს და იქმნნეს მორწმუნე. იგინი არიან ნეშტნი ისრაჱლისანი და ნეშტნი იჱრუსალიმისანი. მათ ეწოდების ნეშტი, რამეთუ ჰურიანი ეკუჱთნეს რაჲ კლდესა ცხოვრებისასა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიმუსრნეს და განიბნინეს, ხოლო მათგან მოქცეულნი და მორწმუნექმნილნი და მათგან დაშთომილნი იჩრუსალემს, იგინი არიან ნეშტნი, რომელნი დაწერილ არიან ცხოვრებად. რომელი იგი ღმრთისმეტყველმანცა იხილა გამოცხადებასა შინა: **„ესმა რიცხჳ დაბეჭდულთაჲ მათ: ას ორმეოც და ოთხი ათასი ათორმეტთა ტომთაგან ძეთა ისრაჱლისათა, თესლისაგან იუდაჲსა ათორმეტი ათასი, თესლისაგან რუბენისა ათორმეტი ათასი დაბეჭდულთაჲ“** (გამოცხადება 7,4), ეგრეთვე შემდგომითი შემდგომად ყოველთა მათგან ტომთა ათორმეტი ათასი დაბეჭდულთაჲ, რომელნი დაწერილ არიან წიგნსა მას ცხოვრებისასა და წინაშე საყდრისა ღმრთისა და კრავისა იხარებენ ზეცისა იჩრუსალიმსა. ესე არს ნეშტი ისრაჱლისა სიონს შინა და ნეშტი იჩრუსალემს შინა და ეწოდოს წმიდაჲ, რომელნი დაწერილ არიან ცხოვრებად იჩრუსალემს. და ასევე წინაწარმეტყველი ესაია ღაღადებს იჩრუსალემისათჳს: დაღაცათუ იყოს რიცხჳ იგი ძეთა ისრაჱლისათა ვითარცა ქჳშა ზღჳსა, ნეშტი ოდენ ცხონდეს.

წინაწარმერყველისა: - **„რამეთუ გამორცხას უფალმან მწიკული იგი ძეთა და ასულთა სიონისათა“** (ესაია 4,4).

თარგმანი: - ხ ოლო რომელნიცა მოიქცეს ჰურიათაგან, ვითარცა ვთქუ ნათლისღებითა და სისხლითა, გამორცხა უფალმან მწიკული მათი, რამეთუ წყალი იგი ნათლისღებისა არს განმრცხელ და წარმღუნელ მწიკულთა მათ სულისათა სიტყჳსაებრ ფსალმუნისა: „უფალმან წყლით-რღუნაჲ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაამკჳდრნის"(ფსალმუნი 28,10); ხოლო სისხლი იგი ცჴოველსმყოფელი არს მომტევებელი ბრალთა და უსჯულოებათა.

წინაწარმერყველისა: - „და სისხლი იერუსალიმისა განწმიდოს შორის მისსა სულითა სასჯელისათა და სულითა შემწველითა" **(ესაია 4,4).**

თარგმანი: - მეუფჱ ქრისტე ბრძანებს: **„სჯად სოფელსა ამას მოსრულ ვარ, რაჲთა, რომელნი არა ხედვიდეს, ხედვიდენ, და რომელნი ხედვიდეს, დაბრმენ"** (იოანე 9,39), რამეთუ სჯად სოფლისა ამის მოვიდა და რომელნი მოსეს სჯულითა იქადოდეს და იტყოდეს ვითარმედ ვხედავთო, მათ ზედა საბურველი იგი ძუჱლისა სჯულისა აღუძარცველად მდებარე იყო. იგინი უმეტესად დაბრმეს და ვერ იცნეს ნათელი იგი სოფლად მოსრული და შეიყვარეს ბნელი უფროჲს, ვიდრეღა რა ნათელი, ხოლო რომელნი იგი მარტივნი იყვნეს და წრფელნი და სულელად საგონებელნი მათ იცნეს ნათელი იგი სოფლად მოსრული. მიხედეს და განათლდეს ნათლისა მისგან დაუსაბამოჲსა და იქმნეს კეთილად მხედველ, რამეთუ სჯიმონ მოხუცებულმან მიიქუა რაჲ ღმერთი განჴორციელებული, ამასვე მოასწავებდა და ეტყოდა ღმრთისმშობელსა ვითარმედ: **„ყრმაჲ ესე დგას დაცემად და აღდგინებად მრავალთა ისრაჱლსა შორის და სასწაულად სიტყჳსაგებელად"** (ლუკა 2,34). და თავადიცა ღმერთი ბრძანებს ვითარმედ: **„მამა არავის სჯის, არამედ ყოველი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასჯელი მოსცა ძესა“ (იოანე 5,22). ესე არს სიტყუაჲ იგი წინაწარმეტყველისა: „ვითარმედ სისხლი იჳრუსალემისა განწმინდოს სულითა სასჯელისათა“ (ესაია 4,4).

წინაწარმერყველისა: - „**ᲓᲐ სულითა შემწველითა**“ (ესაია 4,4).

თარგმანი: - Ესე არს **„სულითა შემწველითა“,** რაჟამს ქორსა მას ზედა სიონისასა, რომელ არს სახლი შორის იჳრუსალიმისა, რომელსა შინა მოჰფინა ქრისტემან სული წმიდაჲ სახედ ცეცხლისა და განუყვნა თითუჳეულსა ცეცხლისა ენანი და მით განწმიდნა და დაწუვნა ყოველნი ვნებანი კაცთანი „სულითა სასჯელისათა და სულითა შემწველითა“, რამეთუ იგი სული წმიდაჲ არს შემწუჳლ ყოველთა მწიკულთა და ბილწებათა კაცთასა. და მერმე მოციქულნი რაჲ განიბნინეს პირსა ზედა ყოვლისა სოფლისასა: და რომელთაცა ნათელსცემდეს და ჴელთა დასხმიდენ ცხადად მიაქუნდა სულიწმიდაჲ მსგავსად ცეცხლისა ენათა. ვითარცა მათ ხილულად მოიღეს, ეგრეთვე სხუათა მიანიჭებდეს: ჰურიათა და წარმართთა მორწმუნე ქმნილთა. ვითარცა საქმესა მოციქულთასა წერილ არს.

Ამისთჳს ეტყოდა ღმერთი წინასწარ მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: **„ცეცხლისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა, არამედ რაჲ მნებავს, რაჲთა აწვე აღეგზნეს“** (ლუკა 12,49)! ესე ცეცხლი იყო რომელი აღეგზნა ქუეყანასა ზედა, რომლისა მოფენად მოვიდა ქრისტე. ამას მოასწავებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესაია და იტყოდა: **„განწმიდოს სისხლი იერუსალიმისა სულითა სასჯელისაჲთა და სულითა შემწუელითა“.** ესე ცეცხლი მოჰფინა ქრისტემან გულთა შინა მორწმუნეთასა და აღაგზნა სიყვარული ღმრთისა გულთა შინა ჩუენთა, ვითარცა მოციქული იტყჳს ვითარმედ: **„სიყუარული ღმრთისაჲ განფენილ არს გულთა შინა ჩუენთა სულითა წმიდითა“** (რომაელთა 5,5), რამეთუ ცეცხლისა მისთჳს საღმრთოჲსა იტყჳს და არა არს მათისაებრ სიცბილისა, რომელსაცა იგინი ცეცხლისათჳს გეჰენიისა იმოწმებენ; რამეთუ უპირულ არს სიტყუაჲ მათი და უმსგავსო. არცა ძალ უც ცეცხლსა მას გეჰენიისასა განწმედა, არცა მიტევებაჲ ცოდვათა, არამედ სულსა წმიდასა, რომელი აღეგზნა ჩუენ შორის ქრისტეს მიერ სახედ ცეცხლისა მოფენითა ჩუენ მორწმუნეთა შორის. იგი არს განმწმედელი და მომტევებელი ცოდვათა; პირველად ემბაზსა ზედა, რაჟამს ნათელს ვიღებდეთ. მოსლვითა სულისა წმიდისაჲთა დაიწვიან ყოველნი ცოდუანი ჩუენნი, და მერმე თუ რაჲმე ბიწი შეხუდეს, ვითარცა კაცთა ჴორციელითა მჴურვალებითა [ძალითა] სინანულისაჲთა და სიყუარულითა ღმრთისაჲთა, რომელი განფენილ არს გულთა შინა ჩუენთა სულითა წმიდითა, მით განქარდებიან ცოდუანი ჩუენნი და უკეთუ ვინმე აქა არა ინებოს განწმედა თავთა თჳსთა კეთილთა საქმეთა მიერ და შეწყნარებად სულისა წმიდისა, მუნ ცეცხლსა შინა ნურღარასა ლხინებასა ელიან თჳნიერ აქეთგან მოჴმარებისა და შეწევნისა; რომლისათჳსცა უფალმან მართლმორწმუნენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისნი მიხსნნეს ცეცხლისაგან გეჰენიისა და სხუათა მათ მწარეთა სატანჯუელთაგან და დაუსჯელად ღირსმყვნეს წარდგომად წინაშე საყდარსა მისსა საშინელსა და მიმთხუჩვად კეთილთა მათ საუკუნეთა ქრისტე იესოს მიერ ღმრთისა ჩუენისა, რომელსა შუჩნის დიდებაჲ და პატივი მამისა თანა დაუსაბამოჲსა სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XVI თავი

სიტყუსა მისთუს, რომელსა იტყუს მოციქული ვითარმედ: „ცეცხლითა გამოიცდების კაცად-კაცადისა იგი საქმე“ რომელსა იგინი განსაწმედელისათვის იტყؤან (I კორინთელთა 3,13)

კუალად სიტყؤასა მასცა პავლესა სხؤად სახედ გარდააქცევენ და ამასცა განსაწმედელსა ზედა მოწამედ მოიღებენ, რომელსა მიؤწერს კორინთელთა და იტყؤს ვითარმედ: **„საფؤძველი სხؤად ვერვის ძალؤც დადებად გარეშე მისსა, რომელი-იგი დადებؤლ არს, რომელ არს იესო ქრისტე“** (I კორინთელთა 3,11). უკؤეთؤ ვინმე აშენებდეს საფؤძველსა ამას: ზედა ოქროსა, ვეცხლსა, ანთრაკთა პატიოსანთა, ძელსა, თივასა, ლერწამსა, კაცად-კაცადისა იგი საქმე გამოცხადნეს, რამეთؤ დღემან მან გამოაცხადოს. რამეთؤ ცეცხლი გამოჩინებად არს და კაცად-კაცადისა იგი საქმე, ვითარ რაჲ იყოს, ცეცხლმან გამოაცხადოს; რომლისა იგი საქმე ეგოს, რომელ აღაშენა — სასყიდელი მიიღოს, რომლისა იგი საქმე დაიწؤას — იზღؤოს; ؤოლო იგი განერეს, და ესრეთ განერეს ვითარცა ცეცხლისაგან.

თარგმანი: - უკؤთؤ ვინმე გულისؤმისყოფით ისმენდეს სიტყؤასა ამას მოციქულისასა არა ძნელ არს ძალი ამის სიტყؤსა, არამედ ადვილ არს მადლითა სؤლისა წმიდისაჲთა, რამეთؤ ამასა ყوველსა, მერმისა მის ცეცხლისათؤს იტყؤს, რომელი გამოჩინებად არს წინაშე საშინელსა საყდარსა ქრისტؤსა, დღესა მას მეორედ მოსვლისასა, რომელი იგი გამომცდელი არს კაცად-კაცადისა საქმეთა და არა მათთაებრ ზრახვისა, რომელსა აწؤე განსაწმედელსა ზედა მოიღებენ იგინი; არამედ ესე, იგი ცეცხლი არს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელი იხილა წინაწარმეტყველმან დანიელ, ვითარცა იტყჳს ვითარმედ: **„საყდარნი დაიდგნეს და ძველი დღეთა დაჯდა მას ზედა: ათასნი ათასნი დგენ წინაშე მისა და ბევრნი ბევრთანი მსახურებდენ მას და მდინარე ცეცხლისა დიოდა წინაშე მისსა“** (დანიელი 7,9); ვითარცა დავითიცა წინაწარმეტყუველი იტყჳს: **„ღმერთი ცხადად მოვიდეს, ღმერთი ჩუენი და არა დადუმნეს; ცეცხლი მის წინაშე აღატყდეს და გარემოიგის მისსა ნიავქარი ფრიად“** და შემდგომი (ფსალმუნი 49,3). კუალად სხუასა ფსალმუნსა შინა იტყჳს: **„სიმართლე და განკითხვაი - წარმართებაი საყდრისა მისისაი, ცეცხლი მის წინაშე ვიდოდის და შეწუნეს გარემოიგის მტერნი მისნი“** (ფსალმუნი 96,2).

ესე ყოველი ცეცხლისა მისთჳს მეორედ მოსლვისა თქმულ არს და მოციქულიცა ამის ცეცხლისათჳს იტყჳს, ვითარმედ: ცეცხლი გამოჩინებად არს წინაშე საყდარსა ქრისტეჲსა, რომელმან გამოცადოს კაცად-კაცადისა საქმე, რამეთუ დღემან მან გამოაცხადოსო. რამეთუ, რომელი აშენებდეს საფუძველსა მას ზედა, რომელ არს იესო ქრისტე, ოქროსა, ვეცხლსა, ანთრაკსა პატიოსანსა, ესე მართლმადიდებლობაი არს და კეთილისა საქმენი, რაოდენნიცა მცნებანი არიან ქრისტესნი, რომელსა იმოქმედებენ სოფელსა ამას შინა მოძღვრებისაებრ წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასა. იგინი გამოიცადნენ რაი ცეცხლისა მისგან, რომელი დიოდეს წინაშე საყდრისა მის ქრისტესა, არა დაიწუვნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამედ ეგნენ შეუწველად და უბრწყინვალეს იქმნენ ვითარცა ნივთნი ესე პატიოსანნი. უბრწყინვალეს იქმნებიან ცეცხლსა შინა და ესმას რაჲ მეუფისაგან ჴმაჲ იგი კურთხევისა, რომელსა მაშინ უჴმობს მართალთა: **„მოდით კურთხეულნო მამისა ჩემისანო“**, განვლონ ცეცხლი იგი და გამოვიდენ განბრწყინვებულნი და ელვარექმნილნი, სიტყჳსაებრ ფსალმუნისა, რომელსა იტყჳს: **„ჴმამან უფლისამან განკუეთის ალი ცეცხლისაჲ“** (ფსალმუნი 28,7) და ესრეთ გამოვიდნენ და დადგენ მარჯუენით მეუფისა.

მოციქულისა: - ᲙᲝᲚᲝ რომელი აშენებდეს: ძელსა, თივასა, ლერწამსა; ესენი მწვალებელნი არიან და ყოველნი მოქმედნი ბოროტისანი, რომელთა უქმად გარდაიჴადეს ცხოვრებაჲ ესე საწუთოსა, რომელი მოგუცა უფალმან სათნოებისა სამუშაკოდ, რათა კაცად კაცადმან შეუკრიბოს თავსა თჳსსა კეთილნი საქმენი და დაიუნჯოს მის დღისათჳს, რომელსა შინა განბრწყინდნენ ვითარცა ოქრო რჩეულნი და ვითარცა ანთრაკნი პატიოსანნი; არამედ, რომელთა კეთილთა საქმეთა წილ [მო]იმუშაკეს დასაწუველნი გეჰენიისანი ჴორციელნი და წარმავალნი და ყოვლითურთ შეექცინენ მსოფლიოთა ზრუნვათა, ჭეშმარიტად და უცილობელად ამათი საქმე დაიწუას და განქარდეს ვითარცა შეშა და უფროჲსად ვითარცა თივა და ლერწამი და იგი განერეს და ესრეთ განერეს ვითარცა ცეცხლისაგან. ესე იგი არს ვითარმედ: სული არა განილევის, არცა განქარდების ცეცხლსა მას შინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჟამს ჴორცნიცა უკუდავნი და უხრწნელნი შეემოსნენ და ეგოს ცეცხლსა მას შინა უკუდავად და დაუსრულებელად. ესე არს სიტყჳსა მის ძალი, ვითარცა წმინდა იოანე ოქროპირიცა ესრეთვე სთარგმნის სიტყუასა ამას და არ არს მათისაებრ სიცბილისა, რომელსა მოიღებენ აწვე, განსაწმედელად ცოდვათა, ცეცხლსა მას შინა გეჰცნიისასა, რამეთუ ცეცხლსა შინა განწმედა არა იქმნების.

რამეთუ ცეცხლსა მას მეორედ მოსლვისათჳს იტყჳს, რომელი გამოჩინრბად არს დღესა მას განკითხვისასა წინაშე საყდარსა ქრისტეჲსასა და არა თუ აწინდელისა ცეცხლისათჳს, რომელსა იგინი აწვე განსაწმედელად სულთა აღიარებენ, რამეთუ მოციქული ესრეთ იტყჳს, ვითარმედ: **„ღღემან მან გამოაცხადოსო“**, რამეთუ: **„ცეცხლითა გამოჩინებად არსო“** და არა განსაწმედელისა-თჳს, ვითარცა ჰგონებენ მოსავნი პაპისანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XVII თავი

სიტყვსა მისთჳს, რომელი წერილ არს წმიდასა სახარებასა შინა ვითარმედ: „ვერ გამოხუდე მიერ, ვიდრე არა გარდაიჴადო ყოველი იგი“ და კუალად ვითარმედ: „ვერ გამოხვიდე ვიდრე არა მისცე უკანაკსკნელი მწულილი“ (ლუკა 12,59)

კუალად ბრძანებასა მას ღმრთისა, რომელსა იტყჳს სახარებისა იგავისა მიერ, ლათინნი ამასცა განსაწმედელსა ზედა მოიღებენ და ესრეთ ყოველსა საღმრთოსა წერილსა გარდააქცევენ და კუალად სხუად სახედ სთარგმნიან და წინააღუდგებიან ყოველსა მართლგა-მომეტყუელთა წმიდათა მთარგმანებელთა.

ხოლო ვისმინოთ იგავი იგი სამეუფო, რომელსა ბრძანებს: **„ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ კაცსა მეუფესა, რომელმან ინება სიტყჳსა განგებაჲ მონათა თჳსთა და ვითარცა იწყო განგებად, წარმოუდგინეს ერთი თანამდები ბევრისა ტალანტისა და ვითარცა არარაჲ აქუნდა მას, რაჲმცა მისცა, უბრძანა უფალმან მისმან განსყიდვა ცოლისა მისისა და შვილთა მისთა და რაჲცა აქუნდა მას და გარდაჴდად იგი“** (მათე 18,23).

თარგმანი: - ვინ არს მეუფჱ იგი. არამედ მეუფჱ მეუფეთა და ღმერთი ღმერთთა, რომელსა ეგულების განცჳჯა ყოველთა კაცთა და გამოძიებაჲ საქმეთა კაცად-კაცადისათა და მიგებაჲ თითუჱულისა საქმეთა მათთაებრ, რომელთაცა არწმუნა სავაჭრო იგი ამას სოფელსა: კაცად კაცადსა ძალისაებრ, რომელ არს ღმრთისა მიერ მოცემული ნიჭნი: რომელთამე სიტყუაჲ სიბრძნისა, რომელთამე განკითხვა სულთა, რომელთამე შეძლებაჲ საქმეთა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუამისა სიმტკიცე და ჴელთა და ფერჴთა სიმარჯუჱ და რომელთამე სიმდიდრე და საფასენი, რათა კაცად-კაცადი შეეწეოდის მოყვასსა თჳსსა სულიერად გინა თუ ჴორციელად და ნაკლულევანებასა მას მოყვასისასა აღავსებდინ. მეცნიერი — უსწავლელსა ასწავებდენ, ძლიერი — უძლურთა შეეწეოდინ და მდიდარნი და ქონიერნი — გლახაკთა და ნაკლულევანთა მისცემდინ სიტყჳსაებრ მოციქულისა: **„ძმანო თანა - გუაც ჩუენ ძლიერთა უძლურებათა მათ უსუსურთასა ტჳრთვად და არა თავთა თჳსთა სათნოყოფად, რათა კაცად-კაცადი მოყუასსა სათნო-ეყოფოდენ კეთილისათჳს აღსაშენებელად“** (რომაელთა 15,1).

ხოლო ოდეს იქმნეს გამოძიებაჲ საქმეთა და რომელთა ღმრთისა მიერი იგი მიცემულნი ნიჭნი კეთილად ეჴმაროს, სასყიდელი მიიღოს მრავალ წილად ღმრთისაგან. ხოლო, რომელთა კეთილად ვერ განაგოს ვითარცა იგი სხუასაცა იგავსა შინა წერილ არს, სასჯელი ტალანტისა დამფლველისათჳს — იგივე შეემთხჳოს ამასცა. ხოლო ესე წარმოუდგინეს ღმერთსა, რომელსა თანა ედვა ბევრი ტალანტი. უბრძანა უფალმან განსყიდვა ცოლისა მისისა და შვილთა მისთა და რაჲცა აქუნდა, გარდაჴდად იგი. ესე, იგი არს, ვითარმედ, რავდენიცა ნიჭნი მოუცემიეს უფალსა ჩუენთვის. ხოლო ჩუენ თუ ბოროტად წარვაგებთ მას და მარტოდ თავთა ჩუენთათჳს ვიჴუმევთ და არა მოყუასთაცა სათნო ვეყოფით კეთილისათჳს აღსაშენებლად, ესე არს ტალანტისა დამალვა და სასჯელიცა მისი გულისჴმაყავ, თუ, რაჲ შეემთხჳა ბოროტსა მას მონასა, რომელმან იგი დამალა ტალანტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა რაჟამს იქმნეს გამოძიებაჲ საქმეთა კაცად-კაცადისა, მაშინ ცოლიცა და შვილნი თუ ვინმე განყიდოს და რაჲცა აქუნდეს ყოველივე მისცეს, ვერცა მით შემძლებელ არს მცირედისაცა ცოდვისა გარდაჴდად, რამეთუ თანაწარუვალ არს სასჯელი იგი თჳნიერ მოწყალებითა და სახიერებითა და მიტევებითა მოყვასისა თანანადებთათა. სხჳთა არა რაჲთა შემძლებელ არს კაცი გარდაჴდად ბრალთა თჳსთა ვითარცა თჳთ თავადი ღმერთი ბრძანებს: **„დავარდა მონაჲ იგი, თაყუანისცემდა მას და ეტყოდა: სულგრძელ იქმენ ჩემ ზედა, უფალო, და ყოველივე მიგცე შენ. შეეწყალა უფალსა მისსა მონა იგი და განუტევა იგი და თანანადებიცა იგი მიუტევა მას; და ვითარცა გამოვიდა მიერ მონაჲ იგი, ჰპოვა ერთი მის თანა მონაჲ, რომელსა ედვა მისი ასი დრაჰკანი, შეიპყრა იგი და შეაშთობდა მას და ეტყოდა: მომეც, რაჲცა იგი თანა-გაც. შეუვრდა მას მოყვასი იგი მისი და ევედრებოდა და ეტყოდა: სულგრძელ იქმენ ჩემ ზედა, და ყოველივე მიგცე შენ. ხოლო მან არა ისმინა მისი, არამედ წარვიდა იგი და შეაგდო საპყრობილესა ვიდრემდე მისცეს მას თანანადები იგი“** (მათე 18,26).

ხ ედავა უწყალოებასა მის მონისასა[?] მან რავდენისა აურაცხელისა ტალანტისა შენდობაჲ მიიღო რომელი თანაედვა უფლისაგან თჳსისა, ხოლო ამან მცირეცა ესე არა მიუტევა; **„ხოლო იხილეს რაჲ მის თანა მონათა საქმე ესე, შეწუხნეს ფრიად, მივიდეს და აუწყეს უფალსა მისსა ყოველივე იგი, რაჲცა იქმნა. მაშინ მოუწოდა მას უფალმან მისმან, და ჰრქუა მას: მონაო ბოროტო, ყოველივე თანანადები შენი მიგიტევე შენ, რამეთუ მევედრებოდი მე. არა ჯერ-იყო შენდაცა, რაჲთამცა შეიწყალე შენ შენ თანამონაჲ იგი, ვითარცა მე შენ შეგიწყალე“** (მათე 18,31)?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესეცა იხილე, რაჟამს უწყალო იგი მონა, რომელმან მრავალთა ბრალთა მიტევებაჲ მიიღო უფლისაგან თჳსისა და მან მცირედიცა იგი არა მიუტევა. და აუწყეს რაჲ ესე უფალსა, რომელსა პირველ უწყებისაცა არა რაჲ დაეფარვოდა, მოუწოდა მას და ეტყჳს: „მონაო ბოროტო“! ჭეშმარიტად ბოროტ არს და უკეთურ, რომელმან ვერ გულიჴხმაყო სიმდიდრე მოწყალებათა ღმრთისათა, რამეთუ მან მრავალთა და დიდთა თანანადებთა მიტევებაჲ მიიღო, ხოლო მან მცირე და უნდო არა მიუტევა; რამეთუ სხუაჲ არს შეცოდებაჲ უფლისა მიმართ და სხუაჲ არს კაცთა კაცისა მიმართ; რამეთუ იგი მეუფჱ არს და ჩუენ მონანი, იგი ღმერთი არს და ჩუენ კაცნი მოკუდავნი, მიწანი და მტუჱრნი, იგი შემოქმედი და ჩუენ მისნი შექმნილნი და რაჲ სწორებაჲ არს თუმცაღა ჩუენ ჩუენებრთა და ჩუენ ბუნებათა კაცთაჲთა მცირედი რაჲმე მიუტეოთ. არამედ იგი დიდითა მით სახიერებითა თჳსითა მცირესა მიზეზსა ეძიებს ჩუენ-გან, რათა მოგუცნეს დიდნი და აურაცხელნი მადლნი მისნი.

ხოლო, ვინათგან ბოროტი იგი მონა უწყალო ექმნა მის თანა მონასა და არა მიუტევა, აწ სამართლიანად განურისხდა უფალი იგი მისი და მისცა იგი ჴელთა მტანჯველთასა ვიდრემდის გარდაიხადოს ყოველი იგი თანანადები მისი. — და კუალად ზემო წერილ არს: **„იყავ კეთილად მცნობელ წინამოსაჯულისა მის შენისა ადრე, ვიდრემდე ხარ მის თანა გზასა ზედა, ნუუკუე მიგცეს შენ წინამოსაჯულმან მან შენმან მსაჯულსა, და მსაჯულმან—მსახურსა, და საპყრობილედ შთავარდე. ამინ გეტყჳ შენ: ვერ გამოხჳდე მიერ, ვიდრე არა მისცე უკუანაჲსკნელი კოდრატი“** (მათე 5,25).

ეგრეთვე ლუკას [სახარებასა] შინაცა წერილ არს ესევე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყუაჲ, ვითარმედ: **„ვერ გამოხვიდე მიერ ვიდრე არა მისცე უკანაჲსკნელი მწულილი“.** ესე ყოველი, რომელი წერილ არს წმიდასა სახარებასა შინა, იგი აქუსთ მიზეზად პაპის მოსავთა განსაწმედელისა ცეცხლისათჳს და სიტყჳთა ამით დიდად წინააღგჳდგებიან და ჰგონებენ, თუმცა ჩუენ სიტყუა არა რაჲ გვაქუნდა; არამედ მათ უფროჲსად არა რაჲ აქუსთ სიტყუაჲ და ვერცა გულისჴმაუყოფიესთ, ვითარმედ „ვიდრე“ და „ვიდრემდისი“ არა თუ დასასრულსა და ოხჭანსა მოასწავებს, არამედ დაუსრულებლობსა და საუკუნოსა საუკუნოჲსასა ცხად ჰყოფს. ამისაგან გეუწყოს ესე, რაჟამს ქრისტე ეტყოდა მოწაფეთა თჳსთა: **„აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“** (მათე 28,20). მაშა ესეცა ეგრეთვე იქმნება სიტყჳსაებრ მათისა: ქრისტე მეუფჱ მოწაფეთა თჳსთა და მოციქულთა თანა, ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა იქმნების განუშორებლად და შემდგომად აღსასრულისა ამის სოფლისა განეშორების მათგან. და ყოველნი იგი აღთქუმანი და სიტყუანი უფლისანი, რომელნი აღუთქუნა ტყუილ იქმნების! რომელი იგი აღუთქუნა რაჟამს იგი ეტყოდა: **„მნებავს მამაო, რაჲთა, სადაცა მე ვიყო, იგინიცა ჩემთანა იყვნენ, რაჲთა ხედვიდენ დიდებასა ჩემსა“** (იოანე 17,24). ესე და უმრავლსი ამისა წერილ არს, რომელი აღუთქვა მათთანა საუკუნოდ ყოფნისა.

ᲓᲐ კუალად წერილ არს წინაწარმეტყველისა მიერ: **„ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერჴთა შენთა“** (ფსალმუნი 109,1).

ᲓᲐ მოციქული იტყჳს: **„რაჟამს განაქარვნეს ყოველნი მთავრობანი და ყოველნი ჴელმწიფებანი და ძალნი; რამეთუ ჯერარს მისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფევაჲ, ვიდრემდის დაისხნეს ყოველნი მტერნი მისნი ქუეშე ფერჴთა მისთა“ (I კორინთელთა 15,24). აჰა ცხადი და ჭეშმარიტი განმარტებაჲ „ვიდრემდის“ და „ვიდრე“. აქა განიხილე, რამეთუ **„ვიდრემდის დაისხნეს მტერნი ქუეშე ფერჴთა თჳსთა“,** მუნამდე იჯდეს მარჯჳულ მამისა, ღუთაებისა წიაღთა შინა და შემდგომად, მტერთა „ქუეშე ფერჴთა“ დასხმისა არღარა იყოს მარჯჳულ მამისა და აღდგეს წიაღთაგან ღუთაებისათა? და ვითარ იყოს ესე და ვითარ მოეზავების სიტყუაჲ ესე!!!

ამისათჳს ვიტყჳ ვითარმედ: „ვიდრე“ და „ვიდრემდის“ საუკუნოობასა და დაუსრულებლობასა მოასწავებს. ეგრეთვე ცეცხლისა მისთჳს გეჰენიისა გულისჴმაყავ: „ვიდრემდის გარდაიჴადოს“ და **„ვიდრე არა მისცე უკანაჲსკნელი მწულილი ვერ გამოხვიდეო“.** გულისჴმაჰყავ, რამეთუ არა რაჲ შთაჰყვების ცეცხლსა მას შინა, რაჲმცა მისცეს მას და გარდაიხადოს. და უუეთუ შთაჰყვეს რაჲმე, ვინ არს იგი, რომელსამცა მისცეს და უკეთუ მისცეს, რაჲ არს მისაცემელი იგი და საჴმარი, რამეთუ დავით იტყჳს: **„არა მისცეს ღმერთსა საჴსარი თავისა თჳსისაჲ და სასსყიდელი საჴსრად სულისა თჳსისა“** (ფსალმუნი 48,8).

და უკუეთუ, სხუაჲ, რაჲმე უნივთო სათნოებათაგანი შთაჰყვების ჯოჯოხეთს შინა და, არცა ესე არს საკჳრველ, რამეთუ, არა ვინ არს ცოდვილი თუმცა ერთიცა კეთილთაგანი არა ექმნას, ვითარცა იგი, არცა მართალი, თუმცა არა რაჲ ბრალი აქუნდა. უკუეთუ ცოდვილსა თუ რაჲმე მცირედი კეთილთაგანი ჰქონებიეს და მას მოჰჴდიან და მისგან მიმძლავრებულთა მისცემენ იგი უმეტესად შიშუჱლი და ცალიერი დაშთების ცეცხლსა მას შინა გეჰენიისასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უფროსად ვერღარა გამოვალს მიერ და საუკუნო ექმნების სატანჯველი იგი. და არა თუ გამოვალს და განწმდების, არამედ საუკუნოდ დაშთების და მრავალი ესევითარი გეპოოს საღმრთოთა წერილთა შინა: **„ვიდრე“** და **„ვიდრემდის“**, რომელი არა დასრულებადსა, არამედ დაუსრულებლობასა მოასწავებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVIII თავი

სიტყჳსა მისთჳს, რომელსა იტყჳან მოსავნი პაპისანი ვითარმედ: განრაჲვიდენ სულნი ჴორცთაგან აწვე მიიწევიან ადგილთა მათ მათთჳს განჩინებულთა და პირველ მეორედ მოსლვისა მართალნი სასუფეველად დაეწესებიან ხოლო ცოდვილნი ჯოჯოხეთს შინა პირველ ჴორცთა შემოსისა და არღარა იქმნების მათი გამოყვანებაო

ხ ოლო ჩუენ, ამის ყოვლისათჳს ერთ ჴმა ვართ ბერძენთა თანა და წინა აღუდგებით ზრახვათა მათთა, შედგომილნი კუალსა წმიდათა მამათასა. მოძღვრებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და მრავალთა მოწამეთა მოვიხუამთ ძუძლსა და ახალსა [სჯულსა] პირის დასაყოფელად მათდა; რამეთუ სულნი ამიერ წარსრულნი, განრაჲვიდენ ჴორცთაგან, ჭეშმარიტად მასვე ჟამსა შინა მიიწევიან: მართალნი კეთილთა მათ შინა ზეცისათა, სავანესა მართალთასა ღირსებისაებრ და საზომისა ადგილთა მათ შინა ნათლისათა. ხოლო ცოდვილნი ჯოჯოხეთისა სატანჯველთა შინა; იგიცა საზომისაებრ კაცად-კაცადისა ცოდვათასა. სულნი ოდენ მარტონი და არა ჴორცნიცა, რამეთუ ვინაჲთგან სულნი და ჴორცნი ერთად შეაუღლნა უფალმან, სულსა ვერ ძალუც უჴორცოდ არცა კეთილი არცა ბოროტი; ვითარცა იგი, არცაღა ჴორცთა თჳნიერ სულისა; რამეთუ სამსჯავრო იგი საშინელი [ჯერეთ] არღა ქმნულ არს და მიგებაჲ ღირსებითი კაცად-კაცადისა საქმეთაებრ, რომელი ჴორცითა ამით იმუშაკეს და ვიდრე აღსასრულამდე გამოჩინებადთა წმიდათათჳს. რამეთუ აღვსებაჲ ჯერ არს ზენა სოფლისა სიტყჳსაებრ გრიგოლი ღმრთისმეტყველისა.

ი სმინეთ მოციქულისა პავლესი, რასა ხმობს: **„რამეთუ ჩუენ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველნი განცხადებად ვართ წინაშე საყდართა ქრისტესთა, რადთა მოიღოს კაცად-კაცადმან ჴორცთა ამათგან, რაჲცა-იგი ქმნა, გინა თუ კეთილი გინა თუ ბოროტი" (II კორინთელთა 5,10), რამეთუ ვიდრემდის ჴორცნი არა შეემოსნენ სულსა უხრწნელნი, მუნამდე ღირსებითი მისაგებელი არა იქმნების. არცაღა ჯერეთ უკანაჲსკნელ გამოჩინებადნი წმიდანნი სრულ ქმილ არიან სიტყჳსაებრ მოციქულისა: **„და ესე ყოველნი იწამნეს სარწმუნოებითა და არღა მოიღეს აღნათქუემი იგი, რამეთუ ღმერთმან ჩუენთჳს უმჯობესი წინაჲსწარ განიგულა, რადთა არა თჳნიერ ჩუენსა სრულ იქმნენ"** (ებრაელთა მიმართ 11,39).

რამეთუ უფალმან, ვითარცა წინაჲსწარ მეცნიერმან ყოვლისამან, წინასწარ განიგულა უკანასკნელ გამოჩინებადთა წმიდათა და სათნო ყოფილთა მისთათჳს და ალოდინებს პირველ ჩუენსა წარსრულთა წმიდათა ვიდრე მეორედ მოსლვადმდე, რათა ერთბამად გჳრგვინოსანყენეს და ერთად ადიდოს. ოდეს ჴორცნიცა ესე მოკუდავნი, სულისა თანა დამაშვრალნი შეემოსნენ და უმეტესი ბრწინვალებაჲ და დიდებაჲ მიენიჭოს, და მათნი იგი მტანჯველნი უსჯულონი უმეტესად სირცხჳლეულ იქმნენ და დაისაჯნენ; რაჟამს ესენი იდიდნენ და იგინი შეურაცხ იქმნენ. რამეთუ ჯერეთ აბელ მართლისა ჴორცნი ქუეყანასა ზედა მდებარე არიან; ეგრეთვე მკულელისა მისისა კაენისი, იგიცა ქუეყანასა ზედა მდებარე არს და თითუჱულად ყოველნი, რომელნი მოსწყდეს ღმრთისათჳს და არღა მოუღიეს აღნათქუამი იგი, რათა არა თჳნიერ ჩუენსა სრულ იქმნენ.

ვითარცა კათოლიკეთა შინა იუდასთა წერილ არს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„წინაჲსწარმეტყველა მათთჳს მეშვიდემან ადამისითგან ენუქ და თქუა: აჰა ესერა, მოვიდა უფალი ბევრეულითა წმიდათა მისთაჲთა, ყოფად სასჯელისა ყოვლისათჳსვე და მხილებად ყოველთა უღმრთოთა მათთა, ყოველთათჳს საქმეთა უღმრთოებისა მათისათა, რომელნი უსჯულოებდეს“ და შემდგომი (იუდა 1,14).

აჰა ცახად იქმნა, რამეთუ ჯერეთ არა ქმნილ არს მისაგებელი მართალთა და ცოდვილთა, არცა წმიდანი ღირსად [გან]დიდებულან, არცა უღმრთონი ჯეროვნად დასჯილან, არცა ღმერთი მოსრულ არს ბევრეულთა წმიდათა მისთა თანა, არცა უღმრთოთა მხილებით სასჯელი მიჰგებიეს.

ესხილეთ, რამეთუ ჯერეთ არა სრულქმნილ არიან წმიდანი. განიცადეთ საქმენი ელიასნი ვითარ აღიტაცა ჴორცითა ეტლითა ცეცხლისაჲთა, რეცა ზეცად და ჰგიებს მეორედ მოსლვასა უფლისასა ენუქის თანა, რამეთუ იგიცა აღტაცებულ არს ჴორცითა, ვითარცა წერილ არს: **„ენუქი სათნო ეყო უფალსა და არღარა იპოვა, რამეთუ გარდასცვალა უფალმან“** (დაბადება 5,24). ესენი კუალად მოსლვად არიან მცირედ[44] უწინარეს მეორედ მოსლვისა. ამათ ეგულების ჟამსა მას უკანასკნელსა წამებად, ვითარცა ბრძანებს ქრისტე: **„ელია მოვიდეს და კუალად ეგოს ყოველი“** და კუალად წერილ არს გამოცხადებასა შინა, ვითარცა იგი იხილნა ღმრთისმეტყუველმან იოანე: **„ორნი ზეთისხილნი და ორნი სასანთლენი, მდგომარენი წინაშე უფლისა ყოვლისა მპყრობელისა“** (გამოცხადება 11,4). ესე არიან ორნი იგი მოწამენი: ენუქი და ელია. მითვე ჴორცითა არიან და ჟამსა მას უკანასკნელსა მოსვლად არიან და წამებად. და კუალად განცხოველებად და აღდგომად და

44. *ცოტათი ადრე.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამაღლებად ზეცად, ვითარცა შემდგომითი შემდგომად მოიჴსენებს გამოცხადებასა მას შინა.

უკეთუ ესენი ჯერეთ ჴორცითა არიან, სადა იგი არიან ადგილთა მათ შინა ნათლისათა, და კუალად ეგულვების მოსლვა და წამებად და კუალად სრულებასა ელიან მხოლოდ სულნი ამიერ წარსრულთანი, ვითარ მიიღებენ მისაგებელსა პირველ მეორედ მოსლვისა? ვითრცა წერილ არს: **„ვითარმედ ჯერ- არს ხრწნილისა ამის შემოსად უხრწნელებაჲ, და მოკუდავისა ამის შემოსად უკუდავებაბჲ“** (I კორინთელთა 15,53). ამისთჳს ვიტყჳ ვითარმედ: ჯერეთ არა წარდგომილ ვართ წინაშე საყდართა ქრისტესათა, არცა განხრწნადთა ამათ ჴორცთა შეუმოსია უხრწნელება, არცა მოკუდავსა უკვდავებაჲ, არცა მრჩობლ მისაგებელი მართალთა და ცოდვილთა. დაღაცათუ სულნი მართალთანი ჴელთა შინა ღმრთისათა არიან ვითარცა წერილ არს და სიხარულსა შინა გამოუთქმელსა იშუებენ და ცოდვილთა სულნი სიღრმეთა ჯოჯოხეთისათა იტანჯებიან, არამედ კერძოებით და არა სრულებით, რამეთუ მართალნი ელიან უზეშთაესსა დიდებასა და ბრწყინვალებასა, ხოლო ცოდვილნი უმწარესსა დასჯასა და უსასტიკესსა სატანჯველსა: და ესრეთცა ჯერ არს, რათა რაჟამს იქმნეს საშინელი იგი მეორედ მოსლვა ქრისტესი და ცაჲ და ქუეყანა განახლდენ და ანგელოზნი და კაცნი ზოგად შემოკრბენ და მოკუდავმან ამან შეიმოსოს უკვდავებაჲ და ხრწნილებამან უხრწნელებაჲ, მაშინ იქმნას მისაგებელი მართალთა და ცოდვილთა, რათა ყოველთა მიერ სახილველ იყოს მართალთა ბრწყინვალებაჲ და ჯეროვანი მისაგებელნი. ეგრეთვე: ცოდვილთა დასჯა და სირცხვილი საუკუნო, ვითარცა იგავთა შინა წერილ არს: **„მაშინ დადგეს მართალი განცხადებულებითა დიდითა წინაშე**

პირსა მაჭირვებლისა თუსისასა და ამხილებს პირის-პირ“ (სიბრძნე 5,1); და კუალად მოციქულიცა ესრეთ ჴმობს: **„უკეთუ სამართალ არს ღმრთისა მიერ მიგებად მაჭირვებელთა თქუენთა ჭირი, და თქუენ, ჭირვეულთა, ლხინი ჩუენ თანა, გამოჩინებასა მას უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა ზეცით ანგელოზთა თანა ძლიერებისა მისისათა, ცეცხლითა ალისაჲთა მიგებად შურისგებისა“** (II თესალონიკელთა, 1,6).

ამით საცნაურ არს, რამეთუ ჯერეთ არა ქმნილ არს მისაგებელი მართალთა და ცოდვილთა, არცა მაჭირვებელთა წმიდათასა ჭირი, არცა ჭირვეულთა[45] მართალთა ლხინი, გამოჩინებასა მას ღმრთისასა. არცა არს ჯერეთ საუკუნო ჯოჯოხეთი, რამეთუ არცა ცოდვილთა ასმიეს ჴმაჲ იგი, თუ: **„წარვედით ჩემგან დაწყეულნო ცეცხლსა მას საუკუნოსა“** (მათე 25,41), არცა მართალთა, ვითარმედ: **„მოდით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკჳდრეთ თქუენთჳს გამზადებული [სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაჲთ]“** (მათე 25,34).

რამეთუ წერილ არს ვითარმედ: ოდეს დაჯდეს საყდართა ზედა, მაშინ ჰრქუას, არა თუ აწვე. არამედ მაშინ ჰრქუას მეუფემან ოდეს დაჯდეს საყდართა ზედა [დიდებისა მისისათა]. არცა სმენილ არს ესევითარმედ: ინაჴიდგმიდენო აბრაჰამის თანა, ისა[ა]კის თანა და იაკობის თანა სასუფეველსა მამისა მათისასა?

აუალად წერილ არს სახარებასა შინა ვითარმედ: **„მოავლინეს ძემან კაცისამან ანგელოზნი თჳსნი, და შეკრიბნეს სუფევისაგან მისისა ყოველნი საცთურნი და მოქმედნი უსჯულოებისანი და შესთხინეს იგინი საჴუმილსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი**

45 ნაწამებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან დავით გარეჯის ისტორიაში იწყება ახალი პერიოდი – **ოქროს ხანა.** დავით გარეჯაში მოღვაწეობას იწყებს წმინდა ონოფრე გარეჯელი (მაჭუტაძე). წმინდანმა თითქმის მიუსწრო არჩილ მეფის მიერ გარეჯაში დადგენილ ბერებს. **„იმათ მიცვალებას უკან ჩუენც ზედა მოვესწრენით მონასტერსაო“** – წერს წმინდა ონოფრე გარეჯელი (მაჭუტაძე) თავის გუჯარში.

წმინდა ონოფრე გარეჯელი (ერისკაცობაში ოთარ მაჭუტაძე) XVII-XVIII საუკუნეების მოღვაწეთა შორის ყველაზე დიდი ფიგურაა დავით გარეჯის ისტორიაში. (წმინდა ონოფრე მაჭუტაძე გურული აზნაური იყო. .XVII საუკუნის 70-იან წლებში თავის ძმასთან, მაქსიმესთან, ერთად გურიიდან ქართლში გადავიდა, სადაც 1683 წელს ლევან ბატონიშვილმა "სამწევრისის მესთულეობის" სახელო უბოძა. წმინდანი საოცარი სტუმართმოყვარეობით, მოწყალებითა და გაჭირვებულთა ნუგეშისცემით გამოირჩეოდა. ოთარს მონაზვნობა სურდა, აზნაურის შესამოსლის ქვეშ ძაძა ემოსა და გამუდმებით ევედრებოდა უფალს, მიემადლებინა მისთვის ბერული ცხოვრების ძალა.

ერთხელ თავის მეუღლეს უთხრა: **„აწ მნებავს მე უარისყოფა სოფლისა და შედგომა ქრისტესი. ამის პირისათვის ვითხოვ კეთილ მორწმუნეობისაგან შენისა, რათა შენდობა მივიღო თქუენ ყოველთა მიერ და მიტევება ბრალთა ჩემთა ნებსითთა და უნებლიეთთა“.** ქალმა არ დააბრკოლა მეუღლე და შენდობა მისცა. ოთარი ორ უფროს ვაჟიშვილთან ერთად ჩავიდა თბილისში, შვილები დალოცა, დაარიგა და გამოეთხოვა.

შვილებთან განშორების შემდეგ ოთარმა მიაშურა გარეჯის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ღრჭენაჲ კბილთა. მაშინ მართალნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზე, სასუფეველსა მამისა მათისასა“ (მათე 13,42).

ᲛᲣᲐᲚᲐᲓ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲡ: **„ესრეთ იყოს აღსასრული ამის სოფლისაჲ, რამეთუ გამოვიდენ ანგელოზნი და განაშორნენ უკეთურნი იგი შორის მართალთა და შესთხინენ იგინი შორის საჴუმილსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენა კბილთა“** (მათე 13,49). ესე ყოველი ესრეთ მოასწავებენ და ესრეთ მზისა უბრწყინვალესად ქადაგებენ, ვითარმედ: ჯერეთ მისაგებელი მართალთა და ცოდვილთა არა ქმნილ არს. არცა სრული სულით და ჴორცით მრჩობლი სიხარული მართალთა, არცა დასჯა ცოდვილთა. და ვითარ იყოს ესრეთ, პირველ მეორედ მოსლვისა: დაღაცათუ აწ სულნი ოდენ არიან თჳთეული თჳსსა ადგილსა. ცოდვილნი ქუჱსკნელს, ხოლო მართალნი ზეცას. არამედ მოელიან თჳთეულნი ჴორცთა შემოსასა და მით სრულსა მისაგებელსა.

ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲓᲐᲡᲬᲔᲠᲡ ᲛᲐᲮᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲝᲐᲜᲔ, ᲕᲘᲗᲐᲠᲛᲔᲓ: **„ვიხილენ საკურთხეველსა ქუეშე სულნი იგი მოკლულთანი სიტყჳსათჳს ღმრთისა და წამებისათჳს [კრავისა მის,] რომელ აქუნდა, და ჴმაყვეს ჴმითა დიდითა და თქუეს: ვიდრემდის, მეუფეო წმიდაო და ჭეშმარიტო, არა სჯი სისხლთა ჩუენთა მკჳდრთაგან ქუეყანისათა? და მიეცა თჳთეულსა სამოსლები სპეტაკები და ითქუა მათდა მიმართ, რაჲთა განისუენონ მცირედთა ჟამსა, ვიდრემდის აღესრულნნ მათ თანა მონანი და ძმანი მათნი და რომელთა ეგულებოდა სიკუდილი, ვითარცა მათ“** (გამოცხადება 6,9).

ᲓᲐ ᲙᲣᲐᲚᲐᲓ ᲬᲔᲠᲘᲚ ᲐᲠᲡ ᲛᲐᲡᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ: **„მოვიდა რისხვაჲ შენი და ჟამი მკუდართა სჯისაჲ და მიცემად მონათა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენთა სასყიდელი წინაწარმეტყველთა და წმიდათა და მოშიშთა სახელისა შენისათა“ (გამოცხადება 11,18).

და კუალად წერილ არს: **„და მრქუა მე ანგელოზმან მან, რომელი მიჩუენებდა ამათ ყოველთა: ნუ დაჰბეჭდავ სიტყუათა წინაჲსწარმეტყველებისა ამის წიგნისათა, რამეთუ ჟამი ახლოს არს. უსამართლოჲ იგი უსამართლოებდინ ჯერეთ, და შეგინებული იგი შეიგინებოდენ ჯერეთ, და მართალი სიმართლესა იქმოდენ ჯერეთ, და წმიდაჲ იგი წმიდა იქმნებოდინ ჯერეთ. და აჰა ესერა მოვალ ადრე, და სასყიდელი მივაგო საქმეთა მათთაებრ“** (გამოცხადება 22,10). ამათ ყოველთა წამებათაგან ჭეშმარიტ იქმნა, ვითრცა არს ჭეშმარიტ და უცილობელ სიტყუაჲ იგი პავლესი, ვითარმედ: „არღა მოუღიეს აღნათქუამი იგი წმიდათა, რათა არა თვინიერ სრულ იქმნენ“, ვითარცა იგი ზემოთცა მოვიხსენეთ.

ბზილეთ მართლმადიდებელნო, რაოდენნი წამებანი წმიდათა წერილთაგან შემოვიხუენ და უმრავლესსა თანა წარვხედ; რომელნი ჴმამაღლად ქადაგებენ და ცხადად მოასწავებენ, ვითარმედ, ჯერეთ არა არს მისაგებელი მართალთა და ცოდვილთა; არცა მისცემია სრულებით მისაცემელი შრომათა მათთა; არცა ჯერეთ ცოდვილთა სრულებით მიჰგებიეს მისაგებელი მათი; არა ვიტყჳ ამას, თუმცა არა იტანჯებოდეს ცოდვილნი, ანუ არა იხარებდეს მართალნი, არამედ ზოგებით და კერძოებით, რამეთუ შეუღლვილნი ჴორცნი მათნი, რომელთა ერთნებაჲ იყო კეთილისა მიმრთ და ბოროტისა, ჯერეთ აქავე არიან. მართალთა და ცოდვილთა, უღმრთოთა, და წმიდათა მოციქულთა და მოწამეთა, და მტანჯველთა და მომწყუტდელთა მათთა მეფეთა მათ უსჯულოთა. დაღაცა თუ იგინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეცას იხარებენ და ესენი ქუესკნელს იტანჯებიან, არამედ მარტო სული ოდენ და არა ჴორცნიცა, რამეთუ, რომელმან სული დაჰბადა, მანვე ჴორცნიცა, და არცა ერთი ამათგანი განქარდების. დაღაცათუ მცირედ ჟამ განიხრწნების, არამედ კუალად განახლდების, ვითარცა წერილ არს: **„მოულის სული მათი, და მოაკლდიან და მიწადვე თჳსად მიიქციან; გამოავლინო სული შენი და დაჰბადნე იგინი და განაახლო პირი ქუეყანისაჲ“** (ფსალმუნი 103,29).

და კუალად წერილ არს: **„დაეთესვის ხრწნილებით და აღდგების უხრწნელებით; დაეთესვის გინებით და აღდგების დიდებით; დაეთესვის უძლურებით და აღდგების ძლიერებით; დაეთესვის ჴორცი მშჳნვიერი და აღდგების ჴორცი სულიერი“** (I კორინთელთა 15,42).

რამეთუ ჯერეთ ჴორცნი არა აღდგომილ არიან და არცა აღსასრული და მიგებაჲ კაცად-კაცადისა.

ეხილეთ ძმანო, სადა ჩანს აქა აწვე მიგებაჲ მართალთა და ცოდვილთა და დასჯა საუკუნო უღმრთოთა, და სრული სასყიდელი წმიდათა?

არამედ გულისჴმა ყავთ და ჭეშმარიტად უწყოდეთ, ვითარმედ, პირველ აღსასრულსა და საშინელისა მეორედ მოსლვასა არა იქმნების სრული მისაგებელი მართალთა და ცოდვილთა, ვითარცა ვთქუ: ვიდრე ჴორცნი ესე, რომელი დასაბამსა დამბადებელმან მისმან სულისა თანა კეთილად შეაუღლნა. ვიდრე არა შეემოსნენ რაჲთაცა სიმართლე ქმნეს ანუ თუ ცოდვა, სრულებითი მისაგებელი არა იქმნების.

ხოლო ოდეს იქმნეს მეორედ მოსლვა ქრისტესი საშინელი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყურსა დაეცეს და მკუდარნი აღდგენ და ხრწნილებამან ამან შეიმოსოს უხრწნელებაჲ და მოკუდავმან ამან უკვდავებაჲ, მაშინ მიეგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ: ვითარცა წამებენ ყოველნი საღმრთონი და ღვთივსულიერნი წიგნნი წმიდათა მოციქულთა და წინაწარმეტყველთანი და წმიდათა ღმრთისმეტყველთა მოსწავებანი და უწყებანი. და თჳთ თავადისა ქრისტეს, ჭეშმარიტისა მის ღმრთისა ჩუენისა ბრძანებანი.

ხოლო, რომელთა ესე ესრეთ არა სწამს და ესრეთ არა აღიარებდეს, შეცდომილ არს იგი გზისაგან წრფელისა და განვრდომილ არს მართლისა სარწმუნოებისაგან. და ვიტყჳ ვითარმედ, ეშმაკთაცა უძლიერეს არს კაცი იგი, რომელი ესრეთ არა აღიარებდეს, და აწვე იტყჳან პირველგანჩინებულისა მის ჟამისა სრულებით მიგებასა მართალთა და ცოდვილთასა; რამეთუ ეშმაკნი, რაჟამს განასხნა კაცთაგან უფალმან, ევედრებოდეს და იტყოდეს: **„რაჲ ძეს ჩუენი და შენი, იესო, ძეო ღმრთისაო? მოჰხუედ აქა უწინარეს ჟამისა ტანჯვად ჩუენდა“** (მათე 8,29), რამეთუ უწინარეს ჟამისა აღსასრულისათჳს თქუა, რამეთუ მის ჟამისაგან ეშინისთ, რამეთუ მუნამდე არცა იგინი არიან სრულად შეწყუდეულ, არამედ მცირედნი ოდენ მიზეზნი პირველისა განდგომილებისანი. ხოლო ჟამსა მას აღსასრულისასა ეშმაკთაცა გარდაუწყდება და უძვირესად დაისჯებიან და შეიწყუდევიან სიღრმეთა შინა ჯოჯოხეთისასა და ვერღარა ჴელეწიფების ვნებად კაცთა, არცაღა ქუეყანასა ზედა ქცევად. ამისთჳს ვიტყჳ ვითარმედ: ეშმაკთაცა უძვირეს არს კაცი იგი, რომელი ესრეთ არა აღიარებს, რომელი ზემო აღვწერეთ და უკუეთუ მოციქულთა და წინაწარმეტყველთა არა ჰრწამს, ბარე ეშმაკთა ირწმუნონ, რომელნი ჴმამაღლად ღაღადებდეს: **„იესო, ძეო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმრთისაო, მოსრულ ხარ უწინარეს ჟამისა ტანჯუად ჩუენდა“ (მათე 8,29), და თქუნ: უწინარეს ჟამისა მის არა იქმნების მისაგებელი, არცა სახელიდების საუკუნო ჯოჯოხეთი.

და რომელსა ესრეთ არა ჰრწამს და იტყვის, ვითარმედ აწვე სრულებით მიეცემის საქმეთა მათთაებრ. კაცი იგი არცა აღიარებს მკუდართა აღდგომასა, არცა მისაგებელსა მართალთა და ცოდვილთასა, არცა ჴორცთა უხრწნელყოფასა, რომელი დაბადა ღმერთმან და დიდითა სიბრძნითა შეაუღლა უხილავსა სულსა, რათა ერთბამად იდიდნენ კეთილისათჳს, გინა ერთბამად დაისაჯნენ ბოროტისათჳს.

პუალადცა ვიტყოდი: უკუეთუ აწვე იქმნების მისაებელი მარტოდ სულისა, რაჲსათჳსღა მეორედ მოსლვა ქრისტესი? ანუ რაჲსათჳსღა აღდგომაჲ მკუდართა? ანუ რაისათჳსღა შრომანი და მოღვაწებანი წმიდათანი? უკუეთუ ჴორცნი არა აღდგებიან. და უკუეთუ იქმნების აღდგომაჲ მკუდართა, და ჭეშმარიტად იქნების! და ჴორცთა ამათ შემოსვაჲ და უხრწნელ ყოფაჲ მართალთა და ცოდვილთა, ვითარღა სახელიდების საუკუნო ჯოჯოხეთი? ვინაჲთგან მაშინ იქმნების ყოველთა ქუეშსკნელს დასჯილთა სულთა გამოსლვა და ჴორცთა შემოსვა. და ვინათგან ჭეშმარიტად ესე ესრეთ იქმნების, რაჲსათვიღა სახელ სდებენ საუკუნო ჯოჯოხეთად და იტყჳან: არღარა იქმნების მათი გამოსლვაო. ესრეთ ყოვლითა სიცრუვითა სავეს არიან და გარდააქცევენ ყოველთა საღმრთოთა წერილთა და ესე არს ნებაჲ მათი, რათა ყოველი წინააღმდგომი თქუან და თჳთ განაწესონ ყოველი, ახალი სჯული გარეშე მოძღვრებისა წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ყოველთა ასწაონ ღმერთად აღსარებაჲ პაპისა და თაყუანის-
ცემაჲ და ამით შეაცდუნონ ყოველი კაცი და დაამორჩილონ ბრ-
ძანებასა მისსა და ყოველი მისი განწესებული ითქუას ყოველსა
ქუეყანასა და დაიხსნას ყოველი განწესებაჲ წმიდათა მოციქულთა
და შჳდთა მსოფლიოთა კრებათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIX თავი

სიტყვსა მისთჳს, რომელსა იტყჳან ლათინნი ვითარმედ: ქრისტე საუკუნოსა ჯოჯოხეთსა შინა არა შთასრულ არსო

ᲗᲣალად ამასცა იტყჳან სხვათა თანა გმობათა, ვითარმედ: ქრისტე მეუფᲗ საუკუნოსა ჯოჯოხეთსა შინა არა შთასრულ არსო. და უკეთუ მუნ შთასრულ იყო ვერცაღა იგი გამოვიდოდაო. ᲰᲝᲛ გმობაᲨ დიდი და პირი უსირცხვილო, რომელნი ესრეთ ზრახვენ. ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ: **„სამარა ზე აღებულ არს ᲭᲝᲠᲮᲘ მათი, ენითა მათითა ზაკუვიდეს“** (ფსალმუნი 13,3). სადა არს იგი საუკუნო ჯოჯოხეთი, ანუ რომელი არს იგი ადილი, რომელსა შინა ქრისტე არა მიწევნულ არს და თუმცა მიწევნულ იყო ვერღარა გამოვიდოდა? ჯერეთ ეშმაკნი არა არიან მას შინა შეწყუდეულ და ვერცა იᲰყრობს იგი მათ და ქრისტე, გარეშემოუწერელი იგი ძე და სიტყუაᲨ მამისა, თუმცა შთასრულიყო ვერღარა გამოვიდოდაო.

ᲔᲨᲛᲐᲙᲜᲘ ღაღადებდეს და იტყოდეს: **„იესო, ძეო ღმრთისაო მოხუედ უწინარეს ჟამისა წარწყმედად ჩუენდა“** (მათე 8,29), ეშმაკნი უწინარეს ჟამისა არა არიან წარწყმედილ ვითარცა თჳთ აღიარებენ, არამედ ჯერედ ქუეყანასა ზედა იქცევიან. ხოლო თუ ქრისტე მიწევნულ იყო, ვერღარა ძალ ედვა გამოსვლად? ეშმაკნი, რომელ დასაბამითგან ჩვენისა წარწყმედისა მიზეზნი არიან და აცთუნებენ კაცთა, იგინი ჯერეთ ქუეყანასა ზედა იქცევიან და სულნი კაცთანი აწვე, პირველ მეორედ მოსლვისა შეიწყუდევიან საუკუნოსა ჯოჯოხეთსა შინა და ვერღარა გამოვლენ?

ᲓᲐღაცათუ იუდა მოციქული იტყჳს ვითარმედ: **„ანგელოზნი, რომელთა-იგი არა დაიმარხეს თჳსი იგი სამთავრო, არამედ დაუტევეს სამკჳდრებელი მათი სასჯელად დიდისა მის ღღისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკრველებითა მით სამარადისოდთა, წყუდიადსა ქუეშე დაჰმარხნა“ (იუდა 1,6).

ესენი, რომელნი მოციქულმან მოიწვენნა პირველნი მთიებნი არიან მთავარნი უწორცოთა დასთანი, რომელთა იზრახნეს პირველნი განდგომილებაჲ. იგინი არიან წყუდიადსა შინა დამარხულნი საკრველებითა სამარადისოდთა, შეკრულნი სასჯელად დიდისა მის დღისა. ესე იგი არს ვეთარმედ: დღესა მას დიდსა სასჯელისასა მათიცა ჯერ არს გამოსლვა, ვითარცა წერილ არს: **„და შემდგომად ათასისა მის წლისა განიწსნას ეშმაკი საპყრობილისაგან თჳსისა და გამოვიდეს ცთუნებად წარმართთა“** (გამოცხადება 20,7). ხოლო სხუანი იგი მიმდგომნი დასნი მისნი ქუეყანასა ზედა იქცევიან და რომელნიმე ჰეართა შინა, ვიდრე მეორედ მოსლვადმდე. მაშინ მცირედ ჟამ იგინიცა განიწსნებიან და აღმოვლენ უფსკრულით ვითარცა მოვიხსენეთ, და მერმე საუკუნოდ შეიწყუდევიან და დაშთებიან მას შინა. ხოლო სულნი ცოდვილთანი, იქმნებისა რაჲთამცა არღარა გამოვიდა ჯოჯოხეთით, გინა თუ პირველ მეორედ მოსლვისა ლოცვითა და ქუელის საქმითა? გინა თუ დღესა მას მეორედ მოსვლისასა, რათა მიეგოს ღირსად საქმეთა თჳსთაებრ და უკუეთუ იქმნებისღა გამოსლვა, რაჲ ზოგად მიიღონ მისაგებელი სულთა და ჴორცთა ვითარცა წერილ არს: **„და მოსცნა ზღუამან მისთანა მკუდარნი, რომელნი იყვნეს მას შინა, და სიკუდილმან და ჯოჯოხეთმან მოსცნეს მკუდარნი, რომელნი იყუნეს მათ შორის. და განისაჯა თითოეული საქმეთაებრ თჳსთა“** (გამოცხადება 20,13).

აწ სადღა იყოს საუკუნო ჯოჯოხეთი სიცბილისაებრ მათისა, რომელსა შინა არღარა იყოს სულთა მათ დასჯილთა გამოყვანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაჲ. და არცაღა ქრისტე მიწევნულ არსო. და ვითარმე იყოს ესე?

რაისათჳს იტყჳს წმინდა მოციქული პეტრე ქრისტესთჳს: **„მოკუდა ჴორცითა და ცხოველ იქმნა სულითა, რომლითაცა საპყრობილესა მას სულთასა მივიდა და ჰქადაგა. რომელნი-იგი ურჩ ოდესმე იყვნეს, რაჟამს ერთგზის თავსედვა სულგრძელებასა მას ღმრთისასა დღეთა მათ ნოესთა, შემზადებასა მას კიდობნისასა“** (I კათოლიკე პეტრესი 3,18). ამას არა ხოლო თუ მართალთა და ღირსთათჳს იტყჳს, არამედ ურჩთა და გარდამსვლელთა და ცოდვილთათჳს, რომელნი უსჯულოებათა შინა აღესრულნეს, რამეთუ პირველ წყლით რღუნისა ნოეს ზე, ვინ იყუნეს მორწმუნენი თჳნიერ ერთისა მის ნოესა, რომელსა ეტყოდა ღმერთი ვითარმედ: **„შენ ხოლო იპოვე მართალ ქუეყანასა ზედა წინაშე ჩემსა“**, რამეთუ განხრწნილ იყო ყოველი კაცი წინაშე ღმრთისა. ამისათჳს აღხოცა უფალმან ყოველნი აღმდგომნი, ვითარცა წერილ არს, ხოლო ვინ იყუნეს მათისა უუსჯულოესნი, რომელთა იგი შექმნა და დაბადებაჲ შეინანა უფალმან. ვითრცა წერილ არს ვითარმედ: **„შევინანე, რამეთუ შევქმენ კაცი“** (დაბადება 6,7). ანუ ვინმცა იქმნებოდა მათ უმძვინვარესსა და უსასტიკესსა ტანჯვასა და ჯოჯოხეთსა შინა, რომელი მოიხსენა მოციქულმან ნოეს ზე მყოფთა უსჯულოთა; რომელთათანა შთასლვასა ჴმობს ქრისტესა და საპყრობილედ სულთა უწოდს და მათ შორის ხარებასა. ვჰკითხოთ მათ: რაჲღა არს ამისა უბოროტესი სხუაჲ საუკუნო ჯოჯოხეთ, რომელსა შინა არცა ქრისტე მისრულ არს, არცაღა იქმნების გამოჴსნა სულთა მუნ შეყენებულთა მრავლითა ქუჱლის საქმისა და აურაცხელითა მოწყალებითა ღმრთისაჲთა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ვთქუათ უკუჰ ვითარმედ: მეუფესა ქრისტესა უკუეთუ ღირსნი ოდენ და წმიდანი გამოეჴსნა ჯოჯოხეთით, რაჲ იყო საკჳრველ, ანუ რაჲ სასწაული უცხო, ანუ მოწყალებაჲ ღმრთისა უსაზღვრო?

არამედ შთარაჲ ჴდა ღმერთი ქუესკნელთა შინა, მუნ შეყენებულთა მიჰფინა ნათელი და ახარა მყოფთა მათ შინა და ჰქადაგა ღმრთაებაჲ თჳსი ვითარცა იგი ქუეყანასაცა ზედა. ხოლო რომელთაცა ჰრწმენა, იგინიცა აღმოიყუანნა, ვითარცა წერილ არს: **„რაჲთა სახელისა მიმართ იესო ქრისტესა ყოველი მუჴლი მოდრკეს ზეცისათანი და ქუეყანისათანი და ქუესკნელთანი, და ყოველმან ენამან აღუაროს მას“** (ფილიპელთა 2,10). ამას სიტყუასა ზოგნი ვინმე ესრეთ სთარგმნიან ვითარმედ: **„რაჟამს იქმნეს მოსლვა ქრისტესი მეორედ, საშინელებით, და აღდგენ მკუდარნი, მაშინ იხილონ რაჲ ღმერთი დიდებით მოსრული მკუდართა ზეცისათა და ქუეყანისათა და ქუესკნელისათა, იცნან ღუთაებაჲ მისი და მაშინ ყოველმან ენამან აღუაროს, რამეთუ ესრედცა იქმნების მას ჟამსა შინა, ვინაჲთგან იხილვენ ღმრთაებასა მისსა.“** არამედ სიტყვასა ამას მოციქული უმეტესად ჯოჯოხეთს შთასლვისათჳს ღმრთისასა იტყჳს: **„რაჲთა სახელისა მიმართ იესო ქრისტესა ყოველი მუჴლი მოდრკეს, ვითარცა ზეცისათანი და ქუეყანისათანი, ეგრეთცა ქუესკნელისათანი და ყოველმან ენამან აღუაროს მას“.** ისმინე გულსმოდგინედ და მე გაუწყო ყოველივე, რაოდენი საღმრთოთა წერილთაგან გამოვიძიენ და მისწუთა უცები გონებაჲ ჩემი; იგი აღვწერო და არა გარდავჴდე საზღუარსა მამათასა. მოციქულისა სიტყუაჲ გესმა ვითარ იტყჳს ყოვლისა მუჴლისა მოდრეკასა და ქუესკნელს შინა აღსარებასა. ვინათგან წინაწარმეტყუელი დავით

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტყჳს: **„სიკუდილსა შინა ვინ მოგიხსენოს შენ ანუ ჯოჯოხეთს შინა ვინ აღგიაროს შენ“** (ფსალმუნი 6,6). ხოლო არა წინა აღუდგების მოციქული სიტყუასა მას წინაწარმეტყუელისასა, არამედ ფრიადცა დაამტკიცებს, რამეთუ ვიდრე ქრისტეს მოსლვადმდე არა იქმნა ჯოჯოხეთს შინა აღსარებაჲ, არამედ იქმნა რაჲ დიდი იგი განგებულებაჲ ღმრთისა – სიტყჳსა განჳორციელებაჲ და ჯუარცუმაჲ და სიკუდილი; და შთარახდა ქუჱსკნელს პყრობილთა მიმართ და ჰქადაგა მუნ შინა შეყენებულთა მიმართ, მაშინ აღუარეს და მოუდრკეს მუჴლნი ქუესკნელთა შინა მყოფთანი, ვითარცა ზეცისათანი და ქუეყანისათანი, ეგრეთცა ქუესკნელისათანი. და რომელთაცა აღუარეს იგინაცა აღმოიყუანნა. არამედ არა ყოველნი, რომელნიცა არა მორწმუნე ექმნეს. ამის სიტყჳსა უვრცელესი განმარტებაჲ წმიდისა იოანე დამასკელისა მიერ თქმული, მცირედ ქუემორე აღვწერო, რათა უმეტეს სარწმუნო თქუენდა იქმნეს. ხოლო აწ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ, რათა ჩუენ მიერცა გეუწყოს ძალი ამათ სიტყუათა.

ხოლო ვინ იყვნეს, რომელნი არა მორწმუნე ექმნნეს, ვინაჲთ-გან ნათელი იგი თვალშეუდგამი, შთაჴდა პყრობილთა მიმართ ქუესკნელს ბნელთა და აჩრდილთა სიკუდილისათა და ქადაგა მუნ შეყენებულთა მიმართ, ვითარცა მოვიჴსენეთ მოციქულისა პეტრეს მიერ თქმული. ვინ იყო სრულიად დაბნელებული და დანთქმული ურწმუნოებითა ეგევითარსა სასჯელსა შინა მყოფი და არა შეი-წყნარებდა მისლვასა მისსა, ანუ არა აღიარებდა ღვთაებასა მისსა, ანუ არა მოუდრეკდა მუჴლთა; რამეთუ არა უჴმდა ქადაგებაჲ დიდსა აბრაჰამს, არცა ისააკსა და იაკობს, არცა ნოეს და იობს, არცა სხუათა მათ წინაწარმეტყუელთა და მართალთა, რამეთუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორითვე ხედვიდეს იგინი მოსლვასა მისსა და ჯოჯოხეთს შინაცა მიწევნასა მათდა მიმართ და რადღა უჴმდა ქადაგებაჲ, ანუ მუნ მიწევნულსა მათდა მიმართ ვითარ არა იცნობდეს? არამედ თავადი ბრძანებს: „არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა“, რამეთუ მუნცა წოდებად ცოდვილთა შთავიდა და ქადაგა, რომელნი ურჩ ოდესმე იყვნეს ნოეს ზე შემზადებასა მას კიდობნისასა. ესე ვითართა უღმრთოთა შორის ქადაგა და რაჲსათჳს არა შეიწყნარეს; არამედ მე ესრეთ ვჰგონებ ვითარმედ: ეშმაკნი მუნ მყოფნი, რომელთა ჰყვა მუნ შინა პყრობილნი ადამისითგან და ვიდრე ქრისტესამდე, დიდად იქადოდა მათ ზედა და ვინაჲთგან მასაცა ასმიოდა წინაწარმეტყველთაგან იგავით, მოსვლა ქრისტესი, და მუნ პყრობილნიცა მოელოდეს, ხოლო ეშმაკნი ტყუვილისა მიერ და ბგერებისა მიერ ჴმათასა და ოცნებისა ეტყოდეს მოსლვასა მხსნელისასა და შეაცდუნებდეს რომელნი პირველვე ცთუნებულ იყვნეს მათ მიერ, ურწმუნოებისა თანა სხჳთაცა მრავლითა ბუნებისა გარეგანითა ცოდვითა.

ამისთჳსცა არღარა ისმინეს ქადაგებაჲ ქრისტეს შთასლვისა, არცა აღუარეს, არცა მოუდრიკნეს მუჴლნი, არამედ უმეტესად დაბნელდეს და დაშთეს მუნვე ქუესკნელთა შინა, ხოლო რომელნი მორწმუნე ექმნნეს, უღმრთონი და ცოდვილნი და „სახლნი განმამწარებელთანი“, პრველ წყლით რღუნისა ნოეს ზე და შემდგომ ნოესა კერპთ მსახურნი და მერმე სჯულსა შინა ისრაჱლთაგანნი, რომელ არიან **„სახლნი განმამწარებელნი მისნი“,** ამათ, რომელნიცა დაღაცათუ უღმრთონი იყვნეს და ურწმუნონი, არამედ ბუნებითსა სჯულსა ჰყოფდეს და სიმართლესა იღუწიდეს მუნ მიწევნასა ქრისტესა გამოუბრწყინდა ნათელი. მუნცა ისმინეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქადაგებად ქრისტესი და მათცა მოუდრიკნეს მუჴლნი და მორწმუნე ექმნნეს. იგინი აღმოიყვანნა სიღრმეთაგან ქუესკნელისათა ვითარცა წიგნი ფსალმუნთა იტყჳს: **„რომელმან გამოიყუანნის კრულნი სიმჴნითა თჳსითა; ეგრეთცა განმამწარებელნი მისნი, რომელნი დამკჳდრებულ არიან სამარებსა“** (ფსალმუნი 67,7). ხოლო ვინ არიან განმამწარებელნი მისნი, რომელთა განამწარეს იგი: — არამედ სახლნი ისრაელთანი, რომელნი მრავალგზის განუდგეს ღმერთსა და მიიქცეს კერპთმსახურებად და განამწარეს წმიდად იგი ისრაჱლისა, ვითარცა იგი ეზეკიელ წინასწარმეტყველი ამხილებს და იტყჳს: **„თქუა უფალმან ჩემდა მომართ: ძეო კაცისაო, მიგავლინო შენ სახლსა ისრაჱლისასა განმამწარებელთა მათ ჩემთა, რომელთა განმამწარეს მე: და მამათა მათთა შეურაცხ-მყუეს მე, ვიდრე დღეინდელად დღედმდე და ძეთა მათ ქედფიცხელთა და გულფიცხელთა“** (ეზეკიელი 2,3) და შემდგომი. ესენი არიან განმამწარებელნი მისნი და ამათ, ესევითართა ვითარ ეტყჳს წინაწარმეტყველი გამოყვანასა ჯოჯოხეთით, და ვითარ იქმნა გამოჴსნა მათი შთასლვითა ქრისტესითა? თქუენ იხილეთ და განიცადეთ, რამეთუ წმიდად მოციქული პეტრე იტყჳს, ვითარ ზემო ვახსენეთ: **„საპყრობილესა მას სულთასა მივიდა და ქადაგა, რომელნი-იგი ურჩ ოდესმე იყუნეს, რაჟამს ერთგზის თავსედვა სულგრძელებასა მას ღმრთისასა დღეთა მათ ნოესთა, შემზადებასა მას კიდობნისასა“** (I კათოლიკე პეტრესი 3,20). და დავით წინაწარმეტყუელი იტყჳს: **„გამოყვანასა კრულთასა სიმჴნითა და განმამწარებელთა მისთასა დამკჳდრებულთა აჩრდილთა სიკუდილისათა“** (ფსალმუნი 67,7). ამისთჳს ვიტყჳთ ვითარმედ: შთასლვითა მჴსნელისადთა ჯოჯოხეთს შინა, მრავალთა ექმნა გამოჴსნა. არა ხოლო თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისრაჱლთაგანთა მართალთა და წმიდათა, არამედ პირველ წყლით რღუნისა და შემდგომად სჯულსა შინა განმამწარებელთა მისთასა, და ჩუენ მიერ თქმული ესე არს, რომელნი წამებითა მრავლითა საღმრთოდთა წერილთასა განგიმარტე დაფარულნი და ძნიად მისაწდომელნი საიდუმლონი და აწ წმიდისა იოანე დამასკელისა სიტყვები ისმინეთ, რომლისა მეგულვების აღწერა და ნუ უცხოდა გიჩნდების სიტყუანი ესე წმიდათანი. „ხოლო სიტყჳსა მისთჳს წინაწარმეტყუჱლისა, ვითარმედ: „ჯოჯოხეთს შინა ვინ აღგიაროს შენ“ წინასწარვე გვითქვამს ვითარმედ საშინელ არიან შინებით თქმანი ყოველთა მხედველისანი, არამედ მათ ყოველთა სძლევს კაცთმოყვარებაჲ მისი, რამეთუ შემდგომად სიტყჳსა ამის წინაწარმეტყველისა მიერ თქმისა, უკანასკნელღა იქმნა ჯოჯოხეთს შინა აღსარებაჲ უჱჭუჱლი. მათ მიერ ვიტყჳ, რომელთა იგი ჰრწმენა მისი: შთასრული იგი მათდა მაცხოვარებაჲ მეუფისა; რამეთუ არა ლიტონად ყოველნი აცხოვნნა მომცემელმან ცხოვრებისამან, არამედ ვითარ იგი თქმულარს: მუნცა მორწმუნენი ოდენ. აწ უკუჱ ვიეთნიმე იტყჳან ვითარმედ მათ ხოლო იტყჳან მორწმუნედ, რომელნი წინათვე მორწმუნე ყოფილ იყუნეს მისნი. ესე იგი არიან მამანი და წინაწარმეტყუელნი, მსაჯულნი და მეფენი და მათ თანა ადგილ მჰყრობნი და სხუანი ვიეთნიმე ერისაგან ებრაელთასა. ადვილად აღსარიცხუჱლნი და ყოველთა საცნაურქმნილნი. ხოლო ჩუენ წინა აღუდგებით ამისთა ესრეთ მგონებელთა და ვიტყჳთ ვითარმედ: არცა ნიჭი, არცა სასწაულ გინა საკჳრველებაჲ არს ამისი ესრეთ თქმა, ვინაჲთგან მხოლო მსაჯული სიმართლისა არს და ყოველი, რომელსა ჰრწმენეს მისა მიმართ არა დაეყენების და რაჲ საკვირველ არს ქრისტეს მიერ ცხოვნებაჲ და ჯოჯოხეთისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კრულებათაგან გამოჴსნა მათი შთასვლითა მათდა, ყოველთა მეუფისა-ღმრთისათა, რომელი ესე იქმნა წინაგანსაზღვრებულითა მით განგებულებითა მისითა.

Არამედ მართლმსაჯულებით ცხოვნებულთა თანა ჯერ იყო ვიეთიმე ცხოვნებაჲ მხოლოდ მიზეზითა ოდენ კაცთმოყუარებისათჳს, რომელნი იგი არიან ვითარ ესე მე ვჰგონებ: ყოველნი, რომელთა განწმედილნი ცხოვრებაჲ აქუნდა და ყოველსავე სათნოებისა საქმესა აღასრულებდეს კეთილად ცხოვრებითა, კრძალულებით და სიწმიდით. ხოლო სარწმუნოებისა სრულებაჲ და საღად განბრწყინვებაჲ შემდგომად არა მიელო, არცა გამოცდილ იყუნეს, არამედ შემდგომად უსწავლელად დაშთომილ იყუნეს. ესენი ყოველთა სახიერებისა საუნჯემან და მეუფემან მოიზიდნა და მოინადირნა ბადითა მით - საღმრთოჲთა წყალობისაჲთათა, რამეთუ მათცა ყოველთა, მუნ ჰრწმენა, შემდგომად ყოვლითურთ მათ ზედა გამობრწყინვებითა საღმრთო შარავანდედი; რაჯამს ქრისტემან უჩუჱნა მათ ნათელი ჭეშმარიტებისა.

Არა თავს იდვა ბუნებით თანალმობილმან ცუდყოფაჲ შრომათა მათთა, რომელი იგი მოეგო მათ — ცხოვრებაჲ საჭირველი, სატკივარი და იწრო. ზეშთა სიტყჳსა თჳთ მპყრობელ ქმნითა ვნებათათა: რაჟამს განიყარეს ბიწი გემოვნებათა, მოიღვაწეს უპოვარებაჲ და მარხვა მღჳძარებითურთ, და ერთბამად ყოველთა კეთილთა მოქმედებაჲ. დაღაცათუ არა ღვთის მსახურებით გარნა ექმნავე ვითარ იგინი ჰგონებდეს, ჯეროვნად მონებითა ზეგარდამდოსა განგებულებისათა, არამედ იგიცა ცთომილადვე, და იყვნეს ვიეთნიმე, რომელთა საღმრთო იგი დიდებაჲ ყოვლად ძლიერისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამებისა ეცნა რაჲმე. დაღაცათუ წულილად და მცირედ, არამედ ეგრეთცა ცნობითვე და კუალად სხუანი იტყოდეს განჴორციელებასა სიტყჳსასა, წმიდათა მათ ვნებათა და აღდგომასა მისსა.

ხოლო სხვათა, შობაჲცა იგი მისი ქალწულისაგან წინათვე თქუეს სახელებითა რაჲთმე: რამეთუ ბევრეულნი სახელნი თქუნეს ყოვლადწმიდისა ქალწულისანი. კუალად სხუათა ვიეთმე წინათვე წარმოთქუნეს ზეშთა ბუნებისანი იგი საკჳრველებანი ქრისტესნი. აღდგინებაჲ მკუდართა, განკურნებაჲ ყრუთა და უტყუთა, განრღუჱულთა და ძნიად მეტყველთა. დაჴსნა ჴურვებათა ეშმაკეულებათა და წყლით მანკიერებათა, განმრთელებაჲ ჴელისა განხმულისა, სლვა ზღვასა ზედა, კურთხევა პურთა და თევზთა, წყლისა ღჳნოდ შეცვალებაჲ, დაყენებაჲ სისხლის დინებისა, აღმართებაჲ ღრეკილისა. ესე ყოველნი სხუათა უმრავლესთა თანა წინა მოასწავნეს წინაწარმეტყველებით, ვინაცა ესევითართა მათ ძლიერებამან საღმრთოჲსა სიტყჳსამან არა თავს იდვა უგულებელსყოფაჲ წარწყმედულებასა შინა, არცა წარწყმედა კეთილთა საქმეთა მათთა, რამეთუ მისდა ვასხებულსა რასმე ვერცა ერთი რაჲ შეაშთობს სიმრავლე წელთა, ვითარ იგი პირველვე ვთქუთ. არამედ დამარხულად უკუნ სცეს მას ყოველთა კეთილად ცხოვრებულთა აღნადგინებითურთ.

ხოლო რომელნი ბოროტად ცხოვრებულ იყვნეს და არცა რაჲ ექმნა კეთილთა საქმეთაგნი: არცა ერთი რაჲ მოეგო თესლთა ანუ ნაყოფთაგანი, არამედ ცხოვრებითა და სიტყჳთა და სარწმუნოებითა ყოვლითურთ ცთომილ იყვნეს და არცაღა ზეცით გარდამოსრული იგი მათ ზედა წჳმა მიეღო ჯერისაებრ სახმარად: ვითარცა პირველ ვთქუ უღონოებითა თესლისათა. რაჲსათჳს არა აღმოუბრწყინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ მზე დიდებისა. ამისთჳსცა განჴმეს ვითარცა ყოვლად უნაყოფონი, რომელთა ყოვლად არა სარგებელ ეყო მოსლვაჲ იგი ქრისტესი. ესენი, ვითარ ჰვგონებ, არა აღადგინნა მის თანა დაცემულებისაგან: ვითარცა ყოვლად უღირსნი ცხოვრებისანი, ვინათგან არცაღა მაშინ ჰრწმენა მისა მიმართ, რამეთუ დაბრმობილ იყუნეს გონებანი მათნი და დაბნელებულ თვალნი გულისანი ბნელისაგან ამპარტავნებისა და ვეშაპისა მისგან ბოროტისა, რომელსა იგინი ჰმონებდეს პირველითგან, რათა ხილვით იხილონ და ვერ გულისჴმაყონ, სმენით ესმოდის და არა იცნან, არცა შემდგომად მოიქცეს: ხოლო სხვანი ყოველნი, რომელთა მათ შორის ქონებითა კეთილთა თესლთათა სარგებელ იყვნეს ნაყოფიერებისათჳს მათდა აღმობრწყინვებული იგი მზე, ნაყოფი აღდგომისა მიენიჭა მათ წჳმისა მიერ ზეგარდამოჲსა.

Oხილეთ სადა აღმიყუანნა სიტყუამან წინაძღომითა თჳსითა და მყვნა შეწევნითა ღვთისაჲთა აღმჴსნელ და განმბრჭობელ საქმესა კნინღა დაფარულსა. რომელი ესე ვთქუათ არა თუ განჩინებით ვერ ღირსებისათჳს, არამედ გამოძიებით ძმათმოყვარებისათჳს: ვითარმედ ესენი არიან ჯოჯოხეთს შინა ცხოვნებულნი ქრისტეს მიერ, ვითარმედ ესე მე ვჰგონებ: ვინაცა თანამოქმედებითა ქრისტესითა საცნაურ ვყავთ ვითარმედ იქმნა ჯოჯოხეთს შინა აღსარებაჲ. ხოლო ამას რაჲ ვიტყჳთ, არა თუ წინასწარმეტყველებასა წინა აღუდგებით ნუ იყოფინ, არამედ გამოჩინებაჲ გუნებავს ზეშთა სახიერებისა ღმრთისა, რომელი იგი მარადის იძლევის თჳსთა კაცთმოყვარებათაგან". (იოანე დამასკელისა მიერ თქმული ესე ყოველი მიცვალებულთა საკითხავისაგან)

Eსე სიტყუანი წმიდისა იოანე დამასკელისანი არიან, რომელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესერა ვრცელად აღვწერეთ და მოვიხსენეთ და ჩუენ მიერცა თქმული ზემოთგან მოხსენებულნი, რომლისა მოწამედ მომიყუანიან წმიდანი მოციქულნი და წინაწარმეტყველნი, ვითარმედ იქმნა ჯოჯოხეთს შინა შთასლვა ქრისტესი, აღსარებაჲ და გამოჴსნა მუნ შინა პყრობილთა. არა ხოლო თუ მართალთა და ღირსთა, არამედ უღირსთა და უმრთოთაცა, რომელთა მცირედცა რაჲმე კეთილისა საქმე უძღოდა. არა ხოლო თუ იუდეველთა, არამედ კერპთ მსახურთაცა და ნოეს ზე უღვთოთა. და არცა ესე არს საკვირველ თუმცა მეუფჱსა ქრისტესა, ვინაჲთგან კაცთათჳს სიკვდილი დაითმინა, რათა სისხლითა თჳსითა არა ხოლო თუ ღირსნი წყალობისანი გამოეხსნნა, არამედ უღირსნიცა: ვინაჲთგან მონათაცა თჳსთა მისცა ესე ვითარი ჴელმწიფებაჲ, რათა ქუჱსკნელით ჯოჯოხეთით ივსნიდენ უმრთოთა და უსჯულოთა. ვითარცა დიდმან გრიგოლი — უღვთო და უსჯულო ტრაიანე მეფე, წმიდამან თეკლე პირველმოწამემან — ასული ფალკონილასი, წმიდამან გიორგი — მღვდელი კერპთა და დიდმან მაკარი — ძუჱლთა მეკერპეთა მკუდართაგანი. გამოიყვანეს ჯოჯოხეთით სულნი მათნი და შეაერთნეს ჴორცთა და წარმოადგინნეს.

ხოლო ესე ჴორცითა წარმოდგინებაჲ წმიდამან მოწამემან გიორგი და დიდმან მაკარი ქმნნეს, ხოლო წმიდამან თეკლა და წმიდამან გრიგოლი, სულნი ოდენ გამოიხსნნეს ჯოჯოხეთით. ვინ იყნეს ამათსა უმძჳნვარესსა და უსასტიკესსა ტანჯვასა შინა, ანუ, რაჲ არს სხუაჲ საუკუნო ჯოჯოხეთი, რომელსა შინა ესენი არა იყვნეს.

არამედ ესე არს ნებაჲ მათი, რათა დაამტკიცონ მათ მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონებული და დამტკიცებული სჯული. ვითარმედ: არს სხვაჲ ჯოჯოხეთი ცეცხლისა, სულთა განმწმედელი და საუკუნო, სხვაჲ ჯოჯოხეთი, რომლისაგან არღარა იქმნების მუნით გამოყვანებაჲ სულთა და აწვე მიეგების მართალთა და ცოდვილთა საქმეთაებრ თჳსთა შემდგომად მეორედ მოსლვისა. ჩანს სიტყჳთა ამით, რამეთუ არა აღიარებენ აღდგომასა მკუდართასა და მეორედ მოსლვასა ქრისტესა, არცა განახლებასა ჴორცთასა, რათა მრავლობით მიეგოს მისაგებელი სულსა და ჴორცთა.

რაჲსათჳს არა მოიხსენებენ წმიდისა მოციქულისა პეტრეს სიტყუათა, რომელსა სიცრუით იქადიან და არა ემორჩილებიან, რომელსა იტყჳს: **„ხოლო აწ ცანი და ქუეყანაჲ მითვე სიტყჳთა დაუნჯებულ არიან, ცეცხლისა დამარხულნი დღედ სასჯელისა და წარწყმედისა უღმრთოთა კაცთაჲსა“** (II კათოლიკე პეტრესი 3,7). რაჲსათჳს არა დასწერა: უღმრთოთა აწვე მიეგებისო და არღარა ალოდინებენ მეორედ მოსლვასა, არცა მკუდართა აღდგომასა, არცაღა მრავლობით მიგებასა სულითა და ჴორცითაო, არამედ ესრეთ ვითარმედ ცეცხლისა დამარხულნი, დღედ სასჯელისა და წარწყმედილისა უღმრთოთა კაცთასა.

ესე და სხუანი უმრავლესნი ამათსა, წერილ არიან სხუათა წიგნთა შინა ამის პირისა დასამტკიცებელი, ვითარცა პირველცა აღგვიწერიეს და სხუაჲცა მრავალი, რომელი სიმრავლისათჳს არა აღვწერეთ, რათა გრწმენესთ ვითარმედ პირველ მეორედ მოსლვისა, ვიდრემდის სულნი და ჴორცნი არა შეერთდენ, რომელთა ზოგად იმოქმედეს კეთილი გინა თუ ბოროტი, მუნამდე არა იქმნების სრული მისაგებელი. დაღაცათუ აწვე სულნი ცოდვილთანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განრაჲვიდენ ჴორცთაგან, შევლენ სასჯელთა შინა, ეგრეთვე სულნი მართალთანი სიხარულსა შინა იშუებენ, არამედ კერძოებით და დაკლებულად, რამეთუ ჴორცნი აქავე არიან მათ ყოველთანი და არღა ქმნილ არს აღსასრული, არცა არს ჯერეთ საუკუნო ჯოჯოხეთი, არცა ცეცხლი განმწმედელი, რომელსა იგინი ბოროტად ზრახვენ და არა შეუდგებიან მოძღვრებასა წმიდათა მოციქულთა და ნეტართა მამათასა, არამედ თჳსსა მუცელსა და ტკბილად მეტყველებითა აცთუნიან გულნი უმანკოთანი.

ხოლო თქუენ, შვილნი კათოლიკე ეკლესიისანი, დაფუძნებულნი და აღშენებულნი საფუძველსა მოციქულთა და წინაწარმეტყველთასა, რომლისა თავსაკიდურთა მისთა არს ქრისტე იესო: ლოდი რჩეული და კლდე ცხოვრებისა, ნუ დაუტევებთ საფუძველსა მას, ნუცა გარდავჴდებით საზღუარსა მამათასა, რათა მკჳდრ ვიქმნნეთ ცხოვრებასა საუკუნოსა ქრისტე იჱსოს მიერ ღმრთისა ჩუენისა, რომელსა შუჱნის ყოველი დიდებაჲ პატივი და თაყუანისცემა მამისა თანა სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XX თავი

ნათლისღებისათჳს, თუ ვითარ ჩუენ მართლმადიდებელნი მოძღვრებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და ღმერთშემოსილთა მამათასა სამგზის ემბაზსა შინა შთაფლვითა და წყალთაგან აღმოშობითა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა ნათელვიღებთ ჴელითა მღუდელთაჲთა, ხოლო ლათინნი არა ესრეთ, არამედ ყოვლითურთ წინააღმდგომსა იქმენ: არცა ემბაზსა შინა სამგზის შთაყოფითა, არცა მხოლოდ მღვდელთაგან, არამედ ვითარცა დახუდეს ერის კაცთა და დედათა მიერ ნათელსცემენ

ნათელმან სოფლისამან ქრისტემან ინება რაჲ ჴსნა კაცთა ნათესავისა, გარდამოჴდა უხრწნელთა წიაღთაგან დაუსაბამოსა და უხილავისა მამისათა და იქმნა მსგავს ჩუენდა თჳნიერ ცოდვისა, და იხილვა ვითარცა კაცი, ორითა ბუნებითა — ღმრთეებისა და კაცებისათა; და ჩუენი ყოველივე თავს იდვა უცოდველმან საქმენი, რათა ადამ აღიყვანოს პირველსავე პატივსა და ჩუენ ყოველნი ადამის ძლით დასჯილნი გუაცხოვნნეს.

ხოლო პირველი და თავი გამოჴსნისა ჩუენისა და ცხოვნებისა, სხუაჲ არა რაჲ არს თჳნიერ ნათლისღებისა და მეორედ შობაჲ წყლისაგან და სულისა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისასა, რამეთუ თჳნიერ ამისა არა იქმნების ცხოვნებაჲ ჩუენი.

ამისთჳს მან თავადმან შემდგომად უხრწნელად შობისა და ქუეყანასა ზედა ქცევისა, მეოცდაათესა წელსა პირველად ესე მიიღო და თავს იდვა უცოდველმან მან და ყოველთა ბილწებათაგან თავისუფალმან განბანაჲ წყლითა, და განშიშვლებული შთაჴდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იორდანესა შინა, მდინარესა, ველსა ქუეშე იოანე წინამორბედისა და ნათლისმცემელისა და ნათელიღო; რომელსა დაუსაბამო იგი მამა უხილავად ეწამა ზეგარდამო და თქუა: **„ესე არს ძე ჩემი სასყვარელი...“** (მათე 3,17). ხოლო ჴმაჲ იგი დაამტკიცა ტრედის სახითა მოსრულმა სულმან წმიდამან და ჩუენ დაგჴდვა სახე ესევითარი, რათა შიშუტლნი შთავხდეთ წყალთა შინა ველთა ქუეშე მღვდელისათა და სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა აღმოვიშუნეთ, ვითარცა იგი თავადი წყალთა შინა, ველსა ქუტშე იოანესათა.

და ვითარცა იგი ჴორციელად შიშუტლნი ვიშუტნით დედის მუცლითგან, ეგრეთვე მეორდ ვიშუნეთ სულიერად წყლისაგან და სულისა.

ვითარცა იგი თავადი ეტყოდა ნიკოდიმოს სჯულის მოძღვარსა: **„ამენ, ამენ გეტყჴ შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ ველ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ცათაჲ. ჰრქუა მას ნიკოდიმოს: ვითარ ველე-წიფების კაცსა ბერსა შობად? ნუ უკუე შესაძლებელ არს მუცელსა დედისა თჳსისასა შესლვად მეორედ და შობად? მიუგო იესო და ჰრქუა მას: ამენ, ამენ გეტყჴ შენ: უკუეთუ ვინმე არა იშუეს წყლისაგან და სულისა, ვერ ველ-ეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა. შობილი იგი ჴორცთაგან ჴორცი არს, და შობილი იგი სულისაგან სული არს. ნუ გიკჳრნ, რამეთუ გარქუ შენ ესე: ჴჯერ-არს თქუენდა მეორედ შობაჲ. სულსა ვიდრეცა უნებნ, ქრინ, და ჴმაჲ მისი გესმის, არამედ არა იცი, ვინაჲ მოვალს და ვიდრე ვალს. ესრეთ არს ყოველი შობილი სულისაგან. მიუგო ნიკოდიმოს და ჰრქუა მას: ვითარ შესაძლებელ არს ყოფად ესე?**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუგო იესო და ჰრქუა მას: შენნ ხარ მოძღუარი ისრაჵლისაჲ და ესე არა იცია“ (იოანე 3,3)?

რაჲსათჳს ეტყჳს ღმერთი ნიკოდიმოსს: **„შენ ხარ მოძღუარი ისრაჵლისა და ესე არა უწყია?“** ოდეს ეხილვა ანუ ასმიოდა სჯულსა შინა ნიკოდიმოსს ისრაჵლთა შორის ნათლისღებაჲ თჳნიერ იოანეს მიერ ნათლისმცემელისა; ხოლო მასაცა არა ჴელეწიფებოდა სულისა წმიდისა მონიჭებაჲ. ვითარცა თჳთვე თავადი იოანე ეტყოდა ჰურიათა, ვითარმედ: **„მე ნათელ-გცემ თუენ წყლითა, ხოლო მოვალს უძლიერესი ჩემსა, მან ნათელ გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა“** (ლუკა 3,16).

და მოციქული პავლე მიიწია რაჲ ეფესოდ, პოვნა მოწაფენი და ჰრქუა: **„უკეთუ სული წმიდაჲ მიგიღებიეს და გრწამს? და მათ ჰრქუეს მას: [არამედ] არცაღა არს, თუ სულიწმიდაჲ გუასმიეს. ჰრქუა მათ პავლე: რაჲთა უკუე ნათელ-გიღებიეს? ხოლო მათ ჰრქუეს მას: იოანეს ნათლისცემითა. ჰრქუა მათ პავლე: იოანე ნათელ-სცემდა ერსა და ეტყოდა მომავლისა მისთჳს, შემდგომად მისსა, რაჲთა ჰრწმენეს. ესე იგი არს იესო ქრისტე. ხოლო მათ, ვითარცა ესმა, ნათელ-იღეს. და დასხმითა ჴელთა პავლესთაჲთა მათ ზედა მოვიდა მათ ზედა სული წმიდაჲ, იტყოდეს ენათა და წინაჲსწარმეტყველებდეს“** (საქმე 19,2).

ესე ამისთჳს ვთქუ ვითარმედ, თჳნიერ ამისა ნიკოდიმოსს არა ეხილვა ნათლისღებაჲ ისრაჵლთა შორის და ესეცა ლიტონითა წყლითა სინანულად და არა თუ მონიჭებითა სულისა წმიდისათა.

რაჲსათჳს ეტყჳის ქრისტე: **„შენ ხარ მოძღუარი ისრაჵლისა და ესე არა უწყია?“** არამედ უკეთუმცა ძუჵლითგანვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაწარმეტყველთაგან მოსწავებით არა თქმულ იყო და იგავისა სახით და უფროდასად ჭეშმარიტებით არა ქმნილ იყო, არცა ღმერთი უბრძანებდა ნიკოდიმოსს: **„შენ ხარ მოძღუარი ისრაჱლისა და ესე არა უწყია?“** და უკეთუ სხუებრ რადმე ქმნულ იყო სჯულსა შინა ნათლისღებაჲ ვითარცა ლათინნი იქმან მცირედისა წყლისა შეხებითა გინა სხურებითა და არა შიშულივ წყალთა შინა აღმოშობაჲ ძუჱლთა სჯულსა შინა. არცა ღმერთი უბრძანებდა ესრეთ: **„ჯერარს თქუენდა მეორედ შობა“**. არცა თჳთ, თავადი ღმერთი შიშუჱლი აღმოიშობოდა წყლისაგან, არცა კუალად ეტყოდა ნიკოდიმოს: **„უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა ვერ ჴელეწიფების შესლვად სასუფეველსა ცათასა“**.

აწ ვიტყოდით ძალითა სულისა წმიდისაჲთა თუ ვითარ ძუჱლსა სჯულსა შინა მოესწავა, ანუ ვითარ ასმიოდა ნიკოდიმოსს.

მოსე, დიდი იგი წინაწარმეტყველთა შორის, რაჟამს განიყვანებდა ისრაელთა ეგვიპტით, და განუპო ზღუაჲ იგი მეწამული და განიყვანნა მას შინა, არა ცხადი და ჭეშმარიტი ნათლისღებისა სახე იყოა და წყლისაგან აღმოშობისა? ვითარცა განმარტებს მოციქული პავლე და იტყჳს: **„არა მნებავს უმეცრებაჲ თქუენი, ძმანო, რამეთუ მამანი ჩუენნი ყოველნი ღრუბელსა ქუეშე იყუნეს და ყოველნი ზღუასა განჴდეს. და ყოველთა მოსეს მიერ ნათელ-იღეს ღრუბლითა მით და ზღუთა; და ყოველთა იგივე საზრდელი სულიერი ჭამეს და ყოველთა იგივე სასუმელი სულიერი სუეს; რამეთუ სუმიდეს იგინი სულიერისა მისგან კლდისა, რომელიცა შეუდგა; ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე“** (I კორინთელთა 10,1). ესე არს ცხადი მეორედ შობაჲ წყლითა, რამეთუ ესეოდენნი იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმრავლე ისრაჱლთა ფერეთითგან ვიდრე თავადმდე, და მრავალ წილ უმაღლეს ზეშთა თავისა იყო წყალი იგი და ესრეთ განვლეს მას შინა.

ეგრეთვე დავითის მიერ თქმული გულისჴმაყავ ვითარმედ: **„უფალმან წყლით რღუნაჲ დაამკჳდრნის; და დაჳდეს უფალი მეუფედ უკუნისამდე“** (ფსალმუნი 28,10).

რაჲ არს ესე წყლით რღუნა, რომელი უფალმან დაამკჳდრა. – ესე არს ჭეშმარიტად წმიდა ნათლისღება, რამეთუ ამით წარირღუნების ყოველი ბილწებაჲ ცოდვისა და შვილ ღმრთისა და თანამკჳდრ ქრისტესა გვყოფს. და უკუეთუ არა იშუეს კაცი წყლისაგან, ანუ ისხუროს, ანუ ერთკერძო ასოთაგანცა იცხოს, ვითარ იქმნების წყლით რღუნა და ვითარ ერქუმის. უკეთუ უმრავლესი ასოთაგან დაშთეს წყლისაგან მიუახლებელი; არამედ მას ეწოდების წყლით რღუნა, რათა სრულიად შთაჴდეს კაცი წყალთა შინა და აღმოიშვეს, და მას შინა განიბანოს ბიწი ჴორცთა და სულისა სახელითა წმიდისა სამებისათა. ამას ეწოდების წყლით რღუნა და ვითარცა ჴორცთა ბიწი არა განიბანების და არა განირ[ე]ცხების უკუეთუ არა დაილტოს წყლითა, ეგრეთვე სულისა გულისჴმა ყავ, დაღაცათუ თჳნიერ სულისა წმიდისა არა იქმნების. არამედ, ყოველივე საიდუმლო, ხილულთაგან დამტკიცნების და უხილავთაგან სრულ იქმნების.

ეგრეთვე ელისეს მიერ წინაწარმეტყველისა: სიღრმეთაგან წყლისათა რკინისა აღმოღებაჲ – ესეცა ნათლისღებისა განცხადებული სახე იყო, რამეთუ წყალთა შინა შთასლვითა და აღმოშობითა ვიქმნებით შვილ ღმრთისა და არა თუ გარეშე სხურებითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეხებითა. ეგრეთვე ნემან ასურისა იორდანესა შინა შიშულივ შთასლვა და აღმოსლვა ელისეს სიტყჳთა და განწმედა კეთროვანებისაგან; ესეცა უმეტესი ნათლისღებისა სახე იყო, რამეთუ შიშულივ შთაჴდა წყალთა შინა და აღმოიშუა და არა თუ ერთ კერძო იცხო ანუ თუ ისხურა.

Ესე და ესევითარნი წარეკითხნეს ნიკოდიმოსს და მეცნიერ იყო. ამისთჳს ეტყოდა ღმერთი: **„შენ ხარ მოძღვარი ისრაჱლისა და ესე არა უწყია?“.**

Ამის ყოვლისა ვითარცა ჭეშმარიტად ზედამიწევნით მეცნიერი, წმიდა იოანე ნათლისმცემელი შიშუჱლთა ნათელსცემდა ჰურიათა იორდანესა შინა და ეტყოდა: **„რომელმან მომავლინა ნათლისცემად, მან მრქუა მე ესრეთ“. და შემდგომი** (იოანე 1,33).

Ეგრეთვე წმიდანი მოციქულნი, ყოველნივე შიშუელთა ნათელ სცემდენ წყალთა შინა სამ გზის, სახელსა ზედა წმიდისა სამებისა. ვითარცა წერილ არს ფილიპესთჳს, რაჟამს საჭურისსა მას ნათელსცა: რამეთუ ესრეთ წერილარს: **„შთაჴდენ ორნივე წყალთა მათ შინა, ფილიპე და საჭურისი იგი“** (საქმე 8,38). ეგრეთვე წმიდა მოციქული პეტრე განშიშულებულთა ნათელსცემდა წყალთა შინა, ვითარცა წმიდისა კლემენტოზის ცხოვრებასა შინა წერილ არს. ვითარმედ: მამა, დედასა წმიდისა კლემენტოზისასა და სხუათა ურიცხუთა ერთა შიშუჱლთა ნათელსცა მდინარესა შინა.

Ჳუალად წმიდისა პანკრატ[46] მოციქულისა ცხოვრებასა შინა

46 *წმინდა პანკრატი იყო მაცხოვრის თანამედროვე. ის დაემოწაფა წმ. მოციქულ პეტრეს, თან ახლდა ანტიოქიასა და კილიკიაში. პავლე მოციქულმა წმ. პანკრატის სიცილიის ქალაქ ტავრომენის ეპისკოპოსად დასხა ხელი. მოღვაწე მწყემსი წარმართებმა ქვებით ჩაქოლეს. მისი ტროპარი ასე იწყება: „საქმით მიემსგავსე მოციქულთა და საყდართა მათსა ღირს იქმენ“.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილ არს, რომელი იყო მოწაფე წმიდისა პეტრესი. და ესეცა ურიცხვთა ერთა შიშუჱლთა ნათელსცემდა მდინარეთა შინა. ხოლო ამის პირისათჳს მრავალი გუაქუს მოსახსენებელი წმიდათა წერილთაგან და ცხოვრებისაგან წმიდათა მოციქულთასა, ვითარმედ: ყოველნივე შიშუჱლთა, წყალთა შინა ნათელსცემდენ. არამედ შეუძლებელ იყო ყოვლისავე თჳთეულად აღწერა, გარნა მცირეთღა ოდენ აღვწერო რათა ცხად იქმნას ჭეშმარიტებაჲ.

პუალად გრიგოლი პართეველმან, განმანათლებელმან სომხითისამან, მეფესა თრდატს და ერსა მისსა რიცხჳსა უმრავლესსა მდინარესა შინა დიდსა შიშუჱლთა ნათელსცა. ვითარცა წერილ არს ვრცელად ცხოვრებასა შინა მისსა.

ამისათჳს განეწესა ეკლესიასა შინა წმიდათა მოციქულთა მიერ ემბაზსა შინა ანუ თუ მდინარესა შინა სამგზის შთაფლვითა და აღმოშობითა ნათლისცემა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა: მამისა და ძისა და წმიდისა სულისა განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთასა; რომელი აღწერა წმიდამან კლემენტოს, ბრძანებითა წმიდათა თავთა მოციქულთა, რომელსაცა დაამტკიცებს კრებაჲცა იგი პირველი ნიკიესა, სამას ათრვამეტთა მამათა, რომელსა შინა წერილ არს ესრეთ ვითარმედ: **„უკუეთუ ვინმე არა სამგზის შთაყოფითა ნათელ სცესო სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა, იყავნ შერჩენებულ“**. ეგრეთვე ყოველნი კრებანი დაამტკიცებენ, ვითარცა იტყჳს მოციქული პავლე: **„ვითარმედ ძმანო: რომელთა-ესე ნათელ-ვიღეთ ქრისტე იჱსოს მიერ, სიკუდილისა მისისა მიმართ ნათელვიღეთ და თანა-დავეფლენით მას ნათლისღებითა მით სიკუდილსა მისსა. და შემდგომი“** (ჰრომაელთა 6,3)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამეთუ თანადაფლვასა ჴმობს წყალთა შინა მოციქული არა თუ სხურებასა ანუ თუ ცხებასა. ნუ იყოფინ!

ხოლო წმიდაჲ სილიბისტრო, პაპა ჰრომისა, დიდსა ემბაზსა შინა ნათელსცემდა მრავალთა; ვითარცა დიდსა კო[ნ]სტანტინეს, მასავე ემბაზსა შინა ნათელ-სცა და ყოველთა მთავართა მისთა და აწცა ვიდრე დღეინდელად დღედმდე იგივე ემბაზი დგას მასვე მოციქულთა ეკლესიასა შინა და სხუაჲ მეორე უდიდესი ემბაზი მდგომარე არს მასვე ეკლესიასა შინა საკდემელად და პირის დასაყოფელად მათდა, რომელნი გარდავ3დებიან განწესებასა წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასა.

აწ ვჰკითხოთ მოსავთა პაპისათა: თუ რაჲ სიტყუაჲ აქუსთ, რომელნი სხურებითა წყლისათა ანუ თუ მცირისა წუჱთისა შეხებითა ნათელსცემენ; გინა თუ მღვდელნი ანუ თუ ერის კაცნი; გინა თუ დედანი, რომელნიცა დახუდეს ეგრეთ ნათელსცემენ და ნათლისა წილ დაუტევებენ ბნელსა შინა სრულიად განუნათლებელსა. უკეთუ წმიდანი მოციქულნი და ღმერთშემოსილნი მამანი ესრეთ ნათელსცემდნენ, და წმიდაჲ სილიბისტრო პაპა ჰრომისა, მობაძავ მოციქულთა, და შჯდნივე მსოფლიონი კრებანი ესრეთ განაწესებენ, რათა ემბაზსა შინა სამგზის შთაფლვითა და აღმოშობითა ნათელსცემდენ, [და] თჳთ თავადისა ქრისტეს — ჭეშმარიტისა სჯულისმდებელისა მოძღვრებისაებრ, რამეთუ მანცა შიშუჱლმან შთასრულმან იორდანესა შინა ნათელ-იღო ჴელსა ქუჱშე იოანესა, რომელი იყო სამღვდელოსა ტომისაგან, - თჳთ მღვდელთმოძღვრისა ზაქარიას ძე. და არა სადა წერილ არს, არცა სმენილ, თუმცა თჳნიერ ამისა, რომელი მოვიჴსენეთ სხუებრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისმე ნათელელო, რომელსა აწ ჰყოფენ მოსავნი პაპისანი და ესრეთ ყოველთავე სამეუფოსა სჯულსა დაჰხსნიან და გარდავლენ საზღუარსა წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასა და არა გულისჴმაყოფენ ბრძანებასა ღმრთისასა, რომელსა იტყჳს: **„რომელმან დაჰჴსნას ერთი მცირეთა ამათ მცნებათაგანი და ასწაოს ესრეთ კაცთა, უმცირეს ეწოდოს მას სასუფეველსა ცათასა“** (მათე 5,19). ესე იგი არს, ვითარმედ: შეურაცხ იქმნეს და უპატიო და დაისაჯოს მეორედ მოსლვასა მას საშინელსა წინაშე საყდართა ქრისტესთა, რამეთუ „სასუფეველად“ მოსლვასა მას თჳსსა უწოდა თარგმანებისაებრ წმიდისა ოქროპირისა.

და უკეთუ მცირეთა მცნებათა დაჴსნისათჳს ესოდენი საშინელი სასჯელი განაწესა მეუფემან, რომელი არს ამისა უდიდესი მცნებაჲ, ანუ რომელი არს ამისა უაღრესი და უპირატესი სჯულისდებაჲ, რომელი თჳთ თავადმან პირველად ესე აღასრულა, რაჟამს გამოუცხადა თავი თჳსი სოფელსა და საქმით გვასწავა განშიშულებულთა წყალთა შინა ნათლისცემა. და ნიკოდიმოსსაცა ესრეთვე სჯულ-უდვა და ჰრქუა: **„უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ჴელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ღმრთისა“** (იოანე 3,5). ამას შინა დაჰჴსნიან და გარდაჴდებიან და არა ეშინისთ სასჯელთაგან, არცა შეიკდემენ ესეოდენთა უწესოებათაგან და იტყჳან: „რომელსაცა ასოსა გუამისასა შეეხების წყალი სრულიად განწმედილი შეიქმნებისო“. ამას სიტყვასა გარეშე საღმრთოთა სიტყუათასა იტყჳან, რამეთუ არავინა ჰყავთ მოწამე ამისი, არცა ვისგან სმენილ არს თუმცა ესრეთ ნათელ-ეცა, ანუმცა იგავით მოესწავებინა რომელსამე; არამედ თჳთ თაჳთ თჳსით დაჰჴსნეს სამეუფო ესე სჯულისდებაჲ და თჳთ განაწესეს უწესო ესე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძღვრებაჲ. ვითარცა სულისა მათისა. რამეთუ იზრახეს ზრახვა ბოროტი: **„ჰგონებდეს თავთა თჳსთა ბრძენ და განცოფნეს“** და შემდგომი (ჰრომაელთა 1,22).

ვინაჲთგან მეორედ შობაჲ უბრძანებია ღმერთსა წყლისაგან და სულისა, ესე არს შობაჲ იგი, რამეთუ ვითარცა ყრმა იშუშბის მუცლისაგან დედისა თჳსისა, ეგრეთ ჯერ არს ჩუენდა მეორედ შობაჲ წყლისაგან ემბაზსა შინა, გინა თუ მდინარეთა შინა და არა ერთ კერძოჲსა ასოსა დალტობაჲ და სხჳსა განჴმობაჲ[47] იქმნების. რათამცა ერთი რომელიმე ასო იშუას, გინა თუ თაჳ, ანუ სხუაჲ რომელიმე ასო დედის მუცლითაგან და სხუაჲ იგი გუამი დაშთეს მუცელსა შინა დედისასა, თუმცა ერქუა [მას] შობაჲ? ანუმცა სრული კაცი იყო იგი? ანუმცა ითქუმოდა ყოვლადვე კაცად? რამეთუ ვერცაღა შემდგომად სიცოცხლედ შემძლებელ არს მოსლვად.

ეგრეთვე არცა ესე იქმნების, თუმცა ერთსა ასოსა მიეახლოს წყალი და სხუა იგი დაშთეს ყოვლად განუბანელი და შეირაცხ-ამცა იგი ძედ ნათლისა და შჳლად სასუფევლისა. [ესე] არცა იქმნების მეორედ შობაჲ.

ესრეთ გარდავლენ ყოველსა წესსა და კანონსა მოციქულთა და მამათასა. არცა ემბაზსა შინა ნათელსცემენ სამგზის, არცა მარტოდ ოდენ მღვდლისა მიერ, არამედ უკეთუ მღვდელი მუნ არა იყოს ერისაგანნი მამაკაცნი, უფრისღა დედაკაცნი, ყოველნივე ნათელსცემენ თჳნიერ[48] მღვდელისა, რომელი ესე არასადა სმენილ არს. და თუმცა სადავე იტყვით სმენილ არს ერთგზის ოდესმე და

47. *მშრალად დატოვება.*
48. *გარეშე.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვჰგონებ თუ არცა ერთგზის სადავე სმენილ არს, რამეთუ იშვიათი საქმე არა დაიწესების სჯულად, არამედ სჯულისდებაჲ ქრისტესი და წმიდათა მისთა მოწაფეთა და მოციქულთა და მობაძავთა მათთა ღმრთისმეტყველთა მამათა არს მტკიცე და უცვალებელი, რამეთუ იგი ბრძანებს: **„ცანი და ქუეყანაჲ წარვდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არასადა წარვდენ“** (მარკოზი 13,31). ესე ბრძანებაჲ და განწესებაჲ ქრისტესი უნდა დაიჴსნეს, ხოლო ბრძანებაჲ და განწესებაჲ პაპისა ჯერარს, რათა მტკიცე იყოს და უცვალებელ; რომელი დღითი-დღე სცვალებს წესსა და საზღუარსა მამათასა და თჳსსა მას სჯულისდებასა გარეშე მოძღვრებისა წმიდათასა უმოძღურის ყოველთა. რამეთუ მათგან არს ახლადდადებული ესე კანონნი რათა არცა ემბაზსა შინა წყლითა ნათელსცემდენ სამგზის შთასლვითა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა და მიერ აღმოშობითა ჴელითა მღვდელთათა; არამედ ვითარცა ვთქუ მცირისა წყლისა შეხებითა და უმღვდელოსა კაცისა მიერ, გინა დედაკაცისა. ესე არს სჯულისდებაჲ მათი და სხუაჲცა მრავალი უწესოებაჲ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXI თავი

სიტყუაჲ მათდა მიმართ თუ ვითარ ახალ ნათელღებულთა არა აღბეჭდვენ მირონითა

ᲓᲐ რაჟამს ვჰკითხოთ მიზეზი: თუ რად ესრეთ იქმთ, არცა შიშუᲗლთა ემბაზსა შინა ნათელსცემთ სჯულისდებისაებრ სამეუფოსა - რათა იქმნას და ეწოდოს მეორედ შობაჲ წყლისაგან და სულისა, რამეთუ მირონითა დაბეჭდვა სულისა წმიდისა მადლთა მონიჭებასა ცხად ჰყოფს, და არცა მირონითა აღბეჭდავთ, სადა არა იყოს ეპისკოპოზი და არცა დედათა მიერ დააყენებთ[49] ნათლისღებასა.

ᲮᲝᲚᲝ იგინი მოგვიგებენ მათისა მის უწესოებისა შემსგავსებულსა სიტყუასა, ვითარმედ: მირონისა ცხებაჲ თჳნიერ ეპისკოპოზისა არა იქმნებისო. სადა ჰპოეს ესევითარი სჯულისდებაჲ ანუ, რომელმან კრებამან განაწესა ესე ანუ ვითარ იქმნების წყლისაგან და სულისა შობაჲ უკუეთუ არა ეცხოს მირონი, არცა აღმოიშუᲗს წყლისაგან. და უკუეთუ დედაკაცი სრულ იქმს ნათლისღებისა საიდუმლოსა, რაჲსათჳს მღვდელთა არა აქვს ჴელმწიფებაჲ ცხებად მირონისა? ხოლო განწესებაჲ წმიდათა მამათა ესე არს ვითარცა სჯულის კანონთა შინა წერილ არს, ვითარმედ: მღვდელნი ვერ შეიქმენ მირონთა, ვითარცა ვერცა საკურთხეველთა დაამყარებენ, ვერცა მის ქუᲗშეთა მოყვასთა - ესე იგი არს დიაკონნი, კერძო დიაკონნი და წიგნის მკითხველნი. ამათ ჴელთა ვერ დაასხმენ, ესე ყოველი ეპისკოპოსისა საქმე არს. ხოლო პირველ მღვდელთმთავართა მიერ კურთხეულითა მირონითა ჯერ არს, რათა ახალნათელღებულთა მღვდელნი სცხებდენ განწესებისაებრ მამათასა, რომელსა ჰყოფენ

---

49 აკრძალავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველთა მართლმადიდებელთა ეკლესიანი. ხოლო დასავლეთისა ეკლესიათა სხუათა უწესოებათა თანა ესეცა აღუვოციესთ, რათა არა მიენიჭებოდის მადლი სულისა წმიდისა ახლად ნათელღებულთა. ხოლო ჩუენ, მართლმადიდებელთა, ეკლესიისა წესი ესე არს ძუძლითგანისა მოცემულისა საზღურისაებრ, რათა ახალნათელღებულთა, რაჟამს აღმოიშვას წყლისაგან წმიდაჲ მირონი ეცხებოდის მღვდელისაგან, რამეთუ თჳნიერ მირონისა არა ეწოდების მას სრული ნათლისღებაჲ და უკეთუ სიტყჳსაებრ მათისა თჳნიერ მღვდელისა ყოველთა ერისაგანთა მამათა და დედათა მიერ იქმნების ნათლისღებაჲ, რაჲსათვისღა პატიოსანთა მღუდელთა მიერ, რომელნი ყოველსა საიდუმლოსა აღასრულებენ არა იქმნების ცხებაჲ მირონისა.

და უკეთუ წმიდისა ჟამისწირვისა საიდუმლო იქმნების დედაკაცისა მიერ ანუ თუ ერისაგანთა მამაკაცთა მიერ ან სხუაჲ რაიმე საიდუმლოთაგანი, ესეცა იქმნების, რათა მამანი და დედანი ყოველი ნათელსცემდენ. და უკეთუ იქმნების ესე, რათა ერთითა ჴელითა ანუ ერთითა ფერჴითა ანუ მარტოდ თავითა იქმნას შობაჲ ყრმისა და იქმნამცა სრული კაცი ანუ თუ ყოვლად ცოცხალ, ესეცა იქმნების რათა მცირედისა წყლისა შეხებითა გინა სხურებითა თავსა ზედა გინა სხუასა ასოსა ეწოდამცა ნათლისღებაჲ ანუ მეორედ შობაჲ. და უკუეთუ იქმნების ესე, რათა თჳნიერ სულისა წმიდისა სრულ იქმნეს შობაჲ წყლისაგან და სულისა, ესეცა იქმნების, რათამცა თჳნიერ მირონისა ცხებისა იქმნეს მონიჭებაჲ სულისა წმიდისა.

და უკეთუ წმიდისა მის და ნაშობთა ყოველთა უზეშთაესისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საშოდთგან დედისათა სულითა წმიდითა აღვსებულისა, ნათლისმცემელისა მიერი იგი წყლითა ნათლისცემა არა სრულ იყო, არამედ დაკლებულ, რამეთუ არა აქუნდა მინიჭებაჲ სულისა წმიდისა ვითარცა იგი ზემოთცა მოვიხსენეთ, რომელი წერილ არს საქმესა მოციქულთასა: **„მიიწია რაჲ ეფესოდ პავლე, პოვნა მუნ მოწაფეთაგანნი და ჰრქუა მათ: უკეთუ სული წმიდაჲ მიგიღებიეს და გრწამს? ხოლო მათ ჰრქუეს მას: არცაღა არს, თუ სული წმიდაჲ გუასმიეს. ჰრქუა მათ პავლე: რაჲთა უკუე ნათელ გიღებიეს? ხოლო მათ ჰრქუეს: იოანეს ნათლის-ცემითა და შემდგომი“** (საქმე 19,2).

მერმე ნათელიღეს და ჴელდასხმითა პავლესითა მოვიდა მათ ზედა სული წმიდაჲ. ხედავთა, რამეთუ არცაღა ნათლისცემასა იოანესსა აქუნდა სრულებაჲ, რამეთუ მარტოდ წყლითა ნათელსცემდა და ჯერეთ არა იყო მოცემულ სული წმიდაჲ ვიდრემდის პავლე ჴელნი არა დაასხნა და მოვიდა მათ ზედა სული წმიდაჲ. ამისთჳს არს განწესებული მღვდელთა მიერ ცხებაჲცა მირონისა განბანასა თანა წყალითა, რათა მირონითაცა აღიბეჭდოდის, რომელ არს მინიჭებაჲ სულისა წმიდისა; რამეთუ თჳნიერ ამისა არა სრულ იქმნების. უკეთუ ასწრაფობდეს სიკუდილისა ჟამი და მირონისა უქონოებითა იქმნების მარტოდ წყლითა ნათლისღებაჲ სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა წესისაებრ და მოცემისა, ხოლო ოდეს განმრთელდეს, მერმეღა ეცხოს წმიდაჲ მირონი. ხოლო მრთელთათჳს თჳნიერ მირონისა არა იქმნების ნათლისღებაჲ სრული.

ხოლო მათი ნათლისღებაჲ არცა სამგზის წყალთა შინა შთასლვითა და აღმოშობითა არს, არცა ცხებითა მირონისათა სრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლყოფად წყლისაგან და სულისა, არცაღა თუ მღვდელთა მიერ ნათლისღებად, არამედ დედათა – მეძავთა მიერ. ვითარ ეწოდოს მათსა მას ნათლისღებასა ნათლისღებად, ანუ მეორედ შობად, ანუ თუ წყლისაგან და სულისა აღმოშობად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXII თავი

დედათა მიერ ნათლის ცემისათჳს

ვისგან ისწავეს ესე წესი, ანუ, რომლისა ეკლესიისაგან მოიღეს ესე სჯულისდებაჲ, რათამცა მეძავნი დედანი, ანუ წიდოვანნი[50], გინა თუ წმიდანიცა დედანი ნათელს სცემდნენ. დაღათუ წმიდათა დედათაგანსა ვისმე ექმნას ესე, არაცა ესე სადამე სმენილ არს, და თუმცაღა სადამე ქმნილ არს, არცა ესე დაიდების სჯულად, ვითარცა იგი არცა დადებულ არს, რამეთუ არა სადა გუასმიეს წმიდათა დედათაგანისა, არცა სადა ქმნულ არს. ვითარცა არცა საუფლოჲსა მსხუერპლისა შეწირვა; ეგრეთვე არცა ნათლისღებისა ქმნა.

ვინ იყო წმიდისა და სანატრელისა და განმანათლებლისა ჩუენისა მოციქულისა ნინოს უწმიდესი და უზეშთაესთა მადლთა ღირს ქმნილი, რომელმან სხვათა ურიცხუთა საკჳრველებათა და ზეგარდამოთა მადლთა თანა მოციქულობისა მადლი სრულებით მიიღო. უკეთუმცა ჯერიყო ანუ სმენოდა ოდესცა, რაჲთამცა დედანი ნათელსცემდენ: ამისდა[51] უმეტეს საჴმარ იყო, რომელმან სასწაულითა თჳსითა განანათლნა ესოდენნი ესე ერნი, და რომელნიცა ფრიადცა წყურიელ იყუნეს და მოქენე ნათლისღებისა, რომელსა ევედრებოდეს მეფენი და მთავარნი და ითხოვდეს მისგან ნათლისღებასა. უკეთუმცა წესი იყო, რაჲსათჳს არა ნათელსცა და დააკლო ესე ერთა ნიჭთაგან?

რამეთუ ვიდრემდის არა ითხოვნა საბერძნეთით მღვდელნი და დიაკონნი დიდისა კო[ნ]სტანტინესაგან, მუნამდე ვერ იკადრა თაჳთ თჳსით ნათლისცემა.

---

50. დედათა წესის მჭონე.
51. მისთვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხოლო ოდეს მოიწინეს მღვდელნი, მაშინ სიმრავლემან ერისამან მეფეთა და მთავართა, მამათა და დედათა და ყოველმან ჰასაკმან ნათელიღეს დიდითა სიხარულითა და სარწმუნოებითა მდინარესა შინა დიდსა მტკურისასა; არა სხურებითა, არცა ცხებითა მცირისა წყლისათა, არამედ სრულიად განშიშულებითა მდინარესა მას შინა სამგზის [შთაფლვითა] სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა - მამისა და ძისა და სულისა წმიდისასა ველსა ქუჱშე მღვდელისასა. ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა შინა წმიდისა ნინოჲსასა; და ესეცა გულისჴმაყავ, რამეთუ ვიდრემდის საბერძნეთით მღვდელნი მოიწეოდეს, ესოდენთა სიმრავლისაგან, რომელნი ახალმოქცეულ იყვნეს ვერ იკადრა ნათლისცემაჲ მათი. ვინ უწყის რავდენნი აღესრულნეს და განვიდეს უნათლავნი. რაჲსათვის ვერ იკადრა ღირსმან და სანატრელმან ნინო მოციქულობისა მადლითა ღირსქმნილმან და თჳთ მოციქულმან, ერთისაცა სულისა ნათლისცემა?! არამედ ეშინოდა საზღუარისა წმიდათა მოციქულთა და მამათასა გარდასლვა, რამეთუ არასადა ასმიოდა ოდესცა ძუჱლითგან, არცაღა თუ იჭჳთ სადმე, არცა მსხუერპლისა შეწირვა, არცა ნათლისცემა დედათა მიერ. და რად ვიტყჳ დედათა, არცაღა თუ ერისაგანთა მამათა მიერ თჳნიერ მღვდელთასა, რამეთუ ვერცაღა დიაკონნი ნათელსცემენ, რომელთა ჴელთდასხმა კურთხევისა მიუღიეს განწესებისაებრ შჳდთა მსოფლიოთა კრებათათა. და უკეთუმცა სმენოდა დედათა მიერ ესევითართა საიდუმლოთა შეხებაჲ, უმეტესად ესე აღასრულებდა; რამეთუ უფროსად ამისდა საჴმარ იყო საჭიროდ.

ა რამედ ვერ იკადრა, რამეთუ ასმიოდა მოციქულთაგან: **„ვინა თუ ჩუენ, გინა თუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისა, რომელი მიიღეთ ჩუენგან, შეჩუენებულ იყავნ“ (გალატელთა მიმართ 1,8).

ხოლო ჩუენ ზედა მადლი და კურთხევა ქრისტესი და წმიდათა მისთა მოციქულთა და ნეტართა მამათა იყავნ და დაგუცვნეს უფალმან ლოცვითა დედისა ჩუენისა და განმანათლებლისა ნინოჲსითა ხილულთა და უხილავთა მტერთაგან, რამეთუ ჩუენ ვართ შვილნი კათოლიკე ეკლესიისანი, რომელთა არა გარდაგუქცევიეს, არცა დაგუჴსნიეს წესი და კანონი წმიდათა მოციქულთა, დაღაცათუ მცნებათა და ბრძანებათა ქრისტესთა არა ვიმარხავთ, **„რამეთუ სარწმუნოებაცა თუნიერ საქმეთასა მკუდარ არს, ვითარცა იგი საქმენიცა თუნიერ სარწმუნოებისა უხმარ“** (კათოლიკე იაკობისი 2,20). მოციქულისა სიყყუსაებრ. არამედ მხოლოდ ვჰგიეთ მასვე და ერთსა სარწმუნოებასა ზედა, რომელი მოგვეცა წმიდისა მოციქულისა ნინოს ქადაგებითა და ვიდრე აღსასრულამდე ნუცაღა შევცვლით და ნუცაღა მივდრკებით მართლისა აღსარებისაგან, რათა არა სირცხულეულ ვიქმნეთ დღესა მას სასჯელისასა წინაშე საყდარსა ქრისტჲსა, არმედ ღირს მყვენინ უფალმან მცნებათაცა მისთა დამარხვად მრავლითა მით სახიერებითა მისითა, რამეთუ მისი არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXIII თავი

ლოცვისათჳს სიტყუაჲ, თუ რაჲსა მიზეზისათჳს იგინი არა ილოცვენ არცალა საეკლესიოდ არცა თჳსგან და სხუათა[ცა] ამას ასწავებენ

ხოლო აწ მცირედი რაჲმე ვთქუათ ლოცვისათჳს, რომელი იგი სრულიად დაჴსნილ არს მათ მიერ და აჴოცილ ეკლესიით, რამეთუ არა ისმინენ ბრძანებასა ღმრთისასა, რომელი მრავალ სახედ და მრავალ გუარად გუასწავებს სახარებისა იგავისა მიერ. და თჳთ თავადიცა ღმერთი კაცადცა იქმნა, რათა ჩუენთჳს ესევე წესი ეპყრა მოუკლებელად და მარადის ილოცვიდის ღამე და დღე და ჩუენ სახესა მოგუცემდა მოუწყინებელად ლოცვისა და მარადის მღჳძარებისა. და წმიდათა და სანატრელთა მოციქულთა და წინაწარმეტყველთა ესე წესი ეპყრა და მარადის ლოცვით იყო ცხოვრებაჲ მათი და ყოველნი წმიდანი ამას ქადაგებენ და ამას დაამტკიცებენ და ეკლესიასა შინა ესე განაწესეს, რათა მოუკლებელად ილოცვიდენ და ღამეთა ათევდნენ, რამეთუ მეუფჱ ჩუენი ქრისტეცა ესრეთვე ჰყოფდა ვითარცა წერილ არს წმიდასა სახარებასა შინა: **„და იყო მათ დღეთა შინა და განვიდა თავადი მთად კერძო ლოცვად და ღამესა ათევდა ლოცვითა ღმრთისა მიმართ“** (ლუკა 6,12). და კუალად წერილ არს მისვე ლუკას მიერ: **„ხოლო თავადი განვიდის უდაბნოდ და ილოცავნ“** (ლუკა 5,16). და კუალად წერილ არს წმიდასა სახარებასა შინა: **„და ვითარცა განუტევა მან ერი იგი, აღვიდა მთასა ლოცვად თჳსაგან“** (მათე 14,23). კუალად, რაჟამს იგი განჴადა ეშმაკი კაცისაგან, რომელი იგი ვერ შეუძლეს მოწაფეთა მისთა, ეტყოდა იესო მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: **„ესე ნათესავი არარაჲთ განვალს, გარნა ლოცვითა და მარხვითა“** (მათე

ეროვნული ბიბლიოთეკა

17,21), რამეთუ მოწაფენი ქრისტესნი ჯერეთ არღა მიწევნულ იყვნეს საზომსა სრულებისასა, არცა დაჩუჩულ მარადის ლოცვასა, არცა მიმყოვრებულსა მარხუასა; ამისათჳს, ვერცა შეუძლეს განხდად ეშმაკთა და სასწაულთა საკჳრველთა ქმნად ვიდრემდის ესე არა ისწავეს. ამისთჳსცა უფალი მარადის ასწავებდის ლოცვისა და მარხვისათჳს იგავისა სიტყჳთაცა და პირის-პირ გამოცხადებულად. და მერმე თჳთცა, საქმით აჩუჩნის, რამეთუ ღამესა ათევდა მრადის ლოცვითა ვითარცა ზემო მოვიჴსენეთ, რამეთუ დაღაცათუ მას არა რაჲ ეჴმარებოდა არცა მარხვა და არცა ლოცვა, ვითარცა არცა რაჲ სხვა კაცობრივნი საქმენი, რამეთუ ღმერთი იყო ბუნებით; არამედ ვინაჲთგან კაცთა ბუნებაჲ სრულებით მიიღო, კაცობრივნი საქმენი ყოველნი სრულებით აღასრულნა თჳნიერ ცოდვისა. ეგრეთვე კაცთა ბუნებისა საჴმარად მარადის ლოცვა შჯულ გჳდვა, რათა მარადის ვილოცვიდეთ ღამე და დღე მოუწყინებლად. თჳსაგან მარტო და ეკლესიასა შინა, რომელ არს შესაკრებელი ერისა, რამეთუ თჳნიერ ამისა არა რაჲ კეთილთაგანი წარემართების, არცა მსოფლიო და ჴორციელი, და უმეტესადღა სულიერი და ზეცისა.

დაღაცათუ ბრძანებს ქრისტე მეუფჱ: **„რაჟამს ილოცვიდე, არა იყო ეგრე, ვითარცა-იგი ორგულნი, რამეთუ უყუარნ შესაკრებელთა შორის და უბანთა ზედა დგომაჲ და ლოცვაჲ, რაჲთა უჩუჩნონ კაცთა. ამინ გეტყჳ თქუენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი. ხოლო შენ რაჟამს ილოცვიდე, შეეედ საუნჯესა შენსა და დაჰჴაშ კარი შენი და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად; და მამამან შენმან, რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“** (მათე 6,5),

ესე ბრძანებაჲ უფლისა, მათ ზედა არს, რომელნი თჳსაგან გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესებულსა ლოცვასა და გინა თუ საეკლესიოსა, და უფროჲსღა თჳსაგან ლოცვასა საჩუⷭნებლად იქმოდის. და ჭეშმარიტად ორგულთა არს საქმე იგი, რომელი ესრეთ ილოცვიდეს, რამეთუ კაცი ილოცავს რათა მოიღოს ღმრთისაგან სათხოველი თჳსი, რომელსა იგი ითხოვს და უჩუⷭნებს კაცთა, რათა მოიღოს ქებაჲ და დიდებაჲ. და ორგულთა არს საქმე ესე, ვითარცა ვთქუ, და არა ერთგულთა და საკუთართა მონათა, რაჲთამცა ღმრთისაგან ითხოვდა წყალობასა და კაცთაგან ეძიებდა ქებასა. ნუ ჰგონებ, თუმცა მორამეიღო ღმრთისაგან ესევითარად მლოცველმან.

ვითარცა იტყჳს იაკობ მოციქული: **„კაცი ორგული დაუდგრომელ არს ყოველთა შინა გზათა მისთა. ითხოვდინ ხოლო სარწმუნოებით და ნუ ორგულებით, რამეთუ რომელი ორგულებდეს, მსგავს არს იგი ღელვასა ზღჳსასა, ქარითა აღძრულსა და მიმოტაცებულსა. ნუ ჰგონებ კაცი იგი, ვითარმედ მო-რაჲმე-ეიღოს ღმთისაგან“** (კათოლიკე იაკობისი 1,6).

ხოლო უკუეთუ არა საჩუენებელად იყოს ლოცუვა იგი და არცა კაცთაგან ეძიებდეს ქებასა, ესევითარად მლოცველმან გინა თუ მარტო, გინა თუ კრებულსა შორის ილოცოს მოუწყინებლად შემუსრვილითა და დამდაბლებულითა გონებითა, ჭეშმარიტად სათნო არს ღმრთისა და საყუარელ მხედველისა მის დაფარულთასა და ჭეშმარიტად ყოველსავე მოიღებს კაცი იგი, რაოდენსაცა ითხოვდეს; ვითარცა ბრძანებს ღმერთი: **„ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ; ეძიებდით, და ჰპოოთ; ირეკდით, და განგეღოს თქუენ. და შემდგომი“** (მათე 7,7).

ესე ყოველი ლოცვისათჳს უბრძანებიეს, რათა მოუწყინებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილოცევდეთ და სამარადისოდ ვრეკდეთ კარსა მოწყალებისა მისისასა [მიმართ] და სხუაჲ უმრავლესი ამისა, რომელი ქუემორე უვრცელესად აღვწეროთ.

ხოლო, თუ: **„შევედ საუნჯესა შენსა და დაჰვაშ კარი შენი და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად“** (მათე 6,6); ამას არა თუ კართა დაჴშულთა შინა ლოცვისათჳს იტყჳს, არამედ სიმდაბლით ლოცვისათჳს ბრძანებს, ვითარმედ: შევედ შინაგან საუნჯესა გულისა შენისასა, რამეთუ იგი არს დაფარული საუნჯე კაცისა, ვითარცა უფალი ბრძანებს ესრეთ: **„კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გულისა თჳსისა გამოიღის კეთილი; ხოლო ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გულისა თჳსისა გამოიღოს ბოროტი“** (მათე 12,35). ესრეთ გული არს საუნჯე კაცისა და არა ხილული სახლი. ამისთჳს ბრძანებს, რათა შინაგან გულისა თჳსისა შევიდეს კაცი და დაჴშას შესავალი და არა რაჲ კაცობრივი ქებაჲ და სილაღე შეუშვას გულსა შინა თჳსსა. და არცა რაჲ ცუდი და წარმავალი მსოფლიო საქმე განიზრახოს, არამედ სიღრმით გულისაჲთ დაფარულთა მხედველისა მიმართ ილოცვიდეს. ესევითარი ლოცვა, გინა თუ მარხვა იყოს, გინა თუ კრებულსა შორის, ყოველივე შეწირულ არს წინაშე ღმრთისა და მსწრაფლ მოხედავს თხოვასა მისსა. და უკეთუ არცა კრებულთა შორის და არცა თჳსაგან ილოცვიდეს მათისაებრ სიცბილისა, მაშა რაჲსათჳს განაწესა წმიდათა მოციქულთა საზოგადოდ და საკრებულად ლოცვა, ვითარცა საქმეთა მოციქულთასა წერილ არს: **„და ოდეს შევიდეს, აღვიდეს ქორსა მას ზედა, სადაცა იყოფოდეს პეტრე და იოვანე, იაკობ და ანდრეა, ფილიპე და თომა, ბართლომე და მატთეოზ, იაკობ ალფესი და სიმონ მოშურნე და**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუდა იაკობისი. ესე ყოველნი იყვნეს განკრძალულ ლოცვასა და ვედრებასა ერთბამად დედებითურთ და მარიამ დედით იესუჲსით და ძმებითურთ მისით“ (საქმე 1,13).

ესრეთ ზოგად და ერთკრებულად ილოცვიდეს ყოველნი წმიდანი მოციქულნი და ძმანი, მამანი და დედანი ეკლესიასა შინა და არა თჳს-თჳსად და მარტო, რამეთუ ქორი იგი იყო მათდა ეკლესია, შესაკრებელი, რომელსა შინა მოიღეს აღთქუმაჲ იგი სულისა წმიდისა ცეცხლისა ენათა განყოფითა. და ჯერეთ სხუაჲ ეკლესიაჲ არა იყო მათდა.

ხოლო წინაწარმეტყველთა თუ გამოეძიებდე საქმესა, უმეტესად მათ მიერ არს განწესებული სამარადისოდ ლოცვა საეკლესიოდ და საიდუმლოდ, საკრებულოდ და თჳსგან და შემდგომად ყოველსა ჟამსა, რამეთუ დავით იტყჳს: **„ილოცეთ და მიეცით უფალსა ღმერთსა ჩუენსა“** (ფსალმუნი 75,12).

ხოლო ეკლესიასა შინა ლოცვისათჳს იტყჳს ვითარმედ: **„ეკლესიასა შინა აკურთხევდით ღმერთსა“** (ფსალმუნი 67,27), და კუალად, ზოგადად საკრებულოსა [შინა] ლოცვისათჳს იტყჳს ვითარმედ: **„კრებულსა შორის დიდძალსა აღგიარო შენ“** (ფსალმუნი 34,18). და კუალად, ჟამთა ლოცვისათჳს იტყჳს: **„შჳდგზის დღესა შინა გაქებდე შენ განკითხვათათჳს სიმართლისა შენისათა“** (ფსალმუნი 118,164). და კუალად შუაღამის ლოცვისათჳს იტყჳს ვითარმედ: **„შუაღამე აღვდგე აღსარებად შენდა განკითხუათათჳს სიმართლისა შენისათა“** (ფსალმუნი 118,62). და კუალად, ღამე ლოცვისათჳს იტყჳს ვითარმედ: **„ღამესა აღიპყრენით ჴელნი თქუენნი წმინდად მიმართ და აკურთხევდით უფალსა“** (ფსალმუნი 133,2). და კუალად განთიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოცვისათჳს იტყჳს ვითარმედ: **„განთიად შეისმინო ჴმისა ჩემისაჲ, განთიად წარვდგე შენდა და გეჩუენო შენ“** (ფსალმუნი 5,4). და კუალად: **„აღიმსთუეს თუალთა ჩემთა განთიად ზრახვად სიტყუათა მიმართ შენთა“** (ფსალმუნი 118,148), და კუალად მანვე წინაწარმეტყველმან დავით და ძემან მისმან სოლომონ განაწესეს ტაძარსა შინა მარადის მგალობელნი და მეფსალმუნენი, რათა სამარადისოდ აქებდეს ღმერთსა, ვითარცა წერილ არს წიგნსა მეფეთასა: რამეთუ განაწყო ხორო მგალობელთა და მედღესასწაულეთა: **„მწუხრი დილეულ და სამხარად მიუთხრობდე და ვიტყოდი და ესმეს ჴმისა ჩემისაჲ“** (ფსალმუნი 54,18). და კუალად იტყჳს: **„ილოცეთ და მიეცით უფალსა ღმერთსა ჩუენსა. ყოველნი, რომელნი არიან გარემოჲს მისსა...“** (ფსალმუნი 75,12) და სხუანი ყოველნი წინაწარმეტყველნი არა დასცხრებოდეს მარადის ღამე და დღე ლოცვისაგან; ვითარცა დანიელისათჳს წერილ არს, რამეთუ ოდეს წარიყვანა სპარსეთს, კჳროს, სპარსთა მეფემან და იყო მიდეთს, ([ალბათ მილეთი]) კჳროს მეფემან დიდად პატივ სცა და იყო მისა განმზრახ რჩეულ. ამისთჳს შურად აღუდგეს მთავარნი მეფისანი. პირველად ვერა რაჲ ღირსი შესმენისა საქმე უპოვეს. ვითარცა წიგნსა მისსა წერილ არს. მაშინ მოიპოეს ღონე ესევითარი, რათა საფრჴე დაუგონ კაცსა მას ღმრთისასა და ჰრქუეს მეფესა: ბრძანე მეფე, რათა სამსა შჳდეულსა კაცნი, ბრძანებისა შენისა მორჩილნი, ვერა რომელსა სათხოველსა ითხოვდეს, ვერცა შენგან და ვერცა ღმრთისაგან. ამისთჳს ჰრქუეს ესე მეფესა, რამეთუ უწყოდეს დანიელისთჳს, ვითარმედ, არა დასცხრებოდა მიმდემად ლოცვისა და მუჴლთადრეკისაგან. მაშინ მზირ უყვეს წმიდასა მას და იხილეს იგი მუჴლმოდრეკით მლოცველად ღმრთისა მიმართ, და შეასმინეს მეფესა და შთააგდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი მღვდესა მას ლომთასა. ეგრეთვე წინაწარმეტყველი იერემია მიუწერს ბაბილოვნით იტრუსალიმს, რომელნი დაშთომილ იყვნეს მუნ, წარტყუევნისაგან, რათა სამარადისოდ ჰყოფდნენ ვედრებასა ტყუეთა მათთჳს და მეფისა ნაბუქოდონოსორისა და ძისა მისისასა შაჰტასარისთჳს, რათა მშჳდობით იყვნენ და ადრე მიემთხჳნენ განთავისუფლებასა.

Ესმინე პავლესიცა, რასა მიუწერს ტიმოთეს: **„გლოცავ უკუე ყოვლისა წინა, რადთა ჰყოფდე ვედრებასა, ლოცვასა, თაყუანისცემასა, და მადლობასა ყოველთა კაცთათჳს, მეფეთათჳს და ყოველთა მთავართა, რადთა მშვიდობით და მყუდროებით ვცხონდებოდით ყოვლითა ღმრთისმსახურებითა და სიწმიდითა, რამეთუ ესე არს კეთილი და სათნო წინაშე მაცხოვრისა ჩუენისა ღმრთისა, რომელსა ყოველთა კაცთად ჰნებავს ცხორებად და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვად“** (I ტიმოთე 2,1).

Პუალად იტყჳს: **„მნებავს უკუე ლოცვად მამათად ყოველსა ადგილსა აპყრობად ჴელთა წმიდად თჳნიერ რისხვისა და გულისსიტყჳსა“** (I ტიმოთე 2,8).

Ესრეთ ყოველნი წმიდანი მოციქულნი და წინაწარმეტყველნი ლოცვითა და ვედრებითა გარდაიჴდიდეს დღეთა თჳსთა და ჩუენცა ამასვე გუასწავებდეს, რათა არა უქმად გარდავიჴდიდეთ დღეთა და ღამეთა, არამედ რათა მარადის ლოცვითა და ვედრებითა შევიჴურნეთ; მარტო რად ვიყუნეთ და კრებულსა შორის დიდძალსა, რამეთუ თჳნიერ ლოცვისა და ღმრთისა მიმართ ვედრებისა, არა რად კეთილთაგანი წარემართების. არამედ ლოცვა იგი, რომელსა შევსწირვიდეთ, ნუმცა არს საჩუჴნებელ კაცთა და სილაღით, რათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა სათხოელისა წილ მოიღოს კაცმან ღმრთისაგან შეურაცხებაჲ და ყუჱდრებაჲ, რომელსა იტყჳს წინაწარმეტყველისა მიერ: **„ვითარმედ ერი ესე ბაგითა მათითა თაყუანის მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორად განშორებულ არიან ჩემგან, რამეთუ ამაოდ მმსახურებენ მე“** (ესაია 29,13), არამედ ჯერარს ლოცვა ჩუენი შემუსრვილითა და მდაბლითა გონებითა დაფარულთა მხედველისა მიმართ თვისგანცა და ეკლესიასა შინა.

რამეთუ წმიდაჲ მოციქული პეტრე და კორნილიოს მართალი ერდოთა ზედა ლოცვიდეს ასახილველად ყოველთა, ვითარცა მათთჳს წერილ არს. არამედ შესმენილ იქმნა წინაშე ღმრთისა ლოცვანი მათნი და მოუვლინა უფალმან ანგელოზნი შემწირველნი თხოვათა მათთა. ხოლო კაინ ძმის მკულელი მარტო შესწირვიდა მსხუჱრპლთა, არამედ არა კეთილად. ეგრეთვე ფარისეველი მარტო ლოცვიდა ერთისა თანა, არამედ ზუაობით, ხოლო ორნივე დაისაჯნეს ღმრთისა მიერ. კუალად ანნა, დედა სამოელისი, მდუმრიად ილოცვიდა, რამეთუ ბაგენი მისნი არა იძროდეს, არამედ უმაღლეს საყჳრისა შევიდა ყურთა ღმრთისათა. ხოლო დავით წინაწარმეტყველი: **„კრებულსა შორის დიდ ძალსა“**, არამედ იგიცა სათნო იყო წინაშე ღმრთისა. ხოლო უკეთუ ზუაობით იყოს, არცა რაჲ კრებულსა შორის, არცა რაჲ მარტოობით სარგებელ არს ლოცვა, არამედ უფროჲსღა საგონებელ და საძაგელ წინაშე ღმრთისა. ხოლო სიმდაბლით ლოცვა ყოველივე სათნოდ შეწირული წინაშე ღმრთისა, და მე ვჰგონებ: უკეთუ სიმდაბლით იყოს კრებულსა შორის უმჯობეს არს.

ამისათჳს აღაშენეს ყოველსა ქუჱყანასა შინა ვრცელნი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდნი ეკლესიანი, ამისათჳს განაწესეს წმიდათა მოციქულთა და წმიდათა სანატრელთა მღვდელთმოძღვართა ღამისთევანი და ყოველი საეკლესიო წესნი. და უკეთუ ესრეთ არა ჯერ იყო, არცა წინაწარმეტყუველთაგან მოეღოთ ესე წესი, არცა მოციქულთაგან ესწავათ, არცა ქრისტესაგან სმენოდათ, რაჲსათჳს თავს იდებდეს ესოდენსა შრომასა და სიფიცხესა მღჳძარებისა და ლოცვისასა.

ხოლო უკეთუ ცუდის მეტყუველნი იგი წინა გჳყოფდენ სიტყუასა მას ღმრთისა, ვითარმედ: **„რაჟამს ილოცვიდეთ, ნუ მრავალსა იტყჳთ, ვითარცა-იგი წარმართთაგანნი, რამეთუ ჰგონებენ, ვითარმედ მრავლის-მეტყველებითა მათითა ისმინოს მათი. ხოლო თქუენ ნუ ემსგავსებით მათ, რამეთუ იცის მამამან თქუენმან, რაჲ-იგი გიჳმს თქუენ, ვიდრე თხოვაჲმდე თქუენდა მისგან“** (მათე 6,7). ესე ბრძანებანი უფლისანი არა არს მათისაებრ სიტყჳსა, რათამცა კაცნი არა ილოცვიდენ, და მისცენ თავი თჳსი უდებებასა და ძილსა. და თუმცა ესრეთ ებრძანა უფალსა ვითარცა იგინი ჰგონებენ და ესრეთ განეწესა, რაჲსათჳს ვერ გულის ჴმა ყვეს ესე წმიდათა მოციქულთა და შემდგომთა მათთა მღვდელთმოძღვართა, რომელნი ღამე ყოველ და დღე ყოველ ლოცვიდეს და ყოველსა ეკლესიასა ესე განუწესეს და სჯულად დაუსხნეს. ვითარცა მოციქული პავლე იტყჳს: **„ყოვლითა ლოცვითა და ვედრებითა ილოცევდით ყოველსა ჟამსა სულითა და მებრვე ამისთჳს იღჳძებდით ყოვლითა კრძალულებითა და ვედრებითა ყოველთა წმიდათათჳს“** (ეფესელთა 6,18).

და კუალად იტყჳს: **„ასწავებდით და ჰმოძღურიდით თავთა თქუენთა ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა სულიერითა, მადლითურთ უგალობდით...“** (კოლასელთა 3,16).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუალად იტყჳს: **„ლოცვასა განეკრძალენით და იღჳძებდით მას შინა მადლობდით; ილოცევდით მის თანა და ჩუენთჳსცა“** (კოლასელთა 4,2).

ხედავთა ძმანო, რამეთუ ყოვლადვე და ყოველსა ჟამსა ლოცვასა და მღჳძარებასა გუმოძღურიან წმიდანი მოციქულნი და არა ლიტონად და მცირედ, არამედ ფსალმუნებასა და შესხმასა და გალობასა პირითა და გულითა და არა უქმად და უდებად წოლასა და ძილსა, რამეთუ იაკობისთჳს წერილ არს ძმისა უფლისა. ვითარმედ მიმდემად ლოცვისა და ღამე და დღე მუჴლთდრეკისაგან და ქუეყანასა ზედა შუბლისა ცემითა დაკა[ჟ]ებულ იყვნეს ვითარცა მუჴლნი აქლემისანი, და ღჳნო და თაფლუჭი არა ესუა, და არცა რაჲ მშჳენიერი შესრულ იყო პირსა მისსა.

უკეთუმცა არა ჯერ იყო ესე ვითარი ფიცხელი ცხოვრებაჲ, რაჲსათჳს მოიპოეს ესევითარი მოქალაქეობაჲ წმიდათა მათ და ყოვლითურთ განწმედილთა და კაცთა ბუნებისა ზეშთა ქმნილთა და რაჲსათჳს ლოცვიდეს და ევედრებოდეს ღამე და დღე და არა ხოლო თუ ესე, არამედ ყოველნი წმიდანი მოციქულნი და წინაწარმეტყუელნი და მართალნი სამარადისოდ რად ღწვიდეს და მღჳძარებითა და ლოცვითა გარდაიჴდიდეს დღეთა თჳსთა და ჩუენცა ესრეთვე გვმოძღურიდეს და სახესა და წესსა დაგჳდებდეს. და რაჲსათჳს ვიტყჳ სხუათა წმიდათა; თჳთ თავადი უფალი და მჴსნელი ჩუენი, ესე ოდენ ილოცვიდა, **„ვიდრეცა იქმნეს ოფლი მისი ვითარცა ცუარი სისხლისა გარდამომავალი ქუჱყანასა ზედა“**. (ლუკა 22,44). ვითარცა წერილ არს წმიდასა სახარებასა შინა; რამეთუ მუხლთა იდრეკდეს და ესრეთ ილოცვიდეს. ამისათჳს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესეოდენი ოფლი მოსდიოდის ვითარცა ცვარი სისხლისა და არა უდებად და დაჴსნილობით, არამედ შრომით და ჭირით.

ამით დაიყავნ ყოველი პირი უდებად და დაჴსნილობით მლოცველი. უფროჲსღა მათ, რომელნი სძაგებენ მუჴლთა დრეკასა და ლოცვასა.

პუალად პეტრესთჳს წერილ არს ვითარმედ: **„პეტრე ცვულ იყო საპყრობილესა შინა, ხოლო ლოცვაჲ გულსმოდგინედ იყოფოდა ეკლესიათა მიერ ღმრთისა მიმართ მისთჳს“** (საქმე 12,5). უკეთუ არა იყო განწესებული ლოცვა ეკლესიათა შინა, ვითარ პეტრესთჳს, მოციქულთა თავისა, ეკლესიანი ილოცვიდენ?

ეგრეთვე პავლესთჳს, მოციქულისა წერილ არს, ვითარმედ: **„შილა და პავლე შეიპყრნეს და მრავალი წყლულებაჲ დასდვეს და შესხნეს იგინი საპყრობილესა, და ამცნეს საპყრობილის მცველსა მას კრძალულად დაცვაჲ მათი; და მან, ვითარცა ესევითარი მცნებაჲ მოიღო მათგან, შესხნა იგინი უშინაგანესსა საპყრობილესა და ფერჴნი მათნი დაჰკრძალნა ჴუნდსა შინა. და შუაღამესა ოდენ პავლე და შილა ილოცვიდეს და უგალობდეს ღმერთსა; და ისმენდეს მათსა სხუანი იგი პყრობილნი“** (საქმე 16,23).

ოხილეთ ძმანო, პავლე, ჭური იგი რჩეული, სამ ცადმდე აღწევნული და გამოუთქმელთა საიდუმლოთა მსმენელი და მხილველი. და მის თანა შილა, ჯაჭუითა და ჴუნდითა შეკრულნი, შუაღამე ილოცვენ და უგალობენ ღმერთსა. ხოლო ჩუენ რაჲმე ვყოთ ცოდვათა შინა განფრდილთა, რომელნი მარადის განსუჱნებისა და ძილისათჳს მოსწრაფე ვართ და განათლებულსა და ბრწყინვალესა ეკლესიასა შინა ლოცვაჲ და გალობაჲ და მადლობაჲ ღმრთისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვეწყინების. არა გუშსმის პავლესი ვითარმედ: **„მრავლითა ჭირითა გჯერს შესლვად სასუფეველსა ცათასა“** (საქმე 14,22). არცა ქრისტესი, ვითარ იტყჳს: **„იწრო არს და საჭირველ გზაჲ იგი ცხოვრებად მიმყვანებელი“** (მათე 7,14). არამედ პაპის მოსავნი გუვეტყჳან: ძილითა და განსუშნებითა და მრავალმჭამელობითა ჯერ არსო სათნო ყოფაჲ ღმრთისა. და კუალად იტყჳან: ლოცვა და ფსალმუნებაჲ და დიდების მეტყველებაჲ ღმრთისა მრავლისმეტყველებად შეირაცხებისო, და მათსა ვისმენთ და არა ქრისტესა? არცა წმიდათა მისთა მოციქულთა? და უკეთუ მრავლისმეტყველებად შეირაცხების ღმრთისა მიმართ ლოცვაჲ და გალობაჲ და ფსალმუნებაჲ და დიდებისმეტყველებაჲ, რაჲსათჳს მოციქული პავლე **„ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა სულიერითა“** გუასწავებს ლოცვასა და ვედრებასა მარადის. ვითარცა ზემორე მოვიხსენეთ. (კოლასელთა 3.16) და ყოველთა წმიდათა ესე სჯულად დაგჳსხნეს, რამეთუ თჳნიერ ამათსა არა რაჲ კეთილთაგანი წარემართების, ვერცა მოტევებასა ცოდვათასა მოვიღებთ, ვერცა ვნებათა მძლე ვექმნებით, ვერცა უხილავთა მტერთა განვერებით, და ვერცა საუკუნეთა კეთილთა მივემთხუშვით. ხოლო იტყჳს: **„ნუ მრავლის მეტყველებით, ვითარცა-იგი წარმართთაგანნი“** (მათე 6,7). ესე არს, რაჟამს კაცი ილოცვიდეს და არცა რასა სულიერსა და მტკიცესა და წარუვალსა ეძიებდეს, არამედ ყოველსა ჴორციელსა და ცუდსა და წარმავალსა ითხოვდეს. ესე არს მრავლისმეტყველებაჲ და წარმართნიცა ესრეთვე ილოცვიდეს, რამეთუ ყოველსავე განხრწნადსა და წარმავალსა და ჴორცთა საშუშბელსა ეძიებდეს. ამისთჳს ბრძანებს ღმერთი: **„ვითარცა იგი წარმართთაგანნო“**, რამეთუ მრავლისმეტყველებაჲ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არს რაჟამს კაცი ესე ვითართა ეძიებდეს და ითხოვდეს ლოცვათა შინა. და არა თუ ლოცვასა აყენებს და დიდებისმეტყველებასა მდაბლითა გულითა, ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა სულიერითა. არამედ ესრეთ ჯერ არს ლოცვა, ვითარცა წმიდანი მოციქულნი გუასწავებენ და თჳთ თავადი უფალი სამეუფოსა მას ლოცვასა განგჳწესებს. რამეთუ რაჟამს მას ლოცვასა ვიტყოდეთ, ყოველივე საიდუმლო ლოცვისა და ყოველივე სათნოებაჲ მას შინა გამოისახების და სამარადისოსა ლოცვისა და გალობისა და შესხმისა სულიერისა წესი მით მოესწავების. რაჟამს ვიტყოდით: „იყავნ ნებაჲ შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა“. რამეთუ, ვითარცა დაუცხრომელად აქებენ ცათა შინა ანგელოზნი და საქმე არს მათი, რათა სამარადისოდ უგალობდენ და აქებდენ ღმერთსა, ეგრეთცა ჰნებავს მეუფჱსა ჩუენ მიერ ქუეყანასა ზედა დიდებისმეტყველებითა და ფსალმუნითა მარადის ქებაჲ და გალობაჲ, რათა ვითხოვდეთ მისგან წარუვალთა კეთილთა და ხილულიცა ესე და მსოფლიო შეგუჱძინოს აღთქმისაებრ ღმრთისა: **„ვითარმედ პირველად ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“** (მათე 6,33). და არა თუ სრულიად ულოცველობასა და ღამეულსა ძილსა და უდებებასა ბრძანებს ღმერთი სიტყჳთა მით, ვითარმედ: **„რაჟამს ჰლოცვიდეთ ნუ მრავლისმეტყველებით“**, არამედ ფრიადსა მღჳძარებასა და ლოცვასა გვასწავებს უფალი. ვითარცა ეტყოდა მოწაფეთა: **„იღჳძებდით და ილოცევდით, რაჲთა არა შეხჳდეთ განსაცდელთა“** (მათე 26,41).

ხოლო მარკოზ დასწერს, ვითარმედ: **„იღჳძებდით უკუჱ, რამეთუ არა იცით, ოდეს-იგი უფალი სახლისაჲ მის მოვიდეს: მწუხრი ანუ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუა ღამესა, ანუ ქათმისა ვმობასა ანუ განთიად; ნუ უკუჱ მოვიდეს მეყვსეულად და გპოვნეს თქუენ მძინარენი, ხოლო რომელსა-ესე გეტყჳთ თქუენ, ყოველთა გეტყჳ: მღჳძარე იყვენით“ (მარკოზი 13,35).

Ეგრეთვე ლუკაცა დასწერს: **„ილოცევდით, რაჲთა არა შეხჳდეთ განსაცდელსა“** (ლუკა 22,40).

ხ ოლო უფალმან, მარადის მეძიებელმან ცხოვრებისა ჩუენისამან ყოვლისა სათნოებისა თავად ესე ბრძანა და ყოვლისა მცნებისა, რაოდენიცა გუამცნო, უმეტესი სახე და იგავი ამისათჳს შემოიღო, ვითარცა იგი ზემოცა გჳთქუამს და აწცა ჳტყჳთ, რაოდენნი იგავნი გჳბრძანნა ლოცჳსათჳს და მღჳძარებისა: **„და თქუა უფალმან: იყვნედ წელნი თქუენნი მორტყჳულ და სანთელი თქუენნი აღნთებულ. და თქუენ ემსგავსენით კაცთა მათ, რომელნი მოელიედ უფალსა თჳსსა, ოდეს მოვიდეს ქორწილისაგან, რათა, რაჟამს მოვიდეს და ირეკოს, მეყსეულად განულონ მას. ნეტარ იყვნენ იგი მონანი, რომელთაჲ მოვიდეს უფალი მათი და პოვნეს იგინი მღჳძარენი. და შემდგომი“** (ლუკა 12,35).

Ოხილეთ ვითარ ჰნატრის მღჳძარეთა და რომელნი მარადის მზა არიან ლოცვისათჳს და დიდებისმეტყველებად უფლისა, და ვაებასა მისცემს, რომელნი არა მზა არიან ღამე და დღე ქებად და დიდებისმეტყველებად ღმრთისა.

პუალად სხუაჲ იგავი ისმინეთ მარადის ლოცვისათჳს. **„და იყო ადგილსა რომელსამე თავადი ილოცვიდა. და ვითარცა დასცხრებოდა ლოცვისაგან, ჰრქუა ვინმე მას მოწაფეთაგანმან: უფალო, გუასწავე ლოცუაჲ, ვითარცა იოანე ასწავებდა მოწაფეთა თჳსთა. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: რაჟამს ილოცვიდეთ, თქუთ:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაო ჩუენო, და შემდგომი“ (ლუკა 11,1).

რამეთუ ყოველსავე ლოცვისა წესსა და ვედრებისასა ლოცვა ესე სამეუფეო გამოსახავს, ვითარცა ზემოცა გჳთქვამს. და უკეთუ მარტო ესე ლოცვა ემცნო უფალსა და დაედვა წესად ლოცვისა და სხუად არა რად, ვითარცა ლუთერანნი იტყჳან და უფროჲსღა მოსავნი პაპისანი, რაჲსათჳსღა შემოიღო უფალმან ესოდენნი სახენი და იგავნი მოუწყინებელად ლოცვისანი და თჳთცა მრავალგზის ღამეთა ათევდეს ლოცვითა? ანუ სხუათა წმიდათა და დიდთა ღმრთისმეტყველთა, რაჲსათჳს განაწესეს ეკლესიასა შინა ლოცვა ღამე და დღე მოუწყინებელად ფსალმუნებანი და გალობანი და შესხმანი სულიერნი. და არა ხოლო მარტოდ ლოცვა იგი სამეუფეო **„მამაო ჩუენო“**, რამეთუ რომელიცა ლოცვა და ფსალმუნებაჲ არს განწესებული წინაწარმეტყველთაგან ანუ ღმრთისმეტყველთაგან, ყოველივე სამეუფეო არს და სულისა მიერ წმიდისა თქმული. ვითარცა წერილ არს: **„იოტაჲ ერთი გინა რქაჲ ერთი სჯულისაგან და წინაწარმეტყველთა არა წარვდეს“** (მათე 5,18). ხოლო სამეუფეო იგი ლოცვა „მამაო ჩუენოჲსა“ სიადვილისათჳს ბრძანა ესრეთ მოკლე და მცირე, რათა ყოველსა კაცსა მიზეზი არა აქუნდეს უდებად წოლისა და ულოცველობისა, არცა მჴედართა არცა ვაჭართა, არცა მწყემსთა და არცა მუშაკთა, არცა სნეულთა და არცა მგზავრობასა შინა მყოფთა, და შემდგომად ყოვლისა ჰასაკისა მამათა და დედათასა, ბერთა და ჭაბუკთა, რათა არა იტყოდიან ვითარმედ მე უმეცარ ვარ წერილისა, სხუაჲ იტყოდის: ვითარმედ ეკლესიასა შორს ვარ, და სხუაჲ იტყოდის ვითარმედ: მღვდელი არა არს ჩემ თანა, და სხუაჲ უცალოებასა და სხუათა მრავალთა მიზეზთა მიზეზობდეს. ამისათჳს ბრძანა ესევითარი მოკლე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე ლოცვა, რათა რომელთა სხუად არა რად იცოდენ ანუ ეკლესიასა და სამღვდელოთა კაცთა შორევდნენ, ანუ თუ სნეულ იყვნენ, ანუ უცალო იყვნენ რადთაცა მიზეზითა. ესრეთ ლოცვიდენ მოუწყინებელად, რამეთუ ყოველთავე თანა აც ამისი დასწავლა და ყოველთავე მიერ შესაძლებელ არს სიადვილისათჳს და სიმოკლისა. ხოლო ბევრგზის თქმა ამისი უმჯობეს არს და კაცად-კაცადი ძალისაებრ და მოცალებისა თანამდებ არს ამისა მრავალ გზის თქმად. ხოლო რომელთა ესე სამეუფეო ლოცვა არა უწყიან, ქრისტიანედ არა შეირაცხების კაცი იგი: და ვად მღვდელისა მის, რომელმან სამწყსოსა თჳსსა სიყრმესავე, ესე ყოველსა კაცსა არა ასწაოს, რამეთუ სასჯელი საშინელი მიეჴადოს მას. ეგრეთვე მათ, რომელნი არა ისწავებდენ გულსმოდგინედ, დაისაჯნენ. ხოლო მოცალეთათჳს და რომელთა საჭირო საქმე არა თანა ედვას, მათთჳს განწესებულ არს ეკლესიასა შინა და ყოველსა ადგილსა: ღამე და დღე და ყოველსა ჟამსა მოუწყინებელი ლოცვა და მარადის მისლვა ეკლესიად და ლოცვა და მადლობად ღმრთისა ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა სულიერითა. ხოლო რაჟამს იგი ასწავა უფალმან მოწაფეთა — ლოცვა იგი სამეუფეო, მყის ზედა დაჰრთო იგავი ესე მოუწყინებელად ლოცვისანი: „**და ეტყოდა მათ: ვის თქუენგანსა ესუას მეგობარი და მივიდეს მისა შუაღამეს და ჰრქუას მას: მეგობარო, მავასხენ სამნი პურნი, რამეთუ მეგობარი მოვიდა ჩემდა გზით, და არა რად მაქუს, რად დაუგო მას. მაშინ მიუგოს მას შინაგთ გამო და ჰრქუას მას: ნუ შრომასა შემამთხუევ მე, რამეთუ კარი დაჴშულ არს და ყრმანი ჩემნი ჩემ თანა არიან სარეცელსა ზედა; ვერ ძალ-მიც აღდგომად და მიცემად შენდა. გეტყჳ თქუენ: დაღაცათუ არა ეძლოს მას აღდგომად და მიცემად,**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამეთუ არს იგი მეგობარ მისა, წყინებისა მისთჳს მისისა აღდგეს და მისცეს, რაოდენნი უჴმდეს მას. ხოლო მე გეტყჳ თქუენ: ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ, ეძიებდეთ და ჰპოოთ, ირეკდით და განგეღოს თქუენ. რამეთუ ყოველი, რომელი ითხოვდეს, მიიღოს, და რომელი ეძიებდეს, ჰპოოს, და რომელი ირეკდეს, განეღოს. ვის უკუე თქუენგანსა მამასა სთხოვდეს ძე პურსა, ნუუკუე ქვაჲ მისცეს მას? გინა თუ თევზსა სთხოვდეს, ნუუკუე თევზისა წილ გუელი მისცესა მას? განა თუ კუერცხსა სთხოვდეს, ნუუკუე ღრიანკალი მისცეს მას? უკეთუ თქუენ უკეთურთა იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუენთა, რაოდენ უფროჲს მამამან ზეცით მოსცეს სულიწმიდაჲ, რომელნი სთხოვდენ მას“ (ლუკა 11,5). ხოლო ვინმცა იყო ესრეთ უგუნურ და უცნობო, რომელსამცა ესმოდის ცხოველსმყოფელნი ესე ბრძანებანი და აღთქმანი იგი, რომელ აღუთქუნა უფალმან მთხოველთა და მვედრებელთა მისთა და არა ეძიებდა მისგან წყალობასა და მოღებად ცოდვათა მოტევებასა. გინა თუ მიმთხუევად ცხოვრებასა საუკუნოსა. ანუმცა არა ჰრეკდა დღე და ღამე მოუწყინებელად კარსა მოწყალებისა მისისასა, რათამცა განეღო მას. რამეთუ უტყუჱლ არს აღთქმათა შინა მისთა, რამეთუ **„მეძიებელთა მისთა მსწრაფლ ეპოების“**. ვითარცა იტყჳს წინაწარმეტყველისა ესაიას მიერ ვითარმედ: **„რაჟამს ღაღადებდე უფალმან ისმინოს შენი, და ვიდრე თხოვადმდე შენდა გრქუას: აქა ვარ“**. ამისათჳს ჯერ არს ჩუენდა მარადის ლოცვაჲ ღამე და დღე; ვითარცა გუასწავებს მოციქული პავლე და იტყჳს: **„მოუკლებელად ილოცევდით, ყოველსა შინა ჰმადლობდით, რამეთუ ესე არს ნებაჲ ღმრთისაჲ ქრისტე იესოს მიერ თქუენდა მიმართ“** (I თესალონიკელთა 5,17). რამეთუ ესრეთ ყოვლითურთ გუასწავებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუკლებელად ლოცვასა და არა უდებად წოლასა და მოწყინებასა. ამის პირისათჳს სხუაჲცა იგავი ისმინეთ, რომელი თქუა უფალმან: „და ეტყოდა მათ იგავსაცა, ვითარ-იგი ჯერ-არს მათდა მარადის ლოცვაჲ, და რაჲთა არა ეწყინებოდის ლოცვასა შინა. და იტყოდა: მსაჯული ვინმე იყო ქალაქსა შინა, ღმრთისა არა ეშინოდა და კაცთაგან არა ჰრცხუენოდა. და ქურივი ვინმე იყო მასვე ქალაქსა შინა. და მოვიდის მისა და ეტყჳნ: მისაჯე მე წინა მოსაჯულისაგან ჩემისა. და არა ისმინის მისი ვიდრე რომლად ჟამადმდე. ამისა შემდგომად თქუა გულსა შინა თჳსსა: დაღათუ ღმრთისა არა მეშინის და კაცთაგან არა მრცხუენის, ამისთჳს, რამეთუ შრომასა შემამთხუევს მე ქურივი ესე მარადის. უსაჯო მას, რათა არა მარადის მოვიდოდის და მაწყინებდეს მე. და ჰრქუა მათ უფალმან: ისმინეთ, რასა-იგი მსაჯული სიცრუვისაჲ იტყჳს. ხოლო ღმერთმან არა- მე ყოსა შურისგებაჲ რჩეულთა მისთაჲ, რომელნი ღაღადებენ მისა დღე და ღამე, და სულ გრძელ არს მათ ზედა“ (ლუკა 18,1).

აჰა ცხადი იგავი და სახე ჭეშმარიტი მოუწყინებელად ლოცვისა და დღე და ღამე ვედრებისა და ღაღადებისა, რომელი გუესმა სახარებისა ბრძანებისაგან, რამეთუ მსაჯული სიცრუისა შემოიღო იგავად, რომელსა ღმრთისაგან არა ეშინოდა და კაცთაგან არა ჰრცხუენოდა და არცა ბუნებითი მოწყალებაჲ აქუნდა, არამედ თავისა თჳსისა წყინებისათჳს ისმინა ქურივისა მის და უსაჯა. რაჲ ვთქუათ ბუნებით სახიერისა მის მეუფისათჳს, რომელსა აქუს უფსკრული მოწყალებისა და კაცთმოყვარებისა და მზა არს შეწყნარებად ყოველთა, რომელნი ღაღადებენ მისა დღე და ღამე. ვითარ ეგების თუმცა არა ისმინა მათი, ანუ არა მოხედნა ვედრებასა მათსა, ანუ ვინ არს უსასოო მოწყალებათაგან მისთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესრეთ, რომელმანცა დაიცონოს[52] აღებად პირისა და ვედრებად მისა, რომელი ჴმობს მარადის: „ითხოვდით და მოგეცეს თქუენ, ეძიებდით და ჰპოოთ, ირეკდით და განგეღოს თქუენ“. ხოლო მოსავნი პაპისანი მოძღურიან მათგან შეცთომილთა ერთა და ეტყჳან: ღამე ძილისათჳს მოუცემიეს ღმერთსა და დღე ჭამისა და საქმისათჳსო და არა ისმენენ ესოდენთა მოძღვრებათა უფლისათა და ყოველთა წმიდათა მისთათა, რომელნი ესრეთ გვასწავებენ, ვითარმედ: ღამე მცირედ განსუჭნებისათჳს არს მოცემულ კაცთათჳს და უმეტესსა ჟამსა ლოცვისა და მადლობისათჳს ღმრთისა. და დღე კუალად, პირველად ლოცვისა და მადლობისათჳს ღმრთისა და მერმე ძალისაებრ კაცად-კაცადისა შრომა და საქმე. და კუალად მადლობაჲ და ლოცვა სიტყჳსაებრ დავითისა: **„მწუხრი, დილეულ და სამხრად მიუთხრობდე და ვიტყოდე და ესმეს ჴმისა ჩემისაჲ“** (ფსალმუნი 54,18). და კუალად: **„შჳდგზის დღესა შინა გაქებდე შენ“** (ფსალმუნი 118,164); რამეთუ ყოველნი წმიდანი ძუჭლსა შინა სჯულსა და ახალსა, ლოცვით განბრწყინდეს, და თჳთ თავადი ქრისტე ამას ქადაგებს და ამას სჯულგჳდებს, რათა მარადის ვლოცვიდეთ ვითარცა იგი ილოცვიდის და მოწაფეთა თჳსთა ამას უბრძანებდის. და უკეთუ მის მიერ და მისგან არა სმენოდა და არცა ეხილვათ, ვითარ საპყრობილესაცა შინა შეკრულნი ჯაჭვითა და დაკრძალულნი ჴუნდსა შინა ღამე ყოველ უგალობდეს ღმერთსა, ვითარცა ზემოცა მოვიჴსენეთ პავლესთჳს. ეგრეთვე წმიდანი სამნი ყრმანი, ცეცხლსა შინა დაუდუმებელად გალობდეს და აკურთხევდეს ღმერთსა; და დანიელ - მღჳმესა შინა ლომთასა, იერემია - მწჳრსა ჯურღმულსა შინა, და იონა – მუცელსა ვეშაპისასა ილოცვიდეს.

52. *დაიზაროს.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუენ რაჲმე ვყოთ ცოდვათა შინა შობილთა და მას შინა აღზრდილთა და მრავლითა ბოროტითა განფრდილთა, რომელთა გუცონის[53] აღდგომად და ვედრებად ღმრთისა, ანუ ეკლესიად მისლვა, ანუ რაჲ ყონ მათ, რომელნი ლბილთა სარეცელთა ზედა ქუჱ წუანან და არა აღიხილვენ ზე, ვიდრე მზისა აღმოსლვადმდე; არცა მივლენ ეკლესიად. უკეთუ წმიდანი იგი, რომელთა ღირსვე არა იყო სოფელი ესე, ესოდენთა ჭირთა და პყრობილებათა შინა არა დაიცონეს[54] დიდებაჲ და გალობაჲ ღმრთისა, ჩუენ განათლებულსა და ბრწყინვალესა ეკლესიასა შინა გუჱწყინების დგომა და ლოცვა და ცუდადმეტყველებასა და უქმთა გულის სიტყუათა შევექცევით და არა გუჱშინის გულთა და თირკმელთა გამომეიებელისა ღმრთისაგან. სამართლად ითქუმის ჩუენთჳსცა: **„ერი ესე ბაგითა მათითა პატივ-მცემს, ხოლო გულნი მათნი შორად განშორებულ არიან ჩემგან“** (მარკოზი 7,6).

Არამედ გულსმოდგინეთ შემოვკრბეთ ეკლესიად და დამდაბლებულითა და შემუსრვილითა გულითა ვითხოვდეთ ღმრთისაგან წყალობასა და მოტევებასა ცოდვათასა, რამეთუ წერილ არს: **„სული შემუსრვილი და გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხ-ყოს“** (ფსალმუნი 50,19). ესრეთ სიმდაბლით მლოცველი უყვარს უფალსა და არა სილაღით და ამპარტავნებით, და რათა მცნებათაცა მისთა ვიმარხვიდეთ და ბრძანებათა მისთა ვყოფდეთ.

ხოლო უკეთუ არა ვისმინოთ მისი, არცა მან ისმინოს ჩუენი. და უკეთუ ჩუენ არა მიუპყრათ ყური, არცა მან მოყოს

53. *გვეზარება.*
54. *დაიზარეს.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყური მისი ჩუენდა მომართ, ვითარცა წერილ არს ლევიტელთა შინა: **„უკეთუ ბრძანებათა ჩემთა ხუდოდით და მცნებათა ჩემთა იმარხუდეთ და ჰყოფდეთ მათ, ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ, მოვიხილო თქუენ ზედა და გაკურთხნე თქუენ და აღგაორძინე თქუენ და განგამრავლნე თქუენ“** (III ლევიტელთა 26,9). და შემდგომი იგი აღთქუმანი, რომელ აღთქმულ არიან, რომელთა დაიმარხონ ბრძანებანი მისნი. და მერმე იტყჳს: **„ხოლო უკეთუ არა ისმინოთ ჩემი, არცა ჰყოფდეთ ბრძანებათა ჩემთა, არამედ ურჩ ექმნნეთ მათ და სამართალნი ჩემნი მოიწყინნეს სულმან თქუენმან და არღარა ჰყოფდეთ ყოველთა მცნებათა ჩემთა და განაქარვნეთ აღთქუმანი ჩემნი და მეცა ეგრეთვე გიყო თქუენ: და მოვავლინო თქუენ ზედა უნაყოფოებაჲ, და სთესვიდეთ თესლსა თქუენსა ცუდად და გდევნიდენ თქუენ მტერნი თქუენნი და დაეცნეთ წინაშე მტერთა თქუენთა, და შევმუსრო გინებაჲ ამპარტავნებისა თქუენისაჲ“** (III ლევიტელთა 26.14) და შემდგომი ამისა რავდენნი წერილ არიან რისხვანი ურვათათჳს ბრძანებისა მისისათა.

პუალად ღმერთი აყუჱდრებს მწიგნობართა და ფარისეველთა და ეტყჳს: **„ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რომელნი შესჭამთ სახლებსა ქურივთასა და მიზეზით განგრძობილად ილოცევიდით ამისათჳს მოიღოთ უმეტესი სასჯელი“** (მათე 23.13). ამისათჳს შემოვიღე ბრძანებანი უფლისანი და სიტყუანი წინაწარმეტყველთანი ვითარმედ: ღმერთსა სიმართლით მლოცველი უყუარს. რაჟამს მცნებათაცა მისთა ვიმარხვიდეთ და ბრძანებათა მისთა ვჰყოფდეთ და ქუელის საქმითა და მოწყალებითა ველნი ჩუენნი სავსე იყვნენ და დავრდომილთა, ობოლთა და ქურივთა უსჯიდეთ, მაშინ ისმინოს ჩუენი და ვიდრე თხოვამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუენდა გვრქუას: **„აჰა აქა ვარ“**. და უკეთუ უსამართლოებითა და ანგარებითა და მოხუეჭითა ჴელნი ჩუენნი სავსე იყვნენ და სხჳთა მრავლითა ბოროტითა შებღალულ, ვითარ ისმინოს ჩუენი, ანუ ვითარ მოყოს ყური მისი ვედრებასა ჩუენსა. ხოლო უკეთუ თქუას ვინმე ვითარმედ: ვაებაჲ იგი, რომელი ჰრქუა, მწიგნობართა და სჯულის მოძღუართა მიმართ ბრძანაო, რომელნი შეშჯამენ სახლებსა ქურივთასა და მიზეზით განბრძობილად ილოცვენო. ჰე, ჭეშმარიტად ესრეთ არს და მეცა ეგრეთვე ვიტყჳ მწიგნობართა და სჯულის მოძღუართა უმეტესად ეთხოების მცნებათა მისთა დამარხვა. და გარდამსვლელთა ბრძანებისა მისისათა უმეტესი სასჯელი მიეჴადების, ვითარცა იტყჳს მოციქული პეტრე: **„რამეთუ ჟამმან დაწყებად სასჯელისა სახელისაგან ღმრთისა იწყოს პირველად, უკეთუ კულა პირველად ჩუენგან, რა-ჲმე იყოს აღსასრული ურჩთა მათ სახარებისა ღმრთისათაჲ? და უკუეთუ მართალი ძნიად განერეს, ულმრთოჲ იგი და ცოდვილი სად-ღა იპოოს“** (I კათოლიკე პეტრესი 4,17).

ᲓᲐღაცათუ სჯულის მოძღუართა და მწიგნობართა მიეჴადების სასჯელი არა დამარხვისათჳს სჯულისა, არამედ ისმინეთ მოციქულისა, რომელსა იტყჳს: **„პირველად სასჯელი ჩუენგან იძიებისო“**. და უკეთუ პირველად ჩუენგან, რაჲმე ეყოს ურჩთა სახარებისა ღმრთისათა, რამეთუ სასჯელი ღმრთისა მართალ არს და გარდამავალთა ბრძანებისა მისისათა და ურჩთა სახარებისა ღმრთისათა ზოგადად მიეჴადების სასჯელი. ხოლო, რომელნი იმარხვენ მცნებათა მისთა და ბრძანებათა მისთა ყოფენ, ნეტარებანი და აღთქუმანი ზოგად მიენიჭების ყოველთა. პირველად მწიგნობართა და სჯულის მოძღუართა, მერმე ყოველთა კაცთა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორჩილთა ბრძანებისა მისისათა.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ, ვითარმედ: უკეთუ სხჳთა ყოვლითა ბოროტითა სავსე ვიყვნეთ და ბოროტისაგან ჩუეულებისა მოუქცეველ, მარტოდ ლოცვისაგანცა არა რაჲ გუცრგოს. და უკეთუ ბოროტთაგან ვეკრძალებოდეთ და ძალისაებრ ვისწრაფოთ დამარხვად მცნებათა მისთა, მაშინ კეთილ არს ჩუენდა ფრიად ლოცვა მარადის, ღამე და დღე მოუწყინებელად. მარტო რაჲ ვიყვნეთ და კრებულსა შორის, სახლთა შინა ჩუენთა და ეკლესიათა შინა, ყოვლადვე და ყოველსა ჟამსა და ადგილსა. კეთილ არს ჩუენდა ლოცვა და თჳნიერ ამისა არა რაჲ კეთილთაგანი წარემართების და არცაღა ცხოვრებაჲ ჩუენი დაიცუების. და ყოველთა სათნოებათა ესე არს სამკაული და გჳრგჳნი. და უკეთუმცა დიდად არა საჴმარ იყო ესე კაცთა ბუნებისათჳს, არცა მჴსნელი ჩუენი ქრისტე ესრეთ გულსმოდგინედ აღასრულებდა ლოცვასა მარადის დღე და ღამე, თჳსაგან მარტო და კრებულსა შორის მოწაფეთასა, და ღამესა ათევდის ლოცვითა ღმრთისა მიმართ, ვითარცა ზემოცა მრავალი აღგჳწერიეს ამის პირისათჳს და ჩუენ სახესა მოგუცემდა მოუწყინებელად ლოცვისასა, რათა შეუდგეთ ბრძანებათა მისთა და ღამე და დღე მოუწყინებელად ვილოცვიდეთ შემუსრვილითა და მდაბლითა გონებითა.

ხოლო, რომელთა არა აქუს მოცალებაჲ საჭიროთა საჴმართათჳს და ჯეროვნისა მიზეზისა, ვითარ არიან: მუშაკნი და მოჴელენი, და ჴორციელთა უფალთა ქუცშე მყოფნი, იგინი ვერ აღასრულებენ დაუკლებელად განწესებულსა ლოცვასა, არამედ კაცად-კაცადსა ძალისაებრ და მოცალებისა ეკლესიისა მოძღუართა მიერ აქუნდინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განწესებული ლოცვა, გინა თუ თუსგან, გინა თუ საკრებულოდ. ხოლო სამეუფეო იგი ლოცვა ყოვლადვე და ყოველსა ჟამსა, ყოველთა კაცთა და ყოველსა საქმესა შინა მყოფთა წარუალად თანა აც თქმა და მით ლოცვა. ხოლო მოწესენი და ერისაგანნი, მოცალენი და თავისუფალნი ცუდისა და ზორციელისა განცხრომისა ძლით, და უმიზეზოთა მიზეზითა ნუ დააკლდებიედ ეკლესიად მისლვასა, ნუცა თუსაგან ლოცვასა და ვედრებასა. ხოლო კურიაკესა და საჩინოთა დღესასწაულთა, მოწესეთა და ერისაგანთა, დიდთა და მცირეთა, მოცალეთა და მუშაკთა და ყოველსა ჰასაკსა, თუნიერ სნეულებასა შინა მყოფთა თანა აც ყოვლისა საქმისაგან მოცალეობაჲ და ეკლესიად მისლვად და ღამე და დღე ლოცვად და მღუდრებად, მადლობად და ქებად ღმრთისა, განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასა.

ხოლო ლათინთა ყოველივე მოსპეს ეკლესიით და დაჰვსნნეს მამათა საზღუარი და კაცად-კაცადი შეუდგა ნებასა და განზრახვასა თუსსა, და მოიპოეს ყოველი დაჴსნილობაჲ და ნებაჲ ზორციელი და არღარა არს მათ შორის საეკლესიო განწესებული ლოცვა და ფსალმუნებაჲ, არცა გალობაჲ და დიდებისმეტყველებაჲ, არცაღა თუსგან, თუნიერ მცირედ მამაო ჩუენოსა და წირვისა, და იგიცა უკრძალველად და თუნიერ მოცემულისა საეკლესიოსა წესისა, რომელი თუსსა ჟამსა იგიცა ძალისაებრ უნაკლულოდ აღვწეროდ.

აწ უკუჱ ვკითხოთ მათ: ვინ ასწავა ესე წესი, რათა არა ლოცვიდენ, ვერცა შეიკრძალონ მუცელი. რომელმან წინაწარმეტყველმან ანუ რომელმან მოციქულმან განუწესა ესე ანუ რომელმან კრებამან სჯულ უდვა ესე? უკეთუ წმიდათა მარადის ეჴმარებოდა მარხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ლოცვა, ჭირი და შრომა, ჩუენ რაჲ ვყოთ მარადის ცოდვათა შინა მყოფთა. ანუ ვითარ მოვიღოთ ცოდვათა მოტევებაჲ თჳნიერ ამისა? ესე შევიტკბოთ მორწმუნენო და ამით სათნო ვეყვნეთ ღმერთსა, რათა სხჳსაცა სათნოებისა და ბრძანებისა მისისა შეუძლოდ დამარხვად და ღირსვიქმნეთ ცხოვრებასა საუკუნოსა ქრისტე იესოს მიერ ღმრთისა ჩუენისა, რომელსა შუენის ყოველი დიდებაჲ, პატივი და თაყვანისცემა თანა დაუსაბამოჲთ მამით და ყოვლად წმიდით სულითურთ, აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XXIV თავი

აღმოსავლეთით ლოცვისათჳს

ვ თქუთ რაჲ იგი ჯერ იყო ლოცვისათჳს, მადლითა სულისა წმიდისაჲთა და არა ჴუцბულ ვიქმნენით შემდგომითი შემდგომად აღწერად.

ა წ კუალად აღმოსავლეთით ლოცვისათჳს ვიტყოდეთ, თუ ჩუენ რაჲსა და ვითარისა მიზეზისათჳს ვილოცავთ აღმოსავალით მხედველნი და პაპის მოსავთა შორის არცაღა ესე იპოების, არამედ ვითარ და სადეთცა დაემთხჳოს აღმოსავალით გინა დასავალით, ჩრდილოჲთ ანუ სამხრით, მუნით ლოცვენ და თაყვანისცემენ და საკურთხეველთაცა ეგრეთვე აღმართებენ და არა იმარხვენ ამასცა ზედა, ძუцლითგანსა მოცემულსა წესსა და საზღუარსა წმიდათა მოციქულთა და წინაწარმეტყველთაგან მოსწავებულსა.

ხ ოლო ჩუენ, მართლმადიდებელნი არა გარდავალთ მათ[55] მიერ დადებულსა საზღუარსა, რამეთუ წმიდათა მოციქულთა აღმოსავლეთით განგვიწესეს თაყუანისცემა და ყოველსა ქუეყანასა, ყოვლით კერძო და ყოველსა შინა სოფელსა ეკლესიანი რაჲ დაამყარნეს, მას შინა აღმოსავალით კერძო აღმართნეს საკურთხეველნი და ესრეთ განგვიწესეს ლოცვა და თაყუანისცემა; რამეთუ ვერა სადა ჰპოო, რომელსაცა ქუეყანასა მიიწიო, თჳნიერ აღმოსავლეთისა სხჳთ კერძო დამყარებული ეკლესია. არცა მცირე და არცა დიდი, არცა საკურთხეველი. არა ხოლო თუ ჩუენ მართლმადიდებელთასა, არამედ არცაღა სხუათა მათ ქრისტიანედ სახელდებულთა მწვალებელთა, მრავალთა ქუეყანათა შინა განფენილთა და უკეთუ მოციქულთაგან ძუელილთგანვე არა

55. *მოციქულთა და წინასწარმეტყველთა მიერ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო მოცემულ და მათ მიერ განწესებულ, რაჲსათჳს ერთსაცა შინა ქუეყანასა ანუ დაბასა არა იპოების სახით კერძო აღმართებული საკურთხეველი, გინა ეკლესია თჳნიერ აღმოსავლეთისა.

ხ ოლო იტყჳან ჰრომსა შინა, რომელთამე ძუჱლითაგანთა ეკლესიათა, ახლად შეცვალებულთა და აღმოსავალისა ნაცვლად დასავალით გინა თუ სამხრით ანუ ჩრდილოჲთ კერძო საკურთხეველთა აღმართებასა. არა ძუელითგან, არამედ ახლად მათ მიერ შეცვალებულსა; რათა ამითცა განეყონ და განეშორონ აღმოსავლეთისა ეკლესიასა და ყოველი მათი უცხო იყოს ძუელითაგანისა განწესებისა მიმართ და უკეთუმცა ძუელითგანმცა ყოფილ იყო ესრეთ, ვითარცა იგინი იტყჳიან, ერთსამცა ადგილსა იპოებოდა თჳნიერ აღმოსავლეთისა დამყარებული ეკლესია. რამეთუ არცაღა ამას ზედა დაიმარხეს წესი და საზღუარი წმიდადთა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა და ძუელითაგანსა მოცემულსა წესსა ზედა არა დაადგრეს, რამეთუ წმიდათა და სანატრელთა მოციქულთა, თვალით მხილველთა ქრისტესთა და ჴელით მსახურთა, აღმოსავალით განგჳწესეს თაყუანისცემა და ლოცვა უწერელად ვითარცა დასწერს დიდი ბასილი და წმინდა იოანე დამასკელი ვითარმედ: **„უწერელად მოგუეცნეს მრავალნი ქრისტეანობისა წესნი მოციქულთაგან; ვითარცა იგი აღმოსავლეთით ლოცვა და ჯჳრისწერით თაყვანისცემაო“**. რამეთუ მოციქულთა მიერ არს განწესებული ესე, რათა აღმოსავალით კერძო მხედველნი ვილოცვიდეთ, რამეთუ მოციქული იტყჳს: **„ძმანო გაქებ თქუენ, რამეთუ ვითარი ჟამი გახსოვს თქუენ რომელი მოგეც“;** რამეთუ წიგნისა წილ ყოვლისა ქუეყანისა ეკლესიანი ღაღადებენ აღმოსავალით მიმართ ლოცვასა, რამეთუ მათ მიერ არს პირველად

ეკლესიანი ყოველსა ქუეყანასა დამყარებულნი. ამის მიზეზისათჳს, რამეთუ პირველი მამული ჩუენი[56] აღმოსავალით გვისწავიეს, რომელი წარწყმიდა ადამ, მამამან ჩუენმან. მას მოვიხსენებთ ვინაჲ იგი გამოვეხუენით და კუალად მოველით პირველისა მიმართ საშუებელისა მიქცევასა. ვითარცა დასწერს წინაწარმეტყველთა შორის დიდი მოსე ღმრთისმხილველი: **„ვითარმედ დაასხა უფალმან სამოთხე აღმოსავალით და მუნ დაამკვიდრა კაცი იგი პირველი“** (დაბადება 2,8).

ხ ოლო დავით იტყჳს: **„მეფენი ქუეყანისანი აქებდით ღმერთსა და უგალობდით უფალსა, რომელი-იგი ამაღლდა ცასა ცათასა აღმოსავალით“** (ფსალმუნი 67,33).

დ ა კარავსა მასაცა საწამებელსა აღმოსავლეთით აქუნდა კრეტ-საბმელი და სალხინებელი.

დ ა ტომი იუდასი, ვითარცა უპატიოსნესი აღმოსავალით კერძო იყო მდგომარე.

დ ა სახელოვანსა მას ტაძარსა სოლომონისასა ბჭე აღმოსავ-ლეთით აქუნდა.

დ ა კუალად, ესაია წინაწარმეტყველი იტყჳს: **„აჰა ესერა ქალ-წული მიუდგეს და შვეს ძჱ და უწოდიან სახელი მისი ევმანუელ, რომელ არს ჩუენთანა ღმერთი: აღმოსავალ არს სახელი მისი“.**

დ ა კუალად ეზეკიელ საკვრველი წინასწარმეტყველთა შორის იტყჳს: **„და მომაქცია მე გზასა მას ბჭისა მის წმიდათასა გარეშესა, რომელი ხედავს მზისა აღმოსავალად“** (ეზეკიელი 44,1).

---

56. აქ საუბარია სამოთხეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ზაქარია წინაწარმეტყველი, მამა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისა იტყოდა: **„მოწყალებითა წყალობისა ღმრთისა ჩუენისათა, რომელთა მიერ მომხედნა ჩუენ აღმოსავალმან მაღლით“.**

ხოლო მოგუნი იგი მოვიდეს რაჲ ბეთლემს, განმაცხოველებელსა მას შობასა უფლისა, იტყოდეს: **„რამეთუ ვიხილეთ ვარსკულავი მისი აღმოსავალით და მოვედით თაყუანისცემად მისა“.**

ხოლო მეუფე ჩუენი ქრისტე, რაჟამს იგი ჯუარს ეცვა ხსნისათჳს ყოვლისა სოფლისა, დასავლით მხედველი დამსჭუალეს ჰურიათა ჯვარსა ზედა, რათა ვითარცა პირისპირ მისა მიმართ მხედველთა აღმოსავლით თაყუანისვცემდეთ; ვითარცა მოგვითხრობენ წმიდანი მამანი.

რამეთუ ამაღლებაცა მისი დიდებული აღმოსავალით იყო, ვითარცა იტყჳს წინასწარმეტყველი: **„რომელი იგი ამაღლდა ცასა ცათასა აღმოსავალით“** და განკვირვებულნი მოციქულნი შიშით თაყუანისცემდეს, ვინაჲცა ანგელოზნი ეტყოდეს მოციქულთა: **„კაცნო გალილეველნო, რაჲსა ჰხედავთ და გიკვირთ? ესე იესო, რომელი ამაღლდა თქუენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად“** (საქმე 1,11).

და რამეთუ მეორედ მოსვლაცა იგი საშინელი, აღმოსავალით იქმნების, რამეთუ მუნით მოგვესწავების გამოჩინებაჲ მეუფისა; ვითარცა ანგელოზნიცა ეტყოდეს მოციქულთა და ვითარცა თითითა უჩუენებდეს მუნით მოსლვასა. და თჳთ თავადი უფალი იტყოდა, ვითარცა სახარებასა შინა წერილ არს: **„ვითარცა ელვა რაჲ აღმობრწყინდის მზისა აღმოსავალით და ჩანნ ვიდრე დასავალამდე, ეგრეთვე იყოს მოსლვა ძისა კაცისა“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐ ესოდენთა და ესევითართა მიზეზთათვის თაყუანისვცემთ და ვილოცავთ აღმოსავალით კერძო მხედველნი და ამისთჳს მოგუეცნეს ესე წესნი და წმიდანიცა ეკლესიანი ესრეთ არიან დამყარებულნი და არა სადა ჩანს სხჳთ კერძო. არა რომელსა ადგილსა, ერთიცა მცირე ეკლესია, არცა საკურთხეველი, არცა ეგუტერი თუმცა დამყარებულიყო თჳნიერ აღმოსავლეთისა.

ᲓᲐ თჳთ ბუნებაჲცა ჩუენი ეგრეთ გუასწავებს და მიგვიზიდავს აღმოსავლისა მიმართ მხედველად; რამეთუ აღელის რაჲ ცისკარი ყოველთა კაცთა სახედველთა, ვითარცა მაღნიტნი რკინასა, ეგრეთ მიიზიდავს, რამეთუ ვითარცა ხილულისა მიმართ მზისა სურის ყოველსა დაბადებულსა, ეგრეთვე უხილავისა მიმართ ნათლისა მოსურნე არს სულნი ჩუენნი. ვინაჲთგან ნათელ არს ღმერთი ჩუენი და ნათლისა დამბადებელ; მუნითცა თაყუანისვცემთ, რამეთუ მიერ არს აღმობრწყინებაჲ ყოველთა ნათელთა და არა მცირესა გულისხმისყოფასა მოგუცემენ ხილულნი ესე ნათელნი უნივთოჲსა მის ნათლისა მიმართ, რათა მისა გვსუროდის და მას ვეძიებდეთ.

ᲮᲝᲚᲝ ჩუენ ესოდენნი წამებანი გვქონან საღმრთოთა წერილთაგან და ძუელითგანითგან, მოცემისაებრ მოციქულთა და წინაწარმეტყველთასა. ხოლო უკეთუ აქუსთ რაჲმე სიტყუაჲ მათცა გუაუწყონ, რაჲსა მიზეზისა ანუ რაჲსა მოცემისა მიერ არღარა თაყუანისცემენ აღმოსავალით კერძო, არამედ სადეთცა ენებოსთ და ვითარცა დაემთხჳოს მუნითცა ილოცვენ. ვინ არს მათ შორის ამისი მოწამე, ანუ დამამტკიცებელი ამისი: მოციქული ანუ წინაწარმეტყველნი ანუ წმიდათაგანი ვინმე? არა სადა, ნუ იყოფი, ვითარ ოდეს გვიჩუენებენ მოწამესა ამისსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Არამედ იტყვიან ვითარმედ: ღმერთი გარეშეუწერელ არსო, ყოველგან არსო და ყოველივე სავსე არს დიდებითა მისითა და სადეთცა ენებოს კაცთა მუნითცა თაყუანისცენ, არა რაჲ უჯერო არსო.

Ხოლო ჩუენ ესრეთ მიუგებთ ვითარმედ: ვინ არა უწყის ესე, რომ ღმერთი გარეშეუწერელ არს, უხილავ და მიუწდომელ, ყოველგან არს და ყოველივე სავსე არს დიდებითა მისითა და არა არს ადგილი არცა აღმოსავლეთი არცა დასავლეთი არცა ჩრდილო არცა სამხარი არცა ზესკნელი არცა ქუესკნელი მისგან დაკლებული, თუმცა ყოველივე სავსე არა იყო მისგან და მის მიერ, რამეთუ თქმულ არს ვითარმედ: **„არა მე აღვავსება ცასა და ქუეყანასა? და არა არს ადგილი ჩემგან დაკლებული“** (იერემია 23,24)

Არამედ ესე არა მოსაგონებელ არს, არცა იქმნების, თუმცა ღმერთი ანუ ვითარ ნისლი ანუ ვითარმცა ჰაერი განფენილ იყო ყოველთა არსთა შორის და არამცა აქუნდა ადგილი გარეშეუწერელად და მიუწდომელად; არამცა აქუნდა გუამოვნებაჲ და თვითებაჲ, რათამცა მცირედ რაიმე გონებისა წულილადისა ხედვითა არა იხილვებოდა და სრულიად მიუწთომელ და უცნაურმცა იყო, რამეთუ ვინაჲთგან კაცი ხატად მისა დაიბადა მის მიერ, მცირედ რაჲმე და აჩრდილის სახედ გონებაჲცა ჩუენი ემსგავსების მას, რამეთუ გონებაჲ ჩუენი შინაგან ჩუენსა დამკჳდრებულ არს და ყოველგან მიიწევის და ყოველსავე უხილავად განიხილავს და ვერა რაჲ ადგილი შეიცავს მას, ვერცა გარეშემოეწერების. არამედ იგი შეიცავს ყოველსა. ხოლო შინაგან ჩუენსა დამკჳდრებულ არს ერთსა რომელსამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილსა.

ე გრეთვე ღმრთისათჳს, უზეშთაესისა მის არსებათასა, უხილავისა და გარეშეუწერელისა, უსაზღვროჲსა, მიუწდომელისა მცირედ რამე გულისჴმავყოფთ წულილადითა მოგონებითა გუამოვნებასა და თჳთებასა განუყოფელისა და შეურევნელისა წმიდისა სამებისა ერთღმრთაებისასა და ვიტყჳთ სამკჳდრებელად ცასა და საყდართა ზრდა ჴჳდომასა. დაღათუ გარეშეუწერელ არს და ყოველთა არსთა მიერ გარეშეუვალ, არამედ წინასწარმეტყველთა ხილვისაებრ, რომელი მათ თითოსახედ გამოუბრწყინდა, ეგრეთ გულისჴმავყოფთ ცათა შინა დამკჳდრებასა მისსა და ქერაბინთა ზედა განსუჭნებასა და გარემო მისა მრავალ რიცხუსა სერაბინთასა, ვითარ ძალისაებრ და დატევნისა მათისა მრავალ სახედ ეჩუჭნებოდა, ვითარცა წერილ არს.

მ ოსე წინასწარმეტყველმან იხილა მთასა ზედა სინასა. პირველად მაყვალსა შინა — ალითა ცეცხლისათა. მერმე შემდგომად ღრუბელსა შინა და ნისლსა და იგიცა ალით გამო ცეცხლისათა, ზურგით კერძო ღმრთისა. ეგრეთვე ელიას ეჩუჭნა ნიავწულილსა შინა, და ესაიას გამოეცხადა საყდართა ზედა ქერუბინთასა მჳდომჳარე და გარემოს მისა მყოფნი სიმრავლენი უჴორცოთანი. ეგრეთვე ეზეკიელს და დანიელს.

მ ერმე ახალსა აღთქმასა შინა სტეფანეს ეჩუენა მარჯუენით მამისა მჳდომარედ და სხუათაცა ვიეთმე, ვითარ ვის ძალ ედვა და ვითარ ღირს იყვნეს ეგრეთ თითო სახედ გამოუბრწყინდის.

ხ ოლო წმიდანი სამნი ყრმანი ცეცხლსა შინა აკურთხევდეს ღმერთსა და იტყოდეს: **„კურთხეულ ხარ შენ, რომელი ჰზი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქერუბინთა ზედა და ხედავ უფსკრულთა; კურთხეულ ხარ შენ საყდართა ზედა დიდებისა სუფევისა შენისათა და კურთხეულ ხარ შენ სამყაროსა ზედა ცათასა“.

და დავით იტყჳს: **„რომელი ჰზი ზედა ქერუბინთა განცხადენ“** და კუალად იტყჳს: **„უფალი სუფევს განრისხნედ ერნი, რომელი ჰზის ზედა ქერუბინთა შეიძარნ ქუეყანა“**. და კუალად იტყჳს: **„უფალმან ზეცას განმზადა საყდარი თჳსი და სუფევა მისი ყოველთა ზედა ეუფლებინ“**. ესრეთ ყოველნი წინაწარმეტყველნი მოასწავებდეს და იტყოდეს ქერუბინთა ზედა ჯდომასა და საყდართა ზედა განსუენებასა და ხილვაცა, და ჩუენებაჲ კაცად-კაცადისა ძალისაებრ და საზომისაებრ იყო და არა თუ ბუნებაჲ და არსებაჲ ღმრთისა ეჩუჱნებოდა ანუ თუ იხილეს.

ხოლო, რაჲ არს ჯდომა ანუ თუ დგომა ღმრთისა ანუ ზურგი გინა თუ პირი, ესე ყოველი ჩუენგან მიუწდომელ და გამოუძიებელ არს, არამედ ჩუენ პირველ თქმულთა მათ წმიდათა ხილვისა და მოსწავებისა მიერ გულისჴმავყოფთ და მათისაებრ გამოცხადებისა შიშით და ძრწოლით თაყუანისვცემთ და ვილოცავთ აღმოსავლით მხედველნი მიზეზითა მით პირველთქმულითა. რამეთუ პირველი მამული ჩუენი აღმოსავლით გჳსწავიეს და მზედ სიმართლისად ითქმის ქრისტე და ამაღლებაჲ ღმრთისა აღმოსავლით თქმულ არს და მეუფისა ჩუენისა ქრისტეს მოსლვა განკითხვად ყოველთა აღმოსავლით იქმნების ვითარ ზემოცა აღვწერეთ თჳთუჱულად და ესევითართა მიზეზთათჳს განაწესეს წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა აღმოსავლით ლოცვა და არა სხჳთ კერძო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამეთუ წმიდისა პორფირი მოწამის ცხოვრებასა შინა წერილ არს: პირველად წარმართი იყო, ხოლო ოდეს მოიქცა ანგელოზი გამოუჩნდა და აღმოსავლით ასწავა ლოცვა. ესევითარითა მიზეზითა მოიქცა, რამეთუ განმცხრომელი და უზრუნველი იყო. განშიშულდა და წესისაებრ ქრისტეანეთასა ნათელიღო ემბაზსა შინა. განცხრომისათჳს მუნ მდგომარეთასა[57] და კიცხევითი იგი საქმე ჭეშმარიტ ექმნა და სრული ქრისტეანე იქმნა. მერმე ანგელოზმან აღმოსავლით ლოცვა ასწავა. არცა მცირესა შეწევნასა მოგუცემს ემბაზით აღმოშობისა და აღმოსავლით ლოცვისასა ცხოვრებაჲ მისი? და კუალად საკჳრველთმოქმედისა ნიკოლოზის ცხოვრებასა შინა წერილ არს, რამეთუ სამისა დღისა ჩჩჳლსა ჰბანდნენ რაჲ წესისაებრ, ჴელნი განიპყრნა და დადგა აღმოსავლით კერძო მხედველი და იყო მყოვარ ჟამ ეგრეთ მდგომარე, ვიდრემდე დაუკჳრდა ყოველთა. მას ვინღა ასწავა ანუ ვინ აუწყა აღმოსავლით ლოცვა ჩჩჳლსა სამისა დღისა, უკეთუმცა სულსა წმიდასა არა განებრძნო და ჩუენდა სახედ არა ექმნა ღმერთსა და პირის დასაყოფელად უკანასკნელ გამოჩინებადთა ამათ ბოროტად მზრახველთა, რომელნი შეურაცჴყოფენ განწესებასა მამათასა და არა შეუდგენ ბრძანებასა სახარებისასა, არცა სჯულისდებასა მოციქულთასა,

57. *წმიდა მოწამე პორფირე იულიანე განდგომილის (361-363) ზეობისას ეწამა. პორფირე მსახიობი იყო და იმპერატორის დაბადების დღეს თეატრში ასრულებდა როლს, რომლის მიხედვითაც ნათლისღების საიდუმლო აბუჩად უნდა აეგდო; მაგრამ როცა პიესის მსვლელობის დროს ნეტარი წყალში ჩაეშვა და წარმოთქვა: „ნათელს იღებს მონა ღვთისა პორფირე, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“, სულიწმიდის მადლი გარდამოვიდა მასზედა. წყლიდან ამოსულმა, აშკარად აღიარა ქრისტიანობა. იულიანემ იქვე ბრძანა, სასტიკად ეწამებინათ ნეტარი, შემდეგ კი თავი მოეკვეთათ. ეს მოხდა ქალაქ ეფესოში 361 წელს. ხსენება 15 (28) სექტემბერი.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამედ ყოველი წინააღმდგომი ქმნეს წმიდათა კრებათა, რათა ნებაჲ თჳსი დაამტკიცონ და თჳთ იყვნენ ყოვლისავე მომგონებელ და განმაწესებელ: **„იტყოდეს თავთა თჳსთა ბრძენ და განცოფნეს“** (რომაელთა 1,22). და დაუბნელდა უგულისხმო იგი გული მათი.

ა კუალად იტყჳს: **„ნუ ვინ თავსა თჳსსა აცთუნებნ. უკეთუ ვისმე ბრძენ ჰგონიეს თავი თჳსი ამას სოფელსა, სულელ იქმნენინ იგი, რაჲთა იყოს იგი ბრძენ; რამეთუ სიბრძნე ამის სოფლისაჲ სიცოფე არს წინაშე ღმრთისა, რამეთუ წერილ არს: რომელმან შეიპყრნის ბრძენი სივერაგითა მათითა. და კუალად იტყჳს: უფალმან უწყის ზრახვანი ბრძენთანი, რამეთუ არიან ამაო“** (I კორინთელთა 3.18). ამისთჳს შესცთეს, რამეთუ უბრძენეს ჰგონიეს თავნი თჳსნი ყოველთა კაცთასა: და რად ვიტყჳ ლიტონთა კაცთა, გინა თუ ბრძენთაცა ამის სოფლისათა, არამედ თჳთ მათ სულითა წმიდითა განბრძნობილთა ღმრთისმეტყველ კაცთასა უბრძენესად და უწმინდესად შეჰრაცხნეს თავნი თჳსნი. ამისათჳს არღარა დაადგრეს განწესებასა მათსა. ხოლო ჩუენ მართლმადიდებელნი არა გარდავხდებით საზღუარსა და განწესებასა წმიდათასა. დაღაცათუ მცნებათა მათ ღმრთისათა არა ვიმარხავთ, არამედ სარწმუნოებაჲ მტკიცედ გვიპყრიეს, რომელი მოგუცეს წმიდათა მოციქულთა და შჳდთა მსოფლიოთა კრებათა და ვესავთ მოწყალებათა ღმრთისასა, რათა მცნებათაცა მისთა ღირს გვყვნეს დამარხვად და ვადიდებთ მამასა და ძესა და სულსა წმიდასა, ერთღმრთაებასა, განუყოფელსა, რომელსა შუენის დიდებაჲ და პატივი და თაყუანისცემა აწ და მარადის და საუკუნეთა უკუნისამდე, ამინ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XXV თავი

წმიდისა ჟამისწირვისა საიდუმლოთათჳს თუ რაჲსათჳს ჩუენ ესრეთ, განწესებისაებრ წმიდათასა აღვასრულებთ და იგინი სხუებრ და არა განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთა და სხუათა მათ წმიდათასა

პირველი იგი სიტყჳსგებაჲ აღვწერეთ რაჲ ლოცვისათჳს მადლითა ქრისტესითა და ვთქუთ რაჲ იგი ჯერ იყო, აწ ვთქუათ წმიდისა ჟამისწირვისა საიდუმლოსათჳს და წმიდისა ზიარებისათჳს, თუ ვითარ ჩუენ ყოველნი მართლმადიდებელნი - აღმოსავლეთისა ეკლესიანი ძუმლითგანისა მოცემისაებრ წმიდათა მოციქულთა და შჳდთა მსოფლიოთა კრებათასა აღვასრულებთ; ხოლო იგინი არცა ერთსა განწესებასა შეუდგიან, არცა მოციქულთა და არცა შემდგომთა მათთა წმიდათა კრებათა. რამეთუ ჟამისწირვისა საიდუმლოსა მღვდელნი მათნი დღესა შინა ერთსა, ერთსა ტრაპეზსა ზედა, მრავალგზის შესწირავს და სადაცა და ვითარიცა ადგილი იყოს თჳნიერ ეკლესიისა, და დღესა შინა ერთსა, ერთი მღვდელი ვითარცა ვთქუ, მრავალგზის სწირავს. ხოლო უკეთუ ვისმე მღვდელი არა ყვეს ანუ სნეულებისა ძლით, გინა უდებებისა მიერ ეკლესიად წარსვლა ვერ ეძლოს, ანუ არა ენებოს, მივალს მღვდელი და სახლთა შინა მათთა ჟამსა უწირავს. ეგრეთვე იგივე მღვდელი მასვე დღესა შინა კუალად სხუასა სახლსა შინა სწირავს, გინა თუ სხუასა დაბასა, რაოდენიცა ენობოს ანუ ვიეთცა უჴმდეს, ანუ რავდენცა ძალ ედვას ვიდრე მწუხრამდე; ეგოდენსაცა სწირავს და ეგოდენცა ეზიარების. ხოლო უკეთუ მრავალნი იყვნენ მღვდელნი და საჭირო არა რაჲ იყოს, თჳნიერ საუფლოჲსა შობისა დღესასწაულისა, მრავალგზის არა სწირავნ. ხოლო მას დღესა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებ არს ყოველი მღვდელი მათი, რათა კაცად-კაცადმან მათმან სამგზის შეწიროს მსხუჩრპლი და სამგზისვე ეზიაროს თითუჩული მათი[58]; გინა თუ ეკლესია იყოს, გინა თუ საერო სახლები, ესრეთ აღასრულებენ.

ხოლო ესე ყოველი უცხო არს წესთაგან კათოლიკე ეკლესიისათა და უცხო ყოვლითურთ წესისაგან ქრისტიანობისათა და ფრიად უცხო და შორს წმიდათა მოციქულთა განწესებისა და წმიდათა შჯდთა კრებათა განსაზღურებისა, რამეთუ ესევითარი საქმე და ესევითარი წესი არა სადა სმენილ არს, არცა სადა პოვნილ საღმრთოთა წერილთა შინა, არცა ცხოვრებასა შინა წმიდათასა. არცა თუ იშვიათ სადამე ქმნულ არს ვისგანმე. უფროსღა დაყენებულ და განგდებულ მამათა მიერ, რათამცა ერთსა დღესა შინა ერთსა მღვდელსა მრავალგზისმცა ეწირა; გინა თუ უეკლესიოსა ადგილსა, ვითარცა იგინი იქმენ.

ესმინე მოციქულისა პავლესი, რასა იტყჳს: **„უკუეთუ ჯერვიდრე-მე-იყო მისა მრავალგზის ვნებად სოფლის დაბადებითგან, ხოლო აწ ერთ-გზის აღსასრულსა ჟამთასა შეურაცხისყოფად ცოდვათა მსხუერპლითა თჳსითა გამოჩნდა და ვითარცა-იგი წინაუც კაცთა ერთგზის სიკუდილი და მისა შემდგომად სასჯელი, ეგრეთცა ქრისტე ერთგზის შეიწირა მრავალთათჳს აჳოცად ცოდვათა“** (ებრაელთა 9,26).

პუალად წერილ არს ვითარმედ: **„ყოველი იგი მღვდელი დგან დღითი დღე მსახურებასა მას და მათვე მსხუერპლთა შესწირავნ მრავალგზის, რომელნი-იგი არასადა შემძლებელ არიან აჳოცად**

58. *მათვანი.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდვათა. ხოლო თავადმან ერთგზის შეწირა მსხუერპლი ცოდვათათჳს სამარადისოდ“ (ებრაელთა 10,11), რამეთუ ერთი მსხუჱრპლი სრულ იქმნა სამარადისოდ განწმედადთათჳს.

Ეგრეთვე ისმინე კუალადცა დიდისა ბასილისი, თუ ვითარ ერთჴმა არს მღციქულისა თანა და იგიცა ვითარ დასწერს და მოწამე არს სიტყჴსა ამის: „ვითარმედ არა ჯერ არს დღესა შინა ერთსა ერთისა მღვდელისა მიერ ორგზის ჟამისწირვა, რამეთუ ქრისტემან ერთგზის ივნო და ჯვარს ეცვა ცოდვათა ჩუენთათჳს დღესა შინა ერთსა და არა მრავალგზის; ხოლო, რომელი ერთსა დღესა შინა მრავალგზის სწირავს, მას არა თუ ერთ გზის ჯვარცმული და ვნებული ქრისტე რწამს, არამედ მრავალგზის ვნებული და ჯვარცმული და ესრეთ დაცემულ არს მართლისა სარწმუნოებისაგან და არს იგი ურწმუნოთა უძჳრეს“. ხედავთა ძმანო და გესმათ, თუ, ვითარ დიდი იგი მნათობი ეკლესიისა და ზეცისა საიდუმლოთა გამომეტყუელი და წმიდათა მათ თავთა მოციქულთა საზომითა არა რაჲთ დაკლებული ესრეთ დასწერს და უსჯულოდ შეჰრაცხს, რომელმან ერთსა ტრაპეზსა ზედა ერთსა შინა დღესა ორგზის წიროს. ვინ არს მათ შორის სჯულისმდებელი და ესრეთ უსჯულოდ განმაწესებელი, რომელმან დაჰჴსნა წმიდათა მოციქულთა მიერ განსაზღვრებული სჯული და დიდთა ღმრთისმეტყველთაგან დაჭეშმარიტებული წესი. არა სადა სმენილ არს, არცა სადა წერილ, თუმცა დღესა შინა ერთსა ორგზის ვისმე ეწიროს, ანუ ერთსა ტრაპეზსა ზედა ერთგზის რაჲ აღსრულებულ იყოს მსხუჱრპლისა შეწირვა, რათა სხუასა მღვდელსა მასვე ტრაპეზსა ზედა ეწიროს. უკეთუ ესე არა იქმნების ერთსა ტრაპეზსა ზედა, ერთსა დღესა შინა სხჳსა და სხჳსა მღვდლისა მიერ წირვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშა ერთისა მღვდელისა მიერ მრავალგზის ერთსა **დღესა** შინა წირვა ვითარღა იქმნების. ვჰკითხოთ მათ: რომელმან კრებამან განუწესა ესე, ანუ რომელმან წიგნმან მოსცა ესევითარი წესი გუაუწყონ. არამედ მე ვჰგონებ ვითარმედ, არა არს მათ შორის ბრძენი ესევითარი ანუ ფილოსოფოსი ანუ სჯულისმდებელი, ვითარმცა გჯჩუენა ესე თუმცა ვისმე სადა წმიდათაგანსა ექმნა ესრეთ ვითარცა იგინი აღასრულებენ ჟამისწირვისა განწესებასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXVI თავი

სიტყუაჲ მათდა მიმართ რომელნი უეკლესიოდ სწირავენ სახლთა შინა საეროთა

Ესეცა კუალად უმსგავსო საქმე მათ შორის და არა მოცემისაებრ წმიდათასა, რამეთუ სწირვენ უეკლესიოდ და სადაცა დახვდეს და ვითარიცა ადგილი იყოს, გინა თუ სახლთა შინა, გინა თუ უსახლოდ, რამეთუ არცა ესე გჳსწავიეს მამათაგან მოცემულად: არცა კრებისაგან დამტკიცებულ არს, არამედ უფროსღა მათისა განწესებისა ისმინეთ, რამეთუ ლაოდიკიას ფრიგჳისასა შეკრებილი კრებაჲ ორასთა მამათა ესრეთ დასწერენ, ვითარმედ: **„არა ჳღერ არს სახლთა შინა საეროთა ქმნა ჟამისწირვისა არცა ეპისკოპოზისა მიერ, არცა ხუცესთა“ (ლავდიკიის კრება, თავი 50).** და უკეთუ ქმნილ იყო ოდესცა სახლთა შინა წირვა ანუ მოციქულთაგან მოსცემოდა, ანუ კრებათაგან, ანუ სხჳსა ვისმე წმიდათაგან სმენოდა ესე ვითარი საქმე, ვითარღა იკადრებდეს ლავდიკიას შეკრებილნი ორასნი წმიდანი მამანი ამისა დახსნად ანუ შეცვალებად?

რამეთუ წმიდანი მსოფლიონი კრებანი, ანუ თუ ადგილ-ადგილ შეკრებილნი წმიდანი მამანი პირველქმნილისა კრებასა ვერცა რას შემატებდენ, ვერცა რას მოაკლებდენ, არამედ უფროსღა დაამტკიცებდეს; და თუ სადმე წვალებაჲ აღდგებოდა, ანუ შემატებაჲ რაჲმე იქმნებოდა ანუ დაკლებაჲ მართლისა სარწმუნოებისა, მას უკუარღუჱვდეს და დაჴსნიდეს და მოციქულთა მიერ დადებულსა კანონსა და პირველისა კრებისა საზღუარსა ზედა დაამტკიცებდეს და ესრეთ ყოველნი კრებანი ურთიერთარს ერთჴმა არიან და ერთი მეორისა დამამტკიცებელნი და უკანა ქმნილი კრებაჲ წინა ქმნილისა კრებისა შემასრულებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ლათინნი ყოვლისა კრებისა და მათმიერისა განსაზღვრებისა წინააღმდგომ და დამჴსნელ არიან: უკეთუ საეროთა სახლთა შინა იქმნების ჟამისწირვა და სადა და ვითარიცა ადგილი იყოს, მაშა რადღა სახმარ არს ეკლესიანი, ანუ რაჲსათჳს დაამყარნეს და დააფუძნეს ყოველსა ქუეყანასა შინა კათოლიკე ეკლესიანი და ადგილ-ადგილ მცირენი და დიდნი სახლნი სალოცველნი, რომელ არიან ეგუტერნი და აღმარონეს მას შინა საკურთხეველნი: თუმცა ქმნილ იყო საეროთა სახლთა შინა წირვა ანუმცა წესი იყო, ნამეტნავიმცა იყო და უხმარ ესოდენნი ეკლესიანი და ვრქუათ რაჲ, თუ რაჲსათჳს იქმთ ესრეთ და გარდაჴდებით საზღუარსა მამათასა და წირვისა საიდუმლოსა აღასრულებთ საეროთა სახლთა შინა; ხოლო იგინი მოგჳგებენ, ვითარმედ: საჭიროთა საქმეთათჳს ვიქმთ ამასო და სადა არა იყოს ეკლესია მისთჳს ვწირავთო, არამედ ტყუვიან ამას, რამეთუ სადაცა უმრავლესი ეკლესია იყოს, მუნცა სახლთა შინა უმრავლესად სწირვენ და სადაცა ენებოსთ და არღარა იქმნების მათ შორის განყოფილებაჲ ეკლესიისა და საეროთა სახლებისა. და უკეთუ საჭიროებისათჳს უეკლესიოსა ადგილსა იქმნების ჟამისწირვა საეროთა სახლთა შინა, მაშა სადა არა იყოს მღვდელი, ერის კაცთაგანცა იქმნების ჟამისწირვა და სხჳსა საიდუმლოებისა აღსრულებაჲ. და უკეთუ ესე არა იქმნების, არცა იგი იქმნების.

მოდით და მისვე, განმანათლებლისა ჩუენისა, მოციქულისა ნინოს ცხოვრებაჲ მოწამედ მოვიღოთ, რამეთუ მას ჟამსა, ოდეს ქართველთა ნათელი ღვთის მეცნიერებისა შეიწყნარეს სწავლითა წმიდისა ნინოსითა, მაშინ საბერძნეთით მოუწოდეს ეპისკოპოზთა და მღვდელთა და მოიწინეს რაჲ ქართლად: მას ჟამსა ახალმოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეულნი იგი და ახალნერგნი ქრისტეანენი, დიდად რაჲმე სურვიელ იყვნეს ხილვად წმიდისა ჟამისწირვისა და სწყუროდათ წმიდისა ზიარებისათჳს; არამედ მათ წმიდათა, ვიდრე მცირე იგი ეკლესია არ აღაშენეს და მას შინა საკურთხეველი არა აღმართეს და აკურთხეს, მუნამდე ჟამისწირვისა საიდუმლო ვერ აღასრულეს; ვერცა ერი აზიარეს, ხოლო მცირე იგი ეკლესია ვიდრე დღეინდელად დღედმდე ჰგიეს საწამებელად ამის ჭეშმარიტებისა: ვითარმედ სახლთა შინა საეროთა არა იქმნების მსხვერპლისა შეწირვა და იგი მცირე ეკლესია ვითარცა ვოქუ მცხეთას ზემოსა საეპისკოპოზოსა ეკლესიასა თანა აღმოსავლით კერძო შენებულ არს.

ᲓᲐ უკეთუ მათ წმიდათა, უეკლესიოდ მსხუᲩრპლი საუფლო ვერ შეწირეს ესეოდენთა საიდუმლოთა მართწყურიელთა ერთათჳს, ვითარ ჭელეწიფების მღვდელსა, სახლთა შინა საეროთა ჟამისწირვა, გინა რომელსაცა ადგილსა, უეკლესიოსა.

ᲓᲐ ვითარ იგი ვერ იკადრა წმიდამან და სანატრელმან ნინო ნათლისცემა ახალმოქცეულთა მის მიერ, ვიდრე საბერძნეთით არა ითხოვნა მღვდელნი, ეგრეთვე ვერცა მათ იკადრეს უეკლესიოდ ჟამისწირვა, ვიდრე არა აღმართეს საკურთხეველი და დაამყარეს ეკლესია. და უკეთუმცა ქმნილ იყო სადავე, ანუ, პირველითგან სმენილ იყო, იგინიცა აღასრულებდეს, რამეთუ ოდეს ქართველთა ნათელი ღვთის მეცნიერებისა შეიწყნარეს წმიდისა ნინოს მიერ, მას ჟამსა იყო რიცხჳ წელთა ქრისტეს აქეთ სამას ათურამეტი, და მასვე ჟამსა ქმნილ იყო კრებაჲცა იგი პირველი ნიკიას სამას ათურამეტთა მამათა, ღვთისმსახურისა მეფისა – დიდისა კოსტანტინეს მიერ. ამისთჳს მოვიხსენე ჟამი იგი, რამეთუ უკეთუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ჟამისა წმიდათა ეპისკოპოზთა და მღვდელთა და სანატრელმან ნინო, ვერა რაჲ უმეტესი განწესებულისა იკადრეს. აწინდელთა კაცთა მიერ ვითარ ეგების მოკლებაჲ ანუ შემატებაჲ მათ მიერ დადებულისა საზღუარისა, რამეთუ, რომელი წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა სულითა წმიდითა განაწესეს და განსაზღურეს და ჩუენ სჯულად დაგუსხნეს ვერვის ჴელეწიფების მოკლებაჲ ანუ შემატებაჲ. ხოლო იქმნების მცირედი რაჲმე საეკლესიოსა წესისა შეცვალებაჲ, გინა თუ გალობისა, გინა თუ ფსალმუნებისა და ეგევითართა რათმე.

ხოლო სარწმუნოებისა შეცვალებაჲ და შჯდთა საიდუმლოთაგანისა და უმეტესად წმიდისა ჟამისწირვისა და ნათლისღებისა საიდუმლოსა შინა შემატებაჲ გინა მოკლებაჲ, სრულიად დაჴსნა არს და განქარვებაჲ სჯულისა და სარწმუნოებისა. ვითარცა ბრძანებს ქრისტე: **„რომელმან დაჴსნას ერთი მცნებათა ამათგანი და ასწაოს ესრეთ კაცთა“ (მათე 5,19) და კუალად იტყჳს: „იოტა ერთი გინა რქაჲ ერთი სჯულისაგან და წინაწარმეტყველთა არა წარხდეს“ (მათე 5,18).** ხოლო მათ, რომელთაცა დაჴსნეს ანუ შემატეს, გარეშე არს იგი საზღუარსა წმიდათა მოციქულთა და ნეტართა მამათასა. ხოლო ჩუენ რაჲცა სარწმუნოებაჲ გუჰყრიეს, ანუ საიდუმლონი დიდნი, ყოველივე ქრისტესგან და წმიდათა მისთა მოციქულთაგან მოგუეცნეს: ხოლო დამხსნელი ამისი ვითარ არა დაისაჯოს, ანუ ვითარ არა განკუცთილად შეირაცხოს, რომელნიცა მათ წმიდათა დასაჯნეს და განკუცთნეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XXVII თავი

სიტყუაჲ მათდა მიმართ, რომელნი დედათა ჟამსა წიდოვნებისასა აზიარებენ და თუთ მღვდელნიცა და ერნი, რაჲთაცა ცოდვითა შეიგინნენ მას დღესა სიწმინდეთა მიეახლებიან

რამეთუ მღვდელნი მათნი მას ღამესა, რომლითაცა მძიმეთა და სასიკუდინოთა ცოდვითა დაეცნენ, უკეთუ აღსარებაჲ ოდენ თქუან მას დღესა ჟამისწირვასა აღასრულებენ და ეზიარებიან. და უმეტესსა ჟამსა უაღსარებოდცა, რამეთუ მარტო მღვდელნი მათნი მიმოვლენ პაპისა მიერ წარვლენილნი შორთა სოფელთა და ქუეყანათა შინა ქადაგებადად, რათა უფროსობაჲ და ყოველთა ზედა მთავრობაჲ პაპოსა დაამტკიცონ, სადა ეპოების მათ ყოველთა მღვდელთა, რათა აღუარონ მათ ცოდვა, დაღაცათუ იყოს სადმე მღვდელი და აღუარონ ცოდვა, ვითარ ეგების თჳნიერ ჯეროვნისა სინანულისა და ჟამ რავდენმე განწმენდისა შეგინებულთა მიერ მსხუერპლისა შეწირვა; გინა განუწმედელთა მიახლებაჲ სიწმიდეთა.

რამეთუ ეკლესია სრულიად განწმენდილსა ეძიებს სამღვდელოსა კაცსა განწესებისაებრ შვიდთა კრებათასა და არა თუ შეგინებულსა და დღითი დღე მცოდველსა და კუალად დღითი დღე მწირველსა, რამეთუ საშინელ არს განუწმედელთა მიახლებაჲ სიწმიდეთა სიტყჳსაებრ დიდისა ღვთისმეტყველისა გრიგოლისა და სხუათა წმიდათა მამათასა. რამეთუ მოსე ღვთის მხილველი რაჟამს აღვიდოდა მთად, მოღებად სჯულისა, ემცნო ღვთისა მიერ, რათა წმიდა ყოს ერი არა მიახლებად ცოლთა მათთა და განრცხა სამოსელთა და სხუაჲ რაოდენი კრძალვა და განწმედა ებრძანა, ვითარ იგი წერილ არიან გამოსლვათა შინა განწმედისათჳს და ეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთ მიახლებად მთასა მას, რომელსა ზედა გარდამოჴდა ღმერთი.

ეგრეთვე ლევიტელთა შინა რავდენი წერილ არს მსახურებისათჳს კარვისა; და წმიდისა მის წმიდათასა, რავდენნი ებრძანა კრძალვანი და პირად-პირადნი განწმედანი, ვითარ იგი ემცნებოდეს და ებრძანებოდეს. და თუ ვინმე წარმდებად და უღირსად განუწმედელი მიიახლის, არა მცირედი პატიჟი მიეჴადის ღვთისაგან; და სხუაჲ რავდენნი წერილ არნ ამის პირისათჳს საღმრთოთა წერილთა შინა, რომელნი სახე და აჩრდილ იყვნეს ახლისა ამის საიდუმლოჲსა და მსხუჩრპლისა საუფლოსა, რამეთუ ესე ყოველი სახედ ჩუენდა დაიწერა ვითარცა ჴმობს მოციქული პავლე; და უკეთუ აჩრდილსა და ძუჩლსა სახესა ესეოდენი კრძალვა უჴმდა, რავდენ უმეტეს თჳთ ჭეშმარიტებასა და ახალსა საიდუმლოსა.

ხოლო იგინი არცა ძუჩლისა წესისაებრ, არცა ახლისა აღთქმისა, არცა მოციქულთა მოძღვრებისაებრ, არცა მამათა განსაზღვრებისაებრ აღასრულებენ, არამედ უკრძალველად და თჳნიერ განწმედისა შეგინებულნი მასვე ჟამსა მიეახლებიან სიწმიდეთა. და ერის კაცთა, მეუღლეთა მათთა თანა ყოფილთა სა სხჳთაცა მრავლითა ბოროტებითა შეგინებულთა, მასვე დღესა აზიარებენ. ეგრეთვე დედათა, ჟამსა წიდოვნებისასა და სხჳთაცა მძიმითა ცოდვითა დაცემულთა მას დღესა მისცემენ ზიარებასა უკეთუ ოდენ თქუან აღსარებაჲ. ხოლო საკურთხეველადცა აღიყვანებენ ჟამსა წიდოვნებისასა, რომელი ესე ცხადად დაყენებულ არს ძუჩლსაცა შინა სჯულსა და ახალსა უმეტესად. და ესრეთ წინააღმდგომ არიან საღმრთოდ სჯულისდებისა ყოვლისავე.

რამეთუ წერილ არს სჯულის კანონთა შინა, ესრეთ, წიდოვნისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაკაცისათჳს: „ხოლო დედობრივითა წესითა სისხლმდინარეთა დედათათჳს, უკეთუ ულირს მათ ესრეთ, რაჲ იყვნენ შესლვად სახლსა ღმრთისასა, ნამეტნავ ვჰგონებ ჰკითხვასაცა, რამეთუ არცა მათგან ვირწმუნებ განკრძალულნი თუ იყვნენ, რაჲთამცა კადნიერ იქმნენ ბუნებითსა, რომელსა შინა იყვნენ ვნებასა: ანუ წმიდისა ტრაპეზისა მიმართ მოსლვად, ანუ ჭორცისა და სისხლისა ქრისტესისა შეხებად. ხოლო ლოცვად ვითარცა ვინ იყოს და ვითარითაცა ვნებითა უფლებული მოხსენებად მეუფისა და თხოვად მის მიერისა შეწევნისა; არ‌ოდეს დაიყენების, ხოლო წმიდათა მიმართ და წმიდასა წმიდათასა შესლვად არა თუ ყოვლითურთ წმიდაჲ იყოს სულით და ჭორცითცა, არა ფლობილ იქმნების (დიონოსის ვასილიდის მიმართისა ეპისტოლისაგან თავი II).

პუალად წერილ არს: „დედაკაცი, რაჟამს წესსა ზედა თჳსსა იყოს წიდოვნებისაა, არა უჭმს ზიარებაჲ, ვიდრემდის არა განწმდეს“ (ტიმოთე ალექსანდრიელის კანონი VII).

პუალად წერილ არს: „ვითარმედ, არა ჴელერ არს დედათა მიერ შესლვად საკურთხეველად“ (ლავდიკიის კანონი XXXXIV).

ესე ყოველი ესრეთ წერილ არს და დაყენებულ მამათა მიერ და სჯულის კანონთა შინა. და უფროსად საღვთოთა წერილთა მიერ ძუძლისა სჯულისათა. ხოლო ჩუენ განვრცელებისათჳს არა დავწერეთ, არამედ იგინი ამას ყოველსა დაჰჴსნიან და არა ისმენენ საღმრთოთა წერილთასა; არცა დაადგრებიან საზღუარსა მამათასა, არამედ მათ მიერ განწესებულსა სჯულსა ყოველსა ქუეყანასა განჰფენენ, რათა განქარდეს და დადუმდეს ყოველი სჯულისდებაჲ წმიდათა მოციქულთა და წმიდათა ღმრთისმეტყველთა კაცთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXVIII თავი

სიტყუაჲ უცომოსათჳს, თუ ვითარ ყოველი მართლმადიდებელთა ეკლესია განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთასა საფუვრითა შევწირავთ, ხოლო იგინი უცომოთა[59]

პუალად უცომოთა სეფითა წირვა მათი – ხედავთ თუ ვითარ აღასრულებენ, რამეთუ გარეშე არს იგი საზღუარსა მამათასა და წესთაგან წმიდათა მოციქულთასა და წესთაგან მართლმადიდებელთასა. ნუ უკუჱ ჰგონებენ იგინი, თუმცა ჩუენ სიტყუაჲ არა გუაქუნდა ამის პირისათჳს, არცა მოწამენი ძუჱლისა და ახლისა სჯულისანი, არამედ ისმინეთ თუ რავდენნი პატიოსანნი მამადმთავარნი, წმიდანი წინასწარმეტყუელნი და ნეტარნი მოციქულნი მოვიყვანნე ამისდა მოწამედ და თჳთ თავადი სჯულისმდებელი და სრულმყოფელი ყოველთა კეთილთა ქრისტე მეუფჱ დამამტკიცებელად ამისა, ვითარმედ ჩუენი ესე სჯული და განწესებაჲ, ყოველივე მისგან და მის მიერ არს განწესებული და მისთა თვალით მხილველთა და ჴელით მსახურთა მოციქულთა მიერ დამტკიცებული.

რამეთუ ქრისტემან ღამესა მას პური აკურთხა: რაჟამს იგი უწინარეს პასექისა სერობაჲ იგი აღასრულა მოწაფეთა თჳსთა თანა, რამეთუ პური აკურთხა და არა უცომონი, ვითარცა წერილ არს წმიდასა სახარებასა შინა; რამეთუ ოთხნივე მახარებელნი ვითარცა ერთითა პირითა ჴმობენ და იტყჳან.

მათე იტყვის: **„და ვითარცა ჭამდეს იგინი, მოიღო იესო პური და ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჴორცი ჩემი“** და შემდგომი **(მათე 26,26).**

---

59. *უსაფუვროდ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო მარკოზ ესრეთ დასწერს: **„და ჭამდეს რაჲ იგინი, მოიღო იესო პური, აკურთხა, განტეხა და მისცა მათ და ჰრქუა: მიიღეთ და ჭამეთ, რამეთუ ესე არს ჴორცი ჩემი“** (მარკოზი 14,22).

ისმინეთ ლუკასიცა: **„და მოიღო პური, ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მათ დაჲ თქუა: ესე არს ჴორცი ჩემი, თქუენთჳს მიცემული; ამას ჰყოფდით მოსაჴსენებლად ჩემდა“** (ლუკა 22,19).

აწ კუალად იოანესი ისმინეთ ვითარ იტყჳს: **„მე ვარ პური ცხოველი, რომელი ზეცით გარდამოვჴედ. უკეთუ ვინმე ჭამდეს ამის პურისაგან, არა მოკუდეს, არამედ ცხოვნდეს უკუნისამდე. და პური, რომელი მე მივსცე, ჴორცი ჩემი არს, რომელსა მე მივსცემ ცხოვრებისათჳს სოფლისა“** (იოანე 6,51).

რამეთუ პური დაწერეს ოთხთავე, ვითარცა გესმა მახარებელთა და უფროსად ქრისტესაგან, რამეთუ იგინი ქრისტეს ბრძანებასა სწერენ და არა თავით თჳსით განაწესებენ, რამეთუ პური თქუეს და დაწერეს და არა უცომო, რამეთუ არცა ერთმან მახარებელ-მან დაწერა უცომონი, და თუმცა უცომონი განეტეხა ქრისტესა და მოციქულნი მით ეზიარებინა, მახარებელნიცა უცომოთა დას-წერდეს და არა პურსა, რამეთუ ცომოანსა პური ეწოდების და არა უცომო, ხოლო უცომოსა უცომო ეწოდების და არა პური, რამეთუ არცა იყო წესი ჰურიათაგან მაშინ უცომოსა ჭამისა ღამესა მას, რომელსა ქრისტემან სერობაჲ იგი აღასრულა, რამეთუ უწინარეს პასექისა ყო ქრისტემან სერობაჲ იგი. ვითარცა წერილ არს.

რამეთუ მათე და მარკოზ ესრეთ დასწერენ: **„პირველსა მას დღესა უცომოებისასა“, (მათე 26.17; მარკოზი 14.12)** რამეთუ ჰურიანი მაშინ დაიწყებდეს უცომოსა ჭამად, ოდეს სჯულიერსა პასექსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღასრულებდეს: ხოლო ქრისტემან უწინარეს პასექისა განტეხა პური, ვითარცა ვთქუ და არა თუ უცომო და არცა იყო წესი უცომოსა ჭამისა; ხოლო მოციქულნიცა ეგრეთვე ჰყოფდეს, ვითარცა ქრისტესაგან იხილეთ და არა ჭურიათაებრ ძუძლისა მის და უძლურისა აჩრდილისა, რამეთუ სახე იყო და არა ჭეშმარიტებაჲ. და ჩუენცა ეგრეთვე განგაწესეს, ვითარცა აწ ყოველი აღმოსავლეთისა მართლმადიდებელთა ეკლესიანი აღასრულებენ და ძუძლითაგანნი წინასწარმეტყველნი და მამათმთავარნი ესრეთვე მოასწავებდეს ვითარცა ქრისტემან აღასრულა და ჩუენ განგაწესა: პურს იტყოდეს ახლისა ამის საიდუმლოთათჳს და არა თუ უცომოსა.

რამეთუ მელქისედეკ მეფემან სალიმისამან, რომელი ქრისტეს ჭეშმარიტ სახედ ითქმის ვითარცა მოასწავებენ საღვთონი წერილნი: ოდეს შეემთხჳა აბრაჰამს, პური და ღჳნო მოართვა აბრაჰამს, ვითარცა წერილ არს და აკურთხა იგი; რამეთუ პური წერილ არს და არა უცომო.

ეგრეთვე დიდი მამათმთავარი იობ[ი] იტყჳს: **„იჭამებისა პური თჳნიერ მართლისა“? (წიგნი იობისა 6,6).**

იხილეთ ვითარ განკჳრვებითა იტყჳს დიდი იგი წინასწარმეტყველთა შორის პირის დასაყოფელად მათდა, რომელნი უცომოსა და უმარილოსა შესწირვენ საღმრთოსა მას მსხუერპლასა. არა თუ ლიტონისა პურისათჳს იტყჳს, არამედ საუფლოსა მისთჳს პურისა: ვითარმედ თუცაღა საფუარითა იყოს სრული, პური უმარილოდ არა იქმნების, რამეთუ უკეთუ ლიტონისა პურისათჳს ეთქუა, ვითარ ეგებოდა ტყუილი წმიდისა მისგან მამადმთავრისა, რამეთუ უმრავლესთა ადგილთა შინა უმარილოსა პურსა ჭამენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უმჯობესად შეურაცხიეს. არამედ ვითარცა ვოქუ საუფლოსა ამის პურისათჳს იტყოდა, რომელსა ჩუენ მართლმადიდებელნი შევწირავთ, რომელი ქრისტემან მოგუცა და შეუძლებელ არს უსაფუვროდ და უმარილოდ შეწირვა. და არცა ერქმის სრული პური, რომელსა ბრძანებს ქრისტეცა ვითარმედ: **„ყოველი შესაწირავი მარილითა დაიმარილოს, რამეთუ კეთილ არს მარილი“ (მარკოზი 9,49).** ესე არს ბრძანებაჲ ქრისტესი და მოსწავებაჲ ჭეშმარიტი, ვითარმედ მარილითა ჯერ არს და საფუარითა, რათა იყოს სრული პური და არა ნაკლული. ვითარცა ქრისტემან მოიღო სრული ბუნებაჲ კაცთა: და არა თუ უსრული.

ეგრეთვე ლევიტელთა შინა წერილ არს: **„ეტყოდა ღმერთი ძეთა ისრაჱლისათა ვითარმედ: ვაკურთხო პური შენი, ვაკურთხო ღჳნო შენი, და ვაკურთხო წყალი შენი“ (გამოსვლათა 23,25).**

აჰა აქაცა პური აკურთხა და არა უცომონი; ღჳნო აკურთხა და წყალი და არა მარტოდ ღჳნო, არამედ წყალიცა.

კუალად იგავისაცა ისმინეთ, რომელსა ჴმობს ვითარმედ: **„სიბრძნემან იშენა თავისა თჳსისა სახლი, და ქუეშე შეუდგნა მას შჳდნი სუეტნი, და დაუკლა თჳსი იგი საკლველი, და განზავა ტაკუკთა თჳსი იგი ღჳნოჲ და განუმზადა თჳსი იგი ტაბლა, და წარავლინნა თჳსნი მონანი მოწოდებად მაღლითა ქადაგებითა ტაკუკთა მათ ზედა და ჰრქვა: მოდით, და ჭამეთ პური ჩემი და სუთ ღჳნო, რომელი განგიზავე და დაუტევეთ უგუნურებაჲ და სცხონდეთ“ (წიგნი იგავთა 9,1).**

იხილეთ აქაცა ცხადი და ჭეშმარიტი წმიდისა ზიარებისა წინათვე მოსწავებაჲ და ჭეშმარიტი გამოცხადება, რამეთუ აქაცა პური

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბრძანა ჭამად და არა უცომონი, განზავებული ტაკუკთა შინა ღუნო და არა განუზავებელი და უწყლო. ესე არს ჩუენისა საიდუმლოსა და წმიდისა წირვისა წინათვე უწყებაჲ და გამოცხადებაჲ. და ჩუენ ყოველნი მართლმადიდებელთა ეკლესიანი ესრეთცა აღვასრულებთ, რამეთუ ესრეთცა მოგუეცნეს თჳთ თავადისა ქრისტესაგან და წმიდათა მოციქულთაგან, რამეთუ მამამან დაუსაბამომან მოავლინა ძე თჳსი მხოლოდშობილი ჴორცთა შესხმად და დაიკლა ჩუენისა ცხოვრებისათჳს, და მოგუცა სრული ჴორცი თჳსი ჭამად და არა უსრული; რამეთუ ესე არს პური იგი, რომელი ზეცით გარდამოჴდა ვითარცა თჳთ ქრისტე იტყოდა: პური არს ჭეშმარიტი და არა უცომო. და კუალად მოგუცა სისხლი იგი ცხოველსმყოფელი, გუცრდისაგან თჳსისა, რომელი განგჳზავა წყლითა მით წმიდითა, რამეთუ ესე არს ტაკუკთა შინა თჳსი იგი ღუნო, რომელი განგჳზავა წყლითა და არა უწყლოდ; არა მარტოდ პური, არამედ ღუნოცა განზავებული, ვითარცა იტყჳს წინასწარმეტყველიცა დავით ვითარმედ: **„მდინარე ღმრთისა აღივსო წყლითა“ (ფსალმუნი 64,10);** ესე არს მდინარე აღვსებული წყლითა, რომელი გუცრდისაგან საუფლოსა მოგუცნეს და აწ მღვდელნი, სახედ მისა განაზავებენ წყლითა, განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და ესრეთ მოგუცნეს ვითარცა წინასწარმეტყველთაგან ესწავათ და ქრისტესაგან ეხილვათ და ჩუენცა ესრეთ განგჳწესეს პურისა შეწირვა და არა უცომოსი; განზავებულისა ღუნისა და არა უწყლოსა, რომელსა კუალადცა წინასწარმეტყველი მოასწავებდა და იტყოდა ვითარმედ: **„სასუმელი ჭელთა შინა უფლისათა ღუნისა ურწყოჲსა სავსე არს სხმულითა“ (ფსალმუნი 74,9);** ესე იგი არს, ვითარმედ: **„სასუმელი ჭელთა შინა ღვთისათა ღუნისა ურწყოჲსა“**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამეთუ მას ღამესა სერობისასა ღუნო იგი უწყლო, რომელი ეპყრა უფალსა ბარძიმით, რამეთუ ღუნო იგი პალესტინისა ურწყავი არს და მძიმე და ძლიერ და არა იჴუმევის თუნიერ წყლისა. მაშინ ქრისტემანცა, ვითარცა იყო წესი წყლითა განზავა და მისცა მოწაფეთა, ვითარცა დიდი ბასილიცა დასწერს საიდუმლოთა შინა წირვისათა და იტყუს ვითარმედ: **„მოიღო სასუმელი, განზავა და აკურთხა და მისცა მოწაფეთა“** ესე განზავებული სასუმელი მოასწავა სოლომონ, რომელი განუმზადა სიბრძნემან ღვთისამან მოყვარეთა თუსთა და განუზავა წყლითა მით ცხოველმყოფელითა გუჱრდისა მისისათა ტაკუკთა შინა თუსთა. ხოლო ვინაჲთგან სიტყუამან ღვთისამან ბუნებაჲ კაცთა სრულებით მიიღო — სული, ჴორცნი და გონებაჲ და სამშუნველი, ეგრეთვე სრული და უნაკლო პური განტეხა მარილითა და საფუვრითა შეზელილი და არა უცომო და სახედ მკვდრისა უსულო და უგონებო.

ᲓᲐ მისცა მოციქულთა და უწოდა ჴორცად თუსად, რამეთუ პური იგი, რომელსა ვაკურთხებთ ბრძანებისაებრ ღვთისა, ჭეშმარიტად ჴორცად მისად შეიცვლების სრულიად და უნაკლოდ, რამეთუ საფუარი სახედ სულისა გულისჴმაიყოფების, და მარილი სახედ გონებისა; რამეთუ წინასწარ მეცნიერმან ყოვლისამან — უფალმან, უწყოდა წვალებაჲ იგი აპოლინარისი, რომელი გამოჩინებად იყო მიმდგომთა მისთა თანა, რომელნი იტყოდეს ჴორცთა ქრისტესათა უსულოდ და უგონებოდ. ამისათუს სრული პური განტეხა და არა უსრული და უცომო. და ესრეთცა ჯერ იყო, რამეთუ უწინარეს სჯულიერისა მის პასექისა ქმნა და არა იყო მაშინ უცომოსა ჭამისა ჟამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისთჳს მან ცოდოვანი პური განტეხა და თქუა: **„ამას ჰყოფდით მოსაჴსენებელად ჩემდა“.** ამას ჰყოფდითო, რომელი ჩემგან იხილეთ და გესმა; არა თუ იგი, რომელი ჩემგან არა იხილეთ და არცა გესმა, რამეთუ მე პური მოგეც და არა უცომო, ღჳნო მოგეც და არა განუზავებელი, არცა უწყლო, რომელი წინათვე გამოუცხადე წინასწარმეტყველთა ჩემთა და გაუწყე თქუენ; და ამისთჳს გეტყჳ: **„ამას ჰყოფდით მოსაჴსენებელად ჩემდა“.**

ესე საიდუმლო განეწესა ეკლესიასა შინა მიერითგან და ვიდრე აღსასრულადმდე: სრულისა და უნაკლულოსა პურისა შეწირვა საფუვრითა და მარილითა შეცხობილი და არა უცოდოთა და უმარილოთა, სახედ მკვდრისა უსულო და უგონებო, და რომელნი უცოდოთა და უმარილოთა აღასრულებენ მსხუერპლისა მის შეწირვასა, მათ ჩუენთჳს განჴორციელებული უფალი – სრული ღმერთი და სრული კაცი არა რწამს, დაღაცათუ სიტყჳთ აღიარებს, არამედ საქმით უარჰყოფს და უსულოდ და უგონებოდ აღიარებს და არა სრულისა კაცთა ბუნებისა მიმღებად, ვითარცა წმიდანი ღვთისმეტყველნი მამანი ესრეთვე იტყოდეს. რამეთუ ამის პირისათჳს, რომელნი უცოდოსა შესწირვენ, მრავალნი აღწერეს წმიდათა მამათა ჩუენთა და ჩუენ დაგჳტევეს. ხოლო მე ნამეტნავად ვჰგონებ უმრავლესისა აღწერა არა საწყინო იქმნეს.

ხოლო მე დიდითა განკჳრვებითა დაკჳრვებულ ვარ ამას თუ ვითარ ლათინნი უცოდოსათჳს იტყჳან ვითარმედ: ესე უცოდოთა წირვისა წესი მოციქულთაგან მოგუცცენესო, რათა უცოდოთა ვწირვიდეთო და არა ცოდოვანითა, რათა აღმოსავლეთისა ეკლესიანი ცოდოვნითა სწირვიდენო და ჩუენ უცოდოთაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Ara უწყი რაჲ ვთქუა. წმიდანი მოციქულნი შევრაცხნე მტყუვარად და წმიდანი ღვთისმეტყველნი, რომელთა ესრეთ განგაწესეს ანუ იგინი, რომელნი ესრეთ აღასრულებენ. ხოლო ესე არა ეგებოდა წმიდათა მათგან მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა, რათა სხუათა სხუაჲ წესი დაუსხნეს და სხუათა სხუა სჯული განუწესეს, რათა ურთიერთარს მტერობაჲ და შური აღძრან; არამედ უფროსად სიყვარული და ერთობაჲ განგაწესეს. და უკეთუმცა ჭეშმარიტსა იტყოდეს ლათინნი უცომოსათჳს, ვითარმედ მოციქულთაგან ესრეთ მოგუცცნესო; ესოდენნი ღვთისმეტყველნი და წმიდანი მამანი რავდენ სახედ აღწერენ უცომოსათჳს სამხილებელად ბოროტადმადიდებელთა სომეხთა მომართ. რამეთუ მაშინ დიდი ერთობაჲ იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთისა და ხუთნივე პატრიარქნი ერთჴმა იყვნეს მართლმადიდებლობასა ზედა და ერთი სარწმუნოებაჲ ეპყრათ: ვითარღა იკადნიერებდეს წმიდანი მამანი უცომოსათჳს მხილებად და განქიქებად; ანუ ვითარ არა განსამართლებელად ჰრომაელთასა იტყოდეს ვითარმედ: მათ ესრეთ მოეცნეს და ჩუენ ესრეთო, ანუ ვითარ სომეხნი არა განიმართლებდეს ამით თავსა თჳსსა, ვითარმედ: ჰრომაელნიცა ესრეთ ჰყოფენო.

Amit საცნაურ არს, რამეთუ არა ჭეშმარიტსა იტყჳან მოსავნი პაპისანი, არამედ ტყუიან, რამეთუ უკანასკნელ ესეცა გარდასცვალნეს ვითარცა სხუანიცა ყოველნი წესნი მართლმადიდებლობისანი და ქრისტეს მიერ მოცემულნი და მოციქულთა მიერ განწესებული და შჳდთა კრებათა მიერ დამტკიცებული სრულითა პურითა შეწირვა აღიღეს და უსრულითა და უცომოთა განაწესეს. არამედ უცომოსათჳს კმა არს ესოდენნი სიტყუაჲ. ხოლო აწ სხჳსა პირისა მიმართ ვიტყოდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXIX თავი

სიტყუაჲ წმიდისა ზიარებისათჳს, ვითარ იგინი ერის კაცთა ლიტონსა ღჳნოსა მისცემენ და არა სისხლსა საუფლოსა; ეგრეთვე პურსა ლიტონსა და არა ჴორცსა სამეუფოსა

ვინათგან წმიდისა საიდუმლოსათჳს ვიწყეთ მეტყუელებად და საუფლოსა მსხუერპლისა შეწირვა, ცხადად საცნაურ ვყავთ, რომელი ქრისტემან განგჳწესა. აწ წმიდისა ზიარებისათჳს ვიწყოთ, რომელსა ჩუენ მართლმადიდებელნი ერთობით მოვიღებთ ჴორცსა მას საუფლოსა და სისხლსა ცხოველსმყოფელსა, და რომელნი სარწმუნოებით და ღირსებით მოვლენან მათცა ეგრეთვე ვაზიარებთ: ჴორცითა და სისხლითა საუფლოსა.

ხოლო მოსავნი პაპისანი არა ესრეთ ჰყოფენ, არამედ მღვდელნი, რომელნიცა სწირვენ მით ეზიარებიან და ერისკაცთა სჳთაასეფითა აზიარებენ და არა მით, რომლითა თჳთ ეზიარებიან: ხოლო სისხლსა მას არა მისცემენ, არამედ სხუასა ლიტონსა ღჳნოსა, რომელი არა მიახლებულ არს ტრაპეზსა, არცა წართქმულ არს მას ზედა ლოცვა. და არა მოიჴსენებენ სიტყვასა მას ღმრთისასა, რომელსა ჴმობს დღით-დღე: **„მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჴორცი ჩემი თქუენთჳს განტეხილი მისატევებელად ცოდვათა“.** მერმე მოიღო სასუმელი და აკურთხა და მისცა მათ და თქუა: **„სუთ ამისგანი ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა მრავალთათჳს დათხეული“ (მათე 26,26);** და მარკოზ ესრეთ დასწერს: **„და ჭამდეს რაჲ იგინი, მოიღო იესო პური, აკურთხა, განტეხა და მისცა მათ და თქუა: მიიღეთ და ჭამეთ, რამეთუ ესე არს ჴორცი ჩემი. და მოიღო სასმელი, ჰმადლობდა და მისცა მათ, და სუეს მისგან ყოველთა. და ჰრქუა მათ: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა სჯულისაჲ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალთათჳს დათხეული“ (მარკოზი 14,22).

ხედავთა ძმანო საიდუმლოსა ამის ძალსა, თუ რასა ჴმობს ქრისტე ვითარცა წინასწარ მეცნიერი ყოვლისავე? რამეთუ ვითარცა სხუათა მათ წვალებათათჳს წინათვე მოასწავა და თქუა: ეგრეთვე წმიდათა საიდუმლოთათჳს თქუა და მოასწავა, რამეთუ უწყოდა ესეცა წვალება უკანასკნელ შემოსლვად, რომელსა აწ ლატინნი ჰყოფენ. რამეთუ მისცემენ არა ჴორცსა და მასაცა უცომოსა, და სისხლსა ყოვლადვე არა, არამედ ლიტონსა ღჳნოსა.

უფალმან მისცა რად პური მოწაფეთა, ჰრქუა: **„მიიღეთ და ჭამეთ, ესეარს ჴორცი ჩემი“**. ეგრეთვე მარკოზიცა ესრეთ იტყჳს: „მიიღეთ და სჭამეთ, ესე არს ჴორცი ჩემი“. ხოლო სასუმელი რად მისცა, ესრეთ ჰრქუა: „**სუთ ამისგანი ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი“** და არა თქუა ვითარცა პურისათჳს, არამედ სისხლისათჳს თქუა **„სუთ ყოველთა“**; ბრძანა და არა მარტო მღვდელთათჳს, არამედ ყოველთათჳს ზოგად: მღვდელთა და ერთათჳს. ვითარცა იგი პირველცა ეტყოდა ჰურიათა ამის საიდუმლოსათჳს და თქუა იესო: „**ამინ, ამინ გეტყჳ თქუენ: უკეთუ არა სჭამოთ ჴორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხორებაჲ თავთა შორის თქუენთა. ხოლო რომელნი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხორებაჲ სასუკუნო, და მე აღვადგინო იგი უკანასკნელსა მას დღესა, რამეთუ ჴორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასუმელი არს. და რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არს, და მე მის თანა“** (იოანე 6,53).

ესე არს ბრძანებაჲ უფლისა ძმანო, რომელი ესე რაჲ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიჴსენეთ, რამეთუ ზოგად ყოველთა მორწმუნეთათჳს ჴმობს მიღებასა პურისასა და ეგრეთვე სასუმელისასა ჴორცად და სისხლად თჳსად. ვითარცა მღვდელთათჳს, ეგრეთვე ყოველთა მორწმუნეთათჳს, რამეთუ შეუძლებელ არს დაჴსნად სიტყუაჲ ღვთისა, წერილისაებრ: **„იოტა ერთი გინა რქა ერთი სჯულისაგან და წინასწარმეტყველთა არა წარჴდეს“** და კუალად იტყჳს: **„ცანი და ქუეყანა წარჴდეს ჴოლო სიტყუანი ჩემნი არა სადა წარჴდეს“ (მათე 5,18). რამეთუ იგი ბრძანებს: „ესე არს ჴორცი ჩემი და ესე არს სისხლი ჩემი“ და „სუთ ამისგან ყოველთა“ და „უკეთუ არა სჭამოთ ჴორცი ძისა კაცისა და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრებაჲ“.** ხოლო იგინი ამასცა დაჴსნიან, ვითარცა სხუათა მათ ბრძანებათა და სჯულისდებათა მისთა. და წინააღუდგებიან ბრძანებასა მისსა და შემოიღებენ სხუასა და სხუასა სჯულსა და იტყჳან ვინათგან ჴოეცი ქრისტესი ცეცხლი არსო. ცოცხალსა ჴორცსა სისხლიცა ექმნებისო. დიდი უწესობაჲ და კადნიერი წინა აღდგომა საუფლოსა ბრძანებისა. უფალმან ესრეთ ბრძანა ვითარცა ესერა ვრცელად აღვწერეთ და პაპის მოსავნი ესრეთ ჰყოფენ: მისცემენ სეფის კუჭრსა და მასაცა უცომოსა და არა პურსა ბრძანებისაებრ უფლისა, და სისხლსა შემდგომად არა მისცემენ, არამედ ლიტონსა ღჳნოსა და მასაცა უწყლოსა. ქრისტემან არა იცოდა ჴორცისა თჳსისა არსებაჲ და ბუნებაჲ უკეთუ სისხლი არს მას შინა ანუ თუ არა[?] და უკეთუ მეცნიერ ყოფილ იყო მას შინა სისხლისა ყოფისა, მარტო ჴორცსა ბრძანებდა და არა სისხლსაცა და არცა მოწაფეთა მისცემდა სისხლსა და ეტყოდა: სუთ ამისგანი. არამედ პურსა ხოლო მისცემდა და მასაც უცომოსა და ეტყოდა: ესე არს ჴორცი და სისხლი ჩემი. ხოლო ახალთა ამათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთისმეტყუველთა და თავით თუსით გულისჴმისმყოფელთა და არა ღმრთისა მიერ. უმჯობესად გულისჴმაყვეს ვიდრე ქრისტემან და წმიდათა მოციქულთა მისთა და ამათ უმეტესი მეცნიერებაᲲ მოიპოეს და თქუეს „ჴორცი უსისხლოდ არა იქმნებისო“ და მოსპეს წმიდისა საიდუმლოსაგან სისხლი იგი ცხოველმყოფელი. რამეთუ წინადაგებული პური და ღუნო, რაჟამს იქმნას სიტყუთა ღვთისათა და კურთხევითა სისხლად და ჴორცად; მარტო პური არა იქმნების ჴორცად და სისხლად; არცა მარტოდ ღუნო იქმნების სისხლად და ჴორცად: არამედ პური იგი შეიცვალების ჴორცად და ღუნო იგი შეიცვალების სისხლად: ვითარცა ქრისტემანცა ეგრეთვე მისცა თუს-თუსად, და პურსა მას უწოდა ჴორცად და ღუნოსა მას სისხლად და ეგრეთ აზიარნა მოციქულნი და მოწაფენი თუსნი და სჯულად დაუსხნა ყოველთა მორწმუნეთა თუსთა და ჰრქუა: **„ამას ჰყოფდით მოსახსენებელად ჩემდაო“** და პურისა უბრძანა: **„ესე არს ჴორცი ჩემი თქუენთვის განტეხილი“** და ღუნისა უბრძანა: **„ესე არს სისხლი ჩემი თქუენთუს და მრავალთათუს დათხეული“.** ყოველთათუს ბრძანა ვითარცა ვიტყოდე და არა მარტო მღვდელთათუს და უკეთუ ორივე: ჴორცი და სისხლი ერთსა შინა არს სიტყუსაებრ მათისა, მაშა თანა აც მღვდელთაცა რათა არცაღა იგინი ეზიარნენ სისხლითა ქრისტესითა, არამედ მხოლოდ სეფითა, ვინათგან უსისხლოდ არა იქმნების. და უკეთუ უსისხლოდ არა იქმნების ჴორცი, არცაღა ზედაშე იქმნების თუნიერ წყლისა, რამეთუ ყურძენი წყლითა არს მორწყული და წუმითა განპოხებული და ესრეთ არა არს ღუნო უწყლო. და მოსპეთ წყალიცა წმიდისა ზიარებისაგან ვითარცა სეფისკუᲪრისაგან განაშორეთ საფუარი და მარილი და ჴორცისაგან სისხლი; ეგრეთვე სისხლისაგან წყალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იქმნენით უძჯრეს ყოველთა მწვალებელთა და მე ვჰგონებ ვითარმედ იქმნებისცა ეგრეთ. მცირედღა და მოისპოს წყალიცა სისხლისაგან, რამეთ რავდენსაცა თავით თჳსით გულის ჴმა ჰყოფენ კარდინელები და აუწყებენ პაპასა, მასაცა განაწესებენ და სჯულად უდებენ ყოველთა: და კუალად სხუასა გულის ჴმა ჰყოფენ და სხუასა განაწესებენ. ამისთჳს აყუჱდრებს წინასწარმეტყველი ესაია და იტყჳს: **„ვითარცა თავით თჳსით გულისჴმისმყოფელთა და წინაშე მათსა მეცნიერთა“** და შემდგომი. რამეთუ მათ დახსნეს ყოველი საზღუარნი მამათანი და შეურაცხყჳნეს მოციქულთა მიერ მოცემულნი კანონნი. რომელნი მათ ქრისტესაგან ესმა და იხილეს, და ჩუენ მოგუცნეს და სჯულად დაგჳსხნეს. ამისთჳს ჴმამაღლად ჴმობენ წმიდანი მოციქულნი და იტყჳან: **„გინა თუ ჩუენ, გინა თუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისა, რომელი მიიღეთ, შეჩუენებულ იყავნ!“** (გალატელთა 1,8) ხოლო ამის ესე ვითარისა მიზეზისათჳს განუდგეს მრავალნი ქუეყანანი და თემნი დასავლეთისანი პაპასა ჰრომისასა და არღარა მორჩილობენ უმრავლესნი მეფენი და მთავარნი მის კერძოსანი, რომელნი იყჳნეს სამწყსონი და მორჩილნი პაპისანი. რამეთუ ვინათგან მათ დაჴსნეს ყოველნი საზღუარნი და სჯულისდებანი წმიდათა მოციქულთა და მამათანი, არცაღა იგინი დაემორჩილნეს პაპასა, არცა შეიწყნარეს სჯულისდებაჲ მისი, არამედ განიზრახეს და თქუეს: „ვინათგან მათ შეურაცხ ყვეს ყოველნი საზღუარნი და კანონნი მამათანი, რომელნი მოგუჱცნეს აღმოსავლეთით, ნუცაღა ჩუენ დავემორჩილებით ახალსა სჯულისდებასა პაპისასა“. ამისთჳს განდგეს და იქმნნეს თავით თჳსით სხჳსა სჯულისა განმაწესებელ, ხოლო სარწმუნოებაჲ მართალი წმიდისა სამებისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და განჴორციელებაჲ სიტყჳსა ღმრთისა ორითა ბუნებითა ვითარცა ძუᲗლითგან მოსცემოდა იგივე უპყრიესთ, ხოლო საზღუარნი და წესნი საეკლესიონი, რომელნი მოცემულ იყო მამათა მიერ, მათცა სრულიად დაჴსნეს და არღარა უპყრიესთ და არცაღა სჯულისდებაჲ პაპისა შეიწყნარეს ზემო წერილისა მიზეზისათჳს; არამედ აწცა იტყჳან: „უკეთუ პაპა ჰრომისა ძუᲗლითგანსა წესსა იპყრობს და შეეერთების აღმოსავლეთისა ეკლესიასა, ჩუენცა მასვე წესსა ზედა ვეგებით და დავემორჩილებით პაპასა. ხოლო იგი თუ ურჩ არს ძუᲗლითგანისა სჯულისდებისა, ჩუენცა ურჩ ქმნილ ვართ პაპისაო“.

Ხოლო მოსავნი პაპისანი იტყჳან ვითარმედ: **„ერთმან მათგანმან მეფემან მეორისა ცოლისა შენდობაჲ ითხოვა პაპისაგან და ვერ მიემთხჳა შენდობასა და მისთჳს იქმნა განდგომილებაჲ მათიო“.** არამედ ნაცილ არს ესე სიტყვაჲ, რამეთუ ზემო წერილისა მიზეზისათჳს იქმნა განდგომილებაჲ და არა ცოლისა შერთვისათჳს. უკეთუ ესრეთ იყო, ვითარ მეფე ლაღი და თავისუფალი ერთისა გულისთქმისა ძლით შეპყრობილი ითხოვდა მეორისა ცოლისა შენდობასა, და არა მყის იქორწინებდა: და თუმცა იგი ითხოვდა შენდობასა, ესენიცა მიანიჭებდეს, რამეთუ ყოველივე ადვილად შერაცხილ არს მათ წინაშე დასაჴსნელად სჯულისდებაჲ წმიდათა, ვითარცა იგი სხუანიცა ყოველნი საზღუარნი დაჴსნეს და განაქარვნეს. ხოლო უკეთუ ერთი მეფე იქმნა განდგომილ მიზეზითა გულისთქმისათა სხუანი მეფენი რაჲსათჳს იქმნნეს განდგომილ და ურჩ, პაპის სჯულისდებისა: დიდნი იგი მეფენი ინგლიზისა, კალვინისა, შუᲗტისა და საქსოთა, რამეთუ ესე ყოველნი დიდნი სამეფონი და სხუანი მრავალნი თემნი განდგეს და ურჩ არიან

ჰაპისა, მაგინებელ და წინააღმდგომ და დამჴსნელ სჯულისდებისა მისისა.

Არამედ ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ, სადა იგი დაუტევეთ: რაჲსათჳს არა აზიარებენ ერისგანთა, ვითარცა იგი თჳთ ეზიარებიან: რამეთუ ქრისტე მეუფე არა ხოლო მარტო მღვდელთათჳს მოვიდა, არამედ ყოველთათჳს: მართალთა და ცოდვილთა და უფროსად ცოდვილთათჳს, ვითარცა ბრძანებს: **„არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა“ (მარკოზი 2,17).** და უკეთუ მართლად და უცოდველად შეურაცხიესთ ერისაგანნი, რაჲსათჳს აყენებს სისხლისა მიმართ საუფლოსა და პირველად მათ არა აზიარებენ: რამეთუ მართალნი უმეტეს ღირს არიან: ხოლო უკეთუ ცოდვილ არიან, ქრისტემან უმეტეს ცოდვილთათჳს დასთხია სისხლი თჳსი მეტყუჱლმან ესრეთ: **„ესე არს სისხლი ჩემი მრავალთათჳს დათხეული“.** და რაჲსათჳსღა აყენებენ ცოდვილთა ზიარებად აღსარებისა და სინანულისა მიერ უკეთუ ჟამსა სიკვდილისასა არღარა დააყენებენ, არამედ მაშინღა მისცემენ სისხლსაცა. ვითარ სიცოცხლესაღა შინა რაჲ არს მიზეზი არა ზიარებისა[?] თუ იგი ჭეშმარიტ არს, რაჲთა ცოცხალსა აზიარებენ, ესე ტყეილ იქმნების და ურგებ. და თუ ესე კეთილ არს და ჭეშმარიტ, იგი თურმე ნაცილ არს და უჴმარ.

Არამედ მე ვჰგონებ ვითარმედ მოპოვნებულსა რასმე ღონესა იჴმეევენ შესატყუჱბლად ერისა, რამეთუ ვერ ძალუც ვნებათა მიმართ თავთა თჳსთა დაპყრობად, ვერცა მორჩილთა მათთა, არამედ ყოველთა უწესოებათა მართ წარჴსნილ არიან. ამისთჳს მიუშვეს ყოველი კაცი ნებასა თჳსსა, რომელნი მორჩილებასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუცშე მათსა არიან და კაცად-კაცადი განზრახვასა თჳსსა და ერთი რაჲმე უსრული და ადვილ[ი] სახე განუწესეს გარეშე მოძღვრებისა მის ქრისტესაგან და მოციქულთა მისთასა შესატყუცბელად ერისა, რათა არა იგინიცა განდგომილ იქმნენ ვითარცა სხუანი იგი. და იქმნენ მტერ და მაგინებელ პაპისა. არამედ მხოლოდ პაპისა ოდენ ქუეყანასა ზედა მეორედ ქრისტედ აღმსარებელთა სხუაჲ სჯულიერი და ქრისტეს მიერნი ბრძანებანი არღარა ეთხოებოდნენ, არცა სრული ზიარებაჲ, არცა სრული ნათლისღებაჲ, არცა საზღუარი მარხვისა, არცა წესი ლოცვისა და არცაღა სხუაჲ იწროჲსა და საჭირველისა გზისა საგრობანი ბრძანებისაებრ ღმრთისა, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXX თავი

სიტყვაჲ მათდა მიმართ თუ რაჲსა მიზეზისათვის ჩვილთა ყრმათა და უჰასაკოთა არა აზიარებენ

კუალად ამას იქმან სხუათა თანა უწესობათა, რამეთუ უსრულთა და უჰასაკოთა ყრმათა არა აზიარებენ და ვჰკითხოთ რაჲ ამის მიზეზისათვის, გუცტყვიან ვითარმედ: უსრულობისათვის ჰასაკისა ვერ გულისჴმაჰყოფენ საიდუმლოსა ამის ძალსაო.

ჰოი დიდი უგუნურებაჲ და სიტყუაჲ უმსგავსო და ყოვლისა სიცილისა ღირსი. მათ უხმობენ უგუნურად და უჰასაკოდ ხოლო ამათ, ჰასაკსა შინა სრულსა ცნობაჲ მამაკაცობრივი ვერ შეიმოსეს, არამედ უუგუნურეს იქმნეს ძუძუსმწოვართასა.

რამეთუ ღვთისა ჩუენდა მომართ ურიცხუთა მოწყალებათა და ზეშთა სახიერებათა თავი და დასაბამი ნათლისღებაჲ არს, რაჲთა დიდთა საიდუმლოთა ნიჭნი ამის მიერ აღესრულების მოგვენიჭების. ამას ხოლო ჩჩჳლთა მიანიჭებენ დღესა მას რომელსა შინა იშვეს და არა ხოლო თუ ესე, არამედ უკუეთუ დაეყოვნოს საშოით გამოსლვა ვიდრე მუცელსა შინა იყოს დედისასა, მცირისა წყლისა სხურებითა, გინა თუ შეხებითა ნათელსცემენ: ესევითარმან ჩჩვილმან გინა თუ მცირედ უმეტეს ამისა ჰასაკითა უსრულმან ვითარღა უწყიან საიდუმლო იგი წმიდისა ნათლისღებისა: და ვინაჲთგან უმეცარ არიან ყოვლისავე საღმრთოჲსა განგებულებისა, ვითარ შეერაცხის ნათლისღებად? და უკეთუ ესე ვითარნი ჩცვილნი არა დაიყენებიან ნათლისღებისა მიმართ, უმეტესად ჯერარს რაჲთა დაუყენებელ იყვნენ წმიდისა ზიარებისა მიმართ. რამეთუ ვითარცა უნათლავნი ვერ მიემთხუჱვიან ცხორებასა საუკუნოსა სიტყვისაებრ უფლისა: ეგრეთვე უზიარებელნი ვერ ღირს იქმნებიან ქრისტესთანა სუფევად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხორებასა მას დაუსრულებელსა.

ხოლო ჩუენდა მოცემულ არს ძუელითგანითა მით განწესებითა წმიდათა მოციქულთა და დიდთა ღვთისმეტყველთაგან: რათა ჩჩჯილთა ყრმათა ვიდრე მეორმეოცედ დღედმდე უკეთუ სასიკუდინე სენი არა აიძულებდეს არა ნათელვცემთ და მეორმეოცესა დღესა მსგაცსად მხსნელისა, რაჟამს იგი ორმეოცისა დღისა აღიყუანა უბიწომან დედამან და სჯმეონ მიიქუა: ეგრეთვე აღიყვანის დედა ტაძრად და მღვდელი ნათელსცემს სახელსა ზედა წმიდისა სამებისა სამგზის დაფლვითა წყალთა შინა: და ჯმნისა სიტყუასა და აღსარებასა მართლისა სარწმუნოებისასა ყრმისა მის ნაცვლად ამქმელი იგი იტყჯს სარწმუნოებით და ყოველივე იგი ამქმელისა მიერ თქმული: ჩჩჯლისა მის ყრმისად შეირაცხების.

ეგრეთვე წმიდასა საიდუმლოსა ვაზიარებთ ჭორცსა და სისხლსა საუფლოსა სარწმუნოებით: და თანაზიარ ქრისტესა ვჰყოფთ და ასოდ მისა განუკუნებთ სიტყჯსაებრ მოციქულისა: **„ძმანო! თქუენ ხართ ჭორცნი ქრისტესნი და ასონი ასოთა მისთაგანნი“** (I კორინთელთა 12,27); ესრეთ ასოდ ქრისტესა იქმნების და ნუ გიკჯრსესე, რამეთუ უსრული არს და ვერ აგრძნობს, რამეთუ ღმრთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს და არა რაჲ არს შეუძლებელ მისა: რამეთუ მან თქუა და იქმნნეს, ვითარცა იტყვის ფსალმუნი: და თავადმან ამცნო და დაებადნეს: რამეთუ ესრეთ ნებავს და ესრეთცა იქმს რათა ყოველნი ასო მისა იქმნენ: სრულნიცა და უსრულნი, ჰასაკოვანნი და უჰასაკონი, რამეთუ ჭორციელსა შობასა თანა მიანიჭებს სულიერსა შობასა წყლისა მიერ და სულისა. ეგრეთვე ჭორციელისა საზრდელისა თანა მიანიჭებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულიერსა საზრდელსა: ჴორცსა და სისხლსა თჳსსა და იზიარებს სუფევასა თჳსსა. ვითარცა იტყჳს მოციქული: **„აჰა ესერა მე და ყრმანი, რომელნი მომცნა მე ღმერთმან, რამეთუ ყრმათაცა ეზიარა ჴორცითა და სისხლითა“** (ებრაელთა მიმართ 2,13); ამისთჳსცა ჯერ არს უმეტესად უმანკოთა და ჩჩვილთა ყრმათა ზიარებად დაუბრკოლებელად ჴორცსა და სისხლსა უფლისასა, რათა თანაზიარ ქრისტესა იქმნენ და ასო გუამისა მისისა, ვითარცა თჳთ თავადიცა შეიწყნარებდა სიხარულით ყრმათა ჩჩვილთა; მკლავთა მიიქუამდა და აკურთხევდა და ეტყოდა რომელნი აყენებდეს მისა მიმართ მისლვად: **„ნუ აყენებთ მაგათ ჩემდა მომართ მოსლვად, რამეთუ ეგე ვითართად არს სასუფეველი ცათა“** და კუალად იტყჳს: **„უკეთუ არა იქმნნეთ ვითარცა ყრმანი ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა“,** და კუალად იტყჳს: **„რომელმან შეიწყნაროს ესევითარი ყრმა მე შემიწყნარარებს“** და შემდგომი. ხოლო თქუენ რაჲსათვის დააბრკოლებთ უმანკოთა ყრმათა და არა ზიარჰყოფთ ქრისტესა, არცა ასოდ მისსა განუკუთვნებთ. არა გესმითა ბრძანებაჲ იგი ქრისტესი: **„რომელმან დააბრკოლოს ესე ვითარი ყრმანი“** და კუალად: „**ნუ აყენებთ მათ ჩემდა მომართ მოსლვად“** ხოლო თქუენ კეთილად შეგირაცხიეს დაბრკოლებაჲ ყრმათა. არა გესმითა: **„ეგე ვითართაჲ არს სასუფეველი ცათა“**. ეგევითართა არსო უმანკოთა და უცოდველთა! არა თუ ცოდვილთა და ბოროტთა შინა განბრთილთა და დაძუელებულთა. ამათ[60] მისცემთ უხრწნელთა საიდუმლოთა და მათ[61] ხოლო აყენებთ. მას ღამესა, რომელსა შინა მრავალნი და დიდნი ბოროტნი ექმნენ განთიად ზიარებასა მისცემთ და უმანკოთა და ჩვილთა ყრმათა დააკლებთ ზიარებისაგან. მათი ჯერ იყო

60. ცოდვილთა.
61. ყრმათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსარებითა და სინანულითა და მრავლითა ცრემლითა და ოფლითა განწმედა და მერმეცა მიახლებად წმიდათა საიდუმლოთა ხოლო ამათი დაუბრკოლებელ ყოფად და მიცემა წმიდისა ზიარებისა.

ამათ, ესევითართა უმანკოთათჳს ჴმობს ქრისტე ღმერთი: **„რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა: იგი ჩემ თანა დადგრომილ არს და მე მის თანა“**, ხოლო მათთჳს იტყჳს მოციქული: **„რომელი ჭამდეს პურსა ამას და სუმიდეს სასუმელსა ამას უფლისასა ულირსებით, ღვთისა თანამდებ არს იგი ჴორცსა და სისხლსა უფლისასა. ხოლო, რომელი არა ღირსად ჭამდეს და სუმიდეს, დასასჯელად თავისა თჳსისა ჭამს და სუამს“ (Iკორინთელთა 11,27)**.

ხედავთა რომე ულირსად ზიარებად დასასჯელ არს და წარმწყმედელ და თანანდებ ჰყოფს ჴორცსა და სისხლსა უფლისასა? ამისთჳს არა ჯერ არს განუწმედელთა მიახლებად სიწმიდეთა და პირველ აღსარებისა და ჯეროვნისა სინანულისა ზიარებად წმიდათა საიდუმლოთა ჴორცსა და სისხლსა უფლისასა.

რამეთუ ვითარცა სტომაქი ხაშმი და სენიანი ვერ შეიწყნარებს სრულსა და მრთელთათვის შემზადებულსა საზრდელსა, არამედ უმეტეს აღმაორძინებელ და განმამრთელებელ სენისა და ხაშმისა ექმნების, ეგრეთვე მრავლითა ცოდვითა მიერ დასნეულებული სული და თითო სახეთა ვნებათა მიერ შეპყრობილი და ძლეული რაჟამს მიეახლოს ცეცხლსა საღმრთოსა უფროსად დაისჯების და განუმრავლდების ვნებანი და არა ხოლო თუ მოკლებად იქმნების ვნებათა, არამედ განმრავლებად.

ვითარცა იგი ექმნა იუდას, რამეთუ ვინადგან ბოროტი იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგარებად და სიყვარული საფასეთა, შური და ზაკუა გულსა ედვა და იგი არა განაქიქა, არცა შეინანა, არამედ წარმდებად და ურცხვნოდ მიიღო ზიარებად. ამისთჳს განვარდა და უმეტეს დაისაჯა და მერმე შიშთვილიბა.

ხოლო უმანკონი იგი და სანატრელნი წმიდანი მოციქულნი ეზიარნენ რად და ღირს იქმნნეს მიღებად ჭორცსა და სისხლსა უფლისა: უმეტეს განბრწყინდეს და უზეშთაესთა მადლთა ღირს იქმნნენ: ხოლო ვად ულირსად ზიარებად და შეუნანებლად მიახლებად საღმრთოთა სიწმინდეთა: და ვად შორის ყოფად ცხოველსმყოფელთა საიდუმლოთა და მისგან დაკლებად: რამეთუ ორივე წარმწყმედელ არს და დამსჯელ: ერთი იგი ულირსად მიახლებისათვის: მეორე უდებებით დაშორებისათვის: რამეთუ ბოროტ არს ულირსად ზიარებად: ხოლო უბოროტეს არს სრულიად მისგან დაკლებად. ერთი იგი დასჯის და ცეცხლად საუკუნოდ წარავლენს: ხოლო მეორე იგი სრულიად ცხოვრებისაგან დაკლებულ ჰყოფს და განაშორებს ქრისტესაგან: რამეთუ ქრისტე ბრძანებს: **„უკეთუ არა სჭამოთ ჭორცი ძისა კაცისა და სუათ სისხლი მისი არა გაქუნდეს ცხორებად თავთა შორის თქუენთა. და რომელი ჭამდეს ჭორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა იგი ჩემ თანა დადგრომილ არს და მე მის თანა“.**

ამისათჳს ძნელ არს მისგან დაკლებად და შორს ყოფად, რამეთუ თჳნიერ მისა ცხორებად შეუძლებელ არს, რამეთუ ვითარცა შეუძლებელ არს უნათლავთათჳს ცხორებად, ეგრეთვე შეუძლებელ არს უზიარებელთა ცხორებად, ვითარცა ნათლისღებისათვის ჰმობს ქრისტე: **„უკუეთუ არა იშუეთ წყლისაგან და სულისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ ჭელგეწიფებისა შესვლად სასუფეველსა ცათასა“. ეგრეთვე წმიდისა ზიარებისათვის ბრძანებს: **„უკუეთუ არა სჭამოთ ჴორცი ძისა კაცისა და სუათ სისხლი მისი არა გაქუნდეს ცხორებაჲ თავთა შორის თქუენთა“.**

ხოლო უღირსად ზიარებისათჳს მოციქული პავლე იტყჳს ქრისტეს მიერ: **„რომელი ჭამდეს პურსა ამას და სუმიდეს სასუმელსა ამას ღმრთისასა უღირსებით, ღმრთისა თანამდებ არს იგი ჴორცისა და სისხლისა უფლისა“.** იხილეთ რამეთუ ჴმობს მოციქული თანამდებ არსო ჴორცსა და სისხლსა უფლისა ვითარცა იუდა განმცემელი. რამეთუ მსგავსად მისა ზზედა აც სისხლი და ჴორცი უფლისა და ვერცარა შემძლებელ არს საუკუნოდ გარდახდად უკეთუ აქავე არა შეინანა.

ხოლო იტყჳს გამოღაიცადონო კაცად კაცადმან თავი თჳსი და ესრეთ პურისა მისგან ჭამონ და სასუმელისა მისგან სუან. ესე იგი არს: განიხილენ კაცად კაცადმან თავი თჳსი და გულისჴმაყონ ცოდვა თჳსი ნებსითნი და უნებლიეთნი, სიტყვითნი და საქმითნი აღუარონ ღმერთსა და მოძღვარსა და დაფარული გულისა თჳსისანი განაქიქონ და შემსგავსებული ცოდვისა თჳსისა. წამალი სინანულისა შეიწყნარონ და მერმე შიშით და სარწმუნოებითა მჴურვალითა მიეახლნნენ საიდუმლოთა ქრისტესთა და ეზიარნენ სისხლსა და ჴორცსა ცხოველსმყოფელთა ღმრთისათა.

ხოლო მოსავნი პაპისანი იტყჳან: არა თუ უღირსებასა ზედა იტყვისო მოციქული ამას, არამედ ურწმუნოებასა ზედაო: უკეთუ სარწმუნოებაჲ აქუნდესო კმა ეყოფის გინა თუ ცოდვილი იყოს გინა თუ მართალიო: და სხუაჲ უმეტესი არღარა ეთხოვებისო:ამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუენცა ესრეთ აღვიარებთ და ვიტყჳთ ვითარმედ რომე, მოუჴდებოდის ღმერთსა სარწმუნოებაჲ მტკიცე და გონებაჲ შეუორგულებელი. უჴმს რათა ჰრწმენეს კაცსა თჳნიერ ყოვლისა იჭვისა და ორგულებისა ჴორცად და სისხლად ქრისტეს მეუფისა და ვითარმედ იგი არს თჳთ საუფლო ჴორცი მისი და თჳთ საუფლო სისხლი მისი. და ვითარმედ ძალუც მიტევება ცოდვათა და მინიჴებად ცხოვრებაჲ საუკუნო.

ა რამედ „სარწმუნოებაჲ თჳნიერ საქმეთა კეთილთა მკუდარ არს. ვითარცა იგი საქმენი კეთილნი თვინიერ სარწმუნოებისა“ სიტყვისაებრ მოციქულისა იაკობისა **„რაჲ სარგებელ არს, ძმანო ჩემნო, უკეთუ ვინმე თქუას: ვითარმედ სარწმუნოებაჲ მაქუს, და საქმენი არა ჰქონდენ? ნუ ძალ-უც-მეა სარწმუნოებასა [ხოლო] ცხოვნებად მისა?„ და კუალად იტყჳს: „შენ გრწამს, ვითარმედ ერთ არს ღმერთი, კეთილად იქმ, და ეშმაკთაცა ჰრწამს და ძრწიან მისგან“. (კათოლიკე იაკობისი 2.14; 2.19;)** გნებავსა ცნობად, ჰოი კაცო ამაო, რამეთუ სარწმუნოებაჲ თჳნიერ საქმეთასა მკუდარ არს.

რ ამეთუ არცა რად კეთილნი საქმენი სახმარ არიან უკუეთუ არა სარწმუნოებით იყოს. არცა სარცმუნოებაჲ უსაქმო შემძლებელ არს რისამე: არამედ ორივე ჯერარს მოგებად: სარწმუნოებაჲ სრული და საქმენი კეთილნი და ესრეთ მიახლებად და მოღებად ჴორცსა და სისხლსა ცხოველსმყოფთა: არა მარტოდ ჴორცისა, არამედ სისხლისაცა სიტყჳსაებრ უფლისა: **„უკეთუ არა სჭამოთ ჴორცი ძისა კაცისა და სუათ სისხლი მისი“** და შემდგომი. და კუალად: **„მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჴორცი ჩემი, და სუთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი“. და მოციქული იტყვის: **„რომელი ჭამდეს პურსა ამას და სუმიდეს სასუმელსა ამას ღმრთისა“** და შემდგომი.

ა კუალად იტყჳს: **„სასუმელი ესე კურთხევისაჲ, რომელსა ვაკურთხევთ, - არა-მე ზიარებაჲ სისხლთა ქრისტესთაჲ არსა? და პურსა ამას რომელსა განვსტეხთ, არამე ზიარებაჲ ჴორცთა ქრისტესთაჲ არსა?“** (I კორინთელთა 10,16).

ასრეთ ყოველსა ადგილსა საღმრთოთა წერილთა შინა ჴორცი წერილ არს და სისხლი და არა მარტოდ ჴორცი არცა მარტოდ სისხლი. არამედ ზოგად სისხლი და ჴორცი: რომლისა ღირსმცავართ ყოველნი დაუსჯელად მოღებად მადლითა და კაცთმოყვარებითა უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, რომელსა შუენის ყოველი დიდება პატივი და თაყუანისცემა თანადაუსაბამოდთ მამით და ყოვლადწმინდით სულით მისითურთ აწდამარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXXI თავი

სიტყვისა მისთჳს თუ ვითარ ლათინნი და ბერძენნი ეცილებიან საღმრთოსა საიდუმლოსა ზედა

ᲙᲣᲐᲚᲐᲓ ერთი ესე არს ჩუენსა და ლათინთა შორის ცილობაᲲ და უმიზეზო მიზეზი, რამეთუ იტყჳან წმიდათა საიდუმლოთათჳს ვითარმედ: რაჟამს იტყოდეს მღვდელი სიტყუასა მას უფლისა: **„მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჴორცი ჩემი“ და „სუთ ამისგან ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი“** მყის შეიცვლების ჴორცად და სისხლად უფლისად და არღარა საჴმარ არსო მღვდელისა მიერ მოწოდებაᲲ სულისა წმიდისაო, არცა კურთხევა და ჯვრის წერა.

ᲮᲝᲚᲝ ჩუენ ესრეთ ესრეთ ვიტყჳთ მათთჳს ვითარმედ: ერთგზის რაᲲ განდგომილ იქმნეს და იწყეს დაჴსნად და დარღუევად ყოველთა საღმრთოდ სჯულისდებისა, აწცა მზა არიან ცილებად და წინააღდგომად ყოვლისა სამეუფოსა ბრძანებისა. ვის არა ჰრწამს ესრეთ და ვინ არა აღიარებს ვითარმედ: სიტყუაᲲ იგი ღვთისა არს შემცვალებელი ჴორცად და სისხლად, რომელმან იგი მაშინ ქორსა მას დიდებულსა სიონისასა თქუა და იქმნეს, ბრძანა და შეიცვალნეს; პური ჴორცად და ღჳნო სისხლად, რამეთუ იგივე ღმერთი იყო და შემოქმედი და დამბადებელი ყოველთა, რომელმან იგი თქუა დასაბამსა: „იყავნ ნათელი“ და იქმნა ნათელი და ყოველივე სიტყჳთა უფლისაᲲთა იქმნეს და დაებადნეს და ესეცა თქუა: „და იქმნეს ჴორცად და სისხლად“ და აწცა იგივე არს მთქმელი და შემცვალებელი, არამედ არა თჳნიერ სულისა წმიდისა: ვითარცა წერილ არს წინასწარმეტყველთა მიერ, ვითარმედ: **„სიტყჳთა უფლისაᲲთა ცანი დაემტკიცნეს და სულითა პირისა მისისაᲲთა - ყოველი ძალი მათი“ (ფსალმუნი 32,6),** რამეთუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავდენსა მამა იქმს, მას ძე ეგრეთვე მსგავსად იქმს; ეგრეთვე სული წმიდაჲ; და რაოდენსა ძე იქმს, მას მამა და სულიწმიდა იქმს და რაოდენსა სული წმიდაჲ იქმს, მას ეგრეთვე მამა და ძე იქმს. განუყოფელობისათჳს და ერთობისა არსებისა და ბუნებისა, ნებისა და განზრახვისა.

ამისთჳს, მღვდელი, რაჟამს იტყოდის სიტყუასა მას ქრისტჱსა, ვითარმედ: **„მიიღეთ და ჭამეთ“** და **„სუთ ამისგან ყოველთა“** მყის ჴადის უხილავსა მამასა და მოუწოდს სულსა წმინდასა და აკურთხევს წინა მდებარესა მას საიდუმლოსა; რამეთუ ქრისტეცა, რაჟამს ენება განტეხად პური იგი მადლობდა ღმერთსა და მამასა და მოუწოდდა სულსა წმიდასა, ვითარცა წერილ არს სამთავე მახარებელთა მიერ ვითარმედ: მოიღო პური, მადლობდა, აკურთხა და განტეხა. ეგრეთვე მსგავსად სასუმელსა ზედა ყო, რამეთუ ბუნებითა ღმრთაებისათა განუყოფელი იყო და განუშორებელი მამისა და სულისა წმიდისა. ხოლო რაჲსათჳს მადლობდა და ვისა მიმართ ილოცვიდა? რომელი იგი მარადის მის თანა იყო განუყოფელად ვითარცა მზისაგან ნათელი და ცეცხლისაგან სიტფო, ეგრეთჳე მამისაგან ძე და სული; არამედ ვინაჲთგან ბუნებაჲ ჩუენი მიიღო, მით ლოცვიდა და მადლობდა და ყოველსავე სიმდაბლისა საქმესა ბუნებითა ჩუენითა იქმოდა და მისი იგი ყოველივე განგებულებით ქმნილნი საქმენი ჩუენ სახჱ და მაგალით გუჱქმნა, რათა ჩუჱნცა, რაჟამს სამღვდელოსა მას მსახურებასა აღვასრულებდეთ ვმადლობდეთ ღმერთსა და მამასა და სიტყუასა მას ქრისტესა ვიტყოდით და სულსა წმიდასა მოუწოდდეთ, რამეთუ ესრეთ გჳსწავიეს წმიდათა მოციქულთაგან და ესრეთ მოგუცემიეს ღმერთშემოსილთა მამათაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხ ოლო მოსავთა პაპისათა ესეცა ა[ღ]ჴოცეს ეკლესიით და დაჴსნეს და არღარა ხადიან სულსა წმიდასა მსხუცრპლსა მას ზედა საუფლოსა; რამეთუ რაჟამს ხადოს მღვდელმან სულსა წმინდასა, მაშინ სრულიქმნების და შეიცვალების ჴორცად და სისხლად და ნუვინ იტყჳს ამას თუ: ქრისტეს ბრძანებაჲ ვერ შესცვალებსო; მღვდელისა სიტყუაჲ ვერ სრულ იქმსო. რაჲ საკჳრველ არს ესე, რამეთუ ქრისტემან მისცა ესევითარი ჴელმწიფებაჲ კაცთა, ვითარცა ბრძანებს ქრისტე ვითარმედ: **„რომელსა ვრწმენე მე, საქმესა, რომელსა მე ვიქმ, მანცა ქმნეს და უფროჲსიცა ამისი ქმნნეს“ (იოანე 14,12),** რათა ყოველსავე საიდუმლოსა ხილულად ჴელნი და სიტყუაჲ მღვდლისანი მსახურებდეს და უხილავად ბრძანებაჲ ქრისტესი და სულლისა წმიდისა მადლი სრულ ყოფდეს, რამეთუ სიტყუასა მასცა ქრისტესა მღვდელი იტყჳს ვითარმედ: **„მიიღედ და სჭამეთ...“ და „სუთ ამისგანი ყოველთა...“** და სულსა წმიდასაცა მღვდელი მოუწოდს და სრულ იქმნების ვითარცა იგი გაბრიელის სიტყჳთა, რაჟამს ახარა ქალწულსა: მოვიდა მას ზედა სულიწმიდაჲ და სიტყუამან ღმრთისამან ჴორცნი შეისხნა, რაჟამს ჰრქუა **„გიხაროდენ“,** გაბრიელ[მან]: **„მიმადლებულო უფალი შენთანა...“** და კვალად ვითარმედ: **„სული წმინდაჲ მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისა გფარვიდეს შენ“**, მყის იქმნა შემზადებაჲ ჴორცთა ქრისტესთა და ყოველივე საიდუმლო განკაცებისა სრულ იქმნა.

ე სრეთ იქმნების მსხუცრპლსაცა მას ზედა საიდუმლოსასა, რამეთუ მღვდელი, სახედ ანგელოზისა იტყჳს სიტყუასა მას ქრისტეჲსა და მერმე მოუწოდს სულსა წმიდასა და სრულ იქმნების და შეიცვალების ჴორცად და სისჴლად ქრისტეჲსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისთჳს განაწესეს წმიდათა მოციქულთა და მობაძავთა მათთა, სანატრელთა მღვდელთმოძღვართა ვითარცა ქრისტესაგან ისწავეს და ჩუენ მათსა წესსა ზედა უცვალებელად ვჰგიეთ და საზღუარი მათი არა დაგჯჴსნეს; ხოლო ლათინთა ყოველი განწესებული მათი დაუტევებიეს და უფროსლა წესი წირვისა არღარა უპყრიეს. ისმინეთ თუ რასა იტყჳან წმიდანი მოციქულნი და დიდნი ღვთისმეტყუცლნი საღმრთოჲსა წირვისა განწესებასა შინა. წმიდაჲ იაკობ, ძმა უფლისა, პირველი მღვდელთმოძღვარი ირუსალიმისა, მარკოზ მახარებელი, კლიმი ჰრომაელი, წმიდა ოქრო პირი და დიდი ბასილი, ესრეთ ღაღადებენ ბრწყინვალედ და ვითარცა ერთითა პირითა, ჴმობენ და იტყჳან. წმიდაჲ იაკობ იტყჳს შემდგომად საუფლოსა მის სიტყჳსა: **„შეგჳწყალენ ჩუენ, ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, შეგჳწყალენ ჩუენ, ღმერთო მაცხოვარო ჩუენო, შეგჳწყალე ჩუენ, დიდითა წყალობითა შენითა და გარდამოავლინე ჩუენ ზედა და წინამდებარესა ამას ძღუტნსა ზედა სული შენი ყოვლად წმიდაჲ, უფალი და ცხოველს მყოფი და თანა არსი შენ ღმრთისა და მამისა და მხოლოდშობილისა ძისა შენისა: ერთ ჴელმწიფებით თანასწორი, უხილავი, ვითარცა თქუეს სჯულსა შინა წინასწარმეტყუელთა, ხოლო ახალსა აღთქმასა შინა გარდამოჴდა სახითა ტრედისათა უფალსა ჩუენსა ზედა იჳსო ქრისტესა იორდანესა, მდინარესა და დაადგრა მას ზედა [და] რომელი გარდამოჴდა მოციქულთა შენთა ზედა სახითა ცეცხლისა ენათათა წმიდასა და დიდებულსა სიონს შინა, დღესა მას მეერგასესა. იგივე სული შენი ყოვლად წმიდაჲ, გარდამოავლინე მეუფეო ჩუენ ზედა და წინამდებარესა ამას ძღუენსა ზედა, რათა დანერგჳთა სულისა შენისა სახიერისა და დიდებულისათა განწმდეს. და ჰყავ უკუჱ პური ესე ჴორც**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმიდაჲ – ქრისტეს შენისა, და სასუმელსა ამას შინა პატიოსან სისხლ ქრისტეს შენისა. რათა ექმნას ყოველთა, რომელთა მიიღონ ამისაგან, მისატევებელად ცოდვათა და საცხოვრებელად საუკუნოდ" (იხ. ვახტანგ იმნაიშვილი, უძველესი ქართული ხელნაწერები ავსტრიაში, თბ., 2004, გვ. 257.)

ხოლო სიტყუაჲ ესე და ლოცვა მოციქულმან შემდგომად საუფლოსა მის სიტყსა თქუა, რაჟამს იგი თქუა: **„მიიღეთ და [ს] ჭამეთ" და „სუთ ამისგან ყოველთა" და** მოუწოდა სულსა წმიდასა ვითარცა სრულებით ზემო მოვიჴსენეთ, და უკუცთუ სრულ იქმნა მსხუცრპლი იგი საუფლოთა მით, რაჲსათჳსცა ხადოდა ღმერთსა და მამასა და მოუწოდდა სულსა წმიდასა. რათა წმინდა ყოს მსხუცრპლი იგი საუფლო და შესცვალოს ჴორცად და სისხლად ქრისტესა.

აწ ისმინეთ მარკოზ მახარებელისაცა ვითარ იტყჳს ერთჴმობით მათ თანა შემდგომად სიტყჳსა მის საუფლოჲსა [და] ესრეთ ჴმობს: **„სიკუდილი მეუფეო უფალო ყოვლისა მპყრობელო; მეუფეო ზეცათაო, მხოლოდშობილისა ძისა შენისა უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესა ვქადაგეთ და მესამესა დღესა სანატრელსა აღდგომასა მისსა აღვიარებთ და ზეცად აღსლვასა მისა მორწმინე ვართ და მარჯუენით ღვთისა და მამისა დაჯდომასა და მეორედ საშინელსა და შესაძრწუნებელსა მოსლვასა მისა შევიწყნარებთ, რომელსა ეგულების განსჯა ცხოველთა და მკუდართა და მიგებად თითუცულთა საქმეთა მათთაებრ სიმართლით. შენ უფალო ღმერთო ჩუენო შენსა შენდავე შევწირავთ ძღუენსა, წინაშე შენსა გხადით და გევედრებით კაცთმოყვარეო, სახიერო,**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდამოავლინე მაღლით წმიდით განმზადებულით სამკჳდრებელით შენით გარეშემოუწერელთა წიალთა შენთა, ნუგეშინისმცემელი იგი სული ჭეშმარიტებისა, წმინდა ღმერთი და ცხოველსმყოფელი. სჯულიერად წინასწარმეტყველთა და მოციქულთა მიერ ქადაგებული, რომელი ყოველგან არს და ყოველსავე აღავსებს და მოქმედებს თჳთ ჭელმწიფებით და განსწმედს არა მონებ, არამედ ვითარცა სათნო უჩნს თჳთ ჭელმწიფებით. შენი თანაარსი, შენგან გამომავალი და თანა მოსაყდრე მეუფებისა შენისა და მხოლოდშობილისა ძისა შენისა, უფლისა და ღვთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესი, ჩუენ ზედა და პურსა ამას ზედა. გარდამოავლინე რათა წმინდა ყოს ესე და განასრულოს ვითარცა ყოვლად ძლიერმან უფალმან და ყოს პური უკუჱ ესე ჭორც და სასუმელსა ამას შინა სისხლ ახლისა აღთქმისა მისისა, უფლისა და ღვთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესი, რათა ექმნეს ყოველთა, რომელთა მიიღონ ამისგან. და შემდგომი".

ხოლო წმინდა კლიმი [კლიმენტი] რომაელი ამისვე მსგავსად დასწერს განგებასა და წესსა წმიდათა მოციქულთასა საღმრთოდსა წირვისათვის, რომელი იყო შემდგომი წმიდისა პეტრე მოციქულისა. მის მიერვე კურთხეული პაპად ჰრომისა. ისმინეთ ამისიცა რასა იტყჳს ამისათჳს მერვესა წიგნსა შინა განწესებისა მისისასა, შემდგომად საუფლოსა მის სიტყჳსა: „მომჭსენებელნი უკუჱ ვნებისა მისისა, სიკუდილისა და მკუდრეთით აღდგომისა და ზეცად აღსლვისა და მეორედ მოსლვისა მისისა განსჯად ცხოველთა და მკუდართა და მიგებად თითუჱულთა საქმეთა მათთაებრ, შევწირავთ შენდა, მეუფისა და ღმრთისა, ჯერისაებრ პურსა ამას და სასუმელსა ამას, და გევედრებით ამისთჳს: ღირს მყუენ ჩუენ დაუსჯელად

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარდგომად წინაშე შენსა მღვდელობისა ღირსქმნილნი შენ მიერ. გარდამოიხილე წინამდებარესა ამას ძღუტნსა ზედა წინაშე შენსა. სავედრებელად შევწირავთ შენ, კაცთმოყვარისა ღმრთისა. სათნო იჩინე ესე პატივად ქრისტეს შენისა და გარდამოავლინე სული შენი წმიდაჲ მასხუტრპლსა ამას ზედა; მოწამედ ვნებისათჳს იჳსოჲსა, რომელმანცა დაგჳტევა პური ესე ჭორცად ქრისტეს შენისა და სასუმელი ესე სისხლად ქრისტეს შენისა". და შემდგომი.

ხოლო დიდი და ზეცით გამობრწყინვებული ბასილი რასა იტყჳს, ესეცა კეთილად ისმინეთ შემდგომად საუფლოჲსა მის სიტყჳსა: „შენ შეგივრდებით და გადიდებთ წმიდაო წმიდათაო. სათნო იყავ სახიერებითა შენითა და მოვედინ სული შენი წმიდაჲ ჩუენ ზედა და წინა მდებარესა ამას ძღუტნსა ზედა. აკურთხე ესე და განსწმინდე და გამოაჩინე და ჰყავ უკუტ პური ესე, პატიოსან ჭორც უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუტნისა, იჳსო ქრისტესა; ხოლო სასუმელსა ამას შინა, პატიოსან სისხლ უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესა. შესცვალე სულითა შენითა წმიდითა. ხოლო ჩუტნ, ერთისა პურისაგან და სასუმელისა შეერთებითა". და შემდგომი.

ხოლო წმინდა იოანე ოქროპირი, ისმინეთ, ვითარ მსგავსადვე იტყჳს: „კუალად შევწირავთ შენდა სიტყჳერსა ამას და უსისხლოსა მსხუტრპლსა და შეგივრდებით და გევედრებით და გხადით: გარდამოავლინე სული შენი წმიდაჲ ჩუენ ზედა და წინამდებარესა ამას ძღუტნსა ზედა. და ჰყავ უკუტ პური ესე, პატიოსან ჭორც ქრისტეს შენისა; ხოლო სასუმელსა ამას შინა პატიოსან სისხლ ქრისტეს შენისა. შესცვალე ესე სულითა შენითა წმიდითა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

Oხილეთ, რამეთუ ამათ ყოველთა ერთად თქუეს ვითარცა ერთითა პირითა და ერთ ჴმა არიან ყოველნი საიდუმლოჲსა ამისთჳს, რამეთუ შემდგომად საუფლოჲსა მის სიტყჳსა, რაჟამს იტყჳს მღვდელი: „მიიღეთ და ჭამეთ“ და „სუთ ამისგანი ყოველთა“; მერმე ესე დააწესეს წმიდათა მოციქულთა და სანატრელთა მღვდელთმოძღუართა, ვითარცა ესე რა აღგჳწერეს ვრცელად და უნაკლოდ. და უკეთუ მაშინვე სიტყთა მით საუფლოთა სრულ იქმნა და შეიცვალა ჴორცად და სისხლად, ესენი ვითარღა ევედრებიან ღმერთსა და მამასა და მოუწოდენ სულსა წმიდასა, რათა, წმინდა ყოს და შეცვალოს პური იგი ჴორცად ქრისტესა და ღჳნო იგი სისხლად ქრისტესა.

Xოლო, არა ვიტყჳთ თუმცა ვერ ძალედვა სიტყუასა მას ქრისტჱსა შეცვალებად, რამეთუ იგივე ქრისტე არს მთქმელი და შემცვალებელი, რომელმან იგი მაშინ თქუა ქორსა მას ზედა დიდებულსა სიონისასა და მისცა წმიდათა მისთა მოწაფეთა და მოციქულთა; არამედ არა თჳნიერ სულისა წნიდისა, რამეთუ იგიცა ჴადოდა ღმერთსა და მამასა და მოუწოდდა სულსა წმიდასა, რომელი მარადის განუშორებელ იყო მათგან, ვითარცა Cღმერთი. არამედ კაცობრივ ბუნებითა ჩუენითა, ესრეთ აკურთხა და განტეხა და მისცა და ეგრეთვე სასუმელსა ზედა ყო, და უბრძანა, რათა ესრეთვე ჰყოფდნენ იგინიცა, ვითარცა იხილეს მისგან, მოსაჴსენებელად სიკუდილისა მისისა, და ჩუენცა ესრეთ განგჳწესეს წმიდათა მოციქულთა და დიდთა ღმრთისმეტყველთა.

Xოლო რაჲ არს მიზეზი ამის, ესევითარისა ცილობისა, ანუ რაჲსათჳს დაჴსნეს ესე ვითარი განწესებაჲ წმიდათა მოციქულთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამედ მე ვჰგონებ, ვითარმედ, სხუაჲ არა რაჲ არს, არამედ რათა გამოაჩინონ ქუეყანასა ზედა მეორედ ქრისტედ პაპა, და მისი კარდინელები მოციქულებად და ყოველივე მათ მიერ განეწესოს და არღარა იყოს, არცა სადა ითქუმოდის განწესებული წმიდათა მოციქულთა და არცაღა მობაძავთა მათთა, წმიდათა მღვდელთ-მოძღუართა. და რად ვიტყჳ წმიდათა, უფროსღა თჳთ თავადისა ქრისტეს, ღმრთისა ჩუენისა: ვითარცა არცაღა სხუაჲ რაიმე მათ მიერ დადებული წესი და საზღუარი იპოების მათ შორის: ვითარცა ესერა წმინდისა წირვისა და სამღვდელოსა მსახურებისათჳს ვთქუთ. ეგრეთვე არცაღა ნათლისღებაჲ, არცა ლოცვისა და მარხვისა განწესება და არცა რაჲ სუაჲ ყოველივე განწესებაჲ წმინდანთა მიერ, არამედ ყოვლისავე მათ მიერ მოგონებულისა და თავით თჳსით განწესებულისა ნებავსთ ყოველსა ადგილსა განჰფენა და განმრავლებაჲ, რათა აღიჴოცოს საზღუარი მამათა.

ხოლო თქუენ, მართლმადიდებელნო, შვილნო წმიდისა კათოლიკე ეკლესიისანო, ნუ ისმენთ სიტყუათა მათთა, ნუცაღა მიუპყრობთ ყურთა ზრახვათა მათთა ამაოთა, ნუცა გარდაჴდებით საზღუარსა მამათასა, ნუცა დაჴსნით სჯულისდებასა ქრისტჱსა და წმინდათა მისთა მოციქულთასა, რათა, მათ თანა, ღირს მყვნეს უფალმან, დამკჳდრებად სასუფეველსა ცათასა, რამეთუ მისა შუენის დიდებაჲ და პატივი, აწდა... უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXXII თავი

მარხვისათჳს - თუ ვითარ იმარხვიდა მეუფჱ ჩუენი ქრისტე და წმიდანი მისნი მოციქულნი და ყოველნი წმინდანნი და ჩუენცა ესე განგჳწესეს

ᲛᲝᲓᲘᲗ ქრისტეს მოყვარენო და აწ მარხჳსათჳს ვიტყოდი, რომელი იგი ყოვლითურთ აღებულ არს მათგან და დაჴსნილ: და არღარა იპოების მათ შორის მარხვა, განწესებული მოციქულთა მიერ და ღმერთშემოსილთა მამათა და თჳთ მის, ჭეშმარიტებისა მიერ. რამეთუ, განჴორციელდა რაჲ ღმერთი და მჴსნელი ჩუენი, უფალი იჱსო ქრისტე, პირველად სათნოებად ესე აღიღო ბუნებითა ამით ჩუენითა და მით სძლო განმცდელსა მას მტერსა ბოროტსა, რამეთუ თჳნიერ მარხვისა და ლოცვისა ვერა რაჲ სათნოებათაგანი წარემართების, არცა უხილავთა მტერთა ძლევა იქმნების, რამეთუ ესე არს საჭურველი უხილავთა მტერთა მიმართ ბრძოლისა. ამისთჳს იმარხა ქრისტემან ორმეოცნი დღენი და ეგოდენნივე ღამენი; რამეთუ წინასწარმეტყველნიცა ესრეთვე ჰყოფდეს და მარხვითა გარდაიჴდიდეს დღეთა თჳსთა; და ესრეთცა ჯერ იყო ქრისტეს მიერ, რამეთუ ვინაჲთგან პირველი მამაჲ ჩუენი ადამი, საჭმლისა მიერ გარდაჴდა მცნებასა ღმრთისასა და სამოთხით ეჭსორია იქმნა. ხოლო მეორე ადამ, რომელ არს ძე ღმრთისა იქმნა რაჲ კაც, მარხჳსა მიერ და სიმდაბლისა დასცა მტერი იგი, დამცემელი ადამისი და ჩუენცა ესევე სახე დაგჳდვა, რათა მარხვითა და სიმდაბლითა ვსძლოთ მტერსა, მარადის განმცდელსა ჩუენსა. ვითარცა ბრძანებს თჳთ უფალი: **„ᲮᲚᲝ ᲔᲡᲔ ᲡᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲠᲐᲓᲗ ᲒᲐᲜᲕᲐᲚᲡ, ᲒᲐᲠᲜᲐ ᲚᲝᲪᲕᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲮᲕᲘᲗᲐ“ (მათე 17,21);** და წმიდანიცა მოციქულნი და ყოველნი წმიდანი მარხვითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღასრულებდეს ცხოვრებასა თჳსსა. ვითარცა მოსესთჳს წერილ არს, რომელმან ორგზის ორმეოცნი დღენი და ორმეოცნი ღამენი იმარხნა. რამეთუ პირველნი იგი ორმეოცნი დღენი და ორმეოცნი ღამენი იმარხნა რაჲ და მოიხუნა ფიცარნი იგი ღვთივწერილნი: მერმე ისრაჱლთა განარისხეს რაჲ ღმერთი ნაყროვანებითა და სიმთვრალითა, ვითარცა წერილ არს: **„დასხდა ერი ჭამად და სუმად და აღდგეს სიმღერად და უზორეს კერპსა მას მათ მიერ გამოდნობილსა“ (გამოსვლათა 32,6).** მაშინ შემუსრა მოსე[მ] ფიცარი, ხოლო შეინანეს რაჲ, კუალად იწყო მოსე[მ] მეორედ მარხვა, და იმარხა ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე. კუალად აღვიდა მთად და მარხვისა მიერ განწმედილმან კუალად მოიხუნა სჯულნი ღვთივ დაწერილნი.

ხოლო წინაჲსწარმეტყუჱლისა ელიას ცხოვრებაჲ რაჲღა ვინ თქუას, რამეთუ ყოვლადვე დღეთა თჳსთა მარხვითა გარდაიჭდიდა და ოდეს მე ორმეოცნი დღენი და ორმეოცნი ღამენი მსგავსად მოსესა იმარხნის. ეგრეთვე სხუანი ყოველნი წინაჲსწარმეტყუელნი მარხვითა იქცეოდეს: ვითარცა სამოელისთჳს წერილ არს, რამეთუ სიჩჩოითგან მარხვითა აღიზარდა და ღჳნო და თაფლუჭი არა ოდეს სუა. და დანიელ, დიდი იგი წინაჲსწარმეტყუელთა შორის და სამნი ყრმანი ბაბილონს, მარხვითა მოქალაქეობდეს, რამეთუ თჳნიერ ხილისა და მცირედთა თესლთაგანისა, სხჳსა არა რაჲსა გემოსა იხილვიდეს და ოდესმე ორსა და სამსა შჳდეულსა სრულიად უზმათა გარდავლიან. ვითარცა დანიელისთჳს წერილ არს, რამეთუ მარხვითა განწმედილსა გამოეცხადა დიდნი იგი და გამოუთქმელნი საიდუმლონი და სამთა ყრმათა მარხვისა მიერ წდობილთა არა შესწვიდა მძაფრი იგი ცეცხლისა საჭმილი, ხოლო ნინეველთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწევნადი იგი რისხვა არა მარხვითა და ტირილითა წარაქციესა? და დავითისა იგი სიტყუაჲცა მოვიჴსენოთ, რომელმან მარხვითა და ტირილითა გარდაიჴადნა დღენი თჳსნი, და ოდეს აჭირვებდეს მტერნი უხილავნი, ხილულთა თანა, საჭურველად მარხვა იჴმიის, ვითარცა წერილ არს: **„რაჟამს იგი[ნი] მაჭირვებდიან მე, შევიმოსი ძაძაჲ და დავიმდაბლი მარხვითა სული ჩემი“ (ფსალმუნი 34,13)** და კუალად იტყჳს: **„მუჴლნი ჩემნი მოუძლურდეს მარხვისაგან და ჴორცნი ჩემნი იცვალნეს ზეთისა მიერ“ (ფსალმუნი 108,24).**

ხოლო დიდი იგი ნაშობთა შორის დედათასა და საშოდთგან დედათასა სულითა წმიდითა აღვსებული, არა უმეტესად მარხვითა აღასრულებდა ცხოვრებასა თჳსსა, ვითარცა წმინდასა სახარებასა შინა წერილ არს მისთჳს. და წმიდანი იგი და სანატრელნი მოციქულნი, შემდგომად ამაღლებისა უფლისა ყოვლითურთ მარხვითა იქცეოდეს და ესრეთ აჭირვებდეს თავთა თჳსთა. რამეთუ პეტრე, თავი იგი მოციქულთა, მცირესა ქრთილისა პურსა ჭამდის. მასაცა ნაკლულევანად. და წყალსაცა მცირედ იჴუმევდის. და წმინდა იოანე ღვთისმეტყველი და მახარებელი და მკერდსა სიტყჳსასა მიყრდნობილი, კჳრიაკით კჳრიაკედ მცირედსა ფინიკსა მიიღებდის და სხჳსა არა რაჲსა გემოსა იხილევდის ვითარცა ცხოვრებასა მისსა წერილ არს. და იაკობ, ძმა უფლისა და პირველი მღვდელთმოძღვარი იცრუსალიმისა, არა რაჲსა მშუცნიერისა გემოსა იხილვიდის, არცა ღჳნოსა და თაფლუჭსა სუმიდა, არამედ მცირედსა პურსა და [ულბობელსა] მხალსა. ეგრეთვე სხუანი წმიდანი მოციქულნი და შემდგომნი მათნი წმიდანი მღვდელომოძღუარნი და ღირსნი მამანი, რომელთა ღირსვე არა იყო სოფელი ესე, ყოველნივე მარხვითა მოქალაქეობდეს და ჩუენცა ესევე განგჳწესეს და სჯულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგუსხნეს ძალისაებრ. ხოლო უკეთუ უჯერო იყო ესოდენნი მარხვა და არა რად საჭმარ, რადსათუს ესრეთ გულსმოდგინედ შეიტკბეს ყოველთა წმინდანთა და სიჩჩოითგან განწმედილთა, და ჩუენცა, რად ესრეთ განგუწესეს საზღუარი მარჭვისა, ანუ რადსათუს სძაგებენ მარხვასა მოსავნი პაპისანი და ესრეთ განიშორებენ. უკეთუ ქრისტეანენი არიან რადსათუს არა ისმენენ ბრძანებასა მისსა რომელი იტყუს: **„ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის სიმართლისათუს, რამეთუ იგინი განძღენ“** (მათე 5,6) და კუალად იტყუს: **„ნეტარ ხართ თქუენ, რომელთა გშიის აწ, რამეთუ განძღეთ“** (ლუკა 6,21); და კუალად ბრძანებს: **„ვაჲ თქუენდა, განმძღარნო აწ, რამეთუ გშიოდის“** (ლუკა 6,25); იხილეთ ვითარ ჰნატრის ქრისტე მმარხველთა. და მშიერთა და მწყურვალეთა ნეტარებასა განუკუთნებს და ვითარ ვაებასა მისცემს მაძღართა და გემოთმოყვარესა. და უკეთუ მოციქულთა საკუთრებასა მიიჩემებენ, რადსათუს არა შეუდგებიან კუალსა მათსა, არცა ისმენენ სიტყუათა მათთა, რომელნი უმეტესად ამას ქადაგებენ. რამეთუ წმიდაჲ მოციქული პეტრე იტყუს: **„თქუენცა ესევე მოსწრაფებაჲ ყოვლითურთ მოიპოვეთ და ყავთ სარწმუნოებასა შინა თქუენსა სათნოებაჲ და სათნოებასა შინა — მეცნიერებაჲ, და მეცნიერებასა შინა — მარხვაჲ, და მარხვასა შინა — მოთმინებაჲ, და მოთმინებასა შინა — ღმრთის მსახურებაჲ, და ღმრთისმსახურებასა შინა — ძმათა მოყვარებაჲ, და ძმათა მოყვარებასა შინა — სიყუარული, რამეთუ ესე რაჟამს იყოს თქუენ თანა და გარდაგემატოს, არა უქმად, არცა უნაყოფოდ იპოვნეთ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტეს მეცნიერებასა. ხოლო რომლისა თანა ესე არა არს, ბრმა არს და ვერ ჰხედავს იგი, რამეთუ დაავიწყდა განწმედაჲ იგი პირველთა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ ცოდვათა მისთაჲ“ (II კათოლიკე პეტრესი 1,5). ესე არს პეტრე იგი, მოციქულთა თავი, რომელსა იგინი ამაოდ იქადიან; რომელმან ესრეთ დაწერა და ესრეთ გუმოძღვრის. იხილეთ ვითარ სხვათა დიდთა სათნოებათა თანა მარხვასაცა სჯულგვიდებს და იტყჳს: „რომლისა ჳთანა ესე არა არსო: ბრმა არს იგი და ვერ ხედავსო: და რამეთუ დაავიწყდა განწმედა პირველთა ცოდვათა თჳსთაო“. და ჭეშმარიტად! სინანული თჳნიერ მარხვისა არა იქმნების; არცა განწმედა პირველთა ცოდვათა, რამეთუ ნაყროვანებაჲ და ძილი დაავიწყებს პირველთა ცოდვათა, და დავიწყებისაგან იქმნების უნანელობაჲ, და უნანელობისაგან მოვალს სიკუდილი სულისა, და მერმე სატანჯველთა საუკუნოთა მიცემა.

ᲒᲣᲐᲚᲐᲓ საქმესა მოციქულთასა წერილ არს კორნელიოზისათჳს ვითარ იგი უჩუენა ანგელოზი და მოუწოდა პეტრეს და მიუთხრა ჩუენებაჲ იგი: **„და ჰრქუა მას კორნილიოს: მეოთხით დღითგან ვიდრე აქა ჟამამდე ვიყავ მარხული და მეცხრესა ჟამსა ვილოცევდ რაჲ სახლსა შინა ჩემსა, და აჰა ესერა დადგა კაცი წინაშე ჩემსა სამოსლითა ბრწყინვალითა და მრქუა მე: კორნილიე, შეისმეს ლოცვანი შენნი, და ქველისსაქმენი შენნი მოიჯსენნეს წინაშე ღმრთისა“ (საქმე 10,30).**

ᲒᲣᲚᲘᲡ ᲯᲛᲐ ყავთ აქაცა ვითარ ოთხ-ოთხით და ხუთ-ხუთით იმარხვიდეს და სხუათა სათნოებათა თანა მარხვა და ლოცვა ვითარცა ფრთე ექმნა ქველის საქმესა მისსა და აღიყვანა წინაშე ღმრთისა.

ᲓᲐ კუალად წერილ არს საქმესა მოციქულთასა: **„იყვნეს ვინმე ანტიოქიას შინა მსგავსად კრებულისა მის წინაჲსწარმეტყველნი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოძღუარნი: ბარნაბა და სუმეონ, რომელსა-იგი ერქუა ნიგერ, და ლუკიოს კურინელი და მანაჰენ, რომელი-იგი იყო ძუძუჰსმტე ჰეროდე მეფისა და სავლე. და ვიდრე-იგი ჰმსახურებდეს უფალსა და მარხვიდეს, ჰრქუა მათ სულმან წმიდამან: გამომირჩიენით მე ბარნაბა და სავლე საქმესა მას, რომელსა მე უწოდი მათ. მაშინ იმარხეს და ილოცეს და დაასხნეს მათ ზედა ჭელნი მათნი და განუტევნეს“ (საქმე 13,1). აქაცა იხილეთ ვითარ წმიდანი მოციქულნი გულსმოდგინედ იმარხვენ და ილოცვენ და თუნიერ მარხვისა და ლოცვისა ვერა რას შემძლებელ არიან, ვერცა რას ჰყოფენ.

და კუალად წერილ არს საქმესა მოციქულთასა: **„და განამტკიცებდეს სულსა მორწმუნეთასა და ლოცვიდეს მათ, რაჲთა მტკიცედ დგენ სარწმუნოებასა ზედა, და ვითარმედ: მრავლითა ჭირითა ჴერ-არს ჩუენდა შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა. და უკურთხნეს მათ ეკლესიად-ეკლესიად ხუცესნი, და ლოცვითა და მარხვითა შეჰვედრნეს იგინი უფალსა“ (საქმე 14,22)** გესმათ ესეცა ვითარ ახალმოქცეულნი იგი და ახალნერგნი ქრისტეანენი ლოცვითა და მარხვითა შეჰვედრნეს უფალსა და ესე ამცნეს პირველად და ესე დაუსხნეს სჯულად, რომელთა სიტყუაჲ აქუსთ მათ რომელნი მარხვასა სძაგებენ და უფროსად მუცლისგემოვნებათა შედგომილ არიან.

და კუალად მოციქული პავლე მიუწერს ჰრომაელთა და იტყჳს: **„რომელიმე იმარხვინ დღეგამოღებით და რომელნიმე იმარხავნ ყოველსა დღესა; კაცად-კაცადი თჳსითა გონებითა გულსავსე იყავნ“ (ჰრომაელთა 14,5).**

ესეა ცხადი და ჭეშმარიტი პირის დასაყოფელი ჰრომაელთა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამეთუ მათ მიუწერს მოციქული დღეგამოღებით და ვიეთმე მათგანთა დღე ყოველ, მარხვასა და არა თუ სხუათა ვიეთმე. და კუალად იტყჳს იგივე მოციქული: **„წარუდგინენით თავნი თქუენნი, ვითარცა ღმრთისა მსახურთა, მოთმინებითა მრავლითა, ჭირთა შინა და ურვათა, იწროებათა შინა და ტანჯვათა, პყრობილებათა შინა და შფოთებათა, შრომითა და მღუძარებითა, მარხვითა და სიწმიდითა“ (II კორინთელთა 6,4).** ხოლო ესევითართა რად მარხვათა და მღუძარებათა ქადაგებდა მოციქული, ნუ უკუჱ თჳთ უქმად იყო ანუ არა იმარხევდა, გინა თუ არა აჭირვებდა თავსა თჳსსა. ამისათჳს იტყჳს: **„ნუ უკუჱ სხუათა უქადაგებდე და მე გამოუცდელ ვიპოო. ამისათჳს აღვიკრძალავ ჭორცთა ჩემთა და დავიმონებ“ (I კორინთელთა 9,27).**

ᲓᲐ კუალად იტყჳს: **„შრომითა და რუდუნებითა, მღუძარებითა მრავალგზის, შიმშილითა და წყურილითა, მარხვითა მრავალგზის, ყინელითა და შიშულოებითა“ (II კორინთელთა 11,27).** რამეთუ ესრეთ სტანჯვიდეს თავთა თჳსთა წმიდანი მოციქულნი და სხუათა მათ სათნოებათა თანა და დღითი დღე შრომათა და ჭირთა თანა მარხვასაცა ფიცხელსა შეიტკბობდეს. ამისთჳს ჩუენცა მტკიცედ სჯულგჳდებდეს და ამას გუასწავლებდეს, რამეთუ არცა ერთი წმიდათაგანი თქმულ არს, არცა სადა სმენილ არს თუმცა ესე არა შეეტკბო და ესე არა აქუნდა საჭურველად: და მარხვისა მიერ არა განწმედილიყო. და უკეთუ თჳთეულად აღმეწერა ცხოვრებაჲ მათი, ვერ დაიტევდა სოფელი ესე, თუ ვითარ განბრწყინდეს მარხვითა წმიდანი წინასწარმეტყველნი, სანატრელნი მოციქულნი და ღმერთშემოსილნი მამანი და მწყემსნი. და რად ვიტყჳ წმიდათა მოციქულთა და სანატრელთა მამათა, არამედ მეფენიცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთისმსახურნი და მართლმადიდებელნი, მარხვითა აღასრულებდეს დღრეთა თჳსთა, ვითარცა დიდისა კო[ნ]სტანტინესთჳს წერილ არს და უფროსღა დიდისა თეოდოსისთჳს გუაუწყებს ცხოვრებაჲ მისი, რამეთუ თჳნიერ პურისა და მხლისა არა რასა მიიღებდის. ეგრეთვე მეფე **დავით ალმაშენებელი,** ვითარცა წერილ არს მისთჳს, ვითარმედ განშორებულთა წესი ეპყრა და ეგრეთ იმარხევდა. სხუათათჳს რაჲღა ვინ თქუას.

ხოლო არა ვიტყჳ: თუმცა მარხვა სხუათა სათნოებათა უაღრესი იყოს, რამეთუ ყოველი სათნოებაჲ უაღრესი არს მარხვისა. გინა თუ მოწყალებაჲ სთქუა, გინა თუ სიწმინდე, ანუ თუ სიყვარული, ანუ სიმდაბლე, ანუ სიმშვიდე და ჭეშმარიტებაჲ. ესე ყოველნი უზეშთაეს არიან მარხვისა და უკეთუ ესენი არა აქუნდენ კაცსა, მარტო მარხვა ვერა რას შემძლებელ არს, არცა რად საჴმარ. არამედ უკეთუ მარხვა და ლოცვა წინა არა უძღოდის ამათ, ზემოთქმულთა, სათნოებათაგანნი არა რაჲ წარემართების. და უფროჲსღა სიწმიდე ჴორცთა და ქალწულებაჲ, ვითარცა იგი უმჯობეს არს და უაღრეს ნაყოფი ხეთა, რომელ არს მრავალფერობაჲ იგი ხილთა ყუავილსა, ეგრეთვე სხუაჲ სათნოებაჲ მარხვასა. არამედ უკეთუ პირველად ყუავილი არა იქმნეს, ნაყოფი არა იქმნების, ეგრეთვე უკეთუ პირველად მარხვა და ლოცვა არა აღიღოს კაცმან, სხუასა სათნოებასა ვერ წარმართებს, ხოლო მრავალმჭამელობითა და ძილითა არა მოიგების სათნოებაჲ, ვერცა მძლე ექმნების კაცი ვნებათა, ვერცა დაემორჩილების სახარებისა ბრძანებასა. ამისათჳს განაწესეს წმიდათა მარხვა და სჯულად დაგჳსხნეს, რამეთუ თჳთცა მარხვითა სტანჯვიდეს თავთა თჳსთა და ესე აქუნდა საჭურველად და ზღუდედ. ჩუენცა ესე შევიტკბოთ ქრისტიანენო რათა მძლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვექმნეთ ვნეათა და სათნო ვეყვნეთ უფალსა და ღირს ვიქმნეთ ცხოვრებასა მას საუკუნოსა, წმიდათათჳს განმზადებულთა.

ხოლო მე მრავალი მენება მარხვისათჳს თქუმად, არამედ ვერ-ღარა ვიკადრე უმეტესისა აღწერა, რამეთუ სრული მარხვისა საზომი ვერ მომიგიეს; ხოლო აწ ოთხშაბათისა და პარასკევი-სათჳს ვიტყოდი, თუ რაჲსათჳს იგინი ოთხშაბათსა არა იმარხვენ, ანუ შაბათსა რაჲსათჳს იმარხვენ, რამეთუ ესე ყოველი გარეშე არს საზღუარსა მას წმიდათა მოციქულთა და ნეტართა მამათასა, და მერმე კუალად მარხვისათჳსვე ვიტყოდით თუ ვითარ განეწესა მარხვანი ესე ჩუენნი, რომელნი გჳპყრიეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXXIII თავი

სიტყუაჲ ოთხშაბათისათჳს თუ რაჲსათჳს არა იმარხვენ, ანუ შაბათსა ვითარ და რაჲსათჳს იმარხვენ

ხოლო რაჲ ვთქუათ აწ ოთხშაბათისათჳს, რომელსა არა იმარხვენ ლათინნი, ანუ შაბათისათჳს, თუ რაჲსა მიზეზისათჳს იმარხვენ, რამეთუ ამითცა გარდაჴდებიან საზღუარსა წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასა. რამეთუ ოთხშაბათსა არა იმარხვენ ვითარცა ვთქუ, არამედ ჴორცსა ჭამენ, ხოლო შაბათსა იმარხვენ, და ესე არა უწყი ვისგან უსწავიეს, ანუ ვისგან მოუღიესთ ესევითარი უწესობაჲ, ანუ ოთხშაბათსა ჭამა, ანუ შაბათსა მარხვა. მე ვჰგონებ არცა მათ უწყიან თუ ვისგან მოეცნეს, ვერცა გჳჩუენებენ წერილთა შინა ამისა მოწამესა. ვერცა უწერელად ზეპირით გუაუწყებენ, რამეთუ არა რომლისა კრებისაგან მოსცემიესთ ესე, არცა ვისგან ასმიეთ. არამედ უფროჲსლა წინააღმდგომი მათისა ესრეთ უწესოებისა ესმისთ წმიდათა მოციქულთაგან: **„გინა თუ ჩუენ, გინა თუ ზეცით ანგელოზი გაჴარებდეს თქუენ გარეშე მისა, რომელი მიიღეთ ჩემგან შეჩუენებულ იყავნ!“ (კათოლიკე პავლესი გალატელთა მიმართ 1,8),** რამეთუ მოციქულთა კრებისა კანონთა შინა წერილ არს თჳთ მის წმინდისა კლემენტოზის მიერ აღწერილთა შინა, რომელი იყო პაპა ჰრომისა, შემდგომი წმინდისა პეტრესი: **რომელმან ოთხშაბათი და პარასკევი არა იმარხოს წმიდათა ორმეოცთა თანა, ესე იგი არს ვითარმედ ორმეოცთა მარხვითა ჯერ არსო მარხვა, და რომელმან არა იმარხოს უკეთუ სამღვდელოთანი იყვნენ განიკუჱთენ მღვდელობისაგან, ხოლო ერისკაცნი უზიარებელ იქმნენინო.** ეგრეთვე ნიკეის კრებისა კანონთა შინა წერილ არს სამას ათურამეტთა მამათა მიერ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელნი დაამტკიცებენ მოციქულთა მიერ განწესებულსა კანონსა ოთხშაბათისა და პარასკევისა მარხვისათჳს. რამეთუ პარასკევი ჯუარცმისა და ვნებისათჳს განეწესა მარხვად, ხოლო ოთხშაბათი ამისათჳს, რამეთუ მას დღესა შეკრბეს მღვდელთმოძღუარნი და ფარისეველნი ეზოსა მას კაიაფასსა და განიზრახეს ჯვარცმა და სიკუდილი მჴსნელისა და დაეზავნეს იუდას და დაამტკიცეს ვნებაჲ უვნებელისა. ამისათჳს დაამტკიცეს მარხვად წმიდათა მოციქულთა და შემდგომთა მამათა.

ხოლო შაბათსა თუ ვითარ იმარხვენ იგინი ისმინეთ. მეექუსის კრებისა კანონთა შინა წერილ არს ესრეთ: **„ვითარმედ გუცხსმა ქუეყანასა ჰრომისასა, რომრლთამე კერძოთა შინა შაბათსა იმარხვენო. ვამცნებთ პაპსა ჰრომისასა, რათა უბრძანოს მის ქუეშეთა სამწყსოთა, რათა რომელსაცა ადგილსა იმარხვენო შაბათსა, ამიერითგან ნულარამცა უკადრებიეს მარხვა შაბათსა, რამეთუ თჳნიერ ერთისა მის დღისა არა ჯერ არსო, რომელ არს დიდი შაბათი. მისა გარეშე რომელმანცა იმარხოს განიკუეთოსო“.** ხოლო აწ ლათინნი შაბათსა იმარხვენ და ოთხშაბათსა არა, არამედ ჴორცსა ჭამენ და არა ჯერარს ამისი ესრეთ ქმნა, რათამცა ოთხშაბათსა არა ვიმარხვიდეთ და შაბათსა მის წილ ვმარხულობდეთ. რამეთუ შაბათი ამისთჳს არს ჴსნილი მათვე წმიდათა მოციქულთა და მამათა მიერ განწესებული და ამისთჳს არა ვიმარჴვით თჳნიერ ერთისა მის დღისა. რამეთუ დღესა მას, რომელსა შინა იყო მდებარე საფლავსა შინა, ჯერეთ ნათელი აღდგომისა არა აღმობრწყინვებულიყო, არამედ ჴორცითა შაბათობდა და განისუცხებდა საფლავსა შინა. და მიჰფინა ნათელი ღვთაებისა და განანათლა მუნი იგი წყუდიადი ბნელი და აჰარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნითგან დასჯილთა და ზე აღმოუწოდა პირველსა ადამს და მის ძლით მის თანა მომწყდართა. ამისთჳს არა ჯერ არს შაბათსა მარხვა თჳნიერ ერთისა მის დღისა, ხოლო ხუთშაბათიცა ყოვლადვე ჴსნილი არს, არამედ თჳნიერ დიდთა ორმეოცთასა არა ვიმარხავთ. ეგრეთვე [ხუთ]შაბათი და უმეტესად და უბრწყინვალესად შაბათი, ყოვლითურთ ჴსნილ არს, რამეთუ განსუენებისა არს დღე იგი, რამეთუ მას დღესა განისჴენა უფალმან შემოქმედმან ცათა და ქუეყანისამან, ვითარცა წერილ არს. და აკურთხა და წმინდა ყო დღე იგი მეშჯდე. ხოლო ახალსა ამას აღთქმასა შინა, რაჟამს ძე ღმრთისა და ღმერთი ჭეშმარიტი იქცეოდა ჴორცითა ქუეყანასა ზედა, ყოველნივე საკჳრველნი საქმენი და სასწაულნი დიდებულნი დღესა შინა შაბათსა აღასრულნა. რამეთუ განრღუჴული იგი ოცდაათვრამეტისა წლისა მდებარე დღესა შაბათსა სიტყჳთა აღადგინა. ეგრეთვე შობითგანსა მას ბრმასა შაბათსა შინა მიჰმადლა ხედვა, კუალად ჴელი იგი განჴმელი შაბათსა განკურნა, და ძე იგი ქურივისა მხოლოდშობილი, შაბათსა განაცოცხლა, და ლაზარე, მომკუდარი ოთხისა დღისა დღისა, დღესა შინა შაბათსა ცოცხალი წარმოადგინა, და ყოველნი საკჳრველნი და ბუნებისა უზეშთაესნი სასწაულნი შაბათსა შინა აღასრულნა, ვითარცა ცხადად გუაუწყებენ წმიდისა სახარებისა ბრძანებანი. ამისათჳს არა ჯერ არს შაბათისა მარხვა. არცა განწესებულ არს წმიდათა მიერ მარხვად, არცა ოდეს გჳსწავიეს, არცა გუასმიეს.

ხ ოლო ოთხშაბათი და პარასკევი მათვე წმიდათა მოციქულთა მიერ არს განწესებული და წმიდათა და სანატრელთა მღვდელთმოძღუართა მიერ დაჭეშმარიტებული, რამეთუ წმიდისა ნიკოლოზისათჳს წერილ არს: ოდეს ჩჩულ იყო წიაღთა შინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედისათა, ოთხშაბათსა და პარასკევსა ძუძუსა არა სწოვდის ვიდრემდის არა დაჰჭდის მზე, არამედ ყოვლადვე უზმამან გარდავლის დღენი იგი. ვინ ასწავა ჩჩულსა მას უასაკოსა ოთხშაბათისა და პარასკევისა მარხვა. ანუ ვინ აუწყა მოციქულთა მიერ მოცემული კანონი? ჭეშმარიტად მადლმან სულისა წმიდისამან განაბრძნო სანატრელი იგი და სიჩჩოდთგან დედის მუცლისათ გამოაჩინა პირის დასაყოფელად მათდა, რომელნი ოთხშაბათსა სჭამენ და შაბათსა იმარხვენ. უკეთუმცა ჯერ იყო შაბათისაცა მარხვა, რადსათჳს ოთხშაბათისა და პარასკევისა თანა შაბათსაცა არა იმარხვიდა და უკეთუ ოთხშაბათისა განჭსნა ჯერ იყო, რადსატჳს შაბათისა თანა იგიცა არა განჭსნა.

აწ რადღა სიტყუად აქუსთ მათ ოთხშაბათისა უმარხველობისა და ანუ შაბათისა მარხვისა. რადსათჳს არა შეიკდემენ წმიდისა მისგან, რამეთუ წმიდანი ნაწილნი მისნი მათსა ქუეყანასა შინა მდებარე არს და ვიდრე დღესამომდე მირონი საკურნებელი დამოსწუთინ განჭმელთა მათ ძუალთა მისთა, და იგი არს დამბეჭდველი სიჩჩოდთგანვე აღმოსავლეთით ლოცვისა და ოთხშაბათისა და პარასკევის მარხვისა. ხოლო პაპის მოსავთაგან ყოველივე დაჭსნილ არს და განქარვებულ. არა შეიკდემენ წმიდისა ნიკოლოზისაგან, არცა სხუათა წმიდათაგან, არცა თუთ მათისავე პაპისა — წმიდისა გრიგოლისაგან, რომელი იყო კაცი საკჳრველი და სასწაულთა მოქმედი. გრიგოლის ვიტყჳ დიოლოღონსა, რომლისა პირით სული წმიდად ზრახვიდა განცხადებულად. იგი რადსათჳსღა იმარხევდა, რამეთუ ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი მარხვითა გარდავლნა. ვითარცა წერილ არს მისთჳს, რამეთუ არა რადსა სჭამდის თჳნიერ დამბლისა ოსპნისა. ესე წმინდად გრიგოლი პაპა იყო მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მწყემსი. უკეთუ მოციქულთასა არა ისმენენ, არცა წმიდათა კრებათა განსაზღვრებასა შეიწყნარებენ, მაშა მწყემსისა მათისა შეიკდიმონ, რამეთუ მის მიერ აღწერილსა წიგნსა შინა მრავალი წერილ არს ოთხშაბათისა და პარასკევისა მარხვისათჳს, რამეთუ წმიდანი იგი ვერ წინა აღუდგებოდეს განწესებასა წმიდათა მოციქულთასა; ვერცა დაჴსნიდეს განსაზღვრებასა წმიდათა კრებათასა. ამისათჳს ვერცა იკადრეს ოთხშაბათისა განჴსნა, ვერცა შაბათისა მარხვა. ესრეთ მტკიცედ დაიცვეს მათი განწესებული და ჩუენ დაგჳტევეს, რათა მტკიცედ დავიცვათ საზღუარი მათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXXIV თავი

მარხვისათჳსვე: თუ რაჲსათჳს მოგუჩცნეს წმიდანი ორმეოცნი, ანუ სხუანი იგი ყოველნი მარხვანი

Ისმინეთ კუალად მარხვისათჳს, თუ ვითარ მოგუჩცნეს, რომელნი განწესებულ არიან ჩუენ, მართლმადიდებელთა შორის: წმიდანი ორმეოცნი ანუ სხუანი მარხვანი. და ყოველივე თჳთუჩულად გეუწყნენ. რამეთუ ოთხშაბათისა და პარასკევისათჳს წინათვე აღვწერეთ და ვთქუთ რაოდენი ძალ გუჩდვა, და შაბათისათჲსცა გაუწყეთ ძალითა ღვთისაჲთა, რაოდენნი ვისწავეთ ჩუენ საღმრთოთა წერილთა მიერ.ხოლო აწ სხუათა მარხვათათჳს ვიტყოდით. რამეთუ დიდნი იგი მარხვანი – წმიდანი ორმეოცნი, პირველსავე სჯულსა შინა პატივცემულ იყო წინასწარმეტყუელთაგან მოსე განწესებისაებრ, რამეთუ მოსე წინასწარმეტყუჩლმან რაჟამს იმარხნა ორმეოცნი დღენი და ორმეოცნი ღამენი და სჯულნი ღვთივდაწერილნი მოიხუნა, ეგრეთვე ყოველნი წინასწარმეტყველნი იმარხვიდეს. და თჳთ თავადისა ქრისტეს მიერცა იკურთხა წმიდანი ესე ორმეოცნი, რაჟამს იგი იმარხნა ორმეოცნი დღენი და ღამენი. მერმე წმიდათა მისთა მოციქულთა სჯულად დაგჳსხნეს და მტკიცედ განგჳწესეს. იწყებიან ორშაბათით პირველისა კჳრიაკით და აღესრულებიან ორმეოცნი დღენი პარასკევსა ლაზარობისასა. და მსგეფსსა მას ვნების კჳრიაკისასა ვიმარხავთ ვნებისათჳს ღმრთისა და განვრდომისათჳს ჰურიათასა. ხოლო სხუაჲ იგი მიზეზი ესე არს დიდთა ამათ წმიდათა ორმეოცთა მარხვისა: რამეთუ ვინაჲთგან წესი იყო ძუჩლითგან ყოვლისა ათეულისა ღმრთისა[დ] შეწირვა, ესეცა ათეულად ყოვლისა წელიწდისა ბრძანებულ არს შეწირვად, რამეთუ წლისა დღენი სამას სამეოცნი და ხუთნი დღენი არიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარცა უწყით ყოველთა, ხოლო დიდთა მარხვათა დაღაცათუ ბუნებით კჳრიაკენი მარხვა არიან, არამედ სრულად მარხვად არა აღირიცხჳან სხუათა დღეთა თანა. ამისთჳს, რამეთუ ორგზის ისერების ღჳნითა და ზეთითა; ხოლო ხუთნი იგი დღენი ყოვლადვე მწუხრამდე მარხვა არს. არცა ღჳნო და ზეთი იჴუმევის თჳნიერ დიდისა უძლურებისა, არცა მწუხრამდე განიჴსნებიან არა რომლითა დღესასწაულითა და არიან დღენი ესე ხუთეულნი ვიდრე შაბათამდე ლაზარესა ოცდაათ. და იქმნების ათეულნი სამასისა დღისანი. ხოლო სამეოცდახუთისა დღისა ათეულნი ვნებისა კჳრიაკისა დღენი აღირაცხვიან: ესრეთ, რამეთუ ექუსნი დღენი არიან ორშაბათით ვიდრე დიდისა შაბათადმდე და ექუსნი იგი დღენი სამეოცისა დღისა ათეული ნახევარი დღე იქმნების. ამისათჳს განეწესა წმიდასა და დიდსა შაბათსა აღსრულებასა დღისასა და შემოსლვასა ღამისასა აღსრულებად წირვისა და პირისა ჴსნა პურითა და მცირედითა ღჳნითა. ესრეთ იქმნების ათეულნი წელიწადთა დღეთანი, ხოლო ვითარცა ვთქუ პირველისაებრ რიცხჳსა ოდეს შაბათ-კჳრანი დათუალნე ვიდრე ლაზარობადმდე, იქმნებიან დღენი ორმეოცნი.

ხ ოლო სხუანი იგი მარხვანი, რომელნი გჳპყრიეს, არცა ესენი არიან გარეშე საზღუარისა და განწესებისა წმიდათა მოციქულთა და მამათასა, რამეთუ ქრისტეს შობისა მარხვანი, იგიცა ომეოცნი დღენი არიან მათვე წმიდათა მიერ განწესებულნი, მისვე, წინასწარმეტყუველისა მოსეს განწესებისაებრ, რამეთუ მანცა მეორენი ორმეოცნი იმარხნა შემდგომად შემუსრვისა პირველისა მის სჳულისა და მერმე სხუანი მოიხუნა მეორითა ორმეოცითა მარხვითა განწმედილმან. და ესე მარხვანი იწყებიან ათხუთმეტსა, ნოენ-

ბერისა თუსასა და აღესრულებიან ოცდახუთსა დეკენბრისა თუსასა, ქრისტეს ღმრთისა შობასა. უფროსად პატივისათუს ქრისტეს შობისა განეწესა მარხვა ესე. ხოლო მარხვა იგი მოციქულთა, რომელსა უწოდენ სულისა მარხვად, ესე იგი არს შემდგომად სულის წმიდის მოსლვისა იწყებიან, რაჟამს მსგეფსი მისი აღესარულოს. ხოლო განიხსნების ჴსენებასა წმიდათა თავთა მოციქულთასა: პეტრესა და პავლესა, მათვე მოციქულთა მიერ განწესებული. რამეთუ ოდეს დაემოწაფნეს ქრისტესა, მყის საზომი მარხვისა ვერ აღიღეს. არცა ქრისტემან განუწესა ჯერეთ ფიცხელი ცხოვრებაჲ, ვინაითგან ახალნერგნი იყვნეს, არამედ მცირედ-მცირედ აღიყვანნა საზომსა სისრულისასა.

ამისათუს აყუჱდრებდეს უფალსა ჰურიანი და ეტყოდეს: **„მოწაფენი იოანესნი და ფარისეველნი იმარხვენ, ხოლო მოწაფენი შენნი არა იმარხვენო, ხოლო უფალმან მიუგო: ვითარ ჴელეწიფების ძეთა სიძისათა მარხვად, ვიდრე სიძე იგი მათ თანა არს, ხოლო ოდეს ამაღლდეს სიძე იგი მათგან, მაშინ იმარხვიდენო“ (მარკოზი 2,18).** ამისათუს წმიდანი მოციქულნი შემდგომად ამაღლებისა მოიქცეს სიონად და მოელოდეს მოსლვასა სულისასა. და დღესა მას მეერგასესა მოიღეს აღთქუმა სულისა წმიდისა. მიერითგან იწყეს მარხვად და განიბინეს ქადაგებად ყოველსა ქუეყანასა. ხოლო იწყებიან შემდგომად მარტჴლიის მსგეფსისა და აღასრულებს ჴსენებასა მათსა, ხოლო ზოგჯერ განგრძელებაჲ და ზოგჯერ შემოკლებაჲ ამის მიზეზისათუს იქმნების, რამეთუ აღვსებისა რიგი და ზატიკისა მოიყვანს ესრეთ. ხოლო მარხვა იგი ყოვლად წმიდისა ათოთხმეტი დღე უწინარეს მიცვალებისა მისისა განეწესა მარხვად პატივად დაძინებისა მისისა, მეშჯდისა მსოფლიოსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებისა მიერ. არამედ სხუათა მარხვათა უკანასკნელ, რამეთუ პირველ, თჳნიერ სამისა დღისა მარხვა არა იყო. ხოლო მარხვა ესე იწყების ერთსა აგჳსტოსა თჳსასა და განიხსნების დღესასწაულსა მიცვალებისა მისისასა. ხოლო სხუანი იგი მარხვანი ოთხშაბათ – პარასკევისა თანა უძუჱლესნი არიან მათვე წმიდათა მოციქულთა მიერ განწესებული. ხოლო შაბათი ჴსნილად მოგუჱცნეს ზემო წერილისა მისებრ მიზეზისა და არა ჯერ არს განჴსნა ოთხშაბათ-პარასკევისა, არცა მარხვა შაბათისა. ხოლო განიჴსნების ოთხშაბათი და პარასკევი წელიწადთა შინა ექუს[ს]ა შჳდეულსა მათვე წმიდათა მიერ განსაზღურებითა ესრეთ: ქრისტეს შობითგან ვიდრე განცხადებადმდე და მას დღესაცა ყოვლადვე ჴსნილ არს თჳნიერ წინა დღით განცხადებისა და იგი, დაღაცათუ ბუნებითი, ანუ კჳრიაკე იყოს ყოვლად მარხვა არს, ხოლო შურის კჳრიაკე და ყუჱლიერისა მსგეფსი ყოვლითურთ ჴსნილ არს მწვალებელთა არა თანაზიარებისათჳს, რამეთუ რომელთამე მწვალებელთა უძღებისა კჳრიაკით იწყიან მარხვად და წმიდათა ორმეოცთა ზედა დაურთიან. ხოლო სხუათა მწვალებელთა ყუჱლიერისა მსგეფსი შემატიან მარხვათა და მათისა შურისათჳს წმიდათა მამათა ვინადთგან ესევითარი მარხვა გარეშე იყო განწესებისა წმიდათა მოციქულთასა. ამისთჳს განჴსნეს ორნი ესე მსგეფსნი, რათა არა მწვალებელთა თანა მარხვად შეგვერაცხნენ.

Ეგრეთვე აღვსებისა მსგეფსი და სულისა წმიდისა მსგეფსისა პატივად დიდთა მათ დღესასწაულთა ჴსნილად განეწესა. ხოლო, ამათსა გარეშე, რომელი აღვწესეთ სხუად ოთხშაბათი და პარასკევი არა რომლისა მიზეზისათჳს განიჴსნების. და არცა შაბათი იმარხების თჳნიერ ერთისა მის დღისა. ხოლო მოსავნი პაპისანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევსა და შაბათსა არა ოდეს განჴსნის გინა თუ ქრისტეს შობისა და განცხადებისა დღე იყოს, ანუ აღვსებისა მსგეფსი იყოს. არცა ოდეს მე ოთხშაბათსა იმარხვენ, რამეთუ მათთა განწესებასა და რიგსა შინა შობაჲ და ნათლისღებაჲ და დიდი პარასკევი ერთი არს. უკუცთუ დიდნი იგი დღესასწაულნი პარასკევსა მოხუდეს, ღჳნოსა და თევზსა იჴუმევენ. ეგრეთვე დიდსა პარასკევსა თევზსა და ღჳნოსა მიიღებენ. არცა არს დიდი პარასკევი მარხვა მათისაებრ განწესებისა. არცა შობაჲ და ნათლისღებაჲ ჴსნილი. რომელსაცა მას დღესა იჴმევენ მასცა მას დღესა.

ეგრეთვე დიდთა მარხვათა შინა ყოველი დღე ერთ დღედ არს შერაცხილი მათ მიერ. ოთხშაბათი და პარასკევი, შაბათი და კჳრიაკე. არცა იგი არს მარხვა, არცა ესე არს ჴსნილი. რაღასაცა კჳრიაკესა იჴუმევენ, მასვე პარასკევსა მიიღებენ. და არა არს განრჩევა.

ხოლო პირველსა მსგეფსსა წმიდათა მარხვათასა ორშაბათსა და სამშაბათსა, ჴორცსა სჭამენ და ოთხშაბათით იწყებენ მარხვად და ბზობადმდე ორმეოცად აღრაცხუცნ. არამედ ყოველსა ამას მარხვასა შინა თჳნიერ ჴორცისა არა რასა იმარხვენ. არცა სხუათა მარხუათა შინა. მას[ა]ცა ზოგნი ვინმე მონაზონნი, რამეთუ მრავალრიცხჳ მონაზონებისა სახე არს მათ შორის სხჳსა სახისა და წესისანი, და ამით სახითაცა განეყჳნენ აღმოსავლეთისა ეკლესიათა რათა ყოვლითურთ უცხოდ გამოჩნდენ მამათა საზღუარისა და მოციქულთა განწესებისა. ხოლო ამათ არა ყოველთა აქუს მარხვა. და თუ რომელთამე მონაზონთაგანთა აქუს მარხვა თჳნიერ ჴორცისა, არა რაჲ მარხვა აქუსთ განწესებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამეთუ ყოველსავე ურიდად სჭამენ. ხოლო პაპასა და ეპისკოპოზთა არა რაჲ მარხვა აქუსთ. არცა ერთი დღე. ერცაღა ერისკაცთა უპყრიეს მარხვა, არცა სამეოცისა წლისასა, არცა მუცელქმნულთა დედათა, არცა მგზავრობასა შინა მყოფთა, არცაღა სნეულობისა ძლით. კნინღა და არღარა არს მათ შორის მარხვა, რამეოდენ სრულიად დაჴსნილ არს და მოსპობილ მათ მიერ, და ყოველსავე ურიდად და წარჴსნილობით სჭამენ. არა ხოლო თუ ჴორცსა და შენდობით მიცემულსა საჭმელსა, არამედ ყოველსა არაწმინდასა და დაყენებულსა ჭამადსა ურიდად იჴუმევენ და იტყჳან: **არა რაჲ პირით შემავალი შეაგინებსო.** რაჲ არს ესე სიტყუაჲ: უკეთუ ჭეშმარიტ არს თქმული ესე, რაჲსათჳსღა იმარხვიდა მეუფე ჩუენი ქრისტე, ანუ წმიდანი მისნი მოციქულნი და შემდგომნი მათნი ჭეშმარიტნი მღვდელთმოძღუარნი და უფროსად თჳთცა არა მისცნეს თავნი მრავალმჭამებლობასა და გემოთმოყვარებასა. უკეთუ არა რაჲ სავნებელი აქუნდა პირით შემავალსა რაჲსათჳს ჩუენცა ესრეთ არა გუაწუჱვენ და ნაყროვანებისა სჯული არა დაგჳსხნეს. არამედ, ამის მიზეზი, თუ, რაჲ არს: პირით შემავალი, რომელი არა შეაგინებს, ანუ რაჲსა ზედა არს თქმული ესე, სხუასა თავსა შინა უვრცელესად აღვწეროთ.

ხოლო აწ ვკითხოთ ვინ ასწავა ესე უწესო წესი: ოთხშაბათსა ჭამა, რომელსა შინა იქმნა განზრახვა[ჲ] იგი ჯუარცმისათჳს და სიკუდილისა უკუდავისა მის და განცემა და განსყიდვა უსასყიდლო[ჲ]სა მის. ანუ შაბათსა მარხვაჲ, რომელ იგი არს კურთხეული და ძუჱლითგანვე პატივცემული, რომელსა შინა ქმნნა ქრისტემან სასწაულნი და ნიშნი საკჳრველნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Ara ჰრცხუენისთა ნეტარისა და საკჳრველთმოქმედისა ნიკოლოზისაგან ვითარ ოთხშაბათსა და პარასკევსა ჩჩჳლ რაჲ იყო სძესა არა მიიღებდა. უკეთუ ჩჩჳლი ძუძუსმწოვარი ოთხშაბათსა და პარასკევსა ესრეთ პატივსცემდა და მარხვისა წესსა სიჩჩოჲთგან შეიტკბობდა, რაჲ თქუან მათ, ანუ რაჲ მიზეზი მოიპოვონ ესე ვითარისა უწესოებისათჳს. უკეთუ ჯერ იყო შაბათისაცა მარხვა, რაჲსათჳს მასაცა არა იმარხევდა, და უკეთუ ოთხშაბათისაცა ჯერ იყო ჭამა მას დღესა რაჲსათჳს [არ] სწოვდა [რ]ძესა? არამედ პირისდასაყოფელად უკანაჲსკნელ ამათ უწესობათა გამოჩინებადთათჳს საშოჲთგანვე განაბრძნო სულმან წმიდამან და აღადგინა ესრეთ მმარხველად ოთხშაბათისა და პარასკევისა და არა თუ შაბათისა. და მერმე აღმოსავლეთით მლოცველად იხილვებოდა, რომელი პირველცა მოვიხსენეთ. სამისა დღისა რაჲ იყო ჩჩვილი, აღმოსავლით მხედველი ჴელ განპყრობილი დადგა მლოცველად მყოვარ ჟამ და ამითცა გამოაჩინა მადლმან სულისა წმიდისამან საკდემელად და სასჯელად, რომელნი აცილობენ აღმოსავლით მლოცველთა. რამეთუ ჩუენნი წესნი და კანონნი, რომელი გჳპყრიეს ყოველივე მოციქულთაგან არს განწესებული და შჳდთა მსოფლიოთა კრებათა მიერ დამტკიცებული, ხოლო მათნი ყოველნივე ახლად შემოღებულნი და ახლად განწესებულნი. წმინდათა მათ და სანატრელთა მოციქულთა, რომელთა თვალითა იხილნეს და ჴელითა მსახურნეს სიტყუასა მას ცხოვრებისასა, მათთა განწესებულთა და დიდთა ღვთისმეტყველთა მიერ განსაზღვრებულთა ყოველთავე წესთა და კანონთა იწყეს შლად და დარღუჱვად და ახალთა რათმე და უცხოთა წესთა შემოღებად, რათამცა თჳთ იყვნენ მოძღვარ და განმაწესებელ და იგინი იჴსენებოდენ ყოველსა ქუეყანასა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხუანი, პირველგამოჩინებულნი მნათობნი სოფლისანი და სუეტნი ქრისტეანობისანი არღარა იჴსენებოდენ და დადუმნენ მათნი სიტყუანი და ჰრომით და იტალიით განეფინოს ყოველი უწესოებისა სიტყუაჲ. არა იჴსენებენ სიტყუასა მას წინასწარმეტყუჱლთასა ესაიასა და მიქიასა, რომელსა ჴმობენ ვითარმედ: **„სიონით გამოვიდეს სჯული და სიტყუაჲ ღმრთისა იჱრუსალიმით და სჯიდეს ყოველსა თესლებსა და აშხილებდეს ერსა მრავალსა“ (მიქა 4,2),** რამეთუ მუნით გამოჩნდეს წინაწარმეტყველნი და გამობრწყინდეს ნეტარნი მოციქულნი და თავადი მეუფე ჩუენი ქრისტე, ძე და სიტყუაჲ ღმრთისა, მამისა თანასწორი და თანა განმგებელი მისი. მუნით აღმობრწყინდა და მისგან მოგუეცნეს სჯულნი და წესნი და მიერ განეფინნეს ყოველსა ქუეყანასა. არა თუ დასავალით და იტალიით და არცა ჰრომით ფარიზით, და უკეთუ ესრეთ ყოფილ იყო, ეთქუამცა ვისმე ერთსა წინასწარმეტყუელთაგანსა ვითარმედ ჰრომით გამოვიდეს სჯული და სიტყუაჲ ღმრთისა იტალიით.

აწ თქუენ, ღვთის მოყვარენო ერნო საჯეთ სამართალი. ჯერ არს რათა ვისმინოთ იტალიელთა ანუ ჰრომაელთა, რომელთა შორის არა გამოჩენილ არს წინასწარმეტყველი, არცა სადა აღმოცენებულ არს მოციქული, არცაღა სადა ქმნილ არს მათ შორის მსოფლიო კრებაჲ. არამედ უფროჲსღა იჱრუსალიმით და აღმოსავლეთით მიფენილ არს მათ შორისცა ნათელი მეცნიერებისა, სჯული და სარწმუნოებაჲ. და აწ ყოველი დაჴსნეს და განაქარვეს, და ყოველთა კაცთა აწუჱვენ შედგომად კუალთამათთა და ასწავებენ ყოველთა, რათა პაპა ოდენ აღიარონ ღმერთად ქუეყანასა ზედა. სხუაჲ რაჲცა ენებოსთ მას იქმოდენ, და ამას ეტყჳან: ვითარმედ ძილითა და განსუჱნებითა, მრავალმჭამელობითა და

ჴორცთა სიზრქითა განსუქებულნი უმჯობეს არიანო მმარხველთა და მღუძარეთა და იწროსა გზისა მავალთაო. და სხუასა მრავალსა წინააღმდგომსა იტყჳან დასარღუჱველად და დასაჴსნელად სჯულისა ღვთივმოცემულისა.

Არამედ ჩუენ, დაფუძნებულნი და დამტკიცებულნი საფუძველსა ზედა წმიდათა მოციქულთა და წინასწარმეტყუჱლთასა და ნეტართა მამათასა, რომლისა თავსაკიდურთა მისთა არს ქრისტე სიტყჳსაებრ მოციქულისა: ნუ შევირყევით ქართაგან წვალებისათა, არამედ მტკიცე ვიყვნეთ და შეურყეველ და აღვაშენებდეთ თავთა ჩუენთა ქუად პატიოსნად კლდესა მას ზედა ქრისტეს მცნებათასა, რათა მის თანა ვსუფევდეთ დაუსრულებელთა მათ შინა საუკუნეთა კეთილთა და ვადიდებდეთ და ვაქებდეთ და თაყუანისვცემდეთ მამასა ძისა თანა სულით წმიდითურთ აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXXV თავი

სიტყუაჲ მათდა მიმართ, რომელნი ყოველსა არა წმინდასა და სჯულსა შინა დაყენებულსა ჭამადსა სჭამენ. მათ თანა სისხლსა და დამშთუარსა იჴუმევენ, რომელი ესე მტკიცედ დაყენებულ არს

წინასწარ თქმულსა მას თავსა შინა ვთქუ რაჲ იგი ჯერ იყო მარხვისათჳს და უმეტესისა მენება თქმა. არამედ დაჴსნილისა ამის ცხოვრებისა ჩემისა უდებ ვიქმენ და მცონარ, რომელსა არა მომიგიეს ჭეშმარიტი მარხვა. ამისთჳს ვერ სრულ ვყავ მარხვისათჳს მეტყველებაჲ, არამედ მცირედი აღვწერე და უმრავლესი დაუტევე.

აწ კუალად ვთქუა არაწმიდათა და დაყენებულთა ჭამადთათჳს, რომელსა იგი არა კმა იყოფენ ბუნებითთა და შენდობილთა მიცემულთა ჭამადთა, არამედ უწესოდ და ურიდად იჴუმევენ და უძღებებით სჭამენ ყოველსა არაწმიდათა პირუტყუთა და მფრინველთა და ქუცწარმავალთა უკეთუ არა იყოს მავნებელი სხეულისა, ანუ მაკუდინებელი, ყოველსავე დაუყენებლად მიირთმევენ. ამის თანა სისხლსა და დამშთვარსა და ნამხეცავსა, რომელი ესე მტკიცედ დაყენებულ არს ძუცლსა სჯულსა შინა და უმეტესად ახალსა აღთქუმასა შინა წმიდათა მოციქულთა მიერ და ყოველთა მიერ საძაგელად შერაცხილ არს. ამას ყოველსა ურიდად იჴუმევენ და მიზეზად მოიღებენ სიტყუასა მას ღმრთისასა, რომელსა ბრძანებს ვითარმედ: **პირით შემავალი არა რაჲ შეაგინებსო, არამედ განსავლით განვალს და განსწმედსო. და მოციქული იტყჳსო: ყოველი დაბადებული ღმრთისა კეთილ არს და არა რაჲ არს განსაგდებელ, არამედ ყოველივე წმინდა არს წმინდათათჳსო.** ესე სიტყვები აქუსთ თავის განსამართლებელად

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მიზეზად უწესოებისა მათისა.

რამეთუ სიტყუასა ამას ღმერთი ჩუენი იესო ქრისტე და წმიდანი მისნი მოციქულნი არა თუ ამას ზედა ბრძანებენ რათა ყუავი და კაჭკაჭი, ძერა და ძერძერუკი, ძაღლი და მაჩუ, მგელი და დათუ და ყოველი ქუეწარმავალი ჭამეთო და მერმე სისხლი და დამშთუარი ურიდად იჭუმიეთო, ნუ იყოფინ. და უკეთუ ესრეთ ჯერ იყო და ესრეთცა ეთქვა ვითარცა იგინი მოიღებენ მუცელღმერთობისათუს, მაშა წმიდანი მოციქულნი იჭუმევდეს. რამეთუ მათ რაჲცა თქუეს, საქმით გვასწავნეს და არა თუ სიტყუთ რაოდენნიცა მცნებანი მოგუცნეს.

რამეთუ არა თუ ამისათუს იტყჳან წმიდანი იგი, არამედ ის-მინეთ და მე ყოველივე კეთილად გაუწყო:

რამეთუ მაშინ ჰურიანი და უფროჲსად მწიგნობარნი და ფარისეველნი მრავალ სახედ და მრავალ გუარად განკრძალულ იყვნეს რეცხასა და ბანასა და ჭამადთა ვნებისა და თითო სახეობისათუს. მოძღურებისაებრ ხუცესთასა და არა სჯულის დებისაებრ მოსესსა და წინასწარმეტყუელთასა. რამეთუ მოსე ღმრთის მხილველი და სხუანი წმიდანი წინასწარმეტყველნი ვითარცა წიგნთა მათთა შინა წერილ არს, ყოველსა არა წმიდასა მფრინველსა და ოთხფერჭსა და ქუეწარმავალსა აყენებდეს ჭამად: ვითარცა ნოესცა უბრძანა განრჩევა წმიდათა არაწმიდათაგან ჟამსა მას წყლით რღუნისასა, შემზადებასა მას კიდობნისასა, რათა წმიდათაგან მფრინველთა და ოთხფერჭთა შჳდ-შჳდი შეიყვანოს კიდობნად და არა წმიდათაგან ორ-ორი. ეგრეთვე მოსე ღმრთის მხილველი დასწერს თჳთეულად გუარსა და სახესა ჭამისა და არა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭამისასა. და ახალსაცა ამას სჯულსა შინა ყოველივე ძუძლითგან განწესებული ჭამად და არა ჭამად, ვითარცა მაშინ, ეგრეთცა აწ დამტკიცებულ არს ყოველთა ქრისტეანეთა შორის და ყოველი არა წმინდაჲ დაყენებულ არს თჳნიერ ღორისა, რამეთუ იგიცა სხჳსა მიზეზისათჳს არს შენდობილ ჭამად და არა თუ წარმდებად და უძღებად ჭამისათჳს. და კუალად მერმე ყოველნი წარმართნი დაღაცათუ სხუასა არა წმიდასა ჭამადსა ზოგსრე ეკრძალებოდეს, არამედ ღორსა ხოლო ზოგად ყოველნი წარმართნი ჭამდეს, ხოლო ოდეს იცნეს გზა ჭეშმარიტებისა მოციქულთა მიერ, არღა უბრძანეს დაყენებად, არამედ შენდობით უბრძანეს ჭამად მარტო ღორი და არა სხუაჲ რაჲმე არაწმიდათაგანი და უკჳთუ სხუაჲცა რაჲმე უბრძანა წმიდათა მოციქულთა სჯულისაგან დაყენებულთაგანი ანუ ჭამადთაგანი რაჲმე, ანუ სხუაჲ რაჲცა რაჲმე. მასაცა იქმოდენ და იგიცა დაემტკიცებოდა ჩუენ შორის. ვითარცა იგი წინა დაცუჳთაცა. პირველად ბრძანა უფალმან აბრაჰამის მიმართ ბეჭდად სარწმუნოებისა და განყოფად სხუათა წარმართთაგან, რათა ჩნდენ ურწმუნონი და მორწმუნენი. უფალმან თქუა და იქმნეს. მერმე, შემდგომაგ ჴორცთ შესხმისა ბრძანა და დაეყენნეს, ვითარცა წერილ არს: **„რაოდენი ინება უფალმან ქმნნა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“.** ეგრეცა ღორი: პირველად ბრძანა სჯულმან და საძაგელ იყო. მერმე ბრძანა ახალმან სჯულმან და შენდობილ იქმნა. და უფროჲსად ამისათჳს, რამეთუ ჰურიათა უმეტესად ესე აქუნდა, და შემდგომად მათსა სარკინოზთა და აგარიანთა დიდად რაჲმე საძაგელად აღუჩნდა და ვითარცა წინასწარ მეცნიერთა სულითა წმიდითა — მოციქულთა არღარა დააყენეს ჭამად ჩუენ ქრისტეანეთა შორის, რათა ჩნდეს ქრისტეანეთა და ჰურიათა განყოფილებაჲ, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდგომად აგარიანთა და სარკინოზთა ჩუენგან განყოფად. ვითარცა სჯულითა და სარწმუნოებითა, ეგრეთცა წესითა და ჭამადითა, ვითარცა წინა დაცუცხითა და დაუცუცხელობითა, რამეთუ იგიცა წინასწარმეტყველთაგან იყო მოცემულ ბრძანებითა ღმრთისათა. არამედ მოციქულთა დააყენეს ბრძანებითა ქრისტესითა და მის წილ მოგუცნეს ნათლისღებად.ხოლო კუალად ესეცა გულის ჴმა ყავ ღორისათჳს: რამეთუ ღმერთსა არა რად დაუბადებიეს უხმარად და ამაოდ, არამედ ყოველივე კეთილად და შუცხიერ, ვითარცა წერილ არს: იხილა უფალმან რამეთუ კეთილ არს; რამეთუ ყოველივე რაჲცა დაბადა, კაცისათჳს საჴმარად გინა თუ შინაური, გინა თუ გარეული და უფროსად შინაური, რამეთუ გარეული რაჲცა არს ნადირი ანუ თუ მჴეცი თჳთეული ნათესავი ერთ ფერი და ერთ სახე არს. წმიდათაგანი გინა თუ არაწმიდათაგანი: ირემი გინა თუ ქურციკი ანუ ჯეირანი. ეგრეთვე მგელი, დათჳ და სხუა რაჲცა არს მჴეცთაგანი, არა განიყოფებიან თჳნიერ დედალ მამლისა, ხოლო შინაურნი ყოველივე წმიდაჲ, გინა თუ არა წმიდაჲ, უჭმი, გინა თუ ჭამადი, თჳთეული ნათესავი სხუაჲ და სხუაჲ ფერი და სახე არს ვითარცა ცხოვართა და ზროხათა შორის, ეგრეთვე ქათამთა და ღერღედთა შორის. ეგრეთვე ღორთა შორის, ეგრეთვე უჭმთა პირუტყვთა შორის — შინაურთა ცხენთა, ვირთა, ძაღლთა და კატათა, სხიაჲ და სხუაჲ ფერი და თითო სახეობაჲ არს და ამათგანი არცა ერთი არს უჴმარ, არამედ ყოველივე კეთილ და შუცხიერ და საჴმარ კაცთა. რამეთუ ზროხა: რომელიმე უღლისმზიდველობს, რომელიმე ტჳრთითა იქმს მსახურებასა შენსა, ზოგი სძესა მოგცემს და მერმე ჴორცითა გასერებს. ეგრეთვე ცხორი, მრავალფერად და მრავალგუარად საჴმარ შენდა არს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეგრეთვე ქათამი და სხუაყოველი ცხოველი შინაური. ხოლო უჭმი და არა წმიდაჲ რაჲცა არს შინაური, ყოველივე საჭმარ არს ფრიად. ჩხენი რომელიმე გიტჯრთავს, დამაშურალსაგანგისუცნებს, და რომელიმე ტჯრთითა მზიდველობს, ხოლო ძაღლი: რომელიმე მცველობს და იღჯძებს და მავნებელთა სდევნის, რომელიმე განადირებს და ნადირთა იპყრობს, და სხუაჲ გიძებნის, სხუაჲ მდევრობს, სხუაჲ მღერითა და ლაღობითა განგაცხრობს შინათ და გარეთ და ესე ყოველი დამბადებელისა მიერ შენდა მონიჭებულ არს.ხოლო ღორი. ესეცა დამბადებელისაგან მონიჭებულ არს ჩუენდა საჭმარად, რამეთუ უჭმარი არა რაჲ არს, არცარა დაუბადებიეს და ვინაჲთგან შინაურცა არს, ფერად-ფერადობაჲცა აქუს ვითარცა სხუათა ყოველთა შინაურთა ცხოველთა. ესე ღორი არცა გიჭნავს, ვერცა გიტვირთავს, ვერცა გიმცველობს, ვერცა გიძებნის, ვერცარას შეიპყრობს და ესრეთ უჭმარ არს ყოვლისა საჭმარებისა მიმართ, და რაჲსათჯს დაიბადა ღმრთისა მიერ. არამედ ესე უწყოდეთ ყოველთა ვითარმედ: უკეთუ არა წმიდაჲ არს და უჭმ სიტყჯსაებრ ჰურიათა და ისმაიტელთა, მაშა სხჯსა საქმისა მიმართ ჯერ არს რათა იყოს საჭმარ ვითარცა სხუანი ცხოველნი. ხოლო უკეთუ წმინდა არს, ჯეროვან არს რათა იჭამოს და ამისთჯსცა მოგუცცნეს ჭამად. ხოლო მოციქული პავლე რაჲ დასწერს ვითარმედ: ყოველივე წმიდაჲ არს წმიდათათვის და არა რაჲ არს განსაგდებელ მადლობით მიღებული და არცა რაჲ არს შეგინებული, არამედ უკეთუ ვინმე შერაცხოს იგი შეგინებულად, ამას ყოველსა წმიდაჲ მოციქული, ვითარცა წინასწარ მეცნიერი სულითა წმიდითა უკანასკნელ გამოჩინებადთა მწვალებელთათჯს იტყჯს. ვითარცა მოუწერს ტიმოთეს მიმართ ესრეთ. ხოლო სული

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმიდად ცხადად იტყჳს, რამეთუ უკანაჲსკნელთა ჟამთა განვინმე დგენ სარწმუნოებისაგან და ერჩდენ იგინი სულთა მათ მცდართა და მოძღურებასა მას ეშმაკთასა ორგულებითა და სიტყჳთა ტყუილისათა შემწუარნი თჳსითა გონებითა, აყენებდენ ქორწილსა და განაშორებდენ საჭმელთა, რომელნი უფალმან დაჰბადნა მისაღებელად მადლობით მორწმუნეთათჳს და რომელთა იციან ჭეშმარიტებით: „დაბადებული ღმრთისა კეთილ არს“, და არა რაჲ არს განსაგდებელ მადლობით მიღებული, რამეთუ განწმდების სიტყჳთა ღმრთისაჲთა და ლოცვითა. ამას სიტყჳასა მოიღებენ მიზეზად უწესოებისა მათისა და **ჰგონებენ, თუმცა ჩუენ სიტყჳაჲ არა რაჲ გუაქუნდა, არამედ ნუ ზედა დამესხმით, მცირედ მელოდეთ და ადვილად დაიჭსნას ცუდის მეტყველებაჲ მათი.**

რამეთუ შემდგომად ორას ოცდა ათისა წლისა გამოჩნდა ნავატ ფილოსოფოსი და სხუანი მრავალნი მიმდგომნი და თანაზიარნი მისისა წვალებისანი, რომელნი თავთა თჳსთა განწმედილად უჴმობდეს. ესენი ცხადად აყენებდეს ქორწილსა და იტყოდეს: ცოლიერი კაცი და ჴორცისა მჴამელი და ღჳნისა მსუმელი ცხოვრებასა ვერ მიემთხუჱვისო. ვერცა შემდგომად ნათლისღებისა ქმნილი ცოდვა მიეტევებისო. ამისათჳს იტყჳს მოციქული ვითარმედ: უკანაჲსკნელთა ჟამთა განვინმე დგენ სარწმუნოებისაგან და აყენებდენ ქორწილსა და განაშორებდენ საჭმელთა. ჭინასწარ განაკრძალებს მორწმუნეთა და ეტყჳს: ღმრთისაგან კეთილად დაბადებული მადლობით მიმღებელთათჳს არა რაჲ არს განსაგდებელი არცა ჴორცი, არცა ღჳნო, არცა სჯულიერი ქორწინებაჲ არს დამსჯელი. და რომელნიცა მოღვაწებისა ძლით განეყენების. ანუ ჴორცსა ანუ ღჳნოსა, გინა თუ ქორწინებასა და მის წილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალწულებასა შეიტკბობს, ესე უმჯობეს არს და ფრიადცა კეთილ. ხოლო რომელი არა მოღვაწებისა ძლით იმარხვიდეს ღჳნოსა ანუ ჴორცსა გინა თუ ქორწინებასა სძაგებს, იგი უარის მყოფელი არს და ბოროტად მწვალებელი და შემწუვარი თჳსითა გულისსიტყჳთა. ხოლო მოღვაწებისა ძლით კეთილ, ვითარცა თჳთცა წმიდაჲ იგი მოციქული ქალწულებასა იმარხევდა მეტყველი ესრეთ: **„აღვიკრძალავ ჴორცთა ჩემთა და დავიმონებ მათ, რათა არა სხუასა უქადაგებდე და მე გამოუცდელ ვიყო“** და კუალად იტყჳს: რამეთუ მნებავს ყოვლისა კაცისა ყოფად ვითარცა თავი ჩემი, არამედ კაცად კაცადსა თჳსი მადლყ აქუს ღვთისაგან, რომელსა მე ესრეთ და რომელსა მე ეგრეთ: ვეტყჳ უქორწინებელთა მათ და ქურივთა: კეთილ არს მათდა უკეთუ ეგნენ ესრეთ, ვითარცა მე, ხოლო უკეთუ ვერ დაითმენენ — იქორწინენ.

Ეგრეთვე მარხვისათჳს იტყჳს მრავალ სახედ და მრავალ გუარად და მტკიცედ გუასწავებს რათა მარხვა შევიტკბოთ და კრძალულებაჲ, რომელი თჳთეულად აღვწერეთ მარხვისა თავსა შინა. და ტიმოთესაცა ამასვე მიუწერს და ამცნებს ვითარმედ: **„ნუ წყალსა ხოლო სუამ, არამედ ღჳნოიცა მცირედ იჴუმიე სტომაქისათჳს და ზედაჲსზედა უძლურებისა შენისათჳს“ (I ტიმოთეს მიმართ 5,23).** ხედავა ვითარ ეკრძალებოდეს წმიდანი იგი და სანატრელნი მოციქულნი და მარადის მარხვითა და მოღვაწებითა თავთა თჳსთა სტანჯვიდეს ვითარცა ესერა გესმა, რამეთუ წმინდაჲ მოციქულიცა ტიმოთე ფრიად დასნეულებული ღჳნოსა არა სმიდა ვიდრემდის დიდი იგი მოძღვარი და მნათობი ყოვლისა სოფლისა პავლე მიუწერდა შენდობით მცირედისა ღჳნისა სუმასა და იგიცა არა უწყით უკეთუ იჴუმია მცირედ ღჳნო ანუ არა. უკეთუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირედი მიეღო მადლობით, არა იყო ცოდვა. ამისათჳს იტყჳს მოციქული: ყოველივე წმინდაჲ არს წმინდათათჳს და ვითარმედ არა რაჲ არს განსაგდებელ მადლობით მიღებული. ხოლო ვითარცა ვთქუ ჰ̈ურიანი, მწიგნობარნი და ფარისეველნი მრავალ სახედ განკრძალულ იყვნეს უბანელითა ჴელითა არა ჭამასა და რეცხასა და ბ̈ანასა ქვაბებისა და სტამნებისა და ცხედრებისასა. ვითარცა აყუცდრებს ღმერთი და იტყჳს ვითარმედ: უბანელითა ჴელითა ჭამა არა შეაგინებსო. და სხუასა მრავალსა ჴორციელსა განწმედასა ეძიებდეს და გარეშისა რეცხასა და ბანისა მეძიებელთა შინაგან განწმედა სრულიად დაეტევათ და უგულებელს ექმნათ, და ჰრეცხდეს მიმდემად სამოსლებსა და სარეცლებსა, ქუაბებსა და ჭურჭლებსა, და ვიდრემდის იდაყჳთგან არა იბანიან არა რაჲ ჭამიან, ვითარცა ვრცელად წერილ არს წმიდასა სახარებასა შინა. და კუალად: უკეთუ მღვდელთა მიერ დაკლული არა იყვის, არცა იგი ჭამიან და იგიცა ძარღუთა მიერ გამოცლილი ვითარცა აწცა ჰყოფენ ჰ̈ურიანი.და კუალად მათგან რომელნიმე მხალსა მტილსა შინა მყოფსა არა სჭამდეს რომელნი ნეხვითა განპოხებული იყოს. ამისათჳს ველურსა მხალსა და ხილსა სჭამდეს და ეგე ვითართა რაჲთამე და სძაგებდეს და განიკითხვიდეს მათ, რომელნი ესე ვითართა არა ეკრძალებოდეს, არამედ მადლობით მიიღებდეს. ამისათჳს მოციქული იტყჳს: უძლური იგი სარწმუნოებით შეიწყნარეთ და ნუ ორგულებით და გულისსიტყჳთ, რომელსამე რწამნ ჭამადი ყოველი. ხოლო უძლური იგი მხალსა ჭამნ. მჭამელი იგი არამჭამელსა ნუ შეურაცხ ჰყოფნ და არა მჭამელი იგი მჭამელსა მას ნუ განიკითხავნ. ესე იგი არს ვითარმედ მტკიცე გონებითა და სრული სარწმუნოებითა ჭამს ყოველსავე ჭამადსა ოდესცა ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს და რაჲცა იჭამებოდეს შენდობილთაგანი და არა განიკითხავს ვითარმედ: ესე უბანელთა ჴელთა მიერ არს შემზადებული და იგი განურცხელსა ჭურჭელსა შინა არს შემგბარი. და ამა პირუტყუსა ესე რაჲმე უჭამიეს და მას პირუტყუსა მწჯრისა წყალი უსუამს. ვითარცა ქათამი და ღორი ჭამნ მრავალსა არა წმინდასა და ცხოვარი და ზროხა და ყოველი საცხოვარი იჴუმევს ყოველსა ქუცწარმავალსა და სმენ სადაცა დახუდენ მწჯრესა.

ხოლო მტკიცეთა სარწმუნოებითა, უწყიან ვითარმედ ამათი ჭამა არა რას შეაგინებს, რამეთუ განწმდების სიტყჳთა ღმრთისათა და ლოცვითა. ხოლო უძლურნი გონებითა და ვერ მტკიცე სარწმუნოებითა ამას ყოველსა ეკრძალებოდეს ვითარცა ვთქუ, და ველურსა მხალსა და ხილსა და ეგე ვითართა რასმე ჭამდეს. ამისთჳს იტყოდა მოციქული ვითარმედ: **„უძლური იგი სარწმუნოებით შეიწყნარეთ და ნუ ორგულებით და გულის სიტყჳთ და ნუცა განიკითხავთ, და ვითარმედ ყოველივე წმიდაჲ არს წმიდათათჳს და არა რაჲ არს შეგინებულ, არა თუ ვინმე შერაცხოს იგი შეგინებულად და ვითარმედ განწმდებისო სიტყჳთა ღმრთისათა და ლოცვითა“.** ხოლო ამას მოციქული არა თუ ესრერეთ იტყჳს: ყოველი ქუცწარმავალი და არა წმინდა მხეცი, დამშთვარი და სისხლი სჭამეთო და ჯვარის წერით ყოველი არა წმიდაჲ და ბილწი განწმდებისო, ნუ იყოფინ. არა სადა წერილ არს ესე. არცა სმენილ, არცა სადა თქმულ არს ესე. თუმცა ვისმე წმიდათაგანსა ძაღლი და მგელი, დათჳ და ესევითარი ანუ ძერა, ქორი და ყორანი და სხუაჲ ესევითარი.ანუ კუ, ბაყაყი და გუცლიდა მსგავსნი ამათნი ეჭამოს ვისმე წმიდათაგანსა: ანუ თუ ჯვრის წერით და ლოცვით წმინდა ეყოს და მორწმუნეთაგანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისთუსმე ეჭმიოს. არამედ ესე ყოველი დაყენებულ არს და არა შენდობილ ჭამა, რამეთუ არცა ქრისტესა უბრძანებია, არცა მოციქულთა განუწესებიეს, არცა კრებასა დაუმტკიცებიეს, არცა სჯულსა შინა შენდობილ არს, არამედ უფროსღა ყოველთავე დაუყენებიეს. უკეთუ თქუან ვითარმედ: ძუßლსა სჯულსა შინა იყო დაყენებული, ხოლო ახალსა შინა არა რაჲ არს დაყენებულიო, არამედ ყოველივე შენდობილ არსო. მტყუველნი ამისნი არა თუ სჯულისდებასა ქრისტßჲსასა შეუდგიან, არამედ სხუსა ვისმე მათ მიერ სახელდებულისა ქრისტესა, უფროßსღა ანტი ქრისტესა შედგომილ არიან.

Ქრისტემეუფß ბრძანებს: „არა მოვედ დაჴსნად სჯულისა, არამედ აღსრულებად“. რამეთუ მას არა რაჲ დაუჴსნიეს სჯულისაგან და წინასწარმეტყველთა, არამედ უფროßსღა აღუსრულებიეს და ზეშთა აღუმატებიეს. ßსმინე ჩემი და ყოველივე გაუწყო. შჯულმან თქუა: **ნუ კაც კლავ.**ჴრისტემან ბრძანა: **რომელმან ჰრქუას ძმასა თუსსა ცოფ, თანამდებ არს იგი სასჯელსა მას გეჰენიისასა**. და შემდგომი. სჯული იტყჳს: **ნუ იმრუშებო.** ქრისტემან ბრძანა: **ნუცალა მიßედავ გულის თქმითაო.** შჯულმან თქუა: **ნუ მოიტაცებ სხუსასაო.** ქრისტემან ბრძანა: **რომელი კუართსა მიგიღებდეს სამოსელიცა მიუტßევეო.** ეგრეთვე სჯული წინა დაცვეთასა განაწესებს, ხოლო ქრისტე ნათლის ღებასა ბრძანებს, ხოლო პირუტყუთა სისხლთათუს, რომელი სჯულსა შინა მრავალ სახედ შეიწიროდეს, მათ წილ თუსი ცხოველმყოფელი სისხლი მოგუანიჭა. ეგრეთვე ჭამადთათუს გულის ჴმა ყავ. სჯულმან თქუა: ძერასა, ყუავსა და ეგევითარსა ნუ სჭამო. ხოლო წმიდანი მოციქულნი პურსაცა იშჯათ მიიღებდეს და მარხვითა აღასრულებდეს დღეთა თუსთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ღჳნოსაცა მცირედსა სნეულებისათჳს იშვიათ შეუნდობდეს ვითარცა ტიმოთესათჳს მოვიჴსენეთ. ამისათჳს ვიტყჳთ ვითარმედ: სჯულისაგან განწესებული არა თუ დაჴსნა ქრისტემან, არამედ უფროსად აღაორძინა და უზეშთაესსა წარმატებასა ზედა აღიყვანნა. ჭეშმარიტად იგინი არიან დამჴსნელნი სჯულისანი და შეურაცხისმყოფელნი ყოველთა წმიდათაგან განწესებულთანი, რამეთუ ქრისტე არა თუ ამისთჳს მოვიდა რათა ყოველი უწესოებად იქმნას და ყოველი სჯული დაიჴსნას და ყოველი არაწმიდებად, გემოვნებად და მუცელღმერთობად შემოვიდეს და არა უფროსად სიწმიდე და სიმართლე და ყოვლისა ჴორციელისა გემოვნებისა დათრგუნვა და შეურაცხყოფად ვითარცა ყოველნი წმიდანი ამას სჯულსა გვიდებენ თავადისა ქრისტეს, ღმრთისა მოძღვრებისაებრ.

ხოლო ამისათჳს რადღა თქუან, ანუ რად სიტყჳად მოიღონ, რამეთუ სისხლსა და დამშთვარსა სჭამენ და არა შეიკდემენ წმიდათა და სანატრელთა მოციქულთაგან. ვჰკითხოთ მათ: წმიდად პეტრე მოციქული, პავლე, იაკობ და იოანე და ანდრია და სხუანი ყოველნი მოციქულნი უბრძნეს იყვნეს და უწმიდეს, ანუ უმახლობელეს ქრისტესა, ანუ აწინდელნი პაპები და მისნი კარდინელები? რამეთუ მაშინ წმიდათა მათ მოციქულთა ერთი კრებად ქმნეს იჩრუსალიმს წინაშე იაკობ ძმისა უფლისა, რომელი იყო პირველი ეპისკოპოზი და მწყემსი ქრისტიანეთა და ბრძანებითა მისითა წარავლინეს პავლე და ბარნაბა, იუდა და შილა ანტიოქიას ახალ მოქცეულთა მიმართ ვითარცა საქმესა მოციქულთასა წერილ არს ესრეთ: **„მოციქულნი და ხუცესნი და ძმანი, რომელნი-ეგი ანტიოქიდათ, ასურეთით და კილიკიადთ კერძო ძმანი ხართ წარმართთაგანი, გიკითხავთ, გიხაროდენ!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინადთგან გუჭსმა ჩუენ, რამეთუ ჩუენგანნი ვინმე განვიდეს და აღგძრნეს თქუენ სიტყჳთა და აღაშფოთებდეს სულთა თქუენთა და გეტყოდიან წინადაცუჭთად და დამარხვად შჯულისა, რომელი არა ჩუენ გუჭმცნო. აწ უკუჭ ჯერ-გჳჩნდა კრებულსა ყოველსა ერთბამად გამორჩევად კაცთა და მივლინებად თქუჭნდა, პავლეს თანა და ბარნაბას თანა, საყუარელთა ჩუენთა, [კაცთა, რომელთა-იგი სულნი თჳსნი მისცნეს სახელისათჳს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესისა.] წარმო-უკუჭ-გჳვლინებიან იუდა და შილა, და მათცა სიტყჳთ გითხრან ესევე. რამეთუ ჯერ-უჩნდა სულსა წმიდასა და ჩუენცა, რადთა არა უმეტესი ტჳრთი დავდვათ თქუენ ზედა, გარნა რომელნი-ესე სასწრაფო არიან [თქუენდა]: განშორებად თქუენდა ნაკერპავისაგან, სისხლისა, დამშთვარისა და სიძვისა, რომელთაგან დაიმარხენით თავნი თქუენნი, კეთილსა იქმოდეთ და ცოცხლებით იყვენით!" (საქმე 15,23).

ეგრეთვე სხვასა ადგილსა წერილ არს მასვე მოციქულთა საქმესა შინა ესრეთ: „ხოლო მორწმუნეთა წარმართთათჳს ჩუენ მივწერეთ და უბრძანეთ, რადთა არარას ეგევითარსა იმარხვიდენ იგი, არამედ რადთა ეკრძალნნენ კერპთა კლულისაგან, დამშთვარსა და სიძვისაგან" (საქმე 21,25).

აწ რადღა სიტყუად აქუსთ ურცხჳნოთა მათ ანუ რად მიზეზი მოიღონ, რამეთუ კრებულნი წმიდათა მოციქულთანი, ხუცესნი და ძმანი, ყოველნივე ერთბამად: ჯერჩინებითა და დამტკიცებითა სულისა წმიდისათა წინაშე იაკობ ძმისა უფლისა პირველისა მწყემსისა და არა თუ წინაშე წმიდისა პეტრესა, რომელსა იგინი მიზეზობენ ყოველთა ზედა თაობასა და უფროსობასა. აწ იხილეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ არს ამათში თავი და უფროსი, ვის წინაშე შეკრბეს და ვის ჰკითხეს და ვისი სიტყუაჲ დაამტკიცეს ანუ ვინ წარავლინნეს მოციქულად.ამას არა ვიტყჳ, თუ იაკობ ანუ იოანე, ანუ პეტრე და პავლე ერთი მეორესა ზედა მეტი ანუ რომელიმე დაკლებული იყო ანუ უფლებაჲ რაჲმე ჰქონებოდა ერთი მეორესა ზედა დაღაცათუ წმინდა იაკობის წინაშე შეკრბეს, რამეთუ პირველი მწყემსი იგი იყო. არამედ ათორმეტნივე ურთიერთას სწორნი იყვნეს და სწორი მადლი და ნიჭი მიიღეს ქრისტესაგან და რაჲცა უბრძანა ყოველთა. და სწორი ჴელმწიფებაჲ მისცა და სწორად წარავლინნა ყოველნი. მერმე საზომისაებრ სათნოებისა და მოღვაწებისა იქმნნეს წარჩინებულ არა თუ ჴორციელად არამედ სულიერად. და უკეთუ იგინი პეტრეს დაადგენენ თავად და უფლად ყოველსა ქუეყანასა, ჩუენ ანდრიას, რამეთუ ძმა იყო პეტრესი და პირველი მოწაფე და ამის მიერ იყო პეტრე დამოწაფებული ქრისტეს და ვითარცა წერილ არს, რამეთუ ამან მოიყვანა იგი იჳსოჲსა. იოანეს ასიელნი და ეფესელნი იტყჳან თავად, ბართლომეს დიდი სომხითი, სიმონს კანანელსა აფხაზნი, მარკოზს ალექსანდრიელნი და თომას ჰინდოელნი. ვითარცა იაკობს პალესტინელნი და იჳრუსალემელნი და ესრეთ აღვძრათ შური და მტერობაჲ წმიდათა მოციქულთა შორის და რომელი რომლისა მწყემს ყოფილ იყოს იგი დავამტკიცოთ მწყემსად და თავად მოციქულთა და ყოვლისა სოფლისა და მეორედ ქრისტედ. და რამეთუ იჳრუსალიმელთა უჯეროვნესი მიზეზიცა აქუს იაკობისთჳს, რამეთუ პირველად მწყემსად ქრისტეს მიერ იგი იკურთხა. და ვიდრემდის სხუანი მოციქულნი განიბნეოდეს წილხუედრებულსა მათთა ადგილთა, თჳნიერ იაკობისა ვერარაჲ თქჳან, ვერცაღა დაამტკიციან, რამეთუ იგი იყო თავ მათდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის წინაშე შეკრბიან და მისგან მიიღიან ბრძანებაჲ ვითარცა ესერა მოვიჴსენეთ: და მათ პავლე და ბარნაბაჲ და იუდა და შილა წარავლინნეს და სულითა წმიდითა ესე დაამტკიცეს რათა ეკრძალნენ და განეყენნენ კერპთა ნაზორევსა და სისხლსა და დამშთუარსა და სიძვასა. ხედავა, რამეთუ კერპთა ნაზორევსა და სიძვასა თანა სისხლსა და დამშთვარსაცა განაყენებენ და დიდად სასწრაფოდ აკრძალებენ. ა რამეთუ წმიდანი კრებანიცა პირველად ნიკეისა და სხუანი შემდგომნი მსოფლიონი კრებანი ამას სიტყუასა დიდითა კრძალულებითა დაამტკიცებენ, რათა განეყენნენ სისხლსა და დამშთვარსა.ხოლო უწესოდ მხუმეველთა ამისთა სრულიად განჰკუეთენ და უზიარებლობითა დასჯიან. ხოლო პაპის მოსავნი ამას ყოველსა დაჰჴსნიან და გარდაჴდებიან. არა ემორჩილებიან მოციქულთა სჯულისდებასა, არცა წმიდათა კრებათა განსაზღვრებასა, არცა იჴსენებენ სიტყვასა მას საღმრთოჲსა წერილისასა, რომელი ჰრქუა უფალმან ღმერთმან ნოეს შემდგომად წყლით რღუნისა: **„ვითარმედ ჴორცსა სისხლითურთ ნუ სჭამთო. ხოლო უკეთუ სჭამოთო თქუენცა, სული ჴელთაგან თქუენთა გამოვიძიოო“,** რამეთუ პირუტყუსა სული სისხლი არს, ხოლო იგინი ამის ყოვლისა დამვიწყებელნი სჭამენ სისხლსა და დამშთვარსა, სადაცა დაემთხჳოს და თჳსითაცა ჴელითა მოაშთობენ და ეგრეტ იჴუმევენ, და სჭამენ წარმდებად ყოველსა არაწმიდასა. ხოლო აწ არღარა სადა იპოების მათ შორის კერპი და თუცაღა იპოებოდეს, არცაღა კერპთა ნაზორევსა განეშორებიან, არამედ მასცა ურიდად იჴუმევენ. და კუალად სიძვასაცა უკრძალველად ერევიან და არა არს მათ შორის ყოვლადვე დაყენებულ არცა ერის კაცთაგან და ვჰგონებ არცაღა სამღვდელოთა კაცთაგან, რამეთუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქსა შინა სადა თჳთ პაპა მჳდომარე არს ორი დიდი და ვრცელი სამეძაო სახლნი განწესებულ არს შენდობითა პაპისაჲთა, შესაკრებელი მრავალთა მეძავთა და რომელთაცა ენებოს მუნ შესლვა, არა დაიყენების. ხოლო მიზეზი იგი მუნ მოგებული თჳთ პაპასა მიერთუმის. ანუ ვითარღა იქმნეს დაყენებაჲ სიძვისა, ვინაჲთგან მღვდელნი წირვისაგან და ერის კაცნი ზიარებისაგან არა დაიყენებიან, რამეთუ რომლითაცა მძიმითა ცოდვითა ღამესა მას სცთენ და დაეცნენ, დღე ყოველ სწირვენ და ეზიარებიან. ხოლო ვჰკითხოთ რაჲ, ვითარმედ რაჲსათჳს ესრეთ იქმთ, ანუ ვისგან ისწავეთ ესე ვითარი უწესოებაჲ: ხოლო იგინი მოგჳგებენ ვითარმედ, მას დღესა, რომელსა შინა ცთომა იგი იქმნნეს და მღვდელნი მსხუცრპლისა შეწირვისაგან და ერის კაცნი ზიარებისაგან დაეყენოს ცოდვანი ჩუენნი ყოველთა შორის საანჯმნო იქმნებისო. ჰოი დიდი ესე უწესოებაჲ და სიბნელე გონებისა.რამეთუ ქრისტეს თვალით მხილველთა წმიდათა მოციქულთა ესრეთ საძაგელად შეჰრაცხნეს და ამათ ესრეთ ადვილად მიუშვეს ყოველნი კაცნი, რამეთუ ოდეს ჯერეთ ახალმოქცეულნი იყვნეს წარმართთაგანი და ახალნერგნი და ჯერეთ ჩჩჳლნი, სხვაჲ ვერა რაჲ მძიმე და სრული წესი განუჩინა თჳნიერ ესენი. დიდად სასწრაფოდ და მტკიცედ დასამარხავად განშორებად სისხლისა დამშთვარისა, სიძვისა და კერპთა ნაგებისა. ხოლო იგინი ამათ ყოველთა უკრძალველად აღერივნეს. იტყჳან ვითარმედ: სიძვა და სხუანი უწესონი საქმენი ყოველივე ცოდვა არსო. არამედ ტყუიან და არა არს მათ შორის ჭეშმარიტებაჲ, არცა რაჲ ცოდვა ცოდვად შერაცხილ არს, არცა რაჲ დაყენებულ არს მათ შორის ყოველი უწესოებაჲ.რამეთუ ვინაჲთგან მღვდელნი მსხუცრპლისა შეწირვასა ვითარცა ვიტყოდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ერის კაცნი ზიარებისაგან, მას დღესა არა დაეყენებიან და ვითარღა იყოს ესე მათ შორის ცოდვად. და უკეთუ ცოდვად შერაცხილ არს მათ მიერ, რადსათჳს არს მათ შორის საკრებულოდ ყოველთა შორის განღებული სამეძაო იგი სახლნი და ურიდად შევლენ მათ შინა. ხოლო კითხულ იქმნეს რად ესრეთ ვითარმედ: რადსათჳს ესრეთ იქმთ და არა აღიღებთ სახლებსა მას სამეძაოსა რათა მოისპოს თქუენ შორის საქმე ესე უშუცრი და საძაგელი. მოგჳგებენ: ცუდთა და უჴმართა სიტყუათა უფროდსღა პირთა მათთა დასაყოფელთა, ვითარმედ: უკეთუ ვინმე, კაცთა ვიეთმე გარე განსავალი სახლი დაუჴშასო მერმე სახლთა შინა სასუცნებელთა განთხევენ ბუნებითთა საჴმართაო, რამეთუ ორმან პაპამან ინება უწესოდსა საქმისა დაყენებად, ხოლო დედათა ვერ მპოვნელთა სხჳსა მრავლისა უწესოდსა და ბუნებისა გარეგნისა საქმისა მოქმედ იპოვნესო, ამისათჳს ვერღარა დააყენესო და მისცეს შენდობად.

აჰა ცუდი მიზეზი, საკდემელი და დასასჯელი მათი. ვითარ იქმნების ამით გარდაკუცთა ცოდვათა ანუ დაჰჴსნა უწესოებისა და არა უფროდსღა აღორძინებად ვნებათა და განმრავლებად ცოდვათა, რამეთუ რაჟამს მიედევნოს კაცი უძღებთა გულის სიტყუათა და მერმე არცაღა იყოს დაყენებად და არცა სირცხჳლი და ნივთი იგი ცოდვისა ადვილადცა იპოვებოდეს, უმეტესად სხჳსა და სხჳსა მიმართ გული უთქუამს ვითარცა კაცი მღერიანი რავდენცა იფხანს უმეტესსა წყლულებასა შეიძენს და ვერცა გარდაჰკუცთს ქავილსა და ჴელნი რად დაშურიან სხუად რადმე ღონე მოიპოიან, ანუ ხე ანუ ქვა და მით იწყიან ფხანად და ქლებად ვიდრემდის სრულიად იწყლიან და სისხლი მძაფრი დასდინ. ეგრეთვე ცოდვისათჳს გულის-ჴმა-ყავ, რამეთუ ერთისა ცოდვისა მიმართ დაუმჭირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვისა ცოდვისა მიმართ მოსწრაფედ მირბიედ. მიხილვან კაცნი უცოლონი სიწმიდის მმარხველად. დაჲსხნეს რაჲ ცოლნი უმრავალწილეს განუმრავლდა გულის თქუმა, და სხჳსა უწესოებისა მიმართ დაუმჭირველ იქმნეს.

აწ უკუჱ იშჯათი და დაბრკოლებული ცოდვა უმძიმესი არს ანუ შენდობილი და უსირცხვილოდ ყოველთა შორის სჯულთაებრ განწესებული და საჯჯმნო ქმნილი უსჯულოებაჲ.ჰჱ ჭეშმარიტად ესევითარი ცოდვა უმძიმესცა არს და დაუყენებელ და არცა იქმნების გარდაკუჱთა. რამეთუ დაყენებული და ყოველთა მიერ საძაგელად შერაცხილი ცოდვა, ვითარცა სჯულიცა ესრეთვე ბრძანებს: იშჯათ რადმე იქმნების შიშისა და სირცხჳლისა ძლით და ძნიად საპოვნელობისა. ხოლო უკეთუ ვისმე უბრკუმეს საფრჭითა ეშმაკისათა, მსწრაფლ იწყებს აღსარებად და სინანულად, და ვითარცა შეგინებული ჟამ რაოდენმე განეყენების წმიდათა საიდუმლოთა, ვიდრემდის განწმდეს აღსარებითა და სინანულითა და მჭურვალედ ტირილითა, და მერმე შიშით და ძრწოლითშეეხების სიწმიდეთა განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXXVI თავი

დედათა წიდოვანთათჳს თუ ვითარ ჟამსა მას, ოდეს იგი ბუნებითსა წესსა შინა იყვნეს საკურთხეველად აღიყვანებენ და აზიარებენ

Ეგრეთვე დედანი მათნი, რაჟამს მიდგომილ იყვნეს ქმართა მათთა: რად ჳიტყჳ ქმართა ანუ თუ სხჳსა უწესოებისა მრავლისა მოქმედ, ანუ თუ ბუნებითითა წესითა სისხლმცენარობდენ, არა დაეყენებიან საკურთხეველად მართ შესლვისაგან. და წმიდათა საიდუმლოთა ზიარებად. აჰა ესერა ესეცა დიდი უწესოებაᲲ და წინა აღდგომა სჯულისა. უკეთუ ძუᲩლისასა არა ისმენენ მოსეს მიერ განწესებულსა და უფროᲲსღა ღმრთისასა, რამეთუ მან რაᲲცა თქუა, ღმრთისა მიერ მოიღო ბრძანებაᲲ და ეგრეთ განაწესა და ყოველთა წმიდათა წინასწარმეტყველთა და მართალთა დაიმარხეს იგი. ხოლო ახალსა ამას სჯულსა შინა უმეტეს საკრძალველ არს ესე და რაᲲსათჳს ესრეთ ჰყოფენ, რამეთუ ამითცა გარდავლენ საზღუარსა მამათასა და შორს ჰყოფენ თავთა თჳსთა ყოვლისა სჯულისდებისა და მოძღვრებისა მათისაგან, რამეთუ სჯულის კანონთა შინა წერილ არს ვითარმედ: **„არა ჯერ არს დედაკაცისა შესლვად საკურთხეველად“ (ლავდიკიის კრება, კანონი XXXXIV)** და კუალად მასვე სჯულის კანონთა შინა წერილ არს ვითარმედ: **„ხოლო დედობრივითა წესითა სისხლ მცენარეთა დედათათჳს უკეთუ ულირს მათ შესლვად სახლსა ღმრთისასა, ნამეტნავ ვჰგონებ კითხვასაცა, რამეთუ არცა მათგან ვირწმუნებ განკრძალულნი თუ იყვნენ, ვითარმცა კადნიერ იქმნენ ბუნებითსა რომელსა შინა იყვნენ ვნებასა ანუ წმიდისა ტრაპეზისა მომართ მოსლვად. ანუ ჴორცისა და სისხლისა ქრისტესისა შეხებად. ხოლო ლოცვად ვითარცა ვინ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს და ვითარძითაცა ვნებითა უფლებული მოხსენებად მეუფისა და თხოვად მის მიერისა შეწევნისა, არა ოდეს დაიყენების, ხოლო წმიდათა მიმართ და წმიდათა წმიდათასა შესლვად, არა თუ ყოვლითურთ წმინდა იყოს სულით და ჴორცით, არა ფლობილ იქმნების“ (დიონისეს ეპისტოლე ვასილიდის მიმართ, თავი II).

Გუალად წერილ არს: **„დედაკაცი რაჟამს წესსა ზედა თჳსსა იყოს წიდოვნებისასა, არა უხმს ზიარებაᲲ ვიდრემდის არა განწმდეს“** (ტიმოთე ალექსანდრიელი კანონი VII). ესე არს მამათა მიერ დადებული საზღუარი და ძუᲪლისა სჯულისა მიერ უმრავლესი უწყებანი. ნეფსით დავიდუმეთ, რათა არა სიმრავლე წერილთა იქმნეს, და ვისაცა არა სცონოდის საღმრთო წერილნი, აღმოიკითხენ და ყოველივე ცხადად გეუწყნენ, თუ ვითარ დაყენებულ არს წინასწარმეტყველთაგან ესევითარი უწესოებაᲲ. და უკეთუ თქუან ვითარმედ: ბუნებითი საქმე ცოდვად არა შეირაცხებისო, მეცა ვიტყჳ ვითარმედ: ვინაᲲთგან ბუნებითი არს და არა ნებსითი, არა არს იგი ცოდვა, არამედ ღმრთისა მიერ დადებულ არს ესე დასაბამითგან, ბუნებასა შინა დედათასა პირველისა ცთომისა ძლით საკდემელად და დასამდაბლებლად დედათა, ვითარცა სალმობაᲲცა იგი მუᲪლისა. რამეთუ წერილ არს ვითარმედ: **„ადამ არა სცთა ხოლო დედაკაცი იგი სცთა და სჯულსა გარდაჴდა“** (I ტიმოთეს 2,14).

Ამისათჳს საკდემელად და დასასჯელად დაეწესა ბუნებასა შინა დედათასა ვითარცა ვთქუ, რათა რაჟამს შეემთხჳოს ესე, მოიᲬსენოს პირველი იგი ცთომა დედისა და შეიკდიმოს და დაიმდაბლოს თავი და ევედროს ბუნებათა წესსა ზეშთა ქმნილსა, უბიწოსა მარიამს, ქალწულსა, რათა განთავისუფლდეს დასჯილებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო უკეთუ კუალად გუაცილობდენ თუ რაჲსათჳს დაეყენებიან სახლთა მიერ ღმრთისათა და სიწმინდეთა მიახლებად: **„ჩუენ ეგევითარი ჩუეულებაჲ არა გუაქუს, არცა ეკლესიათა ღმრთისათა“,** ვითარცა იტყჳს მოციქული **(I კორინთელთა 11,16).** დიდსა მას სჯულისმდებელსᲬ და ღვთისმეტყველსა მოსეს ჰკითხონ და ახლისა სჯულისა ღვთისმეტყველთა, თუ რაჲსათჳს დააყენეს და ჩუენდა მომართ არღარა სიტყუაჲ აქუს, რამეთუ ჩუენ ესეოდენნი მოწმენი ძუჭლისა და ახლისა სჯულისანი გუქონან ვითარმედ არა ჯერარს წიდოვანთა დედათა სახლთა შინა ღმრთისათა შეყვანება, არცა სიწმინდეთა მიცემა, ხოლო მათ ვინ მოსცა ესევითარი უწესოებაჲ, მათცა გუაუწყონ, ანუ ვინ განუწესა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXXVII თავი

პირუტყვთა შეყვანისათჳს ეკლესიათა შინა, თუ ვითარ და რაჲსათჳს შეიყვანებენ სახლთა შინა წმიდათა არა წმიდათა პირუტყუთა

ხოლო დედათა წიდოვანთა რაჲ ვთქუ ეკლესიათა შეყვანა და სიწმიდეთა მიახლებაჲ რაჲ საკჳრველ არს მათ შორის, ვინაჲთგან პირუტყუთაცა არა წმინდათა, არა ჰრიდებენ ეკლესიათა შინა შესლვასა, რამეთუ ყოველთავე დიდთა და მცირეთა, მამათა და დედათა და უფროჲსღა დედათა მათთა. თჳთეულთა მათგანთა ჰყავს ძაღლი მცირე და გინა თუ დიდი უბეთა და წიაღთა მათთა. ეკლესიად რაჲ შევიდოდინ და ოდეს წირვა იყოს, მუნ თანა შეიყვანებენ. ხოლო ძაღლნი იგი, ვითარცა არს წესი პირუტყუთა, ყოველსავე ბუნებითსა წესსა აღასრულებენ. ესე მრავალთა თვალით მხილველთა და სარწმუნოთა კაცთა მიერ უწყებულ არს ჩემდა და ამას არცა თჳთ უარყოფენ და კითხულ იქმნენ რაჲ ჩუენ მიერესე ვითარისა უწესოებისათჳს: თუ რად სახლთა შინა ღმრთისათა ესრეთ ჰყოფთ, ხოლო იგინი მოგჳგებენ ვითარმედ: „ღმრთისა წინაშე არა რაჲ არს არა წმინდა, არცა რაჲ სირცხჳლი და არცა დაფარულიო, და ესე ვითარი საქმე მის წინაშე არცა რად არაწმიდებად შეირაცხებისო“.

ჰოი პირ[ნ]ი ამაოჲსა მეტყუელნი, რომელნი ესრეთ ზრახვენ. უკეთუ ესრეთ არს სიტყჳსაებრ მათისა, რაჲსათჳსღა თჳთცა არა ჰყოფენ ეკლესიათა შინა ღმრთისათა ესე ვითართა უწესოებათა, რამეთუ კაცი უპატიოსნეს არს პირუტყუთა და უფროჲსღა ძაღლთა, რამეთუ არა სადა სმენილ არს ესე, არცა უწყებულ, თუმცა ეკლესიათა შინა წმიდათაგანსა ვისმე პირუტყჳ ებრძანებინოს

უფასო ბიბლიოთეკა

შეყვანებად. უფროსლა კრძალვა და შორს ყოფა განუწესებიესთ ესე ვითართა.

ხოლო მეექუსისა კრებისა კანონთა შინა მოიჴსენებს ესრეთ ვითარმედ: **„დაღაცათუ ძნელ არს და უკადრებელ სახლთა მიმართ ღმრთისათა შესლვად პირუტყუთაო, არამედ უკეთუ მთათა შინა ანუ გზასა ზედა ოხერი (აოხრებული) ეკლესია იყოს და ზამთრისა მიერ ძნელისა იძულებული კაცი შევიდეს პირუტყუთურთ, რათა არა ბუქისა მიერ და თოვლისა იზლუნენ კაცნი ესე, არა დასასჯელ არსო, რამეთუ შაბათი კაცისათჳს დაებადა არა თუ კაცი შაბათისათჳს. ხოლო სხუთა არა რომლითა მიზეზითა ჯერ არს პირუტყჳსა შეყვანებაჲ სახლთა შინა ღმრთისათაო“.**

უკეთუ ჯერ ვიდრე მე იყოს ეკლესიასა შინა ღმრთისა შეყვანებაჲ პირუტყუთამცა არა წმინდათა, ნამეტნავ სამე იყო კურთხევა ეკლესიათა და დასხმა მათ შინა წმიდათა ნაწილთა და ცხებაჲ მირონისა და სხუაჲიგი ზეგარდამო მოცემა მრვდელთმთავართა მიერ.

უკეთუ შეყვანებაჲ არა წმიდათა პირუტყუთა არა რაჲ სავნებელ არს, არცაღა ნაწილნი წმიდათანი და ცხებაჲ მირონთა სარგებელ. და თუ ესენი წმინდა ჰყოფენ, იგინი არა წმინდა იქმენ.

მოიჴსენეთ ბრძანებაჲ ღმრთისა, ვითარ რაჲ იგი ქმნა შეურაცხებასა ზედა ტაძრისასა. ვითარ იგი შექმნა შოლტი საბლისა და ეკლესიით განასხნა მეკერმენი და ტრედის მსყიდველთა მათ დაუთხია კერმა. **(მათე 21,12)** და სხუაჲ რაოდენნი წერილ არს წმიდასა სახარებასა შინა: **„და ჰრქუა მათ: ნუ ჰყოფთ სახლსა მამისა ჩემისასა სახლ სავაჭრო, რამეთუ წერილ არს: სახლსა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს, ხოლო თქუენ გიყოფიეს ქუაბ ავაზაკთა“ (იოანე 2,16).

Oხილეთ ბრძანებაჲ ესე სამეუფეო, ვითარ რასა ჰყოფს. უკეთუ სავაჭროთა და ტრედთა შეყვანებისათჳს ესოდენი შური იძია და ყოველივე დაუთხია და რისხვით განასხნა და ქვაბ ავაზაკთა უწოდა.

Xოლო რომელმან ნეფსით არა წმიდანი პირუტყვნი შეიყვანნეს, მათ რაჲღა უნდა ეყოს, ანუ ეკლესიათა მათთა რაჲ ეწოდოს: ქვაბ ავაზაკთა, ანუ შესაკრებელ არა წმიდათა? რამეთუ უფალმან, მიუწვდომელმან არსებითა და უხილავმან, დასაბამსა შექმნა რაჲ კაცი ხატებად და მსგავსებად თჳსსა, ვითარცა წერილ არს. თქუა უფალმან ვქმნნეთ კაცი ხატებად და მსგავსებად ჩუენდა. ეგრეთვე ხილულნი ესე და შემდგომად შობილნი უხილავისა მის და ჩუენგან უცნაურისა საქმისა მცირედ რაჲმე და აჩრდილის სახედ მსგავს და მობაძავ ყო. ვითარცა იტყჳს მოციქული: **„რამეთუ უხილავი იგი მისი დაბადებითგან სოფლისაჲთ ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილვების“ (რომაელთა მიმართ 1,20),** რათა ამიერ გულისჴმა ვყვნეთ უხილავნი იგი საქმენი და მით სათნო ვეყვნეთ ღმერთსა.

რამეთუ ხილულსა ამას შინა სოფელსა არს ჴელმწიფებაჲ და მონებაჲ, სიმდიდრე და სიგლახაკე, პატივნი და შეურაცხებანი, საშუებელნი და სატანჯველნი. ესე ყოველნი და სხუანი უმრავლესნი რავდენნი არიან სოფელსა ამას შინა და რავდენნი გულის ჴმა იყოფებიან, რათა ხილულითა ამით და წარმავალითა, უხილავნი იგი და წარუვალნი გულის ჴმა ვყვნეთ. თუ რავდენნი გემოვნებაჲ აქუს მწჯრისა მსგავსისა ამის საწუთოსა გემოვნებათა მიდევნებ-

უფასო ბიბლიოთეკა

ულთათჳს. საშუჱბელთა და სიმდიდრეთა, ანუ ქებათა და პატივთა.

ეგრეთვე ჭირნი და სატანჯველნი, უპატიოებანი და სიგლახაკენი, და უხილავთა მათთჳს და წარუვალთა ზედა გამოსახენ, ვითარცა პირველ სჯულისა მამათმთავართა ყვეს და სათნო ეყვნეს ღმერთსა. დიდი აბრაჰამ, ისააკ და იაკობ, მელქისედეკ და იობ და სხუანი მრავალნი ვიდრე მოსლვადმდე, რამეთუ მუნამდე არა იყო სჯული და ესრეთ ხილულითა ამით უხილავნი იგი გულის ჴმა ყვნეს და იცნეს დამბადებელი და ნებასა მისსა ჰყოფდეს. და უკეთუ ესრეთ არა შეემზადნეს და შეემკვნეს ჴელოვანთმთავარსა მას და სიბრძნით განმგებელსა ყოველთასა, ვითარ გულის ჴმა იყოფებოდეს უხილავნი იგი და ჩუენგან უცნაურნი საქმენი. ანუ პატივნი და პატიჟნი, გინა საშუჱბელნი და საგუჱმელნი, გინა თუ კრძალულებით მსახურებაჲ ჩუენგან უხილავისა და მიუწვდომელისა ღმრთისა. რამეთუ კაცნი მოკუდავნი და სწორბუნებანი ჩუენნი, რომელთა ზედა აც უძლურებაჲ, დაღათუ მთავრობითა და ჴელმწიფებითა შემკობილ იყოს, იხილეთ ვითარსა პატივსა და შიშნეულსა მსახურებასა ეძიებენ ჩუენგან. რავდენ წილ უმეტესად თანაგუაც უგანკრძალულესი და უმოსწრაფესი მსახურებაჲ მეუფისა და შემოქმედისა ყოველთასა, რამეთუ მეფენი ქუეყანისანი ერთგულთა და კრძალულთა მონათა ნიჭთა და პატივთა მიანიჭებენ. ეგრეთვე ურჩთა და თავხედთა სტანჯვენ და პირისაგან თჳსისა განიშორებენ. ამიერ ჯერ არს გულის ჴმის ყოფაჲ და ცნობაჲ უხილავისა და გამოუთქმელისა ღმრთისათჳს, თუ ვითარ მოშიშთა თჳსთა პატივსცემს და ადიდებს და შეურაცხისმყოფელთა თჳსთა შეურაცხ ჰყოფს და სტანჯავს: ვითარცა იტყჳს წინასწარმეტყველისა მიერ: **„მე მადიდებელნი ჩემნი ვადიდნე და შეურაცხისმყოფელნი ჩემნი შეურაცხ ვყვნე“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ ეგების, რათამცა კაცმან ვინმე, ჭორციელთა უფალთა წინაშე უშუცრი რადმე საქმე ქმნას, ანუ პირუტყჯი არა წმინდად თჯნიერ ნებისა მისისა შეიყვანოს და არა ერიდოს, ვითარ არა ბრალეულ იქმნეს კაცი იგი და ღირსი თავჭედობისა და უგუნურებისა თჯსისა პატიჟი მიიღოს, ვითარცა უშუცრთა საქმეთა მკადრებელმან წინაშე მისსა. რავდენ უმეტეს დასასჯელ არიან, რომელთა იკადრონ სახლთა შინა ღმრთისათა უშუცრთა რათმე საქმეთა ქმნად, ანუ შეყვანებად პირუტყუთა და მათცა არა წმიდათა.

გულის ჭმა ჰყავთ ღვთის მოყვარენო, თუ ვითარ ეკლესიათა მიმართ ღმრთისათა ესრეთ უკრძალველ არიან და წმიდათა მიმართ საიდუმლოთა წარმდებ. რადღა ვინ თქუას მათისა მის უწესოებისა და მამათა მიმართისა სჯული დებისა და საზღუართა შეურაცხებისა.

აწ იხილეთ ესეცა ძმანო თუ რასა ჰყოფენ იგინი, რამეთუ სახლთა შინა საეროთა ჟამსა სწირვენ და მეძავთა სახლებსა შინა დიდთა საიდუმლოთა აღასრულებენ და წმიდათა ეკლესიათა შინა ძაღლთა შეიყვანებენ. რამეთუ ვითარცა იგი უჯერო არს უეკლესიოდ და საეროთა სახლთა შინა ჟამის წირვა, ეგრეთვე უშუცრ არს და უმსგავსო სახლთა შინა ღმრთისათა პირუტყუთა შეყვანებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXXVIII თავი

აღმწერელი ამის წიგნისა კუალად სიტყუასა უგებს პაპის მოსავთა

ვინადთგან ერთ გზის ვინებე ამის პირისათჳს სიტყუად და ჭელვყავ აღწერად, მრავალი სხუად მენება თქუმად. არამედ ჟამთა უცალ'ეობამან არა მიტევეს უმეტესისა თქმად: **„დაღაცა თუ უცებ ვარ გონებითა, არამედ არა ცნობითაცა, რამეთუ ვჰგონებ ვითარმედ სული ღმრთისად მაწუცვს ამას ყოველსა. ვითარცა იტყჳს წინასწარმეტყუელისა მიერ: „აღაღე პირი შენი და აღვავსო იგი“ და მოციქული იტყჳს ვითარმედ: „არა ვის ჭელეწიფების თქმად ღმრთივ, გარნა სულითა წმიდითა“ და შემდგომი.**

ამით სასოებითა აწ კუალად აღვაღო პირი და ვიტყოდი: დაღაცათუ იგინი მაყუცდრებელ ჩუცნდა არიან და მრავლითა რადთამე შეურაცხებითა და ამპარტავნებითა დაგუსჯიან, არამედ ჩუენ არა ვერიდნეთ ყუცდრებათა მათთა, არცა შევშინდეთ შიშითა, სადა იგი არა ჯერ იყოს შიში, რამეთუ აღთქმულ არს ჩუენდა მომართ უტყუცლი ბრძანებად ღმრთისა ვითარმედ: „მე მოგცე პირი და სიბრძნე და ვერ უძლონ ყოველთა წინააღმდგომთა თქუენთა სიტყჳსგებად და წინა აღდგომად თქუენდა“.

იგინი იქადიან ჩუენ ზედა და დიდად მაღლოიან სიბრძნითა და ფილოსოფოსობითა ჴორციელითა. და ჩუენ უსწავლელად შეურაცხიეთ. ხოლო ჩუცნ მოციქულნი „უწიგნონი და სულელნი“ წინაუყვნეთ და სიტყუად იგი პავლესი: **„ვითარმედ სულელნი იგი სოფლისანი გამოირჩინა უფალმან, რათა არცხჳნოს ბრძენთა მათ და უაზნონი იგი და შეურაცხნი გამოირჩინა, რათა არცხჳნოს ძლიერთა. რათა არა იქადოს ყოველმან ჴორციელმან წინაშე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმრთისა“. და კუალად ვითარმედ: **„სიბრძნე იგი ამის სოფლისა სიცოფე არს წინაშე ღმრთისა“.** და კუალად: **„წარვსწყმიდო სიბრძნე იგი ბრძენთა და მეცნიერება იგი მეცნიერთა შეურაცხ ვყო“** და შემდგომი.

უკეთუ იქადონ მეფობითა და ძლიერებითა და სიმდიდრითა, ჩუენ სიგლახაკე იგი ქრისტესი და სიმდაბლით მოსლვა მისი წინა უყოთ, რომელსა არა რაჲ აქუნდა ყოვლადვე: არცა სახლი, არცა ადგილი სადა თავი მიიდრიკოს. ვითარცა თჳთვე ბრძანებს ვითარმედ: **„მელსა ჴურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს სადა თავი მიიდრიკოს“.**

უკეთუ ქალაქთა სიდიდე და ქუეყანათა სიმრავლე იქადონ ჩუენ ზედა, მოვიჴსენოთ მცირე იგი ქალაქი და ყოველთა მიერ დაწუნებული ბეთლემი, რომელსა შინა იშვა მეუფჱ და არცა მუნ აქუნდა ადგილი, არამედ მცირე ქუაბი და ბაგა. და მერმე ნაზარეთს შინა აღზრდა მისი, რომელი იყო უმცირესი ყოველთა ქალაქთა შორის. ვითარცა განკჳრვებით მოიჴსენებს მახარებელი სიტყუასა მას საწინასწარმეტყველოსა ვითარმედ „ნაზარეველ ეწოდოსო“. და კუალად ფილიპეს მიმართ რასა იტყჳს ნათანაელ ვითარმედ: **„ნაზარეთით შესაძლებელ არს კეთილისა რაჲსამე ყოფად?“**

უკეთუ სამოთხეები და მტილები და წყალთა სიმრავლე და შადრევნები იქადონ, კუალად მოვიჴსენოთ სიგლახაკე იგი ქრისტესი, რომელი დიდად დამაშურალი სიცხისა და წყურილისაგან ჯურღმულსა ზედა წყალსა ითხოვდა დედაკაცისა ცოდვილისაგან, რომელსა პირველვე მოასწავებდა წინასწარმეტყველი ვითარმედ: **„ნაღუარევისაგან გზასა ზედა სუას“ (ფსალმუნი 109,7).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ მრავალთა და თითოფერთა სანოვაგეთათჳს იქადოდიან, კუალად მოვიჴსენოთ მეუფისა იგი, ვითარ მცირედსა ქრთილისა პურიტან და ორითა თევზითა ისტუმრა სიმრავლე მამათა და დედათა უდაბნოსა ზედა. და წმიდათა წინასწარმეტყუელთა ნაკლულევანებაჲ და მარხვა და წმიდათა მოციქულთა მიმდემი შიმშილი და წყურვილი, ვითარცა იტყჳს დიდი იგი მნათობი პავლე ვითარმედ: „შიმშილითა მრავალ გზის“ და სხუათა ყოველთა წმინდათა მარხვა სამარადისო.

ხოლო უკეთუ გუჱქადოდიან ძლიერებითა და სიმდიდრითა და უმეტესად ამას ზედა იქადიან და გუჱტყჳან ვითარმედ: ჩუენ ძლიერ ვართ და მდიდარ და ყოვლითურთ თავისუფალ, ხოლო თქუენ დასჯილ და დაგლახაკებულ და მოხარკეთა ჴელთა ქუჱშე დამონებულ. კუალად მოვიჴსენოთ ქრისტესი იგი, რაჟამს ხარკი მისცა კეისარსა, ვითარ იგი ეტყოდა პეტრეს: **„მიეც შენთჳს და ჩემთჳს“** და ჰურიათა ეტყოდა: **„მიეცით კეისრსა კეისარსა და ღმერთსა ღმრთისა“.** და პავლე იტყჳს: **„მიეცით საზუჱრესა ზუჱრი, საშიშსა შიში, პატივსა პატივი“** და კუალად იტყჳს: **„უკეთუ ძალ გედვას თავის უფლებაჲ, უფროჲსლა მონებაჲ იჴუმიეო“.**

კუალად მოვიჴსენოთ წმიდათა მამათმთავართა და წინასწარმეტყუელთა და ყოველთა წმიდათა ცხოვრებაჲ თუ ვითარ სამარადისოჲთა ჭირითა და შრომითა და მრავლითა განსაცდელითა იქცეოდეს. მოვიხსენოთ აბრაჰამისი იგი მწირობაჲ [და] უცხოებით სივლტოლა. და ისააკ და იაკობისი და სხუათა მამათმთავართა მწირობაჲ და ადგილითი ადგილად სივლტოლა. და მეფეთა და მოძღვართა ქუჱშე შიშნი და დევნანი და ყოველთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასწარმეტყველთა მრავალფერნი ჭირნი და განსაცდელნი და სიკუდილნი. მერმე წმიდათა მოციქულთა ფერად-ფერადნი სასჯელნი, შიშნი და განსაცდელნი და მარადდღე სიკუდილნი ქრისტესთჳს სიტყჳსაებრ მოძღვრისა მათისა, ვითარ იგი ეტყოდა: **„მიგავლინებ თქუენ ვითარცა ცხოვართა, შორის მგელთა“** და კუალად ეტყოდა ვითარმედ: **„სოფელსა ამას ჭირი გაქუნდეს. არამედ მწუხარებაჲ თქუენი სიხარულად გარდაიქცეს“** და კუალად ეტყჳს ვითარმედ: **„უკეთუ მე მდევნეს, თქუენცა გდევნნეს“.**

Კუალად მოიკჳსენეთ ვითარ მძლავრი ჰეროდე განცხრომით მჯდომარე არს და უზეშთაესი იგი ყოველთა ნაშობთა შორის დედათა შეკრული საპყრობილესა შინა მდებარე იყო. ეგრეთვე ყოველნი წმიდანი შემდგომით შემდგომად განიცადენ, რომელთა ღირსვე არა იყო სოფელი ესე. ვითარ დასჯილნი და დამდაბლებულნი უსჯულოთა მძლავრთა ქუეშე იტანჯებოდეს. მეფენი იგი უღვთონი: ნერონ და ტრაიანე, დეკეოზ და ვალერიანე, მაქსიმიანე, დეოკლიტიანე. და ყოველთა მძლავრთა უბოროტესი ივლიანე და მის ჟამისაცა იგი წმიდანი და ყოველნი ქრისტიანენი. ვითარ იგინი ზუაობით და ნებიერად მსხდომარე იყვნეს. და ესე ყოველნი ვითარსა შიშსა და ძრწოლასა და სატანჯველსა შინა იყვნეს. რამეთუ არა ოდეს ყოფილ არს ეკლესია ქრისტესი მტერისა მიერ უბრძოლელი და გამოუცდელი სიტყჳსაებრ იგავისა: **„რომელი უყუარს ღმერთსა, სწავლის და სტანჯის, ყოველი შვილნი, რომელნი შეიყვარის, ხოლო უკეთუ შორს ხართ სწავლისაგან მწირნი ვიდრემე ხართ და არა შვილნი“** და კუალად: **„მრავალ არიან ჭირნი მართალთანი და ყოვლისავე მისგან იჴსნნეს იგინი“.** რამეთუ ჩუენ მრავალფერითა ამით ჭირითა და განსაცდელითა მოველით უოხჭნოსა ცხოვრებასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიხარულსა გამოუთქმელსა, რაჟამს გამოცხადნეს ცხოვრებაჲ იგი ჩუენი ქრისტე. ხოლო რომელნი იშუებენ სოფელსა ამას შინა და იქადიან სიმდიდრესა და დიდებულებასა ზედა, იგინი საუკუნოდ დასჯად არიან ვითარცა წერილ არს მდიდარისა მისთჳს უწყალოსა და ლაზარე გლახაკისა. და კუალად ვითარმედ: **„ვაჲ თქუენდა მდიდარნო, რამეთუ მიგიღებიეს ნუგეშინის ცემა თქუენი, ვაჲ თქუენდა განმძღარნო, რამეთუ გშიოდის, და ვაჲ თქუენდა რომელნი იცინით, რამეთუ სტიროდეთ და გოდებდეთ“** და კუალად იტყჳს წინასწარმეტყუცლისა მიერ, ვითარმედ: **„ნუ იქადინ მდიდარი სიმდიდრითა თჳსითა, ნუცა ძლიერი ძალითა თჳსითა, ნუცა ბრძენი სიბრძნითა თჳსითა“.** კუალად მოვაქცევ სიტყუასა ჩემსა და ვეტყჳ მათ: ნუ გუცქადიან იგინ ძლიერებითა, ნუცა სიმდიდრითა, ნუცა სიბრძნითა, ნუცა ქალაქთა სიდიდითა და სიმდიდრითა, ნუცა ტაძრებითა და პალატებითა, ნუცა სხჳთა რითამე სოფლისა ამის საშუებელითა. მოიჴსენონ ხილვა იგი და გამოცხადებაჲ წმიდისა ღმრთისა მეტყუცლისა იოანესი, რომელსა მოასწავებს მათთჳს სახელითა ბაბილოვნისათა. რამეთუ მე ესრეთ მგონიეს ვითარმედ თჳთ ჰრომისათჳს იტყჳს და არა ბაბილოვნისათჳს. და ერთსა ვისმე წმიდათაგანსა სახელდებით ჰრომისათჳს უთარგმნია და ესრეთცა არს, რამეთუ ჰრომსა ზედა იტყჳს და არა ბაბილოვნისათჳს, რამეთუ ყოველნი წინასწარმეტყველებანი და მოსწავებანი იგავით და მიფარულად იქმნების და ითქმის და არა განცხადებულად და მასვე ჟამსა საცნაურად. ვითარცა იტყჳს მოციქული ვითარმედ: წინასწარმეტყველებაჲ წიგნისა თჳსისა თავისა არა სათარგმანებელ არს. უკეთუმცა მაშინვე სახელდებით ჰრომსა ზედა ეთქვა, ვითარ ეგებოდა ანუ ვითარ არა დაბრკოლდებოდეს ახალმოქცეულნი იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტეანენი, ანუ რომლითა სასოებითა თავს ისხმიდენ ესეოდენთა სატანჯველთა მაშინდელნი იგი წმიდანი, ვინადთგან ესრეთ მოძაგებად იყო ბაბილოვან. არამედ აწინდელთა და უკანასკნელ ესოდენთა უწესოებათა და ამპარტავნებათათჳს მოასწავა. ვითარცა წერილ არს მოჴსენებულ იქმნა ბაბილოვნი დიდი წინაშე ღმრთისა. და კუალად: **„დაეცა დაეცა ბაბილონი იგი დიდი და იქმნა სამკჳდრებელ ეშმაკთა და საყოფელ ყოვლისა არაწმინდებისა სულისა. და შემდგომი“.** ამას ყოველსა ჭრომისათჳს იტყჳს და არა ბაბილონისათჳს, რამეთუ სახელითა ბაბილონისათა დაჰფარავს მას შინა გამოჩინებულთა წმიდათათჳს. რამეთუ ბაბილონი შერეულად გამოითარგმანების და იგი არს შერეული სარწმუნოებითაცა და სიტყჳთა მრავლითა უწესოებითა. და ესეცა არა საკჳრველ არს, რათა სახელი ესე ეწოდებოდეს, რამეთუ წეს არს საღვთოთა წერილთა შინა, რათა ოდეს წმიდათაგანსა ვისმე ენებოს მხილებად და ყუედრებად და მოასწავებდენ დაცემასა რომელთამე ქალაქისასა, სხჳთა სახელითა იტყჳან, ვითარცა ჴმამაღალი ესაია მოასწავებდა დაცემასა და ოხრებასა იჩრუსალიმისა და მის შორის მყოფისა ერისა ისრაჱლისასა, სოდომისა და გომორისასა სახელითა შეასმენს და იტყჳს: **„ისმინეთ სიტყუად ღმრთისა მთავართა სოდომისთა და ერჩდით სჯულსა უფლისა ერი ეგე გომორისა, რამეთუ რად იგი უკანადსკნელ შემთხუევად იყო იჩრუსალიმსა და ოდეს იგი ჯჳვარს აცვეს ღმერთი და ჴელითა წარმართთა მოოჴრდენ“.** (ესრეთ პავლე მოასწავებს). და კუალად სხუად წინასწარმეტყველი იტყჳს: **„ვკურნებდით ბაბილონსა და არა იყო კურნება“.** მე ვჰგონებ ვითარმედ ამასცა უმეტესად ჭრომსა ზედა იტყჳს და მსგავსთა მისთა ქალაქთა ზედა და არა ბაბილონსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედა, რამეთუ ძუ‌ცლსა მას ნაბუქოდონოსორის მიერ აღშენებულსა ბაბილონსა არავინ კურნებდა, არცა წყალნი იღვწიდეს მისთჳს, არცა ვინ მოციქულთაგანი მიწევნულ არს მუნ. ეგრეთვე მახარებელი ესე მოასწავებს და წინასწარმეტყველნი იტყჳან ჰრომისათჳს სახელითა ბაბილონისათა. მოციქული პეტრე ჰრომს ბაბილონად უწოდს, ვითარ იგი დასწერს კათოლიკეთა შინა ვითარმედ: **„მოიკითხეთ ძე ჩემი მარკოზ, რომელ არს ბაბილონს შინა“,** ესე იგი არს ჰრომს შინა და უკეთუ ესრეთ არა იყოს, ოდეს მიწევნულ იყო მარკოზ ბაბილონს ანუ სადა წერილარს მისლვა მარკოზისა ბაბილონს, რამეთუ არცა ერთსა, სხჳსა მოციქულთაგანისა სმენილ არს ბაბილონს მიწევნა. ეგრეთვე არცა მარკოზ. არამედ ვითარცა ვთქუ ჰრომსა უჴმობს ბაბილოვნად და წმინდაჲ მახარებელიცა ბაბილონის სახელითა მოასწავებს დაცემასა მისსა და ერთსა ვისმე მთარგმანებელსა ეგრეტ დაუწერია ბაბილონად ჰრომსა იტყჳსო. ვინაჲთგან წმიდანი ესე თავნი მოციქულთანი ესრეთმოასწავებენ. ჩუენ რაჲსათჳსღა ესრეთ მაყუ‌ცდრებელ გუ‌ცქმნებიან.

ი‌ტყჳს კუალად წინასწარმეტყველი: **„იგლოვდინ ფიჭჳ, რამეთუ დაეცა ნაძჳ“.** ესე იგი არს, უკეთუ ნაძჳ იგი ლიბანისა, რომელი უმაგრეს არს ფიჭჳსა. რამეთუ საღმრთოთა წერილთა შინა უმაგრესობაჲ და უმჯობესობაჲ მისთჳს წერილ არს და სოლომონის ტაძრისათჳს უპატიოსნესად ნაძუნი მოეძღუანებოდეს. უკეთუ ნაძჳ დაეცა და შეიმუსრა, ფიჭჳსათჳს არა ძნელ არს დაცემა. უკეთუ აღმოსავლეთისა ეკლესიანი ესრეთ წუართა და ესრეთ განსწავლნა უფალმან, დასავლეთისა ეკლესიანი ნუ მაღლოინ: უკეთუ უფალმან ბუნებითა მათ რტოთა არა ჰრიდა, შენ, მას ზედა დამყნილსა გეშინოდენ ვითარცა იტყჳს მოციქული: **„არა თუ შენ გიტჳრთავს**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირი იგი, არამედ ძირსა მას შენ“ და შემდგომი. ესე ყოველი განიცადეთ და გეშინოდენ ნუ სადა უსასტიკესი რაჲმე მოიწიოს თქუენ ზედა, რამეთუ წინასწარმეტყველიცა შეასმენს ესე ვითართ მათ და ეტყჳს: **„ღმერთო, რომელი შენ დაეც, მათ დევნეს იგი და სალმობასა წყლულთა ჩემთასა შესძინეს. შესძინე უსჯულოებაჲ უსჯულოებასა მათსა ზედა“ (ფსალმუნი 68,26)** და შემდგომი. ამისათჳს არა ჯერ არს ყუცდრებაჲ და წარბ მაღლობაჲ. ნუ უკუც მათ ზედაცა მოიწიოს ესე ვითარი რაჲმე და აღესრულნენ თქმულნი იგი მოციქულთა და წინასწარმეტყუელთანი, რომელნი მათთჳს მოასწავნეს, არამედ ვითარცა ქადაგებაჲ იგი იონასი დაქცევისათჳს ნინევისა განაცრუა კეთილითა სინანულითა მათითა და გარე წარაქცია რისხვა იგი მათ ზედა მოწევნადი. ეგრეთვე ყოს უფალმან შეერთებაჲ ორთავე ერთად და შუა კედელი ზღუდისა მის დაჴსნას მოქცევითა და სინანულითა მათითა. ხოლო უკეთუ ესე არა იქმნას, ჩუენ მცირედითა ამით ჭირითა მოველით უოხჭნოსა ცხოვრებასა, რამეთუ ვერ ღირს არიან ვნებანი იგი ამის ჟამისანი მერმისა მის თანა დიდებისა, რომელი გამოჩინებად არს ჩუენდა მომართ და ეკლესიანი ჩუენნი მოელის კუალად განთავისუფლებასა. და მრავლისა ამის ჭირისა ნაცვლად გჳრგჳნსა ზეცისა ჩინებისასა, ვითარცა გამოცხადებასა შინა მოასწავა ჭირი და განსაცდელი ეკლესიათა. მერმე თავისუფლებაჲ და წარმატებაჲ დიდებასა შინა საღმრთოსა, ხოლო ბაბილონისა სრულიად მოოჴრებასა და დაცემასა.

ესე ყოველი განიცადეთ და იხილეთ, შეძრწუნდით და შეშინ-დით და მოიქეცით ღმრთისა და დაემორჩილენით სჯულსა მისსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

შესავალი 3

I თავი - სიტყვისგებაჲ ლათინთა მიმართ ჩვენ ‹მართლმადიდებელთა მიერ თუ, რაჲ არს ჩუენგან მათი განყოფილება, თქმული უნდოსა და გლახაკისა ხუცეს-მონაზონისა ბესარიონის მიერ, რომელი იყო უდაბნოჲთ გარესჯით მრავალმთისაჲთ, მონასტერსა წმიდისა იოანე ნათლისმცემელისა, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების „გურდემლი“ 32

II თავი - სარწმუნოებისათჳს წმიდისა და ერთარსისა სამებისა 54

III თავი - წმიდისა და თაყუანისსაცემელისა ცხოველსმყოფელისა სულისა წმიდისათჳს 59

IV თავი - სიყვარულისათჳს, თუ ვითარ მოსავნი პაპისანი სულსა წმიდასა სიყვარულად უჴმობენ 65

V თავი - ქრისტეს მიერ შებერვისათჳს, რაჟამს იგი შეჰბერა მოციქულთა 68

VI თავი - სიტყჳსა მისთჳს, ვითარმედ: „მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება“ 76

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII თავი - სიტყჳსა მისთჳს, ვითარმედ: „მდინარე ერთი გამოვალს საყდრისაგან ღმრთისა და კრავისა“. 78

VIII თავი - სიტყჳსგებაᲲ მათდა მიმართ, რომელნი პაპასა ჰრომისასა უფროსად და უაღრესად ჴადიან სხუათა პატრიარქთა ზედა და ქუეყანასა ზედა მეორედ ქრისტედ აღიარებენ და თავად ყოველთა ეკლესიად იტყვიან პეტრე მოციქულისა თანამოსაყდრეობითა, სწორადვე მისა და ვიკადრო ვითარმედ უაღრეს მისა აღიარებენ კეთილის მოქმედი იყოს კაცი იგი ანუ თუ სიტყჳსა წინა აღმდგომისა საქმისა. 86

IX - თავი სიტყჳსა მისთჳს უფლისა, რომელი ჰრქუა პეტრეს: „სიმონ, სიმონ, აჰა ესერა ეშმაკმან გამოგითხოვნა თქვენ აღცრად ვითარცა იფქლი, არამედ მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთჳს, რაᲲთა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაᲲ შენი. 107

X თავი - სიტყუაᲲ სამგზის კითხჳსათვის ღმრთისა მიერ პეტრესა: და მერმე დამწყსენ ცხოვარნი ჩემნიო 112

XI თავი - სიტყჳსა მისთვის, რაჟამს ჰკითხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწაფეთა: თქუენ ვინ გგონიე მე
ყოფად, ხოლო პეტრე მიუგო: შენ ხარ
ქრისტე ძე ღმრთისა ცხოველისა 116

XII თავი - სიტყჳსა მისთჳს რაჟამს უბრძანა
პეტრეს: „შენ ხარ კლდე და ამას
კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია
ჩემი“ 127

XIII თავი - სიტყჳსა მისთჳს რაჟამს
ჰრქუა პეტრეს: „მიგცნე შენ კლიტენი
სასუფევლისანი და რომელი შეჰკრა
ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა
შინა და რომელი გაჰჴსნა ქუეყანასა
ზედა ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა“ 137

XIV თავი - განსაწმედელისათჳს თქმული,
რომელსა იტყვიან მოსავნი პაპისანი 144

XV თავი - სიტყჳსა მისთჳს ესაია წინას-
წარმეტყველისა, რომელსა ლათინნი
განსაწმედელსა ზედა იმოწმებენ, ვი-
თარმედ: „სახლი იცრუსალიმისა გან-
წმიდოს შორის მისა სულითა სას-
ჯელისათა და სულითა შემწველითა“
(ესაია 4,3) 164

XVI თავი - სიტყჳსა მისთჳს, რომელსა
იტყჳს მოციქული ვითარმედ:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ცეცხლითა გამოიცდების კაცად-
კაცადისა იგი საქმე“ რომელსა იგინი
განსაწმედელისათვის იტყჳან 170

XVII თავი - სიტყჳსა მისთჳს, რომელი
წერილ არს წმიდასა სახარებასა შინა
ვითარმედ: „ვერ გამოხჳდე მიერ, ვიდრე
არა გარდაიჴადო ყოველი იგი“ და
კუალად ვითარმედ: „ვერ გამოხვიდე
ვიდრე არა მისცე უკანაჲსკნელი
მწულილი“ (ლუკა 12.59) 174

XVIII თავი - სიტყჳსა მისთჳს, რომელსა
იტყჳან მოსავნი პაპისანი ვითარმედ:
განრაჲვიდენ სულნი ჴორცთაგან აწვე
მიიწევიან ადგილთა მათ მათთჳს
განჩინებულთა და პირველ მეორედ
მოსლვისა მართალნი სასუფეველად
დაეწესებიან, ხოლო ცოდვილნი ჯო-
ჯოხეთს შინა პირველ ჴორცთა შე-
მოსისა და არღარა იქმნების მათი
გამოყვანებაო 181

XIX თავი - სიტყჳსა მისთჳს, რომელსა
იტყჳან ლათინნი ვითარმედ: ქრისტე
საუკუნოსა ჯოჯოხეთსა შინა არა
შთასრულ არსო 192

XX თავი - ნათლისღებისათჳს, თუ ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარ ჩუენ მართლმადიდებელნი მოძღ-
ვრებისაებრ წმიდათა მოციქულთასა
და ღმერთშემოსილთა მამათასა სამ
გზის ემბაზსა შინა შთაფლვითა
და წყალთაგან აღმოშობითა სახე-
ლსა ზედა წმიდისა სამებისასა
ნათელვიღებთ ჴელითა მღუდელთაჲთა,
ხოლო ლათინნი არა ესრეთ, არამედ
ყოვლითურთ წინააღმდგომსა იქმენ:
არცა ემბაზსა შინა სამგზის შთაყოფითა,
არცა მხოლოდ მღვდელთაგან, არამედ
ვითარცა დახუდეს ერისკაცთა და
დედათა მიერ ნათელსცემენ 206

XXI თავი - სიტყუაჲ მათდა მიმართ თუ
ვითარ ახალ ნათელღებულთა არა აღ-
ბეჭდვენ მირონითა 217

XXII თავი - დედათა მიერ ნათლის ცემი-
სათჳს 221

XXIII თავი - ლოცვისათჳს სიტყუაჲ,
თუ რაჲსა მიზეზისათჳს იგინი არა
ილოცვენ არცაღა საეკლესიოდ არ-
ცა თჳსგან და სხუათა[ცა] ამას ას-
წავებენ 224

XXIV თავი - აღმოსავლეთით ლოცვი-
სათჳს 249

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXV თავი - წმიდისა ჟამისწირვისა საიდუმლოთათჳს თუ რაჲსათჳს ჩუენ ესრეთ, განწესებისაებრ წმიდათასა აღვასრულებთ და იგინი სხუებრ და არა განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთა და სხუათა მათ წმიდათასა 259

XXVI თავი - სიტყუაჲ მათდა მიმართ რომელნი უეკლესიოდ სწირავენ სახლთა შინა საეროთა 263

XXVII თავი - სიტყუაჲ მათდა მიმართ, რომელნი დედათა ჟამსა წიდოვნებისასა აზიარებენ და თჳთ მღვდელნიცა და ერნი, რაჲთაცა ცოდვითა შეიგინნენ მას დღესა სიწმინდეთა მიეახლებიან 267

XXVIII თავი - სიტყუაჲ უცომოსათჳს, თუ ვითარ ყოველი მართლმადიდებელთა ეკლესია განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთასა საფუვრითა შევწირავთ, ხოლო იგინი უცომოთა 270

XXIX თავი - სიტყუაჲ წმიდისა ზიარებისათჳს, ვითარ იგინი ერის კაცთა ლიტონსა ღჳნოსა მისცემენ და არა სისხლსა საუფლოსა; ეგრეთვე პურსა ლიტონსა და არა ჭორცსა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამეუფოსა 278

XXX თავი - სიტყვაჲ მათდა მიმართ თუ
რაჲსა მიზეზისათვის ჩვილთა ყრმათა
და უჰასაკოთა არა აზიარებენ 286

XXXI თავი - სიტყჳსა მისთჳს თუ ვითარ
ლათინნი და ბერძენნი ეცილებიან
საღმრთოსა საიდუმლოსა ზედა 294

XXXII თავი - მარხვისათჳს - თუ ვითარ
იმარხვიდა მეუფჱ ჩუენი ქრისტე
და წმიდანი მისნი მოციქულნი და
ყოველნი წმინდანნი და ჩუენცა ესე
განგჳწესეს 303

XXXIII თავი - სიტყუაჲ ოთხშაბათისათჳს
თუ რაჲსათჳს არა იმარხვენ ანუ
შაბათსა ვითარ და რაჲსათჳს
იმარხვენ 312

XXXIV თავი - მარხვისათჳსვე: თუ
რაჲსათჳს მოგუჱცნეს წმიდანი ორ-
მეოცნი, ანუ სხუანი იგი ყოველნი
მარხვანი 317

XXXV თავი - სიტყუაჲ მათდა მიმართ,
რომელნი ყოველსა არა წმინდასა და
სჯულსა შინა დაყენებულსა ჭამადსა
სჭამენ. მათ თანა სისხლსა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამშთუარსა იჴუმევენ, რომელი ესე
მტკიცედ დაყენებულ არს 326

XXXVI თავი - დედათა წიდოვანთათჳს, თუ
ვითარ ჯამსა მას ოდეს იგი ბუნებითსა
წესსა შინა იყვნეს საკურთხეველად
აღიყვანებენ და აზიარებენ 343

XXXVII თავი - პირუტყვთა შეყვანისათჳს
ეკლესიათა შინა, თუ ვითარ და
რაჲსათჳს შეიყვანებენ სახლთა შინა
წმიდათა არა წმიდათა პირუტყუთა 346

XXXVIII თავი - აღმწერელი ამის წიგნისა
კუალად სიტყუასა უგებს პაპის
მოსავთა. 351

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოყენებული ლიტერატურა

S-3269 - ხელნაწერი.

ახალი აღთქმა - საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი 1997 წ.

ძველი აღთქმა (მცხეთური ხელნაწერი) - თბილისი, მეცნიერება 1981 წ.

გაბრიელ მცირე - „ღვთივსულიერი თხრობანი სულთა ღვთისმოყვარეთა ფრიად სარგებელნი". ზაზა სხირტლაძე, თბილისი 2002 წ.

მ. საბინინი - „საქართველოს სამოთხე", პეტერბურგი, 1882 წ.

მ. ქავთარია - „დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა", თბილისი, მეცნიერება 1965 წ.

მ.ქავთარია - ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ.I, თბ., 1959 წ.

კ. კეკელიძე - ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.I, თბილისი, 1980 წ.

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ.VI, თბილისი, 1980 წ.

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა), ფონდი 1448, №1037.

პ. ცხვილოელ-კარბელაშვილი - „გუჯერები დავით გარეჯის უდაბნოსი", „ივერია", 1893, №88.

Q – 135 ხელნაწერი.

ი 1/415

ეროვნული ბიბლიოთეკა

A-105. ხელნაწერი.

ანტონ ბაგრატიონი - „წყობილსიტყვაობა", გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბილისი, 1980 წ.

პ. კარბელაშვილი - „იერარქია საქართველოს ეკლესიისა: კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი", თბილისი., 1900.

АКТЫ, ტ. .I.

Переписка груз. Царей с российск. Государями от 1659 г.по 1770 г, С -петербур,1861.

H - ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა. ტV.

დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი 1940 წ, ტ.I.

„საქართველოს ცხოვრება" ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბილისი, 1913 წ.

„ქართლის ცხოვრება" მარიამ დედოფლისეული, ე . თაყაიშვილის რედაქციით, თბილისი 1906 წ.

Analecta Bollandiana, ტ. XXXIII.

კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. IV, თბილისი, 1957 წ.

ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, გამოკვლევა, ლექსიკონი, და საძიებლები დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ. თბილისი, 1980 წ.

ვახტანგ იმნაიშვილი, უძველესი ქართული ხელნაწერები ავსტრიაში, თბილისი, 2004 წ.

102.763
3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარეკანის ნახატი შეასრულა
ხატმწერმა მამია გრიგოლიამ